644/
1970/4

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცისკარი

10

1970

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ქალიშვილს ვაუშვაჯოს!

პლაკატი ო. ჯიშკარიანისა.

ჰე, მამულო! გრძნობა შენი მოვლისა
მარად ყველა ჩვენთაგანის ვალია,
სანამ გმირმა შენთვის სული დალია —
სთქვა: „სამშობლო — უპირველეს ყოვლისა!“

გალაკტიონი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სარკე

161

გამოცემის მეთოთხმეტე წელი

10

ოქტომბერი

1970

თბილისი

11.705

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა

ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

საქართველოს ალკპ ცენტრალური კომიტეტისა და მწერალთა კავშირის ორგანო

ეროვნული ბიბლიოთეკა

შინაარსი

პროზა

3. ედიშერ ჟიფიანი. ცაში ასროლილი ჟუდები. რომანი. დასასრული

48. ვალერიან ჩიკაურიშვილი. ფულიკა. მოთხრობა

პოეზია

38. ვახტანგ ჯაფახაძე. ლექსები

40. ბაბუ მეგურიშვილი. ლექსები

42. ალუდა არაგული. ლექსები

45. ვანო ჩხიკვაძე. ლექსები

63. ირაკლი ციბროშვილი. ლექსები

64. გურამ კეტრიაშვილი. ლექსები

65. მერაბ აბაშიძე. ლექსები

1920—1970

66. სილვა კაუტბიანი. სამშობლოსაგან შორსა ვარ ახლა. ლექსი. თარგმნა გივი შანგაზარმა

67. ზეინალ ხალილი. კაცი. ლექსი. თარგმნა ჯანსუღ ჩარკვიანმა

ახალი თარგმანები

68. ალექსანდრ კუშაკინი. კოლტაკა. პოემა თარგმნა ოთარ ჭილაძემ

75. კლატონი. დიდი ჰიპია. ძველი ბერძნულიდან თარგმნა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო ბაჩანა ბრეგვაძემ

უცხოური ნოველა

99. ჯონ ო'ჰარა. თბილი ადგილი. ინგლისურიდან თარგმნა ედიშერ გიორგაძემ

შენს სადიდებლად, სამშობლოვ!

101. კოლიპარაკი შვანგირაძე. კეთილი ნერგი

108. დოდო ზურაბიშვილი. ოქროხელა

ლიტერატურული პორტრეტი

111. ვახტანგ ჭელიძე. მეგობრების კოტრეტები

წერილები

128. გურამ ასათიანი. „შენც კაცი იყო და ლექსად იქცა“

134. თეიმურაზ ფანჯიკიძე. ქრისტიანული რელიგიის კრიზისი დასავლეთში

145. ელენე გაგუნია. „მოგი დიკისი“ კავშირი XIX საუკუნის შუაწლეების ამერიკის სინამდვილესთან

ჩვენი კალენდარი

154. შალვა ღლონტი. ქართველი ახალგაზრდობის სულიერი მოკვლარი

158. ყოველი მხრიდან

მთავარი რედაქტორი
ჯანსუღ ჩარკვიანი

სარედაქციო კოლეგია:
გურამ ასათიანი,
აკაკი გაჩარაძე,
გივი გეგეჭკორი,
გურამ გვერდწითელი,
მერაბ ელიოზიშვილი,
კარლო კალაძე,
კონსტანტინე ლორთქიფანიძე,
ოთია კაპანაძე
(პასუხისმგებელი მდივანი),
ნუგზარ ფოფხაძე,
ნოდარ ფულეისკირი,
ტარიელ ჯანდუნია,
სერგი ჭილაია,
თამაზ ჭილაძე,
ლაშა ჯანაშია,



თავი მერვე

შორს სწვდება თვალი მობანავეებით სავსე სანაპიროს. ეს ცოცხალი, ყავისფერი არშია თითქოს ყელზე შემოხვევია მრგვალსა და ცისფერ ყურეს, ფუსფუსებს, ირწევა, სულ ბოლოს კი, ტყით დაფარული ბორცვის ძირას, ყუჩდება — იმ მანძილზე ვეღარ ვაცალკევებ ერთმანეთისგან ადამიანებს, მათი სხეულები თითქოს გაერთიანებულან და გაქვავებულან.

პატარა ჩემოდანი მიჭირავს. საგარეოდ გამოწყობილი, კლიენტის მძიმე ფოტოგრაფივით მიეყვები ნაპირს. პლიაჟისათვის მე არ ვარსებობ, უცხოც კი არა ვარ. ახალჩამოსულ უცხო დამსვენებლად რომ ვიქცე, ტანთ უნდა გავიხადო და საბანაოდ გამოვეწყო.

თაზოს კეფასა და ბეჭებს დავეძებ,

---

[1] „ცისკარი“, № 8, 9.

მისი ბეჭების ჩრდილქვეშ მერე ადვილია მელიტასა და ნაის გამოცნობა. მაგრამ არ ჩანს თაზო, ან არ გამოსულა ჯერ, ან ზღვაშია.

მოკლე ბოგირს მივადექი, დახრილ ფიცარზე ლურსმნებით მიჯდებულ საფეხურებს უნდა აჰყვე და ახვიდე ზედ. აქ ზღვა ნერწყვივით ყლაპავს პატარა მდინარეს და მრგვალ ყურეზე შემოხვეული მობანავეთა ყავიფერი არშია შუაზეა გაფხრეწილი. ბოგირს გაღმა სასადილოა, უკან მოგდებულ, მოასფალტებულ ეზოში ალუმინისფეხებიანი მაგიდებია გაშლილი. უნებურად ვათვალიერებ, იქნებ იქ ზის თაზო.

უკანვე ვბრუნდები, ბოგირზე გადმოვდივარ. თუ არ გავიხადე და პლიაჟს არ შევეკრე, ჩვენებს, ეტყობა, ვერ ვიპოვი. ასეც მოხდა. გავიხადე თუ არა, მელიტას მოვკარი თვალი: წყლიდან ამოსულიყო, ფრთხილად ადგამდა ნაბიჯს, მუხლი ეკეცებოდა, ფეხისგულებს ტკენდა ეკენები. ჩემსკენ გამოეშურა. დაფეთებულმა, ქვიშაზე გაწოლილი ხალი მოვათვალიერე, თაზოსა და ნაის ხომ არ ვადგივარ-მეთქი თავზე. მელიტა ზღვისკენ შებრუნდა, დაჯდა, შეწოლილებულ ბარძაყებზე პირსახოცი გადაიფარა. თაზო და ნაი სადღა არიან? ძალიან გადავიქანცე. ეეღარაფერს დავუურაკე გამოცდებზეო. უთქვამს ნაის და ერთი კვირით წამოსულა.

ფეხაკრეფით ვეპარები მელიტას. ვჩერდები. ჩემს ჩრდილს უყურებს. ზემოთ არ იხედება. ვცდილობ ხმა შევიცვალო:

— ბოდიში, ქალბატონო, ცივია წყალი?

— ჩადით და გაიგებთ! — მპასუხობს მკვახედ, ზღვას გასცქერის.

— მე უხეში კანი მაქვს, ტემპერატურას ვერ ვგრძნობ.

— მაშინ ექიმთან წადით!

— ვიყავი და მითხრა: მსუქანი გოგო უნდა შეიყვაროო...

— თქვენ საქმე არაფერი გაქვთ?! — გაკაპასებულმა ამოხედა და უცბად თვალები დაუთრგვალდა, გრძელმა წამწამებმა უბეები დაუჩრდილა. ზაალ, შენ გენაცვალე! — წამოიგერ-და მაკოცა, — რა კარგი ხარ, რომ ჩამოხვედი, იცი, სულ მარტოკები ვართ.

— სამნი და მარტოკა?

— მე და ნაი ვართ, თაზო არ ჩამოსულა.

— არ ჩამოსულა? თბილისშიც არ არის.

— სოფელში გავიარ, ამხელა გზაზე მატარებლის ბრაგა-ბრუგს ვერ გავუძლებო, და დღემდე არ ჩანს.

ქვებზე ნაის კაბა ადია. ვცნობ თეთრკოპლებიან ლურჯ კაბას. ვარდისფერ-ხოლებიანი პირსახოციც მისი უნდა იყოს. ტყავის თასმებით გადაჯვედილი გარინდებული ფლოსტებიც, შიგ რომ ფერადი კენჭები ჩაუყრია. უეცრად მომენატრა ნაი, თითქოს შორს იყო სადღაც და მე კიდევ დიდხანს ვერ ენახავდი. და მოშელანდა წარსულის რომელღაც დღე, სითბო, იმ დღის ხმები, შემომერტყა გარშემო, შემიცურდა ფეხებქვეშ, ზემოდან გადმომადგა, ცხადად განმეორდა ერთი წამით.

— რატომ იღიმები? — მკითხა მელიტამ.

— ვიღიმები?

— აი, ნაი, — მელიტამ დაბეჯითებით გაიშვირა ხელი, მაგრამ იქითკენ ნაი არ იყო, — სად არის? ქვემოთ ხომ არ ამოვდა? — და უეცრად ხმა გაუხალისდა, — აი, აი, აი, ნედავ ცისფერ ქუდს? ზურგზე წევს... მიდი, რა, ზაალ, მიდი რა, მიეპარე. — ეშმაკუნები აუცეცქვდა თვალებში, — ერიჰაა, რა უცბად გაიქეცი, მოიცა, ჯერ თბილისის ამბები მითხარი.

— თბილისის ამბებს შენგან მოველი, აქ ყოფილა მთელი ქალაქი.

ჩაეყავი თუ არა ფეხი წყალში, შორს, ასოიდე მეტრის იქით, ზურგზე მწოლიარე ნაი შეინძრა და ჩემსკენ შემოტრიალდა, „იგრძნო!“ — გავიფიქრე გულში და შევცურე. ნელ-ნელა ვუახლოვდებოდი, ზღვა წყნარი და გამჭვირვალე იყო და თითქოს ხელებით ვეფერებოდი, ვეც არ მესმოდა ჩემი ადგაფუნებუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი წყლის ხმაური. ხშირ-ხშირად ვიხედებოდი ნაისკენ, ასე მზაკვრულად ალბათ ონავარი ზვიგენიც ვერ მიეპარებოდა მსხვერპლს.

ნაიმ უეცრად ხელები დაჰკრა წყალს, ამოტრიალდა და გასცურა. თანდათან შორდება ნაპირს პატარა, ცისფერი ბურთი, ახლავე თუ არ დავეწიე, მერე დავიღლები, არ მინდა აქშინებული ველაპარაკო.

სულ ახლოს ვარ, მისი ფეხიდან აცვეწილი შხეფები მხვდება სახეში. ჩვენს იქით აღარავინ ცურავს. დავიღალე. მაგრამ მინდა ჩავყვინთო, წყალქვეშ გადავსწრო და წინ დავხვდე. ნაის მუქ-ვერცხლისფერი, წაგრძელებული ფეხები წყალქვეშ მარინდებს ხავსში თავჩარგული თევზივით.

ნამდვილი წყალქვეშა სპექტაკლის მაყურებლად ვიქეცი, ქალის კიდურების ასეთი დახვეწილი, თვალის მაამებელი მოძრაობა არც არასოდეს მენახა. რაღაც საიდუმლო ნიშნებს გადმოსცემდნენ თითქოს, საიდუმლო ანბანს — წყლის მკვიდრთათვის გასაგებს. მე კი იმ ანბანის მოხაზულობა მხიბლავდა მხოლოდ.

ამოვყურყუმალავდი. ნაი ნაპირის გასწვრივ მიცურავს დაე, ნურასოდეს გაიგებს იმ „მაყურებლის“ ვინაობას. მეც მჭონდეს ერთი საიდუმლო ამ ქვეყანაზე. ალბათ გრძნობდა, რა თქმა უნდა, გრძნობდა, ვიდაც რომ მისდევდა კვალდაკვალ, რომ ჩაყვინთა მის სიახლოეს.

ნაპირზე ამოვედი, მელიტა გულაღმა წევს და რაღაც ჟურნალს კითხულობს.

— ვერ დაეწიე?

— არ დავეწიე, ზღვაში შერიგებას არ ჩამითვლის-მეთქი.

მელიტამ ყველაფერი იცის, ამიტომ თამამად ველაპარაკები.

— მიწაზევე უნდა გამოისყიდო შენი ცოდვა?

— რა ცოდვა, მელიტა?

—არაფერი... გაუფრთხილდი ნაის... ხედავ იმ ბიჭებს, ჭადრაკს რომ თამაშობენ? ინჟინრები არიან, გუშინ ჩვენს გვერდით ისხდნენ. ხომ ამჩნევ, ცოტა კისრები რომ აქვთ წაგრძელებული? ეგ გუშინ დაემართათ.

ზღვიდან ნაი ამოდიოდა. მაღალი, მრგვალი კისერი, მერე სუსტი მხრები გამოჩნდა, ნაცრისფერი საცურაოს ქვეშ აცქმუტული ძუძუები, ხვესურული ფარავით პატარა და ბრტყელი მუცელი, ნაი იბადებოდა... უეცრად შეჩერდა, დამინახა, მელიტამ ხელი დაუქნია, მეც ავყევი... ნაი გამოიქცა. მოჭადრაკეებმა თავი მიანებეს თამაშს, ნაის გამოადევნეს თვალი და ბოლოს, როცა ნაიმ ჩვენთან მოიბრძანა, გაკვირვებულებმა, მე აღმომაჩინეს, რაღაც რიდითა და მოკრძალებით დამიწყეს თვალთვალი.

ჩემ წინ იდგა ზღვის გამჭვირვალე წვეთებით დაწინწკლული ნაი, და მეჩვენებოდა, რომ მისი სხეულის ყოველ წერტილს მეხსიერება გააჩნდა, მაგრამ ჯერ არაფერი არ ენახათ, არ განეცადათ და დასამახსოვრებელიც არაფერი ჰქონდათ.

ფეხზე წამოვიჭერი და ხელი ჩამოვართვი. შევატყვე, გაეხარა ჩემი ნახვა.

— როდის ჩამოხვედი?

— ერთი საათი იქნება.

— სიცხეებია თბილისში?

— არა.

— თაზო? თაზოც ხომ არ ჩამოვიდა?

— მელიტას ჰკითხა ნაიმ. დაჯდა, პირსახოცი მხრებზე მოიფინა.

— თაზომ გვიდალატა.

— ხვალ აუცილებლად ჩამოვა! — თქვა ნაიმ.

●

გოგოების მეზობლად, ორსართულიან სახლში, მოზრდილი ოთახი დავიქირავე იმ ვარაუდით, რომ თაზოც ჩემთან იცხოვრებდა. სახლის უკან, ხეხილით სავსე ეზოში, ჭა იყო, ჭის გვერდით ხმინჯებზე ამაღლებული თბილი წყლით სავსე რკინის კასრი. წყალს

ედიშერ ციფიანი
ცაში ასროლილი ჯოჯები

ეროვნული ბიბლიოთეკა

მზე ათბობდა და შხაპქვეშ მუდამ შეიძლებოდა მარილიანი სხეულის გაბანვა. ვაზის თალარის ქვეშ ჰამაკი გაეკეთა. აქედან მოჩანდა ოთხი ფიცრისაგან შეკრული ჭიშკარი, შუაში მავთულის ბადე დატანებული. ზედა ფიცარი ზუსტად გასდევდა შორს გაწოლილ ზღვის ჰორიზონტს. იქნებ ჭიშკრის კეთებისას სახლის პატრონსა ცალი თვალი მოხუჭა და ზღვის ხაზს უსწორა ფიცარი, თარაზოს მაგიერობა გააწევინა ზღვას. ვინ იცის, ძველი ზღვისპირელი კოლხებიც ასე აშენებდნენ სახლებსა და ციხე-სიმაგრეებს.

თაზო არც მეორე დღეს ჩამოსულა.

საღამოს აქაურმა ნათესავებმა ინახულეს მელიტა და სოხუმში წაიყვანეს. რამდენჯერმე ავიარ-ჩავიარე ნაის ფანჯრის წინ, მერე ფრთხილად დავკაკუნე. ფარდა შეირხა, ნაი ლოგინიდან წამოწოლილიყო და მიყურებდა, ხელში გადაშლილი ნოტები ეჭირა. დასასვენებელი პარკისკენ ვანიშნე, იქით გავიაროთ-მეთქი. ხელი გააქნია, ვერ მიეხვევი, რას მეუბნებიო. ჯარისკაცივით ადგილზე სიარული დავიწყე. გაეღიმა. საათზე დარეკა. მანიშნა, დამიცადეო.

ბოგირზე გადავედით, სასადილოს გავუარეთ და პარკისკენ გავწიეთ. ნაის ეცვა ვიწრო, ღია ფერის ლურჯი შარვალი, გახუნებულს რომ ჰგავს, გრძელსახელოებიანი ყავისფერი სვიტრი. თმა გაეშალა და მხრებამდე სცემდა. ხელში პატარა, თეთრყდიანი წიგნი ეჭირა. მოკლე და ჩქარი ნაბიჯით მიდიოდა ჩემს წინ, რადგან დინჯი სიარული დაახლოებისა და გულთათადი ურთიერთობის ნიშანი იქნებოდა. უეცრად ქვას წამოსდო ფეხი, წაბარბაცდა, ისეთი უმწეო იყო ამ დროს, ისეთი ჩვეულებრივი და ახლობელი, ისე ჩამოვარდა ერთბაშად სიამაყისა და მოუკარებლობის მწვერვალიდან, რომ იმედით გამინათდა გული; გავიფიქრე, შემირიგდება-მეთქი. მინდოდა ხელში აეყვანა და ისე გაგვეგრძელებინა გზა, სულ ახლოს მეგრძნო მისი სახე, მაშინ ვერ დაფარავდა თავის ფიქრებს, ვერ შეაბრუნებდა თავს, ვერ-სად გაექცეოდა ჩემს მზერას და ყველაფერს ამოვიკითხავდი მის თვალებში.

— კუროორტის დათვალიერება მინდა, სად ვარ, სად ჩამოვედი, — ვთქვი მე.

— არაფერია ისეთი, შარშანაც ვიყავი... დავსხდეთ აქ?

გზის პირას, პარკის შესასვლელთან, რკინისფეხებიანი გრძელი მერხი იდგა. სწრაფად დაბნელდა, გზის გადაღმა ვერხვის ნერგი ხარობდა. მის ფოთლებს ნიავი აშრიალებდა, ალბათ პირველი ფოთლები იყო, ნერგის პირველი გაზაფხული. უეცრად ფოთლებს შორის ერთბაშად გაანათა ათასმა ციცინათელამ.

— შუქურაა! — თქვა ნაიმ და მერხის კიდეზე. გადაჯდა.

მეც მოვინაცვლე ადგილი. ახლა ნერგი აღარ გვიშლიდა ხელს. შორს, კონცხის ფრჩხილზე წამომართული შუქურა ზღვაში გასულ გემებს ამხნევებდა.

— იცი, გუშინწინ ვუყურებდი, ოცდათორმეტი წამი ჩამქრალია, რვა წამი ანთია.

— აბა, დავითვალოთ! — შუქურის ჩაქრობისთანავე ვთქვი მე, — ერთი, ორი, სამი...

როცა შუქურა აინთო, დავინახეთ რუხი, მაღალი ძაღლი, იგი ჩვენს წინ შეჩერდა, მერე შუა გზაზე დაწვა, მშვიდი თვალებით შემოგვაკერადა, ხანდახან ჩვენთვის უხილავ მწერს თუ გადევნებდა ჰაერში მზერას.

— უყვართ ძაღლებს ადამიანები, მათ ახლოს მშვიდად გრძნობენ თავს, — ნაი მერხს მიეყრდნო და უეცრად წამოიკენესა, ისევ წინ გადმოიხარა, ხელებისკენ გადაწვდინა ხელი, — სულ დამავიწყდა, დამშვარი მაქვს კანი.

— მეც ცეცხლი მიკიდია ბეჭებზე, პერანგშიც კი ატანს. აი, ნახე! — ანგარიშმიუცემლად ციცქნა მაჯაში წაავლე თითები და მივიზიდე. ძალი ხელი მორჩილად გამოჰყვა ჩემსას, მაგრამ სწორედ იმ ხელში ეჭირა თეთრყდიანი წიგნი, მეგონა, მეორე ხელში გადაანაცვლებდა, მოვტყუებდი, ამის სურვილიც არ შესტყობია. წიგნი ჩვენს შორის აღ-

მართულ ხღუდესავით ცივად გარინდებულიყო, თითები მოვაშორე ნაის მაჯას, წიგნი ისევ მის მუხლებზე დაესვენა.

სიბნელეს თანდათან გამოეყო თურქული, თავწოწოლა კოშკის სილუეტი.

— წვავალ, ვნახავ ერთი, რა კოშკია ისეთი, — წამოვდექი.

— ახლა აზრი არა აქვს, შიგნით სულ ჩაბნელებულია, ვერც მიაგნებ კიბეს.

— ვნახავ მაინც, ხვალ შეიძლება თბილისში წავიდე და ვეღარ მოვასწრებ. — ვიცრუე რატომღაც — შენ აქ დამიცდი?

ნაი სახტად დატოვა ამ შეკითხვამ. მოულოდნელი იყო მისთვის, „აოსნობას რომ ვანდობდი, ძალას არ ვატანდი და ასე იოლად ვაპირებდი, მომესმინა მისი მოსალოდნელი უარი. ახლა თვითონ უნდა გადაეწყვიტა, „ჰოს“ და „არას“ პასუხისმგებელიც თვითონ უნდა ყოფილიყო. ერთდროულად მომეწონა და შემძაგდა ჩემი თავი.

— აქ რატომ დავიცდი? რადგან ასე გინდა. მეც წამოვალ.

ჩქარი სიარული აღარ შეიძლებოდა, რადგან გარკვევით აღარ ჩანდა გზა. ერთ ადგილას ხრამს წავადექით თავზე, ბილიკი ჩადიოდა. ასანთი ავანთე, ხრამისკენ ჩავაბიჯე, შემოვბრუნდი და უკან დარჩენილ ნაის ხელი გავუწოდე — ისევ ის წიგნი ეჭირა, ისევ მაჯა შემაჩერა თითებში.

კოშკის სიახლოეს კოშკი თითქოს გაქრა, ირგვლივ ჩაწყვდიადებული იყო მიდამო, ბოძებზე ჩამწკრივებული ელნათურების შუქი ისამდე ვერ აღწევდა, და ვიცოდი, რომ ნაის არ უნდოდა აქეთკენ წამოსვლა, ეს ისევ შერიგების, ძველებური ურთიერთობის მაუწყებელი იქნებოდა. იმ შეკითხვამ მიხსნა.

სწრაფად შევყავი თავი კოშკის კარებში, მაღლა ავიხედე, ამ ჭის ფსკერიდან თვალი მოგკარი ცის ნაგლეჯს და უკანვე გამოვბრუნდი, თითქოს აუცილებელი იყო ამის გაკეთება. პარკის გარშემო მიწა ნოტიო იყო და აშმორებული. წვიმამ ტალახმა სწრაფად დაგვატოვებინა იქაურობა. ჩვენს უნებურად ნელ-ნელა პარკის ხეივანში ამოვყავით თავი.

დინჯად მივყვებოდით ხეების მწკრივს, ვერ ვამჩნევდით დაბალ ტოტებს და მოულოდნელად სახეში გვცემდა სიგრილისაგან შენამული ფოთლები. ყვავილების გამაბრუებელი სურნელება ღამის დიდი ფრინველივით გამოსულიყო გარეთ და ჩვენს ირგვლივ დაფრინავდა უხილავი ფრთების შრიალით. გული თანდათან მიმატებდა ძგერას. აღარაფერი ჩანდა ირგვლივ ნაისა და ხეების ლანდების გარდა. ახლა უნდა გადაწყვეტილიყო ყველაფერი. ნაის თითების ჩაგდება მინდოდა ხელთ, პირველი სიტყვა მისი ხელისგულის სითბოს უნდა ეკარნახა ჩემთვის.

ოდნავ ჩამოვრჩი და მერე მარჯვენა მხრიდან ამოვუდექი გვერდით. მაგრამ იმ წიგნმა, იმ თეთრმა მოჩვენებამ უკანასკნელ წამს სწორედ მარჯვენა ხელში გადმოინაცვლა. ფარიანი ხმარობდა ქაღალდის ამ პატარა ოთხკუთხედს, ფარიანი იგერიებდა ჩემს ცბიერ შეტევებს, და უეცრად წონასწორობა დავკარგე, წიგნი კი არა. მართლა ფარი რომ ყოფილიყო, ნამსხვრევებად ვაქცევდი, ეს წუთიერი რისხვა მოულოდნელად გამბედაობად რომ არ გადამდნარიყო და სიტყვებად არ გადმოღვრილიყო:

— ნაი, შევრიგდეთ!

— მე არ გემდური...

— მიყვარხარ, ნაი... უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე!

— ოდესმე.. .— ჩუმად გაიმეორა.

შებრუნდა და უკანვე გაჰყვა ხეივანს. მთელი წყვდიადი ახლა ნაის ხეულს შეესრუტა, და ანათებდა ეს წყვდიადი, მკვეთრად აჩენდა ყოველ ნაკვთს. ალბათ მეჩვენებოდა, ალბათ სანაპიროზე ნანახი, ზღვის წვეთებით დაწინწკლული ნაი მედგა ახლა თვალწინ და ის ანათებდა. დავეწიე.

— თქვი რამე?

ედიშერ ყიფშიანი
ცაში ასროლილი ჯოჯები

— მე არ გემდური, ზაალ!

ხელი მხარზე მოვხვიე და სწრაფად მივიზიდე ჩემსკენ, რადგან გუბეში ადგამდა ფეხს. და ეს ერთი შეხება საკმარისი იყო, რომ სურვილს მიერბინა გონებამდე და გაებრუებინა. მაგრამ წიგნის ციგმა ყდამ გამომაფხიზლა, ჩვენს ლოყებს შორის ვითომ შემოხვევით გაჩხეერილმა. ხელი წავავლე წიგნს, მისი ქვეყნის კიდეზე გადასროლა მინდოდა.

— რა წიგნია, ნაი? — თვით არ დავუჯერე საკუთარ ხმას, ალბათ რისხვას არასოდეს უშვია ასეთი უწყინარი სიტყვები.

— „სიმღერა როლანდზე“, — მიპასუხა ნაიმ.

ყველაფერს მოველოდი, ამის გარდა.

— კითხულობ?

— წაკითხული მაქვს.

— ალბათ ჩანთის მაგივრად ხმარობ, ცხვირსახოცი ან ფული გიდეკს შიგ.

— რად მინდა ამ შუაღამეს ფული?

— გაეცინა ნაის.

— წიგნის კითხვაც ძნელია ამ შუაღამეს.

— დღეს ჩემი ამხანაგის დაბადების დღეა!

— სასიამოვნოა, მომილოცავს!

— ვუსახსოვრე.

— რატომ არ მიეცი?

— არ არის აქ.

— აქ არ არის და უსახსოვრე?

— შეეხვდები და მივცემ.

— მე მახსოვს ეს წიგნი, სამართლის ისტორიის ლექციაზე გვიხსენა პროფესორმა: რაინდები ორთაბრძოლით სწყვეტენ მოღალატე ჰანელონის განაჩენს — მტკუანია თუ მართალია, დაისაჯოს თუ არ დაისაჯოს. ეპოსი იმ რაინდს ანიჭებს გამარჯვებას, ვინც ბრალს დებს მოღალატეს, რადგან ჰანელონი ნამდვილად მოღალატე იყო.

— რომ არ ყოფილიყო მოღალატე მეორე რაინდი გაიმარჯვებდა?

— მაშინ ეპოსი არ შეიქმნებოდა.

— ასე რომ ვიმსჯელოთ, ღალატს შეუქმნია ეპოსი.

— არა, როლანდის გმირობამ და სიყვარულმა შექმნა. ეს სიმღერა რომ დზეა ნათქვამი და არა ჰანელონზე.

— ალდა გახსოვს?

— როლანდის საცოლე?

— გახსოვს?

— არ მახსოვს კარგად.

— გახსოვს როგორ კვდება?

— არა.

— როგორც კი როლანდის დაღუპვის ამბავს გაიგებს, მუხლები მოეკვეთება და სულს განუტევებს.

— ალბათ ძალიან უყვარდა...

— ...რადგან როლანდი იყო უმამაცესი და უკეთილშობილესი!

მივხვდი ქარაგმას, ამ შეფარულ საყვედურს ჩემდამი, და გამეხარდა, რადგან სპბოლოოდ მოძულებულს საყვედურს აღარ ეუბნებიან.

— რას იზამ, ნაი, ვერა ვარ უმამაცესი და უკეთილშობილესი, არ ვგავარ როლანდს... ხომ ხედავ, იმასაც კი უღალატეს. მე, მით უმეტეს, მეშინია: ვაი, თუ მიღალატოს-მეთქი ვინმე ახლობელმა.

ნაი გაიტვრინა, და უეცრად თქვა:

— ხომ შეიძლება, მივიდეთ ახლა შინ და თაზო ჩამოსული დაგვხვდეს?

— რატომ მოგაგონდა ახლა თაზო?!

— მგონი, ვიყვირე.

— რა მოგონება უნდა, აიცდინა ქეიფი... რა დაგემართა?

— რომელი ქეიფი, რას ამბობ, გამაგებინე!

— ქეიფი, ზაალ, დღეს ხომ მისი დაბადების დღეა!

— ეგ.. ეგ წიგნი..

— ბარემ ამ წიგნსაც მივცემდი, რა დაგემართა ნეტავ?

ყველაფერი გარკვეულია: დღეს ჩემსა და ნაის შორის წიგნი კი არა, თაზო იდგა. ყველაფერი ნათელია. ამაღამვე დაებრუნდები თბილისში, როგორც ჩანს, მე ტყუილად არასოდეს დავეჭვდები, როგორც ჩანს, კარგი მხედველობა და გუმანი მაქვს. ეს მაინც ვიცოდე დღეიდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახლამდე ხმა არ გამიცია. ნაის ოთახის ფანჯარა განთებული იყო. ეტყობა, მელიტა დაბრუნდა.

— კარგად ბრძანდებოდეთ! — ცივად დავუკარი თავი.

ნაი ჯიშკართან იდგა. მე მიყურებდა, მისი ცალი ხელი ბრმად დაეძებდა რაზას.

— შემოდ.. ჩვენთან, ხომ გშია?

მომხიბვლელი და მაცდური იყო მისი ხმა.

— გმადლობთ, არ მშია.

— შენ ის გეწყინა, თაზოს დაბადების დღე რომ არ გახსოვდა, თუ... რა მოხდა მერე, შემოდი!

— არაფერი არ მომხდარა, ღამე ნებისა!

გამოვბრუნდი. „დამცინის კიდეც", — გავიფიქრე გულში.

თბილისში ვერ წავედი. მთელი ღამე ვემშვიდობებოდი ნაის, თვალღია, თვალდახუჭული, ფხიზელიც, ძმინარეც: „მშვიდობით, ნაი... ყველაფერი ჩემი ბრალია... მშვიდობით, ნაი..."

მაგრამ დილით მზის ალმაცერი სხივებით ალაპლაპებულ ზღვას გავხედე, ღრმად ჩავისუნთქე გრილი და მსუყე ჰაერი და მაშველი ფიქრების მთელი არმია მომეჯარა. მხედართმთავრობა შემომთავაზეს, და ჩემს ნებაზე განვალაგე სუყველა: გამოვიხმე ნაის წუხანდელი ღიმილი, ყველა სიტყვა ჩემდამი თბილად მომართული, ყველა საქციელი, კეთილი დამოკიდებულება რომ მომალანდა, მათი მეოხებით დავაბრუნე იმედი, ღრმად შემოვიტყუე, ალყაში მოვაქციე და დავატყვევე.

საბანაოდ გავედი.

მოაბიჯებდა თაზო სანაპიროს გასწვრივ, როგორც მე სამი დღის წინათ, მოზრდილ ჩემოდანს მოათრევდა და მობანავეებს აკვირდებოდა.

დიდი ხნის უნახავებივით გადავეხვიეთ. სოფელში მეზობელი გარდაცვლილიყო. მამას არაფრით არ გამოეშვა თაზო.

ნახევარი საათის შემდეგ ოთხივენი პლიაჟზე ვისხედით. ამინდი მოულოდნელად შეიცვალა, მოიღრუბლა და ზღვა აღელდა. ხანდახან გამოაჭყიტებდა ხოლმე მე მზე, სანაპიროს ხან ერთ, ხან მეორე ადგილს გაანათებდა და ამის შემყურე დამსვენებლები იმედს არ ჰკარგავდნენ, ისევ გამოიდარებსო, ზოგიერთები ნაპირთან ჭყუმპალაობდნენ, ტალღებს ათამაშებინებდნენ თავს. ამკრძალავ ალამს ერთი-ორი მოცურავე გასცდენოდა მხოლოდ. თაზოს შემომატებამ ქალების ყურადღებაც მიიქცია ჩვენსაკენ. ახალგაზრდა, „კისერდაგრძელებული" ინჟინრები აგვივლიდნენ, ჩაგვივლიდნენ, და ისე ვესალმებოდით ერთმანეთს, როგორც დიდი სამეცნიერო დაწესებულების თანამშრომლები დერეფნებში შეხვედრისას. მელიტა და ნაი თაზოს არცხვენდნენ, აგულიანებდნენ, ჯიბეები გამოიჩხრიკე და დაბადების დღე გადაიხადე, ასე იოლად ვერ გადარჩებიო. თაზო ბოდიშს იხდიდა, მართლა განგებ დაგვიანებულს ვგავარო, არადა, ჩემი დაბადების დღე ქელეხში გავატარეო. ყოველ წუთს ველოდი, როგორ ამოიღებდა ნაი იმ თეთრყდიან წიგნს ჩანთიდან და თაზოს გადასცემდა. მაგრამ ნაი არ ჩქარობდა. იქნებ არ წამოუღია შინიდან, ან იქნებ აღარც აპირებდა მიცემას?

— მოდი, ვიბანაოთ, — თქვა ნაიმ.

— თაზოს ეშინია ღელვის, მაშინვე შეეატყვე, — გამომწვევად თქვა მელიტამ და ვითომ სერიოზულად ჩაფიქრდა ამ დიდი ნაკლის გამო.

— ღელვის არ მეშინია, ძალიან მინდა ცურვა, მე თქვენი და ამ ხალხის მეშინია, ფახიფუხობად არ ჩამითვალონ მეთქი ასეთ ზღვაში შესვლა.

— მაშინ ყველანი შევიდეთ! — წამომცდა მე.

— შევიდეთ!

ოთხივენი უხალისოდ წამოვდექით. ამ დროს, თითქოს განგებო, ერთი ზათქითა და გამაყრუებელი შხუილით დაეხეთქა მიწას ვეება ტალღა, კვალდა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კვალ გამოეფენა თითქოს მთებზე ასარბენად გამოქცეულ ნაპირს, წამოვიდა, წამოვიდა და მისმა აქაფებულმა ენამ ტერფები გაგვილოცა, გაგვცილდა და ტანისამოსიც დაგვისველდა. აქაიქ წამოიკვლეს სილაზე გაწოლილმა ქალებმა და წამოცვივდნენ. ცოტა შეგვაკრთო ამან, მაგრამ მომდევნო ტალღა კრავივით უწყინრად მოელამუნა ქვებს. თაზო გაიქცა და თავით გადაეშვა, მას მელიტა მიჰყვა. ნაი კანკალებდა.

— თუ გეშინია, დარჩი!

— არა, არ მეშინია, რადგან შენ და თაზო ხართ, არ მეშინია.

— არც უნდა გეშინოდეს, ჩემზე კარგად ცურავ.

— ნაპირზე გამოსვლა არ ვიცი.

რა კარგი იყო ამ წუთში ნაი, ეშინოდა და ბავშვივით გამოტყდა, მაცნობა, როგორც უფროსს: ან დამიშალე, თუ ამას აუცილებლად მიიჩნევ, ანდა, გახსოვდეს ჩემი სისუსტეო.

— ეგ არაფერი, ჩვენ გამოგიყვანთ. მოდი ახლოს. როცა მე გეტყვი, პირდაპირ თავით გადაეშვი ტალღაში. მოიცა, ჯერ მოიცა... მოიცა, ახა, წავედით!

კობრასავით ფოფრილი ტალღის ქვეშ შევსრიალდით, თავს რომ უნდა დაგვსხმოდა, როცა ამოვყურყუმალავდით, მეგონა, შუა ზღვამდე გავაღწიე-მეთქი. თაზო და მელიტა ხან უფსკრულში ჩაინთქმებოდნენ, ხან ზეცაში ავარდებოდნენ. დიდ საქანელაზე ვისხედით ორორნი, და იმ წუთში ალბათ ყოველ ჩვენთაგანს ნაპირზე გასვლის საზარობა ესახებოდა. ზღვა თავის ცხოვრებას განაგრძობდა, არავითარ ძალას არ ხარჯავდა, რომ აქეთ-იქით ფფოტებივით ვერწიეთ, როგორც არ ვხარჯავთ ძალას პეპლის ფრთების გასაკვებლად. ნაი ხშირ-ხშირად იხედებოდა ნაპირისაკენ.

— რა კარგად ცურავ, ნაი! — დავუძახე გასამხნევებლად.

— შენ ფეხებს არ ამოძრავებ სწორად, — ძლივს გავიგონე მისი ხმა.

ახლოს მივცურე.

— რა იცი?

— ფუტკარი, ზაალ! — მარჯვენა ლის მტევანი მაღლა ამოეწია, ზედ ფუტკარი გარინდებულიყო.

— რა დროს ფუტკარია, ჩაყავი ხელი წყალში!

— ცოცხალია, ზაალ, ტივტივებდა.

— ჰოდა, გაშრება და გიკბენს.

— გამაყვანინე რა!

— ჯერ შენი გაყვანა მთხოვე.

ნაი შებრუნდა და ნაპირისკენ გასცურა, ფუტკარს შეჰყურებდა მაღლაწეულ ხელზე.

ამ დროს თაზოს ხმა მოგვესმა, ნაის უყვიროდა, ნუ გადიხარო. ნაი შეკრთა, შეზერდა.

უკანიდან მოგვეპარა ტალღა და თავზე გადაგვევლო, როცა ამოვყურყუმალავდით, ჩვენ ახლოს თაზო და მელიტა ტივტივებდნენ.

— მგონი, მოიმატა. — გვაცნობა თაზომ, — დასვენება ხომ არავის გინდათ? შენ, ნაი?... არც მელიტას უნდა. მაშინ წავედით. მე უკან გამოგყვებით. მისმინეთ! იცურავეთ დინჯად, თანაბარი სიჩქარით, როცა ტალღა მაღლა აგიტაცებთ, შიშს ნუ აჰყვებით...

ამ დროს დიდმა ტალღამ გადაგვიარა, როდესაც თავი მივიყარეთ წყალზემოთ, თაზომ განაგრძო:

— შიშს ნუ აჰყვებით და ნუ გოგნდებით-მეთქი, განუწყვეტლივ იცურავეთ. ნაპირთან ახლოს ნუ ეცდებით ფსკერის ფეხით მოსინჯვას. სანამ ხელითა და მკერდით არ შეეხებით მიწას, იცურავეთ, თუ გინდათ, რომ კარგი სადილი გაჭამოთ დღეს, ახა, წავიდეთ!

მთელი სანაპირო გვიყურებდა. წამომდგარიყვნენ, უკან დაეხიათ და ერთ ხაზზე გამწკრივებულიყვნენ. მგონი, მართლა ფახიფუხობა გამოგვდიოდა.

თანდათან ჭირდა ცურვა. ზღვა ნაპირთან არ გვიშვებდა, დიდი ხანია თავისად ვეგულებოდით და ახლა აცოფებდა ჩვენი თავხედური განზრახვა. საკუთარი ლეკვივით კბილებით ვეჭირე აპაღრენილ ლომს, არც სასიკვდილოდ ჰკრავდა ყბებს და არც ჩემს ნებაზე მიშვებდა. ნაის ღონე გამოეცალა, მე და

თაზომ ალბათ ერთდროულად შეგამჩნიეთ, როგორ გადაყლაპა წყალი და სუნთქვაშეკრულს თვალები შუშის ბურთულებად ექცა.

— ჩამეგდე ხელი მხარში — დაუყვირა თაზომ. — ჩამეშიდე-მეთქი!.

ჩვენ ერთდროულად მივუახლოვდით ნაის. თაზომ ბეჭი შეუცურა მკერდქვეშ. ნაიმ ხელი წაალო და წყლიდან ამოიწია, მაშინვე დაუბრუნდა ადამიანის სახე.

— დავ... დავისვენებ ც-ცოტას, ჰო?

— რამდენიც გნებავთ, ქალბატონო! — სახუმარო კილოს მიგნება სცადა თაზომ.

პირველად მელიტა დაახეთქა ნაპირზე ტალღამ. წამოხტა, კოჭლობით გაიქცა, რომ მომდევნო არ დასწეოდა, მერე ჩაჯდა, მუხლები ხელებით მოისინჯა და სატირლად გაემზადა, მაგრამ უეცრად სიცილი დაიწყო, თან ალბათ ცრემლი სდიოდა, ხალხი გარს შემოერტყა. თაზომ ბოლომდე გაიყვანა ნაი, როცა ტალღამ დაიწია და უკანვე ჩათრევას უქადდა, ორივე ხელი ჩკრა და წინ გაისროლა.

— გაიქეცი ახლა, გაიქეცი, ნაი!

ნაი წამოხტა და გაიქცა, მომდევნო ტალღა ღრიალით გამოეწია უკან, მაგრამ მხოლოდ ქვებიღა აკაწკაწა კბილებში და ზიზღით უკანვე გადმოყარა.

კარგა ხანი გავდა, სანამ სულს მოვითქვამდით, ვისხედით ქვებზე და ვიცინოდით. რაღაც სიახლე გამოვიტანეთ ზღვიდან, თითქოს ოთხივეს ერთმანეთი შეგვიყვარდა და დღეიდან წარმოუდგენელი იყო ჩვენი დაშორება. თითქოს დაებრუნდით მრავალწლიანი მოგზაურობის შემდეგ, მთელი მსოფლიო რომ თვალყურს ადევნებდა, აუტანელი გაჭირვება გამოვიარეთ და კიდევ ერთი დღესასწაული შევმატეთ ჭვეყანას.

თაზომ თავისი დაბადების დღე გადაიხადა. კარგი ქეიფი გამოგვივიდა, კარგადაც დამთავრდებოდა, რომ ცოტა თავშეკავება გამოგვეჩინა და უცაბედი აღშფოთების მოთოკვა მოგვესწრო: საადილოს ეზოში მაგიდას დევივით დიდი, ხნიერი ქალი უჯდა. მის წინ ხუთი-ექვსიოდე წლის ოქროსფერთმიანი ბიჭუნა გაჩქარებით ხვრეებდა წვენს, კოვზს პირთან მიიტანდა და თვალები შემოსაფლეთად ჩაკუცქმული ჭრელი კატისაკენ გაექცეოდა. ალბათ ერთი სული ჰქონდა, როდის მიირბენდა და გაეთამაშებოდა კატას. ქალს ვარდისფერი პუდრით შეეფაკლებინა დამჭკნარი ლოყები. თავზე რაღაც გამოუცნობი ფორმის ქუდი ეხურა. ათასი სხვადასხვა ფერის ქსოვილი არეულიყო მის მკერდზე, თითქოს ათასი კაბის საყელო გადმოეფინა ერთდროულად. ჭამა გაეთავებინა და ახლა, ალბათ, ბავშვს ელოდებოდა. უკან თავგადაწეული, მანათობელ თვალებს აყოლებდა შემსვლელსა და გამომსვლელს. ლორნეტიღა აკლდა ამ წარსულის მოლანდებას. მის ზვიად თვალთა მიმოტარებას თითქოს არ ჰყოფნიდა ეს სამყარო, ერთ ციცქნად და უღირსად ეჩვენებოდა. ბავშვმა უკანასკნელი კოვზი წვენი შეხვრიპა, სკამიდან წამოხტა და კატისკენ გაქცა.

მოხუცმა ქალმა მრისხანედ ჩამოჰკრა ხელი მაგიდის კიდეს.

— მოდი აქ, მოდი ახლავე აქ! — დაუყვირა ბავშვს.

ბიჭუნამ მიირბინა.

—შენ ბებიამ სადილი გაჭამა და მაღლობას არ იხდი? გავიწყდება? მადლობას არ იხდი, შენ?!

ამას რომ ამბობდა, თან მარჯვენა ხელი თითქოს თავისთავად მაღლა ეწეოდა, და ბოლოს ტუჩებთან მიუტანა ბავშვს. ბიჭუნამ შეშინებული თვალები აღაპყრო მოხუცს, თავისი ფუნთული თითები ჩასჭიდა ბებიას თითებს და ხელზე აკოცა ერთხელ, მეორედ, მესამედ...

— გმადლობთ, ბებია! — თქვა ჩუმად და უკან-უკან წავიდა, ნებართვას ელოდა, რომ სათამაშოდ გაქცეულიყო. არ იყო დარწმუნებული, თუ მთლიანად მოიხადა სასჯელი.

ედიშერ ყიფშიანი
ცაში ასროლილი ჯუდები

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მეორედ აღარ დაგავიწყდეს, ჩაიჭდე ეს ტვინში! — თითი დაუქნია დევ-ქალმა.

სკამიანად შეებრუნდი და მოხუცისკენ ხელი გავიშვირე:

— რას ჰგავს ეს, ქალბატონო, აგვიხსენით, რა არის ეს?!

თაზო წამოდგა და მისკენ გაემართა. მეც გავყევი.

— თაზო, ზაალ! — დაგვიყვირეს გოგოებმა და ისინიც წამოცვივდნენ.

პირისპირ მივადექით დედაბერს.

— გაბრძანდით აქედან! — წყნარად უთხრა თაზომ.

ქალმა შემოგვაბრწყინა თავისი უჩინარი ლორნეტი და მშვიდად აგვთვალიერ-ჩაგვყათვალიერა.

— გაბრძანდით აქედან, ქალბატონო! — გაუმეორა თაზომ.

პუდრით ლოყებშეფაკლულმა დევ-ქალმა კოვზი დააკაკუნა მაგიდაზე და დახლს გაჰყვირა:

— ოფიციანტო, ამზანაგო ოფიციანტო, დაუძახეთ მილიციას! ეს არამზადები შეურაცხყოფას მაყენებენ.

ამა-იქ რამდენიმე კაცი წამოდგა და ჩვენსკენ გამოემართა.

— რას შვებით, ბიჭებო, უხერხულია! — დაგვიყვავა ერთმა მათგანმა, — რაც არ უნდა იყოს, ქალია!

მელიტა და ნინი გეექაჩებოდნენ, პირზე ხელებს გვაფარებდნენ, გვამშვიდებდნენ.

— თქვენ უნდა დაგენახათ და აღარ დაიცავდით, თქვენ ალბათ არც გჯერათ, ხელზე რომ აკოცნინა ბავშვს.

— როგორ არა, დავინახე, მაგრამ ხომ იცით... თავი უნდა შევიკავოთ.

— მაშ, რაზეღა არ შეეიკავოთ თავი?! — მიეჭრა თაზო.

ნინის რეცხვენოდა რაიმეს თქმა, სახეზე ბავშვივით ეხატებოდა ჩვენი ნათქვამი სიტყვებისა და ჩვენი განწყობილების შესაფერისი გამომეტყველება, თითქოს ყველაფერს თვითონ ამბობდა.

— გამოუძახეთ მილიციას, თორემ საჩიერის წიგნს ვერ ასცდებით. მე მილიციას მოვითხოვ! — გასძახოდა ბებია სასადილოს გამგეს, მაგრამ ადგილიდან არ იძრეოდა.

— დავწყნარდეთ, ბიჭებო, — თქვა გამშველებელმა, — როგორც ჩანს, აქ აზრები იყოფა. ახლა ვერაფერს გამოვარკვევთ.

— რა აზრები იყოფა, ხად ხედავთ აქ აზრს, რომ გაიყოს?!

— თქვენ აზრს ვხედავ! — მომიბრა ნიშნისმოგებით.

უეცრად ვიღაცამ მწარედ მიბჭყინა უკან და ერთდროულად კოჭშიც მომხვდა რაღაც მაგარი. გაავებული შემოვბრუნდი და, ის ბავშვი შემრჩა ხელთ. ის ოქროსფერთმიანი ბიჭუნა. სახეშეშლილი უკან-უკან იხევდა, მთელი სხეული უცახცახებდა, ხელებით თავს იფარავდა საპასუხო დარტყმის მოლოდინში. ახლა კი ნამდვილად თავზარი დამცა ბავშვის საქციელმა. არა, ბებიას არ გამოექომაგა იგი: მონა იცავდა ბატონს, რომ ხვალაც და ზეგაც დაეპურებინათ ტირილი მომინდა ამ უმიდოდ დამახინჯებული ბუხუჩას გამო.

— წავიდეთ, მოვშორდეთ აქაურობას, გაჩერება აღარ შემიძლია! — დაგვიძახა თაზომ, მერე ნაის და მელიტას ხელები ჩასჭიდა და გასასვლელისაკენ წაიყოლია.

— მიიპარებით, გმირებო?! — გამოგვძახა დევ-ქალმა. — სულ ერთია, მოგაგნებთ მილიცია, მე ამას ასე არ შეგარჩენთ!

მივაბიჯებდით შინისაკენ აღგზნებულები, ოდნავ გაამაყებულნი და ოდნავ დარცხვენილები. თითქოს დაღამებამ მოგვისწრო და მტერი საბოლოოდ ვერ დავამარცხეთ. არ ვიცოდით, როგორ მიგვეპართა ღმერთისათვის, რომ ცაზე მზე შეეჩერებინა და დღესვე გვეზეიმა გამარჯვება.

— ეს რა ენახეთ, კაცო! — ამბობდა თაზო.

— მთვრალები ხართ და თქვენც ცოტა გაგიზიადეთ! — ამბობდა მელიტა.

— იმ ბებერს კიდევ გაზვიადება სჭირდებოდა?

ნინი ჩუმად მოცუნცულებდა. მე კი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემი ბებია და მისი შეგონება გამახსენდა: რომ არც ერთი სურვილი და ფიქრი, ავი თუ კარგი, უქმად არ იკარგება, გამოდის ტვინიდან, ხორცს ისხამს, თავის მსგავს ფიქრებს უერთდება და მერე ყველანი საკუთარი დანიშნულების გამართლებას დაიძახენ ამ ქვეყნად.

მელიტას თბილისიდან გამოგზავნილი დეპეშა დაახვედრა ღიასახლისსა. საეტრადო ორკესტრის ხელმძღვანელი უხმობდა სასწრაფოდ, საგასტროლო რეპეტიციებს ვიწყებთო. დეპეშას დაგვიანებინა. მელიტა ღღეს უნდა ყოფილიყო თბილისში. შეწუხდა, აწი ვაპირებდი დასვენებასო, სხვა გზა არა მაქვს, ხვალ დილით უნდა გავფრინდეო. ნაიმაც ითქვა წასვლა — ასე მგონია, ყველაფერი გადამავიწყდა და ვეღარ დავუკრავო, მაგრამ თვითმფრინავით ვერ იტანდა მგზავრობას. ხვალ საღამოს, თუ ბილეთი ვიშოვნე, მატარებლით წავალო...

გოგოების სახლის წინკარში ვისხედით, მბეუტავი ელნათურით გაყვითლებული მაგიდის გარშემო. მე და თამოს ჭადრაკი გავაწყეთ. ნი ყავას ფქვავდა ხელის პატარა მანქანაში. მელიტა ოთახში შედიოდა და გამოდიოდა, თავის ნივთებს უყრიდა თავს. მერე საუთოო გამართა მაგიდის ცალ მხარეს, შეგვავიწროვა მოთამაშენი. თაზოს გზად წვრილი მავთული გამოედო ფეხებში, თან წამოეღო და ახლა ხელში ათამაშებდა, ათასნაირად გრეხდა. ამ ღამეში ზღვა გამქვინარებულიყო, თავგამოდებით ეხეთქებოდა ნაპირს, საკბილოს ვეღარ ხედავდა დაბრმავებული.

მე ნაჩქარევი სვლა გავაკეთე და ახლა ცხენს ვკარგავდი. მინდოდა, რაც შეიძლება ძვირად გამემტკბინა ფიგურა. დიდხანს ვფიქრობდი. შემთხვევით პირდაპირ გავიხედე, ალბათ რაღაცამ მიიტაცა თვალი. თაზოს მავთული 2-იანს დამსგავსებოდა, დამსგავსებოდა კი არა, პირწავარდნილი 2-იანი დაეგრიხა. ორი თითი წელში წაეკვლა და მალიმალ და შეფარვით გოგოებისაკენ იყურებოდა. რომელს ანშნებდა, ვერ მივხვდი, თავის გაუნძრეველად შეუძლებელი იყო ამის გამოცნობა. მე კი გაშეშებულიყავ ჯეკი, ამიტომ ვერ შენიშნა ჩემი თვალთვალი. რას ნიშნავდა ეს 2-იანი და თაზოს დაძაბული სახე? ცხენი უსახელოდ მიიცვალა, თან პაიკიც წაიყოლია. თაზოს შემდეგი ნიშანი „ს“ იყო. თვეჩაქინდრული ვიჯექი, მხოლოდ ხელს ავწევდი ხოლმე დაფის თავზე, რომ სკლა გამეკეთებინა. მავთული „ი“-დ გადაიღუნა. თაზოს ორივე ხელი ჩაეჭიდა მავთულის ფეხებში და „ღრმად ჩაფიქრებული“ დაფას დასცქეროდა. მომდევნო ასო ძალიან გვიან გამოჩნდა, ეს „ქ“ იყო. თაზომ მავთული ეზოსკენ მოისროლა — „გადაცემა დამთავრებულია“. ახლა თავს ნება მივეცი და ავიხედე. მელიტა კაბას აუთოებდა. შუბლი ჯერ წვეთებად შეუკრავი ოფლის ნამით დაცვაროდა. ნი ყავას ასხამდა ფინჯნებში.

„გადაცემა დამთავრებულია“, კეთილი და პატიოსანი. „2 სიქ“ ნიშნავს „2 საათზე იქ“. ანუ, „2 საათზე ისევ იქ“. სხვას არაფერს არ შეიძლება რომ გულისხმობდეს. მშვენიერი ტელეფონია, არც ელექტროდენი უნდა, არც აპარატი, ოღონდ უმავთულობას ვეღარ გაექცა დიდი გამომგონებელი თენგიზ მერკვილაძე... გადაღუნ-გადმოღუნავ მავთულს და პაემანი დანიშნულია.

— გნებდები! — ვთქვი მე და წამოვდექი.

— ცოტა გვიან გაგახსენდა, პარტიი დიდი ხანია წაგებული გაქვს, — მითხრა თაზომ.

— მეძინება, — ძალად დავამოქნარე და მერე ხელი ავიფარე პირთან.

— ახლა ძილს დააბრალე წაგება.

— მეძინება, კარგად იყავით.

— ზაალ, ყავას არ დალევ? — დამიძახა ნაიმ.

— ვმადლობთ! — არც მიმიხედავს მისკენ.

— ზაალი ამ ბოლო დროს უცხოსა-

ედიშერ ყიფშიანი
ცაში ასროლილი ჯუდეკი

ვით გვექცევა, — ეს მელიტა იყო.

— გმადლობთ, მელიტა!

ჭიშკარში გავედი და სახლისაკენ გავამბიტე. ნახევარი საათის შემდეგ თაზოც ამოვიდა, გახდა დაიწყო.

— რა მოგელანდა, რას გამოიქეცი?

არაფერი მიპასუხნია. დაწვა. მაგიდის ნათურა აანთო და წიგნი გადაშალა.

— უცნაური ხარ ხანდახან.

კიდევ დიდხანს ვდუმდი. ბოლოს ხმამაღლა წამომცდა ჩემი ფიქრი:

— თაზო, ვის უნდა შეხედე შენ ამაღამ?

თაზომ წიგნი ჩამოსწია და ჩემი საწოლისკენ გამოიხედა.

— რა იცი შენ?

— ვიცი, შემთხვევით მოვისმინე, ტელეფონით რომ ლაპარაკობდი.

წიგნი იატაკზე დაადგა და იდაყვზე წამოიწია.

— მე ერთხელ გითხარი, თუ გახსოვს. გიჟი ხარ-მეთქი, და ახლაც გიმეორებ.

— რატომ, თაზო, იქნებ არა ვარ გიჟი?

— აბა, დამიმტკიცე, რომ არა ხარ, შენ ერთხელ ვერ დამიმტკიცე ეს!

— გიჟი იმიტომ არა ვარ, თაზო, რომ ვიცი, — ახლა ლოგინში ვწევარ...

— ეგ, რა მტკიცეაა — გიჟი ხანდახან ტყემალზე ზის და გაჰყვირის, ოჰ, რა რბილ ლოგინში ვწევარო.

— ...აგრეთვე, შენც ლოგინში წევხარ, და ჩვენ ვბაასობთ. ესეც ვიცი.

— გიჟიც გამოლანდღავს ხოლმე ვინმეს, მაგრამ დარწმუნებულია, რომ დარბაისლურად ბაასობდა.

— ამას გარდა, ისიც ვიცი, რომ ამაღამ, 2 საათზე უნდა გახვიდე გარეთ...

— 12 საათზე!

— მაპატიეთ, ეტყობა, ტელეფონზე ლაპარაკს ყური გვიან მოვკარი... შემეშალა, ბატონო თენგიზ, ეს მაინც მიიღეთ მხედველობაში, გიჟები არ აღიარებენ ხოლმე, შემეშალა, შეცდომა ჩავიდინეო.

— მიღებულია, მომილოცავს, არა ხარ გიჟი!

— გმადლობთ... მაშინ მითხარი, ვის უნდა შეხვდე ამაღამ?

თაზო მართლა გიჟივით წამოვარდა საწოლიდან. ჩემსკენ გამოემართა, მაგრამ შუა ოთახში შედგა და დიდი მუშტები ნიკაპთან მიიახლოვა:

— შენ თუ ახლა არ ჩაიცვამ და ჩემს მაგივრად არ წახვალ, ან მოგკლავ, ან საშუდამოდ დაგკარგავ!

— არა, თენგიზ, შენ მხოლოდ მითხარი, ვის უნდა შეხვდე. მე მინდა ამ საღამოს გავიგო ყველაფერი. პირობას გაძლევე, რომ ძილი არ დამიფრთხება, გადავბრუნდები და ტკბილ ხვრინვას ამოვუშვებ.

— მე შენ გელაპარაკები, ადექი ახლავე და წადი, წადი... ბოგირის თავში დაიცადე და ნახავ, ვინც მოვა. ადექი-მეთქი, თუ არა, დედას გეფიცები, მოგკლავ!

კიდევ ორი ნაბიჯი გადმოდგა ჩემსკენ და შეეამჩნიე, რომ ცახცახებდა.

— ჯერ ადრეა, თაზო, თორმეტის ნახევარია!

— გირჩევ; ვიდრე ჭკუას არ დავკარგავ, ადექი და გაეთრიე. მერე იქ აუხსენი, სიდან გაჩნდი და რატომ გაჩნდი ბოგირთან.

მისმა გულწრფელმა სიფიცხემ შემაფიქრიანა. ნუთუ მართლა დამაბრმავა ეშვიანობამ? დიდხანს ხმას არ ვიღებდი ამ ერყეულობდი.

— არ გესმის, შე ბინძურო, აეთრიე მეთქი! — ახლა ხმაც აუთრთოლდა.

— თაზო! — ლოგინზე წამოვჯექი. ფეხები იატაკზე გადმოვყარე, თვალებში ვუყურებდი სახეგაფითრებულ მეგობარს, — თაზო, სიმართლეს მეუბნები, თაზო?

— შენ ეშვი გეპარება? ჩემში გეპარება ეშვი? არ გრცხვენია, არც კი გრცხვენია. ფუჭ!... შენ იცი, რამხელა შეურაცხყოფას მაყენებ?

— თაზო!

— ტვინის ნატამალი არა გაქვს!

— ჩაიცვი, თაზო, ახლავე ჩაიცვი და

წადი, ახლავე, თორემ მოგკლავ, წადი, სანამ ჭკუაზე ვარ!

●

დილით დრანდის აეროდრომზე გავაცილეთ მელიტა. თვალები შეშუპებული ჰქონდა ახალნამტირალებივით, ნაღვლიანად იღიმებოდა, რატომღაც ხმას არ სცემდა თაზოს, გამოგვემშვიდობა და ღრუბლებში მიიმალა.

გადაუღებლად წვიმდა. ტალღებს გაექცო ადამიანის ყოველგვარი კვალი, პირველეულოფილი სახე დაებრუნებინა სანაპიროსათვის. მხოლოდ მზის საჩრდილობელი ქოლგები, ირგვლივ წყლის მოძრავი ფარდებით შემოფარგლულნი, მოწმობდნენ, რომ აქ ოდესღაც სბანაო იყო და ხალხის ჟრიამული გაისმოდა.

შუადღისას ნაი აწრიალდა. ახლავე წავიდეთ სოხუმში, საღამოს იქნებ ბილეთი ვეღირ ვიშოვნო. ეტყობა, დიდხანს არ გამოიდარებს, მე კი ისე გამიტკბა ზღვა, გამოცდები ვითომ ჩაბარებული მქონდესო.

უეცრად მეც მომინდა წასვლა. მომეჩვენა, რომ გულგრილად მოვეკიდე ჩემს საქმეს, ძალიან იოლად დავთმე ყველაფერი და გამოვიქეცი. თითქოს პატარა საბაბს ვეძებდი, რომ მომეშორებინა, და პირველივე შემთხვევა გამოვიყენე, მივატოვე ბრძოლის ველი, რათა აღარაფერს შევეშფოთებინე, მეცხოვრა უდარდელად და მხოლოდ ჩემს პირად ვრძნობებზე მეზრუნა. მივატოვე ყველაფერი. პაატა მივატოვე!

ამას რომ ვფიქრობდი, მარტო ვიყავი ოთახში და გავწითლდი, ჩემს თავს გავუწითლდი. ეტყობა, სამართლიანად მსაყვედურობდა გული, იგივე გული, აქეთ რომ გადმომხვეწა ნაისთან შესახვედრად.

თაზო მთელი დღე მოწყენილი იყო. ჩემი გადაწყვეტილება რომ გავანდე, უფრო მოიწყინა, მარტო მტოვებო? მე უნდა დავრჩე, უნდა დავისვენო.

თბილისის მატარებლის გასვლას ერთი საათი აკლია. ჩვენ სოხუმის სადგურის რესტორანში ვისხედით და ბორჯომის წყალს შევექცეოდით. შემოდოდნენ წვიმით გალუმპული მგზავრები, მთელი რესტორანი აივსო. ფანჯრიდან ჩანდა — სადგურს მოახლოებული ელმავლის მკვეთრსა და უხეშ შუქთან როგორ მოჰქონდა წვიმის ახალი და ახალი ნაკადები.

თაზომ საათზე დაიხედა, ახლავე მოვალო, გვითხრა, და გავიდა.

მალე რადიომ მატარებელში ჩასხდომის ნებართვა მისცა მგზავრებს. თაზო არსად ჩანდა. ნახევარი საათი ველოდეთ. ნაი შეშფოთდა, რა უნდა დამართვნოდა, რომ არ მოდისო. ოფიციანტს დავუბარეთ, თაზო ჩვენი ვაგონისაკენ გამოეგზავნა, და გარეთ გამოვედით. ნაი აქეთ-იქით იხედებოდა და, სულ ჩემოდნიან მგზავრებს ეღებოდა. როცა ვაგონში დავბინავდით, გასვლის ნიშანიც მისცეს. ბაქანში გავცვივდით და კიბის სახელურზე გადაკიდებულებმა სადგურს გავხედეთ. ელექტროშუქშელაპლაპებდა სველი ლიანდაგები. თქვენ, წვიმა მოცეკვავე ბუშტებს ანგრევ გუბეებში და თვითონვე აქრობდა. ნაი ვერ ამჩნევდა, როგორ ეღვრებოდა კაბაზე ვაგონის სახურავიდან ჩამონადენი წყალი.

მატარებელი რბილად შექანდა და დაიძრა.

— მოდის! — დავიყვირე მე, სადგურის ბაქანზე გამოვარდნილი თაზო დავინახე, ნამდვილად თაზო იყო. ჩვენსკენ მოქროდა, ვუბეებს თავზე ეყლებოდა, ალბათ ყოველ ნახტომზე რეკორდს ამყარებდა. ცალი ხელით რაღაც ეჭირა მკერდზე მიხუტებული. თანდათან ახლოვდებოდა, მატარებელიც თანდათან უმატებდა სვლას.

კიბის სახელურს მისწვდა თაზო და სირბილს მოუმატა. დავინახე მისი გალუმპული თავი, თითქოს ეს-ეს არის, ზღვიდან ამოყუროყუმალავდაო, დაღლილი და დაძაბული ღიმილი, ტანზე მიკრული სველი ხალათი. ცალ ხელზე

ედიშერ ციფიანი
ცაში ასროლილი ჟუდგი

ანიზდა, მხარი მოიქნია და ყვავილების ვეება თაიგული შემოჰყარა ვაგონის ბაქანსა და კიბეებზე. და მაშინვე გაქრა, ისევ გადავეკიდეთ სახელურს. დიდხანს მოაბიჯებდა თაზო და ორივე ხელს გვიქნევდა, სანამ თვალს არ მიეფარა.

ნაი სიხარულს ვეღარ ფარავდა თაზოს ასეთი ყურადღების გამო. საფეხურებზე დაცვენილი ყველა ყვავილი ამაკრეფინა და კუპეში შემატანინა. ძალიან დიდი და ლამაზი თაიგული იყო. წყლით გაჟღენთილ მაღალ ღეროებზე აფეთქებული შუშხუნებივით ენთო ვაბაპრუებული კამელიები და მაგნოლიები, ვარსკვლავივით მოკიაფე გეორგინები, თითქოს მოქანდაკის საჭრეთლით ამოქანდაკებული გლადიოლუსები, თეთრი და ნაზი ოლეანდრები.

კუპე ერთბაშად პატარა საყვავილეს დაემსგავსა. ფოთოლთა მწვანე ნაგლეჯებითა და ყვავილთა ფურცლებით მოიფარა იატაკი, საწოლი, ფანჯრის რაფა. დასველდა კედლები, ჯერ კიდევ ჩაულაგებელი ჩემოდნები, კუთხეში დახვეული ლეიბი. კუპე გაილუმპა, მინდვრებისა და ბაღების საღი, დამათრობელი და მწვავე სურნელებით გაიყინთა. ნაი მე აღარ მამჩნევდა, თითქოს ყველაფერი დავიწყებოდა. თვითეულ ყვავილს ცალ-ცალკე ეალერსებოდა და ფანჯრის რაფაზე აწყობდა.

თბილისში დილის ცხრა საათზე ჩავედით. გაიღვიძა თუ არა, თავისი თაიგული მოიკითხა, გაიხარა, ცოცხალი ჩამომყვა აქამდეო, შინ წყლიან ვაზებში ჩავდგამ და კიდევ დიდხანს იცოცხლებენო. მიიხუტა ყვირდზე , უზარმაზარი თაიგული, გზას ძლივს ხედავდა, მგზავრები სულ მისკენ იყურებოდნენ. მე უკან მივდევდი ჩემოდნებით დატვირთული. გზადაგზა თაიგულს ფურცლები სცვივოდა, ნაი შეჩერდებოდა ხოლმე და სინანულით გაჰხედავდა თავის გამოვლილ აფერადებულ ბილიკს. ტაქსის გაჩერებასთანაც ბევრი გასცივდა თაიგულს, ტაქსშიც, მაგრამ კი არ კლებულობდა, თითქოს თანდათან იზრდებოდა თაიგული, რადგან ნაის თანდათან უკეთესად ეალერსა მისი ტარება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დედა სამსახურში წასული დახვდა. თაიგულისათვის ხელი არ გაუშვია, თითქოს ამ ნადავლის გამო წვიდა წყვიზე და მოიბეჯა კიდეც. მიმანიშნა, სად ინახავდნენ გასაღებს, და კარი გამაღებინა. პირველი თვითონ შევიდა, მე შევყავი და ჩემოდნები შესასვლელთან დავალაგე. ნაიმ მუხლით შეაღო მეზობელი დიდი ოთახის კარი და ნიშაში მდგარ ბროლის ვაზისაკენ გაეშურა...

უეცრად შუა ოთახში შედგა, ძველებური გარდერობის გრძელ სარკეში თავისთავს მოჰკრა თვალი, და გაშეშდა. რაღაც უცნაურად გაშეშდა, რაღაც უცნაურს მოჰკრა თვალი. ახლოს მივედი. მის უკან შევჩერდი და მეც სარკისაკენ გავიხედე.

იდგა პატარა გოგონა, წელს ზემოთ სულ ყვავილებით დაფარული, სუსტი ხელები ძლივს შემოეწვდინნა თაიგულის გარშემო. თეთრ, წითელსა და ლურჯ ყვავილებს შორის, სადღაც მიმალული, გაფართოებული და მოულოდნელი მიხვედრითი შემკრთალი თვალები იქყიტებოდნენ. იდგა ამ ზვინივით ტლანქ თაიგულს უკან, როგორც კურდღლის ბაჭია ბუჩქის უკან.

უეცრად შემობრუნდა, ყვავილები მაგდას გადააყარა და აივანზე გავარდა.

— მელიტა, მელიტა! — დაიწყო ძახილი, თითქოს შველას ითხოვდა.

ღია კარიდან მელიტას ოთახისაკენ ვიყურებოდი.

— მელიტა, მე-ლი-ტა! — ტირილნარევი ხმით ეძახოდა ნაი და თანდათან უახლოვდებოდა მის ბინას.

კარი გაიღო და ბერძელ ხალათში გახვეული მელიტა გამოჩნდა.

— ო, ნაი, ჩამოხვედი, ნაი? რა კარგი გოგო ხარ, — გადაკოცნა დიდი ხნის უნახავივით და უკან გამოჰყვა.

— ვიგრძენი, რომ აქ ხარ, — მითხრა მელიტამ, — როგორ იმგზავრეთ?

— მელიტა, ერთი წუთით... — თქვა ნაიმ და დიდ ოთახში შევიდა.

— რა გინდა? — შეჰყვა მელიტა, —

ორ, რა ყვავილებია! რა ყვავილებია! ღმერთო, რა ლამაზებია...

— შენია!... შენთან გამომატანეს! — სადღაც. ღრმა ორმოდან გაისმა ხმა.

— ჩემთან? თაზომ?!

— დიახ. — ცივად თქვა ნაიმ, საწვიმარი გაიხადა და სკამზე მიაგდო.

— რა ბიჭია, რა ბიჭია, როგორი ყურადღებიანი, აი, მესმის კაცი! შენ კი შეგაწუხა. მაგრამ...

მელიტამ ორივე ხელით მოხვეტა მაგიდაზე უწესრიგოდ მიყრილ-მოყრილი ყვავილები, მერე გაშლილი ხელისგულებით მოწურა ღეროები, თაიგული ცალი ხელით მკერდთან მიიხუტა და სარკეში ჩაიხედა, თითქოს ფერადი სამკაული მიიბნია კაბაზეო, ისე დაპატარავა მისმა ფართოდ გადაშლილმა გულმკერდმა თაიგული.

— ახლავე ჩავდებ ვაზაში და დავბრუნდები. — თქვა მელიტამ და კარისკენ გაემართა.. .— ხომ არ გამოიდარა?

— არა, ისევ წვიმა დავტოვეთ, — ვუპასუხე მე.

თითქოს მელიტას წასვლას ელოდებოდაო, ნაიმ კედლისკენ შეაბრუნა თავი და ქვითინი აუვარდა. მის გვერდით გავჩნდი.

— ნაი, რა დაგემართა, ნაი?!

ახლა ხმამაღლა ტირილი მორთო. საიდანაც არ მიეუდექი, ხელებში ჩარგული სახე არ მაჩვენა.

— ნაი, არ გესმის, ნაი, რა გატირებს, არ გრცხვენია? თუ გიყვარდე, გაჩუმდი. რა მოხდა, რა გეწყინა. თაზომ მელიტას რომ გამოუგზავნა თაიგული ეს გეწყინა?

თავი გააქნია, არაო. თითები სულ დასველებოდა ცრემლებით. ისე გულამოსკვნილი სლუკუნებდა, მეგონა, აღარასოდეს შეწყვეტდა ტირილს.

— აბა, რა გეწყინა, ნაი, იქნებ თაიგული შენიც იყო, რა იცი, იქნებ..

— აა-რა, — წამოიძახა სლუკუნით.

— და ის გეწყინა. რომ სულ მელიტა[illegible] სია?

— ა-რა...

—აბა, რა მოხდა, ნაი, ყვავილებ[illegible] ისეთს მოგიტან, დედოფალს არ დასიზმრებოდეს. გაჩუმდი, გესმის? და მითხარი, ვინ გაწყენინა, მითხარი, ვის გადავუხადო სამაგიერო შენი ატირებისათვის.

— მე... მე გადამიხადე, — და ისევ ქვითინი აუვარდა, ისევ დაუწყო მხრებმა ცახცახი, უფრო ღრმად ჩარგო თავი გამოღებულ კარსა და კედელს შორის.

— შენ გადაგიხადო? ესე იგი, მე აგატირე?

— არა.

— აბა, რა გეწყინა, მითხარი, რატომ ტირი, შეიძლება, ამდენს რომ მახვეწწინებ? მითხარი-მეთქი!

— შენ რომ გა-გაბრაზებდი, — ბავშვივით ღრიალი მორთო, ალბათ მთელ სახლს ესმოდა.

— მე მაბრაზებდი?

— ჰო, შენ რომ გაბრაზებდი... ი-�itომ ვტი-ვტირი!

— რა მოხდა მერე, ნაი, მეც ხომ ერთხელ ძალიან გაგაბრაზე, რა მოხდა მერე?

— შენ რომ გა-გაწყალებდი...

— კარგი, გაჩუმდი, მე არ გაგწყალებულვარ, მე მიეხვედი ყველაფერს.

— სულ მიყვარდი, სულ მიყვარდი. და მაინც გაწყალებდი-ი.

— ვიცი, ნაი, ეგეც ჩემი ბრალი იყო, რომ მაწყალებდი.. კარგი ახლა, გაჩუმდი, სად არის შენი ხელსახოცი... პირის დაბანა აღარც გინდა... კარგი, გაჩუმდი.

ხელი წავართვი და თითები დავუკოცნე. შემოტრიალდა, სველი თვალები მოციმციმე სინათლის ნაპერწკლებით ავსებოდა. ნიკაპი უცახცახებდა შეცივნულივით, თმა სულერთიანად გაშლოდა. ამოისლუკუნა და გადამეხვია. მისმა სველმა და მწიფე ტუჩებმა სადღაც, შორს, ნეტარების უფსკრულში გადამისროლა და დიდხანს, დიდხანს მივფრინავდი იმ ტკბილ წყვდიადში.

ედიშერ ციფიანი
ცაში ასროლილი ჭუდები

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროკურატურაში არავისთან არ გამოვცხადებულვარ. ჩემს კაბინეტში შევედი, ფანჯრები გამოვაღე, რომ მკვდარი ჰაერი გამედევნა. სიგარეტს მოვუკიდე. დავდიოდი ოთახში და ვცდილობდი თავი მომეყარა ყველა ფიქრისათვის, ამ ერთი კვირის მანძილზე რომ მივფარტე-მოვფარტე. აღმედგინა ყველა სავარაუდო ნაბიჯი, პროკურორთან შეპაექრების გამო გადაუდგმელი. მე ახლა ვგავდი იმ მდინარეს, მეფე კიროსს რომ საყვარელი ბედაური დაუხრჩო. განრისხებულმა მეფემ სიკვდილის განაჩენი გამოუტანა — ბრძანა: არხები გაეთხარათ, დაეტოტათ და ამოეშროთ მდინარე. წარსულის დღეების გახსენებით უნდა ამომევსო ის არხები და კვლავ ჩემს კალაპოტს დავბრუნებოდი.

ღვიძილ სიმესა და ძლევამოსილებას რომ გრძნობს კაცი, და შექმნა რომ უნდა ახლის, მანამდე ქვეყნად არარსებულის, და ისე ძლერია სწრაფვა, რომ აღარც უფიქრდება, საიდან მოვლენა ეს ღვთიური სიამე და ძალა, აი, ასეთ იშვიათ წუთს განვიცდიდი. თითქოს ჩემს მიერვე დაბორკილი ხელები გავითავისუფლე და შეწყვეტილმა სიხსლმა ისევ გაჭინა თითებისაკენ, ხელებს ისევ შეეძლოთ ფართოდ გაშლა და მთელი სამყაროს გულში ჩახუტება. და ახლა სასაღილოც იყო რაიმე დაბრკოლების წარმოდგენა, გადალახვა რომ არ შემძლებოდა, საიდუმლო — ამოცნობა რომ გამეჩიჩვებოდა.

ალბათ ისე დიდი იყო ჩემი ეს რწმენა, ისე ძლიერი და ნამდვილი, რომ დამტოვა მე, გაიბნა ჰაერში, მოედო მთელ ქალაქს, მოძებნა მაკა, პაატას დედა, და ჩემთან მოიყვანა.

კარებში იდგა მაღალი, თეთრგვრემანი ქალი, იმ პირველ დღეს ვნახე, მეზობლის ოთახში რომ იწვა გულშეღონებული, მას შემდეგ აღარ შეეხვედრივარ.

ნაცრისფერი, ყელდახურული კაბა ეცვა. სახე ჰქონდა ისე გატანჯული და სასოწარკვეთილი, თითქოს ხელგაშვერილი მთხოვდა, მიშველეთ ... და მომეჩვენა, რომ ძაძებით იყო შემოსილი, ნაცრისფერი კაბა წუთით გაშავდა. ეს ჩემი მხედველობის კი არა, გულის შეცდომა უნდა ყოფილიყო.

მაკა იმ იშვიათი ქალთაგანი იყო, ახალგაზრდობისდროინდელ სუთათვით უცვლელნი რომ რჩებიან, ჯერ ისევ სხარტი, ქალაშვილური მიხვრა-მოხვრა და სიცოცხლით სავსე ნაკვთები ადასტურებდნენ ამას. გამომეტყველება საოცრად ცვალებადი ჰქონდა მოკრძალებას გამოხატავდა, თუ შეკითხვას, წუხილსა თუ თხოვნას, ყოველთვის გადაგებირებდა და იმავე განწყობილებას აღძრავდა შეწში. ეს მდიდარი მიმიკა, თითქოს მისი ფაქიზი სულის იმპროვიზაცია იყო.

როცა ჩემს წინ დაჯდა, პაატას ამბავი ვკითხე. ალბათ ათასჯერ ეკითხებოდნენ ამას და ათასჯერ პასუხობდა. ბავშვის სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი მისი სიცოცხლის უმთავრეს ამოცანად ქცეულიყო. ეს იყო მისი ამ ქვეყნად მოსვლის დანიშნულება. მელაპარაკებოდა დინჯად, აუღელვებლად, ცრემლი კი თავისთავად ცვიოდა, როგორც თავისთავად მიედინება დრო. ისევ ისე უგონოდ არისო, მოსკოველი პროფესორი ჩამოვიდა და შეიძლება დავთანხმდე მეორე ოპერაციაზე, სულერთია, ბავშვი მაინც დაღუპულიაო.

აქ კი წამოიქვითინა ერთი და ხელსახოცი მიიფარა ტუჩებზე. მაგრამ სწრაფადვე ალაგმა ტირილი. ჩემი ერიდებოდა თითქოს, და საკუთარ მწუხარებას თავზე არ მახვევდა. ღრმად ამოისუნთქა, ხელჩანთა გახსნა და სამი პატარა ბარათი გამომიწოდა:

— თუ შეიძლება, ნახეთ ეს!

არ ვუთხარი, საქმე რომ სხვა გამომძიებელს გადასცეს. უსაფუძვლოდ და აშკარა თვითნებობად მიმაჩნდა ეს გადაწყვეტილება და, რაც მთავარია, სხვა მხრიდან ქროდა ის ქარი, პროკურორს რომ ჩემი მოცლების აზრი შთაბერა. ამიტომ პროტესტის და-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წერას ვაპირებდი და სამართლიანობის აღდგენის იმედი მქონდა.

ხელში ავიდე გაცრეცილი, შეყვითლებული ქაღალდი, ორი სამკუთხა ბარათი იყო, სამხედრო-საველე ფოსტის ბეჭდიანი, მილიონობით რომ იწერებოდა და იგზავნებოდა ომის წლებში. მესამე ჩვეულებრივ კონვერტში იდო.

— რა არის ეს, პატივცემულო მაკა?

— ეს... პაატას მამის წერილებია.

— ნამდვილი მამის?

— დიახ.

— ვისადმია მიწერილი?

მაკას ლოყები შეუწითლდა, თავი ჩაღუნა, ეს მართლაც ქალიშვილური დამორცხვება მოულოდნელი იყო ჩემთვის.

— მე მწერდა.

— გინდათ, რომ გავეცნო ამ ბარათებს?

— დიახ, თუ შეიძლება.

— მერე ამას აქვს რაიმე კავშირი...

—ეგ წერილები პაატას შარვლის ჯიბეში ვიპოვე.

— პაატას შარვლის?

— დიახ, იმ უკანასკნელ დღეს რომ ეცვა. გუშინ ვრეცხავდი. შარვალი მაღაზიაში ნაყიდი. მე არც ვიცოდი, თუ წინ საათის ჯიბე ჰქონდა... სწორედ იმ ჯიბეში ჩაუკეცავს ბავშვს.

— რისთვის დასჭირდებოდა?

—არ ვიცი, ვერ გეტყვით. მაგრამ ამორჩეული კი უნდა იყოს.

— ამორჩეული? საიდან?

მაკას კვლავ შეუფაკლდა ლოყები და თვალი ამარიდა.

— დანარჩენი წერილებიდან. მე ვინახავ პაატას მამის წერილებს. მაგრამ ეს ბავშვმა არ იცოდა. არც ირიდიონმა, მისმა მამინაცვალმა.

— სად ინახავდით?

— ჩემოდანში მქონდა ჩაკეტილი, სადაც ძველი კაბები მიწყვია. გადასაყრელად ვერ გავიმეტე ის კაბები.

— ჩემოდანი სადღა იყო?

— ლოჯიის ნიშაში, ფეხმომტვრეულ სკამებთან და სხვა ძველმანებთან ერთად.

— პაატას თანდასწრებით არასოდეს გაგიხსნიათ ჩემოდანი?

— არა. წერილებს მაშინ ამოვიღებდი ხოლმე, როცა ირიდიონი მივლინებაში წავიდოდა. — მაკამ გვერდზე გაიხედა, — ვკითხულობდი ღამით, პაატას ყოველთვის ეძინა ხოლმე.

— ალბათ ოდესმე მოჰკრა თვალი, წერილები რომ ამოიღეთ, და დაინტერესდა, ან შემთხვევით წააწყდა, — ვიკვირაუდე მე.

— დიახ, ალბათ შემთხვევით წააწყდა, სულ ველი კი წაუკითხავს.

— სულ ველი?

აუღელვებლად მელაპარაკებოდა, ცრემლები კი ცვიოდა თავისთავად.

— დიახ, წერილები არეულ-დარეული დამხვდა, ნაჩქარევად ჩაწყობილს ჰგავდა.

— ბევრი წერილია?

მაკა გაჩუმდა. ვიფიქრე, უხერხულ შეკითხვებს ხომ არ ვაძლევ-მეთქი.

— ბევრია! — თქვა ბოლოს.

— იმ ღამით ხომ არ წაიკითხავდა წერილებს ბავშვი?

— სხვა დროს ვერც წაიკითხავდა.

— რატომ?

— იმ დღეს ნიშის კარებში გასაღები ჩამრჩენოდა.

— გასაგებია. ნიში, მგონი, პაატას საწოლ ოთახში უნდა იყოს, განჯინის გვერდზე.

— დიახ!

— მთელი ღამე წერილებს კითხულობდა... მაგრამ ის წერილები მიახვედრებდა, რომ მამამისის დაწერილი იყო?

— რა თქმა უნდა.

— და თქვენ მიგაჩნიათ, რომ ამას კავშირი აქვს...

— მე ვერაფერს ვერ გეტყვით, წაიკითხეთ და შეიძლება თქვენ თვითონვე გამოიტანოთ დასკვნა. მე ვიცი, რომ..

— შეყოვნდა, ნაცრისფერი თვალები მომაჯერო, თითქოს რჩევას მთხოვდა,

---

ედიშერ ყიფშიანი
ცაში ასროლილი ჯუდები

ვთქვა თუ არაო, — მე ვიცი, რა ეჭვიც გაქვთ პაატას მამინა

ეროვნული ბიბლიოთეკა

დარეული და ქრონოლოგიურად დაულაგებელი, როცა დალაგება მოვინდომე, სხვადასხვა წერილებიდან ცალ-ცალკე სტრიქონებს მოვკარი თვალი. ეს არ მინდოდა, როგორც არ გინდა წინასწარ გიამბონ ამ კინოფილმის შინაარსი, ხვალ თუ ზეგ რომ უნდა ნახო. რაღაც უცხო, მიმქრალი სუნი შექუხდა წერილების გარშემო, გაცრეცილი, ნახევრადგამხმარი ქაღალდისა, თუ ქალის ნელსაცხებლის. იქნება ეს ოცი წლის წინათ დაწერილი სიტყვების სუნები დაფარფატებდნენ მაგიდის თავზე. არ მეგონა, ასე თუ ამადელვებდა ჯერ კიდევ წაუკითხავი ბარათები.

იმ ღამეს მე ყველაფერი გადამავიწყა ერთმა ლამაზმა და ამადელვებელმა სიყვარულის ამბავმა.

3. 8. 42.

ძვირფასო მაკა!

მომწერე, რომ ვითომ მალე ჩამოხვალ, მომატყუე, კარგი? ხომ მეცოდინება, რომ მატყუებ, მაგრამ მაინც გამეხარდება. წარმოუდგენლად მცირე დროის მანძილზე არ გამახსენდება, ჩემი თხოვნის გამო რომ მატყუებ, და ამ წარმოუდგენლად მცირე დროში ბედნიერი ვიქნები.

როგორ მომენატრე! ოღონდ გნახო ამ წუთში, ერთხელ მაინც მოგკრა თვალი, თუნდ შენ ნურც შემამჩნევ, ყურადღებასაც ნუ მომაქცევ.

გუშინ დედაშენთან შევირბინე. ისეთი კარგი იყო, ისეთი ბავშვური იყო ჩემს მიმართ. მინდოდა გადამეკოცნა. უთოობას თავი მიანება. ოთახში შემიყვანა. „შერე რა მოხდა, თუ გაცივდება, ისევ ჩავრთავ და გაცხელდებაო“. რაღაც იყო, რაღაც სითბო მის საქციელში.

ახლა მინდა ვიყვირო, რომ მიყვარხარ, რომ ღმერთი ხარ და სარწმუნოება დღეს უნდა გაჩენილიყო დედამიწაზე.

მაპატიე, რომ ასე ძლიერ, ძლიერ მიყვარხარ და უფრო ძლიერ რომ არ მიყვარხარ.

შენი გოჩა.

9. 12. 42.

მარტო შენი სახელი —მაკა — ისე მოქმედებს ჩემზე... ხანდახან ვიმეორებ ხოლმე და მეჩვენება, თითქოს პირველად ვუსმენდე. უცნაური თვისება აქვს სიტყვას; ხშირობა ათეული წლის მანძილზე და უეცრად, როდესაც მის აგებულებას დააკვირდები, როდესაც წარმოთქვამ ცალკეულ ასოებს და ბგერებს, ანდა, ნახატივით დაუწყებ თვალთვალს, სულ სხვანაირად მოგეჩვენება. მოგეჩვენება,. რომ ეს სიტყვა რაღაც საიდუმლოებითაა დაფარული. რომ ის ძველად სულ სხვა რაღაცას ნიშნავდა. როცა ქუჩაში შენს სახელს გავიგონებ, ,ულთოები დამეძახება, საბრძოლველად ძოვიმართება ხოლმე: მგონია, შენს თავს მართმევენ და უნდა დაჭიცვა.

მე ახლა შენი მშვენიერება ხელთა მაქვს; მწვანეკანიანი ფანქარი მიჭირავს, ასე მგონია, მის შიგნით შენ ზიხარ, მე კი წერილს ვწერ და ნელნელა გამომყავხარ. მინდა ბოლომდე გავლიო ფანქარი, მაგრამ ერთბაშად ვერ შეგელევი, უნდა გამოგიზოგო, თორემ აღარ შემრჩები ხელთ.

გკოცნი მხოლოდ ერთხელ.

11. 2. 43.

უშენოდ ყოფნისას ვგრძნობ, თუ რა გრძელია საათი, რა დიდია დღე. შენ კი დროს აჩერებ, ჰყინავ შენი მშვენიერებით. თითქოს წუთები იძულებულნი არიან, მოხარულნიც არიან, რომ შეჩერდნენ, აღარ ჩაიარონ, რომ უფრო დიდხანს გიყურონ შენ. ალბათ ამიტომ ვერ ვგრძნობ შენს ახლოს დროის არსებობას.

იცი, რა მგონია, მაკა? რომ ეს ომი ჩვენს გამო ამტყდარი კაპულეტებისა და მონტეგების გრანდიოზული ბრძოლაა, რომელშიც სიყვარულმა უნდა გაიმარჯვოს, და ვგრძნობ, რომ სულ მალე მომიწევს ამ ბრძოლაში ჩარევა.

თუ არ გჯერა, რომ მე შენით ვცოცხლობ, როგორც ჰაერით, ალბათ მხოლოდ იმიტომ, რომ ძალზე დიადი ხარ, გამოუცლელი ხარ ჰაერივით და ვერ

ედიშერ ყიფიანი
ცაში ასროლილი ჯუდები

კრძნობ, ჩემი სუნთქვით თუ რამე ვაკლდება. მინდა გიგანტური ფილტვები მჭონდეს, რომ იგრძნო, როგორ ესაზრდოობ შენით.

წუხელ ნამდვილ გაზაფხულს ჰგავდი, გაზაფხული იყავი, თორემ სხვა რა მოგანეჭებდა ისეთ დიდ სიხარულს, საიდან მოვიდოდა იმდენი სურნელება, მე კი მთებიდან დაძრული მყინვარი ვიყავი, შენ. სითბოთი გამდნარი და მდინარედ გაწოლილი შენს ფეხებთან. აღლვებული და ვრძნობამოდიდებული ვირწეოდი შენს წინ, როგორც ტალღა, ვითომ რომ შორდება და მაინც რომ უბრუნდება ნაპირს. და ისევ... თითქოს უნდა სიღრმისკენ წაიტყუოს ნაპირი.

●

დავყურებ ამ ქაღალდის ფურცელს, ისეთი თეთრია, ისეთი სუფთა. მაგრამ ხომ ხედავ, თუნდაც ეს რომ მეთქვა, საჭირო გახდა მისი „გაშვება“. ქაღალდი უკვე აღარ არის სუფთა და უმანკო. მაგრამ, მეორე მხრივ, თუნდაც ერთი სიტყვის დაწერა რამდენად აძვირფასებს ქაღალდის ფურცელს, აზრს აძლევს. ამართლებს მის არსებობას, ის ხომ სწორედ ამისათვის იყო გაჩენილი. წარმოიდგინე, ქაღალდს რომ გონება ჰქონდეს, როგორ იჯავრებდა, თუ მასზე არაფერ არაფერს დასწერდა...

შენ ჩემი სიფრიფანა, მოშრიალე ქაღალდი ხარ, და მაპატიე, თუ თანდათან მიძლიერდება სურვილი, რომ ჩემი ფიქრები გადავიტანო ზედ... თუ უნებურად შევცდები, ხომ არ დამსჯი ამისთვის? თუ დამსჯი, ხედ ან ქვად ნუ გადაგაქცევ, ნურც ცხოველად, ამაში ნუ მიბაძავ განრისხებულ ქაღლმერთებს. იცი რად გადამაქცევ? რაიმე კარგ მელოდიად, რომელსაც შენ მერე ისწავლი, შეიყვარებ და მუდამ იმღერებ ხოლმე. ასე რომ, მე მაინც სულ შენთან ვიქნები.

ნახვამდის, ჩემსკენ გამოწვდილი ჰკლავების ხეივანო, სადაც მე დიდი ხანია ვოცნებობ შემოსვლას და სულიერებით დათრობას.

შენი ვოჩა.

5. 5. 43.

●

(პაატას ჯიბეში ნაპოვნი წერილი)

ნუთუ, ყველაფერი დამთავრდა? ჩემო მაკა, ნუთუ ყველაფერი დამთავრდა? დღეს მომეჩვენა ხომ ყველაფერი? მთვრალი ვიყავი და იმიტომ არა, მაკა? მომეჩვენა, ხომ? იმდენად ცუდი ვიყავი, რომ ღირსადაც არ ჩამთვალე გელაპარაკნა ჩემთან, არა, მაკა? ხომ ასეა? შენ ხომ ხარ ისევ ჩემი მაკა? ? ხომ გაგიხარდება ისევ ჩემი წერილების მიღება? მაკ, ეგრე ერთბაშად ხომ შეიუძლებელია ადამიანის შეძულება? ესე იგი, მე მართლა მომეჩვენა, არა? რა ცუდია, როცა მოგეჩვენება ხოლმე. მე ვიხსენებ იმ საღამოს თქმულ შენს სიტყვებს და მინდა მათ შორის ისეთები გამოვძებნო, რომ დამაწყნარონ და ეუბნ გამიფანტონ. საშინელი ვიყავი არა, იმ საღამოს? რა გითხრეს დღეს ჩემზე? ან იქნებ შენ თვითონ გამომიტანე მსჯავრი? მაკა, ეს ჩემი უკანასკნელი წერილი იქნება? ხვალ მართლა დავრწმუნდები საბოლოოდ, რასაც დღეს ვეუბნობ?

მე თავი მოგაბეზრე, გიჯერებდი შენ, ყოველდღე ნანახლობდი, და თავი მოგაბეზრე. მაგრამ არც მინდა, სხვაგვარად ყოფილიყო: თუ მობეზრება ყოველდღე ნახვის შედეგია, მაშინ აღარ ვნანობ, იმიტომ, რომ მაშინ არ ყოფილა სიყვარული. მე კი ხშირად ნახვის გამო უფრო და უფრო შემიყვარდი. იქნებ უტაქტოდ მოვიქეცი დღეს ქუჩაში? შენს ამხანაგებთან, ან ნათესავებთან? მთვრალი ვიყავი...

მაკ, რა გავაკეთე მე დღეს? ხომ არასოდეს ყოფილხარ შენ ეგეთი? ხომ არასოდეს? ხომ მართალს ვამბობ? თუ მომეჩვენა ყველაფერი? თუ გიყვარდე, მომეჩვენა, კარგი? ხვალ გავიგებ ყველაფერს, მომეჩვენა თუ არა.

იმედი მაქვს, ამ ნაჯღაბნს გაარჩევ, რაც უფრო ნაჯღაბნია ჩემი წერილი, მით

ეროვნული ბიბლიოთეკა

უფრო მენატრები, ეს მე დიდი ხანია შევამჩნიე. ასე რომ, გძაგდეს ლამაზი ნაწერი და გამაოთული ხელწერა.. .აუ. სულ დამავიწყდა, რომ შენ აღარ გიყვარვარ. სულ დამავიწყდა.

— მაკ, დღეს მომეჩვენა ხომ ყველაფერი? მთვრალი ვიყავი და იმიტომ, არა? მომეჩვენა ხომ?

— ჰო, გოჩა, რა თქმა უნდა, მოგეჩვენა.

12. 5. 43.

რა დარიბული და რა დიადი იყო ჩვენი ქორწინება. რა სასაცილო იყო ოთარი ხელისმომკიდის როლში.

მაკ, ნუთუ ჩვენ აღარასოდეს გავათევთ ერთად ღამეს? ნუთუ მხოლოდ ერთი, ერთადერთი ღამე გვაჩუქა ღმერთმა? დაუჯერებელია!

დედაჩემი მეცოდება, რამდენს განიცდის ჩემი გულისთვის. და მაინც რომ აღარ შევრჩები ხელთ, მეხის დატყდომასავით იქნება მისთვის. აი, ახლა, ლოგინში წევს და ძინავს, როგორ მინდა, სულ ასე მშვიდად ეძინოს, გაიღვიძოს და მე უკვე ფრონტიდან ჩამოსული დავბრუნდე. მახსოვს, მამის გარდაცვალების შემდეგ როგორ შეერყა ჯანმრთელობა, როგორ უღალატა ნერვებმა. თოქმის ყოველღამე კიოდა ძილში, მეც ყოველთვის ხმამაღლა დავუყვირებდი, რომ გამოღვიძებოდა და კოშმარი გაფანტეოდა. ახლა სულ მარტო დარჩება. შენი იმედი მაქვს მხოლოდ.

აი, ვამთავრებ ამ წერილს და მომაქვს შენთან, რომ წამისულისას, როგორც ყოველთვის, დაგიტოვო, ან ჩუმად ჩაგიდო ხალათის ჯიბეში და ამით გავიხანგრძლივო შენთან საუბარი და შენთან ყოფნა.

22. 6. 43 ქ. ბუხარა.

აუჰ, რა შორსა ხარ ახლა ჩემგან. ათასობით კილომეტრი გვაცილებს ერთმანეთს. მაგრამ ხომ ერთიდაიგივე პლანეტაზე ვართ? ფეხითაც რომ დავიძრეთ შესახვედრად, რამდენიმე თვის შემდეგ ხომ შევეყრებით ერთმანეთს? ასე, რომ არც ისე შორსაა ბუხარა. ჩვენი სასწავლებელი ტანსაცმლისა დგგო არტილერიის ოფიცრებს ამზადებს. ძალიან კარგი ბედაგოგები მყავს, ძველი, გამოცდილი მეომრები არიან.

შენი ხელი მიდგას ახლა თვალწინ ცისკენ აშვერილი, ჰაერში მოფარფატე თითები. უკანასკნელად ამ თითებს მოვკარი თვალი მატარებლის ფანჯრიდან. ახლაც ვხედავ შენს ცრემლიან თვალებს. თითქოს შენი სხეულიდან გადმოსულ სულს შევყურებდი მაშინ. თითქოს შეიძლებოდა მისი ბავშვივით აყვანა და მოფერება. როგორ უნდა გადაგიხადო ახლა ის ცრემლები? რა უნდა გავაკეთო ისეთი, რომ გამოვისყიდო შენი წუხილი?

იმ საღამოს, იმ განშორების წუთს, მე თითქოს პირველად დაგინახე და საოცარი ძალით შემიყვარდი. და შემშურდა იმ ბიჭის ბედი, ვისაც აცილებდი და ვისაც დაუცდიდი სიკვდილამდე. ყოველი წუთი მატყობინებს, თუ რა ძლიერად მიყვარდი წინა წუთში. ერთდროულად არ შემიძლია გიყურო და ვიფიქრო კიდეც, თუ როგორ მიყვარხარ.

შენ ახლა აქაც ხარ, ჩემს გულში. ჩემს ფიქრებში, ჩემი სხეულის ყოველ უჯრედში. მალე ჩემთან ერთად წახვალ ფრონტისკენ. და მე დაგიცავ შენ.

ნუთუ, ქვეყნად მოიძებნება ძალა, რომ მაიძულოს და უშენობას შემაჩვიოს?

... მატარებელი დაიძრა. მახსოვს, როგორ ავდექენ კრავივით, ტიროდი, მერე, როცა ხალხმა ხელის ქნევა დაიწყო, შენი ხელიც ამოწვერა მათ შორის. შენ უკვე აღარ ჩანდი. მაგრამ შენს თითებს კიდევ დიდხანს ვხედავდი. და ვგრძნობდი შენს სახესაც, შენი გულისფეთქვა მესმოდა, შენს ფეხებსაც კი ვხედავდი, ვხედავდი ყველაფერს, შენი სულის სიღრმესაც, იმ პატარა, ლამაზი თითების წყალობით, თანდათან რომ მშორდებოდა, რაღვან მეგონა, შენ მიდიოდი სადღაც, მე კი ადგილზე ვიდექი.

9. 11. 43. ქ. ბუხარა.

კიევი ავიღეთ!! მომილოცავს, მაკა, მინდა დაუსრულებლივ ვიცეკვო, როცა ჩემს მომავალ ფრონტულ ბრძოლებს წარმოვიდგენდი, რატომღაც მელანდებოდა, რომ მეც მომიწევდა უკრაინის დედაქალაქის გათავისუფლება. მაგრამ ჩვენმა ჯარებმა დამასწრეს და, როგორც ვატყობ, ომის დამთავრებასაც დამასწრებენ, რადგან, მგონი, სწავლის პერიოდს ერთ წლამდე გვგრძელებენ. ომის დამთავრების შემდეგ რა ეშმაკად მინდა უმცროსი ლეიტენანტის წოდება, სულ სხვა გეგმები მაქვს. მირჩევნია, რიგით ჯარისკაცად გამაგზავნონ ახლავე.

როგორ მომენატრე, მაკა, რა საოცარი რამ ყოფილა, როცა მაკა გიყვარს. ჩაიდინე სასწაული, ცოცხალივით გამომეცხადე აქ. ხომ არ დამივიწყე? არ დამივიწყო, თორემ მერე ვაი, თუ ვეღარასდროს გიიხსენო, ვინ გიყვარდა: მხოლოდ ის გემახსოვრება მუდამ, რომ ვიღაც გიყვარდა, მაგრამ ვერაფრით გიიხსენებ ვინ იყო, და გაწამდები (ხედავ, როგორ გაშინებ?). თუ სასწაულს არ ჩაიდენ და ცოცხლად არ გამომეცხადები, იცოდე, გამოვიპარები ბუხარიდან და შენთან მოვალ. ღამით მოვალ, როდესაც ყველას ეძინება. მოვალ ფრთხილად. ჩემს ბრიგა-ბრუგა ფეხსაცმელებს ეზოში გავიხდი. შემოვილანდები ოთახში და შენს საწოლზე ჩამოვჯდები. მერე დავიხრები და გაკოცებ, და გიამბობ, თუ როგორ მენატრებოდი ბუხარაში, როგორ ვფიქრობდი შენზე. გეტყვი, რომ უშენოდ ყოფნა არ შემიძლია, და მაპატიე, რომ ჩამოვედი თბილისში. მერე გიამბობ, როგორ მიყვარხარ, მერე სულ ამას გეტყვი, მეტს არაფერს, სულ ამას, რომ მიყვარხარ, შენ ხომ არ მოგწყინდება ასეთი ერთფეროვნება?

შენი გოჩა.

P. S. დადიხარ დედაჩემთან?

23. 3. 44.

წუხელ მივიღე შენი წერილები. ორი ციფერი კონვერტი ორი თვალი იყო შენი, გარეგნულად ისევ ისეთი ლამაზი, მომაჯადოებელი, მაგრამ ჩავიხედე მათ სიღრმეში და შორს, შავამჩნიე უპეებისკენ დაძრული ცრემლის ნაკადი. რა მოხდა? ბავშვი ხომ არ არის ავად? რატომ მწერ ასე ბუნდოვნად?

ძალიან კარგად გაქვს აღწერილი გენერალ ლესელიძის დაკრძალვის ცერემონიალი. ეჭვი არ არის, რომ ლესელიძე, უმამაცესი, უნიჭიერესი ქართველი მეომარი, ღირსი იყო ასეთი დაფასებისა.

კიევის დინამოელების წამებისა და და მხეცური მკვლელობის ამბავმა ყველას თავზარი დაგვცა. სასწავლებელში არავინ არ იცოდა ეს, შენმა წერილმა გაგვაგებინა. მე ძალიან მიყვარდა მეკარე ტრუსევიჩი. ის ყოველთვის შავ მაისურს იცვამდა, კარტუზიანი ქუდი ეხურა ხოლმე. ძალიან დახვეწილი მეკარე იყო. არტისტულად თამაშობდა. ჩემს აქაურ თანაკლუბელთა უმრავლესობას ჯერ არ განუცდია ახლობელი ადამიანის სიკვდილით გამოწვეული მწუხარება და ამ ჭაბუკებისათვის მოულოდნელად კიევის ფეხბურთელები იქცნენ ამ პირველ მეგობრებად და ნათესავებად, ომმა რომ შეიწირა, ყველას უნახავს კიეველები თამაშის დროს, ან გაზეთში, ანდა რადიოში მოუსმენიათ მათ შესახებ. ისე აღელდა მთელი სასწავლებელი, ისე მრისხანედ მოიქუშნენ კურსანტები, რომ მხოლოდ ჩვენი პოლკოვნიკის აქტიურმა ჩარევამ დააშოშმინა ისინი. ჩემი ბრალი კი იყო, უფრო მეტად კი შენი: პოლიტმომზადების გაკვეთილზე ხმამაღლა წავიკითხე შენი წერილი და გაკვეთილი სახელდახელო მიტინგად იქცა.

წერილს ვერ გამთავრებ. მაპატიე. სავარჯიშო სროლებზე გავდივართ სასწრაფოდ.

ბავშვის სურათი?

შენს წერილში ერთი სიტყვა ვერ გავარჩიე. კონვერტი დაწებებია ქაღალდს და გახსნისას ის სიტყვა ამოიშალა. რა სიტყვა იყო? მთელი დღე ამაზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვფიქრობ. იმ სიტყვის აძოხსნა მირჩევნია ახლა ბუნების ყველა საიდუმლოს აძოხსნას.

ვემზადები გამოცდებისათვის, ვვარჯიშობ საარტილერიო გამოთვლებში, ვიზეპირებ ქვემეხთა გაბარიტებს და ბრძოლისუნარიანობას, ვიზუთხავ ომების თარიღებს, და უეცრად მომეჩვენება ხოლმე, რომ მთელი სამყარო, მთელი ცხოვრება, მხოლოდ ომებისა და სისხლის ტბორებისგანაა შემდგარი, მხოლოდ ადამიანთა დათრგუნვასა და სიკვდილზე ფიქრობს მთელი კაცობრიობა, და მათ შორის მეც. და გავრბივარ ბიბლიოთეკაში, გამომაქვს კრებული, „რომაელი პოეტები ხელოვნების შესახებ“, და ვკითხულობ, რომ ანაკრეონტę ემცროსს ასე შეუქია სახელგანთქმული მოქანდაკის, მირონის ბრინჯაოს „ხბო“:

„შორს ძოვე შენი ნახირი, მწყემსო,
რომ მირონის „ხბო“ შენს ძროხებთან
ერთად
არ წადენო შინისაკენ“.

და ვმშვიდდები.

●

12. 7. 44.

ამ წერილს საცეცხლე ხაზზე გასვლის წინ ვწერ. ამჟამად 15 კილომეტრიღა გვაშორებს ფრონტს. წუხელ განგაშით ავიყარენით და გამოვსწიეთ აქეთ. მთელი დღე ახალმიღებულ ქვემეხებს ვსინჯავდი და ვასწორებდი. ეს ტექნიკოსების საქმეა, მაგრამ მათ არ ვენდობი: ამ ქვემეხებიდან მე მომიხდება სროლა. წუხელ განთიადამდე გავიარეთ 3-4 დღის წინათ განთავისუფლებული ქალაქები და სოფლები. გავიარეთ ქ. კოველი. ქალაქის ნასახიც არსად ჩანს. მტერმა აფეთქა და ცეცხლს მისცა ყველაფერი. ქალაქის მისადგომები დანაღმულია. დანაღმულია მიწის ყოველი გოჯი. ქალაქი მოკვდა. არც ერთი სულერი არ შემხვედრია გზაზე.

მაპატიე ასეთი მოკლე წერილისათვის. მალე, სულ მალე გავალთ ბრძოლაში. შეიობინე დედაჩემთან და დაამშვიდე. აკოცე ყველას, ვისაც ვახსოვარ. არ დამივიწყო. თუ სიკვდილი მიწერია, მოვკვდები, თუ არა და ისევ შეგეხვეწები და მაშინ „მერიდე“.

გვარდიის უმცროსი ლეიტენანტი,
გოჩა ხერგიანი.

P. S. ტრაბახად არ ჩამითვალო ჩემი წოდების გამოჭენება, ყველა ასე მომმართავს და ყური შეეჩვია. პაატა ხომ არ დადის? თუ ჯერ ადრეა? სულ არ მახსოვს, რა ასაკში იწყებს ბავშვი სიარულს.

●

(პაატას ჯიბეში ნაპოვნი წერილი)

11. 11. 44.

ჩემო მაკა!

ძალიან რთულ და მძიმე მდგომარეობაში ვწერ ამ ბარათს. ჩემი სანგრის ირგვლივ ზედიზედ სკდება ყუმბარები და ცხელ-ცხელი, აკვამლებული ნამსხვრევები ეხეთქება შემოსასვლელს. უკუნი ღამეა. გადაუღებლად წვიმს. ერთი სიტყვით, ჯოჯოხეთია ნამდვილი. ასეთ წუთებში განსაკუთრებით დაძაბულია ტვინი. წუხელ მოწინააღმდეგემ 16 ტანკი და ბატარეა დააყენა ჩემს წინ. ქვემეხთა ლულები პარდაპარ უმიზნებენ სანგრებს. ჯერ მე სროლის უფლება არა მაქვს. ამოცანა მომცეს: შევაჩერო ეს ტანკები ისე, რომ ერთი ნაბიჯისაც არ დავიხიოთ უკან. თუ გერმანელები დაიძრნენ ჩემსკენ, ეჭვი არ არის, ან შევასრულებ ამოცანას, ან აქვე დავიმარხები. და ალბათ გაგიკვირდება, თუ გეტყვი, რომ ასეთი მოწყენილობა არასოდეს მიგრძვნია. ახლა რომ მქონდეს რამე წიგნი, თუნდაც დიუმა, სიამოვნებით წავიკითხავდი. ალბათ ყველაფერი წვიმის ბრალია. ჩვენ დიდი ხანია ვდუმვართ: მზადდება უკანასკნელი, სასიკვდილო დარტყმა, რომელიც ბერლინამდე მიგვიყვანს. მტერს დაუსრულებელი ბაოქების კორიანტელით სურს ჩვენი ნებისყოფის გატეხვა. 7 ნოემბრის საღღესასწაული განწყობილების მოშხამვა მოგვინდომეს. ისროდნენ ყველა ჯურის

ედიშერ ყიფშიანი
ცაში ასროლილი კუდაკი

იარაღიდან, მთელი ღამე ცა განათებული იყო სასიკვდილო ცეცხლით. ჩვენ ეს საშვიდნოემბრო ფეიერვერკად ჩავთვალეთ. დღემდე გრძელდება სროლა. მინდა ოცნებას მივეცე, მაგრამ როგორ ვიოცნებო, როცა ფაშისტების ტანკები 120 მეტრზე არიან ჩემგან.

ისე მეშინია ხვალინდელი დღის, სიკვდილის კი არ მეშინია, მერე რომ ვეღარასოდეს განავე, ამას ვერ ვეგუები. რატომ არ იქცა ჩვენი სიყვარული ზღაპრულ ბავშვად, ერთი დღისა რომ ერთი წლისას დამსგავსებოდა, ერთი წლისა — ათი წლისას? როდესაც შენს წერილს მივიღებ, მუდამ ცოცხლად შეგიგრძნობ ხოლმე, თითქოს ვუსმენდე შენს ლაპარაკს.

გადავიკითხე შენი წერილი და თითქოს რაღაც გამომრჩაო, ხელმეორედ გაფაციცებით დავიწყე კითხვა, მაინც გამომრჩა თითქოს... კიდევ წავიკითხე, და მერე მივხვდი, ასე დამემართება მუდამ — ომის დროს, ბშვიდობის დროს, დღესაც და ასი წლის შემდეგაც.

როგორ მიყვარხარ, თითქოს ავად ვიყო რამეთი. განა ახლა წერილს გწერ, შენთან ლაპარაკი მომინდა, შენზე ფიქრი, არავინ არა მყავს მსმენელი ჩემი თავის გარდა, და სურვილს წერით ვიკლავ.

შენ ახლა ჩემთვის პატარა, უცხო ბავშვი ხარ. ისეთი კარგი, უნებურ ღიმილს რომ მოგგვრის, მაგრამ მოგერიდება მისვლა, ხელში აყვანა და მოფერება, მოგერიდება უცხო მშობლებისა და ამიტომ შორიდან ათვალიერებ იმ ბავშვს, და თან მიაბიჯებ ქუჩაში.

ერთადერთი სიხარული ახლა შენი წერილებია. სასვენი ნიშნების ნუ გეშინია. თუ გინდა, სულ ნუ დაუსვამ, ოღონდ მომწერე.

ეჰე, მგონი, ტანკების გრუხუნი მესმის. სულ არ მეშინია სიკვდილის, ოღონდ იმას ვერ ვეგუები, რომ შეიძლება შენ ვეღარასოდეს განახო. რა სულელი ვარ, ასეთ რამეებს რომ გწერ, თუ გიყვარდე, როგორც კი ამ სიტყვებს წაიკითხავ, ხმამაღლა გაიმეორებ: „ეჰ, გოჩა, ნამდვილად სულელი ხარ, ასეთ რამეს რომ სწერ!“ გაიმეორე, და თუ გინდა მერე გაგეცინოს.

პაატას გადაეცი, რომ უყვარდეს ადამიანები, სხვა ყველაფერი თავისთავად მოვა.

ნახვამდის, ჩემო დაუვიწყარო ადამიანო.

ჩემო 1944 წელო!

●

(პაატას ჯიბეში ნაპოვნი წერილი)

9. 12. 44.

პ ა ტ ი ვ ც ე მ უ ლ ო მ ა კ ა!

მაპატიეთ, თქვენი მამის სახელი არ ვიცი. ამ წერილს გწერთ გვარდიის უმცროსი ლეიტენანტის, გოჩა ხერგიანის მეგობარი, საცეცხლე ნაწილის რადისტი, გვარდიის სერჟანტი, ოლეგ მაქსიმენკო.

დიდხანს ვფიქრობდი, მომეწერა თუ არა ეს ბარათი. მეშინოდა, ვაითუ ოჯახში ჯერ არაფერი იციან-მეთქი. მაგრამ გავიგე, რომ გაცნობეს ყველაფერი.

მე გოჩა ხერგიანის გვერდზე ვიბრძოდი და თავს ვალდებულად ვთვლი, გიამბოთ ყველაფერი, სხვა ვერავინ ვერასოდეს გიამბობთ, რადგან ამ ჯგუფიდან მხოლოდ მე დავრჩი ცოცხალი.

საქმე ასე წარიმართა: თოთხმეტ იმ თვეს, დილის ათ საათზე, მთელი პლაცდარმის სიგრძეზე შეტევა დავიწყეთ. შეტევას წინ უძღოდა ძლიერი საარტილერიო ცეცხლი, რომლის მართვაში გოჩა ხერგიანიც იღებდა მონაწილეობას. ჩვენი ქვეითი ჯარი წამომშალა და არტილერიის საფარქვეშ მკვეთრად მიუახლოდა მტრის მეწინავე სანგრებს.

მტერმა უძლიერესი კონტრ-სამატარეო ცეცხლი გახსნა. ჩვენი ფეხოსანთა მარჯვენა ფლანგის წინსვლას განსაკუთრებით ხელს უშლიდა გოჩა ხერგიანის პირისპირ მდგარი მტრის ბატარეა. გასროლათა ხმის დაზვერვით თქვენმა მეუფლემ დაახლოებით გამოიანგარიშა მტრის ქვემეხთა განლაგების ადგილი, გადასცა მითითება თავის საცეცხლე

პოზიციებს და 65 ჟურვით ჩაჩუმა მტრის ბატარეა. მაგრამ ვეღარ მოითმინა, ცნობისმოყვარეობამ შეიპყრო, აიღო რაღაა და, ჩემთან, მეორდინარესთან და ხუთ მეავტომატესთან ერთად შემოუარა ქვეით ჯარს, შემდეგ კი გერმანელების თავდაცვის ნაგებობებს. გზადაგზა ვეხვდებოდა ფაშისტთა გვამები და ხელსუნველი ტექნიკა. მტერს წინდაწინ დაენაღმა ყველაფერი, ამიტომ გოჩა ხერგიანს მიეყვედით გაქცეული მტრის ცხელ კვალზე.

უეცრად აღმოვჩნდით პატარა მდელოზე. ტყისპირას კი მოულოდნელად წავწყდით იმ ბატარეას, გოჩა ხერგიანმა რომ ჩაჩუმა 65 ჟურვით. დუმდა უახლესი სისტემის ოთხი ქვემეხი, უსაშინელესი მოქმედების დროს. იქვე ეწყო ჟურვების მთელი კომპლექტი. ქვემეხებთან ეყარნენ დახოცილი ფაშისტი მეზარბაზნები. შორს ხშირი, დაბურული ტყე მოჩანდა, იქ გერმანელთა დაცვის მეორე ეშელონი განლაგებულიყო და არტილერიის და ტყვიამფრქვევის ცეცხლით აბრკოლებდა ჩვენი ქვეითი ჯარის წინსვლას.

გოჩა ხერგიანმა გადაწყვიტა იქვე, ჩაჩუმებული ბატარეის გვერდით მოეწყო თავისი სამეთვალყურო პუნქტი, აეშუშაებინა რაცია და თვალყური ედევნებინა ბრძოლის ველისათვის. ამით გართულმა ვერ შეამჩნია და ვერც ჩვენ შეგამჩნიეთ, როგორ ამოხტა ბლინდაჟიდან გერმანელი ობერლეიტენანტი, მოირბინა ქვემეხთან, გოჩისგან ხუთი მეტრის დაშორებით რომ იდგა, და პირდაპირი დამიზნებით გვესროლა. ბედად, ჩვენ ორნი ხის უკან ვიდექით. ჟურვი ხეს შეასკდა, ორ მეავტომატეს თავები მოგლიჯა, სამი უსულოდ წაწვინა მიწაზე. თოფის წამლის ცხელი სუნით გაჟღენთილმა აფეთქების ტალღამ მე და გოჩა ხერგიანი ხუთ-ექვს მეტრზე გადაგვისროლა და სანგარში ჩაგვეყარა. მე ნეკნებსა და ხელში ვიყავი მსუბუქად დაჭრილი. გოჩა წამოიწია, მარცხენა მხარეს ჩამოისვა ხელი და მხოლოდ ეს თქვა, ცეცხლი მეკიდებაო. ძალღონე მოიკრიფა, ამოხტა სანგრიდან, მიეჭრა გერმანელ ობერ-ლეიტენანტს და რევოლვერი ესროლა, მაგრამ თურმე დასჭრა მხოლოდ. გერმანელი წაიქცა და გაისუსა. გოჩას სისხლი წურწურით ჩამოსდიოდა. მე მხოლოდ კონტუზია მეგონაო, მითხრა. მაზარა გავხადე, ხალათი გავუჭერი და ხორცწაგლეჯილი მკლავის შეხვევა ვცადე. ვთხოვე, ახლავე წასულიყო სანიტარულ პუნქტში. მან ყურადღებაც არ მომაქცია. არ ვიცი, როგორ უძლებდა ტკივილებს. მე თხოვნა გავუმეორე. თავისი შავი თვალები შემომანათა.

მან საეცხლე პოზიციებს სასწრაფოდ გადასცა ბრძანება ცეცხლის გადაადგილების შესახებ. მერე ჩემი დახმარებით შემოატრიალა ქვემეხები და გაქცეულ მტერს მათივე ჟურვები დაუშინა. ამ დროს შემთხვევით გავიხედე იმ ადგილისაკენ, სადაც მკვდარი ობერ-ლეიტენანტი უნდა წოლილიყო. აღარ იყო. ის სალახანა ტყისაკენ მიხოხავდა შეუმჩნევლად. რევოლვერი ვიძვრე და დავედევნე. „არ მოკლა, მოიყვანე აქ!“ — დამიძახა გოჩამ. ობერ-ლეიტენანტი კოჭლობით მოდიოდა, ეცემოდა, იკლაკნებოდა. როცა გოჩას წინ შეჩერდა, ხმა გაკმინდა, აღარ კვნესოდა, სადღაც, შორს იყურებოდა.

მოულოდნელად გოჩამ მტრის ქვემეხი გამართა და ობერ-ლეიტენანტს რევოლვერი მკერდზე მიაბჯინა.

— ესროლე! — უყვირა გოჩამ და ქვემეხზე მიუთითა.

გერმანელი ჯერ ვერ მიხვდა, რას ეუბნებოდნენ:

— ესროლე! — დაუღრიალა გოჩამ და რევოლვერის ჩახმახი გააწკაპუნა.

ობერ-ლეიტენანტს თვალები გადმოკარკლა. გონს მოეგო, იიზრა, რასაც მოითხოვდნენ მისგან. არტილერისტი იყო და ხვდებოდა, საით იყო დამიზნებული ქვემეხი, თავისივე ხელით თავისიანებისათვის უნდა ესროლა.

ედიშერ ყიფიანი
ცაში ასარილი ჟუდგი

— ჩქარა-მეთქი, თორემ გაგათავე!

უეცრად ობერ-ლეიტენანტმა ელვისებრი სისწრაფით საიდანღაც იძრო მოკლე დანა და გულში ჩაიცა. ერთხანს კვლავ ფეხზე იდგა, მერე მოცელილივით ჩაიკეცა. დანას დააკვდა.

გოჩას ხმა არ ამოუღია.

საათნახევრის განმავლობაში იგი გადასცემდა ბრძანებას თავის საცეცხლე პოზიციებს და კანტი-კუნტად გერმანული ქვეძახებიდანაც ვისროდით. ვატყობდი, თანდათან ეცლებოდა ძალა, თანდათან ზანტი და უსუსური იყო მისი ყოველი მოძრაობა. ერთხელ კიდევ ვურჩე, წაიდეთ, სისხლისაგან დაიცალები-მეთქი. არ მნებდებოდა. ძალიან მოსწონდა თავისი არჩეული სამეთვალყურო პუნქტი, მაგრამ ამ დროს შემცველი ოფიცერი მოვიდა. გოჩა ხერგიანმა ინსტრუქციები გადასცა მას და ერთად გამოვეშურეთ უკან. რადგან მტერს სნაიპერები ჰყავდა დატოვებული, ჩვენ ერთნახევარი კილომეტრი ხოხვით გავიარეთ... როცა ჩვენს ბატარეას მივაღწიეთ, გოჩა ხერგიანი კიდევ ოცი წუთის განმავლობაში თვითონ ხელმძღვანელობდა ცეცხლს. ნაწილის მეთაურისათვის მოუხსენებია, გოჩა ხერგიანი მძიმედ არის დაჭრილი და არაფრით არ თანხმდება სანიტარულ პუნქტში წასვლასო. იგი მანქანით მოვარდა. როცა სულ ერთიანად გასისხლიანებული გოჩა დაინახა, საშინლად გამოლანძღა. გოჩა დარცხვენილი ბავშვივით იღიმებოდა, სახე მიწისფრად ქცეოდა. გადამკოცნა ერთხელ, ორჯერ, სამჯერ, და წაიქცა. მივვარდით და მანქანაში ჩავაწვინეთ. მანქანა ადგილიდან მოწყდა. მერე აღარ მინახავს ჩემი საყვარელი მეგობარი.

სანიტარულ პუნქტში მძიმე ოპერაცია ვერ გაუკეთებიათ, ჰოსპიტალამდე კი ვეღარ მიუღწევია, გზაში გარდაცვლილა. მე მას არ ვთვლი მკვდრად. ასეთი მამაცი, გულისხმიერი, კეთილშობილი კაცი არასოდეს არ დაავიწყდებათ ახლობლებს.

გთხოვთ პატიებას, თუ ჩემმა წერილმა ეროვნული ბიბლიოთეკა ნა ტკივილი გაგიძლიერათ.

პატივისცემით, გვარდიის სერჟანტი ოლეგ მაქსიმენკო.

თავი მეათე

როცა გონს მოვეგე, მივხვდი, რომ უკანასკნელი წერილის დამთავრების შემდეგ კიდევ დიდხანს ვიჯექი გაშეშებული, სუნთქვაშეკრული და დავყურებდი ერთადერთ სტრიქონს: „პატივისცემით, გვარდიის სერჟანტი ოლეგ მაქსიმენკო“, „პატივისცემით, გვარდიის სერჟანტი ოლეგ მაქსიმენკო“. და მენანებოდა ჩემი თავი, ასე უდროოდ რომ მოვკვდი, ვეღარ შევხვდი ჩემს უსაყვარლეს ქალს, ჩემს პატარა ბიჭს, ვეღარ გავახარე ჩემი დაბრუნებით. მხოლოდ ის მამშვიდებდა, ასე ვულწრფელად და ასე ძლიერ რომ მიყვარდა ის ქალი, ისე მართალი რომ ვიყავი ყველას წინაშე. და მტანჯავდა ერთადერთი ფიქრი: აღარ მახსოვდა სად დამმარხეს, რომელი სოფლის ბორკვზე გამითხარეს საფლავი... „პატივისცემით... გვარდიის სერჟანტი ოლეგ მაქსიმენკო“. და მაკვირვებდა ჩემივე საკუთარი თავი: არასოდეს ვიფიქრებდი, ასეთი ძლიერი სიყვარული თუ შემეძლო, „და თითქოს ერთი ათად გავიზარდე, სული ამიმაღლდა, ტკბილი სიამაყით ავივსე... „პატივისცემით, გვარდიის სერჟანტი ოლეგ მაქსიმენკო“... „პატივისცემით, გვარდიის სერჟანტი“...

ჩემს ოთახში რიჟრაჟმა შემოახილა თვალი და ფიქრები გამიფანტა. ტელეკრანივით ციმციმებდა ფანჯარა, თითქოს ეკრანი ჩართული იყო, ოღონდ ჯერ არაფერი მოჩანდა, მხოლოდ ხმები ისმოდა, — ახალგაღვიძებული ჩიტების ყივილი და მეეზოვის ცოცხის ყრუ ოხვრა.

ფანჯარას მივადექი და ცარიელ ქუჩას გავხედე. წყვდიადს ღონე გამოცლოდა და ძლივს ფარფატებდა, გაოგნებული მოკრივესავით ამაოდ ცდილობდა წამოწევას.

ალბათ სწორედ ამ დროს, გარიჟრა-

ჟისას დაამთავრებდა პაატა მამის წერილების კითხვას, გაათენებდა ღამეს, როგორც მე გავათენე, და მასაც ტკბილი სიამაყით აევსებოდა გული. შეუძლებელია, წარმოუდგენელია, ასე რომ არ მომხდარიყო.

წინა დღეს დედა დაჰპირდა პაატას, შენს ამხანაგებთან ერთად ხვალ თბილისის ზღვაზე გაგიშვებო. პაატა დიდი ხნის უნახავ მეგობრებთან შეხვედრას ელოდა, ინგასთან შეხვედრას... მან სამი ბარათი ამოარჩია მამის წერილებიდან და საიდუმლო ჯიბეში შეინახა. დაბრუნებისას ჩუმადვე შეურეცდა დანარჩენ წერილებს, დედა ვერაფერს მიხვდებოდა. რად უნდოდა პაატას ის ბარათები? პირველ წერილში გოჩა ხერგიანი, პაატას მამა, რაღაცაში დამნაშავედ გრძნობს თავს საყვარელი ქალის წინაშე, როგორც პაატას ინგას წინაშე მიიჩნევდა თავი დამნაშავედ. პირველი წერილი გამოხატავს კაცის უსაზღვრო სიყვარულს ქალისადმი, დიდ პატივისცემას, რიდს და, ამავე დროს, შიშს — თავისი უნებური თუ უხეში საქციელით ხომ არ დაიფრთხო ქალი, გული ხომ არ ააყრევინა. ალბათ პაატაც ამას განიცდიდა იმ დღეებში, შეშფოთებული იყო, ინგა არ დამემდუროს, არ გაწყვიტოს ჩემთან მეგობრობაო. თუ დროს მოიხელთებდა, პაატა ალბათ აჩვენებდა ამ წერილს ინგას. რა თქმა უნდა, სასხვათაშორისოდ, როგორც დაღუპული მამის სახსოვარს. და თუ ინგა წაიკითხავდა, პაატას იმედი ჰქონდა, ყველაფერს მიუხვდებოდა გოგო.

მეორე და მესამე წერილმა პაატას თვალწინ გადაუშალა მისთვის უცნობი ომის მძიმე ბრძოლები, მამის განსაცდელი, მამის შეუპოვარი ბრძოლა და სიკვდილი... ამ საამაყო წერილებს ალბათ მეგობარ ბიჭებს გააცნობდა, შეიძლება მასწავლებლისათვისაც ეჩვენებინა. სხვა მიზანი არ შეიძლებოდა ჰქონოდა იმ სამი წერილის ამორჩევას და საიდუმლო ჯიბეში შენახვას, ამიტომ...

იმ დილას პაატა თბილისის ზღვაზე წასვლას აპირებდა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

განთიადისას ეზოში მანქანა შემოვიდა. პაატას მოესმა მამინაცვლის ნამთვრალევი, ხრინწიანი ხმა, როცა

შიგნიდან გამანათა და აბამსუბუქა. ასე მომეჩვენა, რომ ვიხსენი ჩემი თავი და ჩემი ახლობლები, მძიმე ბრალდებას ვადავარჩინე ჩემი ქალაქი.

წერილები ქაღალდში გავახვიე, იმ სამი ბარათის ასლი, ღამით საგულდაგულოდ გადაწერილი. ჯიბეში ჩავიდე და დილის ცხრა საათზე უკვე ნაისთან ვიყავი. არ შემეძლო, დიდი ცოდვა იქნებოდა ნაისთვის არ მეჩვენებინა გოჩა ხერხეიანის წერილები. რა მოხდაო, შემკრთალი შემომყვა ოთახში ნაი. ლურჯი ხალათი მოესხა პერანგზე, ლოყები აევარდისფერებინა ლოგინიდან გამოყოლილ სითბოს.

მოკლედ ავუხსენი ყველაფერი. პირველ საათზე დავბრუნდები-მეთქი წასაღებად. გამოვედი და სამსახურისკენ გავსწიე. მეგონა ხელმეორედ დაბადებული ვიყავი, სიარულიც რომ ერთბაშად დავიწყე და გონებაც მაშინვე გამეხსნა.

იმ გამომძიებელთან შევედი, ჩემი დაწყებული საქმის დამთავრება რომ დაავალეს, და იმ სამი წერილის ასლი გადავეცი. ვუთხარი, ვისი დაწერილიც იყო და ვის ჯიბეშიც აღმოაჩინეს. სხვა ახსნა-განმარტება არ მომიცია, ვნახოთ, თვითონ რა დასკვნას გამოიტანს-მეთქი. ჩემი თანდასწრებით წაიკითხა სამივე. დაფიქრდა. შეშალარავებულ თმას იქექავდა, ფეხსაცმელის ქუსლს ნერვიულად უკაკუნებდა იატაკს. ცოტა დარცხვენილი მომეჩვენა, ალბათ უხერხულად გრძნობდა თავს ჩემს წინაშე. ბოლოს თავი ასწია და მითხრა: ასე ვერაფერს გავიგებ, უნდა წამაკითხო ყველა წერილი, რომ მოვისაზრო, რატომ ამოარჩია ბავშვმა მაინცდამაინც ეს სამი ბარათიო.

ცამდე მართალი ბრძანდებით,—წამოვიძახე გახარებულმა, — დღის ბოლოს მაგიდაზე გექნებათ-მეთქი ყველა წერილი. წასვლას ვაპირებდი, შემაყოვნა, ადგა, ჯიბეებში ხელებჩაწყობილი და თავდახრილი მელაპარაკებოდა, — ჩემზე ნუ იქნები ნაწყენი, მე არაფერ შუაში არა ვარ, პროკურორის ბრძანება იყო. როგორც ახლა გგრძნობ, ეჭვიანობ, გორც ბუნდოვნად მიმახვედრა ამ სამმა წერილმა (ოღონდ ჯერ დანარჩენებიც უნდა წავიკითხო), რე მგონი, უკვე გადაწმინდე მტვერი სიმართლესო. შეყოვნდა, გაიღიმა და თვალებში შემხედა: მაგრამ თუ ერთი საქმე ისპობა, მეორე უკვე აღძრულიაო, ირიდიონის თანაშემწეს უნაკლოდ შენიღბული კომბინაცია მოუფიქრებია: გარაყიდან ჩამოწერილი შვიდი მსუბუქი ავტომანქანის მაგივრად უნდოდა ხუთი ჩაებარებინა, ორი კი კერძოდ გაეყიდა. ირიდიონიც შეუცდენია, თუ რაღაცით შეუშინებია, და ყალბ საბუთზე ხელი მოაწერინაო, პროკურორმა ამ დილით მათი დასატმრების ორდერები გაამზადაო. მაგრამ ერთი რამ გვიკვირს და ვერ გაგვიგია: ირიდიონი თავს იკლავს, თანაშემწეს ხელს ნუ ახლებთ, უცოდველია, ყველაფერში მე ვარ დამნაშავეო.

იმ წუთში მაკა დამიდგა თვალწინ, შვილის უბედურება... ახლა ქმარი... რატომ მითხოვდა ირიდიონს მაკა? რამ აიძულა? ალბათ უნდა დავუჯერო მეზობლების ნაამბობს. ომის შემდგომი წლები, ავადმყოფი დედა, ჩვილი ბავშვი, გაჭირვება, მარტოხელა, ქვრივი ქალი. ირიდიონმა თვალი დაადგა ლამაზ მეზობელს, ჯერ არაფერს სერიოზულს არ ფიქრობს, ისე, ყოველი შემთხვევისათვის... მიაქვს ავადმყოფისათვის ძნელადსაშოვნელი სამკურნალო პრეპარატები, მიაქვს თევზი, ხორცი... ბავშვის სამოსი, მერე საჩუქრებიც, ქალის ფეხსაცმელები, პალტო. „როგორ გეკადრებათ, რის ვალი, ჩემთვის ეს არაფერია, გადამიხდით ოდესმე, მეზობლები ვართ“. დაავალდებულა ოჯახი, დანამუსა ქალი, ბავშვის გულისთვის, ბავშვის ბედნიერებისათვის გადასდგა ეს ნაბიჯი მაკამ.

როცა მაკა მიხვდა თავის შეცდომას, იმასაც მიხვდა, რომ ირიდიონს ვეღარ მოატოვებდა, დაავალდებული თავი, გადაერჩინა ამ უბედური ადამიანის დამახინჯებული სული, თავის ადგილზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაბრუნებინა მისი ტვინის გადაადგილებული ჯჯრედები, დაერწმუნებინა, რომ მარტო ბოროტება არ ბინადრობს ამ ქვეყნად.

ერთხელ მაკა წასული კიდევაც ოჯახიდან. აუყვანია პაატა და წასული. იროდიონი შინ ჩაკეტილა. ექვსი დღე იშიმშილა თურმე. მეშტების ბრახუნით კარი მოურყევიათ მეზობლებს, ოთახიდან არავინ პასუხობდა. იმტომ კი არ უშიმშილია იროდიონს, რომ თავის მოკლა უნდოდა, ჯავრისაგან გამოლენჩებული.

მეშვიდე დღეს მაკა დაბრუნდა.

●

ნაი ტახტის კუთხეში იჯდა ფეხმორთხმით, კედელს მიყრდნობოდა და იცრემლებოდა. ტახტი გოჩა ხერგიანის წერილებით იყო გადათეთრებული. დაამთავრე-მეთქი? — ჯკითხე, უპეებმოსველებულმა და გულაჩუყებულმა სიცილი დაიწყო, ეს რა წამაკითხე, ზაალ, ეს რა წამაკითხო, ალბათ ისევ ტირილი რომ არ წასკდომოდა, უეცრად ფეხებზე მკლავები შემომხვია და ჩემს მუხლებს მოაყრდნო თავი. დიდხანს იყო ასე გაჩრინდებული. მეც გაქვავებული ვიდექი. არ მინდოდა შემეკრთო ნაის ფიქრები. ვიგრძენი, რომ იმ წუთში რაღაც დიდი ამბავი ხდებოდა ნაის გულში, დიდი ამბავი, რომელიც ხვალ თუ ზეგ ჩემამდე მოაწევდა.

ორი დღის შემდეგ ნაიმ სამსახურში დამირეკა.

— ზაალ, გესმის ჩემი?

— ძალიან კარგად.

— მანდ ვინმეა ოთახში?

— არავინ, მარტო ვარ, რა იყო?

— დამიგდე ყური... ამ საღამოს შენ მოხვალ ჩემთან.

— აუცილებლად.

— მოხვალ და ჩვენ წავალთ სადმე, ან კინოში, ან.. სადმე.

— მესმის, ნაი.

— გელოდები, — და მან ყურმილი დაკიდა.

მინდოდა ლაპარაკი გამეგრძელებინა. კიდევაც დავიწყე ნომრის აკრეფა, მაგრამ ვიფიქრე, რომ უეცრად მივხვდი, რომ ნაიმ სულ სხვა რაღაც მითხრა, სულ სხვა!

მთვრალივით დავდიოდი ქუჩებში. აღარც მახსოვს, ვის შევხვდი, ვის მივესალმე, რომელ მაღაზიაში შევედი, სად დადავეჭერი ქუჩა. მახსოვს, უსაზღვროდ ბედნიერი ვიყავი, რაღაც სიმღერებს ვდიღინებდი და ყოველ მთვაწში ნაის სახელი მეორდებოდა.

ვერის ბაზართან შევჩერდი, კაფე „აკვარიუმის“ წინ. რატომღაც შუა ქუჩაში დინჯად მოსიარულე მილიციელს დავუწყე ყურება. რაღაც გამახსენდა და ანცობის ყინმა მომიარა. ერთი ძველი ამბავი გამახსენდა: მამა ორი წლით იყო წასული რუსეთში. უსაზღვრო ნატვრის წერილებს გვწერდა მე და დედას. ბოლოს, როგორც იქნა, ჩამოვიდა. მთელი დღე იჯდა ოთახში და გვიყურებდა, თითქოს ინაზღაურებდა ხანგრძლივ განშორებას. მეორე დღეს სოფელში წავიდა და მეც თან წამიყვანა. იქ დედამისი ეგულებოდა, ჩემი ბებია. მაშინ 7-8 წლისა თუ ვიქნებოდი... გზა ატალახებული იყო და რკინიგზის სადგურის გადაღმა ფეხსაცმელები გავიხადეთ. მამამ შარვლის ტოტები აიკეცა. გავინაწილეთ ტვირთი და გავუდექით საურმე შარას. მამა ხარბად ათვალიერებდა ყველაფერს, ოდა-სახლებს, გზაში შეხვედრილ მეურმეებს და ბაზრობაზე მიმავალ გლეხებს, შორს ამოწვერილი თოვების ნაცნობ მოხატულობას. დანატრებული იყო თავის საშობლო სოფელს. გზადაგზა უცნობი გლეხები გვესალმებოდნენ დიდი ამბით და, როცა გვერდს ჩაგვივლიდნენ, უკან იხედებოდნენ. მამას გულმა ვეღარ მოუთმინა, ერთი ხნიერი გლეხი შეაჩერა და ჰკითხა, ბოდიშს ვიხდი, ბატონო, მაგრამ ამის და ამის სახლს ხომ ვერ მიმასწავლითო. მე გაოცებისაგან პირი ღია დამრჩა: თავის საკუთარ სახლზე ეკითხებოდა მამა. გლეხი შეჩერდა, ულვაშზე ხელი გა-

---

ედიშერ ყიფიანი
ცაში ასროლილი ჯედები

დაისვა, სოფლისკენ შებრუნდა და დინჯად დაიწყო ახსნა: ასე წაბრძანდებით, ჩემო ბატონო, იმ ეკლესიას გაუვლით გვერდით, დადმართს ჩაათავებთ და იქვე წყარო დაგხვდებათო... (თან ჩაურთო, თქვენ საიდან ბრძანდებითო?) სოფლის საბჭოსთან გზაჯვარედინია, თქვენ პირდაპირ გზას დაადგებით და სულ ერთ ვერსში იმ სახლსაც მიაღწევთო.

სახეზე შეეყურებდი მამას, იღიმებოდა, თვალები უბრწყინავდა, საამო გალობასავით ჩაესმოდა ყურში უცხო ადამიანის ხმა, მის საყვარელ, ბავშვობიდანვე ნაცნობ ადგილებს რომ უსახელებდა და ასე ზუსტად აღუწერდა.

ეს მომაგონდა და შუა ქუჩაში მივეახლე მილიციელს. სულ ბოლოს მიხვდა, წესრიგის დამრღვევი რომ არ ვიყავი, პირიდან სასტვენი ამოიღო და ჰაერი ამოისუნთქა. ძლივს დაეაცარიელა ჩემთვის საგანგებოდ დაბერილი ფილტვები.

— ბოდიში, ბარნოვის ქუჩას როგორ მივაგნო?

ალმაცერად გამომხედა, ამათვალიერ-ჩამათვალიერა.

— 53 ნომერი მინდა? — დავუზუსტე მე.

ამან მიშველა. ბარნოვის ქუჩა ძალიან გრძელია, და ალბათ იფიქრა, არ იცის სად აუხვიოს 53 ნომრის მისაგნებადო.

— ეგრე წახვალ, იქ სამი თუ ოთხი ასახვევია, რომელზედაც გინდა აუხვევ. გადამკეთი ქუჩა ბარნოვის იქნება, ნომერი თვითონ იპოვე.

— მე ნაი რატიანის ბინა მინდა, — წამომცდა.

ჯაიღიმა, თავი გააქნია.

—კარგად იცი შენ ნაის ბინა, წადი ახლა, ხელს ნუ მიშლი, თორემ სხვაგან დაგაბინავებ.

მაინც შემიყვარდა ეს მილიციელი. შემიყვარდა, რადგან შემატყო, მშვენიერად რომ ვიცოდი ნაის ასავალ-დასავალი.

ხელოვნების მუშაკთა სახლში იმ საღამოს მე და ნაიმ „ლილი“ ვნახეთ, ფერადი ფილმი. პირველი საათი იქნებოდა, ფაფუკი ბალიშებიანი ლერმონტოვის ქუჩა წყნარი და უკაცრიელი იყო. ჩვენ დინჯად მიეყვებოდით ფილაქანს და ვლაპარაკობდით იმ პოეტურ, ოდნავ მელოდრამულ ეპიზოდზე, თეჯრიუნან რომ გათამაშდა ლილისა და თოჯინების შორის. უეცრად ნაიმ ხელი ჩამქიდა და შუა ქუჩისკენ წამიყოლია. მერე წინ გავარდა და ცეკვა დაიწყო. მიეხვდი, ფილმის გმირ ქალს ბაძავდა. მეც უკან ავედევნე. ჩემმა „ცეკვამ“ ნაი გულიანად აცინა. ისევ ფილაქანზე შეხტა და ზურგსუკან ხელებდაწყობილი კედელს მიეყრდნო, თავიც კედელს გაუხახუნა. გაინაბა.

— მაკოცე! — ბოლოს მისი ჩურჩული.

თვალები ამღვრეული ჰქონდა და თითქოს ტუჩებიც ემღვრეოდა ნელ-ნელა. ხანგრძლივი და უტკბილესი იყო ჩვენი კოცნა. ნაი ხელიდან დამისხლტა და რკინის ღობესთან შეჩერდა. გისოსს ჩაუჭიდა ხელი.

— ახლა აქ მაკოცე!

შევახე თუ არა ტუჩები მის ტუჩებს, კვლავ კისკისით გამექცა და საწვიმარ ბილს მოჰკიდა ხელი.

— ახლა აქ!

ვაკოცე.

უეცრად ხის ტოტი ჩამოიწია და აღარ გაუშვა.

— ახლა ასე მაკოცე. ტოტი რომ მიჭირავს ხელში.

თითქოს ნათლავდა, სახელებს არქმევდა ჩვენი ალერსის ადგილებს.

თავის ოთახში შესვლისთანავე ფანჯრებს ჩამოუარა, გამეჭვირვალე, ყვავილებიანი ფარდები დახურა, ცისფერ ბაჟურში ჩაპალული მაგიდის ნათურა აანთო. ოთახი გაკრიალებული იყო. რაღაც ნაზმა, მიმქრალმა სურნელებამ გამაბრუა. იქნებ ეს სურნელი ახალგაწყობილ, გაქათქათებულ ლოგინიდან იფრქვეოდა, ანდა, ვაზაში ჩადებულ სისხლივით წითელ ვარდებს ასდიოდათ.

ნაი ფარდის იქით გაუჩინარდა, ცალი ფანჯარა გამოაღო.

— ნაი, — ვთქვი და ჩემი ხმა ვეღარ ვიცანი, — ნაი, — ვთქვი ხელმეორედ, თითქოს შევამოწმე, მართალი სხვა ხომ არ ლაპარაკობს-მეთქი.

— რა იყო, ზაალ?... ვიცი, შენ ახლა ყავა გინდა.

— ყავა ხვალ დილით დამალევინე...

— რა თქვი?!

— ხვალ დილით... ამაღამ მე არ წავალ აქედან... ან შენთან ერთად წავალ!

— ზაალ!

ჩვენ დიდხანს, დიდხანს ვისხედით ჩუმად.

აღარ მახსოვს როდის ჩავაქრე ცისფერ აბაჟურში ჩამალული ნათურა. ქუჩის მკრთალმა სინათლემ შემოკონა ჩაბნელებულ ოთახში, რაღაცამ გაიშრიალა, რაღაც გაშარშურდა, და წყვდიადში ატივტივებულ სინათლის შუქზე მე დავინახე ნაი, მკვეთრად გამოყოფილი სითეთრე მისი მკერდისა და თეძოებისა. კანის ფერის ასეთი კონტრასტი ზღვაზე გაშავების ბრალი იყო. რაღაცას ეძებდა კედელ-კედელ, სკამებზე, ტახტზე, და ვერ მიეგნო. ნაწ ამოიბადრებოდა მისი შუაწელი, ხან ჩაქრებოდა. ეს მომხიბვლელ ცეკვას ჰგავდა. ბოლოს იპოვა ღამის პერანგი და უეცრად გაქრა. და გავიგონე შენამული ტერფების მსუბუქი ტაკაცანი იატაკზე და შორიდანვე ვიგრძენი სხეულის სითბო, წინ რომ მოუძღვებოდა ნაის...

... ფანჯრის ფარდებზე ყვავილები გამოიკვირტა, მერე თანდათან შეფერადდა მათი ფურცლები. მზე ამოდიოდა. ნაის მშვიდად ეძინა, იქნებ არც ეძინა და ჩემზე ზრუნავდა, არ გავაღვიძოო, არ ინძრეოდა, მხარზე მოხვეულ მკლავს არ მაშორებდა.

ასე დასრულდა და ასე დაიწყო ჩვენი ამბავი. მე და ნაი შევხვდით ერთმანეთს. დღეიდან სულ ერთად ვიქნებით. რამდენი რამ გადაგვხდება თავს, რამდენი ნახარული და მწუხარება, იმდენხანს რომ ვიფიქროთ, რამდენ ხანსაც უნდა ვიცოცხლოთ, მაინც შეუძლებელია ამის წარმოდგენა.

ტახტისაკენ გამექცა თვალი, გუშინწინ იქ იჯდა ნაი, გოჩა ხერგიანის წერილები გაეშალა და ცრემლმორეულმა კითხულობდა. მერე მკლავები მომხვია, გაირინდა... ახლაც მკლავი აქვს მოხვეული...

დღეს თუ ვინმე კითხულობს ნეტავ იმ წერილებს? ნეტავ კითხულობდეს ვინმე. ქალბატონმა მაკამ ყველას უნდა ათხოვოს!

ირიდიონის ეშინია? რაღა ეშინია, ორდერი გამოუწერიათ. ჰმ, ირიდიონ... ირიდიონ მენაბდე... რა საინტერესო ფეხსაცმელები აქვს, პატრონის ასლი, მეგობრული შარვი, კარიკატურა... მლრინავი ფეხსაცმელები... „ავ, ავ, ავ!“ უყეფს ძაღლი მანქანას, საბარგო მანქანაა. მთებში გაჭრილ გზაზე მობობღავს. ქვემოთ, ხევში, ლოკოკინის ნაკვალევივით ბრწყინავს მდინარე. მანქანა პირთამდე ყუთებითაა დატვირთული. ყუთებში დარიშხანის მადანია. ირიდიონს მოაქვს მთებიდან, ქიმიურმა ქარხნებმა რომ წამლები დაამზადონ. ირიდიონი მომმარაგებელია. ყუთებზე ზის, აქეთ-იქით ქანაობს. ბოთლიდან არაყს სვამს, რომ არ შესცივდეს. ვიღაც მოხუცი ქალი მოჩანს გზაზე, ხელს იქნევს, გამიჩერეო. შოფერი აჩერებს. ირიდიონი იღრინება: „ავ, ავ, ავ! რატომ გაიჩერე?“ შავებში მოსილმა დედაბერმა დაჯრა ფეხი მიწას და ყუთების თავზე მოექცა, ირიდიონის გვერდით. ირიდიონი ეჩხუბება, დედაბერი იკრიჭება. ირიდიონი ცოფდება, შოფერი უკან იხედება... მანქანა ტრიალ-ტრიალით მიფრინავს თვალწაუწვენელ უფსკრულისაკენ. ირიდიონი ხელებს ასავსავებს. არყის ბოთლი გაუვარდა, ჰაერში მიფრინავს, ირიდიონმა მზერა გააყოლა, შეენანა... მანქანას ჩასწრო ხევში ირიდიონმა. მდინარეში ჩაინთქა. მანქანა ზემოდან დაეცა, აღმა ატრიალებული. ყუთები ნელ-ნელა იძირება წყალში. დედაბერი ფლატეზე ამოსულ ხის ტოტებზე გარჩენილა და მაღლიდან დაჰხითხითებს. მდინარე აი-

ედიშერ ჟიფიანი
ცაგერი ასოლილი ქუდები

ეროვნული ბიბლიოთეკა

მღვრა. ჯერ გამწვანდა, მერე გაწითლდა, გაშავდა... ჭიდან ამოაქვს წყალი გლეხის ქალს, ბავშვები სვამენ ვედროდან, სათითაოდ ეცემიან მიწაზე და იბერებიან. ქალი სახეს იბოკავს... ძროხების ნახირი სვამს მდინარის შავ წყალს, ძროხებს მუხლები ეკეცებათ და მთელი ნახირი იხოცება, მერე იბერება და ჩნდება აშმორებული დიდი მთა... ძაღლს წითელი ენა გადმოუგდია და აწკლაპუნებს მდინარის წყალს, ოქვე ეცემა, სწრაფად იბერება... მიჩქეფს მოწამლული მდინარე და ბალახები ჭკნებიან, ხმება წაბლისა და რცხილის ხეები, მიწა იხრუკება. ფრთამოკეცილი პეპლები ცვივიან წყალში. მდინარე გაშმაგებით მიილტვის დიდი ზღვისაკენ... აჰა, მიაღწია, შეიჭრა, თავს გადაეკვლო ლუფჯ ტალღებს. და მთელი ზღვის ფსკერი ამოტრიალდა. ეს ზღვა არ ყოფილა, უზარმაზარი საოცრად გაბერილი მკვდარი თევზი წევს მუცელამოტრიალებული. ზღვა ალარ არის. „ვიღუპებით, ვიღუპებით!“ ისმის მთებში ძახილი, ხალხი გარბის, მდინარეში ჩაყვინთეს სკაფანდრიანმა კაცებმა... ამოიღებენ საწამლავს? დამხრჩვალ საწამლავს?

— აი, ხომ ხედავ, დატოვა თავისი კვალი!—ვეუბნები დათა კავთიაშვილს.

— ეე, ამბობ რაღა! — დათა კავთიაშვილი პირჯვარს იწერს.

—გვანცა, გვანცა! — ვყვირი ვეება სასახლეში. ნელ-ნელა ნათდება, მთელი ცა ვარსკვლავებაღქცეული მოციმციმე ქუდებითაა მოჭედილი.

— გვანცა-ა!

— აქა ვარ, ზაალ!

გვანცა სკამზე ზის, საქარგავზე დახრილა. ნელ-ნელა მაღლა სწევს თავს. თმის შავი ღრუბელი იფანტება და თანდათან ამოდის მთვარე — ჯერ შუბლი, თვალები, ლოყები, თეთრად მოკაშკაშე კბილები.

— გვანცა, იცი, მე ბედნიერი ვარ, გვანცა, ძალიან ლამაზი და კარგი გოგო მიყვარს, ძალიან ლამაზ და კარგ გოგოს ვუყვარვარ, ბედნიერი ვარ, ჰაერში მომინდა ფრენა და ქუდი ... ეროში მაღლა.

გვანცა შეტოკდა, წამოდგა, ერთხანს მიყურა თვალებში. მერე თანდათან დაუშვიდდა, გადაეწმინდა სახე, და გაიღიმა.

— შენ ერთხელ უკვე აადგე ქუდი, ზაალ, ამ სასახლეში აადგე, გახსოვს, მაგრამ ჩემს ცაზე შენი ქუდი არ გაჩერდა.

— ახლა გაჩერდება, გვანცა, შეუძლებელია, რომ არ გაჩერდეს!

— სცადე, ზაალ, მე მოხარული ვიქნები...

— **რომ არ გაჩერდეს, თავს** მოვიკლავ, მაშინ ვიფიქრებ, **რომ**...

— სცადე, ზაალ, სცადე!

ქუდი მაღლა ავაფრიალე და თვალები დავხუჭე. უეცრად გვანცამ წამოიკივლა. მაღლა ავიხედე: ჩემი ქუდი, ჩემი ნაცრისფერი ქუდი გაოქროსფერებულიყო და მიჰქროდა ცაზე მოციმციმე ქუდებისაკენ, თანდათან შორდებოდა დედამიწას...

გვანცა კედლისკენ შებრუნდა და ჩუმი ქვითინი ამოუშვა.

— გვანცა, არ გრცხვენია, გვანცა? რა გატირებს? გვანცა, გესმის, გვანცა!

— რა ვუამბო მე ბავშვებს? მითხარი, რა ვუამბო? — ჩემსკენ შემოტრიალდა, მისმა გულგებმა სარკესავით აირეკა მზის სხივები, — რა ვუამბო ჩემი ცის სანახავად მოსულ ბავშვებს? მე ვეტყვი... — სლუკუნებდა გვანცა, — მე ვეტყვი, რომ მიყვარდა... ძალიან მიყვარდა... და ახლაც მიყვარს... და ვეტყვი, რომ ეს ქუდი... ეს ქუდი... მისია.

— გვანცა!

— ეს ქუდი მისია!

შეცივნულივით ძაგძაგებდა, უსამართლოდ დასჯილ და გულაჩუყებულ პატარა გოგონას ჰგავდა, **რომელიც მოითმენს** ამ უსამართლობას, გადაიტანს, ოღონდ ახლა ტირილს ვერ მოითმენს.

— გვანცა, გვანცა, **გესმის?** გვანცა, გამოიხედე, ასე როგორ შეიძლება, **გვანცა**, გამოიხედე-მეთქი, **სახე** მაინც

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამანახე, იქნება მიეხვდე, რა გეწყინა...

— ვეტყვი, რომ მისია...

— გვანცა, შენ ქალღმერთი ხარ, მიუწვდომელი ხარ, ხომ იცი, რომ შენი ტაძრიდან მე გამომაძევებდნენ?

— ეს ქუდი მისია...

— გვანცა-ა!

. . . . . .

— ჰო, დღეს, დღეს. აუცილებლად მოდით, გელოდებით, რა თქვი? უცბად? ჰო, მოხდა ასე უცბად.

სულ ახლოს ჩამესმა ხმა. თვალი გავახილე. ნინ ამდგარიყო და ტელეფონზე ლაპარაკობდა.

●

ქორწილის შემდეგ კიდევ ორი დღე ვმხიარულობდით მე და თაზო. კვირას ქალებმა პრეტესტი განაცხადეს, ჩაგვჭიდეს ხელები, გაგვთანგეს და თეატრში წაგვიყვანეთო, გვიბრძანეს. მაგრამ ბილეთები ვერ ვიშოვნეთ, ვერც კინოში შევედით. რაღა დაგვრჩენოდა? მელიტა და ნინ აქეთ დაგვეღრიჯნენ, რესტორანში მიინც შეგვიყვანეთ, სულ უჩვენოდ რომ დადიხართო. ჩვენ დიდხანს „უარზე" ვიყავით, მაგრამ ქალებმა მაინც თავისი გაიტანეს.

და თბილისის ოქროსფერ საღამოს ჩვენ ოთხნი, ბიჭები და გოგოები, მთვრალები და ფხიზლები, უნივერსიტეტის ქუჩას მივყვებოდით ხელიხელ-ჩაკიდებულნი.

— როგორა ხარ, ზაალ? კარგია ოჯახი? — მეკითხებოდა თაზო.

— ზღვაზე აღარ წავიდეთ, ზაალ? — თვალს მიკრავდა მელიტა.

— ხომ არ გცივა, ნინ? — ვეკითხებოდი მე.

— გადაყარეთ ფეხები! — გვიბრძანებდა ნინ, ვითომ სადმე გვაგვიანდებოდა.

ტელევიზორების მაღაზიაში ხალხის ტევა არ იყო. ათი თუ თხუთმეტი ტელევიზორი ჩაერთოთ და ყველა ფეხბურთს გადმოსცემდა. ჩვენდა უნებურად, ქალები მივატოვეთ, შევბარბაცდით მაღაზიაში და ხალხი მივწი-მოვწიეთ. მხოლოდ ახლა გაგვახსენდა ... და თაზოს, რომ იმ დღეს საინტერესო თამაში იყო. ნინ და მელიტა გაბუტულები აძოგვიდგნენ გვვრდით, მაგრამ მალე გაერთვნენ და მხოლოდ ტაიმის დამთავრებამ შეახსენათ, რომ გვმდუროდნენ.

გზა განვაგრძეთ, თითქოს მივდევდით მზეს.

მზემ კი იცოდა, რომ ვერ დაეწეოლით და წუთიერი იმედით გვამხნევებდა — ძალიან ზანტად ჩადიოდა, ფეხს ითრევდა.

— გამოასწორე შეცდომა, იურისტო? — მეკითხებოდა თაზო.

— შენ იცი, ღმერთის არსებობაში რატომ შეიტანეს ეჭვი ადამიანებმა, იცი, თაზო? იმიტომ შეიტანეს, რომ ღმერთი არასოდეს სცდებოდა, ეს კი შეუძლებელია, თუკი არსებობ და ცოცხლობ.

— ირიდინინ როგორდა მყავს, ზაალ?

— ირიდინის ამბავს ნუ მკითხავთ. მის თანაშემწეს ოდესღაც შინ დაპატიჟებული სტუმრების სიმღერები და სუფრის ღრიანცელი ჩაუწერია ხუმრობით მაგნეტოფონზე, სტუმრებს შორის ირიდინიც ყოფილა.. ჰოდა, ამას წინათ, ვიფიქრ შემთხვევით მოასმენინა ეს ჩანაწერი ირიდინის, მას თურმე სიმთვრალეში რაღაც პოლიტიკური ანეგდოტი წამოუყრანტალებია სუფრაზე. თუ მე ხელს დამადებ და, რაც გარაჟში მოხდა, ყველაფერს შენ არ დაიბრალებ, ამ შენს ანეგდოტს, სადაც ჯერ არს, იქ მოვასმენინებო, დამუქრებია თანაშემწე. ირიდინის გული წასვლია. თანაშემწეს შეშინებია, კაცი მოვკალიო, და „სასწრაფო" გამოუძახებია.

ასეთი საოცრება ჯერ არ გვინახავსო, ჰყვებოდნენ ექიმები, — იატაკზე გაშხლართული კაცი ჩვენს თვალწინ სიცდებოდაო, ჩვენი ყურით გავიგონეთ და თვალით დავინახეთ, როგორ გასკდა ორ

აჩხრიალა და იქვე, გასტრონომში შეაბიჯა.

ჩვენც შევყევით. ორ-ორი „პრიმა“ ვიყიდეთ, ყოველ შემთხვევისათვის.

— ჩვენ? ჩვენც გვიყიდეთ რამე!

— რა გინდა, მელიტა? — ვკითხე მე.

— შოკოლადი ან...

— შენც, ნაი?

ნაიმ თავი დამიქნია.

— ახლავე, მოითმინეთ!

გასტრონომში ტკბილეულობის დახლი ცალკე იყო გამოყოფილი, მაგრამ ნოქარი არსად ჩანდა.

— რომელი გინდა?

— აი, ის. — თაროსკენ მიუთითა მელიტამ.

— შენ, ნაი?

— სულერთია.

გარეიდან თაროს ვერ გადავწვდი, ბარბაცით შევადწერე დახლში და შოკოლადის ფილები დავითვალე.

— კიდევ რა გნებავთ? — ნოქარივით საქმიანად ვკითხე მათ.

— გმადლობთ, მეტი არაფერი, გამოდი ახლა მანდედან, თორემ გაჯავრდებიან.

— ქალბატონებო, მიირთვით კიდევ რამე, — მივმართე მე, — ეს ნამცხვარი სულ ახალი მოტანილია.

ამ დროს დახლს ორი ბიჭუნა მოადგა, ცხრაათი წლისანი იქნებოდნენ, რაღაცას ეჩურჩულებოდნენ ერთმანეთს. მხრებში მოხრილი, ფერმკრთალი ბიჭუნა ჩემსკენ შემობრუნდა, სწრაფად გაშალა და მოკეცა რიი თითი, ამასობაში თქმაც მოასწრო:

— ორი ფილა შოკოლადი მომეცით. — თავი ჩაღუნა და ხურდა ფულის თვლა დაიწყო, მხრები აიჩეჩა, ამხანაგს მიუბრუნდა, რაღაც უთხრა და ორივემ გაფაციცებით დაიჩხრიკეს შარვლისა და ხალათის ჯიბეები. ის ფერმკრთალი ბიჭუნა ნამეწოდილა, თითქოს ჩემი შერცხვა, რომ ფული არ აღმოაჩნდა საკმარისი.

შოკოლადის კამფეტებით სავსე საბაგშვო მანქანა გამახსენდა... და უეცრად, ჩემს უნებურად, ისევ ის განწყობილება დამეუფლა, ზღვაზე ყოფნისას, რომ გამომაფხიზლა მოულოდნელად და მაგრძნობინა, რა იოლად ავყოლოდი თურმე სასიამოვნო დროსტარებასა და მხიარულებას. ახლა კი ბედნიერებას უფრო ხანგრძლივად გადავეწყუნინა ჩემთვის ის, ვისაც მიშველება სჭირდებოდა. ალბათ ყოველთვის უნდა გახსოვდეს, თუ რა საფრთხილოა ბედნიერება.

— აი! — მომესმა ფერმკრთალი ბიჭუნას ხმა, ფულს მიწვდიდა, ეტყობა, შეეგროვებინა. რატომღაც მინდოდა ძალიან მოვწონებოდი მას, გამეკვირვებინა და გამემხიარულებინა. ორი ფილა შოკოლადი გადავეცი და, როდესაც ფულს მოვკარი თვალი, ვითომ ძალიან გამიკვირდა:

— რა არის ეს?! როგორ გეკადრება, ბატონო, არავითარი ფული, დღეს ყველაფერს უფასოდ ვარიგებთ, დირექტორის განკარგულებაა. — ნოქარი საწყობის კარიდან იქაურებმა, სეირს უყურებდა, ანდა იმედი ჰქონდა, საქონელს გამისაღებსო. — არა, ჩემო ბიძია, ჩაიდეგ ეგ ფული ჯიბეში და დედას დაუბრუნე.

გოცებულმა ბიჭუნამ თავის ამხანაგს გადახედა, როგორ მოვიქეცო. მერე ისევ ჩემსკენ შემობრუნდა, ფული ხელში გაშეშებოდა.

ამ დროს დახლს შლაპიანი კაცი მოადგა.

— ვაშლის ტორტი გაქვთ?

— გვაქვს? — დავუძახე ნოქარს.

მან თავი დამიქნია და მანიშნა, ქვემოთა თაროზე დევსო.

— კი, ბატონო, გვაქვს, — მივმართე შლაპიანს.

— ახალია?

— რა თქმა უნდა, — კოლოფს სახურავი დავხურე და ნამცხვარი მივაწოდე.

— რა ღირს? — მკითხა მან.

— რა ღირს? — გავძახე ნოქარს.

— რომელია?

კოლოფი მაღლა ავწიე, დავანახე.

ეფიშერ ციფიანი
ცაში ასროლილი ჯუჯები

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ოცი მანეთი და ათი კაპიკი.

— ახალი ხართ? — მკითხა შლაპიანმა.

— არა, შვებულებაში ვიყავი.

ნინი, თაზო და მელიტა მოშორებით იდგნენ. შლაპიანმა ფული გამომიწოდა, კინალამ გამოვართვი.

— აჰ, როგორ გეკადრებათ, ბატონო, დღეს უფასოდ ვარიგებთ ყველაფერს, როგორ გეკადრებათ, დირექტორის განკარგულებაა! — და ბიჭუნებს გადავხედე. ისინი იღიმებოდნენ და ნიშნისმოგებით შეჰყურებდნენ შლაპიანს, რომელმაც არც კი იცოდა, რომ დღეს ყველაფერს უფასოდ არიგებდნენ.

— კაცო, შენ შვებულებიდან დაბრუნდი, თუ... — აღარ დაამთავრა შლაპიანმა — „საგიჟეთიდანო“.

— უფასოდაა, ბატონო, თუ არ გჯერათ, ჰკითხეთ ამ ყმაწვილებს!

გამხიარულებულმა ბიჭუნებმა სასწრაფოდ დააქნიეს თავები, დამიდასტურეს. ისინი უკვე რაღაც საინტერესო თამაშის მონაწილეებად თვლიდნენ თავს.

— ძალიან სასიამოვნოა, თქვენ თუ გგონიათ, არ წავიღებ ამ ტორტს, სცდებით, — გამიჯავრდა შლაპიანი, ნამცხვარი აიღო და კარებისკენ გაემართა .

ამ დროს დახლიდარი მოვიდა, იღიმებოდა.

— ოთხი შოკოლადი, ორი დიდი, ორი პატარა. ერთიც ნამცხვარი, — ანგარიში ჩავაბარე მე.

ფული გადავიხადე და დახლიდან გადმოვედი.

— გამოიარე ხოლმე! — მომძახა დახლიდარმა.

— შენ რა, გაგიჟდი? — მომვარდა ქუჩაში მელიტა.

— გაგიჟდა ერთხელ და უკანასკნელად! — თქვა თაზომ.

— ერთხელ რა, საკმარისი არ არის?

— არ არის საკმარისი, — ვთქვი გამომწვევად, რატომღაც გავღიზიანდი — ჩვენ ცოტა ზედმეტად გონივრულად ხომ არ ვცხოვრობთ, მელიტა?

სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტთან ჩვენი სვლა შეფერხდა. სტადიონიდან გამოსულ ხალხს მთელი ქუჩა გადაეთვრებინა. შემოვბრუნდით და თავი მივეცით ამ აქაფებულ, ცოცხალ ტალღას.

ყვიელ-ხივილისა და შემდნარი ხმების მხიარულ გუგუნში, კვლავ პაატა დამდგა თვალწინ... ნუთუ არ გადარჩება პაატა? ვერ დაუსხლტება ხელიდან სიკვდილს? იქნებ ეს ისევ ჩემზეა დამოკიდებული? ჩემზე და ნაიზე, ნაიზე და თაზოზე, და ამ ხალხზე, დედამიწას, რომ მოაზანზარებს? რა ვიცი, თუ მართალია ჩემი ბებია, რომ უბრალო გაფიქრებაც კი არ იკარგება ტყუილ-უბრალოდ, და როგორც კეთილი, ისე ბოროტი განზრახვა გამოდის ადამიანის სხეულიდან და თავისი დანიშნულების შესასრულებლად მიიჩქარის, მაშინ მართლა ასე უნდა იყოს, მაშინ ყველაფერი ჩვენზეა დამოკიდებული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვახტანგ ჯაფარიძე

●

როგორც ამბობენ სტატისტიკის მოყვარულები,
ორმოცდაათი მილიონი,
დაახლოებით
ორმოცდაათი მილიონი კაცის სიცოცხლე
დაუჯდა ომი გაბრაზებულ კაცობრიობას.
არა ერთი და
არა ორი
და არა სამი —
ორმოცდაათი მილიონი,
დაახლოებით
ორმოცდაათი მილიონი მოლოდინი და
ორმოცდაათი მილიონი,
დაახლოებით
ორმოცდაათი მილიონი დაფიქრება და
ორმოცდაათი მილიონი,
დაახლოებით
ორმოცდაათი მილიონი დაეჭვება და
ორმოცდაათი მილიონი,
დაახლოებით
ორმოცდაათი მილიონი დაიმედება.
დავიმახსოვროთ
ერთადერთი
მარტივი
ციფრი:
ორმოცდაათი მილიონი...
დაახლოებით
ორმოცდაათი მილიონი კაცის ღიმილი
აკლია ახლა დაფიქრებულ კაცობრიობას.

●

ომი მკაცრია.
ცა ბრიალებს,
მიწა გრიალებს,
ელოდებიან,
ეძახიან მაშველს და საშველს,
და იმეტებენ სასიკვდილოდ ადამიანებს —
ოდესღაც ჩვენი შვილებივით საყვარელ ბავშვებს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

●

რამდენჯერ უნდა დაგუგდო ყური
ფესის წვერებზე მიმავალ წამებს,
რამდენჯერ უნდა გაეტეხო პური,
რამდენჯერ უნდა გაეტეხო ღამე,
რამდენჯერ უნდა მოვბრუნდე გზიდან,
რამდენჯერ უნდა დავკარგო კვალი, —
რომ განვასხვავო სიტყვისგან სიტყვა:
მძიმე წყალი და
უბრალო წყალი.

●

ვეებერთელა სახლების იქით,
სადაც ღვივიან ელნათურები,
ადიდებული მდინარე მიჰქრის
გაურკვეველი მიმართულებით.
ხეები თავზე იდგამენ გვირგვინს,
აცვიათ მწვანე გიმნასტურები,
და ხეებს შორის
თამამად მიჰქრის
ქარი — მდინარის მიმართულებით.
მერცხლებსაც გული გაუხალისდათ,
ხარობენ თბილი ქვეყნის სტუმრები,
ერთად მიჰქრიან: ჩიტი — ქარის და
ქარი — მდინარის მიმართულებით.

ცა მოწყენილა შესაბრალისად;
მიჰქრიან ტყვიისფერი ქულები,
ღრუბელი — ჩიტის,
ჩიტი — ქარის და
ქარი — მდინარის მიმართულებით.
ხალხი კი მიდის,
ამაყად მიდის
და მიაქვს სისხლით სავსე გულები —
მდინარის
ქარის,
ღრუბლის და
ჩიტის
საპირისპირო მიმართულებით.

●

დასაბამიდან უცვლელია კანონი ღამის:
ღამე ერთბაშად ათანაბრებს —
მდიდარს და ღარიბს,
ჯანსაღს და სნეულს,
ბრიყვს და ჭკვიანს,
ზარმაცს და მამაცს,
ტუსაღს და გუშაგს,
მუნჯს და მეტყველს,
მახინჯს და ლამაზს,
ბოროტს და კეთილს,
სუსტს და ძლიერს,
მეფეს და ყარიბს —
განუკითხავად ათანაბრებს კანონი ღამის.
და მაინც ყველა მზეს შეჰხარის მხოლოდ და მხოლოდ,
თუმცაღა დღისით ზოგი ცოცხლობს და ზოგი ცხოვრობს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სხვა არაფერი

მშვიდობით, ოღონდ თვალზე
ცრემლი არ მოვერიოს.
სერგეი ესენინი

ამ გარინდებით, ამ უთქმელობით
ვეკამათები დღეებს გაფრენილს.
სხვა არაფერი, რასაც ველოდი
მხოლოდ ის მოხდა, სხვა არაფერი.

მოწყენილ მზერით მიმადლიერებ,
სხვისაკენ გეწევა ტრფობის საბელი...
სხვა არაფერი, სიცარიელე
იტირებს სულში, სხვა არაფერი.

აბა, ბედს ბედში ვინ გამიცვლიდა,
მიცადე, მართლაც დიდხანს მიცადე.
გამოვიქეცი თბილი სიზმრიდან
და შემაშინა ცივმა სიცხადემ.

ავად სისინებს დარდი ბებერი,
წარსულს აწყდება ფიქრის ნამქერი...
სხვა არაფერი, მოგონებების
გრილი ნათება, სხვა არაფერი.

ამ გარინდებით, ამ უთქმელობით
ვეკამათები დღეებს გაფრენილს.
სხვა არაფერი, რასაც ველოდი
მხოლოდ ის მოხდა, სხვა არაფერი.

შენს მოლოდინში

აქ არის ჩემი ღუნღულა ბუდე,
ჩემი მერმისი, ჩემი წარსული...
ამ ნერვებივით დაჭიმულ წუთებს
შენს მოლოდინში ამოსდით სული.

არ გამაგონო: გვეყო ბავშვობა!..
არ გამაგონო: ცოტაც მადროვე!..
ყვირის სიჩუმე სმენის დამხშობად,
ყვირის ლოდინი და სიმარტოვე.

მოდი, ამ ეჭვებს გაავლე მუსრი,
ბედს მაზიარე მაღალს და უჭკნობს...
შენ ამიხილე თვალები გუშინ
და ასე მალე არ დამიხუჭო.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შენა ხარ მიწა

ყოველთვის, როცა გამახსენდები,
მე წარმოვიდგენ: ზიხარ და ფიქრობ...
მერე ნატვრით და ოცნებით ათბობ
ჩემს შეცივებულ სახეს და მერმისს...
მე მიხარია, მე მიხარია,
რომ სულში ისევ საამოდ ფეთქავ
იმ ლურჯ დღეებად და თეთრ მზეებად
და ჩავლილ დღეთა სინათლის ექოდ.
შენა ხარ მიწა, ულამაზესი,
ანთეოსივით რომელზეც ვდგავარ...
და, თუ არასდროს გამომეცლები,
წაუქცეველი ვიქნები მარად.

ჩ ე მ ი დ ა

ერთადერთი და,
მოწყენილი ერთადერთი და
მიხმობს ყოველდღე
მიტოვებულ იმერეთიდან.
ვერსად წავსულვარ
დაბნეული თუ მოხიბლული
მე — ამ ქალაქზე
ერთგულების თოკით მიბმული.
კრამიტჩამტვრეულ სახურავის
მუდარას ვისმენ.
დედის თვალებით იყურება
ფანჯრები გზისკენ.
ერთადერთი და,
მოწყენილი ერთადერთი და
მიხმობს ყოველდღე
მიტოვებულ იმერეთიდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლაშარის ჯვარი
და ვაჟა ფშაველა

ახლა ჩემი ხმაც უნდა ისმინო:
მე ვარ ფოთოლი,
მარადისობის მწვანე სული
და ნედლი ენა
ხის ფესვების, — მე გადავწიე
ჩემი გულიდან
ლაშარის გორის დაღლილი ქვები
და მზეში მუხის
რტოებიდან გამოვისედე...

მე აღარ მათბობს
შენი ცეცხლი ნაცარწაყრილი,
ჰოი, ბებერო!
ჩემი სული მზის ძარღვებიდან
გადმოჩუხჩუხებს
და სანთელივით მომაქვს ბალახი,
სხვა გაღვივებულ ცეცხლს ვეფიცხები
და სხვა რწმენა მომყავს კრავივით...

ქალაჩუნა ვიყო თუ შენი
არსებობის რამე მჯეროდეს,
მაგრამ მაინც უნდა მისმინო,
მე ვლოცულობ
ჩარგალელ კაცზე,
საქართველოს ღმერთზე და ჯვარზე,
და ზვარაკივით მომყავს იები,
მომაქვს ფოთლები,
ხის რტოები,
ნისლი და ცვარი
და ფხოვის მთათა
ჩქერალების ბროლის ნაკადი.

შენ კი რა გიხსნის?!
ბჭეებიდან დაძრული ხავსი
ღრუბელივით მოცოცავს შენი
ნიშებისკენ,
ჰოი, ბებერო! —
არსებობა შენი დასრულდა...
მე სხვა რწმენა მომყავს კრავივით
და სანთელივით მომაქვს ბალახი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქ ა ლ ი ლ ი

მთებს წამოვყრიდი, — შენ რომ გეთხოვა...
ჰაუ, რა ჯოგს მოგილალავდი,
რა ქარავანს მოგგვრიდი კარად...
ან აგირჩევდი ლაჟვარდის სამოსს
და თეთრონ ცხენებს შეგიკაზმავდი
შენ რომ გეთხოვა,
მოგაყენებდი მკათათვის ყანებს
და შენს კარზე დავასახლებდი
მწიფობის ნათელს.
მერე კი...
მერე მოგიტანდი უცხო ყვავილებს
და ხელისგულებს
დაგიფენდი კარის დირეზე.
შენ რომ გეთხოვა...

ყ ა ნ ა

მზე აკლდა თვალებს, —
თავზე გეხურა
შენ მაღალი სახლების ჩრდილი....
მზე სუფევდა იფქლის მარცვლებში, —
ღმერთო მიცოცხლე
ყანა და ზვარი.
სული ნატრობდა,
სულ ნატრობდა
იფქლის მწიფე ძნებს....
შენი სხეული
არ წოლილა შუადღის ხვატში
მზესთან ვნებით
შეერთებული
და არ გდგომია
მხრებზე მწიფე თაველის შუქი, —
მაგრამ თავისით
ბოლოს მაინც დამწიფდა სული
სიყვარულისთვის.
გამოდი გარეთ,
მიწის კანონი
მოენატრა შენს არსებობას, —
და მწიფე ყანებს
მოაშურე
მზით ავსებული
რომ ამღერდეს
შენი სხეული.
დააგდე ჩრდილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

და იხილე
როგორ ივსება
ჩემი პეშვი დიდი სინათლით
და ელვარებით,
მოიყარე მუხლი სალუქი,
ცეცხლმოდებული
ყანა მიდგას ხელისგულებზე
და ისმინე
როგორ შრიალებს
კაცის ხელიდან
გაქცეული იფქლის მარცვალი, —
შენს არსებობას
მოენატრა სიმწიფე ყანის,
გამოდი მზეში
და მიწის კანონს
გაუხსენი კარიბჭე სულის.
მწიფე ყანების
შუქს მოაშურე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ივლისი. ბალტიის სანაპირო

პეტერგოფიდან გამოდის გემი,
გამოდის გემი, განწირული დასაღუპავად.
ათასი სული,
ათასი თვალი,
ათასი ფიქრი,
ათასი სევდა
კაიუტებში გამოკეტილა,
ანდა გემბანზე დაბორიალებს.
მე მათ ვხედავდი, როგორ გარბოდნენ
განგაშის ხმაზე სანაპიროზე.
ზღვა სიკვდილივით ცივი იყო
და თოლიები
გემის კივილზე
ფურცლებივით იფანტებოდნენ.
ბალტია სდუმდა,
დამნაშავე კაცივით სდუმდა.
მე მათ ვხედავდი, როგორ გარბოდნენ
და გაქცეულთა ოფლიან ზურგებს
ავტომატის ჯერი კენკავდა.
დაიძრა გემი...
ზუსტი გასროლა,
ზღვაურმა ნაპირს მოასხურა
კივილი და
დაფერფლილი სხეულის სუნი.
ათასმა სულმა,
ათასმა თვალმა,
ათასმა ფიქრმა,
ათასმა შიშმა
სამარადისოდ დაივანა ბალტიის ფსკერზე.
ზღვა სიკვდილივით ცივი იყო
და თოლიები
უცხო კივილზე ფურცლებივით იფანტებოდნენ.

ახლა ივლისის საღამოა,
ბალტია ცხრება,
მზე ჩაესვენა
და ასანთის ღერივით ჩაქრა.
ყურთან მიჭირავს
მათი ხმებით სავსე ნიჟარა
თვალებს ვხუჭავ და ის გაბმული კივილი მესმის,
თვალებს ვხუჭავ და აშკარად ვხედავ:
პეტერგოფიდან გამოდის გემი,
გამოდის გემი, განწირული დასაღუპავად.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

●

ბაბუაწვერებს აფრიალებს ქარი და ჩუმი
სრიალით გარბის ბალახებში პირბასრი ცელი.
ხვეს აგრილებს შეღამების წყნარი ლამუნი,
ჩემს დაღლილ მკლავებს მოთიბული მიმწუხრი შველის.

მდინარის პირას გაწოლილა გზა-შარა სოფლის,
მოვდივარ შენსკენ, გარშემო დგას მთლად საქართველო.
მომაქვს სურნელი ბალახის და ხვიარას ფოთლის,
გეხვევი ჩემი სახლის დედას, ჭერის ანგელოზს.

●

გალურსულიყო თოვლის ზოლი
მტირალა კლდეზე,
შორს, ჭალაკებში ბოგინებდა ყვითელი დათვი.
ჩვენ ხელკეტებით მივყვებოდით
მთვარის ნაკვალევს
და ჩავარდნილი წკვარამი ტყეში
ისლიჩებოდა ორკაპებით.
შიშველ სხეულზე
გვეწებებოდა გაფოთლილი ტოტების ერეოლა.
უკან რჩებოდა გამოქვაბული —
შებოლილი თიხის კედლებით,
სადაც დავტოვეთ ჩვენი ძმები
ცეცხლის გარშემო,
მაძღარნი ხორცით —
ჩათვლემილნი ძვლების გროვაში
(ჩვენი საწყალი, მაძღარი ძმები)...
ვით ნაკვერჩხლიდან ავარდნილი
წყვილი ცინცხალი
შუაღამეში მგლის თვალი გაკრთა
და დაკრეჭილი კბილების ღრენას
გადაეფარნენ ხელები ჩვენი...
გათენებამდე გვებრძოდა ხვადი
და როცა მთვარე —
მობოგინე ყვითელი დათვი,
ბრდღვიალა დათმა —
მზემ შეცვალა
და სისხლიანი
ტორებით შესძრა ტყის მყუდროება —
ძუ მგელი იწვა წყნარი და მშვიდი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

როცა ბრდღვიალა დათვს ვეთაყვანეთ,
ჩვენც სისხლიანი გვქონდა ხელები.
იქვე ესვენა კაცის მსხვერპლი —
ხვადი უსულო
და მზეს ხორკლიან ენას უყოფდა.
ჯერ ჩვენ გონებას
უჩხვერ მიწის სინედლე ჰქონდა,
და სიმწვანისგან აკივლებულ
ტყე-ტყე ვიდოდით
პირველი მკვიდრნი დედამიწისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფულიკა

(ციკლიდან „ჩემი მეზობელი კისტები")

მთელი დღე მოღრუბლული იყო ცა. ნისლი ტყვიასავით მძიმედ აწვა პანკისს. ჯანღი ებერა ხორჯასა და ტბათანას, ქორთაბუდისა და ჩხართანის ტყიან გორებს.

ციოდა.

ნაშუადღევს უფრო აცივდა. მზის ჩასვლის ხანს კი თოვა დაიწყო.

მთელი დღე ავადმყოფს ეჯდა ბისან მარგოშვილი. ერთი წუთით გარეთ რომ გასულიყო, ჩონჩხადქცეული ფულიკა მაშინვე აწრიალდებოდა, მაშინვე უიმედობითა და შიშით აევსებოდა ჩაყვითლებული თვალები და ჩხირებადქცეულ ხელებს აასავსავებდა; სად წავიდაო, აკნავლდებოდა. ხოლო, როდესაც სასთუმალთან ეჯდა, ფულიკა უფრო მშვიდად ებრძოდა სენს. ებრძოდა კი არა, უკურნებელი სენის კლანჭებში მოქცეული ჩონჩხი აღარ კნაოდა, აღარ ნერვიულობდა ისერიგად. ბისანა თუ გვერდით ეჯდა, იმ ბეჩავს ეგონა, სიკვდილი ახლოს ვერ მიეკარებოდა.

იმ დღეს, ვინ იცის, რამდენჯერ მოაკითხეს ბისანას საქმეზე, მაგრამ მისი ცოლი — არუქა ყველას ერთი და იმავე პასუხით ისტუმრებდა: — ფულიკა ძალიან ცუდად გვყავს და თავს ვერ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაანებებსო. მოსულები ბოდიშს იხდიდნენ და მიდიოდნენ.

ბისანა მთელი დღე ავადმყოფის ოთახში იჯდა; ხან სნეულს აიძედებდა, მალე გამოკეთდებიო, ხან წიგნს კითხულობდა, ხანაც ფანჯრიდან გარეთ იყურებოდა.

შებინდების ჟამს კარგა გვარიანად მოუმატა ბარდნას. ეზოები, ბოსტნები და სახლის სახურავები გადაათეთრა. მერე ის სითეთრეც სიბნელემ შთანთქა.

ბისანა ატყობდა, ფულიკას სააქო პირი აღარ ჰქონდა, ახლა ის უკვე ჭირისუფლის მოვალეობაზე ფიქრობდა. გვარ-ნათესავების იმედი ჰქონდა. იცოდა, ისინი ამოუდგებოდნენ მხარში. მართალია, მათ გვარს არ აკლდებოდა კაცი, მაგრამ ისინი მაინც მოვალენი იყვნენ ბისანას ოჯახის ჭირ-ვარამში გაეზიარებინათ. მარტო ისინი კი არა, მთელი სოფელი მოვალეა ჭირისუფალს პატივი სცეს. მერე რა, რომ ფულიკა არც სისხლითაა ამ ოჯახის ნათესავი და არც ხორცით. სამაგიეროდ, ამ კაცს ოცდახუთი წელიწადი მარგოშვილების ჭერქვეშ ჰქონდა ბინა და ესეც საკმარისია.

დაღამდა თუ არა, ავადმყოფმა წუხილი დაიწყო. ერთხანს ბორგავდა, მეორე ტკივილები დაეუფრდა და თვალები ბილულა. ბისანას ოჯახის წევრები ერთმანეთის ჩურჩულით ელაპარაკებოდნენ და ფეხის წვერებზე დადიოდნენ. არუქამ — ოჯახის დიასახლისმა — ისე გაწყო ვახშამი, საინზე კოვზი არ აუჩანებია. ქურდულად დასხდნენ ვახშმად. ბისანამ ორიოდე ლუკმის აღება კი მოასწრო და ფულიკას ისევ აეწეწა ტკივილები. ჯერ საცოდავად ამოიკვნესა, მერე ჩაყვითლებული, ჩაცვენილი თვალები გაახილა და წმარწნა დაიწყო.

— ფულიკ, ნუ გეშინია, აქა ვარ. ბისანა ზენთან არის! — იმწუთშივე ნუგეში მიაგება და სასთუმალთან ძიუჯდა.

სნეულმა არეულ-ამღვრეული თვალები მიახედა. გაღიმება სცადა, მაგრამ ტკივილებმა არ მისცეს ხება.

— ბისან, მეცილში აუდალს[1] გაეღვიძა და ხანჯალს ატრიალებს. ახლა ვიდრე არ დაიღუნა, რა გაიჩერებს. ვალალაი, ვა-ლა-ლაი! — ამოიკვნესა და თვალები ცრემლებით აევსო.

„უჰ, ამ ცრემლებისთვის არ მაყურებინა და... ხტა ეშველებოდეს რამე, სახლს კრამიტს გადავხდიდი და გადავარჩენდი“ — გაიფიქრა ბისანამ. მაგრამ რა ქნას, რა უშველოს. რაც შეეძლო, არც ფული დაუზოგია და არც ცდა დაუკლია. ჰყავდა ქალაქში, აჩვენა ყველაზე ცნობილ პროფესორს, დაიწვინა საავადმყოფოში. ოპერაციაც გაუკეთეს, მაგრამ უმალვე დახურეს. ბისანას პირდაპირ უთხრეს, არ გადარჩებაო, ურჩიეს შინ წაიყვანეო.

ფულიკას ნოეზებადქცეულ შუბლზე სიმწრის ოფლი დასასხა. ერთხანს კიდევ შეეძლო თავის შეკავება. მერე აყვირდა. ალაჰს ხან ეეედრებოდა, ხან ეჩხუბებოდა, აუდალი ჩამომაშორეო.

ალაჰს ბისანას ცოლმა — არუქამ აჯობა. ძონძებში გამოხვეული ცხელი აგური დაადო მუცელზე და ტკივილი გაუყუჩა. სნეულმა მადლიერებით სავსე თვალებით შეხედა არუქას, ოდნავ გაიღიმა და გულში თქვა: ჰაი, ალაჰ! აუდალს ცხელი აგური ჰყვარებიაო.

დაღლილმა ჩონჩხმა ისევ ჩათვლიმა. ბისანა ნელ-ნელა წამოდგა და მაგიდასთან მიიპარა.

ქურდულად განაგრძეს ვახშამი.

●

ფულიკას მთელი პანკისი იცნობს. მარტო ქისტებში კი არა, ფშავლებში, თუშებში და ოსებშიც კი, მაგრამ, ვისაც გინდა ჰკითხოთ, ვერავინ ვერაფერს გეტყვით, საიდან გაჩნდა თათარი ფულიკა ბისანას ჭერქვეშ. ამ ქისტ კაცს ვინ შეუსახლა, ან რამ შეაყვარა ეს საპყარი კაცი. ბისანას კი ახლაც გუშინდელივით ახსოვს ის თოვლიანი ღამე, როცა ამ კაცს პირველად დადაეყარა.

[1] აუდალი — გიჟი, გადარეული.

ვალერიან ჩიკურიშვილი
ფ ულ ი კ ა

...სიყრმის შვილის, მუხმადას დაბადებით გახარებულმა ბისანამ, მთელი დღე ცოლისძმისას იქეიფა.

გვიან ღამით აიშალნენ თანამესუფრენი.

ბისანამ მასპინძლებს გაცილება არ დაანება. მარტო წავიდა შინ.

სოფელში მუხლამდე იდო თოვლი. გაკვალულ ბილიკს ფეხარეული ძიჰყვებოდა. შუადამე იყო და ყველა სახლს დახუჭული ჰქონდა თვალები. ისე ციოდა, ძაღლებს ყეფა ეზარებოდათ.

სიწყნარეში გარკვევით ისმოდა სოფლის გადადმა ჩამმდინარი ალაზნის შხუილი. ბისანას ფეხქვეშ ხმამაღლა კრაჭუნობდა დატკეპნილი თოვლი.

თავის სახლს რომ მიუახლოვდა, გზისპირას, საფიხვნო ცაცხვების ქვეშ, მობუზული კაცი შენიშნა. შეჩერდა და რიხიანი ხმით დაუძახა:

— რომელი ხარ?

კაცი არც განძრეულა.

— რომელი ხარ? — ახლა ქართულად ჰკითხა.

მობუზული ლანდი ნელ-ნელა ამოძრავდა.

— აქაური არა ვარ! — ხმის კანკალით უპასუხა.

— მანდ რას აკეთებ?

— აბა, სად წავიდე?

ბისანამ ლაპარაკზე შეატყო, უცნობი არც ქისტი იყო, არც ქართველი. იგი სიცივეს აეტანა, აბაგბაგებდა, კბილს კბილზე აცემინებდა.

— შენ რა, აქ აპირებ ღამის გათევას?

— აბა, სად წავიდე? — ისე გაიმეორა, თითქოს ამ სიტყვების მეტი არაფერი იცოდა.

— სიცივისაგან ქვა სკდება, მანდ რა გაგაძლებინებს, შე ოჯახქორო! მასპინძელი არა გყავს?

— არა.

— წამოდი ჩემთან! ამაღამ მე ვიქნები შენი მასპინძელი, — შეეიავებულმა ბისანამ ხელი მოჰკიდა გაყინულ კაცს და შინ წაიყვანა.

ცალკე ოთახში დაანთეს ბუხარი. ბისანამ ბლომად შეაყარა ხმელი წიფლის შეშა და ახლოს მიუსხდნენ.

— იერ კანთ მილოხიე?[1] — ჰკითხა ღაათეიმ შვილს, როცა სტუმარი ვერ იცნო.

— დელარ, ცახიესუონ[2], — ღიმილით უპასუხა ბისანამ, — უმასპინძლოიყო და მე წამოვიყვანე.

ღაათეიმ სუფრა გაუშალა შვილსა და ღამეულ სტუმარს.

ბისანამ გაყინულ კაცს ორიოდე ჭიქა ჟიპტაური გადაუხუხვინა და მერეღა ჰკითხა ვინაობა.

— თათარი ვარ, — თქვა წვერგაუპარსავმა, თმამოშვებულმა, სამოქალაქო ომის დროინდელ ფარაჯაში გამოხვეულმა კაცმა.

— სადაური თათარი ხარ?

— ყარაჯალა.

— რა გქვია?

— ფულიკა.

— ცოლ-შვილი გყავს?

— არა.

— აბა, ვინ გყავს?

ფულიკას შიოდა. პირის მოცდენას ხვლის გარჯა ამჯობინა. ხელი გაქანგამოქანა, არავინ არა მყავსო.

— სახლ-კარი ხომ გაქვს ყარაჯალაში?

— კი, არის პატარა სახლი. ფუი, ფუი! შიგ არც შევალ!

— რატომ, კაცო? — გაუკვირდა ბისანას.

— შიგ შავი სიკვდილი ზის! — დაზაფრული, შეშინებულ-შეშფოთებული თვალები მიანათა მასპინძელს.

— შიგ რა ზის? — ისე იკითხა მასპინძელმა, თითქოს საკუთარ ყურებს არ დაუჯერაო. მერე თავიდან ბოლომდე ათვალიერ-ჩაათვალიერა სტუმარი, რადგან მის ჯანმრთელობაში ეჭვი შეეპარა.

ფულიკა მიხვდა, ამ კაცს ჩემი წათქვამი არა სჯერაო და გულზე გამეტებით მიირტყა მჯიღი.

— ამის მზემ! ალაჰის ეზემ, ზათთა-

---

[1] ეს კაცი ვინ არის?

[2] ღმერთმანი, არ ვიცი.

ლია! ვერც გავიგე საიდან მოვიდა: დედა იყო, უცებ მოკვდა. მიწაში რომ წავიღეთ, მერა მამა მოკვდა. მამაც წავიღეთ მიწაში, ახლა ძმა მოკვდა. ძმა რომ წავიღეთ, მე იქიდან ჩუმად გამოვიპარე და გამოვიქეცი. ახლა იმ სახლში სიკვდილი ზის და ფულიკას ელოდება. თუ მივა, იმასაც წაიღებს.

— „რა ჭირი დარეგვიათ ამ უბედურებს“, — გაიფიქრა ბისანამ და ჭიქა შეუვსო.

— ეგ როდის მოხდა, ფულიკ?

— ამ ზაფხულში.

— იმის შემდეგ ყარაჯალაში აღარ ყოფილხარ?

— არც წავალ! ქოდანა დიდია, ცოტა-ცოტა სამუშაოს ვიპოვნებ და ფულიკა ცოცხალი იქნება.

— იცი რამე ხელობა? რა შეგიძლია, რა სამუშაოს ეძებ?

— თოხნა ვიცი.

— მერე, შე დალოცვილო, ამ შუა ზამთარში სათოხნს რა უნდა?

ფულიკას გაეღიმა. ყბები კი არ გაუჩერებია.

ბისანა ერთხანს ჩუმად იყო. უყურებდა და ეცოდებოდა ეს გზადაბნეული კაცი.

სტუმარს უხერხულად ეჩვენა სიჩუმე. მაშინ მთელი ყურადღება მის ჭამაზე გადადიოდა. ერჩია ესაუბრა, თან ეჭამა. ამიტომ მასპინძელს ახლა თვითონ ჰკითხა:

— ქისტი ხარ?

— დიახ, ქისტი ვარ! — უპასუხა ბისანამ.

— ჰოო, კარგია! ქისტს და თათარს ერთი ალაჰია. ლოცვას აკეთებ? — დაინტერესდა ფულიკა.

— არა!

— უჰ, როგორ შეიძლება, — ეწყინა.

— შენ ლოცულობ?

— მაშ!

— მერე რა მოგცა ალაჰმა? — ჰკითხა ბისანამ.

— არც ეგეთი ლაპარაკი შეიძლება. ალაჰი გაჯავრდება. უნდა ლოცვა გააკეთო.

— ალაჰი რომ ვილოცო, რაც შენ მოგცა, მეც იმას მომცემს.

— ეეე... შენ სწავლა გაქვს?

— კოლმეურნეობის ბუღალტერი ვარ.

— ჰაი მალადეს! — გაიღიმა ფულიკამ.

— მე დურგალიც ვარ. აგერ ის უთხოვრის კარადა ჩემი გაკეთებულია.

— მართლა? ჰაი მალადეს! — წითელი კარადა მართლაც მოეწონა სტუმარს.

მეორე ოთახში ახალდაბადებული ატირდა. ფულიკამ ყბები გააჩერა და ნაღირივით აქვიტა ყურები.

— ის ვინ არის? — იკითხა.

— ჩემი შვილია, დღეს დაიბადა.

— მართლა? — ფულიკას გულწრფელად გაუბრწყინდა თვალები. მერე თვითონვე გაავსო ჭიქა და იკითხა:

— თუ ბიჭია, თუ ქალია?

— ბიჭია.

— ჰაი მალადეს! სახელი?

— მუხმადა დავარქვი.

— მუხმადას გაუმარჯოს! დიდი, დიდი კასი გაიზარდოს. მამასაც აჯობოს. ყველასაც აჯობოს.

— გმადლობთ.

ფულიკამ ჭიქა გამოცალა, ტუჩები ხელის ზურგით მოიწმინდა და ნასამოვნებმა ჩაილაპარაკა:

— იფ, იფ, იფ! ახლა ძალიან კარგად არის ფულიკა! არც სცივა, არც შიერია.

იმ ღამეს თბილად დაიწვინეს სტუმარი მარგოშვილებმა. ფულიკა იმ ღამეს ლამაზ სიზმრებს ხედავდა.

❶

მეორე დღეს ისევ გადაუღებლად თოვდა.

გზააბნეული კაცი ფანჯარასთან იდგა და ნაღვლიანი თვალებით გაჰყურებდა თეთრად გადალესილ მიდამოს.

მასპინძელი სადილობ სუფრას შლი-

და. მალე დასხდებოდნენ ჭამად. ბისანა არც ახლა დაინანებდა სტუმრისთვის გემრიელ ლუკმას და ყიბიტაურს. გაუფასჩინძლდებოდა, როგორც წესია. მაგრამ მერე? სტუმარს მერე ხომ უნდა გაეღო გზა. სად წასულიყო ფულიკა — ეს ბედდამწვარი კაცი? ვის კარს მისდგომოდა? ვინ შეიბრალებდა? ვინ შეიფარებდა?

ისე თოდა, ისე ყინავდა, ძაღლი არ გაიგდებოდა გარეთ.

ღათეემ სუფრა გააწყო.

ბისანა და ფულიკა მაგიდას მიუსხდნენ.

ცხელი სასკალი[1] გატეხეს და ნაცნობი სურნელებით აივსო იქაურობა.

მასპინძლები გულუხვობას იჩენდნენ, წამსვლელ კაცს ჭამას ანებებდნენ.

ფულიკა ჭამდა, მაგრამ ვი ისეთ ჭამას. ლუკმა ყელზე ედგებოდა. თვალი წარამარა ფანჯრისკენ გაურბოდა.

გარეთ კი თოვდა; წყიმა-უკუღმა ანვევდა ფანტელებს.

ბუხარი ღუღუნებდა, ტაკატაკუცი გაჰქონდა ხმელი წიფლის ნაჩეხებს. სასიამოვნო სითბო იდგა შინ. მაგრამ სტუმარმა იცოდა, ეს სიამოვნება დიდხანს არ გაგრძელდებოდა მისთვის. ჭამას რომ დაამთავრებდნენ, მაღლობას გადაუხდიდა კეთილ მასპინძლებს, დაემშვიდობებოდა, ჰიშკარში გავიდოდა და...

მერე უკვე წარმოდგენა არა ჰქონდა, საით წავიდოდა მისი გზა, სად იხეტიალებდა. კიდევ გადაეყრებოდა თუ არა ბისანასთანა ღვთისნიერ ადამიანს, კიდევ შეიფარებდა ვინმე თბილ ჭერქვეშ, კიდევ გაიმეტებდა ვინმე მისთვის გემრიელ ლუკმას, თუ...

თითო ჭიქა ყიბიტაური დალიეს.

არაყმა სისხლი აუჩქროლა ბეჩავ კაცს.

ბისანას კოლმეურნეობის კანტორაში აგვიანდებოდა, ჩქარობდა.

ფულიკას ჭამა უნდოდა. ვინ იცის, კიდევ როდისღა მომიწევს ჭამაო, ფიქრობდა. მაგრამ გული არ ღებულობდა საჭმელს, დარდისგან კრიჭა ჰქონდა ჩაკეტილი.

— ფულიკ, ამ ჭიქით შენ გაგიმარჯოს. შენს გზას გაუმარჯოს, შენს ბედს გაუმარჯოს! კეთილ ფეხზე გევლოს!

— მადლობა.

ბისანამ გადაჰკრა.

ეჰ, ფულიკამ ძალიან კარგად იცოდა, რა კეთილ ფეხზედაც იელოდა და რა ბედსაც შეეყრებოდა, მაგრამ რა ექნა. ძეტი რა გზა ჰქონდა.

— ამ ოჯახს გაუმარჯოს! ალაჰი იყოს მისი ქომაგი! — დაილოცა სტუმარი.

— ეგ შენი ბედის სადღეგრძელოა. ოჯახი მერე დავლოცოთ.

— ჩემთვის ბედი არ არის, რა დავლოცო?

— ნუ გეშინია, ჭკეყანა დიდია. სადმე რაღაცას ნახავ.

ფულიკამ მწარედ გაიცინა. ბისანამ იქ ღიმილში ბედის სამდურავი დაინახა ბზოლოდ. მიხვდა, რამდენიც უნდა ენუგეშებინა, ამაო იქნებოდა, თავისი უკუღმართი ბედის ამბავი ფულიკამ თვითონ ყველაზე კარგად იცოდა.

ჭამა დაამთავრეს.

ბისანამ პალტო ჩაიცვა, ფულიკამ — თავისი გაცრეცილი ფარაჯა და გარეთ გამოვიდნენ.

ისევ ხვავრიელად თოვდა. ისევ საშინლად ყინავდა.

— ცოტა შეშა დაგეჭრა, შვილო, შენ მოსვლამდე რა გვეშველება, — უთხრა ღათეემ.

— უჰ, დამაგვიანდება, — ჩაილაპარაკა ბისანამ, მაგრამ მეტი გზა არ იყო, საჩეხიდან ცული გამოიტანა და პალტოს გახდა დაიწყო.

— ბისან, მოიტა ცული, მე დავჩეხ. — უთხრა ფულიკამ.

— უჰ, როგორ გეკადრება. მე თვითონ.

— რა ძალაა, მე არსად მეჩქარება. დავჩეხავ და მერე წავალ, — თითქმის ძალით გამოგლიჯა ცული ხელიდან.

— კარგი, მაშინ მე წავალ. აბა, კარ-

[1] მჭადი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გად იყავი, — ხელი ჩამოართვა სტუმარს და ისევ ღაათეიმ შეაჩერა:

— შვილო, საღამოზე მალე მოდი. წისქვილიდან ის ფქვილი რომ არ მოვიტანოთ, ხვალ პურს ვერ გამოვაცხობთ.

— მოვალ, მოვალ, — ბისანამ ჭიშკრიდან მოაძახა დედას.

ფულიკა სამშენ მორს მიადგა და ჩეხვა დაუწყო. ხე კუჭრიანი იყო, ძნელად სკდებოდა. მაგრამ ქინმორეული ფულიკა არ შეშვებოდა. ქალების ნათქვამს — კარგი, გეყოფა, მაგ ჯადოს დაეხსენიო, — ყურადღებას არ აქცევდა. პიროფლიანი თათარი გაავებული დასცხრომოდა მის წინ ბევლშაპივით გაწოლილ ხეს და გამეტებით სცემდა. თავი არ გაანება, სანამ არ აჯობა, სანამ არ დაანაფოტა. დაჩეხილი შეშა ფარდულში შეეყარა. მერე თავისი ფარაჯა აიღო, მაგრამ ღაათეიმ არ დაანება ჩაცმა — ოფლიანი ხარ და გაცივდებიო. შინ შემოდი, დაისვენე, ოფლი შეიშრე და ისე წადიო.

ფულიკამ დაუჯერა მასპინძელს. ან როგორ არ დაუჯერებდა, იმ ეამკარიერეულს ახლა გაცივება და ავადმყოფობაღა ეკერავებოდა!

შინ შევიდა და ბუხარს მიუჯდა.

— დიდი ხანია, რაც მუშაობ, მოგშივდებოდა, — უთხრა ღაათეიმ და ჯამეურჩელს დაუწყო გადმოლაგება.

— არა, ჯერ არა მშია. ღაათეი, ახლა გამყევი და მაჩვენე ის ფქვილიანი ტომრები, მოვიტან.

— უჰ, რას ამბობ, ბისანა თვითონ მოიტანს.

— ბისანას არა სცალია.

— მერე რა! თავისი ოჯახისთვის უნდა მოიცალოს.

— გამყევი, ღაათეი. მე, აბა, სად მეჩქარება. წასვლას ყოველთვის მოვასწრებ.

ქალი უარზე იყო, მაგრამ ფულიკამ ბოლოს მაინც დაიყოლია.

მეწისქვილემ სამი ვეებერთელა ტომარა გადმოუდგა პატრონს — გუშინდელ მზად იყოო.

ფულიკამ ტომარას პირი მოხსნა, ხელახლა საიმედოდ მოაკრა და მეწისქვილეს უთხრა:

— აბა, მომეხმარე, ზურგზე მომაკიდებინე!

— მძიმეა, ვერ წაიღებ, ურემი უნდა მოგეტანათ, — უთხრა მეწისქვილემ.

— წავიღებ, აბა, ამიწიე!

ფქვილიანი ტომარა ჯერ საცალოზე შედგეს, მერე ფულიკამ ზურგი შეუდგა, ხელები საიმედოდ ჩასჭიდა ნაოჭებში. მეწისქვილემ აუწია და ნელ-ნელა გასწორდა მუხლებში.

თოვლიან ბილიკს დაადგა.

ქალი ფიქრობდა, ვიდრე შინ მივა, ან საცოდავს წელი მოსწყდებაო. მაგრამ ფულიკა როგორღაც ყოჩაღად მიაბიჯებდა. ხანდახან ფეხი დაუცურდებოდა. ქალს გული გაუსკდებოდა, ეგ არის და წაიქცაო, მაგრამ ფულიკა უმალვე მოინაცვლებდა ფეხს და ტვირთიანად მიცუხცუხებდა ბილიკზე.

— უჰ, ძალიან ჯაფა დაგადგათ. ნეტა არ წამოგველო, — უთხრა ღაათეიმ, შინ რომ მივიდნენ და ტომარა ხის ტახტზე დასვენეს.

— არაფერი დიდი ჯაფა არ დამდგომია, — გაიღიმა ფულიკამ.

— ჰაი, ბარქალ, ბარქალ![1] დანარჩენს ბისანა მოიტანს.

— არა, იმ ორ ტომარასაც მოვიტან, და მერე წავალ.

ქალმა ახლაც იუარა, მაგრამ ფულიკა წამოდგა და მარტო წავიდა წისქვილში.

მეორე ტომრის წამოღებაზე ორჯერ მიეყუდა ვიღაცის ყორეს, ორჯერ დასვენა. მესამე ტომარა კი უფრო ემძიმა. იხტიბარი მაინც არ გაიტეხა. მაინც მიიტანა შინ. ღაათეიმ რომ შეიბრალა, ფულიკამ გაიღიმა — არა, ძალიან არ გამჭირვებიაო.

ისევ თბილ ბუხართან შეიშრო ოფლი. მერე ღაათეიმ საშენი მიართვა და არაყი დაუდგა წინ. ღილანდელზე გემ-

[1] ბარქალ — გმადლობთ.

ვალერიან ჩეკურიშვილი
ფულიკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიელად ახლა ჭამა. ისევ დალოცა ოჯახი, ისევ ადღეგრძელა ახალდაბადებული. ამასობაში მოსაღამოდა კიდევაც. რა შეუძლია ზამთრის დღეს, ერთი ამოსუნთქვაა.

დადგა ფულიკას წასვლის ჟამი. რაც არ უნდა გაეჭიანურებინა, წასვლა მაინც არ ასცდებოდა. ამიტომ თვალნათლივ ამჯობინა მასპინძლის ოჯახიდან წასვლა.

უხალისოდ მისწვდა ტახტზე მიგდებულ ფარაჯას და ჩაიცვა.

„აბა, ახლა სად უნდა წავიდეს ეს ბიჭავი?“ — გაიფიქრა ქალმა და უთხრა:

— დაჯექით, ბისანას დაუცადეთ.

ფულიკა არ დაჯდა. წასვლა ჰქონდა ნათქვამი. იმ კაცსაც დილას დაეშვიდობა, ახლა აქ როგორღა დახვედრიდა?!

— კარგად იყავით, ალაჰი იყოს თქვენი ქომაგი! — თქვა ფულიკამ და გარეთ გავიდა.

სახლიდან გამოყოლილი სითბო ჭიშრამდე მიჰყვა. გავიდა სოფლის გზაზე და ფარაჯა შემოიჭუჭა.

„ეს არაფერი. სიცივე ამაღამ უნდა ნახო“, —უთხრა თავის თავს. ნელა მიაბიჯებდა გატკეპნილ ბილიკზე. ჭიშკარჩაკეტილი სახლებისკენ იყურებოდა, თვალს სტაცებდა ბუხრებიდან ამოსვლილი კვამლი.

ფულიკამ იცოდა, ახლა ყველა ოჯახში ენთო ცეცხლი და იყო სითბო. რატომღაც ეჩვენებოდა — ადამიანებმა ცეცხლისა და სითბოს ნამდვილი ფასი არ იციანო.

წინ რამდენიმე ქრისტი ქალი შემოხვდა. ჭათ სპილენძის თუნუსები ეკიდათ ზურგზე და ჭის წყალი მიჰქონდათ შინ.

ფულიკამ იცოდა, ის ქალები შებინდების ჟამს სუფრას გაწყობდნენ, ჯალაბს ავახშმებდნენ, მერე ბალღებს ლოგინში ჩაყრიდნენ, თვითონ კი საჩეჩლებს მიუსხდებოდნენ და სანაბდე ან საფარდაგე რისეს დაეწყებოდნენ ნეჩვას. ბუხრის პირს ჩამოსხდებოდნენ მამაკაცები, ქალების გასართობად ძველსა და გრძელ ამბებს გაიხსენებდნენ. ქათამყიულამდე არ დანებდებოდნენ ძილსა. მერე კი თბილი ლოგინი ელოდათ.

წუხელ ფულიკაც თბილ ლოგინში იწვა. ღმერთმა ააშენოს ბისანას ოჯახი! ორღობეში ვიღაც ახალგაზრდები მოდიოდნენ.

„იქნებ მოსაწევი ჰქონდეთ“ — გაიფიქრა ფულიკამ. როცა მიუახლოვდნენ, გვერდზე მიდგა და მორიდებით ითხოვა. პაპიროსის თხოვა სირცხვილი არ არის, მაგრამ ფულიკას ყველაფრისა ერიდებოდა.

ბიჭები შეჩერდნენ. ჯიბეები მოიჩხრიკეს. ერთმა სიგარეტის კოლოფი გაუწოდა, მეორემ ასანთი გაკრა. ფულიკამ გააბოლა, მადლობა მოახსენა და უაზროდ განაგრძო სიარული.

მთავარ გზაზე გავიდა. საფიხვნოსთან შეჩერდა. დათოვლილ ცაცხვებს შეხედა. აი, ამ ცაცხვების ქვეშ ბაგბაგებდა სიცივისაგან, შუაღამისას აქ ნახა ბისანამ, აქედან წაიყვანა შინ.

წუხელ ალაჰმა ბისანა მიუგზავნა მხსნელად. ამაღამ კი ამ დათოვლილმა ცაცხვებმა უნდა შეიფაროს.

„კიდევ კარგი, თოვს. ნეტა, ამაღამ სულ ითოვოს. თოვაში ისე არ ცივა, როგორც მოდარებულ ღამით“. — ლაპარაკობდა გულში.

ფულიკა ხარბად ეწეოდა. ხან ნამწვავს დახეთვავდა, მთავრდება თუ ჯერ არაო, ხან ცაცხვებს შეჰყურებდა, ხანაც აქეთ-იქით იყურებოდა, თითქოს უკეთეს თავშესაფარს ეძებდა.

— კაცო, შენ ისევ აქა ხარ?

ფულიკა შემკრთალი შეტრიალდა. მის წინ ისევ ბისანა იდგა. ილლიაში გატენილი საქაღალდე ჰქონდა ამოჩრილი. იმავე ხელში საანგარიშე ეჭირა და კოლმეურნეობის კანტორიდან შინ მიდიოდა.

— რა ქენი, ვერსად ნახე საქმე?

— ის მორი სულ დავჩეხე, დავკუწე და ჩარდახში შეეყარე.

ბისანა უცებ ვერ მიხვდა, რა მორზე ელაპარაკებოდა, მერე გაახსენდა.

— ჰოო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მერე ის სამივე ტომარა ფქვილი ბოვიტანე თქვენსა.

— ფქვილი მოიტანე? ურემი სად იშოვეთ?

— ზურგით.

— რას ამბობ, კაცო?..

— მერე რა, არც ისე მძიმე იყო, — გაიღიმა ფულიკამ.

— მძიმე როგორ არ იყო, მე არ ვიცი!

— მერე ღაათეიმ პურიც აჭამა, არაყიც დალევინა ფულიკას და წამოვედი.

ბისანამ თავისუფალი ხელით პაპიროსი ამოიღო, ფულიკას ნამწვავი სიგარეტით მოუკიდა და ჰკითხა:

— ახლა რას აპირებ?

— ახლა წისქვილის წყალთან გადავალ და ლოცვას გავაკეთებ.

„ოი, შე საცოდავო! ალაპს რომ ნამუსი ჰქონდეს, შენ ასე ეამკარარეულს გატორღიალებდა?!“ — გულში თქვა ბისანამ. მან არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო. უსინდისოდ დამშვიდობებოდა, მიეტოვებინა ქუჩაში ალაპის იმედად, თუ ისევ შინ წაეყვანა.

— მერე სად აპირებ წასვლას? — მაინც ჰკითხა.

— რა ვიცი, ქოღანა დიდია.

„ქვეყანა კი არის დიდი, მაგრამ შენ რა, შე საცოდავო?“ — ისევ გაიფიქრა ბისანამ.

„ახლა ეს რომ აქ დავტოვო, ამაღამ იმ ცაცხვის ქვეშ ამოსძვრება სული და სოფელი გაილანძღება — კაცი სიცივეს მოაკვლევინესო. რაც არ უნდა იყოს, ადამიანის შვილია, როცა ალაჰს არა სცალია მისთვის, ადამიანმა მაინც არ უნდა შეაქციოს ზურგი“.

— ფულიკ, წამოდი, ამაღამ ისევ მე ვიქნები შენი მასპინძელი. ხვალ კი რამეს იღონებ.

— არა, ბისან, სირსხულია. ბრძენს უთქვამს, ოჯახს მეორედ სიკვდილიც არ მოუბრუნდებაო. ვერ წამოვალ.

„პატიოსანი კი ჩანს ეს საწყალი“, — ვაიფიქრა და სახელოში წაავლო ხელი.

— შენ ხომ შენით არ მოდიხარ. მე მიმყევხარ, ჩემზე იყოს ის სირცხვილი წამოდი! — გაქაჩა.

ფულიკა გაპყვა.

●

დილით ბისანამ შეამჩნია, რომ ფულიკა ისევ სევდიანი თვალებით იყურებოდა ფანჯარაში. უყურებდა ამ ნაადრევად გაჭაღარავებულ კაცს და გული სიბრალულით ეკსებოდა, რადგან იცოდა, ფულიკას ალაპის ანაბარა დარჩენის შიში სტანჯავდა.

„საპყარს ვინ შეიცოდებს, ვინ შეიკედლებს, ვინ გაიმეტებს მისთვის ლუკმას? ვინ გაუზიარებს თბილ ჭერს?“ — წუხელ მთელი ღამე ამაზე ფიქრობდა ბისანა და ახლაც იგივე უტრიალებდა თავში. ვერ იქნა და ვერ გახდა გულცივი. რამდენჯერმე თქვა კიდევაც გულში: რა ჩემი საქმეა, სადაც უნდა წავიდეს და როგორც უნდა ისე იარსებოსო. თქმით კი თქვა, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ თავის თავს შეეკამათა:

„როგორ თუ არაა შენი საქმე? აბა, ვისი საქმეა? აბა, რა არი კაცის საქმე? მაშინ, ეგრე თუ ვილაპარაკებთ, სმა-ჭამის მეტი საქმე არ გქონია. მაშინ კაცი კი არა, ბურცუფი[1] ყოფილხარ. ბურცუფი ფიქრობს მარტო ჭამაზე და არავის საქმეში არ ერევა. ხოლო კაცს კი კაცობა მართებს. ვითომ რა დამიშავდება, ეს კაცი რომ გარეთ არ გავაგდო და ამ ზამთარს ჩვენთან იყოს?...“

ბისანა წამოდგა და გაჯავრებულივით გავიდა დედასთან მეორე ოთახში:

— ნაანეთ, მომკალი თუ გინდა. არ შემიძლია, მე ამ უყისმაოო კაცს ვერ ვეტყვი. ადექი და სადაც გინდა წადიო.

— შენი თქმა რად უნდა, თვითონ წავა.

— სად?

— მე რა ვიცი.

— არც შენ იცი, არც — მე და არც

[1] მაჩვი

ვალერიან ჩეკურიშვილი
ფულიკა

თვითონ იცის. ადამიანის შვილია... როგორ ვუთხრა ასე, სადაც გინდა წადიო...

— აბა, რას ფიქრობ? — ჰკითხა დედამ ბისანას.

— იყოს ამ ზამთარს ჩვენთან. მე მაგისი ჭამა ვერ გამაღარიბებს, ერთი ხელი ლოგინიც გინდ გქონია, გინდ — არა. გაზაფხულზე კი სამუშაოები გაჩხდება სოფლად და მერე როგორმე მონახავს თავის გზას.

— რა ვიცი, როგორც შენ იტყვი, შვილო, ოჯახში კაცი შენა ხარ.

— ჰო, ნაანეი, ნუ გავაგდებთ, ცოდგაა.

— იყოს, შვილო, იყოს. ალაჰმა მაინც მუხმადას დაბადების დღეს მოიყვანა ჩვენს კარზე და ნუ ვკრავთ ხელს.

ღაათვი საერთოდ კეთილი გულის ქალი იყო და წინ არ აღუდგა შვილის სურვილს.

ბისანამ გულიდან დარდი მოიშორა და გახარებული გავიდა სტუმართან:

— რა იყო, ფულიკ, რამ დაგაღონა, რას გაჰყურებ ფანჯრიდან?

— თოვს, — ნაძალადევად გაიღიმა ფულიკამ.

— ითოვოს მერე, რა გენაღვლება!

— ეჰ! — ამოოხრა სტუმარმა. ამით თითქოს იმის თქმა უნდოდა, სხვისი ჭირი ღობეს ჩხირიო.

— აქ ხომ არ გცივა?

— ჰო, აქ არა ცივა. სიცივე გარეთაა.

— შენც ნუ გახვალ გარეთ და არ შეგცივდება.

ფულიკამ გაოცებული თვალებით შეხედა მასპინძელს, რას მეუბნებაო.

— ფულიკ, აი, რა გითხრა. ამ ზამთარს იყავი ჩვენთან. მე აქ შენი გასაკეთებელი არაფერი მაქვს. გადი სოფელში, გაიარე, გაიკითხე, იქნება საქმე იშოვო. იმუშავე და მოაგროვე ფული. გაზაფხულზე კი იმდენი სამუშაო გამოჩნდება, ვერც აუხვალ.

ფულიკა ისევ გაკვირვებული თვალებით უყურებდა მასპინძელს. პირველად ეგონა, ყურმა ჰომატყუა, მომეჩვენაო. მაგრამ ბისანამ კიდევ რომ გაუმეორა, წვერგაუპარსავ თათარს სიხარულისგან გული ყელში ამოეჩხირა და კინაღამ შებღალა. ასეთი დიდი სიხარულისა ლობის დროს განუცდია მხოლოდ. ისიც, ვინ იცის, რაზე, ალარც კი ახსოვს, მაშინ პატარა იყო და დიდი სიხარულისთვის პატარა მიზეზიც ყოფნიდა. ახლა კი...

„უჰ, დაილოცის ალაჰის მადლი“, — თქვა გულში და შვებით ამოისუნთქა. ახლა ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს უზარმაზარი საცალო მოეხსნას მხრებიდან.

„აკი ალაჰი არ არისო!“ — ზეიმობდა გულში. კაცმა შეიცოდა და ალაჰს მადლობას სწერავდა.

ასე დარჩა ფულიკა იმ ზამთარს ბისანა მარგოშვილის ჭერქვეშ.

●

სოფელში საქმეს რა გამოლევს. ფულიკამ გარე სამუშაოებს, მართლაც, მოჰკიდა ხელი. ზოგს შემას უზიდავდა ტყიდან, ზოგს ხემასალის ჩამოტანაში შველოდა. ისე რომ, თუ კარგი ამინდი იდგა, ფულიკას საქმე ყოველთვის ჰქონდა. გასამრჯელოზე არასოდეს ვაჭრობდა, რასაც შეაძლევდნენ ყაბულს იყო.

საღამოს ცოტა გადაკრული ბრუნდებოდა შინ. სიცილით შეადებდა ჭიშკარს, ჯიბიდან ამოიღებდა იმ დღეს აღებულ ფულს და ღაათვის აძლევდა.

ქალს პირველ ხანებში ეგონა, შესანახად მაბარებსო. ისიც კაპიკ-კაპიკ უგროვებდა. მაგრამ ერთ დღეს ბისანას საჩქაროდ დასჭირდა ფული და ფულიკას სთხოვა. მასესხე, რამდენიმე დღეში ჩაგაბარებო.

ფულიკას გაუკვირდა. მე ფული არა მაქვს, ის კი, რაც ღაათვის მივეცი, ოჯახისაა და როგორც გინდათ, ისე მოიხმარეთო.

ბისანამ მაშინ წესიერად არც კი მოისმინა ფულიკას ნათქვამი. ეჩქარებოდა. ხელი გაიმართა და როგორც შეპირდა, მალე მიუტანა ფული პატრონს. მადლობა უთხრა და მიუთვალა. ფულიკამ კინაღამ ტირილი დაიწყო, ამ ფულს

ეროვნული ბიბლიოთეკა

თქვენ იმიტომ მაძლევთ, ჩემი წასვლა გინდათო.

ისევ დაათეიმ ჩაიბარა ფული და ხიზანი დამშეიდდა.

გაზაფხულზე სოფელში სამუშაოები გახშირდა, დღე ერთი იყო და, ოთხი კაცი მოსდიოდა, ხვალ ჩემთან იმუშაეო. ფასსაც თვითონვე მოუმატეს, ეხეკუ-ბოდნენ კიდეც.

ფულიკა თავს ბედნიერად გრძნობდა. საქმე თავსაყრელად ჰქონდა და აღარც თავშესაფარზე ფიქრობდა.

თვალსა და ხელს შუა გაეპარა გაზაფხული. ზაფხულიც ჭაპანწყვეტაში მიიწურა. შემოდგომის ერთ საღამოს კი მასპინძლებმა საკმაოდ მოზრდილი თანხა გადმოუთვალეს და უთხრეს: აი, შენი ნაამგარი, როგორც გინდა, ისე მოიხმარეო.

ფულიკა მიხვდა, ეს რასაც ნიშნავდა. იგი ოჯახიდან უნდა წასულიყო. კი დაღონდა, მაგრამ სამფურავი მაინც აკ ეთქმოდა. მთელი ზამთარი შეიფარეს, გაზაფხული და ზაფხულიც გაატარებინეს. ახლა შემოდგომა იწყებოდა და თავისი გზა უნდა მოენახა.

ხიზანმა უხმოდ გამოართვა ფული, მივიდა და აკვანში ჩაკრულ ჩვილს სასთუმალის ქვეშ ამოუდო. თუ ჩემია, მაშინ ეს ფული მუხმადასთვის მიჩუქნიაო. მერე თავისი ფარაჯა აიღო და წასვლა დაიპირა.

გაკვირვებული ბისანა წინ გადაუდგა. მოიპარუნა, დასვა და გვერდით მიუჯდა. რაღა არ ელაპარაკა, როგორ არ არწმუნა, რომ ის ფული მას დასჭირდებოდა, რომ აუცილებლად უნდა წაეღო. მაგრამ თათარმა ყურზე არ მოიკიდა ხელი. ცოცხალი თავით, მაგ ფულს ჯიბეში არ ჩავიდებო.

ბისანა ვერაფერს გახდა ამდენი შეგონებით და შეწუხდა: ამ ბეჩავის შეხიზნებით ეგონა კაი კაცობას ჩადიოდა. ახლა კი შებრუნებით გამოსდიოდა. სოფელი გაიგებდა ამ ამბავს და გაკირდადნენ — ამდენი ხანი ამუშავეს და ბოლოს ცარიელ-ტარიელა გააგდესო. ან, კიდევაც რომ არავის ეთქვა რამე, თვითონ ბისანამ ხომ იცოდა, ამოდენა თანხის ღამისთევაში დატოვება კაი კაცობა რომ არ იყო!

„რა მჭირს ახლა იმის ფასი, რომ ამ ბეჩავის ნაოფლარი არმად დავიტოვო. რა ყელში უნდა ჩავიდეს, ან ბავშვს როგორ დავუსაბარჯო. მერე ხომ სიკვდილამდე ხინჯად დამრჩება გულში", — ფიქრობდა ბისანა. ერთხანს გადაწყვიტა, ვუყვირეს და ძალით აეაღებინებო. მაგრამ არც ეს გამოვიდოდა ლამაზი. ეს იმ კაცის აღალი გულისთვის წიხლის დაკვრა იყო. არა და...

— ფულიკ, აქედან ფეხი არ მოიცალო .დარჩი კიდევ ცოტა ხანს და მერე რამეს მოვიფიქრებთ, — უთხრა ბისანამ.

დარჩენაზე კი არ უთქვამს უარი. პირიქით, გაეხარდა კიდეც.

ბისანა ბევრს ფიქრობდა, რა გაეკეთებინა ისეთი, რომ ამ კაცის ვალში არ დარჩენილიყო. იფიქრა, იფიქრა და ნახა გამოსავალი: ფულიკას მაგიერ განცხადება დაწერა კოლმეურნეობის გამგეობის სახელზე — გთხოვთ, წეერად მიმიღოთო. მიიღეს და საკარმიდამო ნაკვეთიც გამოუნახეს. ბისანა ხელოსნებს მოურიგდა და ფულიკას დაგროვილი ფულით იმ ნაკვეთში პატარა, კოხტა სახლი ააშენებინა. მერე ერთ ჩიჩენ ქვრივ ქალს შეუჩნდა და იმდენი ელაპარაკა, იმდენი ეჩიჩინა, ვიდრე ფულიკას ცოლობაზე თანხმობა არ ათქმევინა.

ქორწილი ვერა, მაგრამ პატარა პურმარილი კი მოუწყო ძმობილს. ახალი ჭერი, გაღვივებული კერა და ბედი დაულოცა. გამოშშვიდობებისას კი იმედიც დაუტოვა: თუ რამე გაგიჭირდეს, მე აქა ვარ, ნუ გეშინიაო.

ახლა სოფელში აუგს ვერავინ იტყოდა ბისანა მარგოშვილზე და კაცმა შეებით ამოისუნთქა.

ბედნიერი კაცი გახდა ფულიკა. სა-

ვალერიან ჭეკურიშვილი
ფულიკა

კუთარი ჭერი ეხურა თავზე. ქალიც მშრომელი და პატივისმცემელი გამოდგა. სამუშაოდან მობრუნებულს შინისკენ მიუხაროდა. იცოდა, შინ დახვდებოდა გაღვივებული კერა, გაღიმებული ცოლი და ცხელი კერძი. დიდ რამედ ეფიქრდა ისიც, რომ კომლთა სიაში მისი გვარიც ეწერა. სოფელში კი ძმასავით ეგულებოდა ბისანა.

და ეს ყველაფერი მის ყველაზე თამამ ნაოცნებარსაც კი აღემატებოდა, მაგრამ ბედნიერება დიდხანს არ შერჩენია. ნათქვამია: მოტეხილს მოსტეხდიანო. მათი შეუღლებიდან ერთი წელიც არ გასულიყო, რომ ერთ კუნაპეტ ღამეს ფულიკას ცოლს ბრმანაწლავამ შეუტია. საწყალი კაცი უმწეოდ აწრიალდა. არც იცოდა, რა ეშველა, ვეღარც მეზობლებს აღვიძებდა, ერიდებოდა, ბოლოს იძულებული გახდა და ფეხზე დაადგინა პატარა უბანი.

ვიღაცა გაიქცა და უბნის ექიმი მოიყვანა.

მკურნალმა ავადმყოფი გასინჯა თუ არა, დასკვნა, სასწრაფო ოპერაციაა საჭიროო, თვითონ ოპერაციის გამკეთებელი არ იყო, საამისო არც პირობები გააჩნდა. ამიტომ შოფერთან აფრინეს კაცი. ვიდრე ის გაღვიძეს, ვიდრე მანქანა მოიყვანეს, ვიდრე ავადმყოფი რაიონის საავადმყოფოში მიიყვანეს, საკმაოდ დიდი დრო გავიდა. ოპერაცია კი კაუკეთეს, მაგრამ მას სასწრაფო აღარ ეთქმოდა და არც ეშველა არაფერი. გამთენიის ხანს ჩეჩენი ქალი გარდაიცვალა.

ალაპმა ასე წაართვა საწყალ კაცს ადამიანის ნაჩუქარი ბედნიერება.

ფულიკა ისევ მარტო დარჩა.

მას ახლა ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს გაეძარცოთ, თითქოს აურაცხელი განძი წაერთმოთ და შუა გზაზე მიეტოვებინოთ.

დარდიანი კაცი ჟიპიტაურს მიეძალა. რასაც იღებდა, არაყში ხარჯავდა. დღე ისე არ გავიდოდა, რომ სადმე ორღობეში არ ენახათ ტალახში წაქცეული და უგონოდ მთვრალი: ასე რომ გაგრძელებულიყო, არც მას ეწერა დიდი დღე. ამიტომ ისევ ბისანამ მოჰკიდა [illegible] ისევ მან შეიფარა და დიდი ჩხუბით, დიდი ამბით ძლივს დაათმობინა სასმელი.

ბისანას იმედი ჰქონდა, ალბანას ჩალხანა არ დაელევაო. მაგრამ გავიდა ხანი და არცერთმა ბეჩავმა ქისტმა ქალმა არ ინდომა ფულიკას ცოლობა. თვითონ ფულიკაც დიდ უარზე იყო — ალაჰს რომ ჩემი ბედნიერება ნდომოდა, შენს ნაჩუქარ ბედს ხელიდან არ წამგლეჯდაო.

არაფა, ბისანამ ხელი ვეღარა ჰკრა ისედაც გზის ძირს გადავარდნილ კაცს. ვერ გაადგო, რადგან სოფელში იმ ბეჩავ თათარს რატომღაც ბისანას ძმობილს ეძახდნენ. თუმცა ძმობა ნათქვამი არა ჰქონდათ და არც ფიც-ვერცხლი ჰქონდათ ნაჭამი. ვერ გაადგო და სამუდამოდ შემორჩა ბედდამწვარი ფულიკა ბისანას ჭერს.

ეს იყო ოცდახუთი წლის წინათ.

❀

— ბისან, ჰაი ბისან!

— აქა ვარ, ფულიკ, აქა ვარ!—გვერდით მიუჯდა ავადმყოფს.

— აუდალმა ისევ გაიღვიძა.

— ნუ გეშინია, ფულიკ, ნუ გეშინია! არუჟა ახლავე მოიტანს ცხელ აგურს.

ავადმყოფს შუბლზე ჭირის ოფლი ეკასხა. აწრიალდა. ხელის თითებს ნერვიულად კრუნჩხავდა, მაგრამ ტკივილებს ვერ იქარვებდა და ვეღარ ითმენდა.

არუჟამ უმალვე მოუტანა ძონძებში გახვეული ცხელი აგური და მუცელზე დაადო, მაგრამ ოდნავადაც არ უკლო ტკივილმა.

— ვალა-ლაი, ვა-ლა-ლა-ი! — კვნესოდა ავადმყოფი.

— მუხმად, ადექი, შვილო, მანქანა დაქოქე, წადი და მოიყვანე ექთანი! — უთხრა ბისანამ.

მუხმადა უმალვე წავიდა. ხოლო უკან რომ მობრუნდა, ფულიკა უკვე თოფდაკრული დათვივით ღმუოდა. ექთანმა

ესსწრაფოდ გაუკეთა ნემსი და აუდალმაც უმალვე ჩაგო ხანჯალი ქარქაშში. დაღრეჯილი სახე ნელ-ნელა გაებადრა ავდმყოფს. მის უფერულ ტუჩებს, უფერულივე ღიმილი დაეუფლა. მერე თვალები მილულა და ზღაპრულ სამყაროში სამოთხის ჩიტივით დაიწყო ფრენა.

...გაზაფხულია, პირველი გაზაფხული. მთელი ქვეყანა ყვავილების ზღვაში იიწეგა. ყველა ხე ჰყვავის. საფიტნონ ცაცხვებს ყვავილი გამოუსხამთ, იდაის ქვის ყორესაც თეთრი ყვავილები გამოუპენტია, ნახევრად დამპალ საშეშე მორებსაც... ფულიკა მხრებს ფრთებივით აქნევს და ჩიტივით დაფრინავს.

ნელი სიო უბერავს.

ფულიკას შეუძლია შიშველი ფეხებით შედგეს იმ ნიავზე და აღმა-დაღმა იაროს.

საიდანღაც დაფა-ზურნის ხმა მოუტანა ნიავმა ფულიკას. ფულიკა იქითკენ გარბის. უხარია და ცამეტ-თოთხმეტი წლის ბიჭივით გარბის.

— ფულიკ, სად გარბიხარ?

— ფულიკ, რად გარბიხარ?

მისმახიან ვიდაცეები.

— ჯამბაზი ჩამოსულა, ჯამბაზი, — დაღესტნელი მუხტარა. ჰეჰეი, ქისტებოოო! მოგროვდით, ბათაკას წისქვილთან, დიდი კაკლების ჩრდილში მოგროვდით, მუხტარა ალაჰს ილოცავს და მერე თოკზე იცეკვებს.

და უცებ მოგროვდა ხალხი ბათაკას წისქვილთან, კაკლების ჩრდილში. ქალებს წითელ-ყვითელ ვარდებიანი კაბები აცვიათ კოჭებამდე, თავზე აბრეშუმის გრძელფიჩანი თავშლები ახურავთ, გულზე ვერცხლის ფულებიანი მდიდარი შიბები ჰკიდიათ. იცინიან, მზეს თვალსა სჭრიან თავისი ღიმილით, კისკისებენ და დიდ ამბავში არიან.

— აბა, შუაიფ, აბა, უმი, თქვენს ზურნებს ჩაჰბერეთ. მედოლევ, დოლს დასცხე. ხადიზამ უნდა იცეკვოს. მუხტარა თოკზე ისე არ ავა, რომ ხადიზ გასანოვმა დაბლა არ იცეკვოს.

ფულიკას შვინდფწალის წკეპლა უჭირავს და წრეში მარიფათიანობს:

— აბა, განი, აბა, განი! — კაცის ფეხებს დასარტყმელად დაეღირება, ქალისას მოკრძალებით ჩაუვლის.

მიდგნენ და მოდგნენ ქალ-ვაჟები, დიდი წრე შეიკრა.

— ხადიზ, ჰაი ხადიზ, ჰაუალ, ვოქ, დახიხვალ![1] — ეხვეწებიან აქეთ-იქიდან.

უარის თქმა ამაოა. ხადიზამ იცის, არ მოეშვებიან. წრეში გადავიდა, გაიღიმა, ოქროს კბილი ეშმაკის თვალივით გაალვა, ლამაზმანებს გადახედა და მერეღა გამალა მკლავები. გაშალა და უეცრად ზურნის ხმაზე ისე შედგა, როგორც მუხტარა — გასანილულ თოკზე. შედგა და ზედ აცეკვდა.

— ჰაატ, მარჯა!

— ჰაატ, მარჯა!

მუხტარას ცეცხლი სცვივა ფეხებიდან. კაცმა რა უნდა იხილოს უფრო ლამაზი:

— დალაახკარ[2], შუაიფ!

— დალაახკარ, უმი!

— დათუახ,[3] მედოლევ!

ხადიზა ცეკვავს, ხადიზა და ძარეი! ძარეის კოჭებამდე მოქარგული თეთრი კაბა აცვია, გულზე მდიდარი შიბი ჰკიდია და ვერცხლის ფულების წკრიალით ტრიალებს წრეში. ხადიზა ცეკვით მიჰყვება და მოჰყვება მხრებგაშლილ ძარეის, თითქოს რაღაცას ეევდრება, თითქოს რაღაცას ემუდარება, თითქოს რაღაცას უმტკიცებს.

— ჰაატ, მარჯა!...

— ჰაატ, მარჯა„!...

...ხადიზა არასოდეს არ ცეკვავს დიდხანს. ახლაც ოვალს ისე სწყურეოდა მათი ხილვა, მაგრამ ქალი თავის ადგილამდე მიაცილა, თავი დაუკრა, დაემშვიდობა, მოტრიალდა, ფულიკა გადაიყ-

---

1. ხადიზ, გამოდი, იცეკვე
2. დაუკარ!
3. დასცხე!

ვანა საცეკვაოდ. თვითონ კი გვერდზე მიდგა და ტაშის დაკვრა დაიწყო.

ფულიკა არასოდეს არ იფასებს თავს. ერთი თქმა და, უმალვე მზად არის.

— ჰე-ჰეიიი! ფულიკას გაუმარჯოს!

ბისანამ ჯიბიდან თუმნიანები დაადრო და დამკვრელებს ჩამოურიგა:

— აბა, დალაბჯარ, უმი!

— დალაბჯარ, შუაიფ!

— დათუან, მედოლევ! ლოთიანად დაუკარით, ჩემი ძმა, ფულიკა, ცეკვავს.

მერე მიტრიალდა და ყველაზე ლამაზი ქალიშვილი — გიჟდაუთას უმცროსი და, ქაუსეი, გადმოიყვანა საცეკვაოდ.

ფულიკა ცას სწვდება სიხარულით და ღიმილს ვერ მალავს. ხადიზასავით მარიფათიანად მიჰყვება და მოჰყვება ქეერათმიან ქაუსეის. ხალხი კი მაინც იცინის.

იცინონ რა!

ზოგს შეიძლება შურს კიდეკაც. ფულიკა ყველაზე ლამაზ ქალთან რომ ცეკვავს.

— ჰე-ჰეიიი! ფულიკას გაუმარჯოს!

— ჰაატ, მარჯა!

...და უცებ ხალხიდან გამოვარდა დატყვრეცილი. გიჟდაუთა. ჩასისხლიანებული თვალები ფულიკას მიანთა, იშიშვლა ხანჯალი და მუცელში უგანა!

— აააააა... ვალალი! ვალალი!... რა დაგიშავე, დაუთა? რად მკლავ, შე უღმერთო! — განწირული ხმით აღრიალდა ავადმყოფი.

— ფულიკ, აქა ვარ, შენი ბისანა აქ არის, ნუ გეშინია! რატომ წამოხტი? დაწექი, დაწექი!

— ბისან, მიშველე, გიჟდაუთამ მომკლა, ქაუსეისთან რატომ ცეკვავ.

— ფულიკა, ეგ მოჩვენებაა.

— არა, ბისან, აი, აქ მატყაა ხანჯალი.

— სამი წელია, რაც გიჟდაუთა ცოცხალი აღარ არის, ის თვითონ წამოეგო სხვის ხანჯალზე.

— აბა, მაშ ვინ იყო, ან აქ რატომ მტკივა? — მუცელზე იდებს ხელს.

— ალბათ, ისევ აუდალს გაეღვიძა.

— ჰო, ალბათ, გაეღვიძა.

არუჟამ უმალვე მოაშველა ცხელ ავური. მაგრამ სნეული მაინც იგრძნობდა იშარწნება, მილეული ხმით ითხოვს შველას. ითხოვს, იმ თეთრხალათიან ექთანს დაუძახეთო.

ბისანამ გარეთ გაიხმო მუხმადა.

— წადი, შვილო, ისევ ჩამოიყვანე ექთანი. უთხარი, ამაღამ სულაც აქ დარჩეს. არა მგონია, რომ დილამდე გააღწიოს. არ მინდა, რომ ტკივილებმა დატანჯოს. რამდენჯერაც დასჭირდება, იმდენჯერ გაუკეთოს ნემსი. იქიდან ბიძაშვილებს ჩამოუარე და გაიგიეძე. მოვიდნენ, ჩემთან ერთად მათაც უთიონ უკანასკნელი ღამე.

მუხმადა წავიდა.

მამლებს ჯერ კიდევ არ ეყივლათ.

ავადმყოფმა შუაღამისას მოიხედა. მილეული თვალები გაახილა და შინაურები ჩამოათვალიერა. არუჟამ ჰკითხა, ხომ არაფერი გინდაო. ფულიკამ თავი გააქანა-გამოქანა. მერე ისევ ვიღაცას თუ რაღაცას ეძებდნენ მისი ჩაყვითლებული თვალები.

— ფულიკ, ვის ეძებ? — ჰკითხა ბისანამ.

ფულიკამ ახლოა შენიშნა მაგიდასთან მსხდომნი — ბისანა და მისი ბიძაშვილები. მათ სუფრისთვის ზურგი შეექცია და ავადმყოფს უყურებდნენ.

— ბისან, რასა ჭამთ? — იკითხა სნეულმა.

— შენ რას ისურვებ, ფულიკ?

— შემწვარი ხორცის სუნსა გგრძნობ, — თქვა და ტუჩები მოილოკა.

ბისანა უმალვე წამოდგა და თეფშით ლოგინში მიუტანა საჭმელი.

ფულიკა როგორღაც ყოჩაღად წამოჯდა. დაქმეთებულივით დაიწყო ჭამა. ლუკმას არ ღეჭავდა. ერთს მოაქორაკლებდა პირში და ყლაპავდა. ბისანას შეეშინდა, ასე შეეჭმელი ამდენი ხნის ნაავადარს რა კეთილს დააყრისო. ჯერ არიგებდა დაეღეჭა, მაგრამ ავადმყოფი ძვლებსაც გადასაყლაპად რომ დაეღირა, უმალვე აართვა თეფში. ფულიკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

წართმეულს წაეპოტინა. ვერ მისწვდა და თვალი გააყოლა.

— მეტი არ გინდა, ვაი თუ გაწყინოს, — უთხრა ბისანამ.

ფულიკას ხმა არ ამოუღია. ცოტა ხანს აქეთ-იქით იყურებოდა, მერე წამოდგომა დაიპირა.

— რატომ დგები? — ჰკითხა არუქამ.

ავადმყოფმა უაზროდ გაიღიმა.

ბისანა მივიდა და ფრთხილად დაიწვინა.

— ბისან, ახლა ღამეა? — იკითხა სნეულმა.

— ჰო, ღამეა.

— მალე გათენდება?

— კი, მალე გათენდება!

ფანჯრიდან შავი ღამე ავი თვალით უყურებდა ავადმყოფს.

ფულიკა კედლისკენ გადაბრუნდა. ერთხანს ასე იყო. მერე უცებ აწრიალდა, ამორგდა, გამხდარ ხელ-ფეხს წმარწნა დაუწყო.

— ბისან, აუდალს შემწვარი ხორცი არ მოეწონა, ისევ დაატრიალა ხანჯალი. ექიმს უთხარი, გააჭიროს.

არუქამ მეორე ოთახში საწოლზე ტანსაცმლიანად მიწოლილი ექთანი გააღვიძა.

ნამძინარევმა ქალიშვილმა თვალები მოისრისა, თმებზე ხელი გადაისვა, ადგა და ავადმყოფთან გავიდა.

ფულიკა უკვე კედლებს ჰკაწრავდა. ალაჰს საყვედურობდა, მთელი ჩემი სიცოცხლე შენს სახელს ვლოცულობდი, შენ კი ასე მტანჯავო.

დიდ ალაჰს პატარა, თეთრხალათიანმა ექთანმა აჯობა. გაუკეთა თუ არა ნემსი, მაშინვე დამშვიდდა. მერე...

აი, მერეა, რაც არის. ფულიკა ისევ საამურ სამყაროში გადადის.

...სოფლის ბოლოში, გზის პირას, გამოსულან ქისტები. დგანან და ტრიალ მინდორს გაჰყურებენ. ფულიკაც იქ დგას. ისიც გაჰყურებს გზას, რომელიც ძალიან შორს მიდის და ბოლოს ნისლიან ჰორიზონტს უერთდება.

—ვის ელით, რას ელით, ქისტებო?

ხმას არავინ იღებს, პასუხს არავინ იძლევს.

— რამ გაგაჩუმათ, რამ დაგადუმათ, ქისტებო.

გაქვავებულივით დგანან ფაფახიანი, გორიზი ქისტები.

მერე შორს, ძალიან შორს, ნისლში გამოილანდნენ მხედრები. ისინი გადაჭრეულებივით მოჰკიოდნენ ულაყებს და მტკრის კორიანტელს მოიდევნებდნენ.

ხალხმა იქითკენ მიაპყრო მზერა.

ექვსი ცხენია, ექვსივე ღამისფერი. ექვსი მხედარი მოჰკივის, ექვსივე შავჩოხიანი. ექვსთავ ფაფახები ასურავთ — შავი, ყორნისფერი. ექვსთავ უჭირავთ მათრახები — ექვსივეს ირმის ტყავის... ფლოქვთა თქარათქურით მოცვივდნენ და ფულიკას წინ შეჩერდნენ. მხედრებმა უხმოდ დაუკრეს თავი, ცხენებმა დაუჩოქეს. მერე ადგნენ და ცეკვა დაიწყეს. ასეთი რამ არასოდეს ეხილა ფულიკას. შავი ცხენები მწყობრად, ლამაზად ცეკვავდნენ. მიწას ფლოქვებით ტორავდნენ და შორ გზას ეპირებოდნენ წასვლას.

მერე ფულიკასაც მიჰვევარეს შავი ჯეჯიმითა და შავი უნაგირით, შავი თოქლთოთი და შავი გარსაკრავებით შეკაზმული შავი ქურანი. ცხენს ლაგამ-ავშარაზე ოქროს წვრილ-წვრილი ზარ-ზანზალაკები ჰქონდა ასხმული. მსახურებმა მიართვეს ტარმოსეკადებული მათრახი და ანიშნეს შეჯექით.

ფულიკამ უზანგში გაუყარა ფეხი და ამხეიდრდა.

მოცეკვავე ცხენებმა თავები ასწიეს, მწყობრად მიტრიალდნენ და გაქუსლეს. ფულიკამაც სწყვიტა მათრახი ღამისფერ ქურანს და მათ დაედევნა.

დაწინაურებულნი ცხენებს მოჰკიოდნენ, მტვრის კორიანტელს მიიდევნებდნენ, ულაყებს ნისლიანი ჰორიზონტისკენ მიაგელვებდნენ.

ფულიკაც მიერეკებოდა თავის ქურანს. ლაგამ-ავშარაზე ასხმული ოქროს

ვალერიან ჩიკურიშვილი
ფულიკა

ზანზალაკები უცხო ხმაზე მღეროდნენ. დედამიწა გუგუნებდა ფლოქვთა ქვეშ.

ერთხანს თვალთ უჭნდა მეწინავენი, მერე ნისლში გაუჩინარდნენ და ფულიკა მარტოკა დარჩა უკაცრიელ გზაზე.

ემდერებოდა.

ჯერ გულში დაიწყო ღიღინი, მერე ხმამაღლა ამოთქვა შეთე გულუხაიძისა და დიდი შამილის შებრძოლების ლექსი.

გრძელი იყო სიმღერა. დიდ მანძილზე გაჰყვა მხედარს. მერე გათავდა თუშისა და იმამის ომი. გათავდა გზაც. ვეება ალაყაფს მიადგა ცხენი.

— მოხვედი? — ექოსავით გაისმა ვიღაცის ხმა.

ფულიკამ მიიხედ-მოიხედა, მაგრამ ვერავინ დაინახა.

— მოვედი, — უპასუხა მაინც უხილავის ხმას.

შავი ჭიშკარი მძიმედ გაიღო.

არაფერი არ ჩანდა კარს იქით. თოვდა მხოლოდ. არც ასეთი საოცრება ეხილა ფულიკას; კარს აქეთ გაზაფხული იყო, ხეთა ყვავილობა, კარს იქით — ყინვა და ზამთარი.

დაიქვეითა.

ცხენი ჭიშკართან მიაბა.

ზღურბლს რომ გადააბიჯა, თოვა მოუხშირა. სახეში აყრიდა ნამქერ-ნამუსრევს და სუნთქვა უჭირდა. სიმინდის ბრესავით თეთრი, მშრალი ფიფქით ევსებოდა სული. ჰაერი არა ჰყოფნიდა.

„ასეთი ზამთარი დასწყევლოს ალაჰმა! ძე გაზაფხული მირჩევნია“, — გაიფიქრა. უკანვე გამოტრიალდა, მაგრამ გამოსვლა ვერ მოასწრო, მის ცხვირწინ ავი ზრიალით ჩაიკეტა შავი კარები.

მუშტები დაუშინა ჭიშკარს. გამიშვით, საიდანაც მოვდივარ, იქვე დავბრუნდებიო, გაჰკიოდა. გაჰკიოდა კი არა, გულში იძახდა, რადგან ხმის ამოღება ვერ შეეძლო, პირი ფიფქით ევსებოდა და სუნთქვა უჭირდა.

„ჰაერი... ჰაერი... ამ ბრეს მაგიერ ჰაერი მაღირსეთ. ერთხელ შემასუნთქეთ და...“.

არსად იყო ჰაერი.

ფილტვები მშრალი ფიფქებით ამოეტენა.

რკინის კარს მუშტებს ურტყამდა. არავინ ჩანდა გამღები. ერთხანს კიდევ იბრძოდა, მერე ღონე გამოეცალა და... დაბნელდა.

●

მეორე დღეს ისევ თავაუღებლად თოვდა. ათოვდა ხორეჯს, ათოვდა ქორთაბუდეს, ათოვდა პანკისს...

მეორე დღეს მიცვალებულის პატივსაცემად იუქმეს ქისტებმა. მოდიოდნენ ღა სამძიმარს ეუბნებოდნენ ბისანას.

მეორე დღეს ჩაბნელებულ ოთახში ჩაიკეტნენ ქისტის ქალები, დაოსებამდე ამბობდნენ ზარს და გამეტებით იგვემდნენ თავს, ფულიკას ცოდვათა მოსანანიებლად.

მეორე დღეს ქისტებმა ძიგარით[1] მიაცილეს მიცვალებული ძველ სასაფლაოდე.

მეორე დღეს სოფელში ახალგაზრდები ერთმანეთს ეკითხებოდნენ: ვინ იყო ფულიკა, რა იყო ბისანასი? ამ ქისტკაცს ვინ შეესახლა ის ბეჩავი თათარი, მის ავადმყოფობას რატომ გადაყვა ასე, ან ამდენი ხარჯი რატომ გასწიაო.

---

[1] მიცვალებულის გასვენების ჟამს მამაკაცთა ხმაწაღალი მოთქმა-გალობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მონატრება

წავალ და ჩემი სიყმაწვილის
დაკარგულ ბილიკს
ისევ დავუნთებ ყვავილთა კოცონს
ამ გაზაფხულზე —
იმ დაკარგულ,
წუთიერ ნათელს
ველებზე მოვფენ სიცოცხლის ღელვად.
ჩემი ხნულებით და ყვავილებით
და ბუერების დამეულ ცრემლით
ხეთა დაღალულ კენწეროებზე
ავაფრიალებ სიმშვიდის დროშას.

გაგაფხული

გარინდებული ვიყავი,
თითქოს
უცებ ასრულდა ყველა წადილი
და ყოველივე მღიმარე იყო,
სინათლით სავსე და დაბარდნილი...
ვხედავდი —
როგორც საკუთარ ზეცას,
კუთვნილი მიწის გაღებულ კარებს...
მთებს გაზაფხული სამოსად ეცვა
და ტკაცუნობდა კოცონი გარეთ.
ნისლში ცურავდა უღრანი ბნელი,
მიირწეოდა ბინდში სოფელი
და მაღლდებოდა ძალიან ნელა
ჩემი სიზმარი და სამყოფელი.

❁

მე საუცხოო ხმაურისთვის
დავძარი ჩემი მთების
დროშები.
დავანაწილე ზარების ჟრჟოლა —
ყველა ბილიკზე...
და დედამიწის ძარღვებიდან
ადუღდა სისხლი.
მე შენთვის,
შენთვის
ლოდინის თოკზე ვეკიდე დიდხანს —
მაღალი რწმენით,
როგორც ნუგეშის ერთადერთი
ციური სხივი,
ანდა ქვესკნელის უხილავი
ძალა და სითბო...
მე საუცხოო ხმაურისთვის
დავძარი ჩემი
მთების დროშები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გურამ პეპრიაშვილი

ام ქვეყნად
ყველა მნიშვნელოვან საქმესთან ერთად,
ათასნაირ საზრუნავს გარდა
ერთი
პატარა
სადარდელიც მაქვს —
— ვაითუ ისე უეცრად მოვკვდე,
რომ სიკვდილის წინ
ვერ მოვასწრო
მე
გაღიმება
და სიმხდალე დამწამოს ვინმემ.

მართლა თუ სჯერათ ამ ასტრონომებს,
რომ თავიანთ ტელესკოპებში ვარსკვლავს ხედავენ?!

ჭრიჭინებით სავსე ბულულზე
თუ არა წვეხარ ზაფხულის ღამით
და არ იგონებ
შენს სახეზე
ქალის თმების
პირველ შეხებას, —
განა ვარსკვლავს
ვარსკვლავი
ჰქვია?

მე ბავშვობაში კუდბაწარა ვისროლე მაღლა.
მერე დიდსანს ვეძებე და
ვეღარ ვიპოვე...
ალბათ ახლაც გდია ჭინჭრებში...
მაგრამ ცოდვა შემინდეთ მცირე,
თუ სანდასან ამასაც ვფიქრობ —
იქნებ
მართლა
ვუწიე
ცამდე?!

ეროვნული ბიბლიოთეკა

•

აღდგა ერი—საწნახელში მაჭრის ქაფი აჩანჩქერდა,
აღდგა ერი — განწირული შავ წკვარამში ჩასაჩეხად,
აღდგა ერი — აგიზგიზდა ალად მცხრალი ნაკვერცხალი,
აღდგა ერი — მზით გაბრწყინდა ნატაძრალში ნაფრესკალი.
აღდგა ერი — ისევ მღერის ლილისფერი ზეცის კალთა,
აღდგა ერი — ვაკკაცთა და ტანასხლეტილ ლამაზ ქალთა,
აღდგა ერი — გმირთა, ბრძენთა, მგოსანთა და ერისკაცთა,
აღდგა ერი — რუსთაველის და ილიას ერი აღდგა.
აღდგა ერი — განკითხული, დასიცხული, დარბეული,
აღდგა ერი — ამოღვარა ვანის მიწამ განძეული.
აღდგა ერი — დასეტყვილ ველს ვარდისფერი მოლი მოსავს,
აღდგა ერი,
აღდგა ერი,
აღდგა ერი,
მოგილოცავთ!

უცხო მოტივი

საიდან გაჩნდა სიმღერა იგი?
—ყინვიდან სითბოდ მოვიდა ალბათ,
გაპყვა იებით მოქარგულ ბილიკს,
სწავლობდა დიდი სიჩუმის ანბანს...

ჩამოიღვარა კლდეებზე სისხლად,
ამოეპწკარა ფურცლებს და წიგნებს
და ყოველ ღამეს,
და ყოველ დილას
გზას მწვერვალისკენ ამ სისხლით
იგნებს
კიბე — წამიერ ცხოვრების აღქმის.
ფრთხილად ადებენ ვნებაზე—ვნებას,
ნაპოვნზე — ნაპოვნს, განცდილზე—
განცდილს,
ნათქვამზე — ნათქვამს, ცნებაზე —
ცნებას,
შენდება მეტად ლამაზი სახლი.

საიდან გაჩნდა სიმღერა იგი?
— ყინვიდან სითბოდ მოვიდა ალბათ,
გაპყვა იებით მოქარგულ ბილიკს,
სწავლობდა დიდი სიჩუმის ანბანს...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

1920–1970

ჩვენს მოძმე რესპუბლიკებს — საბჭოთა სომხეთსა და საბჭოთა აზერბაიჯანს 50 წელი შეუსრულდათ. ამ 50 წლის მანძილზე ძირფესვიანად შეიცვალა მათი ცხოვრება, ამაღლდა კულტურული დონე, დამშვენდა სოფლები და ქალაქები.

ქართველი ერის წარსული, აწმყო და მომავალი ამ ერებთან მჭიდროდ არის დაკავშირებული. ოქტომბრის მზის ქვეშ უფრო განმტკიცდა ჩვენი მეგობრობა ამ მოძმე რესპუბლიკებთან. მათი ზეიმი ჩვენი ზეიმია და მათი გამარჯვება ჩვენი გამარჯვებაა. მხურვალედ მივესალმებით და ვულოცავთ მეგობრებს ამ დიად დღესასწაულს.

სილვა კაკუბიკიანი

სამშობლოსგან შორსა ვარ ახლა

ერთ უცხოელს

ერთია ენა სიყვარულის ყოველგან, — ერთი!
უსამშობლოა, მარადია, ყოვლის გამრიგე,
მე რომ სომხურად გითხრა კიდეც მიყვარხარ-მეთქი,
სულ ერთი არის, მიმიხვდები, მაინც გამიგებ.

შორს არის ახლა ჩემგან ჩემი სამშობლოს ზეცა,
თვალშეუდგამი მწვერვალები, მისი კორდები,
როცა აქ შენთვის სულ სხვაგვარად ანათებს მზეცა,
მე მდუმარებით ჩაფერფლილი მწარედ ვღონდები...

მოწყურებული, გათანგული, ნაიარები,
გზაში თუ მტვერში ნახვის ნატვრით ამოშანთული,
ეს მერამდენე დღეა ერთად დავიარებით —
შენ — მხიარული, მე — მწუხარე — მშობლის ნატრული.

ეჰ, არარატიც თქვენთვის მხოლოდ ძველი მთა არის!
მთა — ბიბლიური, გაგონილი უცხო რამ არის,
ჩვენთვის კი იგი ტკივილია, გულისთქმა არის,
და ერთდროულად აკვანი და ქვაა სამარის...

ტკივილი იგი სომხის ძარღვებს დღესაც მიაპობს,
საუკუნეთგან წამოსული სისხლში შერთვია,
ამ ტკივილებზე შენს ენაზე მე რომ გიამბო,
ვერ მიმიხვდები, ვერ გამიგებ... ეჰ... სულ ერთია...

თარგმნა **გივი შავნაზარმ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზეინალ ხალილი

კ ა ც ი

ვთქვათ და დავბრმავდი,
ვთქვათ და დავბრმავდი,
ჩემი სინდისის ორი თვალით
დავიწყებ მზერას.
ვთქვათ და დავმუნჯდი,
ვთქვათ და დავმუნჯდი,
ჩემი მამულის წყაროს პირით
ვილაპარაკებ.
და ფიცხელ ომში
თუ მეგობარს გაუსკდა გული —
მე მივცემ ჩემსას.
ჩიტიც რომ დარჩეს
უსაკენკოდ ცხელ უდაბნოში,
საკენკს დავუყრი.

. . . .

და მზეც თუ ჩაქრა,
დაემსგავსა ჩამოქნილ სანთელს,
მე ავენთები
მამულს მზესავით.
მე დავუბრუნებ
ბრწყინვალებას
ოვალჩამქრალ ვარსკვლავს,
დავიწყები და დავიფერფლები.
ხოლო თუ ერთხელ,
ამ დიდ რწმენით
დავტოვე ჩემი
მამულის მთები, —
გიხოვთ არ მიტიროთ;
რადგანაც იდგა ქვეყნად მშვიდობა,
რადგანაც იყო ქვეყნად სინდისი.
რადგანაც ქვეყნად სუფევდა რწმენა,
რადგან ცხოვრობდა ადამიანი.

თარგმნა ჯანნუდ ჩარკვიანმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

თარგმანები

ალექსანდრ პუშკინი

პოლტავა

პირველი სიმღერა

მრავალ სიმდიდრეს ფლობს კოჩუბეი,
საქვეყნოდაა იგი ცნობილი,
სკივრებში ბღოლად აქვს ჩაწყობილი
ატლასისა და ბეწვის ჯუბები.
უსასრულოა მისი ბაღები,
დაუთვლელია მისი ჯოგები,
მუდამ სავსეა მისი კოკები
თაფლით და ღვინით, რძით და
ნაღებით.
მაგრამ არც ფაფარდაწნული ცხენით,
არც ყირიმელთა ხარკით და ძღვენით,
არც ბაღ-ვენახთა უწყვეტი რიგით,
არც თვალუწვდენელ მინდორ-
ველებით,
არამედ შვილის მშვენიერებით
და სიქალწულით ამაყობს იგი.

მართალიცაა. მთელს პოლტავაში
და არა მხოლოდ მთელს პოლტავაში,
არაფერია მარიას ფასი,
მარიასავით ნორჩი და ნაზი.
ტანწერწეტაა, როგორც ჩინარი
კიევის მაღალ გორაკზე მდგარი,
წელის ტარებას ასწავლის ქარი,
მკერდის ტარებას — ზვირთი
მდინარის.
ხან, როგორც გედი უკაცურ ტბაზე,
ოცნებითაა იგი გართული
და გაურკვეველ ფიქრებით სავსე
ხან ირემივით დგას შემართული.
მის მაღალ შუბლზე შავი თმის ჩქერი
გადმოწოლილა, როგორც ღრუბელი,
ხოლო თვალებში ვარსკვლავი
მღერის,
შვების მომგვრელიც და
დამღუპველიც.
მაგრამ მთავარი ისაა მაინც,
რომ ამ მშვენიერ და უცხო ყვავილს,
აურჩევია სულის სათავედ
გონიერება და სისადავე.
ამიტომ ბევრის ფიქრია იგი,
ბევრის წყლულია და ავდარია,
მაგრამ ხუნდიკით გაურბის
გვირგვინს,
უარით ხვდება ყველას მარია.
სასიძოები ცვლიან ერთმანეთს
და აი, მაშვალს გზავნის გეტმანიც.

ის მოხუცია. დატვირთეს წლებმა,
ომების სისხლი შეახმა პირზე,
მაგრამ ჯერ კიდევ ბობოქრობს
ვნება
და მისი ტყვეა მაზეპაც ისევ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცვალებადია ყმაწვილის გული,
უცებ ინთება და უცებ იწვის,
იგი გრძნობებსაც ყოველდღე იცვლის,
უცხოა მისთვის ტანჯვა და წყლული.
მოხუცს კი გული სხვაგვარად უცემს,
გაქვავებული განვლილი წლებით,
ის არ ინთება წარმავალ ვნებით
ასე იოლად და ასე უცებ.
გამობრძმედილი ვნებათა ცეცხლში,
ერთხელ არჩეულ გზას აღარ
შეცვლის,
რადგან ეს ცეცხლი, რას ნიშნავს,
იცის
და მასთან ერთად ჩაქრება ისიც.

ველარ პოულობს მარია ადგილს,
თავის ოთახში უაზროდ დადის,
მშობლების პასუხს ცასცახით ელის,
ვით არწივისგან დამფრთხალი შველი.

აღშფოთებული შემოდის დედა,
იხუტებს ასულს მთრთოლვარე
ხელით,
ჩასწითლებია თვალები სველი
და ამბობს: „ბილწი! ან როგორ
ბედავს!
მაგრამ ნურაფრის გექნება შიში,
სანამ მე სული მიდგია პირში.
არასდროს! ისე იხაროს ღმერთმა,
როგორც ვერ ნახოს მან ჩემი ქალი.
სად გაგონილა ნათლულის შერთვა,
განა ესაა ნათლიის ვალი?“
მარია შეკრთა. სასეზე უცებ
გადაეფარა სამარის ფერი,
გამოეცალა, საბრალოს, ფუძე,
დაუბზრიალდა თვალებში ჭერი.
გადაუვარდა უმწეოდ თავი,
ველარ შეაბეს მის დუმილს კარი,
ვერ გაუდევნეს უკმური ავი,
სარეცელის თავთან ჯიუტად მდგარი.
და როცა გონზე მოვგო ოდნავ,
აღარც ესმოდა და აღარც გრძნობდა
მშობლების ნუგეშს, ვაის და ვიშის,
მისჩერებოდა თვალებში შიშით.
სულს იბრუნებდა ცრემლით და
კვნესით,
აჩრდილად იქცა ლამაზი ქალი,
არ მოუხუჯავს ორი დღე თვალი,
არ უგემია ორი დღე ხემსიც.
ორი დღე, ხოლო მესამე დილით
ველარ იპოვეს მშობლებმა შვილი.

ვერავინ ვერ თქვა: საით ან როდის
წავიდა იგი, ალუბლის ტოტი,
მხოლოდ მებადურს გაეგო ღამით
ქალის ჩურჩული და ცხენის ჩქამი.
დილით კი ნახეს საკუთარ თვალით
ცვრიან ბალახზე რვა ნალის კვალი.

ოხ, არა მხოლოდ პირველი დინღლი
და კუნულები ყმაწვილი კაცის,
არამედ ზოგჯერ: კუშტი და მკაცრი
მოხუციც, შუბლზე კოპებს რომ
იყრის,
ნაოჭისა და ჭრილობის ხაზი
შლეგი ცხოვრების დაღად რომ აზის,
აავსებს ხოლმე ვნებიან ფიქრით
სულს და გონებას ლამაზი ქალის
და სულ არ არის ეს მისი ბრალი.

კოჩუბეიმაც გაიგო მალე,
რომ მისი გულის მზემ და ოცნებამ
ფეხქვეშ გაიგო პატიოსნება
და ავაზაკის მინებდა მკლავებს.
ოი, სირცხვილო! ალბათ, არავის
არ დასცემია ამგვარი ზავი,
ველარ დამალა სიმართლემ თავი
შეუმოსავი და შეშზარავი.
უკვე ნათელი გახდა ყველასთვის,
თუ რა ქარცეცხლი მდგარა
ყელამდის
მარიას სული, ოჯახურ ბორკილს
რად გაურბოდა, უჩინარ თოკით
ვინ მიითრევდა, გულს რა ულევდა,
რა ნისლით იყო თავშებურვილი,
რატომ ხვდებოდა და ისტუმრებდა
თაყვანისმცემლებს მკაცრი
დუმილით;
რატომ უსმენდა გეტმანს ბავშვივით
აღტაცებული და აღგზნებული,
როცა მათ სახლში, მარილაც
მეფური,
სუფრა თვეობით იყო გაშლილი;
ან მის სიმღერებს რატომ მღეროდა,
შეთხზულთ ღარიბულ სიჭაბუკეში,

ჯარის ჩამოვლას რატომ ელოდა
და ბობოსების ღრიალს შუკებში;
დროშების ქარსა და ფეხთა მტვერში
რად ევსებდა სიამით მკერდი,
როცა ბრწყინავდა გურში და
კვერთხი
მაღაროსიის ბატონის ხელში.

კოზუბეისაც ჰყავს მეგობრები,
მასაც ხმლის ტარზე უდევს მარჯვენა,
მისი სახელის გადასარჩენად
მთელი პოლტავის დაბა-სოფლები
წამოდგებიან და შესძლებს ისიც,
რომ შეიდებოს ჭაბარალის სისხლით,
შეგინებული მამის სახელით
გაუპოს... მაგრამ სხვა განზრასვებით
შეპყრობილია ამ წუთას იგი,
უბედურებამ გაუწვრთნა ფიქრი.

ეს ის დრო იყო, როდესაც რუსეთს
ომების ცეცხლი ეკიდა გულზე,
როდესაც მისი დიდების სისხამს
და გულში წლობით დაგროვილ
რისხვას
ავადაცემდა პეტრეს გენია.
მას ბევრი ნარეკ მოუთმენია,
ბევრი სიმწარე აგემა ბედმა
და ბევრი მასე დაუგო შვედმა.
ბოლოს თვითონაც იმწაღლა ბრძოლა
და გამოვიდა დიდების გზაზე.
ასეა: ურო შუშას კი ამსხვრევს,
მაგრამ ათმაგად ამაგრებს ფოლადს.

უკვე ფერწასულ დიდებით მოსილს
უფსკრულზე ფეხი უცურდა კარლოსს,
მოსკოვს ემეზდა ზარბაზნის ბოლში,
რუსთა სალეწად დაედგა კალო.
ქეშა-დიდებით გულგაბერილი
მიიხვეტავდა ჩვენს ჯარს მტვერივით,
მაგრამ იმ გზაზე ვიდოდა ისიც,
რომლითაც ჩვენი ასალი მტერი,
აწ მარტოოდენ ფერფლი და მტვერი,
ვერ გასდა დაფნის და ხოტბის
ღირსი.

უკრაინა კი ღელავდა უკვე
და ედებოდა შუკიდან შუკებს
გაღვივებული იმედის ალი
და ყველას გზისკენ ეჭირა თვალები
კარლოსისაგან ელოდნენ შველას,
სახალხო ომი წყეროდა ყველას,
რომ დაღწეოდნენ რუსეთის
ბორკილს,
მოუშორებელს, გამძლეს და
მოქნილს.

ვერ ივიწყებდნენ სისხლიან წარსულს
და გაპყვიროდნენ: „გათავდა! არ
გვსურს!
დროა! ახლა კი დროა! ღმერთმანი!
გეტმანო!“ — მაგრამ დუმდა გეტმანი
და ისევ პეტრეს მსარეზე იდგა,
უკრაინასაც მართავდა მშვიდად
და ძვლებურად ღსინობდა იგი,
თითქოს ვერაფერს ამჩნევდა
ირგვლივ.

ხალხი ღელავდა. ყველაზე მეტად
ახალგაზრდობა კიცხავდა გეტმანს:
„რაღაა, წლებმა უკვე ჩაუქრეს
ძველი სიმტკიცეც და სიჩაუქეც.
რად უნდა, ნეტავ, კვერთს რომ
დაათრევს?
უკანალს რატომ შინ არ დაატევს?
დღეს შეგვიძლია, თანხმობა თუა,
იმ ბინძურ მოსკოვს ვასწავლოთ
ჭკუა.
ძალაუფლება რომ მისცა ახლა
სამოცდოვიჩს ან ღორაშენკოს,
ანდა პალეის და გორდეენკოს,
ჩვენც აგვეწია, იქნება, მაღლა
ჩვენი დროშები და ეცხო მხარეს,
მშობლიურ კერის და კედლის გარეთ
არ ჩავალპობდით ჩვენს კაზაკობას,
მინდობილს რუსის ფიცს და
მაკვირობას“.
თავიისუფლების ჟინს აყოლილი
ახალგაზრდობა მსჯელობდა ასე,
დავიწყებოდა მკერდშებოლილი
წარსული, სისხლით და ცრემლით
სავსე,
დავიწყებოდა ძველი ტყვეობა,
უუფლებობა და უმზეობა,
ბოგდანის შეშა და შეჭიდება,
მამაპაპათა დროშის დიდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ სიბერე გზებს დიდხანს
ეძებს,
ეჭვის თვალია მეგზური მისი,
რა შეუძლია და რას ვერ შეძლებს,
მან სხვებზე ადრე და უკეთ იცის.
როგორ იხილავს ზღვის წიაღს
თვალი,
თუკი ზღვას პირი შეუკრავს ყინვით?
ვინ გახდა ღირსი გონების ძალით
სულში ჩაღწევის, ჩაწვდომის,
ხილვის?
ვერავინ! ბნელში ჩაფლულა ფიქრი,
როგორც ნაყოფი დათრგუნვილ
ენების
და შეიძლება, რომ მტკიცე ნებით
ისევ ძველ ზრახვას ამწიფებს იგი.
ვინ იცის? მაგრამ მაზეპას ახლა
უფრო თამამად ეჭირა თავი,
ამოდიოდა თანდათან მაღლა
სულის ფსკერიდან განზრახვა ავი.
უბრალო იყო, გულისხმიერი
და მოთაფლული ხმით და იერით
შეეძლო ეთქვა სხვათა სათქმელიც,
ის იყო ყველა გზის წარმმართველი.
მოხუცთან წარსულს ტირიდა ისიც,
თვითონ სდიოდა ცრემლები სხვისიც
და თოფშიც თვითონ უდებდა ტყვიას
თავისუფლების მძებნელს და
ტრფიალს;
დაჩაგრულს გულში იკრავდა ძმურად
და საუბრობდა სულელთან
ბრძნულად.
და, ალბათ, ბევრმა არცკი იცოდა,
მაზეპას გული რითი იწვოდა,
როგორ მალავდა ვერაგულ ზრახვას
და თან განკითხვის ლესავდა
ლახვარს,
მოულოდნელად რომ აღემართა
და თუკი ვინმეს ჯავრი ემართა —
გადაეხადა. ჯავრი კი ჭქონდა
და მისი გული სიამით თრთოდა,
როცა იმ წუთებს წარმოიდგენდა,
სხვას აღარაფერს არ დაგიდევდათ.
არ არსებობდა სიწმინდე მისთვის
და არც სიკეთეს იმახსოვრებდა,
ვერ შეეხვევა თვალებში მზისთვის,
უსიყვარულოდ განვლო ცხოვრება,
მაგრამ მზად იყო, სისხლი ეღვარა,
სისხლში ჩაეხრჩო მთელი ქვეყანა,
შორიდან ბოღმით უბღვერდა რუსეთს
და არც სამშობლო ეხატა გულზე.

არც კოჩუბეი არ მჯდარა უქმად,
გამწარებოდა იმასაც ლუკმა.
აკრაჭუნებდა სიბრაზით კბილებს:
„დავინდობ ჩემი ასულის დილეგს
და ცეცხლს არ მივცემ შენს სასლს,
წყეულო,
მგელო, ცხვრის ტყავში გამოსხვეულო.
არა და არა, შენს სისხლში გასვრა
არ ეკადრება კაზაკის ხმალსაც.
მოსკოველ ჯალათს უნდა მიგვვარო,
დე, ჩემი ჯავრი იმან იყაროს,
რას ნიშნავს მისთვის, შენც კარგად იცი,
თავისმართლება, ხვეწნა და ფიცი.
იქ, სარეცელზე ტანჯვის და გვემის —
კვლავ გაიხსენე სიკეთე ჩემი,
პატივისცემაც და მასლაათიც,
რათა დასწყევლო დღე და საათი,
ოღა, ვერაგო, შვილს მინათლავდი;
და ლხინიც, კერძს რომ თვითონ გირჩევდი,
პატიოსნების თასს რომ გიხვევდი;
და ღამეც, ჩემი სულის ნატვრი,
რომ დამძინებენ ბასრი კლანჭებით.“

იყო დრო, როცა ის და მაზეპა
შესაციცინებდნენ ერთმანეთს თვალში,
ერთ ხმად, ერთ სუნთქვად და ერთ არსებად
იდგნენ საერთო ცეცხლსა და ქარში.
როგორც მარილი, ბური, მირონი,
საერთო იყო მათი გრძნობებიც,
ერთ მხარეს ეუსდნენ მათი თოფები,
საქმენიც, ქვეყნი და საგმირნი.
გაგრძელებიათ მეგობრებს ლხინიც
და გულითადი სჯა და ჩურჩულიც
და მაზეპასაც, ხარბი და ფრთხილი
და მეამბოხე სულის კუნქულიც
გამოუხვევტავს და დაჩაგრულის
გულისტკივილზე, კბილთა ღრჭიალზე
და მოსალოდნელ ოროსტრიალზეც
გადაუკრია სიტყვა მზაკვრული.
ამგვარი ნდობა სუფევდა მაშინ,
გამობრძმედილი ბრძოლების კვამლში
და ჰაერივით გაუზარავი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს კი... არ ძალუძს, ალბათ, არავის
ასეთი ზიზღი და სიძულვილი.
დღეს კოჩუბეის ერთი სურვილი
აცოცხლებს მხოლოდ, ის აძლევს სითბოს,
მან აუღელვა სისხლიც ბებერი,
რომ მისი შვილის შემგინებელი
დაამხოს, ანდა დაემხოს თვითონ.

მაგრამ ჯერ მალავს თავის სიძულვილს,
ბედის განაჩენს დანებდა თითქოს
და ვითომ მხოლოდ სიკვდილზე ფიქრობს,
უკვე სამარის კართან მისული.
ის მაზეპაზე არ ბრაზობს, არა
დამნაშავეა მისი ასული,
ღმერთთანაც თვითონ აგოს პასუხი,
მას კი თავს ზევით არა აქვს ძალა.
მან დაივიწყა ზეცაც და წესიც,
მანვე ჩაადგო ამ მწარე დღეში.

სინამდვილეში, ბებერი მელა,
თანამზრახველებს ეძებს და ზვერავს,
ამგვარ საქმეში წინდახედულებს,
მოუსყიდველებს და გაბედულებს.
ცოლსაც გაანდო თავისი ფიქრი:
რომ დაბეზღების მრისხანე წერილს
დიდი ხანია ამზადებს იგი,
რომ დიდხანს ვეღარ იხარებს მტერი.
და სულწასული მეუღლე მისი,
ყელამდე სავსე ქალური რისხვით,
შურისძიების მწარე სურვილით
მთლად ატანილი, ავი სულივით
ესესინება, ტრის, აქეზებს,
ცეცხლზე ნავთს უსხამს, კიცხავს, აკენესებს,
ვერ გაუძღია, ირეკა, იწვის,
შემოსეულია ცეცხლი დიადი
და კოჩუბეიც ღამის წყვდიადში
თავის განზრახვას ამტკიცებს ფიცით.

აჰა, გამოჩნდა თანამზრახველიც,
მას ისკრა ჰქვია, მისი სასელი
სიმამაცესთან არის ჩაწნული.
უკვე ახლოა მტრის აღსასრული,
მაზეპასთვისაც დადგა ავდარი, —
ასე ფიქრობენ, — მაგრამ სად არის,
სად გამონახონ ისეთი კაცი,
ამ დიდ საქმისთვის სულსაც რომ დალევს
და მაღალ პეტრეს, გეტმანის მფარველს,
მათ ნამოღვაწარს დაუდებს თვალწინ?

მაშინ პოლტაველ კაზაკთა შორის
ყველაზე მეტად კვდებოდა ერთი
მარიასადმი ტრფობით და თრთოლვით,
ის იყო მისი მზეცა და ღმერთიც.
დილა იყო თუ საღამოს პირი,
მდინარესთან თუ წაბლების ჩრდილში
მის გამოჩენას უცდიდა შიშით,
ის იყო მისი დარდიც და ჭირიც.
და თუ მოკრავდა თვალს ერთი წამით
უშუშდებოდა მტანჯველი წყლული
და ევსებოდა პირამდე გული
ბედნიერების თაფლით და შხამით.
მას უიმედოდ უყვარდა იგი,
უარს ერჩია, მოეკლა თავი
და განზე იდგა, როცა მის ყვავილს
სასიძოები ეხვია ირგვლივ.
და როცა ხალხშიც გავრცელდა სწრაფად,
როცა ბოროტი და მწარე ხმები
მასხრად იგდებდნენ მარიას ამბავს,
მას პირვანდელი ძალიან და ვნებით
უყვარდა მაინც, მაგრამ შემთხვევით
თუ ახსენებდნენ მაზეპას სახელს,
ეკვეთებოდა, საწყალს, ფეხები,
ეღრიცებოდა სიბრაზით სახე.

ვინ მიაჭენებს ცხენს ასე გვიან?
მთვარის დალალი ვის მხრებზე ყრია?
ვინ დაუფთა ვარსკვლავებს ფიქრი?
ვისი ცხენია ასე რომ მიქრის?

ჩრდილოეთისკენ უჭირავს გეზი
და მიწკრიალებს კაზაკის დეზი.
არ შეყოვნდება არცერთი წამით,
ვერ შეაფერხებს ხევი თუ ხრამი.

ბნელში მახვილი ავად ბრჭყვიალებს,
უბეში სავსე ქისა ჩხრიალებს
და უბორძიკოდ მიფრინავს რაში,
ფაფარგაშლილი ტრამალის ქარში.

კაზაკს ყოველთვის სჭირდება ქისა,
ფეხმარდი ცხენის და ბასრი ხმლისა
მოტრფიალეა და მაინც ქუდი
ამწუთას მისთვის ყველაფერს უდრის.

ქუდისთვის დათმობს ხმალსა და ოქროს
და ერთგული ცხენსაც გასწირავს, ოღონდ
ქუდში ნურავინ შეეცილება,
თორემ თვითონაც შეეწირება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რად უფრთხილდება ქუდს ასე, ნეტავ?
მიტომ, რომ ქუდში აქვს ჩაკეტილი
მას კოჭუბეის მკაცრი წერილი,
იგი პეტრესთან აბეზღებს გეტმანს.

მაგრამ მაზეპა ვერცკი გრძნობს ხიფათს,
მას მომავალი ბრძოლები ხიბლავს,
ზალესკიც გეგმას უხაზავს გეტმანს
და უკვე ტახტზე მჯდომარეს ხედავს.
თვლიან, წონიან, გლეჯენ, ლესავენ
და ამრავლებენ უნივერსალებს.
გეტმანსაც სჯერა, მოსწონს, იფერებს
და შეჩვეული ღამის სიბნელეს,
ფუსფუსებს, იღვწის შეთქმულთა ხროვა,
სახალხო ჯანსი! გადაწყდა! დრო!
მეფის თავითაც ვაჭრობენ უკვე,
ვასალებს პირში უთვლიან ლუკმებს,
ორლეკსაც უკვე გაუბამს ქსელი,
მისი გაწვრთნილი ენა და ხელი
ყველგან აწვეთებს შხამსა და ბოღმას,
კაცმა არ იცის, საიდან მოჰყავს,
ან რას ჩურჩულებს გეტმანთან გლახა,
ორლეკს ყოველთვის გვერდით რომ ახლავს.
ან ამდენ საქმეს როგორ ასერხებს:
იქით დნეპრელებს უღვივებს რისხვას
და კაზაკობაც იარაღს ისხამს,
რომ გაიხსენოს ძველი ხელობა
და მოსპოს პეტრეს თვითმპყრობელობა.
არა, არ იჯდა მაზეპა უქმად,
ჩაჰკირკიტებდა ჯიუტად რუქას:
არ იკიწყებდა იგი არავის,
ემუქრებოდა ბაღჩისარაის
და ისევ რუსთა სოფლებს უსვევდა,
მას ვარშავაში მეფე უსმენდა
და ოჩაკოვოს კედლებში ფაშა,
რუსეთის ჯავრი ტანჯავდა მასაც.
ხოლო კარლოსი ბანაკად იდგა
და პეტრეს უკვე თავის ტყვედ თვლიდა,
ვერ ისვენებდა მაზეპას სული,
ვერ იოკებდა ჭინსა და სურვილს,
მარჯვენის ქავილს და კბილთა ღრჭიალს
და აუდღენელს ასხამდა ტყვიას.

მაგრამ, გენახათ, რა მოუვიდა,
რა ხმა აღმოხდა ვერაგს გულიდან,
როდესაც რუსმა დიდებულებმა
გადმოუგზავნეს დასმენის წიგნი:
მაშინ კი მართლა დაიბნა იგი,
მთლად მოუშხამა შიშმა გუნება.
თუმცა ღირსეულ სასჯელის ნაცვლად,
როგორც ღმერთთან და მეფესთან მართალს,
კვლავ აფარებდნენ წყალობის კალთას,
თვალში თვითონვე იყრიდნენ ნაცარს.
და თვითონ მეფეც, ქვეყნის მპყრობელი,
ამჟამად ოშის ტყრიშში შებმული,
მაგრამ გულწრფელად აღშფოთებული
და უყოყმანოდ უარმყოფელი
ცილისწამების, სიტყვას აძლევდა,
რომ ყველას თავის კუთვნილს
აწვნევდა
და მოხედავდა ამ ბოროტებას,
როგორც კი მთავარ მტერს აოტებდა.

და აკრუსუნდა მაზეპაც წამსვე,
მეფემ წუხილით შესჩივლა ასე:
„ღმერთმა ხომ იცის და ხედავს
ყველა,
რომ ჩემი გული მეფისთვის ღელავს,
ოცი წელია მის ჩრდილში ვდგავარ
და ერთგულების შარაზე მავალს
მავსებს, მამაღლებს მისი წყალობა...
ოჰ, ბოროტება მართლაც ბეცია!
შემეძლო, ზურგი რომ შემექცია
დიდებისათვის და სხვა გალობა
მესწავლა ახლა, სამარის კართან?
კეთილშობილი სასელის გარდა
არავითარი არა მაქვს ძალა.
სტანისლავს ხელი მივეცი განა?
ან უარაინის ტახტზეც თავიდან
არ ვთქვი უარი, როგორც უღირსმა?
განა ავყევი სხვათა ბუკის ხმას
და შეთქმულების ბნელი კარვიდან
ყველა ბარათი თუ შეთანხმება
თქვენ არ მოგართვით? დღეს კი რა
ხდება?
მას, ვინც არ აპყვა სანსა და
სულთანს
და ვისაც მხოლოდ სიკეთე სურდა
თეთრი მეფისთვის და ვინც მის
მტრებთან
მართლაც ერთგული ძაღლივით
ყეფდა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს ლალატს წამებს ბოროტი ენა
და თანაც ვისი? ხომ იცის ზენამ,
იგი ორივეს მეგობრად თვლიდა...''
ასე შესტირა სელმწიფეს ფლიდმა
და მანინ გასსსა სული ბოლომდის:
ორივეს დასჯას ითხოვს ბოროტი.
მერე ვის დასჯას? ვისი ასულიც
ბებერ მკლავებში ჰყავს
მომწყვდეული,
მაგრამ არ ჰყვება გრძნობებს
წყეული,
გულის კარი აქვს გადარაზული.
,,თავს დააბრალე—ამბობს
გეტმანი —
ბრიყვი ყოფილხარ სულმთლად,
ღმერთმანი,
თურმე ზურგსუკან მალავდი დანას,
თავისუფლებას ეტრფოდი თანაც.
მაინც რა გეცა? რას აპირებდი?
საით გარბოდი? ვისი იმედით?
ან იქნებ... არა, ვეღარც ეგ გიხსნის,
სიცოცხლეს შეიღიც ვეღარ გაჩუქებს,
ახლა გრძნობები უნდა გაჩუმდნენ,
რომ არ დაიქცეს გეტმანის სისხლი''.

ოხ, უბედურო! ოი, მარია!
ჩერკასელ ქალთა მზევ და მშვენებავ,
თუ იცი შენს თავს რა ავდარია?
რა ვეღლდება? რა გეშველება?
შენს ძუძუ-მკერდზე გველს უდევს
თავი,
გველს მინდობიხარ უმწეო კრავი,
მისმა გარყვნილმა და მკაცრმა
სულმა,
გაურკვევლობის და ვნების რულმა
მთლად ჩაგითრია და ახლა შენთვის
ისაა პურიც, წყალიც და ღმერთიც,
მისმა ჭაღარამ, მისმა ცბიერმა
და მომნუსხავმა ხმამ და იერმა
გადაგავიწყა მშობელი დედაც,
არად ჩაგდე არც მამის ელდა,
მაინც გაბედე, მაინც შეძელი
და ამჯობინე ეს ჩარეცელი
მშობლიურ კუთხეს, ზრუნვას და
ალერსს,
მაგრამ მოტყუედი და იგრძნობ მალე,
რომ მან, ვერაგი ბებრის სიდინჯით,
სიდარბაისლით და სიამაყით
აგიბიბინა ყალბი ბალახი
და მიაძინა შენი სინდისი.
შენც შესაციცინებ თვალში ბავშვივით,
გულაგსებული შვებით და ლხენით,
თავზე ევლები გრძნობაშლილი
და ვსიამოვნებს შერცხვენა შენი;
და უფრო მეტიც: ამაყობ კიდეც,
ვით ამაყობდი უმანკოებით,
შენ ჩამოგლიჯე სიმორცხვეს რიდე
და შეამტვრიე ნაზი რტოები.

მაგრამ სირცხვილი რაა, ნეტავი?
ან რას დაკლებს ენები ავი?
თუკი მოხუცის ამაკი თავი
მუხლებზე უდევს, თუკი გეტმანი
ვერაფერს ამჩნევს, მის გარდა,
ირგვლივ
და ავიწყდება მშფოთვარე ბედიც
ამ მშვენიერი არსების გვერდით.
არა, არაფერს არ დარდობს იგი
და მაინც მკრთალი ღრუბელი სვდის
ჩაწვება ხოლმე მარიას სულში,
როს ელანდება ტირილი დედის
და მამის სახე, მკაცრი და კუშტი.
მაშინ მარია თვითონაც ტირის,
ოხრავს და კვნესის, ღელავს და
იწვის,
ჯერ კი არ იცის მთავარი ჭირი,
რაც უკვე მოელმა ქვეყანამ იცის.

(გაგრძელება იქნება)

თარგმნა ოთარ ჭილაძემ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლიდი ჰიპია

წინასიტყვაობა

ეს პატარა დიალოგი, ისევე როგორც პლატონის ერთ-ერთი შედევრი — „ფედრისი", მშვენიერების პრობლემისადმია მიძღვნილი. უფრო კონკრეტულად რომ ვთქვათ, მისი მიზანია ჩასწავლეს მშვენიერების არსს, მშვენიერების ბუნებას, გაარკვიოს, რა არის მშვენიერი.

კომპოზიცია და სიუჟეტი

დიალოგი იწყება საკმაოდ ვრცელი შესავლით, რომელშიაც გადმოცემულია სოკრატეს შეხვედრა ელიიელ სოფისტ ჰიპიასთან. დასაწყისი რამდენადმე გაჭიანურებულია კომპოზიციის პრაპორციულობის თვალსაზრისით, მაგრამ მკითხველი ვერც ამბნევს ამას, ისე სსარტია, მუუხეი და დახვეწილი პლატონის ყოველი ფრაზა, ისე მკაფიოდ და რელიეფურად გვიჩანაგებს იგი ორსავე მოქმედ გმირს. სოფისტის თავდაჯერებულობას, ქედმაღლობას, პატივმოყვარეობას და ანგარებას მკვეთრად უპირისპირდება სოკრატე თავისი შინაგანი სიწრფელით, ოდნავ ხაზგასმული თავმდაბლობით, შემბარავი ირონიითა და ტემპერატურის ძიების დაუოკებელი წყურვილით.

როგორც ირკვევა, ჰიპიას ლაკედემონელების წინაშე წარმოუთქვამს სიტყვა „ზოგიერთი მშვენიერ საქმიანობის შესახებ", რომელსაც დიდი მოწონება ხვედრია წილად. ეს სოკრატეს ახსენებს თავის მარცხს ერთ-ერთ თანამოსაუბრესთან კამათის დროს (ამ თანამოსაუბრის ვინაობას სოკრატე ვარაუდულ მომენტამდე მალავს), როცა მან ვერ შესძლო პასუხი გაეცა კითხვაზე: რა არის მშვენიერი? ამაევე კითხვით მიმართავს იგი ჰიპიას, რომელისგანაც ამოშუშრავ პასუხს მოელის.

საკითხი ასე ისმის: თუ ბრძენი სიბრძნისა არიან ბრძენნი და თუ სიკეთით კეთილობს ყველა კეთილი, მაშასადამე, სიბრძნეც და სიკეთეც რაღაცა არის; ანუ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ყოველი „ბრძენი" თავისთავად გულისხმობს „სიბრძნეს" საერთოდ, სოლო ყოველი „კეთილი" — „სიკეთეს" საერთოდ (ისევე როგორც „მოკვდავი" თავისთავად გულისხმობს „სიკვდილს", ანდა „ცოცხალი" — „სიცოცხლეს"). ასევე შეიძლება ითქვას, რომ ყოველივე მშვენიერი მშვენიერებითაა მშვენიერი და, მაშასადამე, მშვენიერებაც რაღაცა არის. ამრიგად, სოკრატეს ინტერესებს მშვენიერება საერთოდ, მშვენიერი თავისთავად და არა რომელიმე გრძნობად-კონკრეტული მშვენიერება.

მაგრამ ჰიპიას პასუხი ამაკარავებს, რომ ის ვერ ჩასწვდა საკითხის არსს: მისი აზრით, „მშვენიერი — მშვენიერი ქალიშვილია". სოკრატე ადვილად უმტკიცებს სოფისტს, რომ მაშინ მშვენიერი იქნება მშვენიერი ფაშატიც, მშვენიერი ლირაც, მშვენიერი ქოთანიც და ა. შ. მაგრამ არავითარ შემოსვევაში არ შეიძლება იმის მტკიცება, რომ სწორედ მშვენიერი ქალიშვილის მშვენებაა მშვენიერი ფაშატის, მშვენიერი ლირისა თუ სხვა მისთანათა მშვენერების მიზეზი. ეგეც არ იყოს, ყოველი გრძნობად-კონკრეტული მშვენიერება ყოველთვის შეფარდებითია, რელატიურია (მშვენიერი ქალიშვილი, ერთის მხრივ, აპკარად ჩრდილავს მშვენიერ ქოთანს, მაგრამ, მეორეს მხრივ, თვითონაც ჩრდილავს მშვენიერი ქალლმერთის წინაშე). სოკრატე კი ეძებს მშვენიერებას თავისთავად, რომელსაც უფრო ვგიან, თავის უკვდავ „ნადიშში", პლატონი დაახასიათებს, როგორც „მშვენერებას მარადიულს, ხელოუქმნელს და წარუდიხე-

ბელს, თავისუფალს ავსებისა და ჯალეგისაგან, მშვენიერებას, სახიერს, თავის ყველა გამოვლენაში, ერთ-დრმნი, ყველა ასპექტში, ყოველი ადგილისა და ყოველი სულდგმულისათვის". სოკრატეს აზრით, „ეს მშვენიერება რომელიმე ცალკეული სანანის — თუ არსების მშვენიერება კი არაა, არამედ განეკუნეული, ზოგადი იდეა (ეიდოს), „რომელიც ამკობს და მშვენიერებას ანიჭებს მასთან წილნაყარ ყველა საგანს".

მაშინ ჰიპია მშვენიერების ახალ დეფინიციას სთავაზობს სოკრატეს: „მშვენიერი — ოქროა" (სოფლისტს უყვარს ოქროს ბრჭყვიალი. მისთვის ყოველივე ნივთიერი, მატერიალური უფრო ახლოა, ვიდრე სულიერი, იდეალური). — თუ ასეა, — ამბობს სოკრატე, — მაშინ რით აიხსნება ის ფაქტი, რომ ფიდიასმა თავისი დიდებული ქმნილების — „ათენა ქრისელეფანტინის" ზოგიერთი ნაწილი ოქროსგან კი არ გაკეთო, არამედ სპილოს ძვლისაგან? თუ სპილოს ძვალიც მშვენიერია? — მშვენიერია მხოლოდ მაშინ, — მოუგებს ჰიპია, — როცა ორგანულად ეხამება, ერწყმის, შეფერის თეთრ ქინდაკებას, — კი ნაგრამ, — აქარწყლებს სოკრატე სოფისტის აზრს, — თუ საქმე შესაფერისზე მიდგა, მაშინ უნდა გაეიარით, რომ მშვენიერ ქოთანს ლედვის ხის ციცხი უფრო შეაფერის, ვიდრე ოქროსი. მაშასადამე, არც ოქროა მშვენიერი.

მშვენიერების შემდეგი დეფინიცია ასეთია: ჰიპია ამტკიცებს, რომ „ყველგან, ყოველთვის, ყოველი მოკვდავისათვის მშვენიერია იყოს მდიდარი, ჯანმრთელი და თეთრს ელადაში პატივცემული, ხოლო მას შემდეგ, რაც თავის მშობლებს მშვენიერ გასვენებას მოუწყობს, ღრმად მოხუცებული ასევე მშვენიერად ვასვენონ შთამომავლებმა და დიდი პატივით მიიპაროონ მიწასა". სოკრატე მახვილგონიერულად ამაათვლეს ამ მტკიცებასაც (იხ. შენიშვნები, X, 1, 2, 3).

მას შემდეგ, რაც ერთიმორის მიყოლებით უარყოფს სოფისტის ყველა დეფინიციას, სოკრატე თვითონ იძლევა მშვენიერების ახალ, ჰიპოთეტურ განსაზღვრას: „მშვენიერი — შესაფერისია" (ჰიპისასეული „შესაფერისისგან" განსხვავებით, სოკრატეს „შესაფერისი" ფიზიკური რეალობა კი არ არის, არამედ „შესაფერისი თავისთავად" ე. ი. აბსტრაქტული კატეგორია). ჰიპია, რომელსაც, შესაძლოა, აღარც დარჩა რამე საუბრელი, უყოფმანოდ იზიარებს თავისი თანამოსაუბრის აზრს. მაგრამ სოკრატე უწინდებურად დაუნდობელია: შესაფერისი ბეშმარიტ კი არა, მხოლოდ მოჩვენებითს მშვენიერებას ანიჭებს საგნებს. — რაო, ჰიპიას ბგონია, რომ შესაფერისი მოჩვენებითი და, იმავდროულად, ბეშმარიტი მშვენიერების მიზეზია კრის? — მაგრამ ეროსა და იმავე მიზეზს არ შეუძლია ორი სხვადასხვა შედეგის მიზეზი იყოს.

და კვლავ ახალი დეფინიცია: „მშვენიერი — ვარგისია". მაგრამ ვარგისია, მაგალითად, ძაღა (ძალაუფლება, ძალმოსილება), რომელსაც კაცნი არცთუ იმეოთად იყენებენ ბორტი მიზნით, ხოლო ის, რაც ბორტებას ემსახურება, ბორტებისა ამკვიდრებს, არაგითარ შემთხვევაში არ შეიძლება იყოს მშვენიერი.

იქნებ, მშვენიერი არის ის, რაც სასარგებლოა? მაგრამ სასარგებლო სიკეთეს ქმნის, სიკეთის მიზეზია, ხოლო, სოკრატეს შენიშვნით, „სხვაა მიზეზი და სხვაა მისი შედეგი" („არც მამაა შვილი და არც შვილია მამა").

ამ გამოუვალი მდგომარეობიდან (აპორია) თავის დაღწევას ისევ სოკრატე ცდილობს: მშვენიერი — ესაა მზერისა და სმენისმიერი სიამოვნება. მაგრამ მცისე აშკარავდება ამმგარი დეფინიციის პირველი ნაკლი: მის მიღმა რჩება მშვენიერი კანონებისა თუ ზნე-ჩვეულებების მშვენიერება. ეეც არ იყოს, მზერისა და სმენისმიერი სიამოვნება იმტაბმ კი არ არის მშვენიერი, რომ მას ეს ორი გრძნობა (მზერა და სმენა) განეგაცდევინებენ. როცა ჩვენ მთელიანობაში განეხილავთ ჰომოფენურ ფენომენთა ჭეყვლს, ანუ — ორ ჰომოეენურ ფენომენს ერთად, თვალნათლივ ვრწმუნდებთან, რომ ზოგიერთი ალბრიბები (მაგალითად, სამართლიანნი, უსამართლო, ჯანმრთელი, სნეული და ა. შ.), რომელიც ნიშნეულია ორივეესთვის ერთად, ნიშნეულია თვითეული მათგანისთვისაც ცალ-ცალკე; ზოგიერთი კი ნიშნეულია ორივეესთვის ერთად, მაგრამ არა თვითეულისთვის ცალ-ცალკე (ასე მაგალითად, რიცხეი — „ორი" — ორი „ერთის" ჯამი — ლუწია, მაშინ როდესაც თვითეული საკრები ცალ-ცალკე ლუწი კი არ არის, არამედ კენტი). ალბრიბუტთა რომელ კლასს, რომელ კატეგორიას ეკუთვნის მშვენიერი? ცხადია, პირველს, რადგან თუ ორი საგანი ერთად მშვენიერია, შეუძლებელია თვითეული მათგანი მშვენიერი არ იყოს ცალ-ცალკეც. მზერისა და სმენისმიერი სიამოვნება კი მშვენიერია ერთად, მაგრამ არა ცალ-ცალკე, ვინაიდან თვითეულ მათგანს ორივე ამ გრძნობით კი არ განეიცდით, არამედ ორივეს ერთად (და არა თვითეულ ცალ-ცალკე) ორივეეს ერთ ერ

ამ ბოლოს ეს ბოლოს ეს ბოლოს ეს ბოლოს ეს ბოლოს ეს ბოლოს ეს ბოლოს ეს ბოლოს ეს ბოლოს ეს ბოლოს ეს ბ

ფისტური და სოკრატული მსოფლმხედველობის რადიკალურ სხვაობას: — ნიჰილიზმი, უტოფრობა, უპირინციპობა, ვიწრო პრაქტიციზმი და მორალური ქაო

ეროვნული ბიბლიოთეკა

*

I

სოკრატე. რა ხანია, მშვენიერო და ბრძენო ჰიპია[1], ათენში აღარ გამოჩენილხარ[2].

ჰიპია. სულ მოუცლელობის ბრალია, ჩემო სოკრატე. როდესაც ელიდან[3] ამა თუ იმ ქალაქთან რაიმე საქმის მოგვარება სურს, უმალ მე ბრძანდებავ, ვიდრე რომელსაც სხვა მოქალაქეს, და ელჩად მგზავნის, ვინაიდან სწორედ მე მოვლის იმ სიტყვების უკეთეს მსაჯულად და მაუწყებლად. რომლებსაც, ჩვეულებრივ, წარმოსთქვამენ ხოლმე მოლაპარაკებაში მონაწილე ქალაქების სახელით. ვინ იცის, რამდენჯერ ეწვევივარ ელიდან[4] სხვადასხვა ქალაქს, ყველაზე ხშირად და ყველაზე დიდმნიშვნელოვანი საქმეების მოსაგვარებლად კი — ლაკედემონს[5]. აი, რა შემიძლია ეუპასუხო შენს კითხვას: მე ხომ ინვიოთად მიხდება ათენში ყოფნა.

სოკრატე. ხედავ, რა ძმიმე ტვირთი აწევს ბეშმარიტად ბრძენსა და სრულქმნილებასთან წილნაყარ კაცს? დ მართლაც, შენ ხომ შეგიძლია, ერთის მხრივ, როგორც კერძო პირმა, უხვი გასამრჯოველის სანაცვლოდ, უფრო დიდ ფასეულობას ამბორო შენი ჯაბუკი მსმენელები. ვიდრე მათ მიერ გადებული საფასურია, ხოლო, მეორეს მხრივ, როგორც მოქალაქემ, — ხელი შეუწყო შშობლიური ქალაქის კეთილდღეობას. რასაკვირველია, ასე უნდა იქცეოდეს ყველა. ვისაც სურს თავიდან აიცილოს ბრბოის ზიზღი და სანაცვლოდ მისი პატივისცემა დაიმსახუროს. მაგრამ ერთი ეს მითხარი, ჩემო ჰიპია: რა იყო იმის მიზეზი, რომ თავიანთი სიბრძნით საქმეყნოდ სახელგანთქმული ჩვენი წინაპრები, ქენება ეს პატაკე, ბიანტი, თალეს მილეტელი[6] თუ ვინმე სხვა, ანაქსიაგორას[7] ჩათვლით, — თითქმის ყოველთვის თავს იკავებდნენ საზოგადოებრივ საქმეებში ჩარევისაგან?

ჰიპია. ამის მიზეზი მხოლოდ ისაა, ჩემო სოკრატე, რომ მათ არ შეეძლოთ ერთფეროვნად გასწვდომოდნენ ორსავე საქმეს — კერძოსაც და საზოგადოსაც.

სოკრატე. მითხარი, რა ეიფქრით, ზეესის გულისთვის- მსგავსად იმისა, როგორც ყველა სხვა ხელოვნება დაიხვეწა და წარსული დროის ხელოვანნი ესოდენ უმჯობინი ჩანან თანამედროვეებთან შედარებით, თქვენმა სოფისტურმა ხელოვნებამაც ისეთ სრულყოფილებას მიაღწია, რომ ჩვენი ბრძენი წინაპრები ახლოს ვერ მოვლენ თქვენთან?

ჰიპია. რა თქმა უნდა.

სოკრატე. ესე იგი, ჩემო ჰიპია, ანაზდად რომ გამოგვცხადებოდა ჭედრეთით ადმდგარი ბიანტი, ან, ალბათ, ღიმილს მოგვგვრიდა ჩვენ, ისევე როგორც დედალსმ[8], რომელზედაც მოქანდაკენი ამბობენ: ხელაწო რომ დაიბადის და იმდენივე ქმნილებენ შექმნის, რომელთა წყალობით სახელი მიიხვეჭა ოდესღაც[9] ოსტატ დედალ მხოლოდ თავს შეირეცხენდაო ყველას წინაშე.

ჰიპია. მართალს ამბობ, ჩემო სოკრატე. მაგრამ მე, ჩვეულებისამებრ, თანამედროვეებზე უფრო მეტად წინაპრებს ვაქებ, რადგან მეშინია ცოცხალთა შურის და მეკადრთა რისხეისა.

სოკრატე. მშვენიერად მსჯელობ, ჩემო ჰიპია! მე ვიხიარებ შენს სიტყვებს და შეგიძლია დაგიდასტურო, რომ თქვენმა ხელოვნებამ მართლაც დიდ სრულყოფილებას მიაღწია, რაც შესაძლებლობას გაძლევთ წარმატებით შეუთანხოთ საზოგადოებრივი მოღვაწეობა თქვენსავე კერძო საქმეებს. ან, მაგალითად. გორგიასან, ლეონტინელი სოფისტი, მისმა ქალაქმა წარმოგზავნა ათენში ელჩად, როგორც ლეონტინელთა ინტერესების ყველაზე უკეთესი დამცველი. მან სახალხო სათათბიროშიც გამოიჩინა თავი, როგორც უებრო მეტყველმეტყველმა და, ამასთან, არც თავისი საქმეები დავიწყებია: დიდადი ფული მოხეტება და ეაიღო კიდეც ათენიდან. ანდა, თუ გნებავს, ჩვენს მეგობარს — პროდიკეს[10] დავისახელებ, რომელიც ეწონაც არაერთხელ ჩამოსულა ათენში სახელმწიფოებრივი საქმეების მოსაგვარებლად. ხოლო უკანასკნელად, როცა ქეოსის ელჩად გვიწვია, საჯაროდაც დიდებული სიტყვა წარმოსთქვა და კერძოდ გაკეთილშობილ პირდაპირ გაკეთდა კაცი. ჩვენი წინაპრებიდან კი აზრადაც არავის მოსვლია ფულადი სახლეური მოეთხოვა საკუთარი ღვაწლის სანაცვლოდ, ანდა ბრბოის წინაშე გამოემეზეურებინა თავისი სიბრძნე. ესოდენ მიამენი ყოვნენ ისინი! არცერთმა არ იცოდა ფულის ყადრი. მარტო გორგიამ და პროდიკემ კი იმდენი ფული მოხეტებს, რამდენიც თვალითაც არ უნახავს ძველი დროის არცერთ ხელოვანს. ხოლო მთაზე ადრე ასევე იქცეოდა პროტაგორაც[11].

II

ჰიპია. როგორც ჩანს, ზოგი რამ ვეშლება, ჩემო სოკრატე! რომ იცოდე, რამდენი ფული გამიკეთებია ჩემი ხელოვნების წყალობით, უფრო დიდად გაგაკვირვებდა ეს. ერთხელ (სხვაზე რომ არაფერი ვთქვა) სიცილიაში[1] მომიხდა ჩასვლა, და თანაც მაშინ, როცა იქ იმყოფებოდა სახელგანთქმული პროტაგორა, რომელიც ჩემზე ბევრადაც უფროსი იყო. მაგრამ, შენ წარმოიდგინე, ჩემი გამოეცდელობის მიუხედავად, სულ მოკლე ხანში შევძელი ასორმოცდაათ მნაზე[2] მეტი შემეკეჩებინა, აქედან ოც მნაზე მეტი მარტო ერთ პატარა ბაში — ინიკოსშიმ ვიშოვე. შინ დაბრუნებისას მოელი ეს თანხა მამაჩემს ჩავუთვალე, რომელიც, ისევე როგორც ჩვენი თანამოქალქენი, პირდაპირ გაუტრეზეული დარჩა. ჩემი ანგა-

რიზით, მარტო მე უფრო მეტი ფული მაქვს ნაშოვნი, ვიდრე ნებისმიერ ორ სოფისტს ერთად.

სოკრატე. ბარაქალა, ჩემო ჰიპია! მშვენიერ ბაბუას იშვილებ შენი და თანამედროვე სოფისტთა სიბრძნის დასამტკიცებლად. როგორ განსხვავდებიან ისინი ჩვენი წინაპრებისგან, რომლებიც, შენი თქმით, თურმე სრულიად უმეცარნი იყვნენ. აკიდო, მაგალითად, ანაქსაგორა, რომელსაც სულ სხვაგვარად წაუვიდა საქმე: მას დიდძალი მემკვიდრეობა დარჩა, მაგრამ, დაუდეგრობის გამო, ყველაფერი ხელიდან გამოუცალა, — აი, რა უგუნური ბრძენი იყო ის! ამასვე ამბობენ ჩვენს ზოგიერთ წინაპრებზედაც. ასე რომ, ჩემის აზრით, შენ მშვენიერად ამტკიცებ, როგორც უფრო მაღლა დგანან დღევანდელი სოფისტები ჩვენს წინაპრებზე. ბრბოს ეკონია, რომ ბრძენი, უპირველეს ყოვლისა, თავისი თავისადმი უნდა იყოს ბრძენი; ეგზე იგი, მისი აზრით, ყველაზე ბრძენია ის, ვინც ყველაზე უფრო მეტ ფულს აკეთებს. მაგრამ, მოდი, მოვიშვათ ამას. ერთი ეს მითხარი: ამ ქალაქებიდან, რომლებსაც შენ სწვევხარ, სად გიშოვნია ყველაზე მეტი ფული? თუმცა, რა საკითხავია? ალბათ, ლაკედემონში, სადაც ყველაზე სწორად ნადირობ. არა?

ჰიპია. არა, ღმერთმანი, ჩემო სოკრატე.

სოკრატე. რას ამბობ? მაშ, ყველაზე ცოტა?

ჰიპია. ორცერთი გროში.

სოკრატე. უცნაურია, ღმერთმანი! გამაგებინე, ჩემო ჰიპია, შეუძლია თუ არა შენს სიბრძნეს სთნოვებაში სრულყოს შენი მმართველნი?

ჰიპია. რა თქმა უნდა, ჩემო სოკრატე.

სოკრატე. მაშასადამე, შენ შეგიძლო სთნოვებაში სრულგეყო ინიკოსელი ჭაბუკები, მაგრამ არა სპარტელთა ძენი?

ჰიპია. ეფიერობ, რომ არა.

სოკრატე. როგორც ირკვევა, სიცილიელებს სურდათ სრულქმნილებას ზიარებოდნენ, ლაკედემონელებს კი არა.

ჰიპია. არა, სოკრატე, ლაკედემონელებსაც ძალიან სურდათ.

სოკრატე. მაშ, იქნება, ფული არ ჰქონდათ საწყლებს.

ჰიპია. არა, ღმერთმანი, ფულიც ბლომად ჰქონდათ.

სოკრატე. კი მაგრამ, თუ მათ ფულიც ჰქონდათ და სურვილიც, და თუ შენ შეგიძლო ფასდაუდებელი სამსახური გაგეწია მათთვის, მაშინ რა იყო ამის მიზეზი, რომ ხელფასიანად გამოგეხატვინა? მართლაცდა, ჩემ ეერ . დაეუშვებთ, რომ ლაკედემონელებს შეუძლიათ შენზე უკეთ აღზარდონ თავიანთი ძენი? ან, იქნებ, შენ შეგიძლია დაეთანხმო ამნაირ ახსნას?

ჰიპია. არაფრისდიდებით.

სოკრატე. ეგება ვერ შესძელი დაგერწმუნებინა ლაკედემონელი ჭაბუკები, რომ შენს გაკვეთილებზე დასწრებით უფრო უმალ ეზიარებოდნენ სათნოებას, ვიდრე თავიანთ ახლოლებთან ყოველდღიური ურთიერთობის წყალობით? ან, იქნებ, ვერ მოახერხე დაგამტკიცებინა მათთ მამებისათვის, რომ თუ ისინი მართლა ზრუნავენ თავიანთ შვილებზე, სწორედ შენთვის უნდა მოვნოთ მათი აღზრდა? რადგან ხომ არ შეიძლება ვიფიქროთ, რომ მათ შორის გამო დაუშალეს თავიანთ შვილებს მოკლე ხანში მიეღწიათ ჭეშმარიტი სრულქმნილებისთვის?

ჰიპია. არა მგონია, შური ყოფილიყო ამის მიზეზი, ჩემო სოკრატე.

სოკრატე. კი მაგრამ, ლაკედემონს ხომ მშვენიერი კანონები აქვს?4

ჰიპია. რა თქმა უნდა.

სოკრატე. მერედა, სახელმწიფოებში, რომლებსაც მშვენიერი კანონები აქვთ, განა სწორედ სათნოებას არა სცემენ ყველაზე მეტ პატივს?

ჰიპია. რასაკვირველია.

სოკრატე. კეთილი და პატიოსანი: ახლა მითხარი: განა შენ არა ხარ სათნოების ყველაზე უკეთესი მასწავლებელი?

ჰიპია. ყველაზე უკეთესი, ჩემო სოკრატე.

III

სოკრატე. კი მაგრამ, ის, ვინც ყველაზე უკეთ ასწავლის სხვებს ცხენების ხედნის ხელოვნებას, განა თესალიაში არ მოიხეკენს უფრო დიდ სახელს, ვიდრე ელადის რომელსამე სხვა კუთხეში და განა იქვე არ იშოვის ყველაზე მეტ ფულსაც? ოგივე ითქმის ყველა სხვა მხარის მიმართ, სადაც პატივს სცემენ ამ ხელოვნებას.

ჰიპია. დიახ.

სოკრატე. ხოლო ის, ვინც ყველაზე უკეთ ვადასცემს სხვებს ფასდაუდებელ ცოდნას, რომელსაც შეუძლია სიკვდილსა და სრულქმნილებას გვაზიაროს, განა ყველაზე მეტად ლაკედემონში არ გაითქვამს სახელს და, თუ ისურვებს, ლაკედემონშივე — ისევე როგორც მშვენიერ კანონთა მქონე ყველა სხვა ბერძნულ ქალაქში, — არ იშოვის ყველაზე მეტ ფულსაც? ნუთუ გგონია, ჩემო მეგობარო, რომ ის სიცილიაში — ინიკოსში — უკეთ მოახერხებს ამას? როგორ დავიჯეროთ ეს, ჩემო ჰიპია? თუმცა, თუ მიბრძანებ, უნდა დავიჯერო.

ᲐᲚᲐᲢᲝᲜᲘ
ᲓᲘᲓᲘ ᲰᲘᲞᲘᲐ

ჰიპია. საქმე ისაა, ჩემო სოკრატე, რომ ლაკედემონელებს წინაპართა წესი არ აძლევს კანონების შეცვლისა და ახალგაზრდობის ახლებურად აღზრდის ნებას.

სოკრატე. რას ამბობ? ესე იგი, წინაპართა წესი ლაკედემონელებს არ აძლევს მართებულად ქცევის უფლებას, შეცდომების ნებას კი რთავს?

ჰიპია. მე ეს არ მითქვამს, ჩემო სოკრატე.

სოკრატე. კი მაგრამ, ისინი უფრო მართებულად მოიქცეოდნენ, თუ უკეთესად აღზრდდნენ თავიანთ შვილებს და არა უარესად.

ჰიპია. სწორია! მაგრამ ლაკედემონელებს უკანონოდ მიიჩნიათ თავიანთი შვილების უცხოურ წესზე აღზრდა. ისე კი, რომელსამე სოფლატს ოდესმე მანც რომ მიეღო მათგან აღზრდის საფასური, დარწმუნებული ბრძანებიდა, მე უფრო მეტს მივიღებდი, ვიდრე სხვა ვინმე, რადგან ისინი დიდი სიამოვნებით მისმენდნენ და მაქებდნენ კიდეც; მაგრამ რას იზამ: კანონი კანონია.

სოკრატე. როგორ გგონია, ჩემო ჰიპია, რა მოაქვს კანონს სახელმწიფოსთვის: სარგებლობა თუ ენება?

ჰიპია. კანონს სარგებლობის მიზნით დებენ, მაგრამ ზოგჯერ მას ენებაც მოაქვს, თუ ცუდად დებენ.

სოკრატე. რაო? განა კანონმდებელნი სახელმწიფოს სასიკეთოდ და საკეთილდღეოდ არ დებენ კანონს? განა უამისოდ შესაძლელი იქნებოდა კანონიერება?

ჰიპია. მართალს ბრძანებ.

სოკრატე. მაშასადამე, თუ კანონმდებელი სიკეთის მიმართ სცოდავს, ამით ის კანონისა და კანონიერების მიმართაც სცოდავს; რას იტყვი, ასე არაა?

ჰიპია. ჭეშმარიტების თვალსაზრისით, მართლაც ასეა, მაგრამ კაცნი სხვადასხვა ფიქრობენ.

სოკრატე. მაინც ვის გულისხმობ, ჩემო ჰიპია: მცოდნეთ თუ უმეცართ?

ჰიპია. უმრავლესობას.

სოკრატე. სიინტერესოა, იცნობს თუ არა ეს უმრავლესობა ჭეშმარიტებას?

ჰიპია. რასაკვირველია, არა.

სოკრატე. კი მაგრამ, მცოდნენი ხომ თვითეული ჩვენგანისათვის უფრო კანონიერად მიიჩნევენ იმას, რაც უფრო სასარგებლოა, ვიდრე იმას, რაც ნაკლებ სასარგებლოა? თუ შენ არ მეთანხმები?

ჰიპია. გეთანხმები მხოლოდ იმდენად, რამდენადაც საქმე ეხება ჭეშმარიტებას.

სოკრატე. მაგრამ განა ყველაფერი ისე არ არის, ყველაფერი ისე არ ხდება, როგორც მცოდნენი ფიქრობენ?

ჰიპია. ჭეშმარიტად.

სოკრატე. მაშასადამე, როგორც შენ ამტკიცებ, ლაკედემონელებისთვის უფრო სასარგებლო იქნებოდა აღზრდის შენებული თოდით ეხელმძღვანელათ, — მიუხედავად იმისა, რომ ეს მეთოდი უცხოურია, — და არა წესით თავიანთი წინაპრებისა.

ჰიპია. დიახ, ვამტკიცებ და სავსებით სამართლიანადაც.

სოკრატე. ესე იგი, ყველაზე უფრო სასარგებლო, ამავე დროს, ყველაზე უფრო კანონიერიც არის; ამას ამტკიცებ, ჩემო ჰიპია?

ჰიპია. ხომ გითხარი, ამას-მეთქი.

სოკრატე. ასე რომ, ლაკედემონელთა ძენი უფრო კანონიერად აღიზრდებოდნენ, თუ ჰიპიას გაკეთილის დაუგდებდნენ ყურს და არა თავიანთი მამების ჩაჩვეს; თუკი, რა თქმა უნდა, ისინი მართლაც უფრო დიდ სარგებლობას მიიღებდნენ შენგან.

ჰიპია. რა თქმა უნდა, უფრო დიდს, ჩემო სოკრატე.

სოკრატე. მაშასადამე, ლაკედემონელები უკანონოდ იქცევიან, რაკიდა ფულს გიტარებენ და თავიანთი შვილების აღზრდას არ განდობენ.

ჰიპია. ამაზეც გეთანხმები; შენ, როგორც ჩანს, ჩემს სასარგებლოდ ლაპარაკობ და ამიტომ საწინააღმდეგოც არა მაქვს რა.

IV

სოკრატე. ამრიგად, ჩვენ ვხედავთ, ჩემო მეგობარო, რომ ლაკედემონელები უკანონოდ იქცევიან, და ეს — ყველაზე არსებითსა და დიდმნიშვნელოვან საკითხში, მიუხედავად იმისა, რომ კანონების ყველაზე ერთგულ მცველებად მოაქვთ თავი. მაგრამ, ღვთის გულისათვის, ეს მითხარი, ჩემო ჰიპია: რას უფრო მეტი სიამოვნებით ისმენენ ისინი, ანდა რისთვის გაქებენ შენ? ალბათ, იმას, რაც ყველაზე უკეთიცი: ვარსკვლავთმრიცხველობასა თუ ციური სხეულების ცვლებადობას.

ჰიპია. არა, ღმერთმანე; ისინი ვერ იტანენ ასტრონომიას.

სოკრატე. მაშინ, იქნებ, გეომეტრია აინტერესებთ?

ჰიპია. არც გეომეტრია, რადგან, მართალი გითხრა, ბევრმა მათგანმა თვლაც კი არ იცის.

სოკრატე. როგორც ირკვევა, მათ ნაკლებად ეზიდავს შენი გამოთქმები.

ჰიპია. ნაკლებად, ეფიცავ ზეუსს.

სოკრატე. ალბათ, ის მაინც აინტერესებთ, რის გარჩევასა და გამოწვლილვიან განხილვაშიც ბადალი არ მოგეძებნება: ასოებისა თუ მარცვლების მნიშვნელობა, რიტმისა თუ ჰარმონიის ბუნება?

ჰიპია. რის ჰარმონია, რის ასოები, ჩემო კეთილო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოკრატე. კი მაგრამ, მაშინ რაღას ისმენენ სიამოვნებით, ან რისთვისღა გაქვებენ შენ? თავად მითხარი, თუ ღმერთი გწამს, თორემ, ხომ ხედავ, ჩემით ვერ ვხედავ.

ჰიპია. გმირებისა თუ უბრალო მოკვდავთა გენეალოგიებს,[1] კოლონიების დასახლებისა[2] თუ უძველეს დროში ქალაქთა დაარსების ამბებს, მოკლედ, ყველაფერს, რაც ზორეულ წარსულს ეხება. ასე რომ, მე იძულებული ვიყავი გულდასმით შემესწავლა და დამემუშავებინა ყველა ეს საკითხი.

სოკრატე. ვფიცავ ზეუს, ბედნიერი კაცი ხარ, ჩემო ჰიპია, ბედნიერი ხარ იმიტომ, რომ ლაკედემონელებს არ ინტერესებთ ყველა ჩვენი არქონტების[3] სახელის ცოდნა, სოლონის[4] ჩიოქლიო, თორემ რამდენი ოფლის დღვრა მოგიწევდა მათ დასავახსოვრებლად.

ჰიპია. რატომ, სოკრატე? მე შემიძლია ერთი მოსმენით დავიმახსოვრო ორმოცდათი სახელი.

სოკრატე. მართალს ბრძანებ; კინაღამ დამავიწყდა, რომ შენ განსაცვიფრებელი მეხსიერება გაქვს. ახლა კი ვხედავ: ლაკედემონელებს იმიტომაც უხარიათ შენთან შეხვედრა, რომ ბევრი რამ იცი. ისინი ისე გიყურებენ, როგორც პატარა ბავშვები — დედაბრის, რომელიც ღამაზ ზღაპრებს უამბობს მათ.

ჰიპია. მართლაცდა, ჩემო სოკრატე, ვფიცავ ზეუს, ლაკედემონში არნახულ წარმატებას მიეაწერე ამას წინათაც, როცა ვარჩევდი საკითხს ზოგიერთი შშვენერი საქმიანობის შესახებ, რომლებშიაც თავს უნდა იწყვიდეს ახალგაზრდობა. ამ საკითხთან დაკავშირებით შშვენერი სიტყვაც შეეთხზე, რომელიც, ბევრ სხვა ღირსებასთან ერთად, გამოთქმების განსაკუთრებული სინატფოთაც ვამოირჩევა. აი, როგორ იწყება ჩემი სიტყვა: „ტროას ალების შემდეგ. — ნათქვამია მასში, — ნეოპტოლემოსმა ჰკითხა ნესტორს[6]: რა საქმეს უნდა მოჰკიდოს ხელი ჯაბუკმა, რომელსაც სახელის მოხვეჭა სურსო?“ ამის შემდეგ ლაპარაკობს ნესტორი და ბევრ საყურადღებო და სასარგებლო რჩევას ძღვევს მას. ეს სიტყვა ლაკედემონელებს წავუკითხე, ხოლო ზეგ, ვედიკენ[7], ალემანტოსის ძის თხოვნით. ეპარიგ აქაც — ფილოსტრატენ[8] სკოლაში — წავიკითხო, ბევრ სხვა საინტერესო სიტყვასთან ერთად. შენ, რა თქმა უნდა, მოხვალ და, იმედია, სხვებსაც მოიყვან, რომლებიც შესანდეგნენ ჩემი სიტყვის მოსმენის შემდეგ სათანადოდ შეიფასონ მისი ღირსება.

სოკრატე. თუ ღმერთმა ინება, ასეც ვიზამ, ჩემო ჰიპია. მაგრამ ჯერ კიდევ მოკლედ განმიმარტო ერთი საკითხი, რომელიც, ჩემდა საბედნიეროდ, მართლაც დროზე გამახსენე.

V

ამას წინათ, ერთ კაცთან საუბრის დროს, ეგზომდენი სიმახინჯეს და ვაქებდი მშვენიერებას. უცებ ეს ჩემი თანამოსაუბრე მომიბრუნდა და თავისი თავხედური შეკითხვით პირდაპირ გამოუფალ მდგომარეობაში ჩამაყენა: „კი მაგრამ, — მითხრა მან, — რა იცი, სოკრატე, რა არის მშვენიერი და რა არის მახინჯი? ენახოთ, შეგიძლია თუ არა განმიმარტო, რა არის მშვენიერება?“ მე საბრალო გავშრი, გავშეშდი და ვერაფერი ვერ ვუპასუხე. საუბრის შემდეგ კი, ჩემს თავზე განრისხებულმა, სულ თავბედი ვიწყევლე და გადავწყვიტე, როგორც კი შევხვდებოდი რომელსამე ბრძენს, დაწვრილებით გამომეკითხა მისთვის, რა არის მშვენერი, კარგად დამემახსოვრებინა ყველაფერი და მერე ხელახლა მოვსულიყავი საპაეკრიდ ჩემს თანამოსაუბრესთან. ჰოდა, ვის ენახავ შენზე უკეთესს? მაშ, განმიმარტე, რა არის ეს მშვენერი? მაგრამ ეცადე, რაც შეიძლება ზუსტად ამიხსნა ყველაფერი, რათა ხელახლა სხვისი დასაცინი არ გავხდე. შენ, რა თქმა უნდა, მშვენიერად იცნობ ამ საკითხს, რომელიც შენი ულეველი ცოდნის უმნიშვნელო ნაწილია მხოლოდ და მხოლოდ.

ჰიპია. უმნიშვნელო, ვფიცავ ზეუსს, ჩემო სოკრატე; შეიძლება ითქვას, — უბადრუკიც.

სოკრატე. მაშასადამე, მით უფრო ადვილად გავიგებ ყველაფერს და დღეის იქით ვეღარავინ შესძლებს უმეცრებაში მამხილოს.

ჰიპია. ვეღარავინ, ჩემო სოკრატე: მაშინ რა ფასი აქვს ჩემს სიბრძნეს?

სოკრატე. ვფიცავ ჰერას, დიდად გამახარე, ჩემო ჰიპია; აჰ, ნეტავ, ერთი ის წყეული დამაჯახებინან! მაგრამ მითხარი, ხელს ხომ არ შეგიშლი, თუ, მისი მიბაძვით, შეეკედები უკეთესმითი შეკითხვები დავუპირისპირო შენს პასუხებს, — ეგება ასე უფრო მეტი გავიგო შენგან. მე ხომ დიდი მოკავშირე და პაექრობის ტრფიალი ვარ. ამიტომ, თუ შენთვის სულერთია, ნება მიბოძე გეკითხო, რათა ამ გზით უკეთ ჩაეწვდე ჩვენი საკითხის არსს.

ჰიპია. ნება შენია, მეკითხეთ. აკი გითხარი, ეს საკითხი ჩემთვის საძნელო საქმეს არ წარმოადგენს-მეთქი. ის კი არა, მე შემიძლია უფრო რთულ კითხვებზეც გიპასუხო, რათა დღეის იქით ვეღარავინ ვეღარ შესძლოს შენი მხილება.

სოკრატე. ღმერთო, რა კარგად ლაპარაკობ! მაგრამ, რაკი ნება მაძლევ, ვეცდები ჩემი თანამოსაუბრის როლში შევიდე და კითხვები შემოგთავაზო. მართლაცდა, ძის წინაშე რომ წარმოგეძვა შენი სიტყვა, რომელზეც წე-

---

კლატონი
დიდი ჰიპია

დან ლაპარაკობდი, — სიტყვა მშვენიერ საქმიანობათა შესახებ, ის არ დაახანებდა და სიტყვის დასრულებისთანავე გკითხავდა, იცი თუ არა შენ, რა არის მშვენიერი თავისთავად: „ელდეელო სტუმარო, — იტყოდა იგი, — განა სამართლიანნი სამართლიანობით არ არიან სამართლიანნი?“ მიპასუხე, ჩემო ჰიპია, მაგრამ ისე, თითქოს მე კი არა, მას პასუხობდე.

ჰიპია. ვუპასუხებდი — სამართლიანობიმეთქი.

სოკრატე. „მაშასადამე, სამართლიანობა რაღაცა არის“.

ჰიპია. რა თქმა უნდა.

სოკრატე. „ზუსტად ასევე, განა ბრძენნიც სიბრძნით არ არიან ბრძენნი, და განა კეთილით არ კეთილის ყველა კეთილი?“

ჰიპია. ჭეშმარიტად.

სოკრატე. „და ყოველივე ეს რაღაც არის თუ არა არის რა?“

ჰიპია. რასაკვირველია, რაღაც არის.

სოკრატე. „ამრიგად, განა მშვენიერიც მშვენიერით არ იქნება მშვენიერი?“

ჰიპია. რა თქმა უნდა, მშვენიერით.

სოკრატე. „რომელიც რაღაც არის?“

ჰიპია. არის, ამა, არ არის? რას ჩამაცივდი?

სოკრატე. „მაშინ, მითხარი, უცბოელო, — მოგმართავს ის — რა არის მაინც ეს მშვენიერი?“

ჰიპია. როგორც ჩანს, ის მეკითხება, ჩემო სოკრატე, რას შეიძლება ეწოდოსო მშვენიერი.

სოკრატე. მე კი მგონია, მას სურს შეიტყოს, რა არის თვით ეს მშვენიერი, ჩემო ჰიპია.

ჰიპია. კი მაგრამ, რა განსხვავებაა?

სოკრატე. აგრე გგონია?

ჰიპია. რა თქმა უნდა, არავითარი.

სოკრატე. თუ ასეა, რა გიფწყობა, შენ უკეთ იცი. მაგრამ კარგად დაუკვირდი, ჩემო კეთილო: შენ გეკითხებიან არა იმას, თუ რას შეიძლება ეწოდოს მშვენიერი, არამედ იმას, თუ რა არის მშვენიერი.

ჰიპია. ახლა კი მესმის, რას მოითხოვს ეს კაცი, ჩემო ძვირფასო; მესმის და ისეთ პასუხსაც გიგეცემ, რომ ვეღარაფერში შემომდგომს. თუ სიმართლის გაგება გსურს, ჩემო სოკრატე, უნდა იცოდე, რომ მშვენიერი — მშვენიერი ქალიშვილია.

VI

სოკრატე. ეფიცავ ძაღლს, დიდებული პასუხია, ჩემო ჰიპია, დიდებული! მოდი, მეც ასე ამომწურავად ვუპასუხებ ჩემს თანამოსაუბრეს და, აბა, მაშინ გამიბედოს შემოდგომა.

ჰიპია. როგორ გგიბედავს, ჩემო სოკრატე, როცა მთელი ქვეყანა ასე ფიქრობს და ყველა, ვინც შენს პასუხს მოისმენს, ერთხმად დაგიმოწმებს, რომ მართალს ამბობ.

სოკრატე. კეთილი და პატიოსანი; მაგრამ, მოდი, ჩემო ჰიპია, ერთხელ კიდევ გიკითხავ შენს სიტყვებს, როგორ ამ კაცი უთუოდ მკითხავს: „აბა, მიპასუხე, სოკრატე: ყოველივე ის, რასაც შენ მშვენიერს უწოდებ, მშვენიერი იქნება მხოლოდ მაშინ, თუ არსებობს მშვენიერი თავისთავად?“ მე კი მივუგებ: თუ მშვენიერი ქალიშვილი — მშვენიერია, მაშინ ყოველივე მშვენიერი სწორედ მისი წყალობით იქნებამეთქი მშვენიერი.

ჰიპია. და შენ გგონია, ამის შემდეგ ის კვლავ გაბედავს შემოგდგომს და თქვას, რომ მშვენიერი არ არის ის, რაზედაც მსჯელობ? და თუ გაბედავს, დამერწმუნე, სირცხვილს ჭამს მხოლოდ.

სოკრატე. რომ გაბედავს, ამაში ღრმად ვარ დარწმუნებული, ჩემო ძვირფასო, ხოლო რაც შეეხება სირცხვილს ჭამას, ამას მომავალი გვიჩვენებს. მაგრამ ახლა უნდა გითხრა, რას იტყვის იგი.

ჰიპია. მითხარი, რაღა!

სოკრატე. „რა კარგი ხარ, ჩემო სოკრატე, — მომმართავს ის, — კი მაგრამ, განა მშვენიერი არ არის მშვენიერი ფაშატი, რომელიც თვით ღმერთმა შეაქო თავისი წმინდა სიტყვით?“[1]. რას ვიტყვით ამაზე, ჩემო ჰიპია? იქნებ იმას, რომ ფაშატიც მშვენიერია, — მე ვგულისხმობ მშვენიერ ფაშატს. მართლაცდა, ვინ გაბედავს იმის თქმას, რომ მშვენიერი არ არის მშვენიერი?

ჰიპია. მართალს ბრძანებ, ჩემო სოკრატე, რადგან მართალი ბრძანა ღმერთმა: ჩვენ ხომ მართლაც უმშვენიერესი ფაშატები გვყავს.

სოკრატე. „კეთილი და პატიოსანი, — კვლავ იტყვის ის, — განა მშვენიერი ლარაც მშვენიერი არ არის?“ ამაზეც უნდა დავეთანხმოთ, ჩემო ჰიპია?

ჰიპია. რა თქმა უნდა.

სოკრატე. ამის შემდეგ ის კაცი, რამდენადაც მე მას ვიცნობ, უთუოდ მკითხავს: „კი მაგრამ, მშვენიერ ქოთანზე რაღას იტყვი, ჩემო ძვირფასო? განა ისიც მშვენიერი არ არის?“

ჰიპია. ეს ვის გადავეკიდეთ, ჩემო სოკრატე? სად გაგონილა ესოდენ მაღალ საგანზე ასე მდაბალი და მდაბიური სიტყვით მსჯელობა?[2]

სოკრატე. რას იზამ, ასეთი ტლანქი და გაუთლელი კაცია, ჩემო ძვირფასო; ჭეშმარიტების ვარდა ყველაფერი ფეხებზე ჰკიდია, მაგრამ უპასუხოდ მაინც ვერ დავტოვებთ და ამიტომ წინასწარ უნდა გითხრა: თუ ეს ქოთანი კარგი ბეკონთან ნახელავია, მრგვალია, ლეკვი და კარგად გამომწვარი, როგორც ის მშვენერი ორყურა ქოთნები, რომლებშიც ექესი ქოვ? ჩაიის, — მაშინ უნდა ვაღიაროთ, რომ ის მართლაც მშვენერია. განა შეიძლება მშვენერი არ ეუწოდოთ მშვენერს?

ჰიპია. არ შეიძლება, ჩემო სოკრატე.

სოკრატე. „მაშასადამე, — იკითხავს ის, — მშვენერი ქოთანნიც მშვენერია?“

ჰიპია. აი, რას გეტყვი, ჩემო სოკრატე: რა თქმა უნდა, ამ ჭურჭელსაც[4] შეიძლება მშვენერი ეწოდოს, თუკი კარგი ნახელავია, მაგრამ, საერთოდ, მის მშვენებას ვერ შეადარებთ ყმაწვილი ქალის, ფაშატის თუ სხვა მისთანათა მშვენერებას.

სოკრატე. დე, ასე იყოს, ახლა კი მესმის, ჩემო ჰიპია, რა უნდა უპასუხო მას: მეგობარო. როგორც ჩანს, შენ არ იცნობ ჰერაკლეტეს მშვენერ სიტყვებს: „უმშვენერესი მაიმუნიც კი მახინჯია კაცთა მოდგმასთან შედარებით“.[5] მაშასადამე, თვით უმშვენერესი ქოთნის მშვენებაც კი სიმახინჯედ მოგვეჩვენება, თუ მას ქალწულთა გვარს შეადარებთ, როგორც ბრძენებს ჰპია ბრძენი. ასე არ არის, ჩემო ჰიპია?

ჰიპია; რა თქმა უნდა, ჩემო სოკრატეს! სწორად უპასუხე.

VII

სოკრატე. ყური დამიგდე; მე ხომ ვიცი, ამის შემდეგ რას იტყვის იგი: „მერედა, ჩემო სოკრატე, თუ ქალწულთა გვარს ღმერთებისას შეადარებთ, განა პირველნი ისევე არ დაინრდილებიან, როგორც ქოთნები — ქალწულებთან შედარებით? განა უმშვენერესი ქალწულიც კი მახინჯად არ მოგვეჩვენება ბაშინ? სხვათაშორის, ამასვე ამტკიცებს ჰერაკლეტეც, რომელსაც შენ იმოწმებ; აი, რას ამბობს იგი: „კაცთაგან ყველაზე ბრძენი ღმერთთან შედარებით მაიმუნი გეგონება სიბრძნის, სიმშვენიერის და სხვა მისთანათა მხრივ[1]. რა ვქნათ, ვალიართო, ჩემო ჰიპია, რომ უმშვენერესი ქალწულიც კი მახინჯია ღმერთების გვართან შედარებით?

ჰიპია. ვინ შესძლებს ამის უარყოფას, ჩემო სოკრატე?

სოკრატე. მაგრამ, თუ ამას ვალიარებთ, ის გაიცინებს და ასე იტყვის: „თუ გახსოვს, რას გეკითხებოდი, სოკრატე?“ ამაზე მე მივუგებ: შენ მეკითხებოდი, რა არისო მშვენერი თავისთავად? — „კი მაგრამ, — დასძენს ის, — მაშინ რატომღა მთავაზობ ჩემი კითხვის პასუხად იმას, რაც, შენივე თქმით, იმდენადვე მშვენერია, რამდენადაც მახინჯი?“ — მართლაც ასე გამოდის-მეთქი, — ვალიარებ მე. — რას მირჩევ, ჩემო მეგობარო, სხვა რა უნდა მივუგო მას?

ჰიპია. სხვა არაფერი. რადგან ის, ალბათ, არ შეიდება, თუ იტყვის, რომ კაცთა მოდგმა მახინჯია ღმერთების გვართან შედარებით.

სოკრატე. „მე რომ თავიდანვე მეკითხა შენთვის, — კვლავ იტყვის იგი, — რა არის მშვენერი და, იმავდროულად, მახინჯია-მეთქი, რა თქმა უნდა, სწორი იქნებოდა შენი პასუხი, თუკი იმასვე მიპასუხებდი, რაც ახლა მიპასუხე. ან, იქნებ, მართალი გგონია, რომ მშვენერი თავისთავად, ანუ მშვენერების იდეა, რომელიც ამკობს და მშვენერებას ანიჭებს მასთან წილნაყარ ყველა საგანს, — ესაა ლირა, ქალაღმელი ანდა ფაშატი?“

ჰიპია. თუ მას სურს გიგოს, ჩემო სოკრატე, რა არის ის მშვენერი, რომელიც ამკობს და მშვენებით მოსავს მასთან წილნაყარ ყველა საგანს, ჩვენ სულ ადვილად დავამყოფილებთ მის ცნობისწადილს. როგორც ჩანს, შენი თანამოსაუბრე მართლა უბარი ვინმეა და ნაკლებად იცნობს მშვენერის საგანთა საუნჯეს. თუ უპასუხებს, რომ მშვენერი, რომელსაც ასე დაერნებით ეძებს, — ოქროა, მერწმუნე, ჩიხში მოიმწყვდევა და ვეღარ გაგიბედავს შემოდავებას. ჩვენ ხომ ვიცით: საკმარისია რაიმე საგანს, თუნდაც მახინჯს, შეერწყას ოქრო, რომ ის ოქროსთან შერწყმისთანავე დამშვენდეს და გამშვენერდეს.

სოკრატე. შენ ვერ წარმოიდგენ, ჩემო ჰიპია, რა კერპსა და შეუსმენელ კაცთან გვაქვს საქმე.

ჰიპია. რას მიქვია მისი სიკერპე? კეთილ ინებოს და შეისმინოს მართალი სიტყვა, არადა, მით უარესი მისთვის.

სოკრატე. კი მაგრამ, ამნაირ პასუხს ის არამცთუ არ შეისმენს, ჩემო ჰიპია, არამედ საცინლადაც ამიგდებს და ასე მეტყვის: „ვაი, შე გამოთაყვანებულო, ნუთუ ფიდიასი[2] ცუდ ოსტატად მიგაჩნიაო?“ რაზეც მე, ალბათ, ვუპასუხებ: როგორ გეკადრება-მეთქი.

ჰიპია. და სწორადაც უპასუხებ, ჩემო სოკრატე.

სოკრატე. რა თქმა უნდა, სწორად. მაგრამ დავეთანხმები და ვალიარებ თუ არა, რომ ფიდიასი კარგი ოსტატია, ის, ალბათ, იტყვის: „მაშასადამე, შენის აზრით, ფიდიასმა არ იცოდა, რა არის ის მშვენერი, რომელზედაც შენ მსჯელობ?“ მე ვუპასუხებს: ვითომ რატომაო? — „რატომ და, — მოიშერის ის, — იმიტომ რომ ათენს თვალები, ისევე როგორც სახის ზოგიერთი ნაკვთი და ხელ-ფეხი მან ოქროსგან კი კი გააკეთა, არამედ სპილოს ძვლისაგან, თუმცა სულ ოქრო რომ ეხმარა, რამდენად უფრო მშვენერი იქნებოდა მისი ქმნილება[3]. ცხადია, მან უმეცრების გამო დაუშვა ასეთი შეცდომა, რადგან არ იცოდა, რომ სწორედ ოქროა ის, რაც მშვენერს ხდის ყველაფერს, რასაც ერწყმის და უერთდება“. რა ვუპასუხოთ მას ამაზე, ჩემო ჰიპია?

ჰიპია. პასუხი იოლია: ფიდიასი არ შემცდარა, — მივუგებთ ჩვენ, — იმიტომ რომ სპილოს ძვლის ნაკეთობაც მშვენერია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოკრატე. „კი მაგრამ, — იტყვის ის, — მაშინ ფიდიასს გუეგბიც სპილოს ძვლისან უნდა გაეკეთებინა, მან კი სპილოს ძვლის მსგავსი ქვა აიჩინა; თუ მშვენიერი ქვაც მშვენერია?“ ამაზეე უნდა დავეთანხმოთო, ჩემო ძვირფასო?

ჰიპია. რა თქმა უნდა, თუკი ქვა თავის ადგილს არის ნახმარი.

სოკრატე. „და თუ არ არის, მაშასადამე, მახინჯია?“ რა ექნა, დავეთანხმო თუ არა მას?

ჰიპია. დაეთანხმე იმ შემთხვევაში, თუ ქვა უადგილოდ არის ნახმარი

VIII

სოკრატე. „როგორ, ჩემო ჯუეს კოლოფო! — ეკვლე იტყვის ის, — მაშასადამე, სპილოს ძვალი და ოქრო საგნებს მხოლოდ მაშინ ანიჭებენ მშვენიერებას, როცა თავის ადგილს არიან ნახმარნი, თუ არა და — ამახინჯებენ?“ როგორ მოვიქცეთ: უარეყოთ ამგვარი გაორება თუ ეაღიაროთ?

ჰიპია. ეაღიაროთ, რომ ყველა საგანს მშვენერებას ანიჭებს ის, რაც ყველას თავის ადგილს მოუდის.

სოკრატე. „კი მაგრამ, — იტყვის ის, — თუ ავიღეთ მშვენერი ქოთანი, მოეცა ეს-ესაა ეახლენი, და მშვენერი მხალს მოეხარშავთ შიგ!, როგორ გგონია, რა უფრო შესაფერი იქნება მისთვის: ოქროს ციცხი თუ ლეღვის ხისა?“

ჰიპია. ო, პერაკლეს! ეს კაცი ნამდვილად გადამრეულ რატომ არ მეტყვი, ვინ არის ის, ჩემო სოკრატე?

სოკრატე. ვერასეგზით ვერ მიხვდები, თუ სახელი არ გითხარი.

ჰიპია. მაგრამ იმას მაინც ვხვდები, რომ დიდი უზრდელი და უტიფარი ვინმე ბრძანდება.

სოკრატე. უტიფარი და აუტანელი, ჩემო ჰიპია; მაგრამ მაინც რა ვუპასუხო? რომელი ციცხეი უფრო შეჰფერის ამ ჩვენს მხალსა და ქოთანს? ცხადია, ლეღვის ხის ციცხეი, არა? მართლაც, ის უფრო თავისებურ სურნელს აძლევს შეკამაზს და, გარდა ამისა, არც ქოთანს გატეხს. ეო დადვრის წვენს, არ ჩაეკრობს ცეცხლს და აუშეკამადოდ არ დატოვებს მოშიენელ სტუმრებს. ოქროს ციცხემა კი შეიძლება ყოველივე ეს დაეწიოს. ასე რომ, ჩემის აზრით, ლეღვის ხის ციცხეი უფრო შესაფერისია, თუკი, რა თქმა უნდა, შენ სხვაგვარად არ ფიქრობ.

ჰიპია. რა თქმა უნდა, ლეღვის ხის ციცხეი უფრო შესაფერისია, ჩემო სოკრატე. მაგრამ მე მაინც არ ეიკადრებდი ამნაირ კაცთან ლაპარაკს.

სოკრატე. რაღ ეკადრებდი, ჩემო ძვირფასო? მართლაცდა, შენ, — მშვენიერად ჩაეცმულ-დახურულს[2] და მთელს საბერძნეთში უებრო სიბრძნით სახელგანთქმულს, რაში გგონდება თავის გამოტენა მსგავსი სიტყვებით? მეეთანხმებიო-ო-ო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ ჩემს თანამოსაუბრეს კი ვერ ვაამეთ: მერწმუნეს, ის ახლა უფრო მეტს იკითხავს ჩვენს პასუხზე.

ჰიპია. ვაი ამ სიცილს, ჩემო სოკრატე. თუ მას მეტი ალარაფერი დარჩა სთქმელი, ამით თავისთავს დასცინავს მხოლოდ და ასევე დასცინებენ მას სხვებიც.

სოკრატე. შესაძლოა, ასეც იყოს, მაგრამ, თუ წინათგრძნობა არ მატყუებს, ის უმალ მე დამცინავს და, ალბათ, ამასაც არ მაკმარებს.

ჰიპია. რაო? ,

სოკრატე. რა და, ღმერთმა ნუ ქნას, რომ ჯობი ეჭიროს ხელში, თორემ ერთს ლაზათიანად მიეხუნებს, თუ ვაქციეთ არ ვუშველეთ თავს.

ჰიპია. რას ამბობ, ადამიანო? ეს აკი რა, შენი ბატონია? განა ამისთვის სამართალში არ მისცემენ? თუ ათენში სამართალი არ არსებობს და მოქალაქეებს შეუძლიათ ასე უსამართლოდ ურტყან ერთმანეთს?

სოკრატე. როგორ ვეკადრება, ჩემო ჰიპია.

ჰიპია. მაშასადამე, მას სამართალში მისცემენ და დასჯიან ადეიეს ამ უკანონო საქციელისთვის.

სოკრატე. მე მგონია, მისი ქცევა არც ისე უკანონო იქნება, ჩემო ჰიპია, თუკი ასეთ პასუხს ვაკადრებ.

ჰიპია. რაკიდა შენ ასე გგონია, მე რაღა მრჯის, უნდა დავეთანხმო, ჩემო სოკრატე.

სოკრატე. კარგ ნებას მომცემ, გეტყვი, რატომ გამჯობესენ ამნაირი პასუხისთვის. მაგრამ, ვინ იცის, იქნებ შენც ასე განუსჯელად მიეხუნო ჯობი; თუ მოთმინებით აღიჭურვები და მოლოდინე მომისმენ?

ჰიპია. რა თქმა უნდა, მოგისმენ, ჩემო სოკრატე. ვნახოთ, რას მეტყვი.

სოკრატე. რას დაა... თუმცა, მოდი, ყველაფერს კალავ მისი მიბაძვით მოგახსენებ, რათა შენს თავზე არ მიიღო ის უგვანი და უადმური სიტყვები, რომლებითაც უთუოდ გამოთახავს მე. „მითხარი, სოკრატე, — იტყვის ის, — იქნებ, მართლა გგონია, რომ დაუმსახურებლად გაგჯოხეს, მას შემდეგ, რაც ასე უგემოვნოდ იგალობე ამსიერძე დითირამბი! და უხეშად გადეხეივე მოცემული კითხვის?“ — როგორ? — ვიკითხავ მე. — „როგორ? — კითხვას შემიბრუნებს ის, — ნუთუ ალარ გახსოვს? მე გეკითხებოდი, რა არის-მეთქი მშვენიერი თავისთავად, რომელიც მშვენიერებას ანიჭებს მასთან წოლნაყარ ყველა საგანს — ქვასა თუ ხეს, ადამიანსა თუ ღმერთს, ნებისმიერ საქმეს თუ ცოდნას. დიახ, სწორედ ამას ვკითხულობ; მაგრამ რა? შეიყარე ადეილ ცერცვი! ისე იქცევი, თითქოს ქვა იყო, ლოდი, დოლაბი, უყურო და უტეხნი არსი“. მაშინ მე — ნუ გაბრაზდები, ჩემო ჰიპია, — თავის დაძვრენის მიზნით, უთუოდ ვეტყვი: რა ვქნა, ჰიპიამ მითხრა სწორედ ეს ადამიანებზე, მშვენიერი, თუმცა მე ზუსტად შენი კითხვაც მიეპასუხა: რა არის-მეთქი მშვენიერი ყველასთვის და ყოველთვის? — მითხარი, ხომ არ გაბრაზდები, თუ ასე ვეტყვი?

ჰიპია. მე კალავ ვიმეორებ, ჩემო სოკრატე, რომ ის, რაც წეღან ვთქვი, მშვენიერი არის უკეთესად ყველასთვის.

სოკრატე. „და თუ არის, მაშასადამე, იქნება კიდეც. არა? — იკითხავს ის. — მართლადაც, მშვენიერი ხომ ყოველთვის მშვენიერია?“

ჰიპია. რა თქმა უნდა.

სოკრატე. „და რაკი ყოველთვის იქნება, ესე იგი, ყოველთვის იყო?“ — კალავ გვკითხავს ის.

ჰიპია. ცხადია, იყო.

X

სოკრატე. „მაშასადამე, — იტყვის ის, — ელიდელი სტუმარი ამტკიცებს, რომ აქილევსისთვისაც უმჯობესია თავის წინაპრებზე უფრო გვიან მიებაროს მიწას. ისევე როგორც პაპამისს — ეკისს! და ღმერთების ყველა სხვა შთამომავლისა თუ თვით ღმერთებისთვის?“.

ჰიპია. რაო? მოიშვი ამას! ამ კაცის მკრეხელობა, ჭეშმარიტად უსაზღვროა.

სოკრატე. კი მაგრამ, განა ნაკლები მკრეხელობა იქნება, თუ ანნიერ კითხვას დადებიან პასუხს გავცემთ?

ჰიპია. ვინ იცის?

სოკრატე. „მაგრამ ვინ იცის, — კალავ იტყვის ის, — იქნებ სწორედ შენ მკრეხელობ, რაკი ამტკიცებ, თითქოს ყველასთვის და ყოველთვის მშვენიერია დიმარხოს თავისი შვილების ხელით, მას შემდეგ, რაც საკუთარ შობლებს თვითონ მიაბარებს მიწას“. თუ, ამ მხრივ, გამონაკლისი უნდა დავუშვათ ჰერაკლესან და ბევრი სხვისთვისაც, ვინც ეს-ესაა ვახსენეთ?

ჰიპია. მე ხომ არ მითქვამს, რომ ეს მშვენიერია ღმერთებისათვის!

სოკრატე. „მაშ, როგორც ჩანს, არც ვმირებისთვის?“

ჰიპია. ღმერთების ნაშიერთათვის, ცხადია, არა.

სოკრატე. „მაგრამ მათთვის, ვინც ღმერთების ნაშიერი არ არის?“

ჰიპია. მათთვის, რა თქმა უნდა, მშვენიერია.

სოკრატე. „ამრიგად, თუ შენ გერწმუნებით, უნდა ვაღიაროთ რომ ზოგიერთი ვმირისთვის, როგორც მაგალითად, ტანტალოსის, დარდანოსისა თუ ძეთოსისთვის ეს საშინელი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მკრეხელური და მახინჯი, ხოლო პელოპსისა და ზოგიერთი სხვა ქმრისთვის — მშვენიერი?"

ჰიპია. აგრე მგონია.

სოკრატე. „მაშასადამე, — იტყვის ის, — წედან შენ ამტკიცებდი, რომ ყველასთვის და ყოველთვის მშვენიერია დაიმარხოს თავისი შვილების ხელით, მას შემდეგ, რაც საკუთარ მშობლებს თვითონ მიაბარებსო მიწას; ახლა კი აღიარებ, რომ ზოგისთვის მაინც ეს მახინჯია. ამრიგად, ჩვენი ბოლო მაგალითი ისეთივე მშვენერია, როგორც მშვენერის ორი ზემოხსენებული ნიმუში — ქალიშვილი და ქოთანი. მაგრამ ყველაზე სასაცილო მაინც ისაა, რომ, როგორც ირკვევა, ზოგისთვის ის მშვენერია, ზოგისთვის კი — მახინჯი. ასე რომ, ჩემო სოკრატე, — დასძახს ის, — შენ ვერც ამჯერად შესძელი ზუსტი პასუხი გაგეცა კითხვაზე — რა არის მშვენერი?" აი, როგორი სიტყვებით გამთათხავს და სამარილიანდაც გამთათხავს ამნაირი პასუხისთვის.

ასე მელაპარაკება ის ყოველთვის, ჩემო ჰიპია. ხანდახან კი, თითქოს ჩემი გამოუცდელობისა და უმეცრების გამო მიბრალებსო, მკითხავს, რა მიმანია მე მშვენერად, ან რაიმე ამგვარს, გაიჩნია, რასაც ჩვენი სიტყვა მოიტანს.

ჰიპია. რას ამბობ, სოკრატე?

სოკრატე. მოკახსენებ. „დიდი უცნაური კაცი ხარ, სოკრატე, — ამბობს ის, — როდის მიხვდები, რომ ყველი ამნაირი პასუხი მტლაშტად მარტივია და აფდილად გასაბათლებელია? უმჯობესია დაუკვირდე, მოგაჩნია თუ არა, რომ მშვენერია ის, რაც ახლახან, ერთერთ პასუხში ვახსენეთ, სახელდობრ, ოქრო. როცა ის რასმე შეჰფერის, ხოლო თუ არ შეჰფერის, მაშასადამე, არც მშვენერია, როგორც ყველა არაშესაფერისი. ანანხილე შესაფერისი თავისთავად და ბუნება შესაფერისისა თავისთავად; ნახე: იქნებ სწორედ შესაფერისია მშვენერი?" ამაზე მე, ჩვეულებრივ, ვეთანხმები, ჩემო ჰიპია: მეტი რა ჭეშმარიტ მაგრამ შენ რაღას იტყვი? თუ გვგონია, რომ მშვენერი არ არის შესაფერისი?

ჰიპია. რა თქმა უნდა, მშვენერია.

სოკრატე. მაგრამ გულდასმით განვიხილოთ შესაფერისი, თორემ ვაითუ მოეტყუვდეთ.

ჰიპია. ცხადია, უნდა განვიხილოთ.

სოკრატე. მაშ, დაუკვირდი: ვაღიარებთ თუ არა ჩვენ, რომ შესაფერისია ის, რაც თავისი გამოვლენით მშვენერის ჰგავს ან მშვენერის ხდის ყველა საგანს? თუ არც ერთს და არც მეორეს არ ვაღიარებთ?

ჰიპია. რასაკვირველია, ვაღიარებთ.

სოკრატე. მაინც რომელს ამ ორთაგან?

ჰიპია. ჩვენ ვაღიარებთ, რომ შესაფერისი მშვენერად წარმოგვიჩენს საგანს, ისევე როგორც კარგად მორგებული ტანსაცმელი ფეხსაცმელი მშვენერს აჩენს თუნდაც სასაცილო გარეგნობის კაცს.

XI

სოკრატე. კი მაგრამ, თუ შესაფერისი უფრო მშვენერს აჩენს საგანს, ვიდრე ის სინამდვილეშია, მაშასადამე, მას შეცდომაში შეგყავართ მშვენერების აღქმისას. ამიტომ ვერც შესაფერისს მივიჩნევთ, ჩემო ჰიპია, ჩვენი ძიების საგნად, რადგან ჩვენ ვეძებთ იმას, რითაც მშვენერობს ყოველივე მშვენერი, ისევე როგორც ყოველივე დიდი დიდობს თავისივე სიდიდით. და თუ ის მართლაც დიდია, უეჭველად დიდია მაშინაც კი, როცა დიდი არ ვვეჩვენება. ზუსტად ასევე, ჩვენ ვიტყვით, რომ მშვენერია ის, რაც მშვენერებას ანიჭებს საგანს, მიუხედავად იმისა, მშვენერი ვვეჩვენება თუ არა ეს უკანასკნელი. მაშასადამე, შესაფერისი არ არის მშვენერი, ვინაიდან, შენივე აღიარებით, თავისი ნამდვილი სახით კი არ წარმოგვიჩენს საგანს, არამედ უფრო მშვენერს, ვიდრე ის სინამდვილეშია. ამრიგად, ჩვენ გვმართებს გავარკვიოთ, რა არის ის, რაც მოჩენებითს კი არა, ჭეშმარიტ მშვენერებას ანიჭებს საგნებს: დიახ, სწორედ ამის გარკვევა გვმართებს, თუ გვსურს მივაკვლიოთ მშვენერის თავისთავად.

ჰიპია. მაგრამ, ჩემო სოკრატე, სწორედ შესაფერისია ის, რაც თავისი თანამყოფობით! ჭეშმარიტსა და, იმავდროულად, მოჩენებითს მშვენერებას ანიჭებს საგნებს.

სოკრატე. მაშასადამე, შენის აზრით, შეუძლებელია მშვენერი არ ჩანდეს ჭეშმარიტად მშვენერი, რომელშიაც თანამყოფობს? ის, რაც მშვენერებას ანიჭებს მას?

ჰიპია. შეუძლებელია.

სოკრატე. კი მაგრამ, რა ექნათ, ვაღიაროთ, ჩემო ჰიპია, რომ ყველა ჭეშმარიტად მშვენერი წეს-ჩვეულება თუ საქმიანობა ყველას თანაბრად მშვენერი ეჩვენება ყოველთვის? თუ, პირიქით, მათ ყოველთვის მშვენერად როდი მიიჩნევენ, რაც იწვევს შინაშლილობასა და გამეფდებულ ურთიერთბრძოლებს როგორც კერძო ცხოვრებაში — მოქალაქეთა შორის, ისე, საზოგადოებრივ ცხოვრებაშიაც — ქალაქთა შორის?

ჰიპია. ჩემის აზრით, ეს უკანასკნელი მოსაზრება უფრო სწორია, ჩემო სოკრატე: მათ ყოველთვის მშვენერად როდი მიიჩნევენ.

სოკრატე. მაგრამ ეს არ მოხდებოდა, ისინი რომ ისევე მშვენერნი ჩანდნენ, როგორიც არიან, რაც მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნებოდა შესაძლებელი, შესაფერისი რომ მართლაც მშვენერი იყოს და, ამასთან, არა მარტო მშვენერებას ანიჭებდეს რასმე, არამედ მშვენერადაც წარმოგვიჩენდეს მას. ამრიგად, თუ შე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

საფერისი მშვენიერებას ანიჭებს საგნებს, მაშინ წმერიდან შესაფერისია ის მშვენიერი, რომელსაც ვეძებთ, მაგრამ არა ის, რომელიც მშვენიერს აჩენს საგნებს. და, პირუკეთ, თუ შესაფერისი მშვენიერს აჩენს საგნებს, მაშინ მას ვერ მივიჩნევთ იმ მშვენიერად, რომელსაც ვეძებთ. როდესაც ეს უკანასკნელი ჭეშმარიტ მშვენიერებას ანიჭებს საგნებს, ხოლო ერთსა და იმავე მიზეზს არ შეუძლია ჭეშმარიტსა და, იმავდროულად, მოჩვენებთან მშვენიერებას ანიჭებდეს რასმე. მაშ, ავირჩიოთ, რას ვეუწოდოთ შესაფერისი: იმას, რაც მშვენიერს აჩენს თუ რაც მშვენიერს ხდის საგნებს?

ჰიპია. იმას, რაც მშვენიერს აჩენს, ჩემო სოკრატე.

სოკრატე. ვგელას, ჩემო ჰიპია! როგორც ჩანს, მშვენიერის ცოდნა ხელიდან გვისხლტება და თანდათან გვშორდება ჩვენ, რაკიდა შესაფერისი სხვა რაღაც აღმოჩნდა და არა მშვენიერი.

ჰიპია. ეფიცავ ზეუსს, მართლაც საკვირველია, როგორ გაგვისხლტა ხელიდან, ჩემო სოკრატე.

სოკრატე. მაგრამ, მოდი, აწი მაინც ნულარსად გავუშვებთ მას, ჩემო მეგობარო. მე ჯერ კიდევ მაქვს იმის იმედი, რომ, ბოლოს და ბოლოს, მივაკვლევთ, რა არის მაინც ეს მშვენიერი.

ჰიპია. რა თქმა უნდა, ჩემო სოკრატე; ადამ რომ თქვას. არც ისე ძნელი მისაკვლევია. მართლაცდა, ცოტა ხნით რომ განვმარტოდე და ფიქრს მივეცე თავი, ზედმიწევნით ზუსტად მოგახსენებ, რა არის მშვენიერი.

სოკრატე. ნუ ხარ ასე თავდაჯერებული, ჩემო ჰიპია! ხომ ხედავ, როგორ გავგტანჯა და გავგაწამა მშვენიერებამ; ჰოდა, ფრთხილად იყავი, ნუღარ განარისხებ, თორემ ვაითუ უფრო შორს გავგვეცეს და გადაგვეკარგოს. თუმცა, რას ეროშავ: მე შენ გეტყვი, გავიჭირდება მისი მიკვლევა: საკმარისია განმარტო
დე. მაგრამ, თუ ღმერთი გწამს, ჩემი თანდასწრებით იკვლიე ეგი. ანდა თუ გნებავს, კვლავაც ერთად ვიკვლიოთ. თუ მიგაკვლიეთ, ხომ კარგი, თუ არა და, მეტი რა გზა მაქვს, ჩემს ბედს უნდა დავეშარჩილო. შენ კი განმარტოებით ხელად ჰპოვებ მას. ხოლო თუ ბედმა გაგვიღიმა და ახლავე ვპოვეთ, მით უკეთესი შენთვის: თავს ალარ შეგაწყენ შეკითხვებით — რა ჰპოვე-მეთქი განმარტოების ჟამს?

XII

მაშ, დაფიქრდი და მიპასუხე: რა გგონია შენ მშვენიერი? ჩემს აზრით... მაგრამ ყურადღებით მისმინე: კვლავ რამე სისულელე არ წამოიროშნო. — დიახ, ჩემს აზრით, მშვენიერი— ვარგისია. აი, რა მაფიქრებინებს ამას: ჩვენ მშვენიერს ვუწოდებთ არა იმ თვალს, რომელსაც არაფრის დანახვა არ შეუძლია, არამედ იმას, რომელიც ყველაფერს ხედავს და, მაშასადამე, ხედვისთვის ვარგისია. ასე არაა?

ჰიპია. დიახ.

სოკრატე. განა ამავე აზრით არ ვამბობთ, რომ მშვენიერია ყველა სხეული: ერთი — სირბილისათვის, მეორე კი — ჭიდაობისთვის; მშვენიერია ყველა სულდგმული: ცხენი, მამალი ან, თუნდაც, მწყერი; მშვენიერია ყველა ჭურჭელი, ისევე როგორც ყველა სახის — სახმელთა თუ სახლეული — ტანასაცმელი, სავაჭრო გემები თუ სათმარი ხომალდები; მშვენიერია ყველა ინსტრუმენტი: როგორც მუსიკალური, ისე ხელოვნების სხვა დარგებში გამოსადეგი; მშვენიერია კანონი თუ კანონიერი საქციელი და ასე შემდეგ; ყოველივე ეს სწორედ ზემოხსენებული თვალსაზრისისთვა მშვენერი. აი, რას ვიკვლევთ ჩვენ ყოველი მათგანის მიმართ, როდის გაჩნდა, როგორ შეიქმნა, რისგან შედგება, და მშვენიერს ვუწოდებთ იმას, რაც ვარგისია, რამდენადაც ის გარკვეულ ვითარებაში მესახურება გარკვეულ მიზანს, მაშინ როდესაც მახინჯად ვთვლით მას, რაც არცერთ ამ ასპექტში არ არის მშვენიერი. იზიარებ თუ არა ამ აზრს, ჩემო ჰიპია?

ჰიპია. ვიზიარებ.

სოკრატე. მაშასადამე, არ შევმცდარვართ, როცა ვთქვით, რომ მშვენიერი სხვა არა არის რა, თუ არა ვარგისი?

ჰიპია. რა თქმა უნდა, ჩემო სოკრატე.

სოკრატე. ესე იგი, ის, რასაც რაიმე საქმის კეთება შეუძლია, ამ საქმისათვის ვარგისია, ხოლო ის, რასაც არ შეუძლია, —უვარგისი?

ჰიპია. რასაკვირველია.

სოკრატე. ამრიგად, ძლიერება მშვენიერია, ხოლო უძლურება — მახინჯი?

ჰიპია. ჭეშმარიტად. ყველა დაგიმორწმეს, რომ ეს ასეა, მით უმეტეს, პოლიტიკაში. მართლაცდა, იყო ძლიერი როგორც პოლიტიკაში, ისე შენსავე პოლისში, აი, რა არის ყველაზე მშვენიერი, ხოლო უძლურება ყველაზე უფრო მახინჯია, ჩემო სოკრატ!.

სოკრატე. მართალს ამბობ. მაგრამ, ღვთის გულისათვის, ერთი ეს მითხარი, ჩემო ჰიპია: განა სიბრძნეც ამავე აზრით არ არის ყველაზე უფრო მშვენიერი, ხოლო უმეცრება — ყველაზე უფრო მახინჯი?

ჰიპია. რა თქმა უნდა. ან, იქნება, შენ სხვაგვარად ფიქრობ?

სოკრატე. მომითმინე, ჩემო ძვირფასო... მე შიში მიპყრობს: ვინ იცის, ამჯერად სად მიგვიყვანს ჩვენი მტკიცება.

ჰიპია. რა გაშნებს, ჩემო სოკრატე? ამჯე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რად მაინც შენს მსჯელობას ნაკლს ვერ უპოვის კაცი.

სოკრატე. ღმერთმა ქნას. მაგრამ ჩემთან ერთად დაუკვირდი აი, ამ საკითხს: შეიძლება თუ არა აკეთო ის, რაც არ იცი, ანდა რისი ძალიე არ შეგწევს?

ჰიპია. რა თქმა უნდა, არ შეიძლება, თუკი ამის ძალი არ შეგწევს.

XIII

სოკრატე. მაშასადამე, ის, ვინც სცდება და, თავისდაუნებურად, ბოროტებას სჩადის, არავითარ შემთხვევაში არ ჩაიდენდა ამას, რომ არ შეეძლოს ჩაიდინოს ის, რასაც სჩადის?

ჰიპია. ცხადია.

სოკრატე. კი მაგრამ, განა სწორედ ძლიერების წყალობით არ ძლავრობენ ძლავრნი? ან, იქნება, ფიქრობ, რომ უძლურებაა ამის მიზეზი?

ჰიპია. არა, ღმერთმანი.

სოკრატე. ამაზე რაღას იტყვი: შეუძლია თუ არა რისამე ჩამდენს, ჩაიდინოს ის, რასაც სჩადის?

ჰიპია. რა თქმა უნდა.

სოკრატე. მაგრამ ყველა, ბავშვობის ასაკიდან მოყოლებული, გაცილებით უფრო მეტ ბოროტებას სჩადის, ვიდრე სიკეთეს და, თავისდა უნებურად, ცდება.

ჰიპია. ვაი რომ ასეა.

სოკრატე. მერედა, ამგვარ ძლიერებას თუ ვარეკინასას, ესე იგი, იმას, რაც ვარგისია ბოროტი საქმის აღსასრულებლად, როგორ შეგიძლია მშვენიერი ვუწოდოთ ჩვენ? თუ, ვიტყვით, რომ არ შეგვიძლია?

ჰიპია. რა თქმა უნდა, არ შეგვიძლია, ჩემო სოკრატე.

სოკრატე. მაშასადამე, როგორც ირკვევა, ჩემო ჰიპია, არც ძლიერი და არც ვარგისი არ არის მშვენიერი.

ჰიპია. გარდა იმ შემთხვევისა, ჩემო სოკრატე, როცა ძლიერება კეთილია და კეთილ საქმისათვის ვარგისი.

სოკრატე. ამრიგად, ჩვენ საბოლოოდ უნდა დავემშვიდობოთ იმ აზრს, თითქოს მშვენიერი იყოს ის, რაც ძლიერია ანდა ვარგისი. ჩვენს სულს კი აი, რისი თქმა სურდა, ჩემო ჰიპია: მშვენიერია ვარგისიც და ისიც, რასაც ძალი შესწევს სიკეთის ქმნისა.

ჰიპია. მეც ასე მგონია.

სოკრატე. მაგრამ ეს ხომ სასარგებლოა?

ჰიპია. რა თქმა უნდა.

სოკრატე. მაშასადამე, მშვენიერი სხეული, კანონიც, სიბრძნეც, მოკლედ, ყველაფერი, რაზეც წედან ელაპარაკობდით, მშვენიერია, იმიტომ რომ სასარგებლოა?

ჰიპია. რასაკვირველია.

სოკრატე. ამრიგად, როგორც ჩანს, სწორედ სასარგებლოა მშვენიერი, ჩემო ჰიპია.

ჰიპია. დიახ.

სოკრატე. კი მაგრამ, სასარგებლოა ისაა, რაც სიკეთეს ქმნის?

ჰიპია. რა თქმა უნდა.

სოკრატე. ხოლო ის, რაც ქმნის, სხვა არა არის რა, თუ არა მიზეზი, არა?

ჰიპია. ასეა.

სოკრატე. მაშასადამე სიკეთის მიზეზი მშვენიერია.

ჰიპია. ჭეშმარიტად.

სოკრატე. მაგრამ ხომ სხვაა მიზეზი და სხვაა მისი შედეგი, ჩემო ჰიპია: რადგან მიზეზი არ შეიძლება იყოს მიზეზის მიზეზი. კარგად დაუკვირდი: ჩვენ ხომ ვნახეთ, რომ მიზეზი შემოქმედია?

ჰიპია. რა თქმა უნდა.

სოკრატე. მერე და რას ქმნის შემოქმედი: იმას, რაც იქმნება თუ იმას, რაც ქმნის?

ჰიპია. იმას, რაც იქმნება.

სოკრატე. ესე იგი, სხვაა ქმნადი და სხვაა შემოქმედი, არა?

ჰიპია. დიახ.

სოკრატე. მაშასადამე, მიზეზი მიზეზის მიზეზი კი არაა, არამედ მიზეზია იმისა, რაც მისგან იქმნება, ანუ მისგან იღებს დასაბამს.

ჰიპია. რა თქმა უნდა.

სოკრატე. ამრიგად, თუ მშვენიერი სიკეთის მიზეზია, მაშასადამე, სიკეთე მშვენიერისგან იღებს დასაბამს და ჩვენ, როგორც ჩანს, ასე დაუცხრომლად იმიტომაც ვესწრაფვით სიბრძნესა თუ ყოველივე სხვა მშვენიერს, რომ მათი საქმე და ნაშიერი—სიკეთე—ჩვენი გულმხურვალე სწრაფვის ღირსია. როგორც ჩვენი დასკვნიდან ჩანს, მშვენიერი, თუ შეიძლება ასე ითქვას, სიკეთის მამაა.

ჰიპია. რასაკვირველია. მშვენიერად მსჯელობ, ჩემო სოკრატე.

XIV

სოკრატე. მაგრამ განა ასევე მშვენიერად არ ვამბობ იმასაც, **რომ არც მამაა შვილი და** არც შვილია მამა?

ჰიპია. ჭეშმარიტად.

სოკრატე. მაშასადამე, მიზეზი არ არის ქმნადი და არც ქმნადია მიზეზი.

ჰიპია. მართალს ბრძანებ.

სოკრატე. ვფიცავ ზეუს, მაშინ, ჩემო ძვირფასო, არც მშვენიერია სიკეთე და არც სიკეთეა მშვენიერი; თუ შენ სხვაგვარად ფიქრობ?

ჰიპია. არა, ვფიცავ ზეუს.

სოკრატე. რა ექნათ, დავჯერდეთ იმის თქმას, რომ არც მშვენიერია სიკეთე და არც სიკეთეა მშვენიერი?

ჰიპია. არა, ვფიცავ ზეუს, მე ამას არ დავჯერდები.

სოკრატე. ვფიცავ ზეუს, არც მე, ჩემო ჰიპია.

ჰიპია. ასე ჩანს.

სოკრატე. როგორც ირკვევა, ეს მომხიბლავი თეორია, რომლის მიხედვითაც ჩვენ ვთვლიდით, რომ მშვენიერია სასარგებლო, ვარგისი, ან ის, რასაც ძალი შესწევს სიკეთის ქმნისა, უფრო ყალბია და უფრო სასაცილოა, — თუკი, საერთოდ, შეიძლება უფრო სასაცილო რამ წარმოიდგინოს კაცმა, — ვიდრე ჩვენი წედანდელი მოსაზრებანი, როცა ვფიქრობდით, რომ მშვენიერი — ესაა მშვენიერი ქალიშვილი თუ ყოველივე ის, რაც ზემოთ ჩამოვთვალეთ.

ჰიპია. ასე გამოდის.

სოკრატე. მე ალარ ვიცი, რა გზის დავადგე, ჩემო ჰიპია: ვერავითარ გამოსავალს ვერ ვხედავ; მაგრამ იქნებ შენ მირჩიო რაში?

ჰიპია. ჯერჯერობით ვერაფერს გირჩევ, მაკრამ, ვიმეორებ, თუ ფიქრს დამაცლი, უთუოდ ვპოვებ რაიმე გამოსავალს.

სოკრატე. მე კი დაგაცლი, მაგრამ რა ეუფო ჩემს ცნობისწყურვილს? თუმცა.... ეგრეც, უკვე ეპოვე გამოსავალი. აბა, კარგად დაუკვირდი: თუ დავუშვებთ, რომ მშვენერია ის, რაც სიამოვნებას ვვანიჭებს ჩვენ, მაგრამ არა ყოველნაირ სიამოვნებას, არამედ მხოლოდ მზერითა და სმენით მოგვრილს, — რაღა გვიქნია მაშინ სადავო? ხომ ცხადია, ჩემო ჰიპია, რომ მშვენიერი ადამიანება, მშვენიერი ფერება, ფერწერისა თუ ქანდაკების მშვენიერი ქმნილებანი ისევე ხიბლავენ ჩვენს მზერას, როგორც მშვენიერი ბგერები, მშვენიერი მუსიკა, მშვენიერი სიტყვები თუ თქმულებები — ჩვენს ყურთასმენას. ამიტომ თუ ჩვენ ასე მივუგებთ ჩემს თავხედ თანამოსაუბრეს: „ჩემო ძვირფასო, მშვენიერი — ესაა სასიამოვნო, მზერითა და სმენით განცდილი,“ — როგორ გგონია, ლაგამს ამოვდებთ თუ არა მის თავხედობას?

ჰიპია. მე მგონია, ჩემო სოკრატე. ამჯერად მაინც ამომწურავად ითქვა — რა არის მშვენერი.

სოკრატე. კი მაგრამ, ჩემო ჰიპია, როცა სამქე ეხება მშვენერი ზნე-ჩვეულებებსა თუ მშვენერე კანონებს, ჩვენ ვიტყვით, რომ ისინი მშვენერნი არიან, როდესაც სიამოვნებას გვანიჭებენ მზერით და სმენით? თუ მათ მიმართ ვერ ვიტყვით ამას?

ჰიპია. ვერ ვიტყვით, მაგრამ ხომ შეიძლება ეს ვერც შენაშნოს კაცმა?!

XV.

სოკრატე. შეიძლება, ჩემო ჰიპია, მაგრამ, ვფიცავ ძაღლს, ეს არავითარ შემთხვევაში არ გამოვიპარება იმის, ვის წინაშეც ყველაზე უფრო შემრცხვებოდა სისულელის წამოროშვა და, თანაც, ისეთი სახით, თითქოს ჭკვიანური რამ მეთქვას.

ჰიპია. ალბა იტყვი, ვის გულისხმობ?

სოკრატე. სოკრატეს, სოფრონისკეაძეს!, რომელიც ნებას არ მომცემს ასე ხელაღებით ვიმსჯელო ჯერ კიდევ გამოუკვლევარ საკითხზე და ჯიუტად ვამტკიცო — ვიცი-მეთქი რა, რაც არ ვიცი.

ჰიპია. მართალი გითხრა, შენი სიტყვების შემდეგ მეც მეჩვენება, რომ კანონებს სულ სხვა თვალსაზრისით უნდა მივუდგეთ.

სოკრატე. ნუ სულსწრაფობ, ჩემო ჰიპია: როგორც ჩანს, ჩვენ კვლავ ჩიხში აღმოვჩნდით, მიუხედავად იმისა, რომ გამოსავალი ნამოვნი გვეგონა უკვე.

ჰიპია. რას ამბობ, სოკრატე?

სოკრატე. მოგახსენებ, თუკი ჩემს აზრს რაიმე ფასი აქვს. შობაუქმლიანანი, რომელთაც ზნე-ჩვეულებები თუ კანონები იწვევენ ჩვენში. შესაძლოა, არაფრით არ განსხვავდებიან მზერისა თუ სმენისმიერი შეგრძნებებისგან. ამიტომ, მოდი, შეეანარჩუნოთ თქმისი: „მშვენერი — ესაა სასიამოვნო, ორივე კი ამ გრძნობით განცდილი“, — და შევეკვეთ კანონებს. მაგრამ თუ ჩემი თანამოსაუბრე ან სხვა ვინმე გკეთხავს: „რატომ გამოსყიდი, ჩემო ჰიპია და სოკრატე, სასიამოვნოთაგან მხოლოდ ის სასიამოვნო, რომელსაც მშვენერის უწოდებთ? მაშინ როდესაც არცერთი სხვა შეგრძნებით, ეთქვათ ჭამით, სმითა თუ სასიყვარულო განცხრომით გამოწვეული სასიამოვნო განცდა, თქვენს აზრით, არ შეიძლება მშვენერად იწოდებოდეს. ან, იქნება, თვლით, რომ ყოველივე ეს უსიამოვნოა და სასიამოვნოს მხოლოდ მზერითა და სმენით განვიცდით?“ — რა ვიტყვით ამ კითხვის საპასუხოდ, ჩემო ჰიპია?

ჰიპია. ჩვენ ვიტყვით, რომ ყოველივე ეს დიახაც სასიამოვნოა, ჩემო სოკრატე.

სოკრატე. „მაგრამ თუ ეს მართლაც ასეა, — კვლავ გკეთხავს ის, — მაშინ რატომ მათაც არ უწოდებთ მშვენერის, რატომ ძარცვაკი ამ თვისებისაგან?“ — „იმიტომ, — მიეუგებთ ჩვენ, — რომ ქვეყნის სასაცილო გავხდებით, თუ ვეცდებით დავამტკიცოთ, რომ ჭამა სასიამოვნო კი არ არის, არამედ მშვენერია, და რომ სასიამოვნო სურნელის ყნოსვაც სასიამოვნო კი არ არის, არამედ — მშვენერი. ხოლო რაც შეეხება სასიყვარულო განცხრომას, ყველა იტყვის, რომ ის დიდად სასიამოვნოა, მაგრამ ყველი მაღუნად ეძლევა მას, რადგან ამის საჯაროოზე გამოტანა შეტისტეტად სამარცხვინოა“. მაშინ ის იტყვის: „გასაგებია: თქვენ გრცხვენიათ მშვენერი უწოდოთ ყველა ამ სიამოვნებას, იმიტომ რომ ეს მიუღებლად მიიჩნია კაცთა უმრავლესობამ. მაგრამ მე ის კი არ მაინტერესებს, რა მიიჩნია მშვენერად უმრავლესობამ, არამედ ის, რაც მართლა მშვენერია.“ ამ სიტყვებზე, ჩვენი წედანდელი შე-

თანხმებمის მიხედვით, ასე მივუგეთ მას: „ჩვენ ვამტკიცებთ, რომ სასიამოვნოთაგან მშვენიერია მხოლოდ ის სასიამოვნო, რომელსაც მზერითა და სმენით განვიცდით“. რას იტყვი, ჩემო ჰიპია, საკმარისია ამნაირი პასუხი თუ რაიმე დამატებას მოითხოვს?

ჰ ი პ ი ა. არა, ჩემო სოკრატე, ამნაირ კითხვას სწორედ ამნაირი პასუხი შეეფერის.

ს ო კ რ ა ტ ე. „მშვენიერად მსჯელობთ, — კელვე იტყვის ის, — თუ მშვენიერი — ესაა სასიამოვნო, მზერითა და სმენით განვიცდით, მაშასადამე, სასიამოვნო, რომელიც ამ კლასს არ ეკუთვნის, არავითარ შემთხვევაში არ იქნება მშვენიერი?“ რა ვქნათ, დავეთანხმოთ თუ არა მას?

ჰ ი პ ი ა. უნდა დავეთანხმოთ.

XVI

ს ო კ რ ა ტ ე. „კი მაგრამ, — იკითხავს ის, — სასიამოვნოს, რომელსაც მზერით განვიცდით, ერთდროულად მზერითა და სმენით განვიცდით, ხოლო სასიამოვნოს, რომელსაც სმენით განვიცდით, ერთდროულად ორივე ამ გრძნობით განვიცდით?“ „არავითარ შემთხვევაში, — მივუგებთ ჩვენ, — სიამოვნებას, რომელსაც ერთ-ერთი ამ გრძნობით განვიცდით, ორივე ერთად ვერ გვგრძნობინებს!“. როგორც ჩანს, ამის გაგება გსურს; მაგრამ ჩვენ ვამტკიცებთ, რომ ამ სახის სასიამოვნებათაგან მშვენიერია ორივე ერთად და თვითეული ცალ-ცალკე“. ასე მივუგებთ?

ჰ ი პ ი ა. რა თქმა უნდა.

ს ო კ რ ა ტ ე. „მაგრამ — იტყვის ის, — ესაა თუ ის სასიამოვნო მეორისაგან განსხვავდება სწორედ იმით, რომ ის სასიამოვნოა? მე იმას კი არ ვკითხულობ, როგორია ესა თუ ის სიამოვნება: დიდი თუ მცირე, ძლიერი თუ სუსტი; არა, მე მსურს გავიგო, რითი განსხვავდება ერთი სიამოვნება მეორისაგან: იმით, რომ ერთი სიამოვნებაა, მეორე კი — არა“? ჩვენ გვგონია, რომ ეს ასე არ უნდა ‘იყოს; მართალს ვამბობ, ჩემო ჰიპია?

ჰ ი პ ი ა. რასაკვირველია.

ს ო კ რ ა ტ ე. „მაშასადამე, — კელავ იტყვის ის, — თუ ყველა სახის სიამოვნებათაგან თქვენ გამოპკრავთ მხოლოდ ორი, სულ სხვა რამეა ამას მიზეზი და არა ის, რომ ისინი სიამოვნებანი არიან. ერთშიც და მეორეშიც თქვენ შენიშნეთ სხვა სიამოვნებათაგან განმასხვავებელი საერთო ნიშანი, რომლის მიხედვითაც მშვენიერნი უწოდეთ მათ. მართლაცდა, სიამოვნება, რომელსაც მზერით განვიცდით, იმიტომ ხომ არ არის მშვენიერი, რომ მას მზერა განვიცდევინებს? ასე რომ იყოს, მაშინ მეორე სიამოვნება, რომელსაც სმენით განვიცდით, უკვე აღარ იქნებოდა მშვენიერი, როდესაც მას მზერა კი არა, არამედ სმენა განაცდევინებს“. რას ვიტყვით, მართალს ‘ამბობს თუ არა იგი?

ჰ ი პ ი ა. დიახ.

ს ო კ რ ა ტ ე. „მეორეს მხრივ, სიამოვნება, რომელსაც სმენით განვიცდით, იმიტომ ხომ არ არის მშვენიერი, რომ მას სმენა განვიცდევინებს? ასე რომ იყოს, მაშინ სიამოვნება, რომელსაც მზერა განაცდევინებს, აღარასოდეს აღარ იქნებოდა მშვენიერი, როდესაც ის დიდად განხეკეკებული სმენისმიერი სიამოვნებისაგან“. რას ვიტყვით, ჩემო ჰიპია, ამჯერადაც მართალია თუ არა იგი?

ჰ ი პ ი ა. რა თქმა უნდა, მართალია.

ს ო კ რ ა ტ ე. „მაგრამ, თქვენი მტკიცებისა არ იყოს, ორივე სიამოვნება მშვენიერია“. მართლაც, ჩვენ ხომ ამას ვამტკიცებთ?

ჰ ი პ ი ა. დიახ.

ს ო კ რ ა ტ ე. „მაშასადამე, ორივე მათგანს აერთიანებს რაღაც ერთი და იგივე, რაც მშვენიერებას ანიშნებს მათ, რაღაც საერთო, რომელიც ნიშნეულია როგორც ორივესთვის ერთად, აგა თვითეულისთვის ცალ-ცალკე და ურომლისოდაც არცერთი არ იქნებოდა მშვენიერი: არც ორივე ერთად და არც თვითეული ცალ-ცალკე“. მიპასუხე, მაგრამ ისე, თითქოს მე კი არა, მას პასუხობდე.

ჰ ი პ ი ა. მე ვუპასუხებ, რომ ის, ჩემის აზრით, მართალს ამბობს.

ს ო კ რ ა ტ ე. მაგრამ თუ ეს საერთო ნიშნეულია ორივე სიამოვნებისათვის ერთად, მაგრამ არა თვითეულისთვის. ცალ-ცალკე, მაშინ ის არ შეიძლება იყოს მათი მშვენიერების მიზეზი.

ჰ ი პ ი ა. კი მაგრამ, განა შეიძლება, ჩემო სოკრატე, რომ ის, რაც ცალ-ცალკე არცერთ მათგანს არ ახასიათებს, ნიშნეული იყოს ორივესთვის ერთად?

ს ო კ რ ა ტ ე. შენს აზრით, ეს შეუძლებელია?

ჰ ი პ ი ა. როგორც ჩანს, მე არც ამნაირი საკითხის არსი მესმის და არც ამნაირი სიტყვების აზრი.

ს ო კ რ ა ტ ე. ნუ მიწყრები, ჩემო ჰიპია. ალბათ, მეც მხოლოდ მეჩვენება, თითქოს შესაძლებელი იყოს ის, რაც შენ შეუძლებლად მიგაჩნია, სინამდვილეში კი ვერაფერსაც ვერ ვხედავ.

ჰ ი პ ი ა. „ალბათ“ კი არა, მართალი ასეა, ჩემო სოკრატე.

ს ო კ რ ა ტ ე. კი მაგრამ. იეი, რამდენი რამ მიტრიალებს გონების თვალწინ?... თუმცა არაფერი არ მომაჩნია სარწმუნოდ და ნუთუ ღირსად, რადგან ყოველივე ამას შენ კი არ ხედავ, შენ, რომელიც თანამედროვეთა შორის ყველაზე მეტ ფულს აკეთებ საკუთარი სიბრძნის წყალობით, არამედ — მხოლოდ მე, რომელსაც თავის ‘ღლეში ერთი გროშიც არ გამიკეთებია. ჰოდა, იმასაც კი ვფიქრობ, ჩემო ძვირფასო, ხომ არ

ხუმრობ, ანდა განზრახს ხომ არ მამასხარებ? ისე ნათლად ვხედავ ბევრ რასმე.

ჰიპია. შენზე უკეთ ვინ მიხედება, ჩემო სოკრატე, ვხუმრობ თუ არა, უკეთუ მეც დამანახებ. რასაც შენ ხედავ. მაგრამ მაშინ ხომ ცხადი გახდება შენი მტკიცების უსაფუძვლობა. მართლაცდა, შენ ვერასიდეს ვერა ჰპოვებ ისეთ რასმე, რაც შეიძლება ნიშნეულად იყოს ორივე ჩვენგანისთვის ერთად, მაგრამ არა თვითეულისთვის ცალ-ცალკე.

XVII

სოკრატე. რაო, რა სთქვი, ჩემო ჰიპია? იქნებ შენ მართლაც ჭკეანურს ამბობ რასმე და მე არ მესმის. მაგრამ ყური მიგდე, რა გითხრა: ჩემის აზრით, ის რაც მე არ გამაჩნია ანდა მე არ ვარ, ისეთე როგორც შენ, დიახაც შეიძლება ორივეს ერთად გაგვაჩნდეს ან ორივე ერთად ვიყოთ. მეორეს მხრივ, ის, რაც ორივეს ერთად არ გაგვაჩნია, შეიძლება ცალ-ცალკე თვითეულ ჩვენგანს გაგაჩდეს.

ჰიპია. როგორც ჩანს, შენ ახლა უფრო ღრმად შეტოპე, ჩემო სოკრატე, ვიდრე წეღან. თავად განსაჯე: თუ ორივე ერთად სამართლანი ვართ, განა სამართლიანნი არ ვიქნებით ცალ-ცალკეც? ხოლო თუ ერთიანი და მეორეც უსამართლონი ვართ, განა უსამართლონი არ ვიქნებით ერთადაც? ან კიდეც: თუ ორივე ერთად ჯანმრთელნი ვართ, განა ჯანმრთელი არ იქნება თვითეული ჩვენგანიც? ხოლო თუ თვითეული ჩვენგანი სნეულია ან სახიჩარი, განა სნეულნი ან სახიჩარნი არ ვიქნებით ორივე ერთად? სხვა მაგალითი: თუ დავუშვებთ, რომ ორივე ოქროვერცხლისა თუ სპილოს ძვლისგან ვართ გაკეთებულნი, ანდა, თუ გნებავს, ბრძენნი ვართ, ქველნი, კეთილშობილნი, პატივცემულნი, უხუცესნი, უმრწემესნი და ასე შემდეგ, ერთის სიტყვით, ყველაფერი ის, რაც შეიძლება იყოს კაცი, როგორ გგონია, განა უთუოდ ოგივე ან ისეთივე არ ვიქნებით ერთიც და მეორეც?

სოკრატე. რა თქმა უნდა.

ჰიპია. უბადლოვაა ისაა, ჩემო სოკრატე, რომ შენ და შენი მუდმივი თანამოსაუბრენი მოლაღობაში როდი განიხილავთ საგნებს. არა, თქვენ შლით, აქუცმაცებთ, შშვენიერებასა თუ სხვა ნაწილებს გამოაყოფთ არსთაგან და ასე დანაწევრებული სახით იკვლევთ მათ. ამიტომაა, რომ თქვენთის სრულიად დაფარულნი რჩებიან დიადი და თავიანთი ბუნებით მოლიანი სხეულებრივი არსნი!. აი, ახლაც, ეს იმდენად დაფარული აღმოჩნდა შენთვის, რომ გგონია, თითქოს მართლაც არსებობს რაღაც, — თვისება თუ არსი, — რომელიც შეიძლება ეკუთვნოდეს ორ საგანს ერთად, მაგრამ არა თვითეულს ცალ-ცალკე, ანდა, პირუკუ, — შეიძლება ეკუთვნოდეს თვითეულს ცალ-ცალკე, მაგრამ არა ორივეს ერთად. აი, რა უგუნურნი ხართ, წინდაუხედავნი, მიამიტნი და ცნობასასუსტნი!

სოკრატე. რა ექნათ, რაცა ვართ, ეს ვართ, ჩემო ჰიპია, ანუ, ძველი ანდაზისა თქმა ეიოოს, ის კი არა ვართ, რაც გვინდა, არამედ ის, რაც შეგვიძლია.? კიდევ კარგი, რომ შენი რჩევით გვშველი. აი, ახლაც... ვთქვა, როგორ მიამტანი ეიყავით მართლაც შენი რჩევის მოსმენამდე, თუ სათქმელადაც არ ღირს?

ჰიპია. ისეთს რას მეტყვი, ჩემო სოკრატე, რაც მე არ ვიცი? მართლაცდა, მე ხომ პირადად ვიცნობ მსჯელობის ყველა მოყვარეს? თუმცა, თუ გნებავს, თქვი.

სოკრატე. ცხადია, მნებავს, იცი, რას გეტყვი, ჩემო ძვირფასო? სანამ შენს რჩევას ვეფარსებოდით, ჩვენ მართლაც ისე ბრიყვნი ეიყავით, რომ გვეგონა, თითქოს მეც და შენც, თვითეული ჩვენგანი — ერთია მხოლოდ დ, მაშასადამე, ორივეს ერთად არ შეგვიძლია ვიყოთ ის, რაც ცალ-ცალკე ვართ, რადგან ჩვენ ერთი კი არა ვართ, არამედ ორი. ახლა კი თვალი აგვიხილე და დაგვანახე, რომ თუ ჩვენ ერთად ორი ვართ, აუცილებლად ორი უნდა ვიყოთ ცალ-ცალკე, ხოლო თუ მე და შენ, ცალ-ცალკე ერთი ვართ, მაშასადამე, ერთი უნდა ვიყოთ ერთადაც. წინადაღმდეგ შემთხვევაში, ჰიპიას აზრით, ბზარი გაუჩნდება არსთა თავისთავადობის მთლიან საფუძველს. ამიტომ, რაც ორია ერთად, ის უნდა იყოს თვითეული ცალ-ცალკე და რაც თვითეულია ცალ-ცალკე, ის უნდა იყოს ორი ერთად. თუ შენ არ გერწმენეკ, სხვას ვის ვერწმენები, ჩემო ჰიპია, მაგრამ თუ ღმერთი გწამს, შემახსენე: მე და შენ, ცალ-ცალკე, ერთი ვართ თუ მეც ორი ვარ და შენც ორი?

XVIII

ჰიპია. რას ამბობ, ადამიანო?

სოკრატე. მხოლოდ იმას, რასაც ვამბობ. მე მეშინია უფრო ნათლად მოგახსენო ჩემი აზრი, რადგან შენ ყოველთვის შეურაცხმყოფ, როცა გგონია, რომ ჭკეანურს მასწავლი რასმე. მაგრამ მითხარი: განა თვითეული ჩვენგანი ერთი არ არის და განა თვითეულისთვის ნიშნეულად არა ვთვლით იმას, რომ ის ერთია?

ჰიპია. რა თქმა უნდა.

სოკრატე. ამრიგად, თუ თვითეული ჩვენგანი ერთია, მაშასადამე, ამავე დროს კენტიც იქნება; ან იქნებ, კენტად არა თვლი ერთს?

ჰიპია. ვთვლი.

სოკრატე. ესე იგი, ორივე ერთად კენტი ვიქნებით, მიუხედავად იმისა, რომ ორი ვართ?

ჰიპია. ეს შეუძლებელია, ჩემო სოკრატე.

სოკრატე. მაშასადამე, ორივე ერთად ლუწი ეყოფილვართ; ასე არ არის?

ჰიპია. რა თქმა უნდა.

სოკრატე. კი მაგრამ, იმის გამო, რომ

ორივე ერთად ლუწი ვართ, ხომ ვერ ვიტყვით, რომ თვითეული ჩვენთაგანიც ლუწია?

ჰიპია. რასაკვირველია ვერ ვიტყვით.

სოკრატე. მაშასადამე, შენი მტკიცების საწინააღმდეგოდ, სულაც არ არის აუცილებელი, რომ თვითეული ცალ-ცალკე იყოს ის, რაც ორია ერთად, ხოლო ორი ერთად — ის, რაც თვითეული ცალ-ცალკე.

ჰიპია. ამ შემთხვევაში — არა, მაგრამ სხვა შემთხვევებში, რომლებზეც წყდა მოკახსენებდი, დიახაც აუცილებელია.

სოკრატე. კმაა, ჰიპია! დავკერდეთ იმაზეც, რომ ეს ასეა თუნდაც მხოლოდ ამ შემთხვევაში. ხომ გახსოვს რას მოვაყოლეთ მთელი ეს მსჯელობა: მე ვამბობდი, რომ სიამოვნებანი, რომელთაც მზერა და სმენა გვანიჭებს, მშვენიერნი არიან არა იმით, რაც ნიშნეულია თვითეულისთვის ცალ-ცალკე, მაგრამ არა ორივეესთვის ერთად, ანდა იმით, რაც ნიშნეულია ორივეესთვის ერთად, მაგრამ არა თვითეულისთვის ცალ-ცალკე, არამედ იმით, რაც ნიშნეულია როგორც ორივეესთვის ერთად, ისე თვითეულისთვის ცალ-ცალკე, რაკიდა აღიარე, რომ ორივე ეს სიამოვნება მშვენიერია — ერთადაც და ცალ-ცალკეც. ჰკადრე მე ვინაკვნინო: თუ ორივე სიამოვნება — მზერისმიერი და სმენისმიერი — მშვენიერია ერთადაც და ცალ-ცალკეც, მაშინ ის, რაც მშვენიერებას ანიჭებს მათ, თანაბრად უნდა ვლინდებოდეს როგორც ორივეში ერთად, ისე თვითეულში ცალ-ცალკე; ასე არ არის?

ჰიპია. რა თქმა უნდა.

სოკრატე: მაგრამ ხომ ვთქვით, რომ ისინი მშვენიერნი არიან, ვინაიდან მზერითა და სმენით განვიცდით მათ?

ჰიპია. დიახ, ასე ვთქვით.

სოკრატე. მაშ, დაეკვირდი, მართალს ვამბობ თუ არა; რამდენადაც მახსოვს, ისიც თქვა, რომ მშვენიერია არა ყოველგვარი სიამოვნება, არამედ მხოლოდ მზერითა და სმენით განცდილი.

ჰიპია. დიახ.

სოკრატე. კი მაგრამ ეს თვისება ხომ ნიშნეულია ორივე მათგანისათვის ერთად და არა თვითეულისთვის ცალ-ცალკე? რადგან, როგორც ეუკვე თქვა, თვითეულ მათგანს ორივე ამ გრძნობით კი არ განვიცდით, არამედ ორივეს ერთად (და არა თვითეულს ცალ-ცალკე) ორივე ეს გრძნობა განგვაცდევინებს. ასეა, არა?

ჰიპია. ასეა.

სოკრატე. მაშასადამე, ორივე ეს სიამოვნება მშვენიერია არა იმით, რაც ნიშნეული არ არის თვითეულისთვის ცალ-ცალკე, რადგან ის, რაც მხოლოდ ორისთვისაა ნიშნეული, თვითეულ მათგანს ცალ-ცალკე ოდენ ახასიათებს. ასე რომ, ჩვენი ჰიპოთეზის თანახმად, მშვენიერი შეიძლება ეწოდოს ორსავე ამ სიამოვნებას ერთად, მაგრამ არა თვითეულს ცალ-ცალკე. რას იტყვი, განა აუცილებელი არ არის ამგვარი დასკვნა?

ჰიპია. როგორც ჩანს, აუცილებელია.

XIX

სოკრატე. რა ვქნათ, ვამტკიცოთ, რომ მშვენიერია ორივე ერთად, მაგრამ არა თვითეული ცალ-ცალკე?

ჰიპია. ვითომ რა გვიშლის ხელს?

სოკრატე. აი, რა, ჩემო მეგობარო: ზოგი თვისება ისე ვლინდება საგნებში, რომ თუ ეს ნიშნეულია ორისთვის ერთად, ნიშნეულია თვითეულისთვის ცალ-ცალკე, და, პირველ, თუ ეს ნიშნეულია თვითეულისთვის ცალ-ცალკე, ნიშნეულია ორივეესთვის ერთად. ეს ითქმის ყოველივე იმის მიმართ, რაც შენ ჩამოთვალე; ასეა, არა?

ჰიპია. ასეა.

სოკრატე. მაგრამ ეერაფერს ამის მსგავსს ვერ ვიტყვით ჩემს მიერ ჩამოთვლილთა მიმართ, თუმცა მეც ვგულისხმობდი როგორც „ორს ერთად", ისე „თვითეულს ცალ-ცალკე"; ხომ მართალია?

ჰიპია. დიახ.

სოკრატე. მერედა, რას იტყვი, ჩემო ჰიპია, რომელ კლასს აკუთვნებ მშვენიერებას? შენ მიერ ჩამოთვლილ თვისებათა კლასს?—თუ მეც ძლიერი ვარ და შენც, მაშინ ძლიერნი ვართ ორივე ერთად, ხოლო თუ ერთად ძლიერნი ვართ, მაშინ ძლიერნი ვართ ცალ-ცალკეც; ანდა, თუ მეც სამართლიანი ვარ და შენც, მაშინ სამართლიანნი ვართ ორივე ერთად, და, პირველ, თუ ერთად სამართლიანნი ვართ, მაშინ სამართლიანნი ვართ ცალ-ცალკეც. ზუსტად ასევე, თუ მეც მშვენიერი ვარ და შენც, მაშინ მშვენიერნი ვართ ორივე ერთად, ხოლო თუ ერთად მშვენიერნი ვართ, მაშინ მშვენიერნი ვართ ცალ-ცალკეც? მაგრამ თუ მშვენიერება რიცხვთა ბუნებისაა? როგორც ენახეთ, ორი ოდენობა, რომელიც ერთად ლუწ რიცხვს იძლევა, ცალ-ცალკე შეიძლება ლუწიც იყოს და კენტიც; ანდა, პირველ. ორმა ოდენობამ, რომელიც ცალ-ცალკე წილადია, ერთად შეიძლება მთელიც მოგვცეს და წილადიც. იგივე ითქმის ყოველივე იმის მიმართ, რაც, წეღანდელი თქმისა არ იყოს, გამუდმებით მიტრიალებს გონების თვალწინ. ბოდა, კაცმა ვეკითხები, რომელ კლასს აკუთვნებ მშვენიერებას? თუ შენც ჩემს აზრს იზიარებ? ხოლო ჩემის აზრით, სრული უაზრობაა იმის მტკიცება, თითქოს ორივე მშვენიერნი ვართ ერთად, მაკრამ არა ცალ-ცალკე, ანდა, პირველ, თითქოს მშვენიერნი ვართ ცალ-ცალკე, მაგრამ არა ორი-

ELIBRARY.GEO

ვე ერთად. რას იტყვი, იზიარებ თუ არა ჩემს აზრს?

ჰიპია. ვიზიარებ.

სოკრატე. მით უკეთესი, ჩემო ჰიპია: ეს ჩვენ დაგვიხსნის შემდგომი კვლევა-ძიებისაგან. მართლაც, თუ მშვენიერება ამ უკანასკნელ კლასს ეკუთვნის, მაშინ მზრახისა და სმენისმიერ სიამოვნებას მშვენიერად ვეღარ მივიჩნევთ. რადგან თუ მზრა და სმენა მშვენიერებას ანიჭებენ მზრახისა თუ სმენისმიერ სიამოვნებას, ორივე ერთად ანიჭებენ მას და არა თვითეულს ცალ-ცალკე. ხოლო ჩვენი შეთანხმების მიხედვით, ეს შეუძლებელია, ჩემო ჰიპია.

ჰიპია. მართლაც.

სოკრატე. ამრიგად, მზრახისა და სმენისმიერ სიამოვნებას მშვენიერად ვეღარ მივიჩნევთ, რადგან თუ მას მშვენიერად ვიღიარებთ, ამით შეუძლებლს შესაძლებლობას ვეღიარებთ.

ჰიპია. ასე გამოდის.

სოკრატე. „მაშინ ყველაფერი თავიდან დაიწყეთ, — იტყვის ჩემი თანამოსაუბრე, — რადგან ეს ჯერ მცდარი აღმოჩნდა. მითხარით რა არის, ბოლოს და ბოლოს, ის მშვენიერი, რომელიც ნიშნეულია ორივე ამ სიამოვნებისაკენ და რომლის გამოც ყველა სხვა სიამოვნებათაგან გამოჰყავთ ისინი და მშვენიერი უწოდეთ მათ?“ მე მგონია, ჩემო ჰიპია, ჩვენ მხოლოდ ის შეგვიძლია ვუპასუხოთ, რომ ორივე ეს სიამოვნება, როგორც ერთად, ისე ცალ-ცალკეც, ყველზე უშენარია და უკეთესი ყოველგვარ სიამოვნებათა შორის. თუ შენ გგონია, რომ ისინი სხვა რამით განსხვავდებიან დანარჩენთაგან?

ჰიპია. არა, ისინი მართლაც ყველზე უკეთესნი არიან.

სოკრატე. „მაშასადამე, — იტყვის ის, — თქვენს აზრით, მშვენიერი — სასარგებლო სიამოვნებაა?“ — როგორც ჩანს, — მივუგებ მე. შენ რაღას **იტყვი?**

ჰიპია. ამასვე.

სოკრატე. „კი მაგრამ, — კვლავ იტყვის ის, — სასარგებლო ხომ ისაა, რაც სიკეთეს ქმნის? მაგრამ, როგორც წედან გავაკვეთეთ, სხვაა შემქმნელი და სხვაა შექმნილი. ამრიგად, თქვენი მსჯელობა, როგორც ჩანს, კვლავ თავის დასაწყისს უბრუნდება. რადგან ანა სიკეთეა მშვენიერი და არც მშვენიერი სიკეთე, თუკი ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან“. — რა თქმა უნდა, მივუგებთ ჩვენ, თუ გონების ხმას მივუდგებთ ყურს, ჩემო ჰიპია. მართლაცდა, განა შეიძლება არ დავთანხმო მას, ვინც მართალს ამბობს?

XX

ჰიპია. კი მაგრამ, კაცმა რომ თქვას, რა არის ყოველივე ეს, ჩემო სოკრატე, თუ არა, ჩემი წეღანდელი თქმისა და იყოს, სიტყვების ნაფულეთები, ნაფცქვენები და ნამეცებები. მშვენიერი და ფასეული სულ სხვა რამეა: შეგეძლებოდა ლირსულად, მშვენიერი სიტყვით წარსდგე სასამართლოში, სახალხო სათათბიროში თუ ხელისუფალთა წინაშე, შეგეძლოს **დაარწმუნო** შენი მსმენელნი და სანაცვლოდ უმნიშვნელო და უფასური კი არა, უმნიშვნელოვანესი და უძვირფასესი ჯილდო დიმსახურო: პირადი ბედნიერება, შენი და შენი ახლობლების კეთილდღეობა. აი, რას უნდა შეაღლინ შენი სიცოცხლე და არა ფუჭ ლაქლაქს და ლაყბობას, უკეთუ არ გაიერს ყბედისა და ყეყეჩის სახელი დავიდო ხალხში.

სოკრატე. ბედნიერი კაცი ხარ, ჩემო ჰიპია, ბედნიერი ხარ, იმიტომ რომ იცი, რა საქმეს უნდა მისდევდეს კაცი და, როგორც თავად ბრძანებ, წარმატებითაც მისდევ მას. მე კი წყეულსაყით თან მსდევს და თავის ნებაზე მთამაშეს იდუმალი საბედისწერო ძალა; ამიტომაც დავბორიალობ მიწყივ დაბნეული და დაფეთებული, წამდაუწუმ ჩიხში ვემწყვდევი და გამოსავალს ვეღარ ვპოულობ. ხოლო თუ ზოგჯერ ჩემს ვასაპრის შემოგზიერვები თქვენ — ბრძენკაცო, დაბმარების ნაცვლად ერთხმად დამცინო და შეურაცხმყოფო. თქვენ ყოველთვის იმას გაიძახით, რასაც შენ ამბობ ახლა: თითქოს მე ტყუილად ვკაბიობ და ამაოდ ვალეკ ძალას ფუჭ, უმადურ და უბადრუკ საქმეს. ხოლო როდესაც თქვენს ფეხის ხმას აყოლიები **თქვენთან** ერთად ვიმეორებ, რომ ყველაზე უმჯობესია შეგველოს ღირსეულად, მშვენერი სიტყვით წარსდგე სასამართლოსა თუ სახალხო სათათბიროს წინაშე და სანაცვლოდ უძვირფასესი საზღაური დიმსახურო, — ითასვგარი დამცირების ატანა მიწევს ბეერი ჩემი თანამოქალაქისა და, განსაკუთრებით, ჩემი თანამოსაუბრისაგან, რომელიც ყოველი ფეხის ნაბიჯზე მეპაექრება და მამხილებს. უბედურება ისაა, რომ მას ვერსად გაექცევი, ვერსად წაუხვალ, რადგან ჩემი უახლოესი ნათესავია და ჩვენ ერთად, ერთ ჭერქვეშ ვცხოვრობთ. როდესაც შინ ვბრუნდები და ის ამნაირ სიტყვებს ისმენს ჩემგან, მეკითხება, ნუთუ არა მრცხვენია, ასე თავხედურად რომ ვმსჯელობ მშვენერი სამეიანობისა თუ ყოველივე სხვა მშვენიერის შესახებ, როცა ისიც კი არ ვიცი, თუ რა არის მშვენიერება. „კი მაგრამ, რა

ეცი,—ამბობს ის,—მშვენერი სიტყვას წარმოსთქვამს ვინმე თუ არა, რაკი არ იცი, რა არის თვით მშვენერი? და თუ არ იცი, იქნებ გგონია, რომ სიკეთეი არ გიჯობს ამგვარ სიცოცხლეს?“ ვიმეორებ, აი, რამდენი დამცირების ატანა მიწევს როგორც თქვენგან, ისე ამ კაცისგანაც. მაგრამ მეტი რა გზა მაქვს: უნდა

ავიტანთ. ვინ იცის, რაგინდ უცნაურიც არ უნდა ჩანდეს. იქნები რაიმეს გამოგრჩე კიდეც აქედან. ყოველ შემთხვევაში, ჩემი ჰიპია, შენი და ჩემი თანამოსაუბრის პაექრობას ჩემთვის, ფუ-ჯად არ ჩაუვლია: მე მგონია, მიგხვდი, [illegible] ნაეს ანდაზა: „შშეენერი — ძნელია“[1].

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენიშვნები

I

1. ჰიპია (დაიბ. დაახლ. 460 წ. ძვ. წ. ა.) — ცნობილი ბერძენი რიტორი, ასტრონომი, გეომეტრი, მუსიკოსი და გრამატიკოსი, სოფისტური ფილოსოფიის ერთ-ერთი ფუძემდებელი. მისი სახელი ეწოდება აგრეთვე პლატონის მეორე დიალოგს — „მცირე ჰიპია“; გარდა ამისა, ჰიპია პლატონის „პროტაგორას“ ერთ-ერთი პერსონაჟია.

2. თავის „მემორაბილიებში“ (IV, 4, 5,) ქსენოფონტე გადმოგვცემს სოკრატესა და ჰიპიას საუბარს სამართლიანობის შესახებ. აქაც აღნიშნულია, რომ ჰიპია დიდი ხანია ადარ ყოფილა ათენში: „ჰიპია, რომელიც კარგა ხნის შემდეგ კალეკ ეწვია ათენს, რამდენნიმე კაცთან მოსაუბრე სოკრატს შეხვდა“.

3. ელიდა — ძველი საბერძნეთის ერთ-ერთი ოლქი, პელოპონესის დასავლეთით, აქაიას, არკადიას, მესენიასა და იონიის ზღვას შორის; ჰიპიას სამშობლო.

8. ბევრი ბერძნული სახელმწიფო (პოლისი), ჩვეულებრივ, სახელმოხვეჭილ სოფისტებს ზზავინდა ელჩებად: ასე მაგალითად, ჰიპია თესალიის ლარისიდან ჩავიდა ათენში, გორგია — ლეონტინიდან (სიცილია), ხოლო პროდიკე — კუნძულ კეოსიდან.

5. ლაკედემონი (ანუ სპარტა) — ლაკონიკის, პელოპონესის სამხრ.-აღმ. ოლქის მთავარი ქალაქი (დაახლ. 60 000 მეტ.).

6. პიტაკე (VII—VI ს. ძვ. წ. ა.) — მიტილენელი (კ. ლესბოსი) სახელმწიფო მოღვაწე, მხედართმთავარი და პოეტი (მის ნაწარმოებებს ჩვენამდე არ მოუღწევია), პოეტ აღკეოსის მეგობარი და თანამებრძოლი ტირან მელანქრეს წინააღმდეგ ბრძოლაში, შემდეგ მისი პოლიტეკური მტერი; 590 წ. ძვ. წ. ა. არჩიუელ იქნა მიტილენის ესიმენტად (ესიმენტეს), ე. ი. ერთპიროვნულ მმართველად. ბიანტი (VI ს. ძვ. წ. ა.) — სახელგანთქმული იონიელი მოაზროვნე, ქალაქ პრიენეს მკვიდრი; მის შესახებ ამბობს ჰერაკლიტე ეფესელი: „პრიენეში ცხოვრობდა ბიანტი, ტეგეტამეს ძე, ვის სიტყვასაც უფრო მეტი ფასი ჰქონდა, ვიდრე სხვებისას“ (ფილონი, ფრაგმ. 39). თალეს მილეტელი (VII-VI ს. ძვ. წ. ა.) — დიდი იონიელი ნატურფილოსოფოსი, მათემატიკოსი და ასტრონომი (585 წ. ძვ. წ. ა. იწინასწარმეტყველა მზის დაბნელება), თალესი წყალს მიიჩნევდა სამყაროს პირველსაწყისად და ყოველივე არსებულს მარადიულ საფუძვლად. პიტაკეს, ბიანტსა და თალესს ტრადიცია ოდითგანვე იხსენიებდა ძველი საბერძნეთის ე. წ. „შვიდ ბრძენთა“ (პოი ჰეპტა სოფოი) შორის; დანარჩენი 4: ხილონი, კლეობულე, სოლონი, პერიანდერე (ამ უკანასკნელის ნაცვლად პლატონი იხსენიებს მისონს — იხ. „პროტაგორა“. 343ა). (შვიდი ბრძენის შესახებ იხ. H. Diels, Die Fragmente der Vorsokratiker, Berlin, 1934, s., 61-66).

7. ანაქსაგორა (დაახ. 500—428 წ. ძვ. წ. ა.) — დიდი ბერძენი მოაზროვნე, პირველი ათენელი ფილოსოფოსი (ანაქსაგორამდე ყველა ბერძენი ფილოსოფოსი იონიის თუ „დიდი საბერძნეთის“ — სამხრეთ იტალიის ქალაქებში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა), მათემატიკოსი (Procl. Ad Eucl.) და ასტრონომი (C. Plini secundi Nat. Hist., II, 144), პერიკლეს მასწავლებელი და მეგობარი (პლუტარქე, პერიკლე, 4, პლატონი, ფედროსი. 270ა). ანაქსაგორას ძირითადი ფილოსოფიური პრინციპია ეროგვარი სულიერ-სხეულებრივი სუბსტანციაა—„ნუს“, — თვითმყარული პირველმიზეზი კოსმიური მოძრაობისა.

8. დიდალოსი — ლეგენდარული ბერძენი ხელოვნმოძღვარი, კრეტის ლაბირინთის შენებელი (ამოლიდ. III, 1 3-4; ვერგ., ენეიდა, VI, 14—33; ოვიდ, მეტამორფ. VIII, 152—182), მოქანდაკე და მხატვარი. „მენონის“ (97d) სქოლიასტი დედალოსს ბერძნული ქანდაკების რეფორმატორად სახავს: მან პირველმა შექმნა ქანდაკებები, რომლებსაც თვალები გახელილი, ხოლო ფეხები ერთმანეთისაგან განცალკევებული ჰქონდათ.

9. გორგია (დაახლ. 500—391 წ. ძვ. წ. ა.) — სახელგანთქმული ბერძენი რიტორი, ანტიკური სოფისტიკის ერთ-ერთი მამამთავარი, ქ. ლეონტინის (სიცილია) მკვიდრი; 427 წ. ძვ. წ. ა. მისმა მშობლიურმა ქალაქმა ელჩად წარგზავნა ათენს (თუკიდ., III, 86).

10. პროდიკე (დაიბ. დაახლ. 470 წ. ძვ. წ. ა.) — ცნობილი ბერძენი სოფისტი და რიტორი, წარმომავლობით კეოსელი (კეოსი ე. წ. „კიკლადთა“ ჯგუფის ერთ-ერთი კუნძულია ეგეოსის ზღვაში, პოტენის სიმონიდესა და ბაკქილიდეს სამშობლო), სოკრატეს, ეგრიპიდეს, თუკიდიდეს, ქსენოფონტეს, ისოკრატეს თანამედროვე და მეგობარი; იკვლევდა ეთიკასა (ქსენოფ., მემორაბ., II, 1, 21—34) და ენის ფილოსოფიას, კერძოდ, სინონიმიკას (პლატ., პროტაგორა, 337 და შემ.) საკითხებს.

11. პროტაგორა (დაახლ. 480—410 წ. ძვ. წ. ა.) — დიდი ბერძენი სოფისტი. მისი სახელი ეწოდება პლატონის ერთ-ერთ დიალოგს. როგორც მისი მრავალრიცხოვანი თხზულებების სათაურები (დიოგენე ლაერტ. IX 55) გვიჩვენებენ (ამ თხზულებებიდან მხოლოდ ძალზე მცი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რერიცხოვანმა ფრაგმენტებმა მოაღწია ჩვენამდე), პროტაგორა იკვლევდა თეორიისა და პრაქტიკის აქტუალურ პრობლემებს. გნოსეოლოგიური სკეპტიციზმი, უკიდურესი რელატივიზმი და სუბიექტივიზმი, — ასეთია მისი ფილოსოფიის სპეციფიკური თავისებურებანი.

II

1. სწორედ სიცილიაში ჩაისახა მგზავრმეტყველების ხელოვნება, რომლის ფუძემდებელნი იყვნენ სირაკუზელი რიტორი — კორაქსი (VI-V ს. ძვ. წ. ა.) და მისი მოწაფე — ტისია (V ს. ძვ. წ. ა.) (ციცერო, ორატორის შესახებ, 1, 20); ხოლო სიცილიელმა გორგიამ ელდაში დანერგა იგი.

2. მნა (შდრ. ლუკა, 19, 13; შდრ. ს. — ს. ორბელიანი, ლექსიკონი ქართული) — ბერძნული მონეტა=1/60 ტალენტს-25-დან 36 მანეთამდე. ასე რომ, 150 მნა=3750 — 5400 მან. (სოფოსტოა ანგარების შესახებ იხ. აგრეთვე „სოკრატეს პროლოგი“ 19e-20c).

3. ინიკოსი — ზოგიერთ მკვლევარს მიაჩნია, რომ ეს პატარა დაბა სიცილიის დას. სანაპიროზე, ქ. ლილიბეონის მახლობლად მდებარეობდა, ზოგი კი მის სამხრეთით, ქ. აგრიგენტიუმის (ბერძნ. აკრაგანტი, დღეს — ჯირჯენტი) ახლოს ათავსებს.

4. პლატონის ლაკონფილური სიმპათიების შესახებ იხ. აგრეთვე „კანონები“ (I,630d-e, სადაც ის დიდი ლაკედემონელი კანონმდებლის — ლიკურგეს (IX ს. ძვ. წ. ა.) კანონებს „ყველა სათნოების ერთობლიობას“ უწოდებს, ხოლო ამ კანონებზე დაფუძნებულ სახელმწიფოებრივ წყობილებას ღვთაებრივ და „ჭეშმარიტ სახელმწიფოებრივ წყობილებად“ სახავს (ლაკედემონის ყოფა-ცხოვრების, ზნე-ჩვეულებებისა და კანონების შესახებ მეთხეველი საინტერესო ცნობებს იპოვის წიგნში — პლუტარქე, რჩეული პარალელური ბიოგრაფიები, ძველბერძნულიდან თარგმნა, შესავალი წერილი და განმარტებები დაურთო აკაკი ურუშაძემ თბ., 1957, გვ. 20—41).

III

1. თესალია — ჩრდ. საბერძნეთის ალმ. ნაწილი, მაკედონიას, ეპიროსს, ეტოლიას, დორიდასა და ეგეოსის ზღვას შორის. თესალიის ნაყოფიერი ველ-მინდვრები ხელსაყრელ პირობებს ქმნიდნენ მეცხოველეობის, კერძოდ, მეცხენეობის განვითარებისათვის. თესალიური ცხენები ოლიმპიანე განთქმულნი იყვნენ მაცლს საბერძნეთში (ჰეროდ., VII, 196., პლატ., კანონები, 625d; მენონი, 70a, ქსენოფ., ელენ., IV, 3, 9).

2. ჰიპიის მხრივ, ეს მიინც ზომიერი კრიტიკაა კანონებისა, საერთოდ კი ის უფრო რიგალოსტია: იხ. მაგ., პლატონის „პროტაგორა“ (337d), სადაც ჰიპია „კაკთა ტირანს“ უწოდებს კანონს და მას ბუნებრივი სამართლის შეგნებულად თვლის. კანონების ამგვარი ინტერპრეტაცია საერთოდ დამახასიათებელია სოფისტთა უადრესად ინდივიდუალისტური დოქტრინისათვის, რომლის მიხედვითაც კანონი სხვა არა არის რა, თუ არ ბორკილი, რომლითაც სუსტი კაცუნების ბრბო ბრძოლავს და გასაჭანს არ აძლევს ძლიერი პიროვნების ბუნებრივ მისწრაფებებს. მაგრამ ეს უკანასკნელი (რომელიც რამდენადმე მოგვაგონებს ნიცშეს „ზეკაცს“) საკუთარი ძალისხმევით ამსხვრევს ამ ბორკილს და სამოქალაქო ცხოვრებისა თუ ზნეობრივი ქცევის ერთადერთ ჭეშმარიტ, ბუნებრივ კანონად თავის აბსოლუტურად შეუზღუდავსა და ყოველგვარი პირობითობისგან თავისუფალ ნებას აცხადებს (შდრ. „გორგია“, 483a-485a; იხ. აგრეთვე M. Вундт, Греческое мировозрение, П., 1916, стр. 61—68; Виндельбанд. История древней философии, СПб, 1908, стр. 100—102; P.-M., Schuhl, L'Oeuvre de platon, Paris, 1954, p. 44—46)

IV

1. გენეალოგიების, ანუ, დ. გურამიშვილის სიტყვით რომ ვთარგმნოთ, „მეგვარტომობითი“ სიტყვიერების ნარაკეული ქანრი ფართოდ იყო გავრცელებული ძველ ბერძნულ სასტორიო მწერლობაში; ასე მაგ., გენეალოგიებს თხზავდნენ VI—V ს. (ძვ. წ. ა.) ლოგოგრაფოსები — ჰეკატეოსი და აკუსილოსი, ფერეკიდე და ჰელანიკე, თვით ჰიპია და სხვ.

2. VIII-VI ს. (ძვ. წ. ა.) ბერძნული კოლონიზაციის პერიოდია. რთული ეკონომიური და სოციალურ-პოლიტიკური მიზეზების, განსაკუთრებით კი ნაყოფიერი მიწების სიმცირის გამო (ჰეროდოტეს თქმით, „სიმწრიგ ოდიფვანკე ნაშნეული იყო ელადისათვის“, VII, 102) ბერძნული პოლისებიდან იწყება კოლონისტების გადასახლებისა (ამოიკია) და კოლონიების დაარსების (ატოიკია) პროცესი. (დაწერილებით იხ. წიგნში: Т. В. Блаватская и др. История древней Греции, М., 1962, стр. 137—143).

3. სიტყვა „არჭონტი“ აქ ნახმარია მისი უზოგადესი მნიშვნელობით: „მმართველი“, „გამგებელი“.

4. სოლონი (დაახლ. 638—559 წ. ძვ. წ. ა.) — დიდი ათენელი პოლიტიკოსი და კანონმდებელი, ძველი საბერძნეთის ერთ-ერთნი შვიდ ბრძენთაგანი (დაწერილებით იხ. პლუტარქე, სოლონი).

5. შდრ. ქსენოფონტე, ნადიმი, IV. 62; ფილოსტრატე, სოფისტთა ცხოვრებანი, I. 11.

6. ნეოპტოლემოსი — აქილევსისა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

დეიდამიას ძე (მის შესახებ იხ. ჰომეროსი, ილიადა, XIX, 326; ოდისეა, XI, 500 და შშდ; სოფოკლე, ფილოქტეტე; ევრიგლიუსი, ენეიდა, II, 500 და შშდ. და სხვ.) ნესტორი — ჰომეროსის პოემების გმირი, პილოსის ბრძენთა-ბრძენი მოხუცი მეფე, აქაველთა ერთ-ერთი ბელადი ტროადის ომში.

7. ეგზეკი — პლატონის მერე დიალოგის „მცირე ჰიპიას“ მოქმედი პირი; შესაძლოა, ჰიპიას მასპინძელი ითენში.

8. ფილოსტრატე — ათენელი გრამატიკოსი.

VI

1. იგულისხმება დეიფოსის ორაკულის პასუხი ცუფმედიდი მეგაბოზებისადმი, რომლებიც ყველა ბერძენზე მაღლა აყენებდნენ თავს: „ამ ქვეყნად ყველაზე უყოფილი მხარე პელასგების საშობლოა — არგოსი, ყველაზე უყოფილი ფაშატები — თესალიელი ფაშატები (შდრ. აქვე, შენ. III,1— ბ. ბ.), დიაცოფგან ვერავინ შეეწინა ლაკონელ ქალებს, ხოლო მამრთა-გან — არეთუსის წმინდა წყლის მსმელთ: მაგრამ მათიც კი თავიანთი დიდებით ჩრდილავენ ტირანთოსს და არეემრავალ არკადიას შორის მობინადრენი... თქვენ კი, მეგაბოზნო, არც მესამედ, არც მეოთხედ, არც მეოცედ არ იხსენებთ: თქვენ არც ანგარიშში ჩასაგდებნი ხართ და არც ანგარიშგასაწევნი“ („ანთოლოგია პალატინა“, XIV, 73).

2. ჰიპიას „რაფინირებული“ გემოვნება შეუფაცხყოფილია ამ „მდაბიური სიტყვით“; სოკრატესათვის კი, პირიქით, ეს უბრალო და უბრეკნებონი სახელი საესებით ბუნებრივია; შდრ. „ნადიმი“, 221e: „...თუ ვინმე მოისურვებს ყური უგდოს სოკრატეს საუბარს, შესაძლოა, თავდაპირველად, სასაცილოდ კი ეჩვენოს იგი. მისი აზრი იმნაირი სიტყვებისა თუ გამოთქმების გარსში ეხვევა, რომ გარეგნულად ურცხვი სატირის ტყავს აგინებს კაცს. მართლაც, სოკრატე, ხომ ერთთავად ეკერნიან სახედრეზნე, მეკედლეზნე. მეჯადაგეებსა თუ დაბადებზე მსჯელობს და თითქოს ერთსა და იმავეს იმეორებს მუდამ. ასე რომ, ვინმე გამოუცდელსა და რეგვენს. შესაძლოა, სასაცილოდაც არ ეყოს მისი სიტყვები“. შდრ. აგრეთვე „ფედონი“ 77e, სადაც სიკვდილის პრობლემაზე, ამ ეშმაობატად დიალოგ და მარადიულ პრობლემაზე მსჯელობის დროს გულისშემძვრელი ინტიმურობით გაიხმანებს ბალღური სიტყვა „ბუა“ — „მორმოლიკიონ“ (მართალია ამ სიტყვას სოკრატე კი არ, კებესი წარმოსთქვამს, მაგრამ კებესი სოკრატეს მოწაფეა და სიტყვისგებრნ მისეულ მანერაში აშკარად ცნაურდება მასწავლებლის მაღალი სული).

3. ქოე (ეოოს ან ქუს) — სითხის საზომი ერთეული = 3,283 ლ.

4. ჰიპია თავს არიდებს „ქოთნის“ ხსენებას.

5. ჰერაკლიტე ეფესელი (540-480 წ. ძვ. წ. ა.) — გენიალური ბერძენი მოაზროვნე, ანტიკურობის ერთ-ერთი უდიდესი დიალექტიკოსი; მისი ფილოსოფიური თხზულებიდან — „ბუნებისათვის“ — მხოლოდ 130-მდე ფრაგმენტმა მოაღწია ჩვენამდე, მაგრამ ისინი მაინც გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნიან ეფესელი ბრძენის მსოფლმხედველობაზე: ეცადა ელი — კოსმოსის პირველსაწყისი, მარადიცოცხალი სტიქონი, რომლისგანაც იმადება და რომელშიაც 10 800 წლოვანი ციკლის (ე. წ. „დიადი წლის“) დამლეკა ხელახლა დაინთქმება მთელი სამყარო; ყველაფერი მედინაა, ცვლადი, ხრწნადი და მსწრაფლწარმავალი; დაპირისპირებულთა ჰარმონია — დიალექტიკის დიდი პრინციპი; ბრძოლა — ყოველის მამა და შემოქმედი; ლოგოსი — სამყაროს უხრწნელი კანონი; ტოტალური რელატივიზმი (რაც ჰლატონის მიერ ციტირებული ფრაგმენტებიდანაც ჩანს); ყოველისერთობა: ერთისესენ მრავალი და მრავალის განერთი, — ასეთია ჰერაკლიტის ფილოსოფიის ძირითადი მომენტები. ამ დიდი და მისტიური ნატურის შემეცნებითი მეთოდი სინამდვილის ინტუიტური ჭვრეტაა. თავის აზრებს ის უადრესად ბუნდოვანი (ამიტომაც ეწოდა მეტსახელად „სკოტეინოს“ — „ბნელი“). მაგრამ ასევე უადრესად მრავალმნშვნელოვანი აფორიზმების სახით აყალიბებს, რომელთა სიტყვიერი ძალმოსილება სიბილების პროფეტული ენის ასოციაციას იწვევს. პერაკლიტის ერთ-ერთი მოწაფე — კრატილე პლატონის მასწავლებელი გახდა, ხოლო სამყაროს ცვლადობისა და წარმავლობის ჰერაკლიტესეული კონცეფცია ჰლატონის გრანდიოზული ფილოსოფიური სისტემის ერთ-ერთ ამოსავალ წერტილად იქცა. აქ მოტანილი ფრაგმენტი იხ. დილსის ზემოხსენებულ წიგნში, გვ. 169, ფრაგმ. 82.

VII

1. დილს ი. ფრაგმ. 83.

2. ფიდიასი (დაახლ. 500—431 წ. ძვ. წ. ა.) — გენიალური ბერძენი მოქანდაკე; მთავარი ქმნილებები: ათენა ლემნაისა და აფროდიტე ურანიას სტატუები; ბრინჯაოს კოლოსალური ქანდაკება, ე. წ. ათენა პრომაქოს (ათენის აკროპოლისის); ორი გრანდიოზული ქრისელეფანტური (ე. ი. ოქროსა და სპილოს ძვლისგან გაკეთებული) ქანდაკება: 1. ზევს ოლიმპიელისა, რომელიც ქ. ოლიმპიას ზევსის ტაძარში იყო დადგმული და რომელსაც ძველი ბერძენები სამყაროს ერთ-ერთ საოცრებად თვლიდნენ; 2. ათენა პართენოს (ათენის პართენონი); აგრეთვე პართენონის ფრიზის სტატუები და რელიეფები.

3. იგულისხმება ფიდიასის ქანდაკება — ათენა პრომაქოს, ანუ ათენა ქრისელეფანტინა (იხ. ზემო შენიშვნა).

VIII

1. სოკრატე „პოროტი ზრახვით“ უბრუნდება თავის „შშვენერ ქოთანს“, მაგრამ ამჯერად „შშვენერ მბალსაც“ ხარშავს შიგ, და, როგორც ჰიპიას სასუსტო რეპლიკიდან ჩანს, მიზანსაც აღწევს: აცოფებს სოფისტს.

2. დიდაწნი „კალოს მენ... ამეიხომეთ, კალოს დე ჰიპოდედემენო“, რაც ა. ბოლდირევის ზუსტი თარგმანით ნიშნავს: «прекрасно одетому, прекрасно обутому». ქართულისთვის უფრო ბუნებრივია „შშვენიერად ჩაცმულ-დაჭიქულ“, მაგრამ ამჯერი „გაკართულება“ შეიძლება შეცდომის წყაროდ ქცეულიყო: სამეცისაა, რომ ძველი ბერძნები ფეხთათვალ ატარებდნენ ქუდს, ერთი გამონაკლისის — მგზავრობის გარდა; ჰიპია კი, როგორც დესანი, ერთთავად გზებზე იყო გაკრული, რასაც თვითონვე ვვიმოწმებს დიალოგის დასაწყისში. ამიტომ, ეფიერმის, ჩემი არჩევანი გამართლებულია.

IX

1. დ ი თ ი რ ა მ ბ ი — დიონისეს სადიდებელი საკრალური ჰიმნი. აქ დაცინვით არის ნახმარი.

X

1. ე ა კ ი (აიაკოს) — ბერძნ. მითოლოგიით, ზეუსისა და ეგინის ძე, კუნძ. ეგინის მეფე, აქილევსის — ტროას ომში აქაველთა უბრიელეული გმირის პაპა; სიკვდილის შემდეგ მისი სამართლიანობისა და ღვთისმოსაობის სანაცვლოდ ღმერთებმა ჰადესის ერთ-ერთ მსაჯულად აქციეს (მინოსსა და რადამანთისთან ერთად). ამრიგად, ეაკი ნახევარღმერთია: უკვდავი მამის — ზეუსისა და მოკვდავი დედის ნაშობი. ამიტომ მისთვის ისევე როგორც ყველა ნახევარღმერთისა თუ ღმერთისთვის სულაც არ არის შშვენერი „თავის შშობლებზე უფრო გვიან მიბაროს მიწას.“ (წინააღმდეგ შემთხვევაში, მკრეხელურ დასაკვნამდე მივალთ: ღმერთის სიკვდილი შშვენიერია).

2. ჰ ე რ ა კ ლ — ძველი საბერძნეთის ყველაზე პოპულარული მითიური გმირი, ზეუსისა და ალკმენის ვაჟი. მისი შემზარავი აღსასრული შესახებ იხ. სოფოკლეს ტრაგედია „ტრაქინიელი ქალები“.

3. ტ ა ნ ტ ა ლ ო ს ი — სიპილოსის მეფე, ზეუსის ძე, მრავალი მითიური თქმულების გმირი; დ ა რ დ ა ნ ო ს ი — ზეუსისა და ელექტრას ვაჟი, დარდანების მამამთავარი; ძ ე ი ფ ო ს ი — ზეუსისა და ანტიოპეს ძე, ამფიონის — ღვთაებრივი კეთილდღეს ძმა (ე. წ. თებელი დიოსკურები); სამეგე გმირი ნახევარღმერთია. პ ე ლ ო პ ს ი — ტანტალოსისა და დიონეს ვაჟი, პელოპონესის ეპონიმი (პელოპსის დედაც და ძმაც მოკვდეგია და, ამრიგად, პირველი სამი გმირისგან განსხვავებით, ის ნახევარღმერთი არ არის).

XI

1. დედაწნი მიმდეობაა: „პარონ“, მაგრამ ისეთ კონტექსტში ნახმარი, რომ მისი გადმოცემა მხოლოდ შესატყვისი არსებითი სახელით (ასეთი სახელი ბერძნულში „პარუსია“-ა) თუ შეიძლება. მთარგმნელები ასეც იქცევიან: „своим присутствием“ (ა. ბოლდირევი), „par sa présence“ (ა. კოუზე). მაგრამ ქართულში არ გვაქვს სიტყვა, რომელიც ისევე ადექვატურად გადმოსცემდა ბერძნულ „პარუსიას“, როგორც რუსული „присутствие“ ან ფრანგული „présence“. ამიტომ ეს ტრილემის წინაშე აღმოვჩნდი: ან უნდა მეხმარა ლაფინური „პრეზენციი“ (praesentia), ან უნდა შემექმნა ხელოვნური ქართული ტერმინი, ანდა გამომეყენებინა რომელიმე ქართული სიტყვა მისი მნიშვნელობის გაფართოებით. რამდენიმე ვარიანტადან ვარჩიე „თანამყოფობა“ (შდრ. „ვადმყოფობა“, აგრეთვე „მყოფობა“, „თანაყოფობა“ — იხ. „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონში“); შეიძლება მისი უფლებაც (თ.-ნავმყოფობ თანამყოფობ...).

2 იხ. ზემო შენიშვნა.

XII

1. ჰიპიას ამ სიტყვებში ნათლად ჩანს სოფისტთა დოქტრინისათვის დამახასიათებელი ძლერი პიროვნების კულტი. აი, რას წერს მ. ვუნდტი თავის ზემოხსენებულ წიგნში (გვ. 65): სოფისტების მიხედვით, „სამართლებრივი ნორმების დამდგენნი მხოლოდ ძლიერი და მბრძანებლური პიროვნებები არიან, მხოლოდ ძალა აიძულებს სუსტ ნატურებს დაემორჩილონ ამ კანონმდებელთა ნებას. რა თქმა უნდა, არ არსებობს არავითარი ზოგადსავალდებულო ნორმა. ურთიერთბრძოლაში მონაწილეობენ მხოლოდ ინდივიდუუმები თავიანთი ურთიერთსაპირისპირო ეგოისტური ინტერესებითა და მისწრაფებებით; შეფასების საზომი აქ შეიძლება იყოს მხოლოდ ნების ძლიერებისა და ძალმოსილების ეს თუ ის ხარისხი; სიმართლე ყოველთვის ძლიერი პიროვნების მხარეზეა, ვინაიდან არ არსებობს არავითარი ზოგადსავალდებულო ნორმა; ძლიერი ყოველთვის მართალია სწორედ ამიტომ, რომ შეუძლია თვითონვე დაამტკიცოს თავისი სიმართლე“.

XIII

1. პლატონი ერთმანეთისაგან განასხვავებს ტერმინებს: „ვარგისს“ (ხრესიმონ) და „სასარგებლოს“ (ოფელიმონ), რაში გამოიხატება ეს განსხვავება? — „ვარგისს“ საპირისპირო ცნე-

---

კლაბონი
ფიდი ჰიპია

ბაა „უვარგისი“ (ახრესტონ), ხოლო „სასარგებლოსი“ არა მარტო „უსარგებლო“ (ნოფელეს), რომელიც შედარებით ნეიტრალური, არამედ უფრო აქტიური „მავნეკ“ (ალბერონ). „ვარგისი“ შეიძლება ეწოდოს ყველაფერს, რაც ამა თუ იმ მიზნის (სულერთია, კეთილის თუ უკეთურის) მისაღწევად გამოდგება, ხოლო „სასარგებლო“ მხოლოდ იმის, რაც ერთგვარად გვრგებს ან რამე სიკეთეა თუ უპირატესობას გვანიჭებს. ასე მაგალითად, ძალა, რომელიც ბოროტებას ემსახურება, შეიძლება „ვარგისი“ იყოს (ბოროტი მიზნის მისაღწევად), მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება იყოს „სასარგებლო“.

XIV

1. ჰიპიას ამ რეპლიკაში აშკარად შეიმჩნევა სოფისტების აგდებული დამოკიდებულება ჭეშმარიტების მიმართ. შდრ. „ფედროსი“, 262: „იმისთვის, ვინც რიტორად გახდომას აპირებს, აუცილებელია იცოდეს არა ის, თუ რა არის ჭეშმარიტად სამართლიანი, არამედ ის, რაც სამართლიანი ჰგონია ბრბოს. მისთვის ნაკლებად აუცილებელია აგრეთვე ჭეშმარიტი სიკეთისა თუ მშვენიერების ცოდნა, რადგან სავსებით საკმარისია იცოდეს მხოლოდ ის, რაც სიკეთედ და მშვენიერებად ესახება კაცთა უმრავლესობას. სწორედ ეს ანიჭებს სიტყვას დამაჯერებლობას და არა ჭეშმარიტება“. სოფისტებისა და რიტორებისათვის მთავარია მოჩვენებითობა, სოფოტესთვის — ჭეშმარიტება.

XV

1. როგორც ვხედავთ, სოკრატე თავისთავს გულისხმობს აქ (მე ვთარგმნი ბერძნული დედნის შემდეგი კრიტიკული გამოცემის მიხედვით: **Platon, Oeuvres completes, t. II, texte ètabll et traduit par Alfred croiset, Paris, 1921, p. 33**).

XVI

1. ზუსტად ეს აზრი აქვს გამოთქმული არისტოტელეს თავის „ტოპიკაში“ (146a 22), რაც, ზოგიერთი მკვლევარის დასკვნით, აშკარად მიუთითებს იმაზე, რომ არისტოტელე იცნობდა „დიდ ჰიპიას“ (რაც შეეხება პლატონის მეორე დიალოგს „მცირე ჰიპია“, არისტოტელე პირდაპირ იმოწმებს მას, — იხ. „მეტაფიზიკა“, 1025a 6 და შმდ.).

XVII

1. ა. ტახო-გოდის შენიშვნით, „სხეულებრივი არსენი (სომახა ტეს უსიას) — ხელოვნური სხეული წყალთხვა. ზოგიერთი კომენტატორი, მაგალითად, ო. აპელი... კითხულობს „სხემატეს უსიას“, ე. ი. „არსებობის ურთიერთმიმართებანი“, ვინაიდან ეს ტერმინი ცხადყოფს პლატონის აზროვნების კონსტრუქციულ ხასიათს და კერძოდან ზოგადისაკენ აბსტრაქციებამისეულ ცდას. მაგრამ ხელოწერისეული ტრადიციის დასამტკიცებლად არანაკლებ მნიშვნელოვანი არგუმენტია პლატონის ფილოსოფიაში ესოფტიკური და ონტოლოგიური კატეგორიების გრძნობად-სხეულებრივი წარმოდგენა თვითეიდოსამდე. თავისი არსით ესოდენ ხელშესახები და ხორციელი აპერეცეპცია განყენებული იდეებისა, საერთოდ, დამახასიათებელია ბერძნული აზროვნებისათვის და განპირობებულია ანტიკური საბერძნეთის სტეიერ-ბატერიალისტური ტენდენციებით...“ (**Платон, Соч. в трех томах, т. I, М., 1968, стр. 531—32**). შემდეგ ტახო-გოდის მოაქვს მაგალითები სოფოკლესან, ევრიპიდედან, ქსენოფონტედან და ჰომეროსიდან ამგვარი ინტერპრეტაციის დასამტკიცებლად. ჩემის მხრივ, დავსძენ, რომ მსგავსი ტენდენცია დამახასიათებელია სტოიცისტური ფილოსოფიისთვისაც.

2. ამ ანდაზას იცნობს სენეკა (სუდს) ლექსიკონიც, მაგრამ მის წყაროდ „დიდი ჰიპიას“ ამავე ადგილს იმოწმებს.

XX

1. „დიდი ჰიპიას“ სქოლიესტი ამ ადგილთან დაკავშირებით შენიშნავს: „კორინთოს მმართველი პერიანდრე თავდაპირველად ხალხის მეგობარი იყო, მაგრამ შემდეგ ტირანი გახდა. როცა ამ ამბავმა მილეტელების მაშინდელი მმართველის — პიტაკეს ყურამდე მიაღწია, მაშინ ის, სახელოს გატეხის შიშით შემკრთალი, საკურთხევლის წინ ჩამოჯდა, როგორაც მთხოვნელი დამოითხოვა თანამდებობიდან გამათავისუფლეთო. როდესაც მილეტელებმა ამგვარი თხოვნის მიზეზი ჰკითხეს, პიტაკემ ასე მიუგო მათ: ძნელია იყო კეთილშობილი. ეს რომ გაიგო, სოლონმა თქვა: „მშვენიერი — ძნელია“; მას შემდეგ ეს გამოთქმა ანდაზად იქცა“. (იხ. **Platonis dialogi, ed, Hermann, vol, VI, Lipsiaè, 1921**).

ძველი ბერძნულიდან თარგმნა,
ფინასლიტყვაობა და შენიშვნები
დაურთო ბაჩანა ბრეგვაძემ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ჯონ ო'ჰარა

თბილი ადგილი

მატი ფოლი ხანში შედიოდა. ამას სხვა მიზეზებიც დაერთო და მან ახლა მეტად იგრძნო თბილი ადგილის ფასი. მატი უმეტესად ლუდით ეთბრობდა. კინო-თეატრიდან გამოსული მამაკაცები ხშირად შემოდიოდნენ მასთან ცოლების თანხლებით. შაბათს, ნაშუადღევს, ბარში უამრავი ხალხი იყრიდა თავს. თხოულობდნენ ქერის არაყს, დასაყოლებელ წყალს და გამლილით ყლუპავდნენ. ასე მეორდებოდა გამუდმებით. ყოველდღე, გარდა შაბათისა, ზუსტად თეთრმეტ საათზე, იგი გაპრიალებულ პიანინოზე გადმოკიდებდა ხოლმე აბრას და ჩამრთველს გამოთიშავდა. მატი კილომტრზე ცნობდა ლოთებსა და მსუბუქი ყოფაქცევის ქალებს და ცუდად ხვდებოდა მათ, რათა მეორედ აღარ მოსულიყვნენ. ბარეთ ვერ აგდებდა. მარტო იყო, დამბმარე არავინ ყავდა და ესლა დარჩენოდა მათი თავიდან მოსაცილებლად.

იმ ორშაბათ ღამითაც მატი მოწყენილი იდგა დახლთან, გაზეთ „ნიუ ჰეიენს" კითხულობდა და დროდადრო საათს დახედავდა ხოლმე. ერთი სული ჰქონდა, სანამ რამდენიმე შემორჩენილი კაციც წვიდოდა და დუქანს დაკეტავდა. ამ დროს, კარი რო მორლიმ შემოაღო. მატის გულზე შემოეყარა, როის ღამე ხეტიალი სწვიოდა, მაგრამ ეოლის დუქანი ძალზე ეშორებოდა და «ზეიათად თუ შეიეღიდა იქ. მორლი მოსული ვაქაცი იყო. ქალაქელი ბიჭი. მოწმფეობისას თამაშობდა ფეხბურთს, შემდეგ კი ძლიერი ფეხბურთელებით ვანშქმუულ მოსამზადებელ სკოლაში სწავლობდა. ფეხბურთელები სასიკეთოს არაფერს სძენდნენ სკოლას. პირიქით, აფუჭებდნენ ახალგაზდებს. ეს უკანასკნელნი სკოლის დამთავრების შემდეგ კარგავდნენ ფწონდელ სიჯანსაღესა და სისპეტაკეს. მორლი ადრეულ, ოციან წლებში ერთხანს დეტროიტში, შემდეგ ფორტ ჰპში, მერე კი ლოფაიეტში თამაშობდა ფეხბურთს. ყოველნი ექვსი წელი ისწავლა, ისე რომ ხარისხი არ მიეღია. ფრანკფორტიის ყველიელუბინაო და პოსტეილის „ყაჩაღებად" წოდებულ გუნდებშიაც სცადა ეთამაშა, მაგრამ ყოველდღიური ვარჯიში ვერ შესძლო. რი ფსიქოლო გუნდებში თამაშით დაკმაყოფილდა. ჩავიდოდა ხოლმე იმ ქალაქში, სადაც მატი ჰქონდა დანიშნული და სადგურის რესტორანში ყავის სმის დროს არკვევდა სპორტულ ამბებს. ბოლო დროს მას მეტწილად შინ ნახავდით. ოჯახის მეგობრებისა და ახლობლების შეკითხვაზე მისი საქმიანობის შესახებ, დედ-მამა პასუხობდა, აეტომობილებს ყიდისო. რი მართლაც მსახურობდა ჰუდსონისა და ესექსის ფირმის კომისიონერად, თან კონტრაბანდისტობდა. ერთ მშვენერ დღესაც ნაცნობებმა იხილეს მელნ ენ ელმის კუთხესთან გაჯგიმული, ფორმის ქუდით, ხალათით, ბრიჯით, კრავგბით, თოფით, რევოლვერით, პოლიციელის ნიშნითა და უბის წიგნაკით შემკული რი მორლი. ეს იყო ბიძამისის, საუბატო რესპუბლიკური კომიტეტის ეიცეთავმჯდომარის რო-ლეურანტის მოკვარახმენებული საქმე. რი გამოცდილი ჩანდა, როგორც ეს ახალმა თანამდებობამ იცის ხოლმე. მეგობრები უცბათ შემოეცალა, სამაგიეროდ ხალხს თვალში მოემატა წონა.

რი ხანდახან აიწყვეტდა. გადიოდა ქალაქში და სადაც წასაწრეგდა, ყველგან სვამდა. მატის დუქანს ჩვეულებრივ არ წყალობდა, მაგრამ იმ ორშაბათ ღამით რატომღაც დაბარებულივით გამოცხადდა. ვიწრო, ყავისფერი კოსტუმი ეცვა. სიმთვრალე არც კი ეტყობოდა, მაგრამ მატიმ იცოდა, სასმელი როის ძნელად ეკიდებოდა. მატიმ ბოთლი და ღოქით წყალი დახლზე შემოდგა. რაკი არაყი ხელთ იგდო, რიმ დალევა დაიყოვნა. ორივე ხელი მაგიდაზე დაეწყო. შემდეგ ისე გაიღიმა, თითქოს მატის რაღაც უნდა ახიროსო და რევოლვერი ამოიღო. ლულა პირში ჩაიდო და ჩახმახს გამოაკრა. არაფერი მომხდარა. ერთი ქალი წაიქცა მხოლოდ გულწასული. მატიმ იცოდა, ეს პოლიციელთა ძველთაძველი ხრიკი იყო. დახლდარების ლულაშიც ჩვეულებრივ არ დევს ხოლმე ტყვია. ვინაცობაა ვინმე ბოროტგანმზრახველმა პირველად სტაკოს ოარაღს ხელი. როცა რიიმ ჩახმახი მოსწია, მატის მხოლოდ გაეღიმა. ეს როის მანნეფამინე არ ეპიტნავა, — ოჰო! — წამოიძახა მან — ცარი-

ელი გეგონა არა, ჭკუის კოლოფო! — ან თუ ცარიელია! მან ხუთჯერ გაისრო�ა. ორმა ტყვიამ დალუპა დახლის უკან მიმაგრებული სარკე, სხვათა ასაგალ-დასაგალი კი მატიმ ვერ გაიგო. ფეი იატაკზე გაიშხლართა და გაყუჩდა.

— აიტ, შე დღინაძღლო შენა! — დაიღრიალა რომმ, თაროზე ჩამწკრივებულ ჭურჭელს ბოთლი ესროლა და გარეთ გავიდა. ამ ბაიკაბუთქის ხმაზე გულწასული ბოლის დოო გონს მოვიდა.

— ჩაწერეთ ჩემს ანგარიშში. ის უკვე ალარ მობრუნდება. შესანაოლო ახლა მთელი ქალაქი შემოიარის, მაგრამ აქ ფუხს ალარ შემოადგამს. თქვენ შეგიძლიათ დასტოვოთ ბარი. ერთი სიტყვით, ისე მოიქეცით, როგორც გენებოთ. ჩვენ მივდიგარო. — უთხრა მატის მისის დოოს მეუღლემ.

ისინი წავიდნენ და მატის საშუალება მიეცა ზარალი დაედგინა. კარგა მაგრად იყო დაზარალებული. მისტერ დოოს დანაპირები ვერაფერში დაეხმარებოდა. ანგარიში დახია და აბჯობინა რუპორიანი მანქანით მოსიარული პოლიციელთათვის დაეცადა. ისინი ხომ უსათუოდ გაჩნდებოდნენ შემთხვევის ადგილზე. მართლაც ასე მოხდა.

— ფრიად ვწუხვარ. რი ჩავკეტეთ. უფროსი ან სხვა ვინმე აუცილებად შემოგვლის ხვალ დილით, — უთხრა ლორენსმა, როცა პოლიციელები გამოცხადდნენ.

მეორე დღეს უფროსის მაგივრად მატის ფრედერიკი მოეკლინა.

— გაზეთებთან ანგარიში გასწორებულია. ეს ჩვენი საქმეა. როგორ გგონია რა დაჯდება ყოველივე? გარდა ამისა, რას იტყვი ჯონი დოოსა და მისი მეუღლის შესახებ, — შეეკითხა იგი.

— ჯონი დიო ხელფასს ქალაქის ხარჯზე იღებს. ის ვაჩუმდება. მორლის კი ქალაქის საქველმოქმედო ფონდიდან ვაძლევთ, — დაუმატა მან.

— ო`კეი. თუ ვინმე ზარალს ამინაზღაურებს, მე სრულიადაც არა ვარ მოწადინებული აუობუური ავტეხო. ასსამოცდათხუთმეტი დოლარი მოლიანად დაფარავს დანაკლისს.

— მაშ ანგარიში გასწორებულად ჩავთვალოთ.

— კეთილი, — თქვა მატიმ .

ერთმანეთს ხელი ჩამოართვეს. ამით ყველაფერს თითქოსდა ბოლო მოეღო, მაგრამ სულ მალე სანქმე სხვაგვარად შეტრიალდა.

მატის ცოტა უეცარად ეჩვენა, როცა ორი კვირის მანძილზე დუქანში აბონემენტების გამსაღებელი აგენტების ჭაჭანება გაწყდა. აბონემენტები პოლიციის დამხმარე ორგანიზაციას ეკუთვნოდა და მატი აწრიალებული იყო მათ მიერ. იხტიბარი მაინც არ გიატეხა. შემდეგ კი, როცა მის ქალიშვილს მიუთითეს, მანქანა მხოლოდ გარკვეულ ადგილს დაყენეო, მატიმ მაშინღა იგრძნო, რომ საქმე მთლად რიგზე ვერ იყო. ფრედერიკსს დაურეკა და საქმის მოწესრიგება სთხოო. ფრედერიკსმა უარი უქადა: მანქანის დასაყენებლად თვით მერმა ვამოყო ქუჩაო. ბოლოს მატიმ ისიც შენიშნა, რომ, ნაბეჭდი ბოთლი პოლიციელები გაურბოდნენ მასთან დაკავშირებულ პარაკეკას.

— „ისე მეკეკეიან, თითქოს მე წინასწარგანზრახვით შევევარდი პოლიციაში და ტყვიები დავაყარე თანამშრომლებს“ — უთხრა მატიმ ცოლს.

როცა ლუდით სავსე საბარგო მანქანა ბარის წინ გადმოტვირთა, ამაზე შარი მოსდეს. მან მიიღო ფუწკინი ის დადგენილების დარღვევისათვის, ქალაქმა რომ გამოიტანა ტრანსპორტის მოძრაობისათვის ხელის შეშლის თაობაზე. ეს იყო მატის წინააღმდეგ ჩადენილი პირველი ანგარიშვალდებულება აქტი.

ხუთი წლის მანძილზე, კვირაში სამჯერ, ასე ტვირთავდა მანქანასა და კონტენერ არავის დაუძარცვს, ანდა კი მოულოდნელად კანონის დარღვევად ჩაეთვალა. საბარგო მანქანები ლუდის ქარხნასა ეკუთვნის და პასუხიც იქ მოითხოვეთ, — განაცხადა მატიმ.

— დადგენილება ორივენაირად შეიძლება გაკეთდეს, — მოეგეს მას.

მატიმ ჯარიმა გადაიხადა. ლუდის ქარხნის საბითუმო საქონლის გამყიდველი ინსპექტა და ეს ამბავი მოუყვა. ამ უკანასკნელმა მხოლოდ მხრები აიჩეჩა. მაშინ მატიმ აგრძნობინა, რომ ლუდს აწი სხვისგან ყიდდა.

— მერე რა! სულაც არ ღირს მანქანის გაგზავნა და აკრძალულ ალაგას გადმოტვირთვა, — უპასუხა გამყიდველმა. ჩვენი ლურჯხალთიანი ბიჭები მზად არიან, ტყვია მოვაჭედონ, თუ ამის შემთხვევა მიეცემათ. რა უქენით ამისთანა?

მატიმ ფრედერიკსის ნახვა გადაწყვიტა. პოლიციის ენაყოფილებისაკენ გაემართა და კაბინეტში შევიდა. ფრედერიკსი ეიღაც მოხელეებს ესაუბრებოდა.

— რას გვიბძრანებთ, ოოლ, — ირონიულად მიმართა ფრედერიკსმა. მატიმ ეს იგრძნო, მაგრამ არაფერი შეიმჩნია.

— მინდოდა დამსწრეთა გარეშე მელაპარაკა თქვენთან.

— არა. არ შეიძლება. აქვე მითხარით, რა გნებავთ.

— მაშ კარგი. გადაწყვეტილ, ლეიტენანტო. პოლიციის დამხმარე ფონდს სანუკვარად 175 დოლარი გადავეცე.

— ეს რა ქრთამია? ხომ გაიგონეთ, მისტერ ჯორჯ. ვინაცობაა დამჭირდეს, თქვენ ამის მოწმე ბქნეთ.

— იწამეთ ღმერთი. რა ქრთამი, რის ქრთამი, — ძლივს ამოღერღა მატიმ. — მე კი თქვენ კინაღამ საქველმოქმედო ორგანიზაციის წევრად ჩაგთვალეთ. გადით აქედან!

მატიმ ქუდი დაიხურა და გავიდა.

შემდგომ შაბათს ბარში ყველა ჯარის სასმელი იშოვებოდა. ეს აკრძალული იყო კანონით, მაგრამ მატიმ იცოდა, რომ ბარი უკანასკნელად იყო ღია.

შენს საღიდებლად, საშობლოვ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

პოლიკარპე შეანგირაძე

კეთილი ნერგი

დიდი სურვილი მაქვს მე — მოხუც პედაგოგს — ვისაც ბევრი რამ უნახავს და განუცდია, განვლილი გზიდან ზოგი რამ მოვუთხრო ჩვენს ახალგაზრდობას. ამ საქმეს რომ ვკიდებდი ხელს, იმდენად ჩემი ცხოვრება არ მაინტერესებდა, რამდენადაც იმ განსაოცარი ცვლილებების ჩვენება, რაც ერთმა ქართულმა სოფელმა მეოცე საუკუნის გარიჟრაჟიდან დღემდე განიცადა და რისი მომსწრეც თავად მე გახლავართ.

ჩემი შშობლიური გეგუტება სხვა მხრივაც არის საყურადღებო; აქ თავის დროზე გაუვლია ცნობილ ფრანგ მწერალს ალექსანდრე დიუმას; უნახავს სოფლის განაპირა თვალუწვდენი ტყეები, გაუვალი შავი ტალახი და გუბისწყალზე, რომელიც, თუ შეიძლება ასე ითქვას, გეგუტების გარეუბანს წარმოადგენს, ღამეც გაუთენია. ყოველივე ეს ძალზე ცოცხლად არის აღწერილი მის „კაკვასიაში“. ვერ ვიტყვით, რომ ავდრითი და უგზოობით გაწამებულ მწერალს მაინცდამაინც სასიამოვნო შთაბეჭდილება წაუყვიბოდა აქედან, მაგრამ იმერულ თავაზიანობასა და მასპინძლობას უთუოდ არ დაუკლებდნენ: ალაგ-ალაგ ეს იგრძნობა კიდეც მის წიგნში. მოწონებით თუ რამე მოეწონებოდა, ისევ და ისევ იმერეთის თვისებები პეიზაჟი. სხვა საქმეა, ახლა რომ ნახოს რომელიმე უცხოელმა მოგზაურმა აქეთრობა!

1885 წელს, როცა მე დავბადებულვარ, გეგუტება ერთი პატარა, მივიწყებული და მიგდებული სოფელი ყოფილა; როგორც წესი, მოსახლეობა მიმოფანტული იყო ჭაობიან, მიუვალ ადგილებში, სადაც გლეხი ჭაპანწყვეტით ირჩენდა თავს.

ოჯახში ცხრამეტი სული ვიყავით. ამჟამად ღრმა მოხუცი ვარ და მიძნელდება ყველაფრის გახსენება; მაგრამ, ისიც ცნობილია: ადამიანს, უკეთ ახსოვს ის, რაც ახალგაზრდობაში უნახავს. ამდენად, შეიძლება ენდოთ მოხუცს და დარწმუნდეთ, რომ სრულიადაც არ ვეცდილობ ფაქტების შელამაზებას, მით უმეტეს, მალე საბჭოთა საქართველო დაბადების 50 წლისთავს იზეიმებს და მინდა ჩვენი რესპუბლიკის თანტოლებმა იცოდნენ, როგორ დაიწყო ახალი ცხოვრება.

ოთხმოცდაცხუთი წელი ადამიანისთვის ცოტა როდია...

ჩემი ცხოვრება ძირითადად ზუგდიდის რაიონის სოფლის სკოლებში (სადაც სულ რამდენიმე წელი დავყავი) და ჩემს შშობლიურ სოფელში გავატარე.

სოფლის მასწავლებელი მოვლენია შუაგულში ტრიალებს; ყველა წვრილმანი იცის. იმ დროს კი, როცა ჩემს თაობას მოუხდა მოღვაწეობის დაწყება, მასწავლებელი სოფლად არა მარტო აღმზრდელი იყო, არამედ გლეხობის დიდი იმედიც გახლდათ. ძველ დროს წარა-კითხვა სოფელში ერთმა ან ორმა თუ იცოდა. ამიტომ დიდი და პატარა ჩვენ მოგვმართავდა ათასგვარი თხოვნით და, ცხადია, თანაგრძნობას ელოდა. ჩვენც შეძლებისდაგვარად ვეხმარებოდით მათ.

შეძლებისდაგვარადო, იმიტომ ვამბობ, რომ მეფის ხელისუფლება და შემდეგ კი მეწმენეოთა უდღეური მთავრობაც ამრეზილად უყურებდა გლეხთა განცსადებებს, თხოვნებს და ზოგჯერ სამე იქამდეც კი მიდიოდა, რომ მამასახლისები კატეგორიულად გვიკრძალავდნენ გლეხებისთვის დახმარებას.

სანამ სკოლის კარებს შევალ ბედი, წინ მედო

საკმაოდ რთული გზა. შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ ჩემი მომავალი ასე სრულებთაც არ ჰქონდა წარმოდგენილი ჩვენნ დიდი ოჯახის არც ერთ წევრს.

შვიდ-რვა წლისას თოხი მეჭირა ხელში. ეს, რა თქმა უნდა, ბაბუაჩემის ბეკო შვანგირაძის წყალობით მოხდა. იგი ზრომისმოყვარეობით განთქმული გლეხი იყო და ამასვე გვინერგავდა ჩვენც.

ვისაუზმებდით თუ არა, ყანაში წაგვიყვანდა, გვასწავლიდა როგორ გვემუშავნა და თვითონ მყაცრად აფიქნებდა თვალყურს ჩვენს საქმიანობას. კარგი მუშაობისათვის შეგვაქებდა, ცუდისათვის — მიგვითითებდა და შეგვიწყრებდა. შესვენებითაც დროფლად შეგვასვენებდა. ბაბუამ ძალიან ბევრი და შინაარსიანი ზღაპარი იცოდა, დაგვსხამდა დიდი ხის ჩრდილში და დაიწყებდა მოყოლას.

შესვენების შემდეგ წაგვამუშავებდა და შუადღისას შინ წამოგვიყვანდა. აგრილდებოდა თუ არა, გაიხმობდა ბაბუას რიხიანი ხმა: — ახა, ბიუბი, სამუშაოზე! ჩვენც უყოყმანოდ ვასრულებდით მის ბრძანებას. ამ გლეხმა კაცმა ფულის ყადრიც იცოდა, — ყოველდღე, სამუშაოს დამთავრების შემდეგ, გვაძლევდა კაპიკებს. ჩვენი წასალსებისათვის კისეც საკმარისი იყო. თუმცა ეს ფული მშობლების სურვილის მიხედვით უნდა დაგვეხარჯა, ზოგნები უნდა შეგვეძინა.

ბაბუა ყველაზე მეტად იბრძოდა იმისათვის, რომ ჩვენ წერა-კითხვა გვესწავლა. სწორედ მან გაამეფდინა მამაჩემს და ბიძაჩემს სამი ბავშვი, მათ შორის მეც, ჩვენი ოჯახიდან სკოლაში წასულიყო.

სკოლაო, — ვამბობ, თორემ რა სკოლა იყო მაშინ წყალტუბოს ეროკლესიანი სასწავლებელი, რომელიც მომსახურეობას უწევდა ქვილაშორის, ჩენგლის, ხიმეთის, გეიშტიბის, პირველი წყალტუბოს, თვით წყალტუბოს, ოერნილის, ვუბისწყლის და ვუმპრის მოსახლეობას. ეს ცხრა სოფელი 18 კვ. კილომეტრზე იყო გაშლილი. ადვილი წარმოსადგენია, თუ როგორი პირობები იქნებოდა აქ ნორჩი თაობის სწავლა-აღზრდისათვის. ბევრი მშობელი იძულებული ხდებოდა გამოეყვანა შვილები სკოლიდან.

არც ჩვენ ვგვიდებოდა ამხანაგების ბედი, ბაბუას მისთვის ჩვეული სიმტკიცე და შეუპოვრობა რომ არ გამოეჩინა. ის შეგვპირდა ყოველგვარ დახმარებას, ოღონდ სწავლა გაგვგრძელებინა. 87 წლის მოხუცმა მონახა ბინა წყალტუბოში და დაიქირავა. ცხადია, ძალზე ხელმოკლედ ვიყავით, ზამთარში გაკვეთილებს ცეცხლის ალზე ვამზადებდით, ჭრაქი რაა, ისიც არ გვქონდა, მაგრამ მაინც ვსწავლობდით.

სკოლას სამი განყოფილება ჰქონდა. პირველი მასწავლებლებად დღემდე მახსოვს ლავრენტი ჩიმაკაძე, სოფრასდ კეთილი და გონგბანაბეული ადამიანი. იგი ზშირად ხვდებოდა მამაჩემს, რომელიც იმ დროს სასოფლო სასამართლოს ერთ-ერთი მსაჯული იყო და გულწრფელად ურჩევდა ჩვენთვის სწავლის გაგრძელების საშუალება მოეცა.

რჩევად გასჭრა, — მამაჩემი, როგორც იქნა, დათანხმდა და 1895 წელს მე ჩემს ძმა ნესტორთან და ბიძაშვილთან ერთად ქუთაისის ექვსკლასიან სასწავლებელში ჩავირიცხე.

ქუთაისის ექვსკლასიან სასწავლებელში ისეთივე რიგიანი იყო, როგორიც ყველა იმდროინდელ სკოლაში. სასტიკად იყრძალებოდა მშობლიური ენა, თვითეულო მოსწავლე რაღაც ჩაჰრეობში იყო ჩაკეტილი, მაგრამ დიდად გვეხმარებოდა ის, რომ სკოლაში სწავლობდნენ გლეხის შვილებიც. მარტო ჩვენნ ოჯახიდან სამი მოსწავლე, — ეს მეტად იშვიათი მოვლენა იყო იმ დროს. ამიტომაც ღარ გვიჭირდა ბაუშვებს მოგვენახა საერთო ენა, გვქონოდა სწავლისა და ცხოვრების ერთნაირი ინტერესები.

ასე გავიდა წლები. 1902 წ.ელს დავამთავრე სკოლა და გავიარე სამასწავლელო კურსები. კურსების დამთავრებამდე დავკარგე უფროსი ძმა ნესტორი, რომელიც სასწავლელის დასრულებისთანავე 1901 წელს გარდაეცვალა.

1902 წლის 1 სექტემბერს დამოუკიდებელი ცხოვრების საგზური მივიღე: დასაველეთ საქართველოს სახალხო • განათლების დირექტორის სემინარიის განკარგულებით დავინიშნე ზუგდიდის მაზრის სოფელ კოკის ორკლასიანი სკოლის მასამე მასწავლებლად.

ცოდვა გამეძღვნებული სჯობს, — ახლა ამისთვის საყვედურს ეკეე ვერავინ მეტყვის, — არც მინდოდა მუშაობის დაწყება, 17 წლის ასაკში ახალგაზრდა ბევრ რამეზე ოცნებობს; არც მე ვიყავი გამონაკლისი, ძალიან მინდოდა უმაღლეს სასწავლებელში ჩავრიცხულიყავი, მაგრამ ვისთვის უნდა მეთქვა ეს? საკრთველოში რომ ყოფილიყო თუნდაც ერთი უმაღლესი სასწავლებელი, კიდევ გავბედავდი თქმას, მაგრამ ვლეხისთვის რუსეთში სტუდენტის შენახვა ძნელი საქმე იყო.

სოფელ კოკის სკოლა ძალზე მოეწყობელი იყო. გვაწუხებდა საჩეკადენო ოთახებიც ნაკლებობა. უბინაოდ ვიყავი მეც. ჰირველ ხანებში მეშაობას სოფლის სამმართველოს კანტორაში შევუდექი. საკლასო ოთახი მამასახლისის კაბინეტის გვერდით იყო. ადრე თურმე ეჭ დამნაშავეებს ათავსებდნენ, ახლა კი იგი პატარებმა დაიკავეს. სამმართველოში მუდამ ხმაური იდგა, ხელ გვეშლებოდა, მაგრამ გამოცდილი მასწავლებლების — ზედამხედველ ლავრენტი გობეჩიასა და მეორე მასწავლებლის პეტრე ქობალიას კეთილი მხარდაჭერით ყოველგვარ

ნიჭნელეს ვძლევდი. მათვე ათმოქმედეს ხალხი და მაღე სოფელმა არსებული სკოლა სამი ოთახი მიუშენა.

სოფლის მოსახლეობა ყოველნაირად ზრუნავდა, რომ სკოლას წესიერი მუშობა შესძლებოდა. ყველფერრე მოსახლეობა ზრუნავდა, ხოლო თუ სკოლას რაიმე წარმატება ექნებოდა, მას მაშინვე ხელისუფლება მიიწერდა ხოლმე.

1905 წლის რევოლუციის დამარცხებამ და რეაქციის თარეშმა მოაშალა სახალხო განათლებაც. მასწავლებლობის მიტოვებას მაინც არ ვაპირებდი: მეგობრ ქვალოშნი შევიძლები დაწყებული სამმის გაგრძელებას, მაგრამ ამაოდ, — არც იქ ფიქრობდა ვინმე სკოლის ბედზე.

სხვა რა გზა იყო. დავეშვებოდი ჩემს საყვარელ სოფელსა და ხალხს, ჩემს პატარა მეგობრებს და ქეთიოსნში დავბრუნდი. მოვეწყეე მასწავლებლად და თან შევფდები მზადებას ინსტიტუტში შესასვლელად. 1907 წელს გავემგზავრე ქ. პეტროსბურში (ახლა მახაჩყალა) და ჩავაბარე მოსაღები გამოცდები საშუალო-უმაღლეს კლემენტინტურ სასწავლებელში. მაგრამ მხოლოდ პირველი კურსის დამთავრება შევძელი. მძიმე ავადმყოფობამ — ტრობიკულმა მალარიამ მაიძულა დამეტოვებინა პეტროსბური და გვეშტიბში დავბრუნებულიყავი.

1908 წელს გვიშტიბი ისეთივე გასაკოდავებელი დამხვდა, როგორც ექვსი წლის წინ დატოვეს. ვხედავ, ხალხი წელში წყდება, გინმეტოხვი არაგინაა. ზედმეტია ლაპარაკი სწავლა-განათლებაზე.

ყველაზე უკეთეს მიღწევად იმ დროს ერთკლასიანი სასწავლებლის გახსნა ჩაითვლებოდა, მაგრამ ფაქტია, რომ რეაქციონ ამას არ დათანხმდებოდა. არა და, სოფელს სულს უხუთავდა ფეოდალურობა.

ერთ საღამოს სოფლის ცენტრში შევიკრიბეთ. მეტად მწეველ დადგა სკოლის გახსნის საკითხი. შეკრებილთაგან ყველა ერთსულოვნად იწონებდა ჩემს წინადადებას და მხარდებოდა ყოველგვარ მხარდაჭერას.

სოფლმა დამიგალა წესესლიყავი ქეთიოსის გუბერნიის ეგრეთწოდებულ სახალხო განათლების ინსპექტორთან და მომეხსენებინა საქმის ვითარება, ამასთან, ფეტალურად გამეკვანა ხალხის ეალდებულება სკოლის გახსნისათვის.

ინსპექტორს, გვიარად სუდაოვს, ვეახელი და მოვახსენე, რომ მთელი ცხრა სოფლის ბავშვთა წყალტუბოს ერთკლასიან სასწავლებელში სწავლება ყოფილად მოუხერხებელი იყო და ვთხოვდი ნებართვას, გვიტბიბში ერთკლასიანი სასწავლელის გახსნაზე.

სუდაოვმა თითქოს მომისმინა, თუმცა მის მონოტონურ თავიქნევას კაცი ვერაფერს გაუგებდა: ბოლოს ინება და გამაცნო პირობები, რომლებიც სოფლის მოსახლეობას უნდა დაეკმაყოფილებინა. ამ პირობების მიხედვით სოფლის მოსახლეობას საკუთარი სახსრებით უნდა აეშენებინა სამოთახიანი ბინა სკოლისათვის, შეეძინა ინვენტარი, დაეკერინებინა დარაჯი, უზრუნველეყო მასწავლებელი გითმობა-განათლების საშუალებებითა და შემოერაგვა სკოლის ეზო.

მარტო გვიმტიბელებს არ შეეძლოთ ამ საქმეებთან დამკმაყოფილება, მაგრამ მე მიზნობელი სოფლების მხარდაჭერის იმედი მქონდა და ინსპექტორს ყველფერრე დავთანხმდი. საქმე ისე წავიდა, პირველ წელიწადს უხელფასოდ ვმუშაობდი, მაგრამ ამასაც შევეგიდეი.

ყველფერი მოგვიარდა, სათანადო ოქმიც გაფორმდა და იგი წარედგინა განათლების ინსპექტორს. რომელსაც უკან დასახვეი გზა აღარ ჰქონდა, იგი იძულებული გახდა დათანხმებულიყო, მხოლოდ მკაცრად გაგვაფრთხილა — სკოლამ თავად უნდა დაკმაყოფილოს ყველა მოთხოვნანი.

მშენებლობა დაიწყო, მაგრამ დრო რომ არ დაგვკარგოდა, ვიმჯობინეთ პირველად ცერცო ბინაში დაგვეწყო სწავლა. ასეც მოხდა, 1908 წლის 16 ოქტომბერს ფარნაოზ მიქაილის სახლში პირველი გაკვეთილი ჩავატარე. ამეიერიდან ჩემს სოფელს ჰქონდა სკოლა!

მას შემდეგ სამოცდაორი წელი გავიდა, მაგრამ ეს გაკვეთილი ახლაც ისე მახსოვს, თითქოს გუშინ ყოფილიყო. დღეს ადვილია ამაზე ლაპარაკი, მაგრამ ჩემთვის, იმ ადამიანისათვის, ვისაც წილად ხვდა დიდი ბედნიერება დაერეკა სწავლის დაწყების პირველი ზარი მშობლიურ სოფელში, ჩაეტარებინა პირველი გაკვეთილი, ეს არც ისე უბრალო მოგონებაა, — იგი დაკავშირებულია ჩემს ახალგაზრდობასთან, ჩემი ცხოვრების ყველაზე საუკეთესო წლებთან და ამიტომაა, რომ ამის გახსენება მოხდეს გულს მიჩქროლებს.

მაღელვებს ამის გახსენება და ამასთან მეამყავება, რომ ხალხი ენდო თავისი ლუკმით გაზზრდილ ახალგაზრდას, გაუგო მას და უთხრა: — აი სკოლა, აგერ ბავშვები, ისწავლე და ასწავლეო!

მადლობა ამ ხალხს სულგრძელობისათვის!

როგორც სკოლის გამგე-მასწავლებელს, მთელი ყურადღება სასკოლო ბინის მშენებლობისაკენ მქონდა მიქცეული. კიდეც უნდა მეს-წავლებინა და თანაც მშენებლობაზე მეზრუნა. მაგრამ მადლობა ღმერთს, ხალხს არ სჯიდებოდა ჩემი ზეხსენება, თვითონ იკისრეს, თვითონვე გააკეთეს ყველფერი: კიდეც დაარიქტეს, ანუ როგორც მაშინ იტყოდნენ, „დაპლანეს", კიდეც ააგეს და ინვენტარიც შეიძინეს შეძლებისდაგვარად: ფულის გაწერას, შეკრა-

პოლიკარპე ფვანგირაძე
ქეთილი ნერგი

ვებას და დანიშნულებისამებრ ხარჯვას მათი დაკანონებით მე ვიწარმოებდი.

1909 წლის გაზაფხულისათვის სკოლა უკვე შზად იყო და იგი დაათვალიერა ქუთაისის გუბერნიის სახალხო განათლების ინსპექტორმა სუდაკოვმა, რომელმაც ყოველმხრივ მოიწონა სკოლის შენობა და თავისი კმაყოფილება ეკლარ დამალა. ალბათ ამით იყო გამოწვეული ის, რომ ხალხს ალუფკეა, მომავალი სასწავლო წლიდან მასწავლებლის ხელფასს სახელმწიფო ხარჯებიდან გვიგებთო. ეს, ცხადია, ინანაც განაპირობა, რომ ინსპექტორი ნასიამოვნები დარჩა მოსწავლეთა მომზადებით.

მართალია, მასწავლებლების ხელფასს უკვე სახელმწიფო იხდიდა, მაგრამ მუშაობაც გართულდა, ერთდროულად სამგაზყოფილებიანი კლასის ხელმძღვანელობა მეტად მძიმე იყო, მაგრამ სხვა გზაც არ ჩქონდა, ეს ტვირთი უნდა ამეწია — ხალხის ნდობა ყოველმხრივ გამემართლებინა.

1917 წლის ოქტომბერში რუსეთში ხალხს ბედნიერება მოიტანა დიდმა ბელადმა ვლადიმერ ილიას-ძე ულენინმა, მან ხორცი შეასხა შრომელთა სოციალურობრივ ოცნებას ზავის, მიწისა და თავისუფლების შესახებ. ხალხი ქვეყნის ბატონ-პატრონი გახდა. საქართველოში კი არაფერი შეცვლილა — ხელისუფლებას ქართველი მეწუნეიკები დაეპატრონენ.

ქართველ მეწუნეიკთა ხელისუფლების ჭარიოდნი მთლიანად გაჩანაგდა ისედაც მოშლილი და გაპარტახებული სახალხო მეურნეობა. დიეცა ფულის კურსი, ბაზარზე გაპატონდნენ სპეკულანტები, მთავრობას არავითარი ავტორიტეტი არ გააჩნდა. მეწუნეიკების ხელისუფლებას დიდი ხნის სიცოცხლე არ ეწერა.

და აი, გათენდა 1921 წლის 25 თებერვალი, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დროშა აფრიალდა, მეთერთმეტე წითელი არმიის ნაწილებმა დროულად გამოუწოდეს დახმარების ხელი საქართველოს აჯანყებულ მოსახლეობას, რევოლუციამ გაიმარჯვა. მეწუნეიკები გაიქნენ. მალე შედგა წყალტუბოს თემის რევოლუციური მთავრობა კომუნისტ იოსებ შენგრაძის თავმჯდომარეობით, ხოლო მე, უპარტიო კაცი, კომბეტტის მდივნად ამირჩიეს.

ათი წლის განმავლობაში ვეწეოდი ერთკლასიანი სასწავლებლის გამგე-მასწავლებლის მძიმე ტვირთს. საქმეს ართულებდა ის გარემოება, რომ შაშნი მიდებული იყო სამგაზყოფილებიან კლასთან ერთდროულად 60-70 მოსწავლესთან მუშაობა. ცხადია, სწავლა-აღზრდის ასეთი წესის პირობებში ყოველთვის როდი შეიძლება სასურველი შედეგების მიღწევა.

მაგრამ დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება და გვიშტიბშიც იმავე წელს გიახლნა ოთხწლიანი შრომის სკოლა, რომლის პასუხისმგებელ მასწავლებლად (მაშინ იყო მასწავლებლებ ასეთი დაყოფა) მე დამნიშნეს. სკოლაში მოვიდნენ სუფეთესო პედაგოგები, შესაბამისად გაუმჯობესდა სწავლება, იმატა მოსწავლეთა რიცხვმა. სკოლის პედაგოგური კოლეკტივის მუშაობა სასალო ეახდა.

მასწავლებელი სოფლად დიდი ძალაა. ეს განსაკუთრებით საგრძნობი გახდა საბჭოთა ხელისუფლების წლებში, როცა სოფლებში თითო-ოროლა მასწავლებელი თუ მოიძებნებოდა. მაშინ ჩვენ ვასწავლიდით ბავშვებს, მოზრდილებს, ვესაუბრებოდით ხალხს იმ საახლეებზე, რაც საბჭოთა წყობილებას მოჰქონდა.

1928 წელს თბილისიდან დაბრუნდა გვიშტიბელი ლავრენტი შვანგირაძე, რომელიც შეუდგა კოლექტიური მეურნეობის სასარგებლო ავიტაციას გლეხობაში. არც ისე ადვილი იყო გლეხისათვის გაგვეგებინებინა მიწის დამუშავების კოლექტიური წესის სიკეთე, ეს მაშინ სრულიად ახალი ამბავი გახლდათ და გლეხობის ნაწილი ყოყმანობდა.

ლავრენტი შვანგირაძის გეგრდით დაედექით ჩვენც. გვიშტიბელი მასწავლებლები. მოსახლეობა დიდი ნდობით გვეკიდებოდა; სადაც არ უნდა ეყოფილიყავით, გლეხები ყველგან ერთსა და იგივეს გეეკითხებოდნენ — რა არის ეს კოლექტივი, რას მოგვცემს მიწის მუშებსო. ჩვენ ხელი ჯერ-ჯერობით არაფერი გვქონდა კონკრეტული, გარდა იმისა, რომ მივეთითებდით სამომხმარებლო კოოპერაციის მაგალითზე და შესაძლებლობის ფარგლებში ვაცლებდით საჭირო პარალელს..

დაძაბულმა მუშაობამ სასურველი ნაყოფი გამოიღო: ამავე წელს ჩვენს სოფელში შეიქმნა მიწის საზოგადოებრივი დამმუშავებელი ამხანაგობა, რომელსაც ზედგამოჭრილი სახელი „გლეხთა ძმობა“ შეეარქვით. ამხანაგობაში გერთიანდა 12 ახალგაზრდა და სამი დაოჯახებული გლეხი.

ამხანაგობას სათავეში ჰაუდგა ლავრენტი შვანგირაძე, რომელიც ხელმძღვანელობდა, ავრეთვე, მთელს ანგარიშწარმოებას. სახელმწიფო ყოველმხრივ ეხმარებოდა მიწის დამმუშავებელ ამხანაგობას, აძლევდა სესხს, ამარაგებდა სეტრსათ-ანაოვაგით, სათესლე მარცვლეულით.

1930 წელს „გლეხთა ძმობის“ ბაზაზე შეიქნა სასოფლო-სამეურნეო არტელი, რომლის თავმჯდომარედ ალექსანდრე კიკალიშვილი აირჩიეს, გამგეობის შემადგენლობაში მეც შემიყვანეს და თან კოლმეურნეობის მოანგარიშობა დამაკისრეს. სხვა ბჭა არ იყო, — სკოლაში მუშაობასთან ერთად ეს დავალებაც უნდა შემესრულებინა.

კოლმეურნეობაში მწვავედ დასცა საკითხი მეცხოველეობის ფერმის შექმნის თაობაზე. მოვიწვიეთ საერთო კრება და ხალხს წინადადება მივეცით გადმოეცათ მუშა და მეწველი

საქონელი, თორემ გვიშტები კარგად „გრძელტევრს“, რომელიც სოუკეთესო სამოვარს წარმოადგენდა.

თუ ჩვენ საკლმეურნეო ფერმა არ გვექნებოდა, საძოვარს არავინ დაგვიტოვებდა. ყველაფერი გულსხდილად ითქვა, მაგრამ მხარდამჭერი მაინც და მაინც არავინ ჩანდა.

საგონებელში ჩავარდა გამგეობა. სახელმწიფოსათვის სესხის თხოვნაც შეუძლებლად მივიჩნიეთ, არც საკუთარი სახსრები გაგვაჩნნდა. რა უნდა გვექნა? როცა ფერმის ჩამოყალიბება განვიზრახე, მის დაარსებას ეფიქრობდი ორი ღონისძიების გატარებით: პირველი, კოლწეურებიდან განსაზოგადოებული შერეული პირუტყვის მიღებით, მეორეც — პირადად აღიღები პასუხისმგებლობას და ძროხებს განვაღებით შევიძენი. როდესაც პირველი ღონისძიების გატარება შეუძლებელი გახდა, მივმართეთ მეორეს, — აქ უფრო მეტი შანსი მჭონდა და ეწინააღმდეგნელი გეგმის მიხედვით დავიწყე მოქმედება.

მეორე ღღესეკე ხონის (ახლანდელი წულუკიძე) ბაზარზე ეავდი და ჩემს ნაცნობ მეკობრებთან ნიადაგი მოვსინჯე. იმ ღღეს სამ ძროხაზეს ვთხოვე ნისიად მოეყიდათ ჩემთვის ძროხები და; თქვენ წარმოიდგინეთ, სამივემ თანხმობა განაცხადა.

დასაწყოს არა უშავდა. დაებრუნდი უკან და ახლა ჩემს სოფელში ვცადე ბედი. აქაც გამმარდა. კოლმეურნეობის თავმჯდომარეს და გამგეობის წევრებს ვეგიალნი საქმის ვითარება, ნებართვა ავიღე და თან ვითხოვე ფერმაში სამუშაოდ მოეცათ ორი კაცი, პაღლე იოსელიანი და კოლია ლაქეთაძე; მოვითხოვე აგრეთვე ბოსელი — ბინა ძროხებისათვის და საძოვარი „გრძელტევრში“.

გამგეობა დათანხმდა და ჩვენც საქმეს შეუდექეთ. ძროხები ეანეადებით მომყიდეს ალექსი შვანგრაძეს, ოქროპირ კუჭავამ, კოსტა ყურაშვილმა, ბაბილო კინწურაშვილმა, ერისტო ხეიჩიამ და ალექსანდრე ბახტაძეს; ს

ოცდაცამეტი წელიწადი ცოტა როდი მასწავლებლისათვის. მუშობის დაწყებიდან კი ეს დრო ისე გავიდა, არც კი შემიმჩნევია. დღეები, თვეები და წლები მაშინ გარბიან შეუმჩნეველად, როცა კაცს ბევრი საზრუნავი აქვს. სოფლის მასწავლებელს კი საქმეს რა გამოელევა.

ახლა, როცა ასეთი საუცხოო ეზო-გარემოს პატრონი გავხდით, უკვე შეგვეძლო გაბედულად გვეთქვა, რომ ჩვენთან არსებობდა ბაზა საშუალო სკოლის გახსნისათვის. არსებული სკოლის განკარგულებაში იყო ორი ჰექტარი ეზო, სადაც შენებლობის გაჩაღებაც შეიძლებოდა. საუკეთესოდ მოეწყობოდა საცდელი ნაკვეთი და სპორტული მოედანი.

"საბჭოეთის" არდადეგები ახლოვდებოდა. სკოლის დირექციის საშუალება ეძლეოდა ვამოდგების შემდეგ, არდადეგების დღეებში, უბრალო ამ საკითხის მოსაგვარებლად, მაგრამ 1941 წ. 22 ივნისს ჩვენს ქვეყანას მუხანათურად დაესხა თავს ფაშისტური გერმანია და ომმა შეაჩერა საბჭოთა ხალხის მშვიდობიანი აღმშენებლობათა მუშაობა.

ყველაფერი სამხედრო ყაიდაზე გადაკეთდა, სამშობლოს პატიჟელსაც დაძახილზე სოფლის რჩეული ვაჟკაცები ფრონტზე წავიდნენ. მძიმე პირობებმა მოსწავლეთა რიცხვიც შეამცირა: საყოფელურნო მინდერებსა და პლანტაციებში ქალები, ბავშვები და მოხუცები ასრულებდნენ იმ სამუშაოებს, რასაც ამ რამდენიმე დღის წინ მათი მამები, ძმები, შვილები და ქმრები ემსახურებოდნენ.

გაჭირდა ცხოვრება. ომმა თავისი მსხვერპლი მოითხოვა, აღარ იყო ქორწილები, წვეულებანი, სამაგიეროდ იმატა გლოვამ. მაშინდელი ჩვენი სოფელი მოხდენილად აქვს აღწერილი თავის „ეარსკვლავთცვენაში" ჩვენს თანამოფლელს, ცნობილ მწერალს ოტია იოსელიანს, რომელსაც რომაში გამოყვანილი ბევრი ბერი გვიმტკიცებს სინამდვილეში მონახა.

ომის წლებში ავადმყოფობაც შემომჩვია, თითქმის ქრონიკული ხასიათი მიიღო, მაგრამ ვის ეცალა მაშინ მკურნალობისათვის, დიდი და პატარა ერთი მიზანს ემსახურებოდა—ჩვენი თავდადებული შრომით ბოროტ მტერზე გამარჯვება მოგვეახლოებინა...

დიდი სამამული ომის დამთავრებისთანავე პენსიაში გავედი. ავადმყოფობა ხელს მიშლიდა ვაჟმეგობრებანა მუშაობა. ძალიან ძნელია მიატოვო შეჩვეული საქმე, მით უმეტეს, სკოლა. ბავშვები, მაგრამ რას ეიზამდი...

პენსიაში გასვლა ჩემთვის დასვენება როდი იყო. ბევრი საქმე გვქონდა კოლმეურნეობაში. თუ გამეკეთებინა შემადგენლობიდან გადამირჩენდნენ, სარეველობი კომისიის თავმჯდომარეობას მავალებდნენ, წლების მანძილზე ვიყავი კოლმეურნეობასთან არსებული ურთიერთდამხმარე სალაროს თავმჯდომარე-მოანგარიშე.

მაგრამ მე მქონდა ყოველდღიური ინფარქტი. შეეასრულებდი თუ არა ექიმის მითითებას, სკოლაში მიდდიოდი, ბავშვებს ეხვეოდი. დიდხანს ვიჩქმეტიდი ჩემს თანამოსაქმეებთან... ასე გადიოდა წლები. ერთხელ ჩემმა ამხანაგებმა დაწყებული საქმე შემახსენეს, საშუალო სკოლის გახსნას რომ ვფიქრობდით და ომმა რომ შეგვაწყვეტინა ეს კარგი საქმე.

მართლაც ქვეყანამ უკვე მოიშუშა ომით მიყენებული ჭრილობები, მასწავლებელთა კადრები გვყავს, მოსწავლეთა კონტიგენტი არის, მთავრობა მხარს დაგვიჭერს, მაშ მეტი რაა საჭირო? ასე ვფიქრობდი მე. მაგრამ ხალხს თანხმობაც აუცილებელი იყო.

ჩემი მოსაზრებანი სწორად გაიგეს როგორც გვიშტიბელებმა, ისე სოფელ წყალტუბოს მეორეუბნელებმა. ამის შემდეგ გიგეკედ და მივმართე ხელისუფლებას, რომელმაც დაკმაყოფილა ჩვენი თხოვნა და 1956 წელს გვიშტიბში გაიხსნა საშუალო სკოლა...

მეცადინეობა კვლავ ორ ცვლად მიმდინარეობდა, ვუფიანწყლისა და მეორე უბნის მოსწავლე ახალგაზრდობა 4-5 კილომეტრიდან მოდიოდა სკოლაში, შინ ღამით ბრუნდებოდა. ცხადია ასეთი მდგომარეობა აწუხებდა როგორც პედაგოგურ კოლექტივს, ასევე შობლებსაც. ისევ ჩავიცეი „ჟანინ ქალაშნები", ისევ დაეწერე თხოვნა მთავრობაში და დავესაბუთე საშუალო სკოლის ახალი შენობის აგების აუცილებლობა. რესპუბლიკის მთავრობამ ყურადღებით განიხილა ჩვენი განცხადება და 1965 წელს გვიშტიბში აშენდა თანამედროვე ტიპის ორსართულიანი კაპიტალური ნაგებობა; ამ საშვილიშვილო საქმისათვის სახელწოდებაც ხარჯები არ დაიშურა.

ახლა, როცა ვადარეკ ჩემი პედაგოგიური მოღვაწეობის დასაწყისსა და დასასრულს, განცვიფრებაში მოვყავარ იმ დიდ სახელმწიფოებრივ ზრუნვას, რასაც კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა იჩენენ სახალხო განათლებას განვითარებისადმი.

როგორც ვხედავთ, საქმე ის კი არ ყოფილა, რომ ერთმა პიროვნებამ შეწეროს თავი რომელიმე დიდ წამოწყებას. აქედან ბევრი არაფერი გამოვა. მთავარია, თვით ხელისუფლება ზრუნავდეს ხალხზე. მართლაც, გაიმარჯვა თუ არა სოციალისტურმა რევოლუციამ, მოგვიდა თუ არა სახალხო მთავრობა, ცხოვრების ყველა უბანს დაეტყო სიკეთე. ამის ნათელსაყოფად ქმარი თუნდაც მარტო ჩვენი სოფელი, სადაც მოკლე დროში უდიდესი ცვლილებები მოხდა.

ახლა გვიშტიბში ოთხ სკოლა, აქედან ერთი საშუალო, ერთი რეგიონალი და ორი დაწყებითი; გვყავს მასწავლებელთა ადგილობრივი კადრები. ჩვენი სოფლის სკოლებში ასწავლის 40-მდე ჩემი თანამოფლელი, ხოლო ბევრი მათგანი, ვინც გვიშტიბის სკოლებში აღიზარდა, ასწავლის რესპუბლიკის სხვა რაიონებში, მათ

ეროვნული ბიბლიოთეკა

შორის არიან პროფესორები, მეცნიერებათა კანდიდატები, გამოჩენილი სახელმწიფო და პარტიული მოშაკები, სახალხო მეურნეობის ამა თუ იმ დარგის მოწინავე ხელმძღვანელები, კოლმეურნეობის სახელგანთქმული ორგანიზატორები — სხვადასხვა პროფესიის ადამიანები: ექიმები, ეკონომისტები, აგრონომები, მწერლები, ინჟინრები და ბევრი სხვა.

მე, როგორც ძველ პედაგოგს, მეამაყება, რომ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს თვალსაჩინო მოღვაწემ ვასილი პავლეს ძე მეკანაძემ დაწყებითი განათლება სოფელ გვიშტიში, ჩვენს სკოლაში მიიღო.

პედაგოგიერ ფრონტზე ჩემი მოღვაწეობა დამთავრდა, მაგრამ საბჭოთა ხელისუფლებას ჩემთვის არ დაუკლია მზრუნველობა და ყურადღება. დამენიშნა პერსონალური პენსია და მომენიჭა საქართველოს სსრ სკოლის დამსახურებული მასწავლებლის სპატიო წოდება, დამაჯილდოვეს შრომის წითელი დროშის ორდენითა და მედლებით. ხოლო დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავთან დაკავშირებით, კოოპერაციაში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშობისათვის, აღვაღვირეს ბრონზის მედალი.

ეს ახარებს და სიცოცხლეს უხანგრძლივებს მოხუცს, რომელსაც მხოლოდ ისღა დარჩენია, რომ ბედნიერ შთამომავლობას უთხრას: კიდევ უფრო ახარეთ კეთილი ნერგი, იყავით მამათა ღირსეული მემკვიდრენი, მათი სახელოვანი ტრადიციების გამგრძელებლები ჭირსა და ლხინში, გიყვარდეთ შრომა და შრომის ადამიანები, ააშენეთ კომუნიზმი, კაცობრიობის ნათელი იმედი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლოდო ზურაბიშვილი

ოქროხელა

ქრისტეფორე, ჩვეულებრივ, დილაადრიან დგებოდა. წყრილშვიდაუნი მოქანცულ, უძილობით მოთენილ ცოლს ხშირად აკვანთან ჩამუხლულს ეძინა. ოჯახის უფროსი უხმოდ ჩაიცვამდა და ფრთხილად გაიხურავდა კარს, თან უკან გააპარებდა ხოლმე თვალს, ხომ არ გვიდვიძეო.

ტანდაბალ კაცს შუბლზეც ნათელი ეფინა. მისი სამდიდრე მოუღლელი მარჯვენა და ერთიმანეთზე მიყოლებული ბიეები იყო...

პირველი შვილი რომ შეეძინათ, ახალგაზრდა ცოლ-ქმარი ბევრს ფიქრობდა, რა დავარქვათო. მამამ მორიდებულად განდო ცოლს — „მარკლენიო".

დებოსაკენ მიმავალ, ფიქრში წასულ მუშას მუდამ ეს პატარა ამბავი ახსენდებოდა.

ნაძალადევში მეცხოვრები თითქმის ყოველი კაცი დეპოს მუშა იყო. უთენია ხვდებოდნენ ერთმანეთს, დილამშვიდობისას უსურვებდნენ და ბუკბუკით გაუყვებოდნენ გზას.

ქრისტეფორე საამქროში შესულისთანავე დაზგას და ჩარხებს შეათვალიერებდა, მერე გამოიცვლდა ტანსაცმელს და იწყებოდა ჩვეულებრივი დღე: დეტალების ჩარხვა-გაბრიალება, დაზუსტება, ნახაზთან შედარება. — ნახელავი რომ მოეწონებოდა, თაროზე შემოსდებდა და მორიგ ნაწილს უბრუნდებოდა ისევ.

სამეშაო საათები ქრისტეფორესათვის არ იყო განსაზღვრული, ის ყველაზე გვიან გამოდიოდა საამქროდან.

— შაბაშ, ქეთათოლაძე, შაბაშ! წავიდეთ! — გასძახებდნენ ლეკან, ზაქრო, გიგო და არჩილი.

— ეე, ბიეებო, ოჯახმა ვოგო-ბიეებმა იმრავლეს, ბევრი გვინდა. ბევრი, ი ძაღლის ლეკეები ვერ დამიძღია, ცოტა საქმე წინ წაიგდოს, შინ რაღა გვაკეთო, დამბალი ძმარი ხო არ მეგულება!

გვიან მობრუნებულ მამას ჩათქვირებული, მორგვის ნაპრებივით ჩამრგვალებული ბალღები შემოესეოდნენ, დაჯდომას არ აცლიდნენ, მუხლებზე ახოხდებოდნენ. დასვენების საშუალებას არ აძლევდნენ.

ზანი დროს იხელთებდა და სარეცხით სავსე ტაშტს მიუბრუნდებოდა, ცოტა ხანს გაართე შენს გახარებას, თორემ მთელ დღეს არ მომცეს გასაქანი.

მამა კი ბიეებს უყვებოდა ტყეელსა და მართალს, ამ მთისას და ამ ბარისას.

მარკლენი მაშინ რვა-ცხრა წლისა თუ იქნებოდა, მამას გიეტირა, დეპოში წამიყვანეო.

კარლომ (ასე ეძახდნენ შინაურები) ძლიერ გაიოცა მადალშერიანი საამქროები, ათასგვარი მანქანებითა და ჩარხ-დაზგებით სავსე ფართენი. მთელ დღეს მამას უყურებდა, როგორ მარდად მუშაობდნენ მისი დაოყოლილი ხელები. ბეთხუნა ბიეი არ ისვენებდა, საამქროდან საამქროში დაცუცუნებდა.

შინდაბრუნებულმა ბიემა, მეორე დღეს, თანატოლებს ერთი ამბით მოუყვა, დეპოში ესა ენახე და ისა ენახეო — გადარია ბიეებმა!

ამ დღის შემდეგ თვითონაც აიღებდა ხოლმე ქლიბს, გახსნა და ჩაქუჩს, იმოენიდა რკინის ნაეკერს, დაიწყებდა ქლიბვასა და კაკუნს. დაინახავდა ქრისტეფორე და იტყოდა, ეს ბიეი მალე ხელობას ჩამომართმევს, ნეტავ რამ შეაყვარა ამ ყანგიან რკინებთან თამაშია.

სკოლაში პირველი კლასიდანვე ისე კარგად ხატავდა კარლო, ისე ოსტატურად უსვამდა ფანქარს, მასწავლებელი გაოცებას ვერ მალავდა — ისეთი ხელი აქვს ქეთათოლაძეს, უთუოდ მხატვარი გამოვეო.

თოთხმეტ-ხუთმეტი წლის ბიეი მამას სახელოსნოშიც უკვე ცნობილი იყო. ათასგვარ სათამაშოებს ამზადებდა დამოუკიდებლად და უბნის თანატოლებს ახარებდა სუვენირებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საამქროში მუშები მხარზე ხელს უტყაპუნებდნენ ქრისტეფორეს:

— რა ბიჭი გყავს, კარლო, რა ბიჭი! თუ არ ჯაჭობოს, აღაფიფები გკეთდნენაო.

— მეც ეგ არ მენაღრებაო! ჩემ მტერს მისცეს ზარმაცი და უქნარა შვილი! — ღიმილით ჩაილაპარაკებდა გახარებული მამა.

კარლო ქუთათელაძემ ადრეე შეარჩია თავისი მომავლის გზა: თექვსმეტი წლისა თოძის სახელობის სამხატვრო სასწავლებელში შეეგდა. ხელადალიანსა და შრომისმოყვარეს რაღა დაუდგებოდა წინ — ზარჩინგნით დაამთავრა და ხალხური შემოქმედების სახლთან არსებულ სასწავლო-საწარმოო კომბინატში დაადგა თავის ცოდნას ოქროს გვირგვინი.

გიორგი ხანდამშვილმა მალე აუღო ალღო მოზარდის ბუნებრივ ნიჭსა და ოქროქმედოლობის რამდენიმე სახეობის საიდუმლოება გააცნო: ჭედვა, მინანქარი, ღრმად ამოკვეთა, სვეადა, გრეხილი, ცვარი — კარლოს დაკოფილი თითების მუდმივი საქმე გახდა.

1948 წელს ახალგაზრდამ ფერადი ლითონების დამუშავების ოსტატგრავიორის პროფესია მიიღო. სწავლის პერიოდში ზმირად ღებულობდა გამოფენებზე მონაწილეობას და ყურადღებასაც იპყრობდა. 1951 წელს მის მიერ დამზადებული ქართული სასმისები დღესაც ინახება ხალხური გამოყენებითი ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში. სწორედ იმ წელს გაიწერეს სამხედრო სავალდებულო სამსახურში. დროებით შეწყდა მისი დაწყებული ლამაზი ხელოვნება, ხოლო დაბრუნებისთანავე თბილისის არტელ „მხატვარში" ვერცხლის დამუშავების ოსტატად დაიწყო მუშაობა.

„მხატვარში" მუშაობისას კარლომ ბევრი საყურადღებო ნაბეჭდავარი შექმნა. მისი ქართული ჩექერთომა ყოველ გამოფენაზე იქცევდა განსაკუთრებულ ყურადღებას.

1959 წელს შორეულ კუბაში, ჰავანიდან თხუთმეტიოდ კილომეტრის დაშორებით — ფერმა ფინეა ვიჯიაში, სადაც ცხოვრობდა ე. ჰემინგუეი, სადაც დღესაც მისი სახლ-მუზეუში პიმლოთიკასა და ზოოლოგიურ მუზეუმს უფრო ჰგავს, — ინახება კარლო ქუთათელაძის მიერ გაკეთებული მოოქროვილ-მოვერცხლილი და ნაზად მოჩუქურთმებული ყანწი, იტერმის ამ სახელოვან მწერალს რომ უძღვნა.

1961 წელს კარლო სამხატვრო აკადემიაში გამოყენებითი ხელოვნების ფაკულტეტზე ჩირიცხეს, აკადემია 1965 წელს ფრიადზე დამთავრა და მხატვარ-კონსტრუქტორის სპეციალიტის წოდება მიიღო.

კარლოს ადარ აკმაყოფილებდა განვლილი გზა, მოინდომა სახელოსნოს შექმნა, სადაც მის ხელოვნებას სხვებიც გაიზიარებდნენ, მისი მარჯვენით მირონცხებული ნათლულები სამშობლოს ახალ მეკვიდრეობას მისცემდნენ. ძნელად, მაგრამ მაინც მიიღწია მიზნის და 1967 წელს იზეიმეს აკადემიასთან არსებული სახელოვნო-საწარმოო წამოწყებაში ვერცხლის ფილიგრანული ნაკეთობის სახელოსნოს გახსნა. 16 მოსწავლე გულმოდგინედ შეუდგა ამ ლამაზი ხელოვნების დაფლეთას.

ამ სახელოსნოში კარლომ თავი მოუყარა ძველ ხელოსნებს: ტელმან ციხისელსა და ზაალა ქორიოლიშვილს. ისინი საყეთილო გამოცდილებას უზიარებნენ ახალგაზდა ოქროქმედლებს: ძმებს ჯემალ, რობიზონ და ავთანდილ ქუთათელაძეებს, ანდრო ჭაბუკიანსა და ნინა თითილაყაშვილს...

ამაყობდა კარლო�sა და აკადემიის ხელმძღვანელობაც იმით, რომ ასეთი სახის სახელოსნო საბჭოთა კავშირში პირველია.

ძმები: კარლო, ჯემალი, რობიზონი და ავთანდილი არასოდეს დასტოვებენ ამ ლამაზსა და ჰარმონიით სავსე პროფესიას. სხვაც არა იყოს რა, მისი სათავე ხომ მამის სახელოსნოში ზენაწყლობით დაიწყო.

საქართველოს ბხატვართა კავშირისა და ბხატვართა ფონდის წევრი კარლო ქუთათელაძე მდიდარი მემკვიდრეობით ახარებს თანამემამულეებს. მისი ჭედური პორტრეტები ვ. ი. ლენინი, შ. რუსთაველი, ალშერ ნაკოო, ნ. ბარათაშვილი... ღვინის სასმისები, ლეკიორისა და კონიაკის სერიგნები, ყანწები, ბზარფეშები, ალლა ფრიაკ, ქალის სამკაულები — სამაჯურები, ბეჭდები, ყელსაბამები (გულქანდები), საყურეები, ეიმის სამკაულები, მოვერცხლილი, ქართული ორნამენტებით მოჩუქურთმებული წიგნები და მრავალი სხვა ნაწარმოები, რომლებიც 1948-69 წლებშია შესრულებული, ინახება საკავშირო და მსოფლიოს მრავალი ქვეყნის გამოფენებსა და ბაზრობებზე: ლაიპციგში, ვენაში, იზმირში, ნიუ-იორკში, ოსაკაში, პარიზში, ტოკიოში... ქართული ჩექერთმისა და ოქროქმედლობის ღირსება ხელოვანმა მთელს მსოფლიოს გააცნო და ყურადღების ცენტრში მოაქცია. ოქროქმედლობა ხალხური შემოქმედებითი საქმიანობიდან პროფესიულ დონეზე აიყვანა და მტკიცე ნიადაგი მოუმზადა თანამედროვე ჭედური ხელოვნების ოსტატებს.

საოქროქმედლო დარგში მისი წარმატება განპირობა ბუნებრივმა ნიჭმა, მამის სახელოსნოში ჩხრიკედელოობამ. მუზეუმებში საოქროქმედლო ნაბეჭდავრების გაცნობამ, სისტემატურმა, დაეინტერესა შრომამ და იმასაც, რომ მან საქართველოში ოქროქმედლობის აღდგენა-განვითარება ეროვნულ საქმედ მიიჩნია.

კარლოს მუდმივი კონსულტანტები იყვნენ ხელოვნების ღვაწლმოსილი ქურუმები — ლადო გუდიაშვილი და პროფესორი დავით ციცაშვილი.

დოდო ზურაბიშვილი
ოქროხელა

ეროვნული ბიბლიოთეკა

1969 წელს საბჭოეთიფო მუზეუმში მოეწყო მისი ნამუშევრების პერსონალური გამოფენა. შთაბეჭდილებათა წიგნში გაჩნდა მრავალი სანტერესო ჩანაწერი:

„მეგონა, ძველი ოქრომჭედლობა გაჭყვა წლებს და დღეისათვის არა შეგვრჩა რა. ხშირად მოიცნებია, კელავ აღდგენილიყო იგი. ოცნება სინამდვილედ იქცა, როდესაც მ. ქუთათელაძის ნამუშევარი ვნახე“... ნ. კეკხოველი.

„ის, რაც აქ ვნახე, უდადეს კმაყოფილებას და ესთეტიკურ სიამოვნებას იწვევს... კიდევ უფრო ამაღელვებელი ის არის, რომ ეს შესანიშნავი ნახელობა, ქართული, დიდებული ოქრომჭედლური, ერთდროს თითქმის დაკარგული, უბადლო ტრადიციების აღდგენაა... ვ. კუბრავე.

საქართველოში კარლო ქუთათელაძე ჯერჯერობით ერთადერთი პიროვნებაა, რომელიც ფერადი ლითონების მხატვრულად დამუშავების და ტექნიკური პროცესების ღრმა ცოდნით გამოირჩევა და ბადალი არა ჰყავს. იგი ყველა წესს ხმარობს: გრეხილი, მოსეევდება, ზარნიში, გავარსი, ამოკვეთა და ღრმად ამოღება, ბუთულის წვრილმარცვლოვანი ცვრით შემკობა და სხვა.

ოცი წლის განმავლობაში 300-მდე ნამუშევარი შექმნა, მისი ორნამენტები ზედმიწევნით ქართულია, კომპოზიციურად ორიგინალური, აქვს საკუთარი ხელწერა. ორნამენტების კომპოზიციური ხასიათი და ავებულება, ბექა და ბეშქენ ოპიზარების ნამუშევრებზე დამოკიდებით, გადმოტანილია თანამედროვეობის სტილში.

ამ ოქროხელა ადამიანმა ორნამენტულ ქართულ ასოთა მთელი პარმონია შეექმნა.

მისი შემოქმედება ლამაზ პოეზიად იქცა.

აი, რას ამბობს შალვა ამირანაშვილი: „მარკლენ (კარლო) ქუთათელაძის შემოქმედება თავისი იდეური შინაარსითა და მხატვრული ოსტატობით წარმოადგენს თვალსაჩინო მოვლენას თანამედროვე ქართული ჭედური ხელოვნების განვითარების დარგში“...

1970 წლის ზაფხულში მოსკოვში მოწყობილ პერსონალურ გამოფენას ბევრი დამოვალიერებელი ჰყავდა. წიგნები ივსებოდა შთაბეჭდილებებით. ხოლო იქიდან კი უცხოეთში მოეწვევა მოგზაურობა ქართული ხელოვნების ამ ძვირფას საგანძურს.

ოთხი ძმა ქუთათელაძეები დიდი სასიხარულო ტრადიციების გამგრძელებლებად ითვლებიან. კარლოს, ოთხი შვილი: ნინო, გია, ხათუნა და კობა ჯერ პატარა არიან, მაგრამ ვნახოთ, იქნებ ისინიც წაიდნენ მამის კვალზე! თემეცა ამაზე ლაპარაკი და ფიქრი ჯერჯერობით ნაადრევია...

უკეთესი სიტყვის მოძებნა გაგვეჭირდა და ამ წერილს სიმონ ყაუხჩიშვილის სიტყვებით ვამთავრებთ:

„გაუმარჯოს იმ ხელს, რომელსაც შეუძლია ასეთი სიამოვნება აგრძნობინოს მნახველს“...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისეთანუკელი პოროტრეტი

ვახტანგ ჯელიძე

მეგობრების პორტრეტები

გიორგი შატბერაშვილი

როცა ჩვენგან წასულ ახლობელ ადამიანს გავიხსენებთ, კინოლენტივით გაირბენს ხოლმე თვალწინ ცალკეული ეპიზოდები თუ სურათები მისი ცხოვრებიდან. პირველად ის სურათი გამოიკვეთება ჩვენს მეხსიერებაში, რაც ყველაზე უფრო დამახასიათებელი იყო მისი ბუნებისათვის.

გიორგი შატბერაშვილს რომ გავიხსენებ, პირველად იგი ახალგაზრდების წრეში წარმომიდგება — ან უსმენს იმათ, ან თვითონ ელაპარაკება, ან ქეჩაში მიდის მათთან ერთად, ან ერთ სუფრას უსხედან, და გიორგიც, როგორც ტოლი ტოლებთან, მათთან ერთად ხუმრობს, იცინის, ილხენს. მისი თაობის ქართველ მწერალთაგან ბევრს ვერ დაასახელებ ისეთს, გიორგი შატბერაშვილივით უშუალო და წრფელი დამოკიდებულება ჰქონოდეს ახალგაზრდობასთან. ეს არ იყო არც სამსახურებრივი ვალის მოხდა, არც წინასწარ გამიზნული ნაბიჯი რაიმე „კაპიტალის დასაგროვებლად", არც ანგარებიანი ურთიერთობა. ეს არა ჰგავდა არც ბედადგოგის ურთიერთობას თავის მოწაფეებთან, როცა, რაგნენ იდეალური სიახლოვე იყოს, ზღვარი მაინც მოუშლელია ხოლმე მოწაფესა და მასწავლებელს შორის. არა, განა იმას ვამბობ. გიორგი შატბერაშვილის მიმართ მუდამ მოკრძალებასა და პატივისცემას იჩენდა ყველა თაობის ახალგაზრდა; მაშინაც, როცა ეს ახალგაზრდა მწერლობის კარს აღებდა და მერეც, დიდი მწერლობის გზაზე დადგომის შემდეგაც, როცა უკვე აღარაფრით იყო დამოკიდებული თავის მასწავლებელზე. მაგრამ ეს პატივისცემა ტოლის პატივისცემა იყო ტოლის მიმართ და სხვა არაფერი. ამიტომაც იყო, რომ გიორგი შატბერაშვილს, როგორც სულიერ მამას, ყველაფერს გაანდობდნენ ხოლმე, თავიანთი პირადი ცხოვრების ზოგიერთ საიდუმლოსაც. და გიორგი შატბერაშვილიც გულწრფელი თანაგრძნობით იზიარებდა მათ სიხარულსა თუ გულისტკივილს. მოწაფის წარმატებით ისევე გიახარებდა, როგორც თავისივე ტოლი მეგობრის წარმატებით. ამასთან, წყენა და გაბრაზებაც ისევე შეეძლო, როგორც თავისივე ტოლისაგან ეწყინება კაცს რამე. იყო ხოლმე ასეთი მომენტებიც, წყენისა და გაბრაზების მომენტებიც. მაგრამ, როგორც ჭეშმარიტად პატიოსან კაცს შეშვენის, გულში ჩახვევეა არაფერს არ იცოდა. მალევე დაავიწყდებოდა.

ასეთი უშუალო ურთიერთობით უნდა აიხსნას მომდევნო თაობათა ახალგაზრდა მწერლების სიყვარული გიორგი შატბერაშვილის მიმართ.

დამწყებ მწერლებთან ასეთი ურთიერთობა და, საერთოდ, ახალგაზრდების სიყვარული იქიდან კი არ მომდინარეობს, რომ გიორგი შატბერაშვილი მრავალი წლის განმავლობაში საქართველოს მწერალთა კავშირის ახალგაზრდობის სექციას ხელმძღვანელობდა და, ამდენად, სამსახურებრივად იყო დაკავშირებული მათთან. არა. პირიქით. უფრო მართალი ისინები თუ ვიტყვით, რომ სწორედ ახალგაზრდობის განსაკუთრებული სიყვარულის გამო

მიიწევდეს იგი მწერალთა კავშირში. ამითვე უნდა ახსნილს, რომ ახალგაზრდობის სალიტერატურო ტურნალის დაარსებისთანავე მან ხალისით მიიღო მოწვევა და ჯერ „ცისკრის" პროზის განყოფილებას ჰაუდგა სათავეში, მერე კი — პოეზიისას.

ძნელია, ერთ წერილში მრავალმხრივ დაახასიათო ჩვენგან ნაადრევად წასული მწერალი და მეგობარი. მისი შემოქმედების ერთ კუთხეს ხმენდა შეეეხო. თუმცა ეს მხოლოდ შემოქმედება როდი იყო მისთვის, ეს იყო მისი სიცოცხლე, არსებობის მთავარი აზრი. მე მინდა გავიხსენო გიორგი შატბერაშვილის დამოკიდებულება ენის მიმართ. ძნელი წარმოსადგენია ადამიანი ისეთი ალერსითა და მოწიწებით ეპყრობოდეს თავის უსაყვარესს არსებას, რა ალერსითა და მოწიწებითაც გიორგი შატბერაშვილი ქართულ ენას ეპყრობოდა. მე ვფიქრობ, ეს არის ყველაზე მთავარი რამ, რაც ჩვენმა ახალგაზრდობამ მისგან უნდა ისწავლონ. იგი ათასნაირად შემოწმებდა ხოლმე სიტყვას, ათასი კუთხიდან შეხედავდა და, როცა დარწმუნდებოდა, თავის ადგილზე ზისო, მხოლოდ მაშინ მოისვენებდა. ცნობილია, რომ ქართული სალიტერატურო ენა უმთავრესად ქართლურ დიალექტს ეყრდნობა. გიორგი შატბერაშვილი წარმოშობით ქართლის გულიდან იყო. ზოგმა იქნებ ამითი ახსნას შატბერაშვილის კარგი ქართული. ეს სერიოზული საკითხია და საჭიროა ამაზეც ითქვას რამე. ზოგს მართლაც ჰგონია, რომ თუკი მწერალი ქართლის ან კახეთის რომელიმე სოფლიდან არის, მორჩა, მისი ენა უზადოა, მდიდარი და ყველასათვის სანიმუშო. ეს რომ ისე არ არის, მრავალი კონკრეტული მაგალითითაც შეგვიძლია დავამტკიცოთ. გარკვეული მნიშვნელობა მართლაც აქვს ამ ფაქტორს, იქნებ დიდი მნიშვნელობაც, მაგრამ არა გადამწყვეტი. გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ადამიანის შინაგან სმენას, ენის განსაკუთრებულად შეგრძნების უნარს. იმის უნარს, რომ იმ ფრაზეს ბგერებში, რაც ჩვენ განუწყვეტლივ გვესმის და რისგანაც სიტყვები შედგება, სწორედ შესაფერი ბგერა შეარჩიო. იმის უნარს, რომ დუმილის დროსაც, როცა ადამიანი წერს და ბგერები თითქოს არ ესმის, შინაგანი სმენით მაინც ჩაესმოდეს მათი ყოვლადობა. გიორგი შატბერაშვილს ბუნებით ჰქონდა მიმადლებული ასეთი შინაგანი სმენა და ენის განსაკუთრებული გრძნობა.

მაგრამ მარტო შინაგან სმენასა და გამახვილებულ ინტუიციას როდი ეყრდნობოდა იგი. გამუდმებით მუშაობდა, გამუდმებით სწავლობდა ქართულ ენას. ათასნაირი უბის წიგნაკი ჰქონდა. გულმოდგინედ წერდა ხოლმე ცოცხალ სამეტყველო ენაში დავიწყების ზღვარზე მისულ სიტყვებსა და გამოთქმებს, ადარებდა, აჯერებდა, ამოწმებდა. დედის პატივისცემით, — რომელიც მას ქართული ენის ბრწყინვალე მეცოდინე მიაჩნდა და რომელსაც ეკუთვნ[illegible] მანიდ ენდობოდა ხოლმე, — ამ ფშვინთი სიტყვების კონას ვიდადერი ლექსიკონი უწოდა (თვალად მისი სოფელია, ქართლის გულში მდებარეობს, ავეთისხეთან ახლოს). რაც უფრო მეტს აგროვებდა ასეთ სიტყვებსა და გამოთქმებს, მით უფრო და უფრო გაკვირვებული იყო, ალტაკეცს ვერ მალავდა, ეს რა ამოუწურავი ზღვა არისო, იტყოდა. ბოლო წლებში, ხშირად ნახავდი თვდო სახოკიასთან. თავის ჩანაწერებს უჩვენებდა, ჰკითხავდა ხოლმე, სადმე ხომ არ შეხვედრიხარ ასეთ სიტყვას ან გამოთქმასო. ოთხმოც წელს გადაცილებული თვდო სახოკია ყმაწვილური ენერგიით მუშაობდა ქართულ ლექსიკონზე, რისი გამოცემაც მან ვერ მოასწარო (გამოსცა მხოლოდ ხატოვანი გამოთქმები). უნდა გენახაო, მთაწმინდის ძირში, თვდო სახოკიას პინასზე, ავუზავუზებულ ღუმელთან, როგორ მიიდგამდნენ პატარა მაგიდას, იქით თვდო გადმოაბავდა თავის ჩანაწერებს, აქეთ გიორგი გაწლილდა უბის წიგნაკს... და ადარებდნენ, სინჯავდნენ, თვალები გაუფარფოფდებოდათ, სახეზე მალიმალ აღტაკეცებია და სიამაყის ღიმილი გადაეფინებოდათ. სიცოცხლის ბოლო დღემდე დაუზარლად მოფუსფუსე თვდო ხშირ-ხშირად წამოდგებოდა, მოხუცი ადამიანის მოკლე, ჩქარებული ნაბიჯით მივიდოდა კარადასთან, რომელიმე წიგნს გადმოიღებდა, მერე კუთხეში მიყრილ შშმას მიუბრუნებდიდა, ცეცხლს შეუკეთებდა და ისევ მიუჯდებოდა მაგიდას...

შინაგანი სმენისა და ასეთი სერიოზული მუშაობის შედეგია შატბერაშვილის სამწერლო ენის განსაკუთრებული კოლორიტი და მომხიბლაობა.

ზემოთ გაკვრით ითქვა — მანამ არ მოისეენებდა გიორგი შატბერაშვილი, ვიდრე არ დარწმუნდებოდა, სიტყვა თავის ადგილზე ზისო. მინდა ამ საკითხს დავუბრუნდე. არიან მწერლები, რომლებთაც ენის დიდ მეცოდეენ მოაქვთ თავი და სხვებსაც ასე მიაჩნიათ. ზოგი მთგანის ლექსიკა მართლაც მდიდარია, ისინი უხვად იყენებენ უკვე დავიწყებას მიცემულ სიტყვებსა და გამოთქმებს, მთ მოთხრობებსა თუ ლექსებში საკაკლებიეთ ბრწყინვავენ იდიომები, ელვარებენ, თვალსა გვბრიან, თითქოს ყვირიან — ერთი შემხედეთ, რა ბიჭი ვარო. ზოგი ნაწარმოები დახუნძლულია ხოლმე ასეთი „სამკაულებით". დაკვირვებული მკითხველი მაშინვე მიხვდება, რომ ამ ნაწარმოებების ავტორებს თვითონვე უკვირთ და ეაშაყებათ, ეს რა მოვახერხეთო. დასაძრახი აკ, რა თქმა უნდა, არაფერია. ქართულ ცოცხალ მეტყველებას უსათუოდ უნდა დაუბრუნდეს მრავალი უსამართლოდ დაკარგული სიტყვა და გამოთქმა. მაგრამ მხატვრული ნაწარმოები ლე-

ქსაკონი ხომ არ არის, რომ ყველაფერი ერთბაშად აიღო და ჩაყარო. როცა მხატვრული ნაწარმოების ენას განეიხილავთ, მწერლის დამსახურებას **აღსანიშნავად იმის თვლას კი აბ** უნდა მოვჰყევთ, რამდენი „დაკარგული“ სიტყვა „გაიცოცხლა“, ან რამდენი იდიომი გამოიყენონო. მხატვრულ ნაწარმოებში მთავარი ის არის სიტყვა ან გამოთქმა თავის ადგილს იყოს, ისე რომ მკითხველი ვერც კი გრძნობდეს ამ სიტყვის არსებობას. კითხვის დროს ხელს არ უშლიდეს ცალეული სიტყვა თუ გამოთქმა, მარკვევდ და ზედმიწევნით სისწორით გადმოსცემდეს აზრს, სათანადო განწყობილებას უქმნიდეს მკითხველს. მოხდენილი გამოთქმა აქვთ ინგალისელებს — right word ე. ი. **შესაფერი** სიტყვა, მართალი სიტყვა, სწორედ ის სიტყვა, რომელიც აქ უნდა ყოფილიყო გამოყენებული და არა სხვა რომელმე. **სიტყვა, ან იდიომიერი** გამოთქმა ნაწარმოებში მეტი-ჩარა მაყარივით არ უნდა ყეიროდეს — ერთი ჩემკენ მოიხედეთო.

თავს ნებას მივცემ ერთი პატარა მაგალითი მოვიტანო. უსამართლოდ დაიკარგა, თუ დავიწყებას მიეცა სიტყვა „შუგეფსი“. „კეირა“ — „კეირადღესაც გამოხატავს და დროის შვიდდღიან მონაკვეთსაც («неделя»). „შუგეფსი“ კი მხოლოდ დროის ამ მონაკვეთის გამომხატველია. **ამიტომ** სასურველი იყო შემორჩენოდა ცოცხალ მეტყველებს. ზოგჯერ იძულებული ვხდებით აზრის ნათლად გამოსახატავად „კეირა-დღე“ ვიხმაროთ (ნაცვლად „კეირისა“), რომ მკითხველი არ დაიბნეს და უცვლ დროის შვიდდღიანი მონაკვეთი არ იგულისხმოს. ამ სიტყვის დაბრუნება ცოცხალ მეტყველებაში უსათუოდ სასურველი და საჭიროა. ღმერთმა ქნას, მართლაც დაბრუნდეს. მაგრამ, მანამ დაბრუნებამდეს, უსათუოდ იყეირეს მხატვრულ ნაწარმოებში, ამოკარდეს, თავის ადგილზე არ იქნება. თუ, რა თქმა უნდა, განგებ არ გამოიყენებს ამას ავტორი, ან გმირის ხასიათებისათვის, ან რაიმე განსაკუთრებული განწყობილების შესაჩენლად. ჩვეულებრივ სიტყვიაში კი ამეამად არ შეიძლება დავწეროთ „ორი მსგავსი გავიდა მის შემდეგო“, უნდა უსათუოდ ვთქვათ — ორი კეირა გავიდა მის შემდეგ... ეკითხეს ალეან ხოლმე თქმა, ეულის სიჯანრი თელე ის არის, როცა სულაც ვერა გრძნობ გულსო. თუ სიკაბეგბიდ ამ თვალსაზრისით არ განიხილავ, ენას ვერ უნდა გრძნობდე მხატვრული ნაწარმოების კითხვის დროს, ვერც მის ელვარებას და ვერც მის ჩიქორთულობას. ამიტომაც არის, რომ ყველა გენიალური ნაწარმოები ისეა დაწერილი, გულუბრყვილო მკითხველს მოეჩვენება, ამის დაწერას მეც ადვილად შოეძრებენდიო. ასეა დაწერილი „ეფეხისტყაოსანი“, ასეა დაწერილი თითქმის ყველა გენიალური ქმნილება. აქაც მახვილი ინტუიცია და **ყნოსვაა** საჭირო და გიორგი შატბერაშვილს ბუნებით ჰქონდა მიმადლებული ენის ასეთი შეგრძნება. მის მოთხრობებსა თუ ლექსებში სიტყვა არ ყეიროს, არ ელვარებს, ამოვარდნილი არ არის, თავის ადგილზე ზის, ხელს არ გიშლის, როცა კითხულობ. გიორგი შატბერაშვილი სამკაულებით არ ხუნძლავს ნაწარმოებებს, მდიდრულად, მაგრამ უგემოვნოდ ჩაცმეული კეკლუცი ქალივით.

თითქმის ყველა ეპარში გამოსცადა კალამი გიორგი შატბერაშვილმა. ჯერ კიდევ ყმაწვილი იყო, როცა მისი პიესით დაინტერესდა სანდრო ახმეტელი და დადგა კიდევ რუსთაველის თეატრის სცენაზე. ეს იყო ოცდაათიანი წლების დასაწყისში, მაშინ ოცი წლისა თუ იქნებოდა ახალგაზრდა მწერალი. მე პირადად მაშინ არ ვიცნობდი მას, უფრო მოგვიანებით გავიცანი, ოცდაათიანი წლების დასასრულს. ის პიესა კი მინახავს რუსთაველის თეატრის სცენაზე. მედამ სიყვარულით გიახლებდა ხოლმე სანდრო ახმეტელს, მასთან შეხვედრებს, მის შეხედულებებს ლიტერატურის ცალეულ საკითხებზე. კეთილად, დიდ რეჟისორს სანტტერესო მოსაზრება ჰქონია ბარათაშვილის „მერანზე“, ლექსის დაწერის უშუალო საბაბსაც თავისებურად ხსნდა და ასაბუთებდა თურმე. ალბათ, თავის დღიურებში ესეც ექნება მწერალს ჩაწერილი. ეს სანტტერესო იქნება რეჟისორის მსოფლმხედველობისა და მისი ლიტერატურული შეხედულებების გასარკვევადაც.

იმ პირველი პიესის დადგმის შემდეგ („დეშშანი“ ერქვა პიესას) კარგა ხანი გავიდა — თითქმის მთელი თხუთმეტი წელი — და ომის წლებში ჩვენი დიდი ოჯარების სცენაზე ზედიზედ დაიდგა შატბერაშვილის კიდევ რამდენიმე პიესა. ამ დროს ჩვენ უკვე დაანლოებულები ვიყავით ერთმანეთთან, გულითადი მეგობრობა და სიყვარული ვკავშირებდა და მე შემეძლო გულახდილად მეთქვა ჩემი შეხედულებანი. ჩემი მოსაზრება კი ისეთი იყო, რომ გიორგი ეანრობრივად ძალიან იფანტებოდა. ზემოთაც ითქვა, თითქმის ყველა ეპარში სცადა ბედი. ლექსებისა და მოთხრობების გარდა, რაც მისი შემოქმედების ძირითად ხაზს წარმოადგენს, გიორგი შატბერაშვილს დარჩა პიესები, პუბლიცისტური და კრიტიკული წერილები, წმინდა მეცნიერული გამოკვლევები, ლექსიკონი. ბავშვებისათვისაც ბევრსა წერდა — მოთხრობებს, ლექსებს, პიესებს... ჩემი აზრით, გიორგის ძირითადი მოწოდება **პროზა** იყო და ვფიქრობ მოთხრობები ეწერა, რომანი დაეწყო, რომელიც მის კარგა ხანია ჩაფიქრებული ჰქონდა. პიესებზე დროს ნე კარგავ-მეთქი, მოურიგებლად ვეუბნებოდი. და ჩემგან მართლაც არა სწყენდა. თუმცა ამისთანა რამეზე წყენა

ვასტანგ ფალიაშვილი
მეგობრებიის პორტრეტები

იყოდა ხოლმე და სხვებისგან სწყინდა კიდეც ივგეი მოსაზრება, თუნდაც უფრო მოიარეთით გამოთქმული. ამიტომ სხვები ერიდებოდნენ, მე კი არ ვეშვებოდი, მუდამ ამას ჩაჭიჩინებდი. ვიიცინებდა, ერთ კრიტიკოსს გიახსენებდა და მეტყოდა — რა იმასავით ჩამაცოდინო. როცა „ცისკარში“ ვმუშაობდით ერთად, ნომრების დაგეგმვის დროს, რამდენჯერ წინასწარ მოგიხსენებ — ამ და ამ ნომერში შენი რომანის ბეჭდვას ვიწყებთ-მეთქი. ვიცდილობდი როგორმე დამეჭარბინა, წამეკეზებინა. სამწუხაროდ, ამ რომანის დამთავრება, რომელიც ძალიან სიხტტრესოდ და ორიგინალურად ჭარნდა ჩაფიქრებული, ვერ მოასწრო. დაწყებული კი ჭარდა წერა. თავიდან ბოლომდე მოფიქრებული ჭრიდა ყველაფერი. ერთი სერიოზული ჩაჯდომაღა უნდოდა. ერთი გიორგასეული შეტეხა. რამდენიმე თვის დამის ტახა (დამით მუშაობდა ხოლმე). სადამზე დაიძინებდა, ღამის პირველორ საათზე შეუდგებოდა მუშაობას და დილამდე მუშაობდა), და რომანი უკვე დამთავრებული იქნებოდა. მით უფრო დასანანია, რომ ეს თითქმის დამთავრებული ნაწარმოები, დაუწერელი დარჩა. ამას ალბათ იმანაც შეუწყო ხელი, რომ ჩვენ მოულოდნელად გადაეედით ეკონსულიდან სხვა სამუშაოზე, ჯერ მე გადამიყვანეს, მერე გიორგიმაც ალარ ინდომა დარჩენა...

თავის შემოქმედებითი ჩანაფიქრის გამეღლენებას ახლობელ ადამიანებთან არ ერიდებოდა. მე პირადად ყოველთვის გამაცნობდა ხოლმე თავის უახლოესსა და ზორეულ გეგმებს. წინასწარ ვიცოდი, რაზე მუშაობდა. წერის დროს, გზადაგზა, წამაკითხავდა კიდეც ნაწყვეტებს. მოულოდნელი იყო მხოლოდ მისი ყველაზე კარგი ნაწარმოები, მისი შემოქმედების შედეგი, ფილოსოფერი მოთხრობა „ბაკდრის მზე“. რომელიც „ცისკარში“ დაიბეჭდა 1959 წელს. ვიცოდი, რომ გიორგი რადაცას წერდა, რედაქციაშიც წინასწარ ვვარაუდობდით მის დაბეჭდვას, მაგრამ რა ხასიათისა იქნებოდა ეს ნაწარმოები, არც მე და, მგონი, სხვამაც არავინ იცოდა. ახლა რომ ვუკვირდები, ძალიან ღელავდა ამ მოთხრობის წერის დროს. მაშინ ეს, გამოცეცხლები, არ შემიმჩნევია, ახლალა ვიგონებ ზოგიერთ დეტალს და ახლა ვრწმუნდები, რომ ღელავდა. ეს შესანშნავი ნაწარმოები, მე ეფიქრობ, ქართული პროზის საგანძურში დაიმკვიდრებს ადგილს. აქ გამოცდილი მწერალი ოსტატობით არის გადმოცემული ღრმა ფილოსოფიური ნააზრევი. მკითხველი დიდი ინტერესით შეხვდა ნაწარმოებს. კრიტიკა მაშინვე გამოეხმაურა. დაიბეჭდა რამდენიმე წერილი. ქება უძღვნეს. აღინიშნა, რომ ეს იყო განსაკუთრებული მოვლენა არა მარტო მწერლის შემოქმედებაში, არამედ საერთოდ, თანამედროვე ლიტერატურული ცხოვრებისათვის. თუ არ ვცდები, თითქმის ყველა წერილში, რაც [illegible] ხოთრობაზე დაიწერა, გამახელებული იყო ქებრადღება ნაწარმოების ერთი მთავარი ხაზის მიმართ, საჯიდლო ქვასთან დაკავშირებული ამბების მიმართ, რაც თითქოსა ურთიერთობის საკითხს შეეხება. მაგრამ ბევრს შეუმჩნეველი დარჩა მეორე სიხტტერესო მხარე, რაც თითქოს ფონად ახლავს ნაწარმოებს, იტტრისაც თითქოს უკანა პლანზე აქვს გადაწეული. ხაზს არ უსვამს, არ ლაპარაკობს ამაზე: ამ გაწყვიტლებას ნაწარმოების ორიგინალური აღნაგობა და განსაკუთრებული ტონი და მანერა ქმნის. მოთხრობაში თითქოს მოხსნილია საზღვარი სიკვდილსა და სიცოცხლეს შორის და მკითხველი გრძნობს, რომ ადამიანური ცხოვრების ეს ორი უდიდესი მოვლენა ერთად არის, გთქვეფილია, განუყოფელია, და არა ამ მოჩვენებითი გადაულახავი ზღუდით გაყოფილი, როგორც კვეცნობიერად წარმოგვიდგენია ხოლმე ადამიანებს. ნაწარმოები თითქოს დაწერილია შენელებული ტემპით, და მთელი ფერადოვნებაა მოთხრობისა მართლაც მკვდრის უსიცოცხლო მზით არის განათებული, სიზმარში განცდილი ფერებით შეეიგრძნობთ. ასევე სიზმარეულად ადვიქვამთ ნაწარმოების მოლიან მუსიკასაც...

მოულოდნელი იყო ეს მოთხრობა ჩეშვეიასაც და „ცისკრის“ მთელი ახალგაზრდა კოლექტივისთვისაც. ასეთი რამ გიორგის მანამდე არ დაეწერა. ცალკეული დეტალების ადდგენთ, ახლალა ვხედავი, რა სასიამოვნო დაღლა განიცდიდა, როცა ეს მოთხრობა წასაკითხად მოიტანა, და რა სიხარეული იგრძნო, როცა ჩვენი გულწრფელი ალფრთოვანება დაინახა.

ამ მოთხრობას რომ ვბეჭდავდით, კიდეკ ერთხელ ვეთხარი გიორგის — ახლა ხომ მაინც იწერენდები, რომ პიესებზე ტაეფილებსალოდ კარგვ დროს-მეთქი. პასუხად მან მიამბო ერთი პიესის სიუჟეტი, უფრო სწორად ჩანაფიქრი, და მე მაშინვე მიეჯდეო, რომ სწორი არ ეიყოფ. სამწუხაროდ, ეს ბოლომდე მოფიქრებული პიესაც, რომელსაც ერთი დიდი შეტევა და დაწერაღა აკლდა, დაუწერელი დარჩა. ვიცი, ძალიან გულუბრყვილოდ მოეჩვენებათ ამისი განცხადება, მაგრამ მაინც არ შემიძლია არა ვთქვა: ეს პიესაც ისეთივე მოულოდნელი იქნებოდა ყველასათვის, როგორც „მკვდრის მზეკ“: თავისი ღრმა ფილოსოფიით, დიდი ჰუმანიზმით და, გავბედავ ვთქვა, დიდი ჟტტალობითაც. აქ უნდა ყოფილიყო გამოყენებული უკვე სიმწიფეში შესული ახალგაზრდა ქალი, რომელსაც თავის დროზე ვთხოვეთ ვერ მოუხერხებია, რომელსაც ცხოვრების მთელი სიტტბოვნა არ განუცდია, და თუ დროზე არ დაარღვია ულმობელი და გაუმართლებელი მორალი, ზღუდე, ჭკნობით სიკვდილი მოელის. ძალიან ტალანქად გადმოვეცი ავტორის ჩანაფიქრი, ამი-

სი უფლება იქნება არცა მქონდა. მაშინ მე წაკითხული არა მქონდა ერთი სასინტერესო პიესა. არც გიორგის ჰქონდა წაკითხული. დიდი ხნის შემდეგ წ

ეროვნული ბიბლიოთეკა

და პედაგოგისა და მოწაფის ჩვეულებრივი დამოკიდებულება არ იგრძნობოდა-მეთქი. ნაძდეკლად ასე იყო. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, თითქოს გიორგის ოდესმე დავიწყებოდეს, რომ იგი ახალგაზრდების წრეში ტრიალებდა და ეს ფაქტი, თავისთავად, დიდ პასუხისმგებლობას აკისრებდა. ვიმეორებ, ბევრი გაუმართლებელი წინააღმდეგობა შეხვდა ჟურნალს. აქ მხედველობაში მაქვს არა ის მკაცრი კრიტიკული გამოსვლები, ჩვენი კრიტიკოსების მხრივ, რაც მკითხველისათვის კარგად არის ცნობილი და რაც ბუნებრივ მოვლენად შეიძლება ჩაითვალოს. ამ კრიტიკული გამოსვლებით ზოგი საგებლობდა და გაუმართლებელ და უსაამოვნო კულისების ბრძოლას მართავდა. ეს კი ზედმეტ დაძაბულობასა და ნერვიულობას იწვევდა. პერიოდულად იმართებოდა ხოლმე ასეთი ბრძოლები. ერთხელ, ასეთი ბრძოლის პერიოდში, ძალიან ადელვებელი მეედი რედაქციაში. ეტყობა, ნერვიულობას ვერა ვფარავდი. გიორგიმ ჩვეულებრივი სიმშვიდით მომკიდა ხელი და მეორე ოთახში გამიყვანა. ახალგაზრდებს ნუ აჩვენებ შენს აღელვებასო, მოალერ მითხრა. რამდენი ხანი გავიდა მას შემდეგ, და ეს ფრაზა თითქოს ცოცხლად ჩაშენების ყურში. ეს იყო ჭკვიანი პედაგოგის რჩევა.

უცნობი ადამიანის თვალში გიორგი შატბერაშვილი ვულგარული და უკარგი კაცი ჩანდა. თითქოს ცივი და გაუღიმარიც. იგი მოკლეული იყო უნარის, როცა კაცი ერთბაშად მოგიხიბლავს და მიგიზიდავს ხოლმე. მასთან დაახლოება ნელ-ნელა ხდებოდა, ძმიმედ გაუხსნიდა ადამიანს გულს, ძმიმედ იფანტებოდა მასთან პირველი შეხვედრით მიღებული შთაბეჭდილება, ვვიან იგრძნობდი, რომ ამ ერთი შეხვედვით ცივი ადამიანის გულში მეგობრობის დაუშრეტელი ცეცხლი გიზგიზებდა, თითქოდა გაუღიმარ კაცს ისეთი მომხიბლავი ღიმილი აღმოაჩნდებოდა, რომ ამ ღიმილით თავის ახლობლებსა და მეგობრებსაც უადგილებდა ცხოვრებას. როგორც მაჭრის დაღვინებას სჭირდება დრო, ასევე გიორგი შატბერაშვილთან დაახლოებას დრო სჭირდებოდა. და იქნება ამ ფაქტიც მასთან მეგობრობა მედგმ ურყეები და მტკიცე იყო — კარგად დაყენებული ღვინოსავით წმინდა, გამქვირვალე, უხინჯო. მაგრამ მთავარი ის არის, რომ მისი ურთიერთობა მარტო მეგობრებთან კი არ ყოფილა ასეთი წმინდა და გამქვირვალე. გიორგი შატბერაშვილი მტერთანაც ყოველთვის პატიოსანი იყო. მისი იარაღი მუდამ ხმალი იყო და ნაღმი არასოდეს, არავის მიმართ არ გამოუყენებია.

ერთი გარემოება ჰქონდა გიორგი შატბერაშვილს — უბრალო საჭურჭეთლი ხიდან სხვადასხვა საგნებსა თუ ცხოველების გამოსახულებებს აქანდაკებდა ხოლმე. ბლომად ჩამოიტანდა სოფლიდან შინდისა და იფნის ჯოხებს და როგორც კი ცოტას მოიცლიდა, მიუჯდებოდა, ათასნაირ რამეს გამოჩორკნიდა. ამასაც ისეთი სერიოზულობით ეკიდებოდა, როგორც ყოველ საქმეს, რასაც კი ხელს მოჰკიდებდა. მგონი სიძისგან ისწავლა ეს, უფროსი ღის ქმრისაგან, ზალვა ალადაშვილისაგან, რომელიც განსაკუთრებული სიყვარულით უყვარდა (სიძისთვისაც გატაცება იყო ესა, ისიც სულ სხვა ხელობის კაცია, აგრონომია განათლებით). რაღა თქმა უნდა, პროფესიული დახვეწილობა არა ჰქონდა მის ნამუშევრებს, მაგრამ საინტერესო ისაა, რომ ხასიათს მუდამ დაიქერდა ხოლმე. შეხედავდი და ერთბაშად შეიცნობდი ლოთის გამოლენჩებულ სახეს, ცბიერი ადამიანის ჩამოგრძელებულ ნიკაპს, ბარდებზე შესკუპული თხის უტიფარ გამოხედვას...

ჩუში ილმორი ჰქონდა და ამ ნამუშევრებში განსაკუთრებით იგრძნობოდა ეს. შინ არ ატოვებდა: გამთელდა და ახლობელ ადამიანს მიუძღვნიდა. თითქოს გრძნობდა, რომ ადრე წავიდოდა ამ ქვეყნიდან და ყველას დაგვიტოვა მოსაგონარი, რათა ხშირ-ხშირად მოგვგვაროს სევდის ღიმილი და ის ტკბილი დღეები მოგვაგონოს, როცა ეს სოფლად ალალი და მართალი ვეკაკაცი ჩვენთან ერთად ტრიალებდა.

ალექსანდრე საჯაია

ალექსანდრე საჯაია ძალიან ადრე გარდაიცვალა. იგი ვერ მოესწრო ეგეშნა ცხოვრებია მთელი სიტკბო და სიმწარე. მთელი ადამიანური სიკეთე თუ ბოროტება მან მხოლოდ წიგნის გმირებმა ცხოვრებით იცოდა. არც იმედის გაცრუებას დიდი ტკივილები განეცადა და არც ადამიანური უმადურობის ყველაზე საშინელი ნაღველი, არც ბავშვობის მოგონებათა სიტკბოების განცდა დასცალდა და არც ჯაუკის გულუბრყვილო ოცნებებთან გამოთხოვების სიმწარე; დიდი სიყვარული ალეფექტებულ მის გულს ჯერ ვერც მოესწრო ეკვითა თუ ღალატის საშინელებით აფორიაქებულიყო.

ხშირად მკითხველი, და ზოგი ლიტერატურის ისტორიკოსიც კი, ცდილობს წლოვანების მიხედვით დასაკვნას — მოესწრო თუ არა მწე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რალმა თავისი სთქმელის თქმაო. ეს ძალიან გულუბრყვილო განსაზღვრა. ბოლოს და ბოლოს, ნიჭის თავისებურებას რომ არ მივხედოთ, ბევრი რამ არის დამოკიდებული ადამიანის ბუნებაზე, ხასიათზე, ბიოგრაფიაზე. თითქმის ერთი ხნისანი დაიღუპნენ ლადი ასათიანი და ალექსანდრე საჯაია. ისინი ერთდროულად ცხოვრობდნენ და კარგი მეგობრებიც იყვნენ, მაგრამ იშვიათად თუ შეხვდები ასე განსხვავებული ბუნებისა და ხასიათის ადამიანებს. ლადი იყო ზედმეტად გადიზიანებული და ნერვიული კაცი. იგი თითქოს თვითონვე ეძებდა და იწვევდა მაღალი შემოქმედებისათვის აუცილებელ იმ დიდ ცხოვრებისეულ ტკივილებს, რაც ადამიანს სხვადასხვა დროსა და სხვადასხვა პირობებში ეწვევა ხოლმე. ამას გარდა, სიმონ ჩიქოვანის მოხდენილი თქმისა არ იყოს, ლადი ასათიანი თითქოს გრძნობდა მოახლოებულ სიკვდილს და ცდილობდა ბევრი მოესწროო, ბევრი ეთქვა პოეზიაში. ეს, სხვათა შორის, მისი ლექსის რიტმსაც ეტყობა. მის ლექსებს რომ ვკითხულობთ, თითქოს ვგვრძნობ სიცხიანი ავტორის აჩქარებული მაჯისცემა. და მან ბევრის თქმა მოასწრო, თუმცა, რაღა თქმა უნდა, უფრო მეტი მინდა უთქვიაო დარჩა.

ალექსანდრე საჯაიას ბუნებით ნაკლები სიფიცხე და მეზეზერება არა ჰქონია, მაგრამ იგი იჩენდა საოცარ საერთო სიმშვიდეს, დიდ ზომიერებასა და ტაქტს ადამიანებთან ურთიერთობაში. ამიტომაც იგი ყველასგან განიბრძობენდა იყო. სიკვდილი მასაც თურმე იქვე ჰყავდა ჩასაფრებული. მაგრამ ალბათ ვერ გრძნობდა ამას და არც ეჩქარებოდა. იგი წერდა და ბეჭდავდა ლექსებს. ეს ლექსები მაშინვე ამქვეყნებდნენ ავტორის ნიჭს, ხიბლავდნენ მკითხველს და დღესაც სიამოვნებას ვვანიჭებენ თავისი მუსიკალობით, უშუალობით, პოეტური სითბოთი და გულწრფელობით.

მაგრამ ალექსანდრე საჯაია ეშზადებოდა უფრო დიდისათვის. შინაგან ცეცხლსა და სიფიცხეს იგი ეპიკური სიმშვიდით უთავსებდა საოცარ გულმოდგინებასა და შრომიან დასახულ მიზნებს. ბოლოდ სიცოცხლის უკანასკნელ წელს იგრძნო მან მოახლოებული კატასტროფა. და ეტყობა სიკვდილის აჩრდილი მარცოლაც აჩქარებს ადამიანს — მის შემოქმედებაში ყველაზე ნაყოფიერი სწორედ ეს უკანასკნელი წელი იყო. მაშინ შექმნა მან ბევრი სინტეტიკური ლექსი, შესანიშნავი სვანური მოტივები, და რამდენიმე სეედიანი პატარა მელოდია, რომლებიც სამკაულებივით ამშვენებენ მის წიგნს. სხვათა შორის, ამ უკანასკნელ ლექსებში ჩანს კიდეც მოახლოებული სიკვდილის აჩრდილი.

მაგრამ ეს იყო სიცოცხლის უკანასკნელ წელს, თავიდან კი, როგორც ადვნიშნე, ეპიური სიმშვიდით შეუდგა იგი დიდ შემოქმედებით სარბიელზე გამოსვლას; დაამთავრა უნივერსიტეტი, შეისწავლა უცხო ენები, საფუძვლიანად გაეცნო მსოფლიო ლიტერატურას, საკუთარი აზრი გამოუმუშავდა, იმ ასაკს მიაღწია, როცა ბავშვური გულუბრყვილობა ვეკვაცურ პატოსნებად იქცევა ხოლმე. მისი პოეტური ხმა დაკვალიანდა, ჩამოყალიბდა და გაბედულება მიემატა. შემოქმედებითი მსჯელობები გაუფართოვდა. უკვე მონახა თავისი ხმისათვის შესაფერი ნოტები, გადადგა პირველი, ხელოვანისათვის განსაკუთრებით ძნელი ნაბიჯები.

მისი შემოქმედება დარჩა, როგორც უფერტიერა დიდი სიმფონიისა; აქ უკვე მოისმის მოტივები, რომლებიც შემდეგ გაიშლებოდნენ და მრავალ ხმაზე აჟღერებოდნენ. ეს უფერტიერა, თავისი ეელოდიური ჰანგებით, გულწრფელი და უშუალო მოტივებით ჩვენს დღევანდელ მწერლობაში სპპატონი ადგილს იჭერს. ალბრობრავდაც მრავალფეროვანი იყო მისი შემოქმედება. უკანასკნელად მოფიქრებული ჭკოწა ლირიკული ციკლი სვანურ მოტივებზე, სიიდანაც ზხოლოდ რამდენიმე ლექსის დაწერა მოასწრო; მუშაობდა დიდ ისტორიულ პოემაზე „უტტ მიქეა“, რომლის ლირიკული ადგილები მედან ალაფრთოვანებს მკითხველს. და ეს პოემაც დაუმთავრებელი დარჩა; ვახზრახული ჭკოწა დაეწერა საბავშვო ზღაპრების დიდი წიგნი, სიიდანაც ოთხი პატარა ზღაპარი (რომლებიც ზღაპრისათვის დამახასიათებელი ლაკონიურობით, სტილის სინათლეთ, ვანწყობილბის უშუალობითა და შეკავებული პოეტური ალფაფრენით ძალიან სანტერესო ცდას წარმოადგენს და, გავბედავ ეთქვა, საუკეთესო „ლიტერატურულ ზღაპრებსაც“ გაუტოლდება) ჩვენი ბავშვების საყვარელ წიგნად იქეა. მეხუთე ზღაპარი მაგიდაზე დარჩა — დაუთავრებელი და მელანშეუფშმრალი; დაწყებული ჭკოწა მუშაობა შელი ლირიკის თარგმნაზე, აქედან ორი ცნობილი ლექსი — „ღრუბელი“ და „სიყვარულის ფილოსოფია“ თარგმნილი ხელოვნების საუკეთესო ნიმუშებად შეიძლება ჩაითვალოს. და აქაც მესამე დიდი ლექსის თარგმანი დაუმთავრებელი და მელანშეუფშმრალი დარჩა...

მისი ლექსების წიგნს რომ ვკითხულობთ, ჩვენ არ მოგვინდება კრიტიკოსის ან ლიტერატურის ისტორიკოსის თვალითა და ხელით დავალაგოთ, გავაანალიზოთ ახალგაზრდა პოეტის შემოქმედება, თემატური დიფერენციაცია მოვახდინოთ, პარალელები მოვუძებნოთ ქართულ ან მსოფლიო ლიტერატურაში, თავისი ადგილი მივუჩინოთ... როგორც კი საერთოდ ხდება ხოლმე, ეს პატარა წიგნი, პირველივე ლექსიდან დაწყებული ბოლო ლექსამდე, შიგ მოთავსებული პოეტური ზღაპრებიც, თარგმანებიც — ერ-

ვახტანგ ჭელიძე
მეგობრობის პორტრეტები

თი ამდერებაა, თითქოს ერთი სუნთქვით არიბ დაწერილი და, ისაბდა მოუხდებად, იცნობდ: თუ არა მეთხეული პირადად წიგნის შემქმნელს, არ შეიძლება მაინც არ ეგრძნოს ავტორის შინაგანი სისპეტაკე, ის პატიოსანი, უშიალო და წრფელი დამოკიდებულება ცალკეული მოვლენებისა თუ საერთოდ მთელი ცხოვრებისა მიმართ, რაც მას ახასიათებდა, როგორც ადამიანს. მას სრული უფლება ჰქონდა ეთქვა, და ეს სიტყვები კარგად გამოხატავენ მისი სულის სიმაღლესა და სიფაქიზეს: „ეხედავ, ძმაღლები, როგორც ტაძარი და სიყვარულის წერილაკეს ზარი"...

თვითონვე ღიმილს ჰგვრიდა ხოლმე ის ცალკეული საგანზეთო შენიშვნები, რასაც, იქიანებ არც თუ ისე ხშირად, მაგრამ მაინც გამოთქვამდენენ პრესაში მისი ამა თუ იმ ლექსის შესახებ. ახალგაზრდა კაცისათვის შეუფერებელი სიდინჯითა და გულგრილობით წაიკითხავდა ხოლმე ასეთ ზერელე შენიშვნებს, თუნდაც ქების სიტყვებს, და გვერდზე გადასდებდა, მაშინვე იეიწყებდა. ეს არ იყო არც გაუმართლებელი მედიდურობა და არც ახალგაზრდა პოეტისათვის სავსებით მისაკვებელი პოზიორობა. გრძნობდა, რომ ჯერ ადრე იყო მის შემოქმედებითი გზებზე ლაპარაკი. თვითონვე მშვენიერად იცოდა, რომ ეს იყო პირველი ნაბიჯები მწერლობის დიდ გზაზე. უფროსი თაობის მწერლების, კრიტიკოსების სიტყვებს მუდამ ყურადღებით მოისმენდა, დაირცხვენდა, სიხარულს ვერ მალავდა.

მან ვერ მოისმინა ერთი თბილი სიტყვა თავისი შემოქმედების შესახებ. ვერ მოისმინა, რადგან ეს სიტყვა მისი სიკვდილის გამო იქნა წარმოთქმული, საგანგებო ვითარებაში, და სამწუხაროა, რომ ფი დაუწერელი დარჩა.

სანტტერესო იყო კათალიკოს კალისტრატე ცინცაძის ქადაგებანი არარეკიგიურ თემებზე, განსაკუთრებით ომის წლებში. ეს იყო ჯკვინი ქართველი კაცი, თავისი სამშობლოს სიყვარულით გულანთებული, დიდად განათლებული და მცოდნე, კარგი ორატორი. ხმა ოდნავ მისუსტებული ჰქონდა სიბერისა თუ მარხულობისაგან, მაგრამ ბზარი ისასოდეს გასჩენია ხმაში და სიმტკიცეც არ მოჰკლებია. უყვარდა და კარგადაც იცოდა ლიტერატურა. ჰქონდა საკუთარი მოსაზრებანი „ვეფხისტყაოსანის" ცალკეული ადგილების შესახებ. შემთხვევა მქონდა, ორჯერ მესაუბრა მასთან, და როცა შეეკადრე და ეკლესიისა და „ვეფხისტყაოსნის" დამოკიდებულების შესახებ ვკითხე, დაღლილი, კეთილი თვალები ფართოდ გაეშალა და ბაიღიმა. მახსოვს ერთი მისი შენიშვნა „ვეფხისტყაოსნის" დასაწყისის შესახებ. არ ვიცი, იქნება ეს წერილობითაც ჰქონდეს მას გამოთქმული და, ამდენად, ცნობილი იყოს. დასაწყისს არა სწორად კითხულობენ, თქვა. („იყო არაბეთს ერთ ქალაქსა, მეფე ღეთისაგან სვიანი, მაღალი ამირა ეი...") პაუზას ყოველთვის „სვიანის" შემდეგ აკეთებენ და მმიმესაც უადგილო ადგილს სვამენო. სინამდვილეში პაუზა უნდა გაკეთდეს სიტყვა „ღეთისაგანის" შემდეგ და ძმიმეკ იქეკ დაიკვასო — „იყო არაბეთს როსტეკან მეფე ღეთისაგან, სვიანი, მაღალი, უხვი"... და ა. შ. ძალიან საინტერესო აზრია და ლოღიკურიც: „ღეთისაგან სვიანი" მართლაც არა ჰკავს მართალს. მეფეკ ღეთისაგან, ღეთისმეერი. მით უმეტეს, რომ ამას მოსდეკს მისი დახასიათება რამდენიმე ეპიტეტით — „სვიანი, მაღალი, უხვი, მდაბალი"... ეს ეპიტეტები ლოღიკურად ერთადაა, მოუხდებადან იმისა, რომ სხეადასხვა სტრიქონშია მოკეკული.

მაგრამ მე გადავეხვეკ. პოეტის გარდაეკალების შემდეგ მოხეკესა მშობლებსა გადაწყვეტეს პანაშვიდი გადაეხადათ სიონში. ხალი ეეღარ გიუტხეს — ეარი ვყრ ეუთხრეს. კათალიკოსი დათანხმდა და პოეტის ნაწერები მოითხოვა.

დაეგიწყარი იყო ის პანაშვიდი სიონის ტაძარში. ხალხი ბეკრი არ ყოფილა. ეუმთავრესად ნათესაობა მოვიდა. მწერალთაგან ვინ იყო, სამწუხაროდ, არ მახსოვს. ერთადერთი კონსტანტინე ჯიპნაძე მაგონდება. დიდი ასაკობრივი განსხვავეკნის მიუხედავად, მეგობრეკი ურთიერთობა ჰქონდა ამ შესანშნავ კაცთან. მკონი საგურამოში დაუახლოვდენ ერთმანეთს, ილიაესეულ სახლში, სადაც მაწერალთა დასასვენებელი სახლი ჰქონდათ მოწყობილი. მერე მისი საშუალებით მეც დავუახლოვდი კონსტანტინე ჯიპნაძეს. ლიტერატურული თანამშრომლობაც გვქონდა. მე გავუკვეთე „ჩაიღე ჯაროკდის" ბეკარედი. სამწუხაროდ, მოლიანად ვერ მოასწრო თარგმნა, მხოლოდ ერთი ნაწყვეტი თარგმნა და გამოაქვეყნა.

მახსოვს კათალიკოსი წინ გამოვიდა, კეერთხი ოდნავ ასწია და ილია ჭავჭავაძის სიტყვებით დაიწყო: „თქვენ ყველს გახსოვთ, დიდმა ილიამ როგორ მიმართა ბარათაშვილს, უღვთო იყო შენი სიკვდილიო. ეს იმას ნიშნავს, რომ ღმერთი არ ერია ამ სიკვდილში, ეს ისე მოხდა, უღვთოდ, უღმერთოდ. ასეთი სიკვდილიც არის ხოლმე. იგივე შემიძლია მე გავიმეორო ამ ახალგაზრდა კაცზე, რომლის ლექსებსა და ზღაპრებმა დიდი სიამოვნება მომანიჭეს და დამაფიქრეს"... მე ადარ მოეკუები კათალიკოსის სიტყვების აღდგენის, ეატყობ მიძნელდება: ყველა იქ მყოფს რადაეანარი განწყობილება დაუფლებოდა. ვეეესმოდა ჩვენი ახლობელი ადამიანის სტრიქონები, უძველეს ტაძარში წარმოთქმული, სათნო მოხეკის მიერ. კათალიკოსმა ზეპირად გიახსენა პოეტის ნაწყვეტები ზოგიერთი ლექსიდან, მათ შორის, ზემოთ ნახსენები ორი სტრიქონიც...

ასკი წერეთელი ერთგან თავის ახალგაზრდობის მეგობრებს იხსენებს და წერს: „იმდროინდელი სტუდენტობა სრულებით არა ჰგავდა დღევანდელისას... იდეალისტები იყვნენ, ადვილად გაიმტკიცდნენ თავს; ერთ უმნიშვნელო რიმეს ეტლისთვის კედელს შეეწებოდნენ, სამშობლოსთვის მოციქულ-მოწამეებად აშზადებენენ თავს“... ეტყობა, ბუნებრივია: ადამიანისთვის განსაკუთრებით ძვირფასი და აკეთილშობილებელია თავისი თაობის ღვაწლი შობილი ხალხისა და მშობლიური კულტურის წინაშე (თუნდაც სულ უმნიშვნელო იყოს ეს ღვაწლი), ხოლო როცა იგი ხანდაზმულობაში თავის ახალგაზრდობას და ახალგაზრდობის მეგობრებს გიხსენებს, უნებურად შეადარებს ზოლმე ახალი თაობის მოღვაწეებს და უფრო თბილი ის მოეჩვენება, ის თაეისი ახალგაზრდობის დროინდელი თაობა.

ამ სიტყვით და ერთგვარი გულისკენელით არის დაწერილი ნიკა აციაშვილის მშვენიერი წიგნი „ტაბეტები დარჩნენ მარად“, რომელიც პირველად „ცისკრის“ ფურცლებზე დაიბეჭდა. სულაც არ ვამბობ, ცილი დავსწამო აღნიშნული წიგნის ავტორს, თითქოს იგი იმ თაობის წარმომადგენელს რომელიმე სხვა თაობას უპირისპირებდეს. მაგრამ მთელს წიგნში მართლაც იგრძნობა ის განსაკუთრებული რომანტიკა, რომაც ოცდაათიანი წლების ახალგაზრდა მწერლები იყვნენ გამსჭვალულნი, ის საოცარი მეგობრობა, რაც მათ ერთმანეთთან აკავშირებდა, ქართული სიტყვისა და მწერლობის ფანატიკური სიყვარული. ამ ნიშნიერი ახალგაზრდების სახით ქართული მწერლობის იმდროინდელ დიდსა და სახელოვან ოჯახს ნამდვილად ღირსეული ცვლა ეზრდებოდა. და ამას გრძნობდნენ კიდეც ჩვენი შესანიშნავი მწერლები, იმედიანად იყვნენ, ნახულობდნენ დროს მათთან მეგობრული ურთიერთობისათვის, მათი დაბეჭდილი თუ დაუბეჭდავი ნაწარმოებების განხილვაში აქტიურ მონაწილეობას ღებულობდნენ... ახალგაზრდებიც მზნედ გრძნობდნენ თავს უფროსი თაობის ასეთი აქტიური მხარდაჭერით. არ მახსოვს, ნიკა აციაშვილი ახსენებს თუ არა ამ საყურადღებო მოვლენას თავის წიგნში, მაგრამ, სულ ერთია, ამას ხშირად უნდა გაესვას ხაზი და ხშირად უნდა გაეხსენთო: თითქმის მთელი მაშინდელი უფროსი თაობის მწერლები სასიცოცხლო ინტერესს იჩენდნენ ახალგაზრდა მწერლებისადმი. მე მახსოვს ახალგაზრდების შეხვედრები მიხეილ ჯავახიშვილთან, შალვა დადიანთან, იოსეს გრიშაშვილთან, სიმონ ჩიქოვანთან, ალექსანდრე აბაშელთან, ლეო ქიაჩელთან, გერონტი ქიქოძესთან, პაოლო იამბრეთან, კონსტანტინე ბეჭინაძესთან, ტიციან ტაბიძესთან, შედარებით უფრო ახალგაზრდა მწერლებთან — კონსტანტინე ლორთქიფანიძესთან, ალექსი კალაძესთან, გიორგი შატბერაშვილთან. ამ შეხვედრებს სისტემატური ხასიათი ჰქონდა — ხან ოფიციალური, ხან არაოფიციალური.

ერთი სიტყვით, ძველი თაობის სახელოვან მწერლებს მართლაც ღირსეული ცვლა ეზრდებოდა და დღევანდელი ჩვენი ლიტერატურა გაცილებით უფრო მდიდარი და მრავალფეროვანი იქნებოდა, რომ მოულოდნელად ამოვარდნილ ქარტეხილს არ ეწსხვრევა ის თაობის ბევრი წარმომადგენელი. ზოგი პირდაპირ იმსხვერპლა დიდმა ომმა, ზოგი — არაპირდაპირ. მირზა გელოვანი, გიორგი ნიფიტვარიძე და სხვები ფრონტზე დაეცნენ. ლადო ასათიანი და ალექსანდრე საჯაია ფრონტზე არ ყოფილან, მაგრამ მაინც ომის არაპირდაპირი მსხვერპლნი გახდნენ.

ზემოთ გაკვრით შეეხნიშნეთ, ალექსანდრე საჯაია ყველა თაობის მწერალთაგან განებივრებული იყოო. ეს არ არის გადაჭარბებულად ნათქ

. შეუძლებელი იყო, იგი გაეცნო ადამიანს და ერთბაშად არ მოხიბლულიყო. ჯერ გარეგნობა განაწყობდა განსაკუთრებული სიმპათიით — მაღალი ტანი, ზედმიწევნით პროპორციული აღნაგობა, იშვიათი ვაკაცური სილამაზის გამოკეკთილნაკვთებიანი სახე, ზომიერად მოშალული ულვი, რომელსაც ოდნავ შეხუპუპებული მაყვალითი შაი თმა უშშვენებდა, ჯორბლიფერი სახის კანი; მარად ანთებული, ბაროსანი თვალები გაცხარების დროსაც კი სინაზით უციმციმებდა. იშვიათად შეეხვედრავარ ასეთი სიფიცის ადამიანს, (ზოგჯერ სიტყვნქმედ მისული სიფიცხე), მაგრამ გარეშე კაცისათვის ეს სიფიცხე, საოცარი სულერი სინაზისა და სიფაქიზის წყალობით, თითქმის შეუმჩნეველი იყო. შეიძლება გადაჭრით თქვას, რომ იმ მრავალრიცხოვან ახალგაზრდა მწერალთა ჯგუფში, რომელიც ოცდაათიან წლებში მოეკლინა ქართულ ლიტერატურას, ალექსანდრე საჯაია ყველაზე უფრო ინტელიგენტური იყო. პოეტის გარდაცვალების შემდეგ, მისი ხსოვნის ერთ-ერთ საღამოზე სიმონ ჩიქოვანი შენიშნავდა — „მე იგი მესამე-მეოთხე თაობის ინტელიგენტი მეგონა, და განცვიფრებული დავრჩი, როცა მის დაკრძალვაზე სოფელში ჩავედი და მშობლები გავიცანი“... გლეხები იყვნენ მისი მშობლები. მამა საესებით უსწავლელი კაცი იყო. მაგრამ ქალანი და დარბაელი, ტანიანი ქართველი გლეხი კაცი. დედასთან უფრო დაახლოებული და გაშინაურებული იყო პოეტი.

მაგრამ ოჯახში ყველაზე დიდი საოცრება ბებია იყო, ანუ ნანა, როგორც მიმართავდნენ ხოლმე შვილიც, რძალიც, შვილიშვილიც და

ჩვენც, მისი შვილიშვილის ამხანაგები. უკვე ღრმად მოხუცი იყო, როცა გავიცანით, ერთთავად მკაცრი გამომეტყველება ჰქონდა. მისი ნნოვანებისათვის მხრებში უჩვეულოდ გამართული, ღიისტული თავდაჭერით იჯდა მთაელო სადარეში, ან ჩიბუხს აბოლებდა ან კრიალოსანს მარცვლავდა და პატარა მეგრული ოდის აივნიდან სალღიც შორს იყურებოდა. ზოგჯერ წამოდგებოდა, მიიმე ნაბიჯით ჩაიელადა კიბეს, დიდ ეზოში გავიდოდა, ეზოს ბაღი და სამინდოს ყანა ერტყა, იმასაც მოიკლიდა ხოლმე აუჩქარებელი ნაბიჯით და როცა მობრუნდებოდა, ხელში უსათუოდ მინდვრის ყვავილების თაიგული ეჭირა — შვილიშვილს უხმოდ დაგაღიმრად მიაჩეჩებდა. შვილი და რძალი შეახსენებდნენ, სტუმარსაც უწოლადეო (ე) ცოტ-ცოტათი შევეჩვევ მეგრულს), ის კი თითქოს არც გაეგონოს, კელავ თავის სავარძელში წამოიჯიმებოდა და შორს გაწოლილ მოეს გაუსწორებდა თვალს. რამდენჯერ ვყოფილვარ მათთან სოფელში სტუმრად და მხოლოდ ერთხელ გავიგონე მისი ხმა, ორი ისტყვა წარმოთქვა და ისიც მე შემეხებოდა. ჩვენი პოეტი დედამამის ერთადერთი შვილი იყო და შინაც მეტისმეტად განებივრებული ჰყავდათ. კერძოდ ჰყავდათ დასახელო ოჯახში. შვილი ყველა საყვარელია. მით უმეტეს ერთადერთი შვილი. განა ის მინდა ვთქვა, გამორჩეულად უყვარდათ, და არა დედას და მამას სჯერთველოსნი ასე შვილი არ ჰყვარებთათ-მეთქი. მაგრამ ამათ დამოკიდებულებაში რაღაც სხვა იყო კიდევ, რაღაც ავადმყოფური. სულ რამდენიმე კვირით ჩავიდოდა ხოლმე სოფელში, და მთელი წელიწადი ამ. რამდენიმე კვირისთვის მზადება ჰქონდათ ოჯახში. „კოკას ასე უყვარს", (შინ კოკის ეძახდნენ) „კოკამ ეს დიბარა", „კოკას ეს არ ესიამოვნებაო", „შარშან აქ ფეხი დაეცოდაო კოკას"... აქ გასაკვირი, რა თქმა უნდა, არაუერია. ეს სოფაცრი შარშელი ხალხი, დღედაღამ რომ მოსვენება არ იცოდნენ, ერთთავად მიწას ჩიჩქნიდნენ და მუხლმოუკეცავად ფუსფუსებდნენ, — მუდამ ამას ცდილობდნენ, რომ კოკას ჩასვლის დროს მეტი თავისუფალი დრო ჰქონოდათ. მამამისს საყანე ნაკვეთი მეზობელ სოფელში ჰქონდა აღებული და დიდ-დიდი ხნოვნით მიდიოდა ხოლმე. ისე დაიპერრა თავარიგს, რომ კოკას ჩამოსვლის დროს იქ წასულა ალარ დასჭირვებოდა და შინ მჯდარიყო. თან შვილის დასანახად თავი ისე ეჭირა, თითქოს მისი ხათრით კი არ იყო შინ გამომჯდარი. რამეს მოიმიზეზებდა, სამინდო საქმეს გიიჩენდა — ხან სახლის მუტბეკ რემონტს, ხან ეზოს ღობის გამოცვლას, ხან ფეხის ტკივილს და რა ვიცი. მიზეზს რა გამოლევდა, ოღონდ კი შინ მჯდარიყო. და მართლაც შინ ისხდნენ და შვილს შესცინცინებდნენ. მშვენიერი გამოთქმა გვაქვს, „ეზე ამოსდიოდაო", მართლაც ეზე ამოსდიოდათ მასზე. მამა, როგორც მამაკაცს შეეფერებოდა ხოლმე, მეტ თავშეკავებას იჩენდა, ოღონ და ჩუმ-ჩუმად გააპარებდა თვალს შვილისკენ. თავიდან ფეხებამდე შეათვალიერებდა. მისი წარმოსადეგობაც ეამაყებოდა. მისი ვაჟკაცური სილამაზეც. ალბათ მისი სიფაქიზეც. მაგრამ ცდილობდა თავისი გრძნობა არ გაემჟღავნებინა. პირიქით, სახელით რომ მომართვდა შვილს, თითქოს მკაცრად გამოთქვამდა ამ სახელს. თავისი შეხედულებანი ჰქონდა აღზრდის საქმეზე, სიმკაცრე მიაჩნდა საჭირო, და, აჰა, მისი სიმკაცრე არც ერთი საალერსო სიტყვა იმას კი ვერა გრძნობდა, რომ ნამდვილი გრძნობის დაფარვას ვერ ახერხებდა, და არც ეშიოდაოთ მოეხერხებინა.

დედა არ ცდილობდა თავისი გრძნობების დაფარვას. ყოველდღიური საოჯახო საქმეს, (რაც იმ დროს შვილის საქმლის მომზადებით, საერთოდ შვილის მოელით განისაზღვრებოდა) მეტ-ნაკლებად აკეთებდა და თვალებით ერთთავად შვილს ეძებდა, ეალერსებდა. საცა არ უნდა ყოფილიყო შვილი, თქვენ შეგეძლოთ დარწმუნებული ყოფილიყავით, რომ იგი ამ დროს დედის თვალების ფოკუსში იყო მოქცეული. ან საბზოდან სახლის შეღებეულ კარებიდან უთვალთვალებდა, ან ბოსტნის ღობიდან, ან ოთახის ეუჭრუტანიდან. და თან მეგრულად საალერსო სიტყვებს წარმოთქვამდა. ეაკვირვებული ვიყავი, რამდენი საალერსო სიტყვა ჰქონია მეგრული. აქაც, რადა თქმა უნდა, არაფერია გასაკვირი. დედ-მამას ყველას უყვარს თავისი შვილი. ზოგი ისე გამოხატავს ამ სიყვარულს, ზოგი ისე. მაგრამ ამათ სიყვარულში რაღაც სხვა გრძნობაც იყო არეული. რადაცნაირი უცნაური მოკრძალების გრძნობა, რაც მე მაშინვე შევნიშნეთ, მაგრამ გადმოცემა კი მიჭირს. იქნებ ერთი რამით შეიძლებოდეს ამის ახსნა: ჰქონდა ამ ოჯახს ერთი საქეეყნოდ გაბმულობული საიდუმლო. მამას ადრე სხვა ქალი ყვარებია. ძალიან მგზნებარე ყოფილა ეს სიყვარული. დღე დღეზე მოელოდნენ, რომ შეირთავდა იმ ქალს. მაგრამ აქ ნაიას გამოუყენებია მშობლის უფლებები და აუკრძალავს შვილისთვის იმ ქალის შინ მოყვანა... ოვითონვე შეურჩეია მეზობელ სოფელში ერთი გოგონა. ლამაზი, საქმიანი, კარგი ოჯახის შვილი. ეტყობა, ნაია, ასეთივე გაუცენარი ქალი იყო ახალგაზრდობაშიაც. შვილს ეეოარ გუუბედავს წინააღმდეგობა. იქნებ იმედიც ჰქონდა, რომ უფრო ადვილად გადაივიწყებდა პირველ სიყვარულს. მაგრამ ვერ მოუხერხებია, ვერ მორეკია გული და იმ პირველმა სიყვარულმა კვლავ მალე ოფეთქა...

ამაზე ოჯახში არაევნ ლაპარაკობდა. შვილმა, რა თქმა უნდა, ყველაფერი იცოდა, რადგან მთელი იმ კუთხისთვის ცნობილი იყო. მშო-

ბლებმაც იცოდნენ, რომ შვილმა იცოდა. მაგრამ მაინც კრინტს არ სძრავდნენ და ასე გაუბედნელად ინახავდნენ ამ საქვეყნოდ გახმაურებულ საიდუმლოს.

ერთი სიტყვით, შვილის ქალაქიდან ჩამოსვლა სრული ბედნიერების დრო იყო პატარა ოჯახისათვის. ალბათ ერთბაშად მოიხსნებოდა ის სავარაუდო უხერხულობა თუ დამაბეზღლობა, რაც ოჯახს მთელი სიცოცხლის განმავლობაში ძმძმედ აწვა. თვითონ დადუმებული ეზო ახმაურდებოდა, ოდის ჩაკანგული კარებს ჭრიალი აუტყდებოდა...

როგორი იყო დედა მარტოობის დროს, ამას პოეტი თვითონვე გვიხატავს თავის ლექსში.

მზე მთის საფარს ეფარება,
ფშოს მწუხრი ეპარება
და ჩრდილები ხეთა
ფერად ნისლში იძირება,
აივნიდან იმზირება
მოწყენილი დედა.

ახლა მოკლედ იმასაც გავიხსენებ, თუ რა პირობებში დასცდა ნაიას ის ორი სიტყვა. ერთხელ ერთად ჩავედით სოფელში. ერთი კვირა უნდა დავრჩენილიყავით იქ, კოკის მშობლებთან და მერე სამოგზაუროდ წასვლას ვაპირებდით. წინასწარ მიგგელოდნენ და დიდის ამბით შეგვხვედნენ. ნაიას, რა თქმა უნდა არც ამჯერად დაურღვევია ჩვეულება, ისეთივე ღარსეულის თავდაპყრობი იყდა თავის სავარძელში. მე შუბლზე ოაოს განაკრული მქონდა და მალამოს ვიდებდი. შემდეგ ზეთით უნდა მომებანა ჭრილობა და, როგორც ექიმმა დამარიგა, 3-4 წუთი მზისთვის მიმეშინა. ღრუბლიანი დღე იყო, როცა ჩავედით. ბარგი ამოოლავეთ, ვისაუზმეთ და მაშინვე ღრუბლიან ცას მიეუშვირე შუბლი. ოღონდ 3 წუთი კი ადარ ვიკმარე, ბარე თხუთმეტი წუთიც ვიდექი, რაკი ღრუბლიანი ამინდი იყო. არ ვიცი რისგან მოხდა, მაგრამ ნახევარ საათსაც არ გაუვლია, რომ შუბლი ერთიანაბად გამიშავდა და გამისივდა. საშინლად დაფეთდა ყველა, რაღა თქმა უნდა მეც შევშინდი. გადაწყდა უკანვე გამოვბრუნებულიყავით. მაშინვე, იმავე დღეს. მე მარტო მოვიწიდომე წამოსვლა, მაგრამ არ გამომშვეს. ვეხვეწე, ნუ წამომყვები-მეთქი, ვიცოდი, რასაც ნიშნავდა მშობლებისათვის მისი მაშინვე გამობრუნება, მაგრამ არ ვნეს. წამოსვლის წინ, სადილად დავსხდეთ. მე ჩემი გასიებული შუბლით ვიყავი შეშინებული, არც ჯამის თავი მქონდა და ნაისთვისაც არ მიმიქცევია ყურადღება. თუმცა ჩუმ-ჩუმად მიბღვერდა მთელი იმ ხნის განმავლობაში. ბოლოსდაბოლოს, ჩემ გვერ ონდა დაშორებოდა ამდენი ხნის მონატრებულ შვილიშვილს. ბოლოს ვეღარ მოითმინა და ეს ორი სიტყვა ჩაილაპარაკა ჩემი მისამართით: „ზეზეურად ქორთულ“ ერთბაშად შემოუფანტა აქეთ-იქეთ. ... ...

შენტალური თუ მოსენტიმენტალური განცდა-ნა. უორდსორთი ინგლისის ლიტერატურაში ცოცხალია, როგორც ე. წ. „ტბის სკოლის“ ერთ-ერთი დამაარსებელი და წარმომადგენელი. სამმა ინგლისელმა პოეტმა — კოლრიჯმა, უორდსორთმა და სოუთმა — რომელთაც ლიტერატურასა თუ ცხოვრებაზე ბევრი საერთო აზრი და შეხედულება აღმოაჩნდათ, მეგობრული ფიცით შეკრულნენ, გადაწყვეტეს ერთ სახლში ეცხოვრათ, დედამიწაზედან მოშორებით. და, მართლაც, ინგლისის ჩრდილოეთით დასახლდნენ, ტბების რაიონში. სახელწოდებაც აქედან მიიღო მათმა ლიტერატურულმა მიმდინარეობამ. ეს ის დრო არის, როცა შექსპირის მეორე აღმოჩენა იწყება ქვეყნად. ახალგაზრა პოეტები გატაცებულები არიან შექსპირით, ერთი მათგანი, სპეციალ კოლრიჯი, დიდი ინგლისელი დრამატურგის საფუძვლიან შესწავლასაც შეუდგა და მნიშვნელოვანი გამოკვლევა დატოვა შექსპირის შემოქმედების შესახებ. აღსანიშნავია ისიც, რომ სამივე პოეტი საფრანგეთის რევოლუციის მხურვალე თანამგრძნობი აღმოჩნდა. და არა მარტო თანამგრძნობი. უოდსორთი, მაგალითად, ძლიეს გადაურჩა გილოტინას. კიდევ ერთი მომენტი გახდა ჩვენთვის საყურადღებო მათი ცხოვრებიდან. ორ მათგანს დები შეუყვარდათ და ქვისლები შეიქმნენ...

ერთი სიტყვით, ჩვენთვის, რომანტიკულად განწყობილი სრულიად ახალგაზრდა ხალხისათვის, რომელთაც მეგობრობა და ერთმანეთისათვის უყოყმანო თავდადება ცხოვრების უმაღლეს იდეალად დაეთასებუნ, სამი თანაზიარი ინგლისელი პოეტის ცხოვრების ცალკეული ეპიზოდები გამამხნევებელი და წამაქეზებელი გამოდგა. ჩვენ თვითონვე ვფიქრობდით თბილისის მახლობლად სახლი ავეკედრ და ერთად დასახლებულიყავით. ხოლო როცა „ლიმოვაჩანეთ“, რომ საუკუნენახევარის წინ ახალგაზრდა ინგლისელ პოეტებს ასეთივე განზრახვა ჰქონიათ და შეუსრულებიათ კიდეც, ჩვენს ოცნებას ფრთა შეესხა და ერთი „პატარა კოშკის“ აღმართვა სადმე არაგვის ხეობაში, თითქოს უფრო რეალური გახდა. ამასვე მიეძღვნნა ახალგაზრდა პოეტის ლექსი „კოშკები“, რომელსაც თავისი პატარა ისტორია აქვს.

დაემთხვა კიდევ ერთი ამბავი. ესპანეთში იმ დროს სამოქალაქო ომი მძვინვარებდა, და მსოფლიოს თითქმის ყოველი ქვეყნიდან პროგრესულად განწყობილი ადამიანები ესპანელი რევოლუციონერების დასახმარებლად მიეშურებოდნენ. სწორედ იმ ხანებში აღმოაჩინა ჩვენმა მეთხუთე

ვრამა ჩაეწერა შეუმჩნეველად, თავსა და ბოლოს ვერ გიგებენდა. წერილად დაფუთული წერილი რომ უთავბოლოდ მიაწერო ერთმანეთს და წაიკითხო, იმას ემგვანებოდა. მაგრამ ჩვენთვის ყველაფერი გასაგები იყო, რადგან კარგად ეიცოდით რომელი ნაფლეთი სად უნდა მიგეგებებინა და ჩვენი სიერთო ერთიერთობის წიგნს ყოველი ასეთი საუბარი კარგად ავსებდა ხოლმე.

ახლა, როცა ამას ვიგონებ, თვალწინ მიდგას, როგორ ვხვდებით ქეჩაში ერთმანეთს. მე მას შორიდანვე ვკმჩნევ — ქეჩაში გამოფუნული ხალზე ცოტათი უფრო მაღალი, მოდის და თვალებით გეძებს. როგორც კი დაგინახავს, თვალები გულწრფელი სიხარულით აუცილებლად. როცა ახალი ლექსი უდევს ჯიბეში. ამას მაშინვე შეამჩნევ — უფრო აღელვებული და აგზნებული, უფრო სერიოზული. შორიდანვე თვალში საცემია თეთრი ყელსახვევი. ასე მოეჩვენება უცნობს. მაგრამ ყელსახვევი არაა ეს — ჩვეულებრივი შეიდკაპიკიანი ბინტია, ყელი აქვს შეხვეული, რადგან ენვენება, რომ ავადაა. როცა ზარს, თუმცა სიარულის დროსაც, მარჯვენა ხელის ცერს მალ-მალე გაუპარავს ხოლმე მარცხენა მაჯისაკენ, ბულს ისინჯავს, ზოგჯერ საფეთქელზეც მიიდებს ხელს, ტემპერატურას ამოწმებს. ხომ ასეთი დაეშვებულია ჯანის სიმრთელეზე, წუწწნი და შიშის სიტყვიერი ვამოხატვა სულ არ იცის, არც ამხანაგებს ვამოვთნიშავ, რაკი უნდა სამმე იყოს — ქეიფი იქნება ეს თუ სადმე წასვლა. სპორტი?.. საოცარია, მაგრამ სპორტს არ ვეტანებით. მვონი, არც ერთი ჩვენი თაობის ახალგაზრდა. თუმცა არა. სპორტის ერთ სახეობაში, რაც ჩვენ სპორტად არასოდეს არ მიგვაჩნია, მაინც ჩავაბი. ეს ჩემი ინიციატივით მოხდა. მე დავაშთავრე თბილისის მე-14 საშუალო სკოლა... კარგი ამხანაგების წრე გვქონდა სკოლაში და ყველა იმ „უწესობისა“ და „უდისციპლინობის“ გარდა, რის გამოც გამეფდებიო უთანხმოება გვქონდა მასწავლებლებთან და განსაკუთრებით დირექტორთან, ჩემივე გვარის კაცთან, ბევრ ისეთ რამეს ვაკეთებდით, რაც, ახლა რომ ვუყურებ, ძალიან საჭირო და სასარგებლო იყო. ჯერ ერთი, ჩვენს ჯგუფში როგორიღაც თავი მოიყარეს მხატვრული ლიტერატურის მოყვარულმა ბავშვებმა. თუმცა არა. სტიქიურად კი არ მოიყარა თავი: ლიტერატურის სიყვარული, მე მვონი, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელმა ნუცა დგებუაძემ ჩაუნერგა ბავშვებს. როგორც სპორტი გიიტაცებს ადამიანს, ისე იყვნენ ბავშვები გატაცებული ნუცით მწერლობით. სპორტი შემთხვევით არ გამხსენებია — სწორედ რომ სპორტული გატაცებით ამოიჩენდნენ ხოლმე რომელიმე მწერალს და ისე საფუძვლიანად შეისწავლიდნენ, არა მგონია, ამა თუ იმ მწერლით საგანგებოდ დაინტერესებულმა რომელიმე მკვლევარმა მოახერხოს ეს. ოთარ გიგინენეიშვილი მაგალითად, ზეპირად იცოდა მთელი ეგა. გადაჭარბებულად არ მოგიჩენთო — ზეპირად! თავიდან ბოლომდე. ყველა ლექსი, ყველა პოემა. ერთი სტრიქონიც არ შეუშლია ხელი. მახსოვს გიორგი მელიქიშვილის აგზნებული სახე, როცა მან საჯარო ბიბლიოთეკაში შექმნილი ალმოჩინა, მაჩაბლის თარგმანები. ეს იყო მეათე კლასში. წერა ამას და თან ვეშინია, ვინმემ უნდობლად არ ჩაიღიმოს, შენი თაობის უკადრის კეკნნაში არ ჩამოგართვას. მაგრამ ნამდვილად ასე იყო. გიორგი მელიქიშვილს რომ შეეხედავდი, დიდ შეკმაიროლოგობას ვერ დასწამებდი ვერც გარეგნობის საერთო შთაბეჭდილებით, ვერც ქცევით და ვერც იმ ნიშნებით, რასაც ყოველი მეოთხეკის ბოლოს უწერდნენ. მაგრამ ეს ნამდვილად ასეა. მთელი ერთი თვე ბორგავდა, რაცა შექმპარი წაიკითხა. ის რვა მთავარი ტრაგედია, რაც მაჩაბლმა თარგმნა. ერთი კარგი თვისება ჰქონდათ კიდეც, მე მგონი ესეც ნუცა დგებუაძისაგან შეუმჩნეველად შემოპარული. ერთი ჩვენგანი რომ წაიკითხავდა რომელიმე კარგ წიგნს, მერე ის, მაშინვე, არ ვიცი გამოჯიბრებით, არ ვიცი ინტერესით, ყველას უნდა წაეკითხა. და მთელ ჯგუფს ასეთი პერიოდები გვქონდა ხოლმე. მაგალითად, მარტენ იდენის პერიოდი, პეჩორინის პერიოდი, დიდედ კოპერფილდის (და რატომღაც განსაკუთრებით მისი მეგობრის სტარფორდის) პერიოდი. ყველა ამაზე ლაპარაკობდა, ამ გმირს ბაძავდა, ცალკეულ ადგილებს იმეორებდა. ერთი სიტყვეთი, ნამდვილი გატაცება იყო. ეს ისე, სიტყვამ მოიტანა. თავში სულ სხვა გატაცებაზე დავიწყე ლაპარაკი. სულ სხვა გატაცება მაინტერესებდა.

ოთარ გიგინეიშვილს ახლა ყველა იცნობს, როგორიც კარგ თურქოლოგს და კარგ ალპინისტს. ეს ალპინისტური მიდრეკილება მას ბავშვობიდანვე ალმოჩინდა, ოღონდ მაშინ ტურისტობასთან შეხამებული. ფანტაზიური სიყვარული ჰქონდა ისტორიული ძეგლებისა, რაც მაშინ, რბილად რომ ვთქვეთ, ასეთი პოპულარობით და პატივისცემით, როგორც დღეს, როდი სარგებლობდა. დიდ ბედნიერებად მიმაჩნია, რომ მასთან ერთად მოვხედი, ერთ ჯგუფში. ეს სიყვარული ჩვენც გადმოგვეღო, მის ამხანაგებს. გაზაფხულზე, ცოტათი დათბებოდა თუ არა, ანდა ადრეული შემოგომაზე, ოთარის წინამძღოლობით, მოვედებოდით ხოლმე ზედაზენს, ჯვარს, სამებას, უფლისციხეს, თელეთს, უჯარმას... რამდენნი ღამე გავეთენეთა შიო მღვიმეში და, იქიდან ღამიანად გასულები, დილის მზეს ზედაზენზე

ვახტანგ ჭელიძე
მეგობრების პორტრეტები

ეროვნული ბიბლიოთეკა

შევხვედრივართ. რა კარგი იყო, რომ ეს სიყვარული თავისით ჩაგვენერგა, ჩვენივე ამხანაგმა გადმოგვდო, სავალდებულო დამატება არა ყოფილა!

ალექსანდრე საჯაია მე-14 სკოლაში არა სწავლობდა. უფრო გვიან გავეცანი, უნივერსიტეტის წლებში. მაგრამ ბაგშვობაში დაწყებული ჩვენი ტურისტული ლაშქრობანი, ოთარისაგე ხელმძღვანელობით, მერეც დიდხანს გრძელდებოდა, თითქმის უნივერსიტეტის დამთავრებამდე, და იმ ჩვენს არაორგანიზებულ, სტიქიურად შექმნილ წრეში ახალგაზრდა პოეტიც ჩავაბეთ. სწორედ ამ სპორტულ გატაცებაზე მოგახსენებდით ზემოთ. მერე და მერე ოთარისაგან დამოუკიდებლადაც მოგვინდომებია ასეთი ტურისტული გამგზავრება. და ზოგჯერ, მახსოვს, ცხენის წინ მარბენელი კეკეცის ანდაზა აგვხდომია. (ამ დროს ოთარი უკვე მოსკოვში აგრძელებდა სწავლას). ერთხელ ასეთი კურიერზე მოგვივდა. სეტტემბრის ერთ მშვენიერ დღეს (თუმცა ასე ითქმის, თორემ ეგრაფფერი მშვენიერი იყო ეს დღე) გადაეწყვიტეთ ერთი-ორი ბოთლი ღვინო წაგვეღო და კრწანისის ბრძოლის ველი მოგვენახულებია. ამჯერად მარტო მე და ალექსანდრე საჯაიამ მივიღეთ ეს გადაწყვეტილება, სხვებისთვის არ გაგვიმხელია. გაწყწყობილება აყო ისეთი, ცალკე გვერჩივნა. იყო მიზეზი, ვერიდებოდით სხვასთან ყოფნას.

კრწანისის ადგილდებარეობა თითქოს კარგად მახსოვდა, ოთარ გიგინეიშვილმა წაგვიყვანა ერთხელ მოწყფიების დროს. გვეთარეთ ორთაჭალის ბაზარში (ე. წ. „მაიდანზეა"), ყველი, თონის პური, მშვენიერი ვიყიდეთ, ქალაქის პარკში ჩავაწყეთ. იქვე მაღაზიიდან ორი ბოთლი ღვინო წამოვიღეთ და ფეხით გავეთეთეთ გზას. გრილი დღე იყო. დილით წამოწყვიმა. მერე გადაიღო, მაგრამ მზეს მაინც ღრუბელი ეფარებოდა და ეტყობოდა ისევ გაავდრებას ამირბედა. უკან დაბრუნებას ადარ ვიკადრეთ. რა შორს ეს კრწანისი იყო, ხელად ჩავიდოდით, ბრძოლის ველს გადავხედავდით, მგრეხის მოსახსენებლად თითო ჭიქა ღვინოს დავლევდით და გამოვბრუნდებოდით. მაგრამ ვიარეთ, ვიარეთ, ქალაქს გავცდით, კარგა შორს გვეგული და კრწანისის ერთხელ ნანახი ველი კი ვერსად შენიშნა. ვიცოდი, რომ საღღაც მარჯვნივ უნდა ამეხვია. და თავიდან რომ დავკვირვებოდი ამ ასახვეევს, იქნებ მიმეგნო კიდეც, მაგრამ მე უფრო შორს შეეტალებოდა და გამომრჩა. მერე კი, როცა ვიგიოთ-მეთქი, ეს ადგილებში უნდა ავუხვიოთ-მეთქი, უკვე ვედარ მივაგენი ნანახ ასახვეევს. გავცდით ციხეს, რომლის წინ ხალხი იროდა. მაგრამ გვეუბნებოდა, ამათთვის გვეკითხა კრწანისის ჭაბ. გავედით რკინიგზის ხაზისკენ. ეს უკვე არ მომეწონა, რკინიგზა არ მახსოვდა კრწანისისკენ. ალბათ მაშინ, იმ პირველი ლაშქრობის დროს არ მოგვიცია ყურადღება-მეთქი, ვიფიქრე. გზაჯვარედინს ფრა-ფრა ვადექით, მთლად დავიბენი. ვიცოდი, რომ მარჯვნივ უნდა ავეეხვია, მაგრამ ეს ასახვეევი სულ სხვა იყო, არაფერით არა ჰგავდა იმას, რაც მე მახსოვდა. ისევ პირდაპირ სიარული ვარჩიეთ. გზაზე როგორღაც კიდეს ჭიქანება არ იყო. გავედით ტრიალ მინდორზე. მაშინ ის სახლები, რაც ახლა რუსთაველის გზის დასაწყისში დგას, არ ყოფილა. ერთი სიტყვით, რუსთაველს ველზე აღმოჩენდით და დაუშვა კიდეც კოკისპირული წვიმა. ხეთ წუთში ისე გავილუმპეთ, რომ გასაწურავები გავხდით. კიდევ კარგი, გაავდარდა და უკანვე გამოვემეეეთ. ამის იქით დიდი ტალახი იდგა და იქნება სხვა უსაამოვნებას გადავყოროდით... ამრიგად, კრწანისის გმირთა ამრდილების ეამოხმობა მარტო დამთავრდა.

მაგრამ იმ პატარა ლექსის ამბავი მაინც ვერ დავავამთავრე. ალბათ გაზაფხულის პირი იყო, როცა ეს ლექსი დაიწერა. არ ვიცი, რატომ, მაგრამ მაინ დამეკვდა საჯაიას არც უცდია. გაზაფხულობით უნივერსიტეტში ჩვენი ფაკულტეტი ერთგვარ შემოქმედებით საღამოებს მართავდა. ეს ჩვენმა მასწავლებელმა, შესანიშნავმა პედაგოგმა და ადამიანმა ერეკელ ტატაშვილმა შემოიღო. ზოგჯერ ასეთ საღამოებს ვრანდიოზული მასშტაბი მიეცემოდა ხოლმე. ბოლო კურსის სტუდენტები ინგლისურად კითხულობდნენ რეფერატებს ლიტერატურის სხვადასხვა საკითხებზე. ამაევე საღამოებზე, ვისაც უნარი აღმოაჩნდებოდა, კიკი ხულობდნენ აგრეთვე თარგმანების ნიმუშებს ინგლისური და ამერიკული ლიტერატურიდან. ამ საღამოების მთავარი აზრი და მიზანიც თარგმანები და თარგმნელთა ეამოკლინება და დაოსტატება იყო და არა იმდენად ინგლისურად წაკითხული რეფერატები. სწორედ ამ საღამოებზე წაიკითხა ალექსანდრე საჯაიამ თავისი თარგმანები — შეკსპირის რამდენიმე სონეტი, ლონგფელოს „წვიმიანი დღე", ედგარ პოს „ანაბელ ლი", ინგლისური ხალხური ბალადები და რაც მთავარია, შელის რამდენიმე ლექსი. შელი განსაკუთრებით შეუყვარდა, გადაიკითხა თვალი ლიტერატურა შელისა და მისი თაობის პოეტებზე. ყველაფერი, რაზედაც კი ხელი მიუწვდებოდა ჩვენში. იმ საღამოსაც სწორედ შელის ლექსები წაიკითხა — „ღრუბელი" და „სიყვარულის ფილოსოფია". ერეკლე ტატაშვილმა მარტო ენები კი არ იცოდა კარგად, ინგლისური ლიტერატურის ჩინებული მცოდნე იყო და, ამავე დროს კარგი მამულიშვილი და კარგი მოქართველი. უნდა გენახათ, როგორ უბრწყინავდა თვალები, როცა მისი სტუდენტი შელის თარგმანებს კითხულობდა, როგორ ამაყად გადახედავდა ხოლმე ხალხით გაჭედილ დიდ დარბაზს. საამაყო მართლაც ჰქონდა —

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზადგან ეს მისი იყო, მისი ნაამაგარი. მშობლის გულმოდგინებითა და მოთმინებით ასწავლიდა იგი სტუდენტებს ენას და ლიტერატურას. კერძოდ, სპეციალ უნივერსიტეტის კედლებში შესასწავლა მან ენა. და ახლა, ბუნებრივია, უხარიოდა, თავისი შრომის ნაყოფს რომ ხედავდა.

იმ სალამოს შელის ორი ლექსის თარგმანნი უნდა წაეკითხა სპენიას, ასე იყო წინასწარ დგებგამული და ჰეც ასე ეიცოდი მისგანვე. გამიკვირდა, როცა ამ ლექსების წაკითხვის შემდეგ გამოაცხადა, ახლა მურის ერთი ლექსის თარგმანს წაგიკითხავთო. წაიკითხა ეს საკუთარი ლექსი, სწორედ ის ლექსი — „ოთაკები“. გამიკვირდა, მაგრამ მაშინვე მიეხდი მიზეზს. სამმე ისაა, რომ ლექსის ადრესატი, ის ვინაა სახელითაც პოეტი ოცნების კოშკებს აგებდა, იმ დროს დარბაზში იყო. და ალბათ ისიც მოეხედველოდა. მაშინვე ტატიშვილს გადავხედე. იგი სპენიას შეჰპყურებდა და ვერ იტყოდი, მიხედა თუ არა ახალგაზრდა პოეტის პატარა ეშმაკობას. რაღა თქმა უნდა, არაფერი გასაკვირია, სულაც ვერ მიმხედარიყოს — იმდენნი ლექსები აქვს მურს, ადვილი მოსალოდნელია, ყველა არა სცოდნოდეს. მაგრამ იაკინ კაკი იყო ჩვენი მასწავლებელი, თუნდაც მიმხედარიყო, მაინც ვერ შეატყობდი, არ შეიმჩნევდა.

აქეე დავსხედეს: ახალგაზრდა პოეტი გადაწყვეტილი ჰქონდა შელის მთელი შემოქმედება ეთარგმნა. ასეთივე დავალება ჰქონდა ტატიშვილისაგან. ჩვენი მასწავლებელი ძალიან ამაყოფილი იყო სპენიას თარგმანებით. განსაკუთრებით შელის ლექსებით.

ალექსანდრე სპენიას ლექსები — ორიგინალურიც და თარგმანებიც — მუსიკალური ქღეიოადობით გამოირჩეოდა. და საოცარი ის არის, რომ მას, თვითონ, მუსიკალური სმენა სულაც არა ჰქონია. ერთ მუსიკალურ ფრაზას ვერ იტყოდა. შეუმცდარად, რაგინდ პოპულარული ნაწარმოები უნდა ყოფილიყო. ისკი უეჭიროდა მუსიკა. როცა თავისუფალი საღამო ჰქონდა, ან სიმფონიური მუსიკის კონცერტზე ნახავდი, რაც იმ დროს საკმაოდ ზშირად ემართებოდა ხოლმე, ან — ოპერაში. ჩვენი მაშინდელი მომღერლები, ეროვნის რომელი გინდა სოპერო სცენას დაამშვენებდნენ. ორი შესანიშნავი ტენორი ჰყავდა ჩვენს თეატრს — ანდდულაძე და ქუმსიაშვილი, რეპერტუარი კი ერთი ჰქონდათ, მაგრამ ხმის ტემპრითაც, მღერის მანერითაც განსხვავდებოდნენ; ბუნებრივია, მათი შექმნილი სახეებიც არა ჰგავდნენ ერთმანეთს. და მაინც ჰქონდათ საერთო — ეს იყო სიმღერის დიდი სიყვარული და თავიანთი საქმით რომანტიკული გატაცება. რეპერტუარი მდიდარი ჰქონდა ჩვენს ოპერას. დღეს რომ ანდდულაძე გამოდიოდა, ხვალ — ქუმსიაშვილი, ზეგ — ისევ ანდდულაძე, და ასე უღელში შებმული ხ

რ ბის ერთგულებითა და მოთმინებით, უპრეტენზიოდ, მშვიდად და უხმაუროდ სწევდნენ სოპერო ხელოვნების ძმიმე ჯაჭანს. მეთთვის თითქოს არ არსებობდა ის ე. წ. ნორმატივები, რითაც პირველბარისხოვანი სოპერო მომღერლის გამოსულთა სიხშირეა განსაზღვრული. პირიქით, თითქოს შემთხვევას ეძებდნენ, რომ უფრო ხშირად ემღერათ. ყოველ-შემთხვევაში მაყურებელს ასეთი შთაბეჭდილება ექმნებოდა. და ყოველ სპექტაკლს, რომელშაც ისინი მონაწილეობდნენ, პრემიერის სიხალისე და ბრწყინვალება დაჰკვრიდა, (თუნდაც დეკორაციები და მათი სასცენო კოსტუმები სიძველისაგან გაცვეთილ-გახუნებული ყოფილიყოს). გასტროლიორები ეშვითად ჩამოდიოდნენ, ჩვენი მალუტიც იმხანად შედარებით ღარიბი იყო. ამრიგად, მთელი სიმძიმე ჩვენი მომღერლების მხრებზე გადადიოდა. იშვიათად, რომ ამ შესანიშნავი მომღერლების სპექტაკლი გამოვეცხოვებინოს. ახლა რომ ბენუარის ლოგენი, ის მაშინ გაერთიანებული იყო, ოდგა ერთმანეთზე გადაბმული შავად შეღებილი სკამები და რატომღაც ყველაზე მდარე ადგილად ითვლებოდა. ეს იყო სწორედ ჩვენი ადგილები. აქ ჩვენი შელანძღიული ჩაცმულობაც კარგად იმლაზეთ, იაფფასიანიც იყო და უფრო მყუხეროდაც ეგრძნობოთო თავს. ვინ იცის, რამდენჯერ მოგვიმსენია აქედან ვერდი, პუჩინი, ფალიაშელი, ბიზე... „კარმენსა“ და „ტოსკაზე“ ზოგჯერ ჩვენი მასწავლებელი ტატიშვილიც გამოჩნდებოდა ხოლმე. „კარმენი“ სოპერო ხელოვნების შედევრად მიაჩნდა. ჩვენ? ჩვენთვის ძნელი იყო არჩევანის გაკეთება „აიდასა“, „კარმენსა“ ან „ტოსკას“ შორის. არც დიდად გვაწუხებდა ეს. თავს არ ვიწუხებდით სხვა არჩევანითაც. როგორც ყოველთვის ასეთ დროს ხდება ხოლმე, მაშინაც გახურებული კამათი ჰქონდათ — ანდდულაძე სჯობს თუ ქუმსიაშვილი? ზოგი ერთის უეჭიროა მხარს, ზოგი მეორეს. სადაო კი, ჩემის აზრით, არაფერი იყო. ორივეს შესანიშნავი ხმა ჰქონდა და ორივე ჩინებულად, ვეღარ ჩამეწვდომად მღეროდა. თუმცა, ცოდვა გატეხილი სჯობს, მე მაინც ანდდულაძის ხმის ტემპრი და სიძლიერე უფრო მხიბლავდა. მაშინ ხმის ჩაწერის ტექნიკა ძალიან დაბალი იყო. მსოფლიოში სახელგანაქმული მომღერლების ჩანაწერები დიდ იშვიათობას წარმოადგენდა. მახსოვს ერთ ჩვენს ამხანაგს ჰქონდა კარეზოსა და ზალიაპინის ფირფიტები, სამ-სამ ადგილს გაბზარული და გადაგლეჯილი. ეს იყო და ეს. ამდენად, ჩვენი სოპერო მომღერლები მარტო იმითი კი არ ყოფილან ძვირფასები, რომ ცოცხლად ვისმენდით სეე-

ვახტანგ ფელიციე
მეგობრების პორტრეტები

ნიდან, არამედ იმითაც, რომ ისინი ჩვენთვის ერთადერთები იყვნენ, იმათი საშუალებით ვეცნობოდით დიდი საბუერო კომპოზიტორების შემოქმედებას. კარუზოს, ვალე-კურჩის, ტატა რუფოსა და ზალიანის ხმების სილამაზისა და სიძლიერის ამბავი გადმოცემებითა და წაკითხულით ვიცოდთ.

ერთი სიტყვით, იშვიათად თუ გამოგვიტოვებია სპექტაკლი, რომლებშიც ეს შესანიშნავი მომღერლები და მათი დიდებული პარტნიორი სანდრო ინაშვილი მონაწილეობდნენ, ვინ იცის, თითო ოპერა რამდენჯერ გვექნებოდა ნანახი და მოსმენილი.

ყველა სპექტაკლს თავისი საკუთარი ცხოვრება აქვს. ზოგი სპექტაკლი უბრებელი რჩება, ზოგი ხელად ბერდება. ზოგა დიდნანს ცოცხლობს, ზოგი მალეკე კვდება. ზოგი დიდ სიხარულ განაგებს ადამიანს, ზოგი უგემურია, ულიმდამო, უსულგულო. სპექტაკლსაც აქვს თავისი ადამიანობისა და დაღმავლობის პერიოდები... ჩვენ მოწმენი ვიყავით ამ სპექტაკლების ცხოვრებისა. მოწმენი ვიყავით იმ დიდი სიხარულისა, რასაც ეს მომღერლები ყოველ გამოსვლაზე განიცდიდნენ და განაცდევინებდნენ მაყურებელს. მოწმენი ვიყავით ზოგიერთი კერიოზული შემოსვლებისაც, რაც ზოგჯერ სპექტაკლის რომელიმე კომპონენტს შეემთხვეოდა ხოლმე. მოწმენი ვიყავით, როგორ უცად და მოულოდნელად ჩამოვიდა სადირიჟორო პულტიდან მართველა რომ პოეტური ბზნებით შოგონებული დირიჟორი ეგვენი მიქელაძე, რომლის მადლიანი ხელი თითქმის ყველა ამ სპექტაკლში ერია, რაც მაშინ საოპერო სცენაზე იდგმებოდა. ავიშაში უკვე გამოცხადებული დირიჟორი უცად შეცვალეს. ეს იგივეა, შემთხვევი სადირიჟორო ჯოხი გამოეგლიჯოთ ხელიდან. ჩვენ მოწმენი ვიყავით, როგორ წაუვიდა ერთხელ ხმა „აიდაში“ ვაშაკაშვილს და მომდევნო მოქმედებაში, რომელიც დიდი დაგვიანებით დაიწყეს, როგორ შეეცალა იგი ხალხის საყვარელმა ქუმსიაშვილმა, როგორი აღტაცებული ტაშით შეხვდა მას მაყურებელი, და თუმცა მისი გამოსვლა ჩვენც ძალიან გაგვეხარდა, გულში მაინც ტაცილი ვიგრძენით იმ დიდი ტრაგედიისი, რასაც ალბათ სცენიდან მომავალი მომღერალი განიცდიდა. მაგრამ მარიოლაც რა ტრაგიკული იყო ის სპექტაკლი, როცა რამდენიმე წლის შემდეგ. იმავე „აიდაში“ ივიგე საშნილი ბეღი ეწვია უკურნებელი სენით დაავადებულ ნიკო ქუმსიაშვილს!..

ისევ გადავუხვიე. ერთი სიტყვით, საჯიაის მუსიკალური სმენა სრულებით არა ჰქონია. მაგრამ მუსიკა უყვარდა და სიამოვნებით ისმენდა. ეტყობა, შინაგანი სმენა თუ ვრძნობა ჰქონდა მუსიკისა. ამითვე უნდა აიხსნას მისი ლექსების მუსიკალობა და სილაღე.

შეუძლებელია ალექსანდრე საჯიაიზე ლაპარაკი და არ გაიხსენო ერთი მისი სასაუბრო თვისება. იშვიათად თუ შეხვდება ადამიანს, რომელსაც მისებრ შეეძლოს სხვისი სიხარულისა და მწუხარების გაზიარება, ამხანაგის ვამარჯვებით გულწრფელი გახარება. მისი მოყრძალება, პატიოსნება, ამხანაგისათვის თავდადება ყოველთვის ბუნებრივი იყო, ხაზგასმული, არა ყვირილი.

მახსოვს, ერთხელ ლადო ასათიანი და ის გაბუტულები იყვნენ. ეს იყო ომის წლებში. ლადო ავად გახდა. სისხლი წამოხველა. საჭირო იყო სასწრაფოდ ყინული. ლადოს მეუღლემ — ანაკო ვარანძემ მთელი ქალაქი შემოიარა და ყინული ვერ იშოვა. უკვე ღამე იყო. საშინლად შეშფოთებული და დაღონებული შინ ბრუნდებოდა, როცა გზაში საჯიაი შეხვდა. ანაკოსთვის არაფერი უთქვამს, ისე გაბტიალდა, სადღაც ყინულის მოზრდილი ლოდი იშოვა და ჭიკჭიკავის ქუჩაზე აირბენინა. (ლადო მაშინ იქ ცხოვრობდა). მაგრამ თვითონ არ შეუტანია სახლში. შესასვლელ კარებთან დადო და ეზოში ვიდაც პატარა ბიჭს უთხრა — ადი, კარებზე დაკაკუნე და ყინული შეუტანეო.

სიცოცხლის ორი უკანასკნელი ზაფხული სვანეთში გაატარა, თავის მეგობარ პოეტთან — რევაზ მარგალითან. ფრონტიდან დაბრუნებული რეზო მარგალი მაშინ სვანეთში იყო ცოლითა და შვილით. დედ-მამაც იქა ქცადა. რეზოს მამა პროფესიით სფინანსო მუშაკი იყო, მაგრამ ლიტერატურისა და ხელოვნების დიდი მოყვარული, სასიამოვნო თანამოსაუბრე, ახალგაზრდობაში თვითონვე წერდა ლექსებს. სვანეთის მთებში რამდენიმე თვით მოხვედრილი პოეტი კიდევ უფრო დაუახლოვდა ამ ოჯახს. თავდაპირველად გამოსაკვანძრთველებლად წავიდა სვანეთში. ტუბერკულოზის ზონი ერთი წუთითაც არ ასვენებდა. ჰაჯრამ რაკი ვიცოდთ მისი ხასიათი, სერიოზულ ყურადღებას არ ვაქცევდით ამას მისი მეგობრები, ჩვეულებრივი ზონი ვეგონა. მეორე წელსაც იგივე ჯანმრთელობის მოგონებებით წავიდა, მაგრამ ფაქტიურად მისი მიზანი სულ სხვა რამ იყო. ჩაფიქრებული ჰქონდა რამდენიმე ციკლი ლექსებისა სვანეთზე. ყველანი ეგრძნობდით, რომ მის ცხოვრებაში იწყებოდა ახალი პერიოდი, უფრო ინტენსიური შუშაობის პერიოდი. მან უკვე მიაღწია პროფესიულ დოსტატებას, საკუთარი ხმა გამოიმუშავა, თემატიკა ჩამოაყალიბა, და იმ რამდენიმე ლექსის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, რისი დაწერაც სვანეთში გამგზავრების შემდეგ მოასწრო, მე ვფიქრობ, თამამად შეიძლება ითქვას,

ეროვნული ბიბლიოთეკა

პოეტს ჩანაფიქრი უთუოდ საინტერესო იყო და ჩვენს ლიტერატურას ბევრი კარგი ნაწარმოები შეემატებოდა...

უკანასკნელად რომ მიდიოდა, სადგურზე გავიცილე. ჯერ თავის სოფელში უნდა ჩასულიყო და მერე იქიდან სვანეთში წასვიდოდა. ახლა რომ ვიგონებ, რაღაც მოუსვენარი იყო, ხშირ-ხშირად გადამხედავდა ხელს და მირჩევდა, შენც ამოდი სვანეთშიო. თითქოს უნდოდა რაღაც ეთქვა, მაგრამ თავს იკავებდა. ამას მერე მივხვდი, უფრო მოგვიანებით. მაშინ ეს არც მიფიქრია და განსაკუთრებული მოუსვენრობა არც შემამჩნევია. შემდეგ კი შოთა გაბილაიამ მიამბო: თურმე მატარებელში შეხვდნენ ერთმანეთს და მთელი გზა იმას ეუბნებოდა — რაღაც სიკვდილის წინაგრძნობა მაქვსო. ამავე წინაგრძნობით უნდა იყოს დაწერილი ეს ლექსიც.

წელს უთუოდ წერწეტა ლერწამს
შევუყვარდები...

დიდხანს იდგა ვაგონის კიბეზე, მომაღლო შუბლზე ხუჭუჭა თმას ნიავი უთამაშებდა... იდგა და თავის ოდნავ მოელამო, ანთებული თვალებით სევდიანად იღიმებოდა. მანამ მატარებელი თვალს არ მიეფარა, არც შესულა ვაგონში.

თვითონვე უყვარდა დიკენსის ერთი მშვენიერი ფრაზის განმეორება: **Think of me at my best.** ერთ-ერთი გმირი ეუბნება თავის მეგობარს: „როდესაც კარგი გეჩვენებოდი, სწორედ ისეთი მომიგონეო“.

ფერწერები

ზურამ ასათიანი

«ვინც კაცი იყო და ლექსად იქცა»

ეამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ“ დასაბეჭდად მოამზადა ლადო ასათიანის ლექსებისა და პოემების ახალი კრებული.

როდესაც მკითხველი ამ წიგნს აიღებს ხელში, ალბათ გაახსენდება, რომ მისი დამწერი იყო სრულიად ახალგაზრდა, ჯაბუკობიდანვე სიკვდილის ნიშნით დაღდასმული ადამიანი, რომელსაც სამწუხაროდ ბევრი რამ არ დასცალდა ამ ქვეყნად.

ასეთი პიროვნებები თავისი უდროო წასვლით ხანგრძლივ ტკივილს გვიტოვებენ.

მაგრამ ნამდვილი პოეტის ბიოგრაფია სიკვდილის შემდეგაც გრძელდება და ზოგჯერ ცხოვრებისაგან განწირული კაცის სახე სრულიად სხვა ელფერს იძენს ჩვენს თვალში.

გადის დრო, სინანულის მწუხარი თანდათან შორდება მის ნაკვთებს და ჩვენთან რჩება მხოლოდ მისი მზიური სულის ანარეკლი.

თანამედროვეთაგან ცოტასღა ახსოვს ლადო ასათიანის იერი. ცხრაას ორმოცდაერთ, ორმოცდაორ და სამ წლებში, როდესაც ის, იმ დროისთვის უკვე სავსებით მოწიფული, „დავაჟკაცებული“ შთაგონებით მღეროდა თავის უკანასკნელ სიმღერას, თბილისში პოეზიისა და პოეტებისათვის თითქმის ალარავის ეცალა.

მხოლოდ რამდენიმე თვეღამა კაცმა შემოინახა მოგონება სიცხოთა და ოცნებით თვალებანთებული, გამხდარ ჭაბუკზე.

წაიკითხეთ ნიკა ავაშვილის წიგნი „ჯაბუკები დარჩნენ მარად“. იქ ბევრ საგულისხმო ამბავს ამოიკითხავთ პოეტისა და მისი თანატოლების შესახებ.

ლადო ასათიანი, მირზა გელოვანი, ალექსანდრე საჯაია...

ამ მარადიული ახალგაზრდების სახელები საძეგამოდ დაუკავშირდა ერთმანეთს. თავისი სიცოცხლით, შემოქმედებით და ნაადრევი სიკვდილით ისინი მთელი თაობის ბედს განასახიერებენ.

მოკრძალებით შემოვიდნენ ქართულ პოეზიაში, ჩუმად დაანთეს სანთლები და ასევე უხმაუროდ, ფეხაკრეფით წავიდნენ ჩვენგან.

ისინი მხოლოდ პოეტები იყვნენ. მხოლოდ მეოცენებენი. სხვა თითქმის ვერაფერი მოასწრეს. მაგრამ მათ მიერ დატოვებული სინათლე, როგორც პირველი სიყვარულის ცრემლი, როგორც ყმაწვილური ლოცვის განუმეორებელი მხურვალება დღემდე არ ქრება და უჩვეულო სითბოს გამოსცემს.

მათი სანთლები წმინდა შუქით იწვიან.

ლადო ასათიანის ლექსის სტროფონს თითქოს ალმური ასდის. ეს სამხრეთის მცხუნვარე მზის ნიშანია, უფრო მეტად კი იმ გაუნელებელი ცეცხლისა, რომელიც დღედაღამ ღრღნიდა პოეტის სულსა და სხეულს. ეს ის შუქი და ის სითბოა, რომელიც პოეზიაში ვერავითარი ოსტატობით ვერ მოიპოვება, თუ სიტყვამ შთაგონების ღადარში არ გაიარა.

„ის ახლაც იწვის საფლავშე!“ — მწერდა ამას წინით ბითუმიდან ერთი მისი თაობის პოეტი და მე არ შემიძლია ამ აზრს არ გავყვე, ერთხელ კიდევ არ გავიხსენო საქართველოში არაერთგზის გამეორებული სიტყვები —

> რაც არ იწვის, არ ანათებს,
> ამ ედიდვით ლპება ნელა...

ლადო ასათიანის სული უცემ გადაიწვა, თითქოს საკუთარი შთაგონების მაღალ ძაბვას ვერ გაუძლო. მაგრამ რა მშვენიერი იყო ეს წუთიერი აკაშკაშება!

მართალია, მას დარჩა ზოგიერთი გაურანდავი, მეორეხარისხოვანი სტროფონიც, მიზანსაცდელი სიტყვებიც, მაგრამ ყველა მთავარი სიტყვა მისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

პოეზიისა წრფელი სიყვარულის საკირეშია გადამდნარი:

არ მომანათო ეგ საღადარე
თვალები, ცეცხლით განაშუქარი,
არ შემეკითხო, რად შეეფარე
ნოეს ხეხულას შენი დუქანი!

ეს სიტყვებსაც კი ადარა აქვთ თავისთავადი მნიშვნელობა. მთავარია გრძნობის სიშიშვლე, ხალასი გაწდა ან, როგორც ძველად იტყოდნენ, „სიწრფეობა“.

თუ ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლივობა მის მიერ განცდილი შეშარტტი სიყვარულის დღეებით განიზომება, როგორც ამას უაღლის მიერ უკვდავყოფილი ერთი ადმოსავლური თქმულება გვაუწყებს, მაშინ პოეტის ცხოვრება არც ისე ხანმოკლე ყოფილა.

სიყვარული მან იცოდა მთელი არსებით, მწარედ, დაუზოგავად.

ამ აუტანელი სინაზით იყო სავსე მისი მშვფოთვარე სული და ის ერთნაირი გატაცებით უმღეროდა საქართველოს ლურჯი ცის თავის, უფლისციხესთან გაშლილ ყაყაჩოებს და საყვარელი ქალის ტანის სურნელებას.

ყველა ხევსური და ყველა სვანი —
ქართველი ქალი თავდმამყვანა,
ზემი თბილისი და ფიროსმანი
არ ვიცი, ასე რამ შემიყვარა...

ლადო ასათიანის სახელი განსაკუთრებით ომის შემდეგ გახმაურდა. მომდევნო თაობამ, რომელიც ამ წლებში წამოიზარდა, თითქოს ფარნა ახიდი მისი ლექსი და ადრე დაცემულ მოძმეს ნათელ იმედებსა და დიდ სულიერ მხნეობას დაესესხა.

მე ვიყავი ამ გატაცების მოწმე და თანაზიარი.

დაუკარით, რომ ძველ ხანჯალს ელდა ეცეს,
გაისარკოს და ბრძოლაში დაიბარკოს!

ამ ლექსს აღფრთოვანებით იმეორებდნენ ყველგან, სადაც კი იმღერონდელი ახალგაზრდობის პატრიოტულ სულისკვეთებას ეძლეოდა გასაქანი.

სიკვდილს შემდეგვე დაუბრუნდა მის ის ალერსი და გულსხმიერება, რომელიც თვითონ ასე უხვად დახარჯა ლექსში.

პოეტის ობილ სოფლავს მოწიწებით დაეფინა ანა ალანდაძის სტროფონი...

მკითხველებს პოეტები მიამიტი ხალხი ჰგონით.

ლადო ასათიანს ეკუთვნის მეორე, მკითხველთა ფართო წრისათვის ჯერჯერობით უცნობი წიგნი — ირონიული ლექსებისა და ეპიგრამების ხელნაწერი კრებული, რომელიც ალბათ ოდესმე დაისტამბება.

უფრო სწორად, ის თანაავტორია ამ უნიკალური კრებულისა.

ეს არის ძალიან მნიერული და კიდევ უფრო მეტად მწარე წიგნი.

თუ ქართველ პოეტს მართლა უყვარს რაიმე, მან სიძულვილიც უნდა იცოდეს.

ირონია იყო ლადო ასათიანის მეორე ბუნება. მის ბასრ მზერას ნიშაზნი ამოოვებული მსჯეფტ-ლის არცერთი სასაცილო შტრიხი არ გამოეპარებოდა.

მაგრამ ეს გესლიანი სიცილი მხოლოდ ლიტერატურულ შინაურობაში დიბარაკა. „სალალობოს“ ავტორს ირასოდეს არ შეუძლავს თავისი მადალი შთაგონება დაცინვის ზნამით (მხოლოდ გულსაკი ბეკეკაეძისადმი მიძღვნილ ლექსში გაიელვა მისმა ეშმაკურმა ღიმილმა — ლადად, უბრორტოდ, გადამდები მხიარულებით).

ლადო ასათიანის ლექსის მთავარ კიელს მისი ადამიანური ბუნების სხვა, ბევრად უფრო ღრმა და მნიშვნელოვანი თვისება — ფარული სევდით გამთბარი ეფაკეცური გულითადობა განსაზღვრავს.

ამ უნეველოდ მეორნობიარე ჯაბუკს თავისი დროის ბევრ სხვა ქართველ პოეტზე მეტი საშაბი ჰქონდა პოეზიაში სევდიანი მოტივების შესატანად. მაგრამ მან შეძლო უფრო მეტი: მძიმე წინათგრძნობით აღძრული ფიქრები სიცოცხლის შეუპოვარი რწმენით დაძლია და ქართველ მკითხველს მედგარი, ნაპერწკლიანი ლექსით მიმართა.

ლადო ასათიანს განსაკუთრებით უყვარდა სიტყვა „ძლიერი“. შეიძლება ითქვას, რომ მის პოეტურ ლექსიკონში ეს იყო ერთ-ერთი ყველაზე უფრო ადმატებული ეპითეტი.

სიძლიერე მისთვის მშვენიერებისა და სიკეთის სინონიმიც იყო. მას სწამდა საქართველოს ძლიერების, ორბელიანის ძლიერი ლექსის, წინაპართა ძლევამოსილი დროშების და ყოველივე ამის გამო თავის სიტყვას დაძაბუნების უფლება არ მისცა.

უკანასკნელ ლექსებშიც კი არ დასცდენია. მას სოფლის სამდურავი, და თავისი ასაკისათვის გასაოცარი ფერმკრთალებლობით შეეგება ბედის განაჩენს.

ასეთი სტოიციზმის გამოჩენა მოაწლოვებული აღსასრულის წინაშე მხოლოდ იმ „უშიშარი და იმედიანი“ მოდგმის ნაშიერს შეეძლო, რომელსაც ლადო ასათიანი ეკუთვნოდა თავისი სისხლით, აღზრდით და სულიერი წყობით.

ლადო ასათიანის პოეზია ქართული მწერლობის ძლიერ ფესვზეა ამოზრდილი.

მეოცე საუკუნის პოეტებიდან მის შთაგონებაზე განსაკუთრებით ტიციან ტაბიძეს და გი-

ᲒᲣᲠᲐᲛ ᲐᲡᲐᲗᲘᲐᲜᲘ

„ᲕᲘᲜᲪ ᲙᲐᲪᲘ ᲘᲧᲝ ᲓᲐ ᲚᲔᲥᲡᲘᲡ ᲘᲪᲘᲡ“

ორგი ლეონიძემ მოახდინეს გაკვლევა. ზოგიერთ მის ლექსში აშკარად ჩანს „ლექსი მეწყერისა“ და „ნინოწმინდის“ ზემოქმედების კვალი.

ეს არც არის გასაკვირი: ამ ასაკში ყველა ცდილობს წინამორბედთა გამოცდილების შეთვისებას.

საკვირველია ის, რომ 26 წლის პოეტმა, რომლის გვერდით ჩვენი დროის აღიარებული ლიდერატორები იდგნენ, მაინც მოასწრო თავისი განსხვავებული სიტყვა მიეწოდინა მკითხველისათვის.

არიერთგზის აღნიშნულა ლადო ასათიანის ლექსისთვის დამახასიათებელი გამოხატვის სილაღე, უშუალობა და ინახიანი კილო.

მართლაც, ყველა ეს ნიშანი მისი მანერის ორგანულ თვისებად იქცა.

მაგრამ პოეტური ორიგინალობის თვალსაზრისით ლადო ასათიანის შემოქმედებაში მთავარია არა თავისთავად გამოთქმის ეს გარეგანი ნიშნები, არამედ ის მძაფრი, მტკივნეული შინაგანი განცდა, რომლის ხარჯზეც და რომლის დაძლევის შედეგადაც არის მოპოვებული მისი ლექსის ამვარი ინტონაცია.

არ უნდა გამოგვრჩეს მხედველობიდან, რომ ლადო ასათიანის თითქმის ყველა ლექსის მაგორული ტონალობას გადალახული სევდა უდგეს საფუძვლად. მართალია, ეს ჰატეგი ამ პოეტისად უარყოფილია, გაუქმებულია (სხვა, უფრო ძალუმი მოტივთან), მაგრამ იგი ამ სახითაც არ წყვეტს თავის არსებობას, მაინც იგულისხმება და, როგორც ფარული თემა, ქვეშეცნეულად მოქმედებს მკითხველის გაკუნთებულ ბაკუნებზე.

სწორედ განცდის ეს ერნაგანი სიღრმე ამდიდრებს ლადო ასათიანის ლექსის ემოციურ შინაარსს და მას განუმეორებელ, ინდივიდუალურ ელფერს ანიჭებს.

სვეტლანიკი ადამიანის ოპტიმიზმი ოშვიათად იწვევს თანაგრძნობას. ეიფლბოთა ჩიკილიც მხოლოდ სიბრალულს მოიკვლევია.

სრულიად სხვაა ბაკანი, რომელსაც ჩვენში საკუთარი ეწუხარების დათრგუნვით მიღწეული სიცოცხლის, სიხარულის, მარადიული ბრძოლისა და განაზღვრების ხალისანი რწმენა აღძრავს.

ასეთი პოეზია სიმხნეკენ მომნოდებელია.

ლადო ასათიანის პოეტური ბუნებისათვის არსებითად უცხო იყო „გულამოსკვნილი სიმღერა“. მართალია, ბევრ მის ლექსში გარკვეული ეკრანნობა იმ მიჯნასთან მიახლოებაა, რომლის იქით პოეზიას შეუკავებელი ქვითინი ან წრეგადასული აღფრთოვანება ცვლის, მაგრამ ახალგაზრდა პოეტს (ყველაზე მძაფრი პოეტური ფეტქნის დროსაც კი) იშვიათად დაერღვევინა ეს სახიფათო ზღვარი.

ქარიფელ კაკს გამხნევება სჭირდება.

მან უნდა იცოდეს, „საიდან მოვიდა“, უნდა სჭერდეს თავისი აბქეკეფნიერი მოწოდების, უნდა სწამდეს, რომ მის სხეულში მამა-ბაბანა უდრეკი სული არსოდეს დაკარგულა.

ეს კარგად ესმოდა ლადო ასათიანს და ეთქვა თავისი ნიკი და ჯაბუკური ტემპერამენტი ამ რწმენის გაღვივებას შეალია.

დაუკარით! ჯერ ხომ სისხლი გვიდგას
ძარღვში,
ჯერ ხომ საროს ფოთლები არ გასცვენია,
ჯერ ხომ მცხეთის სვეტიცხოველს დიდ
ტაძარში
საქართველოს ცხელი გული აკვენია!

დაუკარით და იმღერეთ ისე მაგრად,
რომ ფილტვები გვეტკინოს და დაგვეტეროს!
დაუკარით, რომ ჯაბუკნი ვიყოთ მარად,
რომ ცხოვრებამ ვერასდროს ვერ დაგვაბეროს!

ამ სტროფონებში მარადიული ახალგაზრდობის თემა (ატარის ბიერ ინტიმურად გაღვიძული და გაგაზრებული) ფართო ეროვნული აზრითაც იტერთება და ამრიგად მძაფრი, ისტორიულად აქტუალური მოწოდების მნიშვნელობას იძენს.

გიორგი ლეონიძის შემდეგ ჩვენს პოეზიაში სწორედ ლადო ასათიანმა სევდა და შეძლო ეიდეე განსაკუთრებული სიმძაფრით გამოეხატა ქართული ხასიათის უბერებლობა, თავისებური დრამატიზმი შეიტანა ამ განცდაში და ერთხელ ეიდეე დაგვარწმუნა, რომ არე ეროვნულ ასაკს და არე ისტორიის უფიმეშ ქარტეხილებს არ გამოუფიტავთ ჩვენი სასიცოცხლო ძალები.

განსაკუთრებული ეერი დაჰკრავს ლადო ასათიანის პატრიოტულ ლირიკაში. ქართული პოეზიის ამ ტრადიციულ ოაზისში ნამ შეიტანა ყოფნა არ ყოფნის ეველისძველი მოტივი, რომელიც ჯაბუკური უშულობით დაუკავშირა მამულისადმი ერგოგლუბისა და თავდადების იდეას.

ლადო ასათიანმა შეძლო უბრალო პასუხი გაეცა იმ კითხვაზე, რომელიც მას სიმამწეველიდან აწუალებდა. სიკვდილ-სიცოცხლის მძაფრმა დილემამ სრულიად ბუნებრივი გამოსავალი პპოვა მის ლექსში:

თავს არ მოიკლავს ქართველი, არა!
ის შეიძლება ბრძოლაში მოკვდეს
ერთი იმედით: სიცოცხლე მარად
გაგრძელდეს ქვეყანად და განმეორდეს!

ლადო ასათიანის ლექსს ერთი იშვიათი თვისება აქვს. იგი აღელვებს ისეთ მკითხველსაც, რომელიც ჩვეულებრივ „ეუდგრილია“ პოეზიისადმი.

ასეთი ბედის პოეტები იშვიათად იბადებიან. საბედუბარიოდ, ბევრი მათგანი უმოწყალოდ ძარცვავს თავის ნიჭს დაბალი გემოვნების საამებლად და წერილმანებზე ხერხდებიან.

ლადო ასათიანისათვის პოპულარობის მოპოვება თვითმიზანი არ ყოფილა. მკითხველის სი-

ყვარული მან დაიმსახურა არა იაფფასიანი მშვენმეტყველებით, არა მეშრანენ სენტიმენტალობაზე, ურასატრიოტულ ან სხვა სუსტ გრძნობებზე თამაშით (თუმცა ზოგი მის პოეზიაში სწორად ამგვარ განწყობილებათა საზრდოს ეძებს), არამედ იმ უტყუარი, ხალასი სიტყვით, რომელიც სანთელ-საკმეველივით ყოველთვის აგნებს თავის ჭეშტს.

მან შეძლო ქართველი ადამიანის სულის უფაქიზეს სიმებს შეხებოდა, მის კეთილშობილურ ინსტინქტებზე ემოქმედნა და თავისი მეთხველის ცნობიერებაში ჰუმანურობის, კაცთმოყვარეობის რომანტიკული იდეალები გაელვიძებინა.

ლადო ასათიანისთვის ლირიკა, საერთოდ პოეზია იყო არა მხოლოდ თვითგამოხატვის, არამედ მკითხველთან გულითადი საუბრის და კიდევ უფრო მეტად მისი აღფრთოვანების, შთაგონების, სულიერი აღზვევების საშუალება.

ამის გამო ის დაეინებით ეძებდა ყველაზე უფრო სადა, ბუნებრივ, ჩვეულებრივი მეტყველებისათვის ორგანულ სიტყვებს. ბუნებრივი ინტონაციის მიღწევა წარმოადგენდა პოეტის ერთ-ერთ უმთავრეს საზრუნავს.

ლადო ასათიანის სტილი მისი დროის ახალგაზრდა ქართველი კაცის აზროვნების, გრძნობებისა და მეტყველების სტილია. ასე მსჯელობდნენ მაშინ ცხოვრების ე9-კარგზე, ასე საუბრობდნენ სიყვარულზე, ასე ფიქრობდნენ წარსულზე და მომავალზე.

პოეტმა სული — თაობის სარკეა, და როცა ოცდათი წლის შემდეგ ყურს უგდებ მის ხმას, როცა ისევ გესმის ეს გულითადი ძახილი: „ჰეი, ძმობილო, შეხედე, რამდენი ყაყაჩო გაწლილა!“ — კიდევ უფრო მწყვედე და აშკარად გრძნობ, რა კარგი ბიჭები დადიოდნენ შენამდე „ქართლის გზაზე“, რა ცოტა ყოფნიდათ ბედნიერებისათვის!

ლადო ასათიანი ქართველ პოეტთა იმ თაობას ეკუთვნოდა, რომლის ეემოვნებას ითვითვე სისადავისა და სინთალის მყარი პრინციპები დაედო საფუძვლად. „ცისფერყანწელებისა“ და „მემარცხენეებისაგან“ განსხვავებით, მას არ გაუელია რთული ფორმალური ექსპერიმენტების სკოლა.

ქართული ლიტერატურა ამ დროს გარკვეული ადგა ხალხურობისა და რეალიზმის გზას.

ტიციან ტაბიძის მოწოდება („ისე უბრალოდ, როგორც მეტრანზე“...) განხორციელებულ სინამდვილად იქცა.

არა რთული სიმბოლოება და მინიშნებები, არა იდუმალი ნახევარტონები, ან ზაეერი ბგერწერა, არამედ სადა, წრფელი, ყველასათვის გასაგები „ნადი“ სიტყვა წარმოადგენდა ამ დროს პოეტების ლეზუნგ და ძიების საგანს.

ეგა ფშაველას გარდაცვალებიდან თეითოდ წლის თავზე პოეტორობის იდეალად კვლავ მიწასთან, ხალხთან, მშობლიურ ფესვებთან სიახლოვე იყო აღიარებული.

ეს სიახლოვე იგრძნობა ლადო ასათიანის ბევრ ლექსშიც. უბრალოება იყო მისი პოეზიის არა შემენილი, არამედ თანდაყოლილი თვისება.

სიტყვის სინდღვე მას თან მოყვა, რადგან თავისი ბუნებით ის სიცოცხლის, მიწის, ამქვეყნიური მშვენიერების მომფრალი იყო.

ერთ თავის უსათაურო ლექსში ლადო ასათიანმა ასე გაგვანდო ბუნებასთან სიახლოვის ცხოველი გრძნობა:

მე მიყვარს, როცა ყანაში გახვალ
და მოგაგებებს სიმინდი ლახვარს.
მე მიყვარს, როცა ყანაში ვახვალ
და დილის ნამით გაილუმპები...
თუ ეს ერთხელაც არ განგიდგა,
სიტყვის უთქმელად დაიღუპები.
ან რაც იწყებ სიმინდის მორდს
და ფეხზე სველი მიწა გეყრება...
თუ ეს იგრძენ, ცხოვრების ბოლს
ცერიანი სიტყვა არ გაგეყრება.

ლადო ასათიანს ეკუთვნის რამდენიმე პოეტური სახე, რომელიც ზედან ივლვარებს ქართული სიტყვაკაზმულ მწერლობაში.

რამდენ პოეტს აწვალებდა საქართველოს ველ-მინდვრებზე ხანძარივით აბრიალებული ჰატარა ყვავილის ხილვა, რამდენი თვალი მოუტაცია მის შეუდარებელ სილამაზეს!

„კრწანისის ყაყაჩოს“ ავტორმა თითქოს მიაგნო მათ ფარულ აზრს, მიეხვდა, იგრძნო და ჩვენც გაგვიზიარა ამ სილამაზის საიდუმლო:

შაგრხიანო ვაჟკაცო, ჭრილობა ხომ არ
შეგტხენია?
ეს სისხლი არის თუ მართლა ყაყაჩოების
ეცხლია?

ყაყაჩოს შუქი პოეტისათვის ჩვენს მიწაწყალზე დაღვრილი მაგდის, კდემამოსილების და ამპარსან ერთად რაინდული გზების სიმბოლოა იყო.

მას სწამდა ამ დიდი სინათლის უკედავებისა და სჯერთდა, რომ მის შემდგომ მაკალ მომმეთაც „იეეთეთ დაებედებოდათ“ დედამუნებია ალრესანინ ლიმილი.

თავისი სულიერი წყობით ის ძველი, გულსაწყალი, დიდპირთამომენი, მაგრამ ყოველთვის ლაღი და შეშფოთებული საქართველოს ღვიძი შვილი იყო...

როდესაც წყალტუბოს გზით ცაგერისკენ მიმავალი მგზავრი პირველად მოხვდება ლეზნუმში, ნახევარ გზას ისე გაიგლის, ვერავითარ ცვლილებას ვერ შეამჩნევს გარშემო.

პირველი შეხედვით აქ თითქოს ყველაფერი ნაცნობია — რელიეფიც, ჰაეც, მოსახლეთა

ბაბრამ ასათიანი

„ვინც კაცი იყო და ლიტასად იქცა“

ერიც. იმერეთიდან გამოყოფილი ბუნების მოსიყვარულე მზერა ისე ეთმა ბახლავს და ყოველი შეშფოთების გამოხდეადნი ამოიკითხება.

მხოლოდ თანდათან მიხვდები, რომ ეს უკვე მთიანი სამყაროა. ბგრძნობ ფერებისა და კონტურების ჩაკეტ სინატიფეს, სუბრის დადინჯებულ კილოს, სისეფთავეს, მწვეტყველებიდან მომწყდარი სიგრილის, ანკარა წყაროების მოახლოებულ სუნთქვას — ბუნების მოულოდნელ გაკეთილშობილებას და უეცრად პირველქმნილი სილაღისა და სისადავის დიდი ხნის განუცდელი შეგრძნება დაგიმორჩილებს.

ლადო ასათიანი მე კარ მინახავს, მაგრამ რამდენიმე წლის წინ მის მშობლიურ ბარდნალაში გაზაფხულს შევესწარი. ძველი ოდის ინეიდან თვალი შევავლე გაღმა სოფლებში აფეთქებულ მსნლის ხეებს და ოდესღაც მათი მჭრკალი შექი სულის სილრმეშიც ჩაიფარა, როცა ყველაფერი ირეკლილ ქალწულებრივი კდემით აენთო, მიეხედა, სიდან მოპყავ ბის სტრიქონს ამდენი სითბო და ანდამატური მგზნებარება.

მთიელები ძნელად ეგუებიან დაბლობებში გაშენებული ქალაქების ჰავას...

ლადო ასათიანს სიცოცხლის ბოლო წლებში განსაკუთრებული სინაზით აგონდებოდა თავისი მშობლიური კუთხე, ნამაშვრის წისქვილები, პაპის ხელით გაჯოჯოვილი ტახტი და ოთახის ბინდბუნდში მთელმარე ცისფრად მოციქული პატარა დოქი, რომელიც მან თავის ლექსში უკვდავყო:

თავაწეული, ზვიადი, განა ჩია და საწყალური?
თვალნათლივ მახსოვს ჩვენს სახლში, ერთი ცისფერი სარწყული.
გარშემო ლაჟვარდისფერი სინათლის მიმოფენელი,
იჯდა პატარა სუფრაზე ისე ვით ლერჯი ფრინველი.
ისე ვით ლერჯი ფრინველი ვეება თეთრი ნისკარტით...
ჩვენ სადილს შეეექეცოდით, უკვდავების წყალს ეისხვლდით.
...და ახლა, როცა უმწეო ვდგავარ უფსკრულის ნაპრთან,
როცა ცხოვრებამ გამთელა და სიმწლის სენმა დამფლითა,
როცა ცხელების ალმურში გაგიეგებამდე მაბოდეს,
რასაც ტიკვებზე მღეროდნენ, რასაც წისქვილში ამბობდნენ, —
ყველა შენ განატრულმ, რომ მყრდზე სიცოცხლის წყარო მასხერო,
ბავშვობასავით ცისფერო, მამაპაპური სარწყულო!

არაერთგზის მიბრუნებია პოეტის ფიქრი ბარდნალის ბორნებს და თონეებს, მშობლიურ კერაში მოგუგუნე ცეცხლს და ფიქვის საკალმახე ლამპრებს... მაგრამ ყველაზე დიდი ცეცხლი მის შთაგრნებას მაინც თბილისისადმი ერმა ჰავამ წაუკიდა.

ბევრ ქართველ პოეტს უმღერია თბილისისათვის.

არსებობს ვახტანგ მეექვსეს თბილისი, გრიგოლ ორბელიანის, გრიშაშვილის, გალაკტიონ ტაბიძის და ცისფერყანწელების თბილისი.

არც ახლ თბილისს დაკლებია პოეტების ყურადღება.

ლადო ასათიანის თბილისურ ლექსებს ერთი დამახასიათებელი თვისება გამოარჩევს. აკაკის ფაეფერო ქალაქიდან ჩამოსული ჰაბეკი (სადაც მან სტუდენტობის წლები გაატარა) თავისი სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე რადაც დაუცხრომელი, დღესასწაულებრივი ღელვით გაწიცდიდა საქართველოს დედაქალაქში ყოფნას. მის ლექსებს თან ახლავს პირველი ხილვის სიმძაფრე, რაც პოეზიაში უცხოელესი განცდის დამბადებელია.

„დიდი თბილისელებიდან“ მას განსაკუთრებით ნიკო ფიროსმანიშვილის სახე ბიბლიადა. ფიროსმანი იყო თითქმის განუყრელი თანამგზავრი პოეტის შთაგონებისა.

დიდი სიეარულით გაიცოცხლა მან მისი სახე, ავტობიოგრაფიული შტრიხები შეიტანა მის პორტრეტში და თითქოს თავიდან განიცადა „საწყალი ნიკალას“ ხტეიალი და მარტოობა.

...მოკვდა თუ არა, ყველამ აცხონა,
ცოცხალი არეინ არ მიიკარა.
მე ფიროსმანის ქუჩაზე ვცხოვრობ
და ყოველ დილით ვხედავნ ნიკალას.

ძილგატეხილი და არეული
ჭიქა არაყით გაიტეხს მადას,
მერე მეკრთება ვით მოვარეული
და ორთაპალის ლამაზებს ხატავს.

პოეტები სულ უფრო ეშვითად ჩჩდებიან თბილისის ეუნებში. ისინი უმეტეს დროს სხვადასხვა დაწესებულებებში ატარებენ და ღღის ბოლოს ჩვეულებრივ მანქანით უბრუნდებიან თავიანთ ოჯახებს.

რუსთაველის გამზირს ახსოვს ტიციან ტაბიძის მიხაკიანი მკრდი და მის ფილქანზე სამუდამოდ ალბეჭდილია ლადო ასათიანის მკრთალი ნაფეხურები.

რუსთველის პროსპექტზე სიარულ•
ნე მომიშალოს ღმერთმა,
ვიყო მუდამ ასე მხიარულ.,
ქართველი პოეტი მერქვას...

ეს იყო თავისებური რიტუალი, რომელიც ალბათ მალე დავიწუყებას მიეცემა.

ლადო ასათიანი თბილისური სარდაფების და „გრილი დუქნების“ ხშირი სტუმარიც იყო, გულს უნათებდა „შუა ბაზრის“ სიკრეტ, სა-

ხაპაზოში თეთრი ლავაშის აფრენა, ქორფა მწვანილი და სუფუთმიანი კრავების ანველოსური გამოხედვა. მაგრამ „თბილისის კართან დგომას“ ის პირველ რიგში ჭაბუკი მეცხოვნის თრთოლვით განიცდიდა, თითქოს გამუდმებით ესმოდა არაგველთა გმინვა და ცხრა ძმა ხერხულიძის ქედფიცხელი ცხენების ჭიხვინე, სასოებით შეპყურებდა მეტეხის გუმბათს და ისევ და ისევ თავის ძველ საფიქრალს უბრუნდებოდა.

დროს ყოველთვის თავისი მიაქვს. იცვლება მკითხველის გემოვნება. იცვითება სიტყვები, ანგი ედება პოეზიის უძვირფასეს სამკაულებს.

არ ბერდება უბრალო ადამიანური გრძნობა, რომელიც გულს მოსწყდა და ლექსად ჟაღღარა.

პოეტის თავდადება დავიწყებას არ ეძლევა.

ლადო ასათიანი ბრძოლის ველზე არ დაცემულა მუდა. მაგრამ როგორც პოეტი, ის მაინც ... წინაპართა მეომრულ უკვდავებას ეზიარა, რაც-გან თავისი ლექსით, თავისი დაუღალავი სიმღერით ზედ დაკვდა ქართულ მიწას, მის სიყვარულში, მასზე ფიქრით დაიფერფლა და ეს ჭაბუკური თრთოლვა ჩვენც გადმოგვდო...

...რა ქართველი ხარ და რა ჭაბუკი,
თუ მამულს თავი არ ანაცვალე?
ეს აწვალებდა ცოტნე დადიანს,
მეც ქართველი ვარ და ეს მაწვალებს!

საინტერესოა, რას ფიქრობენ ამ სტრიქონებზე დღევანდელი ოცდაექვსი წლის ქართველი ბიჭები?

ეროვნული ბიბლიოთეკა

თეიმურაზ ფანჯიკიძე

ქრისტიანული რელიგიის კრიზისი დასავლეთში

მეოცე საუკუნეს ხშირად რეციოლეციების, მეცნიერებისა და ტექნიკის საუკუნეს უწოდებენ, მაგრამ თუ მას სხვა ნიშნებითაც დავახასიათებთ, იგი რელიგიის კრიზისის, ოყვეისა და დაცვის საუკუნეცაა. ჩვენს პლანეტაზე მომხდარმა უდიდესმა სოციალ-პოლიტიკურმა ძვრებმა, დიდმა მეცნიერულმა აღმოჩენებმა, ტექნიკის ინსპირულ წინსვლამ ძირი გამოუთხარა რელიგიის ძლიერებას, მნიშვნელოვნად შეარყია მისი სფუძვლები. წარედ ის დრო, როდესაც რელიგია განუყოფელად ბატონობდა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროზე, როდესაც ქრისტიანობას შეეძლო დაეყენებდა ჩაეხშო ყოველი მოწინააგე. პროგრესული აზრი, მკაცრად განაწარებოდა თავის იდეურ მოწინააღმდეგეებს, ციხეში გამოეწყვედა მეცნიერები, რომელთა აღმოჩენები ეწინააღმდეგებოდნენ "საღმრთო წერილის" დოგმებსა და კანონებს; უკვე დიდი ხანია აღარ გიზგიზებს კოცობები "ერეტიკოსებისა "და "კეფდანების" დასაწვავად.

ქრისტიანული ეკლესია ახლა იძულებულია, მოჩვენებით მაინც, მიეცალოს მეცნიერულ აღმოჩენებს; ზოგჯერ თვითონაც კი იზრუნოს სამეცნიერო კონფერენციების მოწყობაზე. გამოვიდეს მშვიდობის, პროგრესისა და დემოკრატიის დამცველის როლში. მაგრამ ეს სიახლენი ვერ აცოცხლებენ მის. დაძაბუნებელ სხეულს. წლიდან წლამდე ეკლესიის თანამბინი მორწმუნე შორდება, განუწყვეტად დაეცა მისი ავტორიტეტი ხალხს მასებს შორის. იგი ვეღარ აკმაყოფილებს ადამიანთა გაზრდილ მოთხოვნილებებს, რადგან ვერ პასუხობს იმ მეკითხ, სოციალურ პრობლემებზე, რომელთაც თანამედროვე საზოგადოება უყენებს ადამიანებს. ქრისტიანობის კრიზისი ისე ძლერია, რომ ამას თვით რელიგიის მესვეურნენ ვეღარ მალავენ.

მაგრამ, მიუხედავად ამ სავალალო მდგომარეობისა, რომელშიაც ქრისტიანული ეკლესია იმყოფება, მისი იგნორირება და სათანადოდ შეუფასებლობა მოეტეეგებელი შეცდომა იქნებოდა. ქრისტიანული ეკლესია კრიზისს განიცდის, მაგრამ მისი საბოლოო დამარცხებამდე ძალზე შორსაა. ეკლესიას ჯერ კიდევ მრავალი მილიონი მომხრე ყავს. მის ხელშია აუარბელი ათმდიდრე, პრესა, რადიო, ინსტიტუტები, კოლეჯები, ათასგვარი პოლიტიკური თუ რელიგიური ორგანიზაციები, პარტიები; და ბოლოს, იგი პირდება ბერეეეანის, გბატონებულ ელასს თავისი პრივილეგიების შესანარჩუნებლად. მართებულად წერდა ცნობილი ინლისელი ფილოსოფოსი და საზოგადო მოღვაწე ბერტრან რასელი: „ქრისტიანული რელიგია ჯერ კიდევ ჩრდა პროგრესის მთავარ მტრად"[1].

ამასთანავე, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ისინი, ვინც ეკლესიიდან იჩენენ ოფიციალური ქრისტიანობისადმი, ყველა როდი თავისუფალი რელიგიური შეხედულებებისაგან; კაპიტალისტური საზოგადოების საკადრო მნიშვნელოვანი ნაწილი ჯერ კიდევ იმყოფება ცრურწმენების ტყვეობაში. ამასთან დაკავშირებით საინტერესო მასალას გვაწვდის ფრანგული ეურნალი „პარი-მატჩი", რომელიც წერს:

„არასოდეს, დაწყებული 1000 წლიდან, ისე ძლიერი არ ყოფილა იმქეკნიერი ძალებისაკენ ლტოლეა, როგორც დღეკანდელ დღეს, საფრანგეთში დღითიდღე იზრდება სექტების რიცხვი. „შავი წიგნებსა" გამომცემელთ აყვავების ეამი დაუდგათ. სოციალეთ მომრაელნენ ყველა ჯერის მეთხავები, ენინსწარმეტყველნი და ხორომანტები, რომლებიც პრეტენზიას აცხადებენ, მხოლოდ ჩვენა ვართ მაგიერ სიდუმლოებთა მფლობელნიო.

განსაკუთრებით ვითარება სახელი საფრანგეთ-

[1] Б. Рассел. «Почему я не христианин», Москва, 1968, стр. 29.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ში მარსალის სექტამ, რომელსაც წინამძღვრობს ვინმე მორის ყერარი. ახლად მოვლენილი მესიის „თეორიული პლატფორმა“ წარმოადგენს სხვადასხვა მოძღვრებისა და სახელების ნარევს, დაწერილია ეფსო ქრისტეთი და დამოვრებელი... ჰიტლერით. თვითონ ყერარი მოელი ნარკოზოლობით აცხადებს, განსაკუთრებით მიტაცებს მეთვრამეტე საუკუნეში გარდაცვლილ ბრაუ სენ-ეკრიმენთან საუბარით.

1967 წელს საფრანგეთში „ემმაელის წინასწარმეტყველთა“ შემოსავალმა 15 მილიონ ფრანკს გადააჭარბა. ჟურნალის აზრით, ეს ციფრი იმ ფულის მხოლოდ პატარა ნაწილს ასახავს, რაც ამ ყალთაბანდებს აქვთ ჩაბიბული. საკმარისია დაფუქვიდეთ, როგორ ვიზიზიდა ავგაროზებით, სუფცხო ნელსურნელებათა და მაგიის სხვა ატრიბუტებით მოვაჭრეთა მოვება, რომ ეჭვი აღარ შეგვეპაროს ამაში. გარდა ამისა, გამოდის უამრავი ჟურნალი. რომლებიც გატენილია ჯადოქრების, სხვადასხვა წინასწარმეტყველებთა და შეგონებით“[1].

მეორე, არანაკლებ საინტერესო ცნობას იძლევა დასაღლეთ გერმანიის ჟურნალი „ქრისტალი“, რომელიც 1961 წლის ერთ-ერთ ნომერში ქვეყნაოლერით: „ცნობები და დოკუმენტები ნაოელმძღვანელობის, სპირიტიზმისა და ოკულტიზმის შესახებ“ წერს, რომ „აშშ-სა და ევროპაში 20 მილიონამდე სპირიტი ცხოვრობს.

სხვა ცნობებით, ამჟამად საფრანგეთში 34 ათასი წინასწარმეტყველი და ხიროსანტი საქმიანობს; ამჟამად მარტო პარიზში მათი რიცხვი 6 ათასია; გამოთვლილია, რომ ისინი ყოველ-დღიურად დაინტერესებულ პირებს 50 ათასზე ეძლევენ. ედინბურგის უნივერსიტეტის ერთი პროფესორის მტკიცებით, მოტანდიანი ცხოვრობს 80-მდე ქალი, რომლებსაც ღრმად სწამთ, რომ ისინი ჯადოქრები არიან[2].

რა ხდება, რატომ შეაქცია ზურგი ათასობით ადამიანმა ოფიციალურ ქრისტიანულ სარწმუნოებას და სულის ხსნისგოდ სხვა საშუალებას რად მიმართავ? სხვას რომ თავი დავანებოთ, რას აკეთებს ამ დროს კათოლიკური ეკლესია, რომელიც მეთვრამეტე საუკუნის ბოლომდე კოცონზე დაწვით ემუქრებოდა ყველას, ვინც ჯადოქრობაში იყო შეჭრილი. შავი მაგია და ჯადოქრობა ხომ უმძიმეს დანაშაულად ითვლებოდა და მის წინააღმდეგ მოქმედი მკაცრი კანონი მოელ ევროპაში მოქმედდა. რასაკვირველია, ახლა ეკლესიის არა აქვს საშუალება ასე „ეფექტურად“ იბრძოლოს მოძალებული „ცრურწმენების“ (თავისი რწმენისაგან განსხვავებით სხვა რწმენის ორთოდოქსალური წელიადის მიმდევარი ცრურწმენის უწოდებენ) წინააღმდეგ. ეკანდან ოფიციალური ეკლესია მოკალებელია ასეთი საშუალების გამოყენების შესაძლებლობას, ახლა იგი ცდილობს, სხვა, უფრო მოქნილი და შენიღბული მეთოდებით იმოქმედოს. მაგრამ, ეკლესიის მესვეურთა საშუბარიოდ, ამ ახალი საშუალებებითაც არაფერი გამოდის. ოფიციალური ეკლესია აშკარად დაცემის გზაზეა.

ოფიციალური ქრისტიანული ეკლესიის კრიზისი

ოფიციალური ქრისტიანული ეკლესიის კრიზისს ფიეს ყველა აღიარებს, ქრისტიანობის მტერიც და მოყვარეც. თვით რომის პაპი პაველ VI თვის 1969 წლის 10 სექტემბრის გამოსვლაში უჩიოდა ადამიანთა უნდობლობას და ეჭვს ეკლესიისადმი. მისი აზრით, მორწმუნეთა ეჭვსა და უნდობლობას მიეკეკვნო რწმენის კრიზისამდე. ეს მდგომარეობა პაპის მიხედვით, ზოგს უბიძგებს აქტიური წინააღმდეგობისაკენ, ზოგს — გულგრილობისაკენ. თუ რამდენად ღრმა ეს კრიზისი, ამას ნათელყოფს ავონ დე ვეიანის წერილი დაბეჭდილი ფრანგეთ ყოველკვირეულ „ხუელ ობსერვატორში“. „თავისი ანსიბრძის მანძილზე ეკოოლიკურ სარწმუნოებას ბევრი რეკვა განუცდია, — ამბობს დე ვეიანი, — მან შეითვისა და ასიმილაცია უყო ბევრ შინაგან ქარიშხალს, მაგრამ ახლა, თვით ოპტიმისტებიც კი სამენ კითხვას, ხომ არ არის ახლანდელი კრიზისი ყველაზე უფრო ღრმა, მათ შორის, რომელიც კი კათოლიციზმს ოდესმე განუცდია“.[1]

ოფიციალური სარწმუნოების კრიზისს ადასტურებენ სოციოლოგიური მონაცემები. მაგალითად, პარიზის ერთ-ერთი რაიონის გამოკვლევისს ნათელი ვახდა, რომ ეკლესიაში მოსახლეობის მხოლოდ 1/8 დადის. მათ შორის ყველაზე მეტია მუშების რიცხვი. გამოძაგარსებით, 100 მორწმუნეედან მუშა მხოლოდ ორია. სენტ-ანთონეტის რაიონის სამწყსოს მღვდელი იძულებული აღიაროს, რომ მოსახლეობის ორ მესამედს კონტაქტი არა აქვს ეკლესიასთან. პარიზში ნათლავენ ბავშვების მხოლოდ 60%, დაახლოებით ამდენივე პროცენტი სწავლობს კატეხეზისს. სოციოლოგები ამტკიცებენ, რომ რეალიურ წესებს შუამეავ! იცავს მოსახლეობის მხოლოდ 12%. წლიდან წლამდე მცირდება მღვდლების რიცხვი. იზრდება სამოქალაქო ქანაშვიდებისა და შესაბამისად ეკლესიური ქანაშვიდების რიცხვი[2].

[1] იხ. Д. И. Давыдов. «Бурный год»; «Наука и религия», 1970 г. № 1.

[2] იხ. Е. Маят. «Париж глазами атеиста»; «Наука и религия», 1968 г., № 8.

[1] იხ. А. Лавров. «Снова — маги», «Литературная газета», 8. I. 1969 г.

[2] იხ. В. Ф. Зыбковец. «О черной и белой магии», Москва, 1963 г., стр. 120-121.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ რას წარმოადგენენ თვით ის მორწმუნენი, რომელთაც ოფიციალური ქრისტიანული ეკლესია ჯერ კიდევ თავის სამწყსოდ თვლის? პასუხობენ ისინი ყველა იმ მოთხოვნას, რომელთაც მათ „კატეხიზოსი“ უყენებს? აქვთ თუ არა ის ნიშნები, რაც ორთოდოქს ქრისტიანებს ჰქონდათ შუა საუკუნეებში? ამ კითხვებზე პასუხს გვაძლევს სოციოლოგიური გამოკვლევა, რომელიც საზოგადოებრივი ინსტიტუტის მიერ დასავლეთ გერმანიაში, ქალაქ ბილეფელდში ჩატარდა. გამოკითხული იქნა 18-დან 70 წლამდე 2037 მოქალაქე. გამოკითხულები ისე იყვნენ შერჩეული თავისი სარწმუნოებით, განათლებით და ოჯახური მდგომარეობით, რომ გამოხატვდნენ დასავლეთ გერმანიის მოსახლეობის ძირითადი მასის განწყობილებას. დასმული იქნა 70-ზე მეტი შეკითხვა, რომელთა შინაარსი ძირითადად ასეთი იყო: „გწამთ თუ არა ღმერთი?“ „რას ფიქრობთ იესო ქრისტესა და მისი მკვდრეთით აღდგომაზე?“, „რა აზრისა ხართ ჯოჭოხეთსა და განსაწმენდელზე?“, „თელნი თუ არა ბაპს უცოდველად?“, „უნდა მონაწილეობდეს თუ არა ეკლესია საზოგადოების პოლიტიკურ ცხოვრებაში?“ და სხვ. მიღებული მასალები დაამუშავეს და შედეგები გამოქვეყნდა ჰამბურგის ყურნალ „შპიგელში“. შედეგები, ერთი შეხედვით, ცოდი არ არის ეკლესიისათვის; გამოკითხულთა 97 პროცენტმა განაცხადა, რომ მორნმილულია. აქედან 94 პროცენტი ეკუთვნოდა ევანგელიურ ან პროტესტანტულ მიმართულებას, 86 პროცენტს ეკლესიაში უქმრენია, ხოლო 50 პროცენტი დადის ეკლესიაში ხალოვადად.

მაგრამ, როგორც თვითონ ჟურნალი აღნიშნავს, ეს ციფრები სრულებითაც არ გვიჩვენებენ იმ რეალურ მდგომარეობას, რომელიც მორწმუნეთა ნამდვილ რელიგიურობას გამოხატავს, მათ მიღმა სულ სხვაგვარი სურათი იმალება.

გამოკითხულთა ორმა მესამედმა უპასუხა, რომ სჯერა ღმერთის არსებობა; აქედან 22 პროცენტს სწამს „რაღაც უმაღლესი არსებაა“; 10 პროცენტი უარყოფს ყოველგვარ რწმენას ღმერთის ან უმაღლესი არსებისა. აღსანიშნავია, რომ ბევრ მათგანს ღმერთი თავისებურად ჰყავს წარმოდგენილი, ანა ისე, როგორც თეოლოგებს. ხშირია იმედგაცრუების შემთხვევებიც. ასეთ შემთხვევაში ტიპიური პასუხია: „ღმერთმა არ მიშველა ყველაზე მძიმე მომენტში“.

კითხვაზე — საიდან წარმოიშვა ადამიანი, პირველი ადამიანების — ადამისა და ევასაგან თუ იგი შედეგია ცხოველთა სამყაროს ხანგრძლივი განვითარებისა, როგორც ამას ეკოლუციის თეორია გვასწავლის — პროტესტანტული მიმართულების 62 პროცენტმა უპასუხა, რომ სჯერა ადამიანის წარმოშობა ადამისა და ევასაგან. იგივე პასუხი გასცა კათოლიკეთა 76 პროცენტმა. ამ კითხვაზე დადებითი პასუხი გასცა სახალხო სკოლების მოსწავლეთა 62 პროცენტმა, საშუალო სასწავლებლების მოსწავლეთა 37 პროცენტმა და საშუალო სკოლადამთავრებულთა 26 პროცენტმა (ყურადღება მიგიქციოთ იმას, განათლების დონის ზრდასთან ერთად როგორ იზრდება ევოლუციის თეორიის პოპულარობა).

გამოკითხულთა ორმა მესამედმა უარყოფოდად უპასუხა კითხვაზე — შეკმაურეთო თუ არა ღმერთის არსებობაში ეჭვი, მაგრამ ერთ მესამედთან ასეთ ეჭვებს ადგილი ჰქონდა.

კითხვაზე „თელნი თუ არა თქვენს რელიგიას ერთადერთ სწორ სარწმუნოებად“, გამოკითხულთა ნახევარზე მეტმა — 52 პროცენტმა, უპასუხა, რომ არ თელს.

კათოლიკეთა მხოლოდ 63 პროცენტს სჯერა იმქვეყნიური ცხოვრებისა. რაც შეეხება პროტესტანტებს, ეს ციფრი მათში გაცილებით მეტია — 37 პროცენტი. გამოკითხულთა კიდევ უფრო მცირე ნაწილს სჯერა ჯოჭოხეთის არსებობა; კათოლიკების მხოლოდ 52 პროცენტს და პროტესტანტებს — 22 პროცენტს. კიდევ უფრო ნაკლებ პოპულარულია განსაწმენდელის არსებობის იდეა — კათოლიკების ნახევარზე მეტს და პროტესტანტების ცხრა მეათედს არა სწამს მისი არსებობა.

აღსანიშნავია, რომ პროცენტულად 50 წელზე გადაცილებულ ხალხს ისევე ნაკლებად სწამს იმქვეყნიური სამყაროს არსებობა, როგორც 18-24 წლის ასაკის ახალგაზრდებს.

ძალზე მრავალფეროვანი და ბრელი შეხედულებანი იესო ქრისტეზე. გამოკითხვით დადგინდა, რომ მხოლოდ 36-39 პროცენტს სჯერა, რომ იესო ძე ღვთისა იყო, რომ იგი უბიწოდ ჩაესახა მარიამს. გამოკითხულთა მეოთხედან არა სწამს ქრისტეს მკვდრეთით აღდგომა. მათი აზრით, ქრისტეს ისევე ცოცხლობს თავის შემონაქმედში, როგორც გოეთე თავის ნაწარმოებებში. გამოკითხულთა მესამედი თვლის, რომ ქრისტეს მკვდრეთით აღდგომა არ უნდა გაეგოთ ისე პირდაპირ, როგორც ეს ბიბლიაშია გადმოცემული. მორწმუნეთა ამ ჯგუფის აზრით ქრისტე, მკვდრეთით აღდგომის შემდეგ, მოჩვენებანაღვით გამოეცხადა მოციქულებს, რათა ეცნობებინა მათთვის, რომ ის აგრძელებს ცხოვრებას ღმერთთან ერთად.

გამოკითხულთა მხოლოდ 42 პროცენტს სწამს საეკლესიო მოძღვრება იმის შესახებ, რომ ღმერთმა გამოუზავნა თავისი ძე ადამიანთა ცოდვების გამოსასყიდად, რომ იგი დედამიწაზე ჯვარს აეკვა, ხოლო შემდეგ მკვდრეთით აღსდგა. 39 პროცენტი თვლის, რომ იესო ქრისტე ისევე დაიბადა, როგორც ჩვეულებრივ ადამიანები იბადებიან. მაგრამ იგი ღმერთის ძე იყო, მისგან დედამიწაზე გამოგზავნილი. 23 პროცენტმა კი ნაცხადა, რომ ქრისტე დაიბადა როგორც ჩვეულებრივი მოკვდავი, ამიტომ იგი არ შეიძლება ღმერთის ძე იყოს.

საერთო ჯამში, ჟურნალ „შპიგელის“ აზრით, თუკი გამოკითხვის შედეგებს შევადარებთ იმ

მოთხოვნებს, რომელთაც ქრისტიან მორწმუნეს კატეხეზისი უყენებს, დავრწუნდებით, რომ დასავლეთ გერმანიის კათოლიკე მოსახლეობის მხოლოდ 9,4 პროცენტი მისდევს ამ დოგმატებს. რაც შეეხება პროტესტანტებს, ეს პროცენტი მათში კიდევ უფრო მცირეა.

თუ ამე უპატივცემლოდ ეპყრობიან მორწმუნეები დოგმატს იესო ქრისტეს ღვთაებრივი წარმოშობისა და მისი მკვდრეთით აღდგომის შესახებ, მეორე კათოლიკურ დოგმატს, რომელიც ქრისტეზე გაცილებით დაბალ მდგომ პიროვნებას — რომის პაპის უცოდველობას ეხება, კიდევ უფრო ნაკლები რწმენით ეკიდებიან. გამოკითხულ კათოლიკეთა მხოლოდ 29 პროცენტმა უპასუხა, რომ სთელიან ამ დოგმატს მართებულად და აუცილებლად; 44 პროცენტი ამტკიცებს, რომ პაპი მხოლოდ პირველი ეპისკოპოსია შორის, ამიტომ საქმეების გადაწყვეტისას მას მხოლოდ ერთი ხმა უნდა ჰქონდეს. 25 პროცენტი პაპის თანამდებობას სრულიად ზედმეტად თვლის. ორი მესამედის აზრით, „პაპი არ შეიძლება უცოდველი იყოს, რადგან იგი მხოლოდ ადამიანია“.

მოულოდნელი აღმოჩნდა პასუხები რელიგიური და საერო სკოლების საჭიროების შესახებ. იმ დროს, როდესაც კათოლიკები და მართმადიდებლები ცდილობენ დასერგონ კონფესიური (რომლებიც სამღვდელოების კონტროლქვეშ უნდა იყვნენ) სკოლები, პროტესტანტების 92 პროცენტი და კათოლიკების 75 პროცენტი ასეთ სკოლებს შემაფერხებლად თვლიან ახალგაზრდობის აღზრდისა და განათლების საქმეში.

გამოკითხულთა 85 პროცენტი თვლის, რომ ეკლესია არ უნდა ეროდეს პოლიტიკაში. აქედან, 70 პროცენტი თავის აპეთ დამოკიდებულებას ასახეუთებს იმით, რომ ეკლესია ომის თავიდან აცილების ნაცვლად თვით აკურთხებდა მეომარი მხარეების იარაღს. მორწმუნეთა ყველა ეს მოსაზრება ეკლესიის არც თუ ისე სასარგებლოდ ლაპარაკობს.

ჟურნალი „შვიეელი“ აჯამებს ამ მონაცემებს და თვლის, რომ რამდენადაც მაღალი არ უნდა იყოს ნათელი, ჯვრისწერისა და დასაფლავების რელიგიური რიტუალების პროცენტი, იზრდება იმ ადამიანთა რიცხვი, რომლებმაც შეგვიძლია ეთქვათ, რომ ისინი ეკლესიის წევრადმდეგი არ არიან, მაგრამ არც მის მომხრეებად ჩათვლებიან. მართალია, ისინი არ ცდილობენ ეკლესიის გაუქმებას, მაგრამ არც მის არსებობას თვლიან საჭიროდ. ამ კატეგორიის ხალხი ოჯახურ დღესასწაულებზე ეკლესიას უშვებენ მოხუცებული ნათესავის უფლებით. ზოგიერთებისათვის ღმერთი მხოლოდ მოკედა. ისინი იოლად გადიან ღვთის იდეის გარეშე. ბევრ მათგანს ეს პროცესი არც შეეშინეკია; ისინი არც წინააღმდეგი და არც მოსმენილი არიან ქრისტიანობისა.

ამასთანავე, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ეს ხდება ქვეყანაში, სადაც კათოლიციზმს დიდი გავლენა აქვს, სადაც სამღვდელოებას ფეოდალური ეპოქიდან ეს უპრივეს პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

მაშ რაღა უნდა ითქვას იმ ქვეყნებზე, რომლებშიც სასულიერო პირებს ნაკლები ძალა-დაკიკური აქტიურობა და გასავალი აქვთ. იქ მდგომარეობა ქრისტიანობისათვის კიდევ უფრო სავალალოა.

თანამედროვე მორწმუნენი იმდენად განსხვავდებიან ქრისტიანული იდეალისაგან, რომ მათზე თვით თეოლოგებიც კი ირონიულად წერენ. ასე მაგალითად, ყოველკვირეულ გერმანულ ჟურნალ „დი ციტში“ ცნობილი თეოლოგი ჰაინც ცარნდერი (ავტორი მიუნხენში გამოსული გაზეთურეული პოლემიკური თხზულებებისა: „როგორაა საქმე ღმერთთან“ და „საუბრები ღმერთის შესახებ“) წერდა: „რომელმე დამნაშავის, ან მკვლელისათვის, რომელსაც მისჯილი ჰქონდა საშინელი ტანჯვით სიკვდილი (ეთქვათ 1700 წლის) ეშმფოტეს შეგვთავაზებენთო, რომ მას სასჯელს შეუმსუბუქებენენ თუ „ვალპურგის ღამეს“ ავტარებდა ბროკენის მთაზე (სადაც ხალხის გადმოცემით ეტდიანები ირეზებოდნენ), სიკვდილმისჯილი ეტეილეზლად უარს იტყოდა. ასეთი ღამის გატარებას და თავისი სულის საშუალმდე წარწყმედას იგი ჯალათის ნაჯახს ან დაბორველს არჩევდა. დღეკანდელ პირობებში, — ავარქვეს ჰ. ცარნდერ, — იგივე სიტუაცია, სხვა რომ არა ეთქვათ, უბრალოდ სასაცილო იქნებოდა[1].

თანამედროვე მორწმუნეთა ეეოლუციაზე წერს შეორე გამოჩენილი ამერიკელი ღვთისმეტყველი, სირაკუზის უნივერსიტეტის პროფესორი გაბრიელ ვახანიანი. იგი დასვენის ამერიკის სტატისტიკას, რომლის მიხედვითაც ამერიკაში მოსახლეობის 97 პროცენტი მორწმენეა. ამ ციფრის ზოგიერთ თეოლოგს საშეალება მისცა ელაპარაკნა ამერიკის შეერთებულ შტატებში გარკვეული რელიგიური რენესანსის შესახებ. გაბრიელ ვახანიანის აზრით, ეს რენესანსი კი არა, ქრისტიანობის კარიკატურაა. მისი სიტყვებით ცოცხალი, ტრანსცენდენტური ღმერთი მოკვდა. ეს არ უნდა დაეკარგოთ. ჩვენი დროის ამერიკელები ცხოვრობენ ერთგვარ, ქრისტიანობის შემდეგდროინდელ ერაში; მათ ღმერთი შეუგეზეს თავის სა-

[1] იხ. В. Мазохин. «Бог умер—да здравствует бог». Журн. «Наука и религия», 1970 г. № 1.

თეიმურაზ ფანჯიკიძე
ქრისტიანული რელიგიის კრიზისი
დასავლეთში

მოქალაქო ცხოვრებას, სხვაგვარად რომ ეთქვათ სეკულარიზაცია უკვე ღმერთს!.

ქრისტიანობის მამებს რომ ერთი წუთით შეეძლოთ წამომდგარიყვნენ საფლავიდან და შეეხედათ თანამედროვე მორწმუნეთათვის, ალბათ ვერს იტყოდნენ მათ ქრისტიანად ცნობაზე. არც წმიდა ავგუსტინეს, არც თომა აკვინელს და არც სხვა ქრისტიან მამებს ასეთი ჯერის ქრისტიანებზე წარმოდგენა არა ჰქონდათ. მაგრამ მათ შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა, დრო შეიცვალა. თანამედროვე მოდგილმასხარები იძულებული არიან დაეგმაყოფილნენ ასეთი „დამაღლარასხოვანი“ მორწმუნეებით, როდგან, ეოტა ხანში შეიძლება ეკლესიას ასეთი მორწმუნეებიც სანატრელი გაუხდეს; ისე ძლერია „თეიზმის ტალღა“ (როგორც თეოლოგები უწოდებენ) და გალეგრილობა სარწმუნოების მიმართ, რომ შეიძლება მალე ეკლესია მრეალის გარეშე აღმოჩნდეს. ეს ფაქტი არ შეიძლება არ ამფოთებდეს ოფიციალურ ქრისტიანულ ეკლესიას. კათოლიკე და პროტესტანტი თეოლოგები უკვე დიდი ხანია თავს იმტკივნეულ ინაზე, თუ რამ გამოწვეა რელიგიის ასეთი კრიზისი; ცდილობენ თავი დაიცონონ ასეთ მდგომარეობას. იკვლევენ სარწმუნოების რღვევის მიზეზებს. მაგალითად, ბელგიელ კარდინალი სიუნენსი სამღვდელოების კრიზისს იმაში ხედავს, რომ გიერმავდა ბზარი მღვდლის მოძღვრებულ, ტრადიციულ სახესა და თანამედროვე საზოგადოების საჭიროებას შორის. ბრალს სდებს ვატიკანის ბიუროკრატიულ აპარატს. მოუწოდებს სამღვდელოებას ანგარიში გაუწიონ ცხოვრების სიძნელეებს და თვალი არ დახუჭოს მორწმუნეთა თანამედროვე მოთხოვნებზე[2]. „რელიგია იმ ფორმით, — წერს ზემოხსენებული დასაღლეთ გერმანელი პასტორ ცარნდტი, — რომლითაც იგი ახლა არსებობს!! მიუღებელია ადამიანისათვის, და იმისათვის, რომ ბედავარჩენონ რწმენა ღმერთისადმი, საჭიროა ცხოვრებაში ადგილები შეუფცალოთ სასულიერისა და საერის: ღმერთზე და სულის ხსნაზე ფიქრის ნაცვლად, ეკლესიის საქმეებზე წინ უნდა დაეყენონ ფიქრები და საქმენი, რომელიც უშუალოდ ადამიანს ეხება, მისი მიწიერი ტკივილის შემსუბუქებას ემსახურება»[3].

ეს ის სამღვდელო პირთა ხმენი, რომლებიც უფრო რეალურად უყურებენ მსოფლიოში მიმდინარე პროცესებს; ცდილობენ, [illegible] შეიცვალონ ეკლესიის საქმიანობაში, [illegible] რისი ხსნაც ჯერ კიდევ შეიძლება. დაუბერენონ ეკლესიას მორწმუნეები. ისინი კარგად გრძნობენ, რომ ეამოქმედობას შეეძლოთ მთლიანად დაღუპოს ეკლესია. რეფორმების მომხრედ ბევრი სხვადასხვა ძალა გამოდის; მაგალითად, თეოლოგთა ჯგუფი, რომელიც „მოკამათეთა“ სახელწოდებითაა ცნობილი და რომელიც გარდაქმნების მოთხოვნით გამოდის. ამ ჯგუფმა წერილი მისწერა რომის ახლანდელ პაპს, პაველ VI-ს, რომელშიაც ეწერა: „ეკლესიის საქმეები ძალზე შორს არიან მისი სიტყვებისაგან... ჩვენ აღვნიშნავთ ფაქტს, რომ ვატიკანის II მსოფლიო კრების შემდეგაც ეკლესიამ არ გადუვიტა კაენრი ამა ქვეყნის ძლიერებთან; საეკლესიო ერთობის შენარჩუნების საბაბით ვატიკანის აღმინისტრაცია თავს იხვევს ნაციონალურ ეკლესიებს ერთფეროვან გადაწყვეტილებებს, რომლებიც არ შეესაბამებიან ცალკეული საფრწყვინის ინტერესებს, გთხოვთ ნება დართოთ მათ თვითონ ამოიჩიონ თავისი არსებობის ფორმები«.

მსოფლიოს სხვადასხვა კონტინენტზე ქრისტიანი სასულიერო პირები იძულებული არიან აღიარონ, რომ სამღვდელოება მხოლოდ მაშინ გადაწყვეტს თავის საქმეს ფარმატებით, თუ ვიარეკვეთ ამა თუ იმ კონტინენტის, ამა თუ იმ ქვეყნის კონკრეტულ პირობებში. ასეთი ახალი წამოაყენა თვალსაჩინო სამრევლო ამერიკელმა კათოლიკე თეოლოგმა იენ ილინმა, რომელმაც აღნიშნა, რომ მღვდლები გაუძღვებიან საქმეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გაიგებენ ხალხისათვის მტკივნეულ ისეთ პრობლემებს როგორიცაა: ზრომის საკითხები, უმუშევრობა, ექსპლუატაცია, შიმშილი, ყოველივე ეს. რაც სამხრეთ ამერიკის მშრომელებს აწუხებთ.

ერთ-ერთი მწვავე პრობლემა, რომელიც კათოლიციზმის წინაშე დგას — ესაა კადრების საკითხი. დასავლეთის ქრისტიანობის მამამთავრები თავს იჩეტრეკენ, როგორ შეიჩენონ საერო სასულიერო პირების ერონნა, მათი ეკლესიისაგან გამოვსება. მაგალი სამღვდელო პირების აღიარებით, სულ უფრო და უფრო ნაკლებია იმის მსურველი, რომ მოძღვარი გახდეს. მღვდლების ნაკლებობა იგრძნობა მთელ რიგ ქვეყნებში, მაგალითად, იტალიაში, მიუხედავად იმისა, რომ მღვდლის შემოსავალი საკმაოდ მაღალია. ყოველწლიურად 1250 მღვდლის ნაცვლად მზადდება მხოლოდ ნახევარი. იმის გამო სასულიერო წრეები შიშს გამოთქვამენ ერის რელიგიური ცხოვრების მომავლისადმი. უკანასკნელი ცნობებით, ოტტანდიაში, ქალაქ გლაზგოს მახლობლად არსებულ კათოლიკურ კოლეჯს, მიუხედავად ბრწყინვალე მატერიალური პირობებისა (კოლეჯი და სტუდენტთა საცხოვრებელი ტექნიკის უკანასკნელი სიტყვითაა აგებული, სტუდენტები იღებენ მაღალ

[1] იხ. И. Давыдов. «Ухищрения богословов», журн. «Наука и религия», 1968 г. № 8.

[2] იხ. И. Давыдов. «Бурный год», журн. «Наука и религия», 1970 г. № 1.

[3] იხ. В. Мазохин. «Бог умер — да здравствует бог», журн. «Наука и религия», 1970 г. № 1.

ტატინეზიას, პრაჭტიკეში ეწყობა ისეთ ქვეყნებში როგორიცაა: ესპანეთი, იტალია, ბელგია, დასავლეთ გერმანია; კოლეჯის დამთავრებისთანვე ილებენ შემოსავლიან მრეველს და სხვ.) 100 სტუდენტის ნაცვლად მხოლოდ 50 მსმენელი ჰყავს. სასულიერო პირთა ნაკლებობაა საფრანგეთში, ინგლისში, ბელგიაში და სხვა კათოლიკურ ქვეყნებში.

ზოგიერთი თეოლოგი მოძღვართა ასეთ ნაკლებობას ხსნის იმ პრივილეგიების გაუქმებით, რომელიც ადრე სასულიერო პირებს ჰქონდათ კათოლიკურ ქვეყნებში. ბევრი ძალაანი კი ამას ცელიბატის სისტემის არსებობას აბრალებს.

ცელიბატის (უცოლობის) პრობლემა სულ უფრო მწვავედ დგება კათოლიკური სამღვდელოებაა წინაშე. სულ უფრო ეტები სამღვდელო პირი (ვანსაკუთრებით ახალგაზრდობა) მოითხოვს მის გაუქმებას, ცელიბატის დოგმა საეკლესიო სახით XI საუკუნეში დამკვიდრდა კლენინის რეფორმის შემდეგ. იგი იმ ამოცანას ისახავდა მიზნად: 1. შეეხარხუნებინა ეკლესიისათვის მიწის საშალველები, რათა ისინი არ გამხდარიყვნენ სამღვდელო პირების შთამომავალთა დაკისა და გაყოფის საგანი. და 2. მაღლა აეწია სასულიერო პირების ზნეობრივი პრესტიჟი მრეველის თვალში. დაუმტკიცებინა სამღვდელოების სიწმინდე. მაგრამ თუ პირველი მიზანი ცელიბატმა ასე თუ ისე შეასრულა, მეორეს პირიქით, სამღვდელოდ კაშაშელ კათოლიკეზმის მახინჯი სული. ცელიბატის სისტემა ადამიანის ბუნების - საწინააღმდეგო მოვლენა იყო. ოჯახმა ხელოვნურად უარის თქმას სიწმინდე კი არ მოჰქონდა ქრისტეს ეკლესიის მსახურებისათვის, არამედ ბევრი ნაირ ბოროტებას. ასე მაგალითად, ეპისკოპოსებს ეკრძალებოდა ოჯახი ცხოვრებას, ვიდრე ამ იმეტებით თავშეკავებით გახდებული ადამიანის გონებას მოჰქონდა. ამასთანავე, ბევრი კათოლიკე სრულებითაც არ იცავდა ამ სიწმინდეს.

ცნობილია, რომ მაღალ სასულიერო წოდების მთელ რიგ წარმომადგენლებს მთელი პარამბანები ჰქონდათ. ამ მხრივ მარტო რომის პაპის, იოანე XXIII (ბალთაზარ კოსის) გახსენება რად ღირს; მან ხომ ასობით ქალს ახადა ნიშული და ქალთა მონასტრები საროსკიპოებად აქცია. კათოლიკეზმის ისტორიიდან შეიძლება უხვად. მოვიტანოთ მრავალი სამღვდელო პირის ეპიკუნელების მაგალითი, მათ შორის იყვნენ ისეთნიც, რომლებიც მძიმე ვენერიული სენით იყვნენ დაავადებულნი (მაგ. რომის პაპი ლეო X) საეკლესიო წრეებში გავრცელებული იყო მამათმავლობა; ქალთა მონასტრებში ყველა ლესბოსური სიყვარული და სხვ. ასე რომ, ცელიბატის სისტემამ დიდებისა და სიწმინდის ნაცვლად სირცხვილი მოუტანა კათოლიკეზმს.

ამიტომ ვასაკვირია ის სულ უფრო მზარდი ხმები, რომლებიც აუცილებელი ცელიბატის გაუქმებას მოითხოვენ. კერძოდ, ამ მოთხოვნით ბამოვიდნენ გასული წლის ზაფხულში ზვეიცარიის ქალაქ კერში სიმპოზიუმზე ახალგაზრდა კათოლიკე მღვდლები. მაგრამ ცელიბატის გაუქმებას მარტო ახალგაზრდა მღვდლები რიდი მოითხოვენ. ამ წინადადებას მაღალ სასულიერო წრეებშიაც ჰყავთ თანამგრძნობნი.

ამ პრობლემის გარეგ, ზოგიერთი თეოლოგის აზრით, არის სხვა საკითხებიც, რომლებიც ხელს უშლიან რიგით სამღვდელო პირებს შესრულონ თავისი ქრისტიანული მისია მრეველს წინაშე. ამ პრობლემებს შორის, მთავარია წინააღმდეგობის გაღრძავება დასაალ სასულიერო პრესნნალსა და მაღალ სამღვდელოებას შორის. მიმომხილველთა აზრით არის ბევრი პრობლემა, რომელშიაც რომის პაპს და მის ეპისკოპოსებს მხარს ადარ უჭერს ორა მარტო მრეველი, არამედ დაბალი საფეხურის სასულიერო ფენაც. ეს უკანასკნელნი ითხოვენ ისამოთვის, რომ შესაძლებლობა ჰქონდეთ უფრო აქტიურად მიიღონ მონაწილეობა პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში; ინარძვიან საეკლესიო ხელმძღვანელობის უფრო დემოკრატიული არჩევნების ჩატარებისათვის; ამ ბოლო წლებში გამბარად შემოხვეევები. როდესაც სამღვდელოების ზოგიერთი წარმომადგენელი პირადარი ილაშქრებს ეპტიკანის განესაზღვრული უფლებების წინააღმდეგ. ასე მაგალითად, საფრანგეთის ეპისკოპატს წერილით მიმართა 744 კათოლიკემ, რომელშიაც ითხი გამოთქვამენენ ეპტიკანის სოციალური როლის გამო. მათი აზრით, ეპტიკანი წარმოადგენს ერთ-ერთ უდიდეს კონსერვატულ ძალას, რომელიც მეიღრეს ეწმასტერება. პაპი ეკლესია არაა, მიუთითებენენ წერილის ავტორები, იგი ისეთივე წევრია ეკლესიისა, როგორც ყველა დანარჩენი კათოლიკ.ები. ამასთან, ალსანშნავია, რომ რომის პაპმა ამ გამოსვლების წინააღმდეგ ვერაფერი იღონა. ხაზი უნდა გაესვას ამ ფაქტსაც, რომ თუ წინათ რომის პაპს შეეძლო თავისი სიტყვები და დარიგებანი ცხოვრებაში ულაპარაკოდ განეხორციელებინა, ახლა, არის შემთხვევები, როდესაც პაპი ამას ვეღარ ახერხებს.

ᲙᲝᲜᲙᲠᲔᲢᲣᲚᲘ ᲜᲐᲒᲘᲖᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲙᲠᲘᲖᲘᲡᲘᲓᲐᲜ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲐᲓᲔᲑᲐᲛᲓᲔ

ეკლესიის კატასტროფული მდგომარეობა სეკულარიზულად აზროვნებს რელიგიის ყველა დამცველი, მაღალი თუ დაბალი იერარქიის წარმომადგენელს. მაგრამ მათ შორის არ არის ერთ-

ᲗᲔᲛᲘᲖᲣᲠᲐᲖᲔ ᲨᲐᲜᲯᲘᲙᲘᲫᲔ
ᲥᲠᲘᲡᲢᲘᲐᲜᲝᲑᲘᲗ ᲙᲚᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲙᲠᲘᲖᲘᲡᲘᲡ
ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘᲡ

[1] იხ. Л. Н. Великович. «Борьба тенденции в современном католицизме». Вопросы философии, 1969 г., № 9, стр. 77.

ბა იმის შესახებ, თუ რა საშუალებითა და გზებით შეიძლება კრიზისული მდგომარეობისაგან თავის დაღწევა. ამ მხრივ კათოლიკეზმში შეიმჩნევა ორი დაჯგუფება: პირველი მოითხოვს ეკლესია შეეგროს სახელმწიფო-მონოპოლისტურ კაპიტალიზმს; ეწინააღმდეგება ყოველგვარ სიახლეს; გამოდის ძველი, ცხოვრებისაგან უკუდგომული პოლიტიკის დამცველად. ამ ჯგუფს „ტრადიციონალისტები“ ეწოდება. იგი ბურჟუაზიული საზოგადოების ყველაზე რეაქციული წრეების ინტერესებს გამოხატავს.

მეორე, მემარცხენედ განწყობილი ჯგუფი მოითხოვს სერიოზულ რეფორმებს, როგორც სასულიერო, ასევე საერო სფეროებში. ეს დაჯგუფება კვეშინის არ წყვეტს რელიგიისთან, მაგრამ ამავე დროს საჭიროდ თვლის იბრძოლოს კაპიტალიზმის სოციალური სტრუქტურის წინააღმდეგ.

მემარცხენე ჯგუფში შედიან არა მარტო მორწმენე კათოლიკები მრეველიდან, არამედ დაბალი სასულიერო წოდების წარმომადგენლებიც. ამასთანავე, ზოგიერთი მათი მოსმრე მაღალ სამღვდელო წრეებშიაც მოიძებნება. ეს მიმდინარეობა გამოდის ეკლესიის კურსის ღრმად გადასინჯვის მომხრედ. ამ ბრძოლაში მემარცხენე კათოლიკები იყენებენ ისეთ მეთოდებს, რომლებიც სეილდება სასულიერო საქმეებს და საერო საქმეებშიაც ჩქრები. კერძოდ, ისინი დაინტერესებული არიან იმით, რომ ეკლესიას არ უუგიებდნენ ხალხისათვის ისეთ საძველელ ცნებებს, როგორიცაა: რეაქცია, კაპიტალიზმი, ავრესია, ექსპლუატაცია და სხვ. ყოველივე ეს მოწმობს იმას, რომ იზრდება მრეველისა და დაბალი სამღვდელოების აქტივობა მაღალი სამღვდელოების დიქტატურის წინააღმდეგ.

ბოლო წლებში არის ცდები შეიქმნას ისეთი კატეხეზისები, რომლებიც კათოლიკეზმს უფრო მახლობელს გახდიან მრეველისათვის. ასეთი კატეხეზისი — იზოლეტი შექმნა კიდევ ქალაქ ფლორენციის ერთ-ერთ კვარტალს ფლოდელმა დონ მაცამ. იზოლეტის შექმნას ქმაყოფილებით შეხვდნენ იტალიის სამღვდელოების გარკვეული ფენები, განსაკუთრებით დაბალი სასულიერო წოდება. მაგრამ, მეორე მხრივ, მან მკვეთრი, უარყოფითი რეაქცია გამოიწვია ეფარქიელი კიბის მაღალ საფეხურზე მდგომი კათოლიკე სამღვდელოების მხრივ. მათ ბრალად დასდეს დონ მაცის იმაში, რომ მას კატეხეზისში ნაკლებადაა ლაპარაკი მარადიული ცხოვრების შესახებ, პირველი ცოდვის შესახებ, სარწმუნოებრივი დოგმატების შესახებ. იზოლეტის მოწონაალმდეგთა აზრით, კატეხეზისში უფრო მეტადაა ლაპარაკი კონკრეტულ სოციალ-პოლიტიკურ მოთხოვნებზე. ამ ბრალებით ქალაქ ფლორენციის ეპიკოპოსმა კარდინალმა ფლორატმა, რომელიც „ტრადიციონალიზმის“ მომხრეადაა ცნობილი, სამსახურიდან განთავისუფლა დონ მაცი

მემარცხენეთა ზოგიერთ ჯგუფში, [illegible] ნელ ხანს, ძალზე პოპულარული ხდებოდა [illegible] წოდებული „ძალადობის თეორეგია“, რომელიც ეულისმობს, რომ ექსპლუატირებულ ხალხს ჩაგვრისაგან თავის გასანთავისუფლებლად შეეძლოს ძალა გამოიყენოს. ეი რას წერდა ამის შესახებ ჩილის იეზუიტების ჟურნალი „ზენსაე“: „არ შეიძლება გაკეცდით ხალხი იმისათვის, რომ იგი იძულებული გამოიყენოს ძალა თავის გასანთავისუფლებლად. თუკი, — განაგრძობს ჟურნალი, — სამხრეთ ამერიკის ეკლესია გაკიცხავს ხალხს ძალის გამოყენებისათვის, ამით იგი დაამტკიცებს იმ საყვედურს, რომელიც მის მმართ არის გამოთქმული, რომ იგი ინპიუმია ხალხისათვის“[1].

ცალკეული სიეკლესიო მოღვაწეები — მემარცხენეთა ბანაკიდან ცდილობენ სხვაგვარად მიედგნენ ერთი შეხედვით კათოლიკეზმის უცვლელ კანონებს, როგორიცაა დოგმა პირველი ცოდვის. ქრისტეს მისიის შესახებ დედამიწაზე და სხვ. მემარცხენე ჯგუფების გამოსვლა ძალზე აქტიური გახდა ვატიკანის II მსოფლიო კრების შემდეგ; ისინი მოითხოვენ ეკლესიის ტრადიციული კურსის შეცვლას, რადიკალური რეფორმების გატარებას. ამ რეფორმებით მნიშვნელოვნად არიან დაინტერესებული არა მარტო მორწმენეები, არამედ არამორწმენეებიც.

ახალი ორსახული მეთოდებით ბრძოლა, რომელსაც მიმართავს მრეველი და დაბალი სამღვდელოება კიდევ უფრო აშფრავებს ოფიციალური ეკლესიის კრიზისს.

რაც შეეხება „ტრადიციონალისტებს“, მათ შესახებ ჩვენ უკვე ადვნიშნეთ, რომ ისინი უტიროსპირდებიან მემარცხენე დაჯგუფებებს; მათ აშინებთ ყოველგვარი ცვლილება სასულიერო თუ საერო საქმეებში. ამიტომ ილაშქრებენ ყოველგვარი სიახლის წინააღმდეგ, რასაც მემარცხენე განწყობილი კათოლიკეთა ჯგუფები აყენებენ. მაგალითად, თუკი მემარცხენე ჯგუფები ცდილობენ თანამშრომლონ კომუნისტებთან ზოგიერთი სოციალური პრობლემის გადასაჭრელად, „ტრადიციონალისტები“ პირიქით, ისწრაფვიან რომ გაგრძელდეს ანტიკომუნიზმის ქაღაგება. ვატიკანის II მსოფლიო კრების შემდეგ მათ ერთ ინტენსიურად ბანაობენ თავდასხმები სოციალიზმსა და კომუნიზმზე (რომ ალბერიური ეოქეათ მეცნიერულ ათეიზმზე) და პირდაპირ აცხადებენ, რომ მიეხედავად ზოგიერთი სახლისა, რაც გამოხატული ენა ენციკლიკებსა და სხვა სასულიერო დოკუმენტებში, შეადგინა ოქნებოდა გვეფიქრა, რომ შეიცვალა რელიგიის დამოკიდებულება კომუნიზმისადმი. სოციალურად ენციკლიკები წარმოადგენენ კომუნიზმის სრულ ალტერნატივას[2].

[1] იხ. Л. Н. Великович. «Борьба тенденций в современном католицизме», «Вопросы философии», 1969 г., № 9.

[2] იქვე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ტრადიციონალისტები“ ამით არ კმაყოფილდებიან. ისინი ზოგიერთ ქვეყანაში ქმნიან ორგანიზაციებს, რომელთაც ანტიკომუნისტური მიზნები აქვთ დასახული. ასეთი ორგანიზაცია შექმნეს მათ ბრაზილიაში „ტრადიციის, ოჯახისა და საკუთრების დაცვის“ სახელწოდებით. ამ ორგანიზაციას თავისი ფილიალები აქვს სამხრეთ ამერიკის ქვეყნებში.

„ტრადიციონალისტები“ გამოდიან მშვიდობის, დაძაბულობის შენელების წინააღმდეგ, ისინი ემხრობიან ავტარსიისა და ცივი ომის გაძლერებას. გამოდიან მარქსისტებისა და კათოლიკების დიალოგის, მათი ერთიერთგაგების წინააღმდეგ: ანთომეს უგზაღნიან კომუნიზმს, ხმას აძლევენ ომს ვიეტნამში.

მათ განსაკუთრებულ გაოფორებას იწვევს ზოგიერთი თეოლოგის ცდა, გადაქცეონ ქრისტიანული რელიგია საერო რელიგიად: ეიოლდ წეკიდნენ ღმერთის ცნების გარეშე და ქრისტიანობის ცენტრში ადამიანი მოაქციონ.

მიუხედავად იმისა, რომ არსებობს მსოფლიო ერების გადაწყვეტილება, ზოგიერთი სხვა საკელესიო დოკუმენტი, რომელიც მოუწოდებს მეომარ ქვეყნებს შეწყვეტონ ომი ვიეტნამში, მოუწოდებს ხალხებს მშვიდობისათვის, „ტრადიციონალისტები“ მაინც თავისას აკეთებენ და უნდა ითქვას, რომ მათი ხმა ხშირად გადაშეკეთება კათოლიკეებში, რადგან უმეტეს შემთხვევაში მათ წაჰყვანი პოზიციები უკვიათ.

მაგრამ, მუხედავად ყოველივე ამისა, „ტრადიციონალიზმის“ თვით ყველაზე უფრო მკაცრი დამცველებიც კი იძულებული არიან შეიტანონ გარკვეული ცვლილებანი თავის დოკტრინაში, ეკლესიის კულტში და სტრუქტურაში.

რაც შეეხება რომის პაპს და მის პოლიტიკას, უკანასკნელ ხანებში შეიმჩნევა, რომ იგი ცდილობს ლავირებას ამ ორი მიმართულებას შორის. პაპი ესწრაფვის ამ ორი მიმართულებიდან აიღოს მომენტები რომელთაც შეუძლიათ კათოლიციზმის პოზიციების გამაგრება. ამიტომ, ბოლო წლებში გამოშვებული საეკლესიო დოკუმენტები ერთგვარი კომპრომისული ხასიათისაა.

ასეთი ლავირების მაგალითს წარმოადგენს კათოლიციზმის დამოკიდებულება ომისა და მშვიდობის მიმართ. რომის პაპი პაველ VI ენციკლიკაში „პაც
 ინ ტერის“ და გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში 1965 წლის 4 ოქტომბერს წარმოთქმულ სიტყვებში გამოდიოდა ომის წინააღმდეგ, იცავდა მშვიდობას. როგორც ენციკლიკაში, ასევე სიტყვაშიც პაველ VI ძირითადად აკრიტიკებდა წინა პაპის—იოანე XXIII პაციფისტურ ხაზს. ამასთანავე, „წმინდა ტახტი“ რამდენჯერმე გამოვიდა ვიეტნამში ომის შეწყვეტის მოწოდებით. მაგრამ, ამავე დროს, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ როდესაც ამ მოწოდებას ბრალი არ დაუჭერია ამერიკის შეერთებული შტატების ეპისკოპატმა, ამაზე რომის კურიას არავითარი რეაგირება არ მოუხდენია. ასევე არ მოუხდენია რომის კურიას რეაგირება ფილიპინელთ გერმანიის კათოლიკური სამედდელოების გამოსვლებზე, რომელიც „ომრონმენტალურ“ (სამშვიდობო) პოლიტიკის წინააღმდეგაა მიმართული.

მსგავს კომპრომისს პაპის პოლიტიკაში ჩვენ ვხედებით კერძო საკუთრებისადმი დამოკიდებულების ერთგვარ ახლებურად დაყენებაში. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ეკლესია საუკუნეების მანძილზე აკურთხებდა კერძო საკუთრებას, ღმერთისაგან დაწესებულად აცხადებდა მას, მაგრამ, ბოლო ხანებში, რომის პაპის სიტყვებში ახალი ნოტები აფდერდა. მაგალითად, პაპის ენციკლიკაში „პოპოლორუმ პროგრესიო“, რომელიც 1967 წლის მარტის ბოლოს გამოვიდა, არის ცდა გადასინჯული იქნას ეკლესიის ტრადიციული დამოკიდებულება კერძო საკუთრებისადმი. რომის პაპს თავისი პოზიციის დასაცავად მოყავს წმინდა ამბროსის სიტყვები: „არა შენი წყაროდან უწვდი ხელს ღატაკს, მაგრამ შენ მთ აძლევ იმის, რაც კანონით ეკუთვნით... მიწა ყველასათვისაა შექმნილი და არა მარტო მდიდრებისათვის“, შესაბამისად — ასკვნის პაველ VI, — ეს მოსაწვევია, რომ კერძო საკუთრება არავისათვის არ წარმოადგენს აუცილებელ და აბსოლუტურ უფლებას. და იქ, სადაც ხდება კონფლიქტი შეძენილ კერძო უფლებებსა და საზოგადოების პირველხარისხოვან მოთხოვნებს შორის, სახელმწიფო ხელისუფლების ვალია ცალკეული ჯგუფებისა და პირების აქტიური ჩარევით მიიღოს ზომები მის გადასაწყვეტად[1].

როგორც ენციკლიკიდან ჩანს, პაპი გარკვეულ დათმობებზე მიდის კერძო საკუთრების შეფასების საკითხში. ზოგჯერ სიტყვიერად მის ეს-პროპრიაციასაც კი უშვებს. რასაკვირველია, პაპის ასეთ გამოსვლას ყველა რიდი შეეხდა აღტაცებით. რეაქციულმა წრეებმა ისეთი მკვეთრი უკმაყოფილება გამოიქვეს პაპის ასეთი პოზიციის გამო, რომ რომის კურია იძულებული იყო დამატებით განემარტა პაპის სიტყვები. ასე მაგალითად, ვატიკანის ოფიციალური გაზეთი „ოსერვატორე რომანო“ (5. IV. 1967) სათაურით „გადაიკითხეთ ენციკლიკა“. წერდა: „ენციკლიკა არა კიცხავს ზოგებს, ეაჭრობის თავიდაყოფლებს, დაგროვებას ან თავისუფალ ინიციატივას...2. მეორე კომენტარი პაპის ენციკლიკას გაუკეთა დასავლეთ გერმანელმა იეზუიტმა ო. ნელფ-ბრეინინგმა, რომელიც წერდა, რომ „ენციკლიკის დებულება კერძო საკუთრების ექს-

---

[1] იხ. Л. И. Великович. «Борьба тенденции в современном католицизме». «Вопросы философии», 1969 г., № 9.

2. იქვე.

თეიმურაზ ფანჯიკიძე
ქრისტიანული რელიგიის კრიზისი
დასავლეთში

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროგრესიის შესაძლებლობას უშვებს მხოლოდ სუტყად განვითარებულ კაპიტალიზმი...[1].

მიუხედავად ასეთი კომენტარებისა და საერთოდ ალიარებული ფაქტისა, რომ ეკლესია აგრძელებს თავის ანოლოგიებურ ხაზს კაპიტალიზმის მიმართ, არ შეიძლება არ შეენიშნოთ, რომ ეატიკანი ელაქუცება და ეპიროფერება ჩაგრულ კლასებს.

ამ მხრივ უფრო გაბედულად გამოდიან ეგრეთწოდებული „მეცამე სამყაროს" წარმომადგენლები. 1968 წელს ამ ქვეყნების 17 ეპისკოპოსმა გამოაქვეყნა წერილი, რომელშიაც არის ფეიციები, რომ ეკლესია არ იცავს ეერძოო საკუთრებას; რომ პირიქით, იგი იმის მომხრეა, რომ საკუთრება ყველას ეკუთვნოდეს. წერილის ავტორების აზრით, ქათოლიკეზი არ არის დაკავშირებული კაპიტალიზმთან და მხოლოდ იმისათვის, რომ მიღწეულ იქნას მატერიალური პროგრესი, ეკლესია სუეყენებუ ზეტი ხანია ითმენს კაპიტალიზმს.

აღნიშნულ წერილში გარკვეული სიმპათიებია გამოთქმული სოციალიზმის მისამართით; ეპისკოპოსები აღნიშნავენ, რომ სოციალიზმი ქრისტიანობისათვის უფრო მისაღებია, ვიდრე კაპიტალიზმი, მაგრამ სოციალიზმი მათ ესმით როგორც გათანამდროვეული ქრისტიანული სოციალიზმი, რომელიც ძალზე შორსაა მარქსიზმისაგან.

სულ უფრო მზარდი ეკლესიის კრიზისისა და ეერშეუნობის ზრდის წინაამდეგ ბრძოლაში საესულიერო წრეებში დიდ მნიშვნელობას ანეჭებენ ეგრეთწოდებულ ეკუმენისტურ მოძრაობას. სიტყვა **oukumene** ბერძნული წარმოშობისაა და ქართულად იგი სამყაროს, დასახლებულ მსოფლიოს ნიშნავს. როგორც ცნობილია, თეოლოგები ეკლესიას ქრისტეს სხეულად თვლიან ამ ქვეყნად. ეს სხეული ამჟამად დაშლილია სხვადასხვა მიმართულების ეკლესიებად. ეს ფაქტი ჩვენს პირობებში შესაძრნეველად აძნელებს ქრისტიანი ღვთისმეტყველების ცდას ფიციან თავისი ფეოოოოგია. თითოეული მიმართულება ამტიეცებს, რომ ეეშმარიტი მხოლოდ და მხოლოდ მისი გაგება რელიგიური ფოგმატების. სასულიერო პირები ხედავენ, რომ ამით ზედმეტ დამადასტურებელ საბუთს აძლევენ ათეისტებს რელიგიური იდეოოლოგიის არამეცნიერულობის დასამტკიცებლად. ამიტომ, მათი ცდა მიმართეოოოა იქით, რომ გაერთიანონ ქრისტეს დაშლილი სხეული, ერთმანეთს შეეთანხმონ სხვადასხვა მიმართულების ქრისტიანული ეკლესიები; გამოიდნენ ერთიანი ფორმტები მატერიალიზმისა და ათეიზმის წინააღმდეგ.

მოძრაობა სხვადასხვა მიმართულების ქრისტიანული ეკლესიების გასაერთიანებელად თავდაპირველად პროტესტანტიზმში წარმოიშვა. [illegible] დასაბამად დაედო 1910 წელს ლონდონში მსოფლიო მისიონერული კონფერენციაზე. ამის შემდეგ წარმოიქმნა ორი ორგანიზაცია: „რწმენა და წესრიგი" და „ცხოვრება და მოღვაწეობა", რომლებმა მიზნად დასახეს ორი ამოცანა: 1. დაეძიათ ის ღოგმატიური და კანონიკური განსვავებანი, რომლებიც არსებობს ქრისტიანობის სხვადასხვა მიმართულებებს შორის და 2. შეესაბამებინთ ქრისტიანული მოძღვრება თანამედროვეობის პრობლემებთან. 1937 წელს ზემოდასახელებული ორი ორგანიზაციისაგან გამოიყო 7-7 კაცი, რომელმაც შექმნეს „თოთხმეტთა კომიტეტი". ამ კომიტეტის მიზანი იყო მსოფლიო ეკლესიების ასამბლეის მოწვევის მომზადება. მაგრამ ასამბლეის მოწვევას II მსოფლიო ომმა შეუშალა ხელი და იგი მხოლოდ 1948 წელს შედგა. ასამბლეის დადგენილებებიდან მნიშვნელოვანი იყო ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს შექმნა, რომელსაც უნდა ეხელმძღვანელა ეკუმენისტური მოძრაობისათვისაც.

პროტესტანტებმა წამოაყენეს 4 პრინციპი, რომელიც უნდა გაეზიარებინა ყველა მიმართულების ქრისტიანულ ეკლესიას:

1. ჩვენ ყველა ვცნობთ ღმერთს და ვადიდებთ მას როგორც სამებას.

2. ჩვენ ვადიარებთ, რომ სამების მეორე პირი იესო ქრისტე ღმერთიცაა და ადამიანიც.

3. იესო ქრისტე ჩვენი ცოდვების გამომსყიდველი და სამყაროს მხსნელია.

4. ჩვენ ვეერთიანდებით ქრისტიანობის იდეის დასაცავად, იერიშზე გადმოსული მატერიალიზმისა და ათეიზმის წინააღმდეგ.

ეს პრინციპები საფუძველად უნდა დადებოდა ეკლესიათა გაერთიანების პროტესტანტების აზრით.

ეკუმენისტურ მოძრაობას ომამდე ეიწრო ხასიათი ჰქონდა და თავის საქმიანობაში დიდ წინააღმდეგობასაც აწყდებოდა. მაგრამ ომის შემდეგ მდგომარეობა ძეკეთრად შეიცვალა. ეკუმენისტურმა მოძრაობამ დიდი ნაბიჯები გადადგა წინ. მის მიმართ დიდი ინტერესი გამოიჩინეს სხვა მიმართულების ეკლესიებმაც. ეკუმენისტურ მოძრაობას მიეძრო მართლმადიდებელი ეკლესია (1961 წელს მას შეეერთდა რუსული მართლმადიდებელი ეკლესია, ბასთან ერთად ქართული მართლმადიდებელი ეკლესიაც), რაც შეეხება კათოლიკურ მიმდინარეობას, ის არა მარტო ინტერესს იჩენს ეკუმენისტიზაციაში, არამედ გაბატონებული როლის მოპოვებასაც ცდილობს ამ მოძრაობაში.

თუ ეკუმენიზმის სოციალური ასპექტის შესახებ ვიღაპარაკებთ, უნდა აღვნიშნოთ, რომ იგი ცდილობს ერთგვარი ზეკლასობრივი პოზიციების დაკავებას. აკრიტიკებს როგორც ბურჟუაზიულ, ისე სოციალისტურ საზოგადოებასაც. მაგრამ თუ მის ბუნდოვან ფორმულირებებს ბოლომდე ჩავეკვლევნთ აღმოვაჩენთ,

[1] იხ. Л. И. Великович. Борьба тенденции в современном католицизме, «Вопросы философии», 1964 г., № 9.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ იგი საბოლოო ჯამში კაპიტალიზმს უეჭის მხარს.

თუმცა თეოლოგები მარტო ეკუმენისტური მოძრაობით როდი ქმაყოფილდებიან, ისინი უფრო შორს მიდიან. ცდილობენ ერთმანეთს დაუახლოვონ არა მარტო სხვადასხვა მიმართულების ქრისტიანული ეკლესიები, არამედ თვით სხვადასხვა მონოთეისტური რელიგიური სისტემებიც. პირველ რიგში კი ქრისტიანობა და იუდაიზმი, რომელთაც საერთო საფუძვლები გააჩნიათ. მიმდინარეობს გაძლიერებული ძიება იმ თეოლოგიური დებულებებისა, რომელიც შესაძლებლობას მისცემს ეს ორი რელიგია ერთმანეთს დაუკავშირონ.

ამ მიმართულებით უკანასკნელი ორი თეოლოგ წლის მანძილზე დიდი ნაბიჯები გადადგა წინ. მომრავლდა ორგანიზაციები, რომლებიც ამ ამოცანას ისახავენ მიზნად. ასეთი ორგანიზაციები გაბნეულია სხვადასხვა ქვეყნებში, მაგალითად: იუდაურ-ქრისტიანული ინსტიტუტი" (აშშ), ქრისტიანულ-იუდაური საბჭო" (ინგლისი), „იუდაურ-ქრისტიანული მეგობრობის საზოგადოება" (საფრანგეთი, იტალია) და სხვ. პარიზის კეთილიკერ ინსტიტუტში, სტრასბურგის უნივერსიტეტში, ფრაიბურგის უნივერსიტეტში (გერ) და რომის პაპის ბიბლიოთეკასთან არსებობენ რაბინიზმის სპეციალური კათედრები.

ამ ორი რელიგიის დაახლოვების ძნელ და წინააღმდეგობით სავსე გზაზე უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება იუდაიზმის რეაბილიტაციას. ქრისტიანული ეკლესია საუკუნეების მანძილზე უნერგავდა თავის მრევლს იუდეველებს (ქრისტეს სიკვდილით დამსჯელნის) სიძულვილს, მათი მოძღვრების სიმცდარეს. ამიტომ, დაახლოებს მსურველი ქრისტიანი თეოლოგებისათვის პირველი რიგის ამოცანას იუდაიზმის გამართლება წარმოადგენს. ამ მხრივ უკვე არის ძერები. მთელი რიგი გამოჩენილი ქრისტიანი თეოლოგები გამოვიდნენ იუდაიზმის დასაცავად. ასე მაგალითად, საფრანგეთის აკადემიის წევრი დანიელ როშსი იუდაურ სასულიერო წიგნს — თალმუდს ახასიათებს როგორც ერთ-ერთ სასინტერესო და გამოჩენილ ნაწარმოებს. მისი აზრით, თალმუდის კეთშარტი მნიშვნელოვანა ქრისტიანი მეთხველისთვის მდგომარეობს იმაში, რომ მას შეეფავარი იმ კანონების მცოდნეთა სამყაროში, რომლის მრავალსაუკუნოვანმა მოქმედებამ ჩამოაყალიბა ებრაული საზოგადოების გარეშო, სადაც დაიბადა და მოქმედებდა ქრისტე. და თუკი, თალმუდს აკეს შეხების წერტილები ქრისტეს მოძღვრებასთან, არ უნდა დაეკვიეწუდეს, რომ ეს ბუნებრივია, რადგან ქრისტე — ძე ღვთისა ხორცეულად დაიბადა ებრაულ ოჯახში, ებრაელთა მიწაზე, რომ ებრაელებმა ... ცხოვრობდა ებრაული კანონებით"[1].

იუდაიზმისა და ქრისტიანობის დაახლოებ[illegible] საათის აუცილებელი, პასუხი გაეცეს ორ კითხვას: 1). რატომ ვერ იცნეს მესიად იესო ქრისტე ებრაელებმა და 2) რატომ დასაჯეს იგი სიკვდილით.

ამ კითხვებზე პასუხობს ზემოხსენებული ფრანგი აკადემიკოსი დანიელ როშსი. მისი აზრით, ძველმა ებრაელებმა ვერ მიიღეს ქრისტე თავის მესიად, გარკვეული ისტორიული, რელიგიური და ფსიქოლოგიური პირობების გამო. „ნუთუ, — წერს იგი, — ის ხალხი, რომელიც იძულებული იყო თაობების მანძილზე ებრძოლა მეზობლებთან და მჩაგვრელებთან, რომელთაც ის თვლიდა თავისი რელიგიის მტრად, იყო მზად მსოფლიოს მესიის აღსაარმელად? ნუთუ ხალხს, რომელსაც საუკუნეების მანძილზე წარმოდგენილი ჰყავდა ქრისტეს, როგორც სახელოვანი და ძლეველისი, შეეძლო დაენახა მასი ნაზარეთელი დურგლის ძეში? და ვინაიდან, ქრისტეს ტანჯვა აუცილებელი იყო, ამიტომ, თვით ესოს უარყოფაშიც, ისრაელი ღმერთის ირაღად გამოდის"[2].

მეორე კითხვაზე კიდევ უფრო გარკვეულ პასუხს გვაძლევს თანამედროვე კათოლიციზმის ოფიციალური ფილოსოფიური დოქტრინის — ნეოთომიზმის ერთ-ერთი ლიდერი ჟ. მარიტენი: „ვინ აცვა ქრისტე ჯვარს? ებრაელებმა, რომაელებმა, — კითხულობს ის, — მე თვითონ ვაცვი ი[illegible] ჯვარს, მე თვითონ ვსჯი მას სიკვდილით ყოველდღიურად ჩემი ცოდვებით... ებრაელები, რომაელები, ჯალათები — ყველა ისინი ღმერთის გამოსყიდველი ნების უნებლიე ირაღები იყვნენ"[3].

ამ თეორიულ მსჯელობებს მოჰყვა პრაქტიკული ნაბიჯებიც. ჯერ კიდევ 1964 წლის ინ[illegible]ერში საოცარი ამბავი მოხდა ქრისტიანობის ისტორიაში. რომის პაპი, პავლე VI ჩავიდა „წმინდა მიწაზე" (ასე ეძახიან ისრაელს) საოლიციადან და შეხვდა იქ ისრაელის პრეზიდენტს ზალმან შაზარს. სიტყვებით: „შალომ, შალომ" („მშვიდობა, მშვიდობა" — ძველ ებრაულ ენაზე). ამ ვიზიტიდან ერთი წლის შემდეგ, 1965 წელს, ვატიკანის II მსოფლიო კრებაზე მიღებული იქნა „კონსტიტუცია ებრა-

[1] იხ. И. Фельдман. «Враги — друзья». Журн. «Наука и религия», № 2, 1970 г.

[2] იქვე.

[3] იქვე.

თეიმურაზ ფანჯიკიძე
ქრისტიანული რელიგიის კრიზისი
დასავლეთში

ელების შესახებ», რომელიც თანამედროვე ებრაელებს ანთავისუფლებს ქრისტეს ჯვრების ბრალდებისაგან. ამავე დროს, პაპის ტახტთან ქრისტიანული საქმეების სამდივნოს და არამორწმუნეთა საქმეების სამდივნოს გვერდით შეიქმნა არაქრისტიანთა საქმეების სამდივნოც. კათოლიკე სასულიერო პირებს მიეთითთ, რომ ადგილებზე ითანამშრომლონ იუდეველებთან და მუსლიმანებთან არამორწმუნეებთან დიალოგში.

რასაკვირველია, როგორც ეკუმენისტური მოძრაობა, ასევე ცდა ერთმანეთს დაუახლოვონ სხვადასხვა მონოთეისტური რელიგიები, სრულებითაც არ არის კერძო პირების სურვილი, სულაც არ არის გამოწვეული ქრისტიანული ალტრიზმით. ის უფრო პრაქტიკულ მიზნებს ისახავს — შექმნას ერთიანი ფრონტი მატერიალიზმისა და ათეიზმის წინააღმდეგ. ეს აზრი კარგად გამოხატა კათოლიკე მწერალმა ჟ. მადოლმ, რომელიც წერდა: „ჩვენ იუდეველები და ქრისტიანები, უნდა ვიბრძოლოთ მხარიმხარ მარადიული კერპთაყვანისმცემლობის წინააღმდეგ, რომელიც აღორძინდება ყოველ ასწლეულში განსაზღვნულ ფორმებში"[1]. სატყვა კერპთაყვანისმცემლობაში ჟ. მადოლი მეცნიერულ ათეიზმსა და მის გაელვნას გულისხმობს.

რა გამოა ამ წამოწყებიდან ძნელი სათქმელია. მიუხედავად დიდი სურვილისა ერთიანი ძალებით გაუმკლავდნენ მატერიალიზმსა და ათეიზმს. მათ წინ ელობებათ დიდი სიძნელენი. თეოლოგიური დებულებების შეჯერებისას მედავნდება არა მარტო ის მხარეები, რომლებიც სხვადასხვა მიმართულების ქრისტიანებს ან სხვადასხვა რელიგიებს აახლოებენ, არამედ ის მხარეებიც, რომლებიც მათ აშორებთ. ამიტომ, უახლოეს მომავალში ასეთი შერიგება საეკუნენობრივი მტრობისა ნაკლებადაა სავარაუდო. მაგრამ გრძელი გზა არ ნიშნავს გადალახვ გზას. სპეციალისტების აზრით, ეს ტენდენციები ამა თუ იმ ფორმით, გარკვეულ მომენტში რეალიზებული იქნებიან.

---

[1] И. Фельдман «Враги — друзья», журн. «Наука и религия», № 2. 1970 г.

ამრიგად, ოფიციალური რელიგია კრიზისს განიცდის. ქრისტიან მორწმუნეთა რიგები თანდათანობით თხელდება. ისინიც კი, ვინც მათ რიცხვში რჩება, აღარ არიან ჭეშმარიტი ქრისტიანები, ამ სიტყვის კლასიკური გაგებით. ეს იმიტომ, რომ ეკლესიე არ ნიშნავს იმას, რომ კაპიტალისტური ქვეყნების მსახლობა მთლიანადაა განთავისუფლებული რელიგიისაგან, ყოველგვარი ცრურწმენებისაგან. კაპიტალისტურ ქვეყნებში ჯერ კიდევ დიდი რელიგიურობის პროცენტი, რადგან რჩება მისი გამომწვევი სოციალური მიზეზები, ექსპლუატატორული საზოგადოების ეკონომიური უკუძარცობანი: უმუშევრობა, სიღატაკე, გაჭირვება, ზნეობრივი ნორმების დაცემა, სოციალური და პოლიტიკური უთანასწორობა.

„ისტორიული პარადოქსი, — წერენ ამერიკელი საზოგადო მოღვაწენი და მეცნიერები,— მდგომარეობს იმაში, რომ აშშ-ში მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი არსებობს მინიმალურ შემოსავალზე; დროდადრო ისინი მათ სოფიოულ ღონემდე ეშვებიან. ეს იმ დროს, როდესაც ქვეყნის საწარმოო პოტენციალი თვითეული ამერიკელის საჭიროების დაკმაყოფილების საშუალებას იძლევა"[1].

სოციალური უთანასწორობა, უმუშევრობა, მტრობა, გაუცხოება, უნდობლობა, ეშვიანობა, უსულგულობა, სიღატაკე წარმოშობდა და წარმოშობს ათასგვარ დამახინჯებულ შეხედულებას სამყაროზე, საზოგადოებრივ ცხოვრებაზე, ეს კი რელიგიის მთავარ შინაარსს წარმოადგენს.

ყოველივე ამას ემატება ის ფაქტი, რომ რელიგიური მსოფლმხედველობა ინერგება არა მარტო რელიგიური ორგანიზაციების, არამედ სახელმწიფოს მიერაც. რაც შეეხება ათეისტურ მსოფლმხედველობის პრობაგანდას ეს სახელმწიფოსადმი არალოიალურ დამოკიდებულებად ითვლება. ამის გამო მოსახლეობის დიდი ნაწილი ჯერ კიდევ სხვადასხვა რელიგიური წარმოდგენების გავლენის ქვეშ არის მოქცეული.

ასეთ პირობებში ათეიზმისა და თავისუფალმოაზროვნეობის შემდგომი წინსვლა, ხალხის სრული განთავისუფლება რელიგიური წარმოდგენებისაგან კაპიტალისტურ ქვეყნებში ძირითადად დამოკიდებული იქნება კაპიტალიზმის სოციალური უკუღმართობის მოსპობის, ექსპლუატატორული საზოგადოების საბოლოოდ განადგურებისაგან.

---

[1] Полный текст манифеста в журнале «Мировая экономика и международные отношения», № 4, 1965 г., стр. 81.

ელენე გაბუნია

„მობი დიკის“ კავშირი XIX საუკუნის შუაწლების ამერიკის სინამდვილესთან

ჰერმან მელვილი, დღეს საყოველთაოდ აღიარებული კლასიკოსი, ამერიკელ მწერალთა პანთეონში მხოლოდ XX საუკუნეში მოხვდა. მისი შემოქმედების აღიარება 1921 წლიდან დაიწყო, ამ საქმის მოთავედ სამართლიანად ითვლება რაიმონ უიგერი, რომლის მონოგრაფიის გამოსვლის შემდეგ ჰერმან მელვილისათვის ახალი ერა დაიწყო.

მელვილი დღეს ამერიკული ლიტერატურის ტატანდაა მიჩნეული. მას ადარებენ შექსპირს, მილტონს. მის შემოქმედებას აურაცხელი გამოკვლევა მიეძღვნა; მარტო „მობი დიკზე“, რომელიც ამერიკული ლიტერატურის „ოდისეად“ გადაიქცა, ათასამდე მცირე თუ დიდი ფორმის გამოკვლევაა დაწერილი, მისი მიხედვით გადადებულია სურათი, შექმნილია ოპერა.

მელვილის თანამედროვეებმა „მობი დიკს“ „ფაქტებისა და ფანტაზიის კურიოზული ნაკრები უწოდეს“, „ავადმყოფური გონების პროდუქტად“ გამოაცხადეს. ამის მიზეზი იყო რთული რომანტიკული სიმბოლიკა და ალეგორიზმი, თავისებური კომპოზიცია, სიმბოლურ სახეთა რთული სტრუქტურა.

მელვილის თანამედროვე ამერიკამ ვერ გაიგო „მობი დიკი“ და ზურგი შეაქცია მას, მაგრამ „შესაძლოა, ეს უკეთესი იყო — წერს პარინგტონი, — თანამედროვეებს იგი გიგად რომ არ ჩაეთვალათ და გაეგოთ მისი ფილოსოფიის გამანადგურებელი ირონი, ყოველნი ასტეხდნენ და მოითხოვდნენ სიცხლს ბერეზელისას, რომელმაც მათი კერპების შებღალვა გაბედა“[1]

„მობი დიკი“ საუკეთესო საზღვაო რომანთა რიგს ეკუთვნის, მაგრამ მისი მნიშვნელობა მარტო საზღვაო რომანის ღირსებებით როდი შემოიფარგლება. იგი ერთ-ერთი ყველაზე ღრმა, რთული და პოეტური ნაწარმოებია XIX საუკუნის ამერიკული ლიტერატურისა. მელვილი აყენებს ადამიანური ცხოვრების მწვავე საკითხებს, აქსოვს ფილოსოფიურ-ისტორიულ ნაზარევს ამერიკის ხალხთა ბედზე სამოქალაქო ომის წინ, ფიქრებს ადამიანის ბუნებაზე, საზოგადოებრივი ყოფის კანონებზე, ზნეობრივ პრინციპებზე.

„მობი დიკი“ ორალნიანი ტილია და შესაძლებელია ორგვარი ინტერპრეტაცია—რეალური და სიმბოლური. იგი ნაწილობრივ შეიძლება გაგებულ იქნეს როგორც სათავგადასავლო რომანი. ნაწარმოების მთავარი გმირი, უფუფხო კაპიტანი კვალდაკვალ მისდევს თეთრ ვეშაპს, რათა სამაგიერო გადუუხადოს დაკარგული ფეხისათვის. მაგრამ გმირები თანდათანობით „სიმბოლურ სამოსელში“ ვეკვლინებრნენ და თითქოს გაორებულ ცხოვრებას იწყებენ. „მობი დიკის“ ყველა მთავარი გმირი დასაღუპავად გაწწირული „პეკოდის“ რეალური მოგზაურიც არის და მითიური. ისინი არა მარტო გარკვეული სახეებია, არამედ სიმბოლოებიც, რომელთაც მნიშვნელოვანი როლი ეკუთვნით „პეკოდის“ ტრაგიკულ რეისში. აქაბა—ვეშაპსანადირო ხომალდის კაპიტანი—ტიტანია, დიდი მეამბოხე, მტარვალური საწყისისა და მოიფლეთ ბორტების წინააღმდეგ აჯანყებული. თეთრი ვეშაპი, რომელიც გარკვეულ მომენტებზე ბუნების სამყაროს ფერი ეკუთვნის, ვიდრე ტრაგიკულ მითს, საყოველთაო ბორტების სიმბოლოდ იქცევა და „პეკოდის“ ნაოსნობის დიადი მიზანი ხდება. თვით „პეკოდი“, ვეშაპსანადირო ხომალდი, მეტრაკი მიკროსამყაროა. ხოლო მსოფლიო ოსანმრთლობის

[1] V. L. Parrington. Main Currents in American Thought, Vol, II N.Y; Harcourt, Brace and company, 1927 p 266.

წინააღმდეგ ამხედრებული „პეკოდის“ ინტერნაციონალური ეკიპაჟი მრავალეროვანი ამერიკის გამოხატულება.

წიგნის დასაწყისში ტრაგიკული მოგზაურობის მთხრობელი და მემატიანე ისმაილი ჯერ კიდევ დაკვიშებულია ყოფით გარემოსთან. მაგრამ ისმაილი ადის „პეკოდის“ გემბანზე. კეპი შმობლიერ ნავადგურს ტოვებს და ცივი ოკეანის სივიცეში იკარგება, რომ პირისპირ შეხვდეს ათასეული განსაცდელს. უკან რჩება მყუდროება, მეგობრები, თბილი საღამო, ხოლო წინ არის წყლის დაუსაზღვრელი პრერიები, შორეული ამობურცული ზღვები და ოკეანის ურჩხულთან სასეფისწერო შერკინება; მაგრამ როგორც თვით მელვილს, ისე მის გმირებსაც სტანჯავდათ შორეულის შეცნობის წყურვილი, რადგან ფესვსერული სივრცეში „ცოცხლობს ჭეშმარიტება, ღმერთივით უკიდეგანო და ფესვიერო. ამიტომ ხდება მსრბოლავ უსასრულოებში დაიღუმი, ვიდრე შერეხვენილი ზღვამ ნაპირზე გამოგაგდოს და სიცოცხლე გიწყალობოს, რადგან მატიანეთი სამარადისოა. ეი, ვინც შიშით გამოფოფოლდება ხმელეთზე!“[1]

ციელოზაციიდან, თანამედროვეობიდან განდგომა, მოქმედების გადატანა ხომალდზე, ოკეანეთა უსაზღვრო სივრცეში, სადაც ადამიანი მოლოს და ბოლოს მეფმიგმქმედ სტიქიათა წინაშე აღმოჩნდება და თითქოს არც კი განიცდის ფრთის გაფენას, ყველაფერი ეს ქმნის ისეთ შთაბეჭდილებას, თითქოს რომანის მოქმედება მოწყვეტილია ამერიკის საზოგადოებრივ ცხოვრებას და არავითარი კავშირი არა აქვს XIX საუკუნის შუა წლების ამერიკულ სინამდვილესთან. არტურ ჭეინი თავის ნაშრომში „ნაციონალური ლიტერატურის ჩამოყალიბება“ აღნიშნავს, რომ „ბობი დიკი“ არ გამოუხატავს ამერიკული ცხოვრების განვითარება. მელვილს ფრონტირი „ეეზოტიკური“ იყო, ხოლო მის ნაწარმოებებს არ განუცდია თავისი დროის ძირითად მიმდინარეობათა გავლენა“.[2] მიუხედავად იმისა, რომ დღეს „ბობი დიკზე“ აურაცხელი ლიტერატურა შექმნილი, ცოტა ისეთი ნაშრომი, რომელშიც საუბარი იქნებოდა რომანის კავშირზე მელვილის თანამედროელ ამერიკულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებასთან. ამერიკელ კრიტიკოსებს არ სურთ დაინახონ მწვავე წინააღმდეგობები იმ დროისა, როცა მელვილი ცხოვრობდა და ქმნიდა სოციალურ-ფილოსოფიურ ეპოპეას თვარ ვეშაზე. ეს კრიტიკოსები, ცხადია, ვერ შეძლებენ ისტორიულად შეაფასონ მელვილის შეხედვები. ლიტერატურათმცოდნის ჯეიმს მილერის აზრით, მელვილმა თავის რომანში ამერიკის თანამედროვე მითოლოგია, რომელიც ემყარება ფაქტებსა და ლეგენდებს ეეშაზე და თუმცა „რომანში არ არიან ღმერთები, სამყაროდ არიან ეეშაზეში, რომელნიც ასრულებენ ღმერთების ძველ ფუნქციას“.[1] თანამედროვე მელვილისა რომანს აშორებს ამერიკულ სოციალურ სინამდვილეს და აცამტვერებს იმ ეპოქის იდეათა და გრძნობათა რთულ კომპლექსს, რომელშიც იქმნებოდა მელვილის შეხედვა. — „ეს არის ოკეანე მუდმივი ცხო

მყოფელი აგენტი არ დათანხმდებოდა გამოუწერა მათთვის სადაზღვეველ პოლისი"[1] ან კიდეკ „...ლეგისტური მზერით ხეხტენენ ხალმბიაველი სამდინარო ქალაქების ადგილებს, სადაც ეკლესიები მაკლია დღეს ღუმ მიწაში დოლარს გადაგახდევინებთ"[2] თვით სიუჟეტი „მობი დიკისა" ვეშაპის სარეშეს ისტორია და ვეშაპებზე ნადირობა მიგვანიშნებს რომანის მეჩიერო კავშირზე XIX საუკუნის შუა წლების ამერიკის სოციალურ სინამდვილესთან. ათასობით ამერიკელი შრომობდა ვეშაპის სარეშეში და მილიონობით ამერიკელი სახლებს ვეშაპის ქონისაგან დამზადებული სანთლებით ანათებდა, როდესაც მელვილი პირველად აკიდებ ვეშაპსანადირო ხომალდ „აკუშნეტის" გეშაპნეზე. ამერიკელი ვეშაპის სარეშე მაშინ თითქმის საუკუნეს ითვლიდა და თავისი განვითარების უკანასკნელ ათეულეულში შედიოდა.

მელვილის დრის ვეშაპმონადირის პროფესია რომანტიკელი შარავანდედით იყო მოსილი. მელვილი კი წარმოგვიდგენს მათ ცხოვრებას არა შორიდან, არამედ ახლოს, რომანტიკელი სახელეველის გარეშე, გვიჩვენეს ვეშაპმონადირეთა საფრთხით აღსავსე ყოველდღიურ საქმიანობას. ველოსამით და დამაჯერებლად აგვიწერს ვეშაპმონადირეთა ყოფას, სარეშეს ცალკეულ მხარეებს. მელვილის დროის დიდმა ფილოტრატმა ვ. დეკინმა თავის "შრომაში „ვეშაპმონადირეთა თავგადასავალი", „მობი დიკი" „დიდი ვეშაპსანადირო კლასიკა უწოდა"[3] ხოლო მეორე ცნობილი ვეშაპმკოდნე ეშლი თავის წიგნში „ინგი ვეშაპმონადირი" წერდა: „არ შეიძლება იყოს სხვა, უფრო დამაჯერებელი სურათი ვეშაპის სარეშისა და უფრო მომხიბვლელი საზღვაო რომანი, ვიდრე მელვილის „მობი დიკი"[4]. ფაქტიურად ასეთი იყო „მობი დიკი" შეფასება XIX საუკუნეში. მელვილის თანამედრო

ტემას მის უამოდ ანტიჰუმანურ გამოცდილებებს, მაგრამ სჯეროდათ რომ მათი თანამედროვეს სინამდვილის მრავალფაროვანი მანკიერებანი დროებითი იყო. მიუხედავად მწარე გაწბილებებისა და კრიტიკიზმის გამძაფრებისა თავისი შემოქმედების გვიანდელ ეტაპზე, კეპერს მაინც არ დაუკარგავს იმედი, რომ დროთა განმავლობაში ადამიანის ნამდვილი თავისუფლება და დამოუკიდებლობა.

პრაიენტისათვის, ირვინგისათვის, სამყარო ნაოცი და უბრალო გახლდათ. ამიტომ მათი შემოქმედება „ბამეფირველ“ იყო და ცხოვრება ნაკლებად გართულებულ ფორმაში წარმოდგენილი. მაგრამ მათ ნაწარმოებებს არ ახასიათებს ის სიღრმე, ძიებებისა და შინაგანი კონფლიქტების დაძაბულობა, რასაც გვიანდელი ამერიკული რომანტიკოსების შემოქმედებაში ვხედავთ. გვიანდელი რომანტიკოსების წინაზე XIX საუკუნის ამერიკის შუა წლების სინამდვილე წარმდგა მთელი თავისი სირთულითა და ძმაფრი წინააღმდეგობებით. მკაცრმა სინამდვილემ გაბედაწერა ადრეული რომანტიკოსების ილუზიები. ნათნიელ ჰოთორნმა, ედგარ პომ, და ჰერმან მელვილმა, მათგან განსხვავებით, ტრაგიკულად აღიქვეს ამერიკული დემოკრატიის გაფაფაობა. მელვილ დაეძლეულად მიაჩნდა ის ბოროტება, რომელიც მის თანამედროვე ადამიანს ერტყა. მან მთელი ფილოსოფია შექმნა ბოროტებისა და თვთრი ვეშაპის დიდ რომანტიკულ სიმბოლოში განასახიერა. თუმცა მელვილი პირდაპირ გვეუბნება, რომ ვეშაპი, რომელსაც აჭაბი სამკედრო-სასიკვლცხლოდ შეერკინა, „არსებობდა მანამ, სანამ დროის დინება დაიწყებოდა“[1] და აჭაბმა „ვეშაპის კუზზე დაანთხია მთელი თავისი გაშმაგება და ის სიძულვილი, რაც კაცთა მოდგმას ადამის დროიდან უგროვებიაო“[2]. მაინც ამ მსოფლიო ბოროტების დიდ სიმბოლოში განსაზღვრული და საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწილი უკავია ამერიკის დიდ საზოგადოებრივ ბოროტებას. თვით აჭაბის შეგნებაშიც ის სიძულილი, რომელიც მან „ვეშაპის კუზზე დაანთხია“, შედგება ამერიკის 40-50-იანი წლების საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების ზეკავლენისა.

თუმცა მელვილ დაეძლეულად მიაჩნდა თეთრი ვეშაპი, მაგრამ დიდ რომანტიკოსს იმედის კარუმე ცხოვრება არ უნდოდა. მან თავისი მამაცი კაპიტანი, დიდი მეამბოხე, რომანტიკული შარავანდედით შემოსა, ტიტანად აქცია და დაუპირისპირა ბოროტ ძალებს. მაგრამ გმირული ცდა ბოროტებასთან ბრძოლისა ტრაგედიად მოაკრდება. თვით გმირული კაპიტანს სასწაულ მიგვანიშნებს „მობი დიკი“ ანუ „ბეჭედი“ კაცშორეულ XIX საუკუნის ამერიკის სოციალურ სინამდვილესთან.

კაპიტანის საზარელმა ყბამ აჭაბს ფეხი „ისე წაიცალა, როგორც მთიბავი ცელაკს ბალახს მდელოზე“ და იგი სამუდამოდ ხეიბრად იქცა. ამ ბამაკეთებელი შეტაკების შემდეგ დაეუფლა აჭაბს ეშმაზე შურისგების დაუოკებელი წყურვილი. „მობი დიკი არა მარტო ფიზიკური ტკივილების მიზეზი იყო, არამედ სულიერადაც სტანჯავდა მას, ხორცშესხმულ ბოროტებასავით შედგა თვალწინ დაცურავდა... აჭაბი მას თაყვანს არ სცემდა, მაგრამ ეშმაკეობულმა საძულველ თვთრ ვეშაპად მონათვა და, დასახიჩრებული, მარტოდ მარტო ლუდგა მასთან სპრძოლველად“[1].

აჭაბმა შეძლო თავისი დაუოკებელი სურვილი ეკიპაჟის წევრებისათვისაც გადეცდო. ყველამ ერთხმად დადო ფიცი, მოეკლათ ზღვის ურჩხული.

მელვილ წიგნის დასაწყისში მოთხრობილი აქვს მამა მეშელის ქადაგება იონაზე, რომელსაც გაწლილ ოკეანეში დაეწია ვეშაპის სახით გამოცხადებული ღმერთი და გადაკლაპა ჩაფეხილი ცოდვეებისათვის „და მაშინ იონა ვეშაპის სტომაქიდან შეევედრა მაპაზეცერს — კეთილობა ჭქადაგებელი,—ყური ათხოვეთ მის ლოცვას და დაიწყეთეთ ეს საყურადღებო ბაკვეთილი. მართალია, იონა ცოდვილიაო, მაგრამ იგი არ გოდებს და უფალს არ ვეედრება დამიხსენო, კრძნობს, რომ ღირსია ამ საშინელ სასჯელისა. თავის ხსნა მთლიანად ღვთის ნება-სურვილისათვის მიუნდეა და კრთებისა და წამების მიუხედავად, თვალები ღვთის წმიდა ტაძრისათვის მიუპყრია. სწორედ ეს არის, ძმანო მეზღვაურნო, ნამდვილი, ეშმარიტი მონანიება, რადგან არ ითხოვლობს შეწყალებას და მაღალერია სასჯელისა... ძმანო, ნუ მიბაძავთ იონას საქციელს, რამეთუ მან სცოდა, იონას მიერ ცოდვის მონანიება იყოს თქვენთვის მაგალითი. ნუ შესცოდავთ, და თუ შესცოდეთ, ეთუოდა ისე მონანიეთ, როგორც იონამ“.[2]

იონას მონანიება აჭაბის ირონიულ კონტრასტია. მამა მეშელი და იონა აჭაბის საწინააღმდეგო სახეებია. თვით რომანის მთელი ფილოსოფია ეწინააღმდეგება მამა მეშელის ქადაგებას. აჭაბისათვის უცხოა ქადაგება მორჩილებასა და მონანიებაზე. აჭაბი მეამბოხეა, შურისმაძიებელი, ღვთისმგმობი, ამერიკის მსჯავრსალი, მას მხრებზე აწევს მთელი კაცობრობის წუხილი და წამება. მელვილი ხაზგასმით გვაფრთხილებს თავისი გმირის ტრაგიკულ

[1]. მელვილი, მობი დიკი ანუ თეთრი ვეშაპი. გვ. 557.

[2]. იქვე. გვ. 271.

[1] მელვილი „მობი დიკი ანუ თეთრი ვეშაპი“, გვ. 279.

[2] იქვე. გვ. 85.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მის მებრძოლ სულისკვეთებას: მან აბეზრად აიგდო ღმერთი, ყველა ბოროტი ძალა, საკეთრხეველს დაადურთხა, სასტიკი უარი განუცხადა თანაშემწეებს ღმერთთან მეხამრთელი, როდესაც ზღვა ცასთან ერთად ღმეოდა, შუაზე იხლიჩებოდა მეხისაგან, ნაფოტებად დამსხვრევას ემუქრებოდა „პეკოდსს“; აქაბმა არაფერად ჩააგდო წმიდა ელშის ავბედითი, უფერული სინათლე, რომლის თვალი და მკრთალი ალი რეების ყოველ ნოჭზე დაენთო და შეძრწუნებულ ეკიპაჟის თვალწინ „ერთი ძმლავრი ამოსუნთქვით ჩააქრო ბარჯის ლანგარზე ჭაკიდებული ცეცხლი“[1]. მას ეკვიანენ გადაადგმევინებს მტკიცე გადაწყვეტილებას, შეებრძოლოს და მოჰკლას საძულველი ვეშაპი, რა ფასადაც არ უნდა დაუჯდეს ეს სამკვდრო-სასიცოცხლო შერკინება. მას არ აშინებს საშინელი ურჩხულის დევნა ფდაბერ წყლებში, რათა გაანადგუროს ლევიათანი, ბოლო მოუღოს სოციალურ უსამართლოებას მსოფლიოში. ყური არ ათხოვა მათ, ვინც არწმუნებდა, ჭეელოვის აღმართვა თვარ ეკეშაზე უბრალო მომავლდგას საქმე არ ირსოო. აქაბმა თვით გამოსწვდა თავის ბარჯი და სამი წარმართის — თეშტიფოს, ქვიქეგის და დეგუს სისხლში გამოაწრო შემდეგი სიტყვებთ: Ego non baptizo te in nomine patris, sed in nomine diaboli[2].

მაგრამ ბარჯს მაინც არ ძალუძდა ამ ბოროტების მოსპობა, რომელიც თვარ ვეშაპში იყო დაბუდებული. აქაბი უკანასკნელ წუთამდე ინარჩენებს სიმტკიცეს, მამაცურად ხვდება შურე ბედს, ამაყად და ლამაზად კვდება.

აქაბი გვაგონებს ჰემინგუეის მოხუც სანტიაგოს. მსგავსება შემთხვევითი არ არის. ჰემინგუეი თაყვანს სცემდა მელვილის შეუდარებელ ტალანტს და ხშირად გამოუხატავს აღფრთოვანება მისი შედევრის გამო. ალბათ „მობი დიკის“ ტრადიციის გარეშე არ დაიწერებოდა ჰემინგუეის „მოხუცი და ზღვა“, ერთი მოხუცი თვარ ვეშაპს უცხადებს სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას, მეორე „დიდ თევზს“ ებრძვის. მესამე დღეს მარცხდება ერთიც და მეორეც, მაგრამ არც ერთი არ ცნობს დამარცხებას, მორალური გამარჯვება მათ მხარეზეა, ორივე მოხუცი შეუპოვრად იბრძვის და არაჩვეულებრივ ვაჟაცობასა და გმირობას ამჟღავნებს. მათი ბრძოლა ნამდვილი ჰომინი ადამიანის უძლეველობისა და შემართებისა. აქაბის უკანასკნელ მონოლოგში ადამიანის სიდიადე და დაუძლეველობა ისმის, ოგიეე პათოსითაა გამსჭვალული ჰემინგუეის სანტიაგოს უკანასკნელი სიტყვებიც: „მე დაგიმტკიცებ, რა შეუძლია ადამიანს“.

ორივე მოხუცის დამარცხება ჰესეიანტურ ინტერპრეტაციებს იწვევს. მაგრამ არც ერთ მწერალს არ უნდოდა ეჩვენებინა ამაოება ადამიანის ბრძოლისა, მისი უპერსპექტივობა.

„ადამიანი შეიძლება განადგურო, მაგრამ მისი დამარცხება შეუძლებელია“, — ამბობდა ჰემინგუეის მოხუცი.

„ადამიანი ბრწყინვალე არსებაა“ — ეს სრწმენა მელვილმა ბოლომდე შეინარჩუნა, მიუხედავად იმ მწარე გაჭირვებისა, რომელიც ცხოვრებამ არგუნა. ესაა დიდი კაცობმოყვარეობის ღირსება, სწორედ ამიტომ აპყავს მას აქაბი თავბრედამხვევ სიმაღლეზე, რათა გახადოს: იგი ღირსეული მეტოქე იმ კეკბერთელა ბოროტებისა, რასაც თვარი ვეშაპი ასახიერებს აქაბი კეთილი ზარახვიანის მკონე, დიდი გულის ადამიანია, იგი თვარ ვეშაპსთან სიბეღნიერეს შეკრეწებში აყენებს არაჩვეულებრივ ვმირობას და სიცოცხლეს სწირავს სამართლიანობისათვის ბრძოლას. მისი მიზანი თავიანი სიდიადით სამოთხისა და ჯოჯოხეთის კოსმოსური ბრძოლის თანაბარია, წარსული რეალურეაციების ტოლფასოვნია. მიეხედავად იმისა, რომ ფუძემელი ოკეანე და ზღვის ურჩხეული ღუპავდნენ და ღუპავენ ათასობით ადამიანთა სიცოცხლეს, შეუდრეკელი ადამიანი ქედს არ იხრიდა მის წინაშე და მომავალშიც იბრძოლებს ‘ყოველთაო ბოროტების წინააღმდეგ. ასეთია „მობი დიკის“ მაგალითი.

აქაბი, „მობი დიკის“ ყველაზე რთული ფილოსოფიური სახეა და მისი ბრძოლა თვარ ვეშაპთან, ცხადია, კრიტიკოსთა ყურადღების ცენტრში დგას. აქაბის წინააღმდეგობებით აღსავსე პიროვნება სხვადასხვაგვარი განმარტებების ფართო შესაძლებლობას იძლევა. „თოთქმის ყოველ მკითხველს „შეუძლია იპოვოს ინტერპრეტაცია, რომელიც შეესაბამება მის აზროვნებას, — წერს ამერიკელი ლიტერატურათმცოდნე ტ. ჰილეი. — მაგალითად, ფროდიანტელი ფსიქოლოგიის საფუძველზე შესაძლებელია ვამტკიცოთ, რომ თვარი ვეშაპი განასახიერებს მელვილის ჰერიტანელ შეგნებას, რომლის წინააღმდეგაც მისი „ეგო“ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაშია ჩაბმული. სხვებმა შეიძლება უპირატესობა მიანიჭონ თეორიას, რომ ვეშაპი ასახიერებს ბოროტებას და აქაბი თანამედროვე ქრისტეს, ანტიკრიმეთეს, რომელიც ებრძვის მის ძალას. ვეშაპს ათასნაირებენ რელიგიასთან და აქაბს ლიბერალურ აზროვნებასთან, აქაბისა და ვეშაპის ბრძოლა შეიძლება კიდევაც გულისხმობდეს ბრძოლას ინდივიდუალიზმსა და სოციალურად შეთან-

[1] მელვილი, მობი დიკი ანუ თეთრი ვეშაპი, გვ. 729.

[2] ღვთის სახელით კი არ ვნათლავ მე შენ, არამედ სატანის სახელით (ლათ).

ხმებულ ნორმებს შორის, ან მარქსიზმსა და კაპიტალიზმს შორის, ან მეცნიერებასა და ბუნებას შორის."[1]

ეან ფაკ მეიო თეორ ვეშაპი ხედავს არა მარტო „შეუცნობელ სამყაროს", არამედ ღმერთსაც, „მელვილია ლევიათანი მტკიცე, ვიდრე ღმერთის ბაბილონტულა, იგი ღმერთია და აგრეთვე საშინელება, ძალა, სიიდუმლოება. ხოლო აქაბი იბრძვის ამ სიიდუმლოების წინააღმდეგ.[2]

ბურჟეოზიულ კრიტიკოსებს არ უნდათ დაინახონ ის, რა განსახიერია ან რისი განსახიერება შეეძლო მელვილს „ობი დიკის" რომელსა და მრავალნაშუნელოვან სახეებში. ზოგჯერ მელვილი აქაბს იდეალს თვისებებს ანიჭებს, აქაკს თავბრუდამხვევ სიმაღლეზე, აქაბი ჭეთხველის წინაშე წარმოსდგება „ავაყი, როგორც ბერძნული ღმერთი", ხანდახან კი ღმერთზე მაღლა დგას, მაგრამ უმეტეს შემთხვევაში მის სახეში აღბეჭდილია XIX საუკუნის შუაწლების ამერიკული სინამდვილის უკიდურესი წინააღმდეგობები. აქაბი თავისი ეპოქის განსახიერებაა, იგი ამ ეპოქის მამძიძავებელი ძალებთა და ტენდენციებთაა ჩამოყალიბებული.

აქაბის მრავალშუნელოვან სიმბოლოში XIX საუკუნის შუაწელის წინააღმდეგობებთ აღსავსე სინამდვილეა განსახიერებული. ამიტომ იგი ნაჩუენებია ფაჯონო ალანით, მთელი თავისი მრავალფეროვნებით. აქაბი არის ამერიკული სინამდვილით შექმნილი გასული საუკუნის შუა წლების ტიპიური წარმომადგენელი, რომელიც უკიდურესი ინდივიდუალიზმით და ეგოიზმით ხასიათდებოდა. მელვილი ალეგორიულს აქაბისათვის დამახასიათებელ მკვეთრად ინდივიდუალისტურ ტენდენციებს და ამით ალბეჭდავს გასული საუკუნის I ნახევრის ამერიკელის სულის არსებით მხარეს. ეს ის დრო იყო, როდესაც ამერიკის სიზოგადოებრივ, პოლიტიკურსა და ზნეობრივ სფეროებში უდიდესი გადატრიალება ხდებოდა. გაიმარჯვა იანკის ინიციატივიანმა სულიერკეთილმან და ყველა კანონს გადალახვისაკენ უხეშმა ტოლოკამ. გამორჩენის სურვილმა შთანთქა ამერიკელთა ყოველი კეთილი ზრახვა. ამერიკა დაუცხრომლად მიისწრაფოდა სიმდიდრისა და ფარშტუბინსკენ. აქაბიეთ ინიციატივანი, ენერგიული და ძლიერი პიროვნებანი დაეფინენი ოლტოდნენ სიმდიდრის დაგროვებისა და შეძენისაკენ, კონტინენტის გამოუკვლეველი რესურსების ათვისებისაკენ. ისინიც აქაბეთი ფანატიკურად ღამობდნენ საკუთარი მიზნის განხორციელებას. [illegible] ღნენ საზოგადოებრივად [illegible] ,აშენებდნენ არხებს, ფაბრიკებს, ქალაქებს. მაგრამ ასეთივე ენერგიულმა პიროვნებებმა შეიწუვეს ხელი კაპიტალიზმის გაფფურჩვნის და იმ სინამდვილის განმტკიცებას, საიდანაც გაიქცა კუპერის წათი ბუმპო და ტყეებსა და პრერიებს შეაფარა თავი, მელვილის გმირებმა — ოკეანეთა სიერეებმა. ამ სინამდვილიდან გაიქცა ჰენრი თორო ტოლდენი. ტყეში. ეფორო ვეიან ჰეკლბერი ფინი. ამ სინამდვილეს გაურბიან დღეს სელინჯერის, ალდიკის გმირები.

აქაბის რთულსა და წინააღმდეგობებით აღსავსე სახეში, გამოხატულნა პოეა ამერიკული საზოგადოებრივ განვითარების ურთიერთსაპირისპირო ტენდენციებმა. სწორედ აქაბის სახის სირთულე გვიჩვენებს, თუ რა რეაგირებას ახდენდა მელვილი თანამედროვე სინამდვილის მიმართ. როგორ გრძნობდა იგი თავისი დროის უკიდურეს წინააღმდეგობებს.

აქაბის სახის კონტრასტული თვისებები მისი პირველივე აღწერიდან ელინდება. ამ მთავარი ზნორეზებით მელვილი თავიდანვე გვიხატავს აქაბს, როდესაც პელეგი პირველად წარუდგენს ისმაილს მომავალ კაპიტანს: „ყეთილშობილი ღვთისნიერი კაცია კაპიტანი აქაბი, მაგრამ ღვთისმოსაკი და ღვთის შოშში არ არის... კარგი ღვთისმეშობი ადამიანია. აქაბი დასაზიარებელია და გატეხილი. მაგრამ ადამიანურობა არ არის მისთვის უცხო" ამ ურთიერთსაწინააღმდეგო სიტყვების აზრი — ყეთილშობილური, ღვთისნიერი, მაგრამ არა ღვთისმოსაკი და ღვთისმოშიში, აქაბის მოქმედებას წვთელ ზოლოვით გასდევს.

მან დიდი ხანია დაკარგა უბრალო ადამიანური შეგრძნებანი. მზის ჩასვლას სიმშვიდე აღარ მოაქს მისთვის, აღარ ძალუძს ბუნების სიმშვენიერით ტაცებობა. იგი მკაცრი, სასტიკია, მაგრამ მისთვის უცხო არ არის ადამიანურობა, ღამით იგი ცდილობს არ იაროს ბეგმანზე, რათა თავისი ფეხის ხმაურით სიმშვიდე არ დაერღვიოს ვეშაპმონადირეებს. ასევე ნაზ მზრუნველობას იჩენს სპარალო პიპისადმი. კეთილშობილური მიზნით შეპყრობილი, იგი აგრძელებს პრომეთეს, სატანის, ლუციფერის საქმეს, მაგრამ ყოველივე ამასთან ერთად აქაბი მრავალნაზ ბრძანებელია, „ზღვათა ხოსნქარი, გემბანის ღმერთია" რომლის ხელშიც არის „პეკოდზე" მყოფთა ბედი, არაფრად აგდებს ეკიპაჟის სიცოცხლეს და „ხომალდი" ბარდაუვალი დაღუპვისაკენ მიმყავს. აქაბის მოქმედების შედეგი ტრაგიკულია: „პეკოდი" თავისი ეკიპაჟით ოკეანის სიღრმეებში პოოლოს სამარეს. მისი მიზანი კეთილშობილურიცაა და დამღუპველიც. სიკეთე და ბოროტება ბარდაუვალია ერთმანეთში. ეს გარემოება მელვილის სახეთა ორაზროვნების ერთ-ერთი მთა-

[1] Tyrus Hillway, H. Melville, N. y., 1963, p. 77.

[2] Jean Jacques Mayoux. Melville N. y, Grove press, London Evergreen books, 1960, p. 76.

ეარი წყარო ხდება. მის ყველა ნაწარმოებში ბოროტება და სიკეთე ხელიხელ ჩაყიდებულნი მიჰრთან მიემართვიან მარჯვენა მორგებული ნიღბებით.

ტაკი ათვისუფლებს ილას მსხვერპლად შეწირისაგან, მაგრამ კეთილ სამეფოსთან ერთად იქვე ბოროტება — „ველოსმას სჩადის („მარდი"). კეთილი სამეფეთის ჩადენა სერს პიერს, ამაეე სახელწოდების რომანის თავკერ გმირს, მაგრამ სინამდვილეში ბოროტებას მოიმოქმედებს. („პიერი ანუ ორაზროვნებანი").

სიყვითლა და ბოროტების ასეთი გადახლართვა მწერლის უბრალო ახირება როდია. თვით მისი გარემმოცეული სინამდვილე იყო ადამიანობისა და ღუმრეულობის, თავისუფლებისა და ტირანიის, სიმდიდრისა და სიღარიბის, უანგარობისა და მომხვეჭელობის რთული კვანძი.

აკაბის როულსა და ფილოსოფიურ სახეში აღიბეჭდა ავტორად მელვილის ფიქრები ემერსონის თავისუფალ ინდივიდზე. რაღა უთლდდ ემერსონმა ანგარიშითა და ეგოიზმით გახარწყნილ სინამდვილეს დაუპირისპირა თავისი იდეალი — თავისუფალი ინდივიდი, რომლის კრედო ჩაშოაყალიბა ცნობილ ნარკვევში. „თავისთავისადმი ნდობა", ემერსონი და მისი თანამიმდევრები ამტკიცებდნენ, ადამიანის ბუნება ღვთაებრივიაო. მას მიაწერეს არნახული შესაძლებლობანი და გადაჭარბებულ უზენაესის სამყოფელად. ამასთანავე ამტკიცებდნენ, ცხოვრების ფარული გამოვლენა სხვა არაფერია, თუ არა ღვთის შინაგანი ხმა, რომელს, იდეამალ ბრძანებებსაც უნდა დავემორჩილოთო.

ადამიანი გახდა ღმერთი, მესია.

ემერსონისა და მისი თანამიმდევრებისათვის ლოზუნგი „ენდე შენს თავს" ნიშნავდა: ადამიანს თვით განესაზღვრა, რა იყო მორალური და სამართლიანი, მარტო გაეკვლია გზა „სწორი ცხოვრებისაკენ", არ მიექცია ყურადღება საზოგადოებრივი აზრისათვის, არ ჰკონოდა იმედი საზოგადოებისა, რომელსაც მიზნესის გარეშეა არაფერი არ აინტერესებდა:

„ენდე შენს თავს..." არ იცნოვრო ისე, როგორც შენგან მოელის მატყუარა ან მოტყუებული ხალხი, რომელთანაც შენ გაქეს ურთიერთობა... ო, დედა, ო, ძმაო, ო ჩემო მეგობარო! აკაბე მაცხოვრებდა ყოფიერების მოჩვენებითი მხარე, დღეიდან მე ეეყოფენი ეუმარტოებსას, არ ეემორჩილები არავითარ კანონს, გარდა მარადიულისა, მე არ მინდა ვიყო შეგობელი არავითარი აუცილებლობით... მე მსურს მარტოდმარტო დავრჩე".[1]

თუმცა ემერსონის იდეალი ოპოზიციაში უდგებოდა საზოგადოებრივ ნორმებს, თავისი არსით კონცეფცია „ენდე შენს თავს" იყო ღრმად ბერეკუზიული. პრაქტიკულად ემერსონი ამ ჩამოაყალიბა ბერეკუზიული ადამიანის ეგოისტური ფილოსოფია მის უკიდურეს გამოხატულებაში, ინდივიდუალიზმის აპოთეოზი ეგოიზმის აპოთეოზად გადაიქეა. ემერსონის მოძღვრება ადამიანის პიროვნეეას არ სეალდებოდა, პირიქით, იგი თაშავდა მას სასიცოცხლო ინტერესებს სფეროდან, ყოველსმომცველი სფეროდან, რომელიც საკუთარი „მე"-ს საზღვრეს გარეთ მდებარეობდა.

„ინდივიდუალიზმის აპოთეოზი — აი ასე შეიძლება დავახასიათოთ ემერსონის კრედო ორი სიტყვით:! — წერს პარინგტონი.

ემერსონსა და მის თანამიმდევრებს პიროვნების თავისუფლება ეესმოდათ, როგორც ზნეობრივი პიროვნების თავისუფლება მანკიერი გარემოს გავლენისაგან. მაგრამ ეს თეორია თავისუფლად შეიძლებოდა გამოეყენებინათ თვითნებობის გასამართლებლად უზნეო პიროვნებებს, რომელთაც სამოქალაქო მორალი ხელს უშლიდათ თავიანთ მტაცებლურ მოქმედებაში. სწორედ ამიტომ დაინახა მელვილმა სოციალური საფრთხე ემერსონის თეორიაში და უარყო იგი. აკაბის პიროვნებით მან დაგვანახა თუ რა შეუძლია მოიმოქმედოს ემერსონის თავისუფალმა ინდივიდმა, რომელიც უარყოფს ეჭვებს და განსაცდელს არ ეშინია. აკაბეც ემერსონის დოქტრინის პრინციპის მიხედვით მოქმედებს. მისთვის არ არსებობს არც „ეეკოდის" მიკრისამყაროს კანონები და არც მისი ეკიპაჟი — საზოგადოების ინტერესები. „ეეკოდის" სამყაროში მისთვის არსებობს მხოლოდ საკუთარი „მეს" ნება და მას უქეემდებარებს ყველას ინტერესს. საოცარი ეეოიზმით დაბრმავებული, იგი ეკიპაჟს წაერებს მხოლოდ იარაღად თვლის თავისი მიზნის განსახორციელებლად და თუმცა მისი მიზანი დამღუპველია, არაფრად აგდებს, „ეეკოდის" გემბანზე მყოფთა სიცოცხლეს. ჩამოშორია რა ადამიანის ბუნების გაგების კალეინისეული ცილისწმენდელური დოგმეები, მელვილმა ვერ იგრძნო ზვეა ადამიანური ბუნების გაღმერთებაში. იმ ადამიანში, რომელიც არავითარი კვმერითა და აუცილებლობით არ არის შებოჭილი, ხშირად იბუდებს ველურობა, სიცივე. ეეოიზმი, ბოროტება. მწერალი ხედავდა, რომ ემერსონის ინდივიდის თავისუფალი ნება და ალმაფრენა პრაქტიკაში შეიძლება გადაქცეულიყო დაპყრობისა და ძალაუფლების მოხვეეის მტაცებლურ მისწრაფებად. მელვილმა ზოგიერთი საზოგა-

[1] Ralph Waldo Emerson. Selected Writings, Edited bu William H. Gilman, New York, 1965 p 271.

[1] V. L. Parrington. Main Currents in American Thought, vol, II, N, y., p. 378.

ელენე გაბაშვილი

„მოგი ფიქრი" კაპიტალი XX საუკუნის შუაწელების ამერიკის სინამდვილესთან

დოგბრივი საკითხის გაშუქებაში ბაუსწრო თავის თანამედროვეების და განსჯპრატი ის, რაც მისმა თანამემამულეებმა ვერ შეამჩნიეს. მწერლის ისტორიული პროგნოზები ყველაზე ნათლად აქაბში გამოვლინდა. აქაბის სახე შესანიშნავი ისტორიული პორტრეტია XIX საუკუნის მეორე ნახევრის იმპერიის მშენებლებისა. ამერიკელ ლიტერატურის ისტორიოსმა მატისენმა პირველმა შენიშნა აქაბის სახეში წინასწარმეტყველური სიმბოლო: „ეზოლოგ ამ ეპოქაში მოხდა ადამიანის საკუთარი ძალებისადმი რწმენის მაქსიმუმამდე აყვანა. ძლიერი ნებისყოფის ინდივიდებს, რომლებიც ისყოფიდნენ მიწებს, ანაზაგებდნენ ტყეებს და აშენებდნენ რკინიგზებს, ადარ აწუხებდათ ბორიტების აქაბისეული აკვიატებული შეგრძნება, რადგან თეოლოგიამ კიდევ უფრო უკან დაიხია, მაგრამ მათი ლტოლვანი ისეთივე დაუდგომელი იყო, როგორც აქაბისა. ისინი ბევრ სხვა რამეშიც უნდა ყოფილიყვნენ აქაბის მსგავსნი, როდესაც XIX საუკუნის მეორე ნახევრის იმპერიის მშენებლები გაგდნენ.[1]

აქაბის რიული სიმბოლოში აღიბეჭდა ავრეთვე მელვილის შაში სამოქალაქო ომის წინ ამერიკის მოშვალისადმი. ამერიკას ელოდა მეორე რევოლუცია, რომლის ისტორიული ამოცანა იყო ბოლომდე მიეყვანა ქვეყნის ბუნებრივ-ზიელ-დემოკრატიული კარდაკმენა. რეგოლუციას უნდა გაეუქმებინა მონობა და მოესპო წინააღმდეგობა ჩრდილოეთის კაპიტალისტურ სისტემასა და სამხრეთის მონათმფლობელურ პლანტაციურ მეურნეობას შორის. მაგრამ პლანტატორები გაიფრთხილნი იცავდნენ მონობას ყოველგვარი შეზღუდვისაგან და ცდილობდნენ მონათმფლობელური სისტემის გაფართოებას და მის დამკვიდრებას ახალ ტერიტორიებზე. ჩრდილოეთის ბურჟუაზია ეროდებოდა კონფლიქტის გადაჭრას ნიაოლის გზით და მთელ რიგ დათმობებზე მიდიოდა. 1850 წელს მან მიიღო კანონი „გაქცეულ მონათა შესახებ", რომლის თანაზმად მთავრობა კისრულობდა დამპარებოდა მონათმფლობელებს მონის დაბერაში აშშ-ის მთელ ტერიტორიაზე. ამის შემდეგ კიდევ უფრო აგიზგიზდა აბოლიციონისტური მოძრაობის ცეცხლი. ახალი ინგლისის კვაკერებისათვის აბოლიციონიზმი ცხოვრების შინაარსი გახდა. მონობის გაუქმებისათვის ბრძოლა მათთვის ნიშნავდა მიწრსა და თავისუფლების მოპოვებას, ბრძოლის ყოველგვარი საზოგადოებრივი ბორიტებისა წინააღმდეგ. მიუხედავად იმისა, რომ სამხრეთელები დიდ წინააღმდეგობას უწევდნენ აბოლიციონისტებს, კლავდნენ და აწამებდნენ, მოაყენდეთ ვაზუთებს საშოალებით მათ უღმერთობად, მკრეხელობად და ანარქისტებად ნათლავდნენ, აბოლიციონისტები მაინც გაშმაგებულნი იბრძოდნენ. პლანტატორებიც ასევე გაიფარებით იცავდნენ თავიანთ პოზიციებს. კონფლიქტი ისეთ სიმწვავეს მიაღწია, რომ იგი სისხლისღვრის გარეშე არ გადავიდებოდა. ანლოგებებოდა გრანდიოზული შეტაკება ჩრდილოეთსა და სამხრეთ შორის. მელვილი ხედავდა, რომ ამერიკა დაუცხრომელად მიისწრაფვოდა სამოქალაქო ომისაკენ. იგი, ისევე როგორც ემერსონი, თორო, უიტმენი და მთელი მოწინავე საზოგადოებრიობა ჩრდილოეთელთა მხარეზე იდგა. მელვილს ეკვი არ ეპარებოდა ჩრდილოეთელთა კეთილ ზრახვებში. ისინი იმ დიდი ბორიტების მოსპობას აპირებდნენ. რომელიც მთელ მოწინავე კაცობრიობას აწუხებდა დღიდან ამერიკის დამოუკიდებლობის გამოცხადებისა. მაგრამ მწერალს არ ესმოდა სამოქალაქო ომის ისტორიული ამოცანა, მისი გარდუვალობა. მელვილს ამნაებდა კვაკერ-აბოლიციონისტთა გაშმაგება და მათი ფანატიკური ბრძოლა, რომელიც, მისი აზრით ეროვნული კატასტროფით დამთავრდებოდა. ამ გეგებით აქაბი ის კვაკერი-აბოლიციონისტიც არის, რომელმაც მთელი თავისი მისწრაფება ერთ მიზანს დაუმორჩილა, და მზად იყო ამ სანუკვარი მიზნისათვის მსხვერპლად შეეწირა „პეკოდის" მცურავი სამყაროც და საკუთარი სიცოცხლეც. აბოლიციონისტები მელვილის თვალში გმირებიც იყვნენ და ბორიტებმეც, მათი მიზანი კეთილშობილური იყო და ამასთანავე დამღუპველი, ისევე აქაბი — გმირიც და ბოროტმქმედიც. ეს კონტრასტული თვისებები არ შეიძლებოდა უკეთესად გამეფიტა მელვილს, თუ არა სპანიასპრო ნნიშნველობის სიტყვებით: კეთილშობილი, ღვთისნიერი, ღვთისმებრძოლი.

მელვილი განუმეორებელი მარინისტია. მან შეკმნა მუდმივად ცვლადობი ზღვის ისეთი დამაჯერებელი სურათები, იმდენად სავსე მომხიბლავი წვრილშინებით, ხმისა და ფერთა ელფერით იმდენად მრავალფეროვანნი და ამავე დროს ერთ მთლიანობად შეკრული, რომ ჩვენ თითქოს არამარტო ვხედავთ დაუსაბამო ოკეანის დიდებულ პანორამას, რომელსაც ალბათ ხშირად ჩაფიქრებული გაპყურებდა თვით მელვილი, არამედ ფიზიკურად შეეგრძნობთ მის მოძრაობას, მოქცევას და უკუქცევას, ყველაფერს ვხედავთ, როგორც შესანიშნავ ოკეანოლობს. ამასთანავე ცალ-ცალკე აღვიქვამთ ინდოეთის, წყნარსა თუ ატლანტიკის ოკეანეს, თითოეულს თავისი განუმეორებელი კოლორიტით. სხვადასხვა გეოგრაფიულ განედზე ოკეანის სურათების ზუსტი და ამავე დროს პოეტური აღწერა მეტყველებს იმაზე, რომ მწერალს უყვარდა ოკეანის, ბუნების რეალური სამყარო. მაგრამ ოკეანე „ბობი დიკში" სცილდება „საზღვაო კლასიკას," იგი მხოლოდ

[1] F. O. Matthiessen. American Renaissance N. y., Oxford University Press, 1946, p. 459.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვალწარმტაცი ფონი როდია, მის სიღრმეებში დიდი სიმბოლური აზრი იმალება. ჩვენ თანდათან ვკარგავთ ოკეანის რეალურობის შეგრძნებას და აქაბსა და თეთრ ვეშაპთან ერთად წარმოგვიდგება რთულ რომანტიულ სიმბოლოდ, რომელიც პირისპირ აყენებს აქაბსა და თეთრ ვეშაპს. ოკეანე იქცევა იმ რთულ, წინააღმდეგობებით სავსე სინამდვილის სიმბოლოდ, რომელშიც ცხოვრობდნენ გვიანდელი ამერიკელი რომანტიკოსები, და რომელიც უარყვეს მათ, როგორც ანტიადამიანური და ამდენად მიუღებელი. მელვილი ხედავდა, რომ ამერიკას ძირს უთხრიდნენ ძალები, რომელთა მოქმედების შეჩერება შეუძლებელი იყო. მას უნდოდა შეეღწია ოკეანე ცხოვრების სიღრმეებში, რადგან „ეშმარიტება მედან ღრმად არის ჩამარხული.[1] ამოეცნო ამერიკული საზოგადოებრივი ცხოვრების უხილავი ძალები, რომლებმაც გადაგვარეს დემოკრატია, დამახინჯეს ამერიკელთა შეგნება და მოსპეს განმანათლებლური დემოკრატიის ზნეობრივი იდეალი. მაგრამ მისი გარეგმოცცელი სინამდვილე რთული და შეუცნობელი იყო. ის, სწორედ ამიტომაა შემოყვანილი რომანში ოკეანე, არა როგორც თვალწარმტაცი ფონი, არამედ როგორც ცოცხალი, იდუმალი არსება, რომელიც ღრმად ინახავს თავის სიდუმლოებებს.

ლეგენდა ტალღებზე დაჰქრის „პეკოდი“ გეშპის ძიებაში, ხოლო ოკეანის ულურჯეს უფსკრულში დაცურავს აქაბის საძიებელი თეთრი ვეშაპი. ოკეანის სიმბოლიკა ზოგჯერ ძალზე ნათელია: „ზღვა გიგანტური გუდის კელია, რომელშიც მატლები, ზვიგენები ირევიან“[2] ზვიგენების სამყარო მელვილის თანამედროვე ბალტიმორელთა ულმობელი ბრძოლის სამყაროა. ოკეანის უმფოფაელი სილურჯის — კეთილდღეობის ნიღბის ქვეშ მელვილმა ესასრულოდ ბეური ბოროტმოქმედებანი და ცოდვები დაინახა.

„მობი დიკის“ დამთავრების შემდეგ მელვილი წერდა ნათანიელ ჰოთორნს 1851 წელს: „მე მანკიერი წიგნი დავწერე, თუმცა თავს კრავივით უმანკოდ ვგრძნობ“[3] „მანკიერში“ მელვილი, ეტეს გარეშეა, გულისხმობდა რომანტიკოსთ ნის ღვთისმგმობ პათოსს, პაროდიებს ქრისტიანულ ქადაგებებზე. საკმარისია გავიხსენოთ მოხეტიალანი კოკის ქადაგება, რომელსაც იგი სტაბის ბრძანებით უკითხავს გაუმაძღარ ზვიგენებს, ისინი კი ამ დროს „პეკოდის“ ქიმზე მიბმული მკვდარ ლევიათანს ქონს ნაკრეკად აგლეჯენ. ზანგი კოკი სისტოისმეკელ ზვიგენებს სიყვარულისა და ძმობის ქრისტიანული ქადაგებით მიმართავს: „მიშშინეო, ძმანო, ნაბრკანება მაქვს გადმოგჩეო, რომ შეშწყვეტოთ ეს შაშინელი ალიაქოთი: ...ღორმუცელობაშ, ძმანო, დიდ დანაშაულად არ გითვლით. რაშ იყამ, აშეთია თქვენი ბუნება, მაგრამ თქვენი ბუნება თქვენშ თავშ უნდა დატმორჩილოთ ეშაა საქმე. ნადია, თქვენ ქვიგენები ხართ, მაგრამ დარფაგუნეთ ქვიგენები თქვენშ თავში და მაშინეე ანგელოზებად იქჩევეთ; რადგან ყოველი ანგელოზი ბოლოს და ბოლოს კარგად დათრგუნვილი ქვიგენია და მეტი არაფერი“.[1]

მარტო ეს ღვთისგმობი ადგილი ეყოფოდა „მობი დიკს“ იმისათვის, რომ თანამედროვეებს იგი გამოეცხადებინათ „მანკიერ“ წიგნად მელვილმა იწონასწორმეტყველა „მობი დიკის“ წარემატებლობა: „თუმცა მე დავწერე ჩვენი სატკენის სახარება. მაგრამ სიღარიბეში მოვკვდები“[2].

ულმობელმა ოკეანემ შთანთქა „პეკოდი“ და მისი გმირული კაპიტანი. „დრამა გათამაშდა. მაშ, რატომ არის რომ ვიღაც ისევ გამოდის რამპასთან? იმიტომ, რომ ერთი ადამიანი მანე გადარჩა ცოცხალი“.[3] ადამიანი გადარჩა ცოცხალი, რადგან მელვილს სჯეროდა, რომ ადამიანი და ყოველივე ადამიანური მოიპოვებელია და დაუძლეველი.

---

[1] მელვილი, „მობი დიკი ანუ თეთრი ვეშაპი“, გვ. 273.

[2] იქვე, გვ. 428.

[3] J. Leyda. The Melville Log, N. y., 1951, p. 368.

[1] მელვილი, მობი დიკი ანუ თეთრი ვეშაპი, გვ. 418.

[2] H. Melville, The Letters, Ed by Merrel R. Davis and William H. Gilman. New Haven, yale university Press, 1960, p. 96.

[3] მელვილი, მობი დიკი ანუ თეთრი ვეშაპი, ეპილოგი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი კულტურული

შალვა ღლონტი

ქართველი ახალგაზრდობის სულიერი მოძღვარი

ხელმეფნიერი იყო 1840 წელი: ორი დიდი ადამიანი დაიბადა ამ წელს — აკაკი წერეთელი და იაკობ გოგებაშვილი. ორივემ თავიანთი ღვაწლი სიცოცხლე მშობელი ერის თავისუფლების, მისი ნათელი მომავლის, წინსვლისა და აღორძინების დიად საქმეს შესწირა.

იაკობ გოგებაშვილი მთელი თავისი ცხოვრებითა და მოღვაწეობით დაკავშირებული იყო მშობლიურ ხალხთან. იგი ოჯახს არ მოჰკიდებია, მაგრამ ჰქონდა სხვა ოჯახი — დიდი ოჯახი, ქართველი ერის სახელით რომ არის ცნობილი. ის, რაც მას საკუთარ ცხოვრებაში აკლდა, ხორცს ისხამდა მის საზოგადოებრივ მოღვაწეობაში. საკუთარ ოჯახს მოკლებულმა ამ დიდი ბუნების კაცმა მთელი ქართველი ახალგაზრდობა იშვილა. ამ ახალგაზრდობის სიყვარულითაა გამთბარი მისი უკვდავი სახელმძღვანელოები: „ქართული ანბანი“, „დედაენა“, „ბუნების კარი“, „რუსსკოე სლოვო“.

72 წლის განმავლობაში ი. გოგებაშვილისათვის არ არსებობდა სხვა იდეალი, გარდა ხალხის სამსახურისა, მისი განათლების და კულტურის ამაღლებაზე დაცქერამდელი ზრუნვისა.

ი. გოგებაშვილი სამართლიანად არის მიჩნეული ქართული მეცნიერული პედაგოგიური აზროვნების უფძემდებლად. მაგრამ ამით როდი შემოიფარგლება მისი მოღვაწეობის ფართო სარბიელი. როცა ქართულ სკოლებში მშობლიური ენის ინტერესების შევიწროვების გამო იანოვსკის და უფრო გვიან ვოსტორგოვს ედავებოდა, მისი მთავარი მიზანი იყო გაემგრებინა ჩვენი ეროვნების ბურჯის პოზიციები. ეს კი თავისი პოლიტიკური მიზნდასახულობით სცილდებოდა წმინდა პედაგოგიურ მოსაზრებას.

პედაგოგიურ წერილებში ი. გოგებაშვილი კლასიკურის წინაშე რეალურ განათლებას ანჭედდა უპირატესობას. ამ მოსაზრებას იმით ასაბუთებდა, რომ განათლება იმ დროს მოწყვეტილი იყო ცხოვრების სინამდვილეს და ფორმალური ცოდნის მიღებით იფარგლებოდა. რეალური განათლება კი ყულისხმობდა იმ საგნების შესწავლას, რომელთა ცოდნა ჩვენს ახალგაზრდობას დაეხმარებოდა ცხოვრების გზების გაკვლევაში, შესაძლებლობას მისცემდა აემაღლებინა ჩვენი ქვეყნის მეურნეობის დონე. აქაც პედაგოგიური ხასიათის საკითხს დაყენება ი. გოგებაშვილის კონცეფციით ემსახურება ქართველი ხალხის ეკონომიური ცხოვრების განმტკიცების, მისი განვითარების ამოცანებს. ამ თვალთახედვით ხელმძღვანელობდა დიდი ქართველი მოაზროვნე ყველა კონკრეტულ შემთხვევაში. სკოლების გამოკვლევისას ყურადღებას აქცევდა იმას, თუ რამდენად შეეფერებოდა საგნების სწავლება ცხოვრების მოთხოვნილებებს. ალ. მიქაბერიძის გადმოცემით, ბათუმის სკოლის მასწავლებელ იელიანე გოგოლაშვილისათვის მას მიუთითებია, ანგარიშის სწავლება ცხოვრების შესაბამისად უნდა წარმოებდესო. მშრალი ციფრების შეკრება, გამოკლება. გამრავლება და გაყოფა მოწაფის გონებას ისე რიგად ვერ წვრთნის, აზროვნების პროცესს ვერ უვითარებს. ყოველ კერძო შემთხვევაში ცხოვრების ამეტყველება პრაქტიკული სარგებლობის თვალსაზრისით არის საჭიროო. ამრიგად, პედაგოგიური

საკითხების დასმაცა და გადაწყვეტაც ი. გოგებაშვილს გაუხრებელი ჭკნნდა ფართო ასპეკტში. დიდმა ქართველმა პედაგოგმა ბრძოლა გამოუტანდა სწავლების დოგმატურ მეთოდებს, საქვეყნოდ დაამო ტაწდენანი, რომელიც უფუფლებელყოფდა სასწავლო გეგმაში მშობლიური ენის წამყვან როლს, პრინციპულად დაიყენა საკითხი მასწავლებელთა მდგომარეობის გაუმჯობესებაზე. სასაკითხო აიგდო ე. წ. მუნჯური მეთოდი, რომელსაც ქართულ სკოლებში რუსული ენის სწავლებისას იყენებდნენ. ლეკიტსისა და კორსხანიდის მიერ შედგენილი რუსული ენის სახელმძღვანელების ი. გოგებაშვილისეული კრიტიკა დღემდე რჩება მეცნიერულ-მეთოდიური აზროვნების ბრწყინვალე ნიმუშად. ი. გოგებაშვილი იბრძოდა სწავლისა და სწავლების მაღალი დონისათვის, რაც სრულყოფილად ასახავ დიდაქტიური და მეთოდიური თვალსაზრისით შესანიშნავ მის სახელმძღვანელებში. ამ სახელმძღვანელოებზე აღიზარდა რამდენიმე თაობა თაობა ქართველი ახალგაზრდობისა. არა მხოლოდ თეორიულად, პრაქტიკულადაც იბრძოდა იგი აქტიური მეთოდების სკოლაში დანერგვისათვის. 23 წლის ახალგაზრდა იყო, როცა თბილისის სასულიერო სემინარიაში დანიშნეს გეოგრაფიის და არითმეტიკის მასწავლებლად. ი. გოგებაშვილმა ახალი სხეი შეიტანა ამ იეზეიტურ დაწესებულებაში. პედაგოგიური ტაქტით, მასალის მისაწვდომ ფორმებში გადმოცემით, ნათელი აზროვნებითა და მაღალპუმანური თვისებებით ერთბაშად მიიპყრო სემინარიელთა ყურადღება... და როგორც ნ. ლომოური იგონებს, „გოგებაშვილს ჰპაჰადნენ ყველაფერში და, ასე ვამბობენ, იმისთანა რამეებშიაც-კი, როგორიც არის სიარული, კილო ლაპარაკისა, ხშირად ხმარება ამა თუ იმ სიტყვისა“.

ი. გოგებაშვილი ერთ-ერთი მთავარი ინიციატორი იყო „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა“ დაარსებისა, რომელმაც ფრიად დიდი როლი შეასრულა ეროვნული სკოლების აღორძინების, დაცვისა და განმტკიცების დიდ საქმეში.

ი. გოგებაშვილი აყენებდა აქტუალურ სოციალურ, ეროვნულ, წმინდა ლიტერატურულ და ენათმეცნიერულ პრობლემებს, ფართოდ ეხებაურებოდა ეპოქის საზოგადოებრივი მნიშვნელობის საკითხებს. მართალია, იგი საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების მთავარ ძალად ინტელიგენციის მიიჩნევდა და არ იზიარებდა ქეეყნის გარდაქმნის რევოლუციურ გზას, მაინც სოციალურ ფენათა შორის ყველაზე სიმპათიურად გლეხობისადმი იყო განწყობილი. ამით უნდა იხსნნას ის გარემოება, რომ ი. გოგებაშვილი გულითადი თანაგრძნობით განიმსჭვალა 1905 წელს მეფის სატრაპების მიერ აწიოკებული გურის მოსახლეობისადმი: „სრული იმედი მაქვს, — წერდა იგი, — ყოველი ქართველი სიამოვნებით დამეთანხმება თუ ეტყვი, რომ იმ ფუღს, რომელიც ეხლა გრანდება გურულების სახელობაზე, არ შეშვენის ეროვნული ბედნიერ გურულის სახელი. წმინდა ვალის გადახდა, ეროვნული ... არა შეწირულება, დაბმარება. დიახ, ჩვენ ყველანი ყელამდინ ვალში ვართ გურულების წინაშე. მათ პირველებმა გამოიელეეს, აიჩიეს განმათავისუფლებელი გზა, შეიძენეს ნამდვილი დემოკრატიული პროგრამა და ამ პროგრამის განხორციელებას შეუდგნენ სამაგალითო მხნეობით, იმეიათის გამბედაობით, საარაკო ეაქკაცობით“.

ი. გოგებაშვილის მოთხრობები: „ერეკლე მეფე და ინგილო ქალი“, „სამასი თავდადებული გლეხი“, „ცხრა ძმანი ხერხეულიანენ“, „ცოტნე დადიანი“ პატარა მკითხველებში ნერგავდა მაღალ პატრიოტულ განწყობილებას. მისი სიყვარული მშობლიური მხარისადმი ჯანსაღი იყო. იგი პატივისცემის გრძნობით იყო გამსჭვალული კავკასიაში მოსახლე სხვა ხალხებისადმი. რად ღირს თუნდაც მისი მშვენიერი მოთხრობა „იაკნანამ რა ქმნა“, რომელიც თავისი ფსიქოლოგიური ძალით ყოველთვის გვაგრძნობინებს მშობლიური ენისა და სიმღერის უდიდეს ზემოქმედებას ადამიანზე. ამავე დროს ეს ნაწარმოები ქართველებისა და ლეკების დამშობლებაზეც მოგვითხრობს, რაც ამ ორ ხალხს შორის არსებული ისტორიული შედლის მოსპობის აუცილებლობაზეც მიგვანიშნებდა.

ი. გოგებაშვილი სინანულით აღნიშნავდა საქართველოში სომეხი ბურჟუაზიის დამკვიდრების ფაქტს, მაგრამ ამავე დროს სიმპათიურად იყო განწყობილი ამ ჩვენი მოძმე ხალხისადმი. გამოუქვეყნებელ წერილში — „დაშბაკაცანების სადიატტორო მადა“ — ი. გოგებაშვილი წერს, რომ „დაშბაკაცანები ნამდვილი ნაციონალურ-ბურჟუაზიული პარტიაა, რომელიც გამსჭვალულია წადილით — იგდოს ხელში სრული ბატონობა ამიერკავკასიაში და ბატონობის მეცრედი ნაწილი უწილადოს სომხის ბურჟუაზიას და მზოლოდ მას“. იგი განაგრძობს: „არ, ბატონებო, ვეეყო ამდენი ბატონობა, მონობა. ჩვენს გვსურს ნამდვილი თავისუფლება, ჩვენნ გვინდა ვიყოთ ჩვენი თავის ბატონები. დაჩაგრას და დამონავებას ერთი ხალხისაგან მეორე ხალხისა ანდერძი უნდა აეგოს, სამარე გაეთხაროს და ყოველი ერი ამიერკავკასიისა უნდა თავისუფლად სცოცხლობდეს და თავისუფლადვე აცოცხლებდეს ხალხებსო“. ამგვარი პროგრესული აზრებისათვის ი. გოგებაშვილს პატიჟს სცემდნენ მოწმინავე სომეხი ინტელიგენციის წარმომადგენლები.

უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქართული სამაგვარო ლიტერატურის საკეთილდღეო საკითხების დასმისა და გადაჭრის, თვალსაზრი-

ზალვა ღლონტი
ქართველი ახალგაზრდობის
სულიერი მოძღვარი

სით ი. გოგებაშვილს კრიტიკულ წერილებს საყმაწვილო ჟურნალ „ნობათის“ შესახებ. დღემდე არ დაუკარგავს მნიშვნელობა ი. გოგებაშვილის წერილებს: „ოროიოდ სიტყვა დანიელ ჭოწქაძეზე და ეგნატე ნინოშვილზე“, „ქართული თეატრის გაჭირვება“, „შენიშვნა სახალხო პოეზიის შესახებ“, „იალბუნი ქართული პოეზიისა“, „ტარას შევჩენკო — დიდი პოეტი უკრაინისა“... ი. გოგებაშვილი ქართული პროზის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია. თავისი მშვენიერი მოთხრობებით მან ქართველ ახალგაზრდობას მისცა არა მხოლოდ დიდი გონებრივი საზრდო, მხატვრული მეტყველების შესანიშნავი ნიმუშებიც.

დიდად გულისსმენი იყო ი. გოგებაშვილი ნიჭიერი ღარბი სტუდენტებისადმი ერთიერთობაში. უყურადღებოდ არ დაუტოვებია თითქმის არც ერთი თხოვნა გაჭირვებული ქართველი ახალგაზრდისა, რომელიც მატერიალურ დახმარებას საჭიროებდა. ი. გოგებაშვილის საარქივო ფონდში დაცული პირადი წერილები ამ მხრივ მდიდარ მასალას გვაწვდის.

გავეცნოთ ზოგიერთ მათგანს:

„ოქვენო მაღალეთილშობილბავ. იაკობ სიმონის ძევ!

მოგმართავთ რა, თქვენო მაღალეთილშობილებავ, გაჭირვებაში ჩავარდნილი ღარიბი ქართველი სტუდენტები, უმდაღლესად გთხოვთ ნიჭიერი რომ დახმარება ღმოგიჩინონო, გეთხსნათ გაჭირვებიდან შორს ქეყანაში გადახეეწილნი ქართველნი და მით საშუალება მოგეცეთ სწავლის გაგრძელებისა, რადგანაც პირიქით შემთხვევაში იძულებულნი ვართ უკანეე დავბრუნდეთ. ვიმედოვნებთ, რომ თქვენი მოწყალე ხელი არ დაზოგავს და ცოტაოდენ წვლილს მოაწყვლის მონასა თქვენსა.

თქვენი მუდამ-ყვამს პატივის მცემელნი სტუდენტები საბეთლო ინსტიტუტისა — ზაქარია ედილაშვილი და ანდრია ნადირაძე (იურეფის ინსტიტუტი)“.

ი. გოგებაშვილი დაეხმარა მათ, მაგრამ მაინც გაეგებწყლა წერილის არაპუნენბრივი კილოსათვის:

„წერილი ერთი ოევ მეტია, რაც მივიღე, მაგრამ პასუხი აქამდინ ვერ მოგეცეთ, რადგან მაშინ, დამიუარად რომ ეთქვათ, გამოწყვლილ ძროხას ვგავდი. მაინც ეს მაინც ფულის გამოგზავნა იქნება უფრო მოვეხერხებინა, რომ თქვენს წერილის კილოს ცოტა ცივი წყალი არ გადაესხა ჩემთვისა. თქვენი წერილი კაცს მოაგონებს თხოვნას კოლეექსი რეგისტრატორებისას სტატსკი სოვეტნიკისადმი და არა მმართოს თავისუფალს სტუდენტებისას თავისუფალ ქართველსადმი, რომელსაც ოცდაეთეის წლის წინად დაეხრიწა და ქარს მისცა ყველა თავისი იტესტატები, დოკუმენტები და გადასწყვიტა იცხოვრის მხოლოდ ბუნებით უფლებთა, რომლითაც ცხოვრობს უბრალო გლეხი და მუშა, მაგრამ თვალი დაუდგა სიღარიბეს და გაჭირებას. ეტყობა, ეს შემთხვევაში ეს გამორეთას დიდეა, რომ სტუდენტებს თავისუფალი კილო შეუშალა. გიგზავნით ორ თუმანსა და ვწუხვარ, რომ მეტის ღონისძიება არა მაქვს, რადგანაც ღარიბი შესანახი მეტად ბევრი მყავს და მეც ხშირად ავადმყოფობ. ამ ფულს დამიბრუნებენ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მე გაჭირვებაში ჩავვარდები და თქვენ კი კურსის დასრულების შემდეგ გადამეტებული შეძლება გექნებათ“.

და მოხდა ის, რაც იმეითად ხდება ცხოვრებაში. ზ. ედილაშვილმა დაბერნენ ვალი. იაკობს გაუხარდა და ასე უთხრა: — კარგია, შვილო, რომ სიკეთე არ დაგიწყებია და ბუღში ღრმად შეგინახავს, ქართველი ანდაზა ამბობს: ვალს გადახდა უნდაო... მაგრამ თქვენ ეს ვალი მე დიდი ხანია გადამიხდეთ. თქვენი პატარა სამაგვრო მოთხრობა სიამოვნებთ გადავიკითხე. გამეხარდა, რომ ჩემს მცირედ ზრუნეას ფუქად არ ჩაუყვია, პატარა ამაგს დიდი ნაყოფი გამოუღია. ასე რომ ტაეილად გარკალხართ, სამოლოო ანგარიში გასწორებული გაქვთო.

ი. გოგებაშვილის მზრუნველი ხელი არ აკლდა აკაკი წერეთელს, თედო რახაიაშვილს, თედო სახოკიას. განსაკუთრებული მზრუნველობა გამოიჩინა ლოგინად ჩავარდნილ ე. ნინოშვილისადმი. დიდი იყო ი. გოგებაშვილის დამსახურება ქართველი ხალხისა და მისი კულტურისადმი. ამას თანამედროვენიც გრძნობდნენ და 1900 წლის გაზაფხულზე მის თაყვანისმცემელთ გადაუწყვეტიათ იაკობისათვის, საიუბილეო სადილის გამართვა. მაგრამ მან უარი თქვა ქართველი საზოგადოების ამ წადილის შესრულებაზე. წერილში „ივერიის“ რედაქციისადმი იგი წერდა: „როგორც თქვენი ახალი ამბებიდან ჩანს, ზოგიერთ ქართველს მოუწადინია გამიმართონ საიუბილეო სადილი. დიდ მადლობას მოვახსენებ, და ვთხოვ დიდი თხოვნით ხელი აიღონ ამ თავისს წადილზე. წინააღმდეგ შემთხვევაში ეს სადილი უნამოდ ჩაიგლის. ჯერ ქართველმა საზოგადოებამ უნდა გადახადოს ის დიდი ვალი, რომელიც აწევს კისერზე შესახებ ჩვენის მთავარ მოდგაწეებისა, რომელთაც ჩემზე უფრო დიდნანს უმოქმედნია და ჩემზედ უზომოდ მეტი გაუკეთებიათ. ჯერ იალბუზსა და მყინვარის ღირსეული იუბილეები გაუმართონ, და მერე გაუწიონ თავზანირნა სერბსაც, თუ არ დაუშლიათ“.

დიდი მოქალაქეობრივი ღირსებების, მაღალი პატიოსნეული შეგნებისა და ხალხის უმწყალკო სამსახურისათვის ი. გოგებაშვილისადმი ღრმა პატივისცემითა და სიყვარულით იყვნენ განწყობილნი მისი თანამედროვენი. ძალიან ახლოს იყო იგი ილიასა და მის ოჯახთან. ყოველ 30 დეკემბერს იაკობს ილიას მეუღლისაგან მოსდიოდა შემდეგი შინაარსის მოსაწვევი ბარათი:

„ბულოთადი პატივისცემით მოგახსენებთ და გთხოვთ მე და ილია ხვალ საღამოს ჩვენთან მობრძანდეთ და ერთი მხიარულთან მოვეგებინეთ

ახალ წელს. იმედი მაქვს, მობრძანდებით და ვით გვასიამოვნებენ.

დარჩები მარად თქვენი ღრმად პატივისმცემელი ოლგა ჯავშავაძე".

არაჩვეულებრივი მეგობრობა ჰქონდათ იაკობსა და აკაკის. 1896 წლის წერილში აკაკი წერდა:

„ბატონო იაკობ!

ხანდახან რომ გამომელაპარაკები ხოლმე, გულს მიკეთებ... აი ახლაც შენმა წერილმა და თან მოყოლებულმა წიგნმა გულს გადამიყარეს მოწოლილი სევდა... გადავიკითხე, გადავათვალიერე, მუშტრის თვალით აეწონ-გავეზომე და შიგ ეშეშარიტებისა და სიკარგის მეტი ვერა ვპოვე რა. კუთხეულ ბიჭის იყოს არა თუ მარტო შენი შრომა, ყოველი ბიჭის გადადგმაც კი...

მარად შენი მოყვარული აკაკი.

საარშინი (P. S.). „ძვირფასობით მიმდიოდა მოწერა მაგრამ ნიკოლაძეზე გამახსენდა: ნიკო რომ საზღვარგარეთ ჩარჩა და ეეღარ დაბრუნდა, მამას მოსწერა:: „ძვირფასო“. მამასაც უპასუხია: „შეიელო ამდენ ფულებს გიგზავნი, გყიდულობ და ეეღარ მოყადიხარ, თვალით ეეღარა გხედავ და ძვირფასი შენ ხარ, მე კი არაო“...

მეორე წერილში, რომელსაც თარიღად 27 სექტემბერი აწერია, ეკითხებოდა: „უზომო სტუმრობისათვის სახლში არა ვარ ხოლმე, მაგრამ ხანდახან კი მომენატრება ხოლმე, როგორც მარტოხელს, ზოგიერთი ჩემი ნაცნობების ნახვა და მათ რიცხვში შენი, ყველაზე უმალ. არ გეგონოს, რომ იმიერ-ეთისა გწერდე, აკაკურად გწერ ბზოლოდ ვეღის აყოლით. მაგრამ შენ აქეთ რა წამოგიტყუებს, ამ სიშორეს. თუმცა სურამსაც და ბორჯომსაც სჯობია ჩვენი სიხრეტ! განსაკუთრებით სადაც მე ვსახლობ, არც ქარი იცის, არც სიცხე და არც სიცივე. თუ მივაწევ ვაისამდი, ეგება გაგაბედვიო როგორმე რამდენიმე დღით ჩამოტყუებ. იმედი კი არა მაქვს, მაგრამ მაინც თავს ვიტყუებ და გიმზადებ ოთახებს სწორეთ შენი გემოს საკადრისს. რა არის, ნუ ხარ ეგოისტი, ერთი აქეთკენაც დაენახვე თვალით ჩვენებურ ბაკშვებს!... გუშინ ერთი პაწაწინა მეზობლის გოგონა მეკითხებოდა შენ შესახებ: ბელატია (ბელოტა) თუ არა იაკობ გოგაბაშვილი? შეიელები თუ ყავსო? გაწყრომა თუ იცისო. და სხვანი. ნეტავი მაჩვენო და მეც შენს პორტრეტს დავპირდი. „დიდი ვიახარა. ცალკე მინდოა, თვარა „ფერხულიანი“ არის ჩვენს სახლშია. „ფერხულიანს“ თურმე სხვებთან რომ ხარ ერთად, იმას ეძახის. თუ გაქვს, გეთაყვა, შენი პატარა სურათი გამომიგზავნე“.

საგულისხმოა ნ. ლომოერის წერილი:

„იაკობ! ამ ზაფხულ ხომ მანდ არ დარჩებით და მოდი რაედესმე ღღით ამოგვესტუერნე გორულებს... შენა და ილია როგორღაც მძიმე კაეკეში ხართ: პროვინციის არ ეწყვეთ ხოლმე... აკაკი ამ მხრივ დიდი მადლობის ღირსია ჩვენგან... მოვა ხოლმე... გაგვაცოცხლებს თავის სასიამოვნო ცოცხალი ბაასით და წავა... [illegible] ეანგი ეცლება და სული ძალღონეს მატულობს, როდესაც ხედავ შენზედ მაღლა მდგომარე საქართველოსათვის გულშემატკივარს ადამიანსა“...

ი. გოგებაშვილისადმი ღრმა პატივისცემით იყო გაწყწყობილი საქართველოს მეგობარი მარჯორი უორდროში. მის ერთ-ერთ წერილში იაკობისადმი ვკითხულობთ:

„მოწყალეკე ხელწერფეე ბატონო იაკობ!

დიდათ მადლობელი ვარ თქვენი მშვენერი წიგნებისათვის და თქვენი ბარათისათვის, ჩემთეის საესე თანაგრძნობით. ძალიან ძვირფასი არის თქვენი საჩუქარი და მეტად გუუხვარ, რომ თქვენი უქეიფობის გამო ვერ შემიძლიან პირადი მადლობის მოხსენება. სურეელი მაქვს, რომ თქვენ მალე ჯანმრთელი ექნებთ.

კიდეე ჩემი გულწრფელი მადლობა მიიღეთ!

თქვენი ღრმად პატივისმცემელი მარჯორი უორდროპისა.

სასტუმრო ლონდონში.

1896 წელს ივნისის 21 ღღესა“.

მშობლიური ენის დიდ ქომაგსა და მოამაგეს მორიდებულად მიმართავდნენ, როცა გრძნობენენ, რომ წერილის ქართული მოიკოჭლებდა. ამ მხრივ საგულსმოა მიხეილ თამარაშვილის ბარათი რომიდან:

„ბოდიშს ვითხოვ თქვენგან ჩემი მდაბალი, საყვალსტერო ქართულისათვის. ნუ დამეშლერეგინო, რადგან, აგერ ეხლა ოცი წელიწადი შესრულდა, რაც ულმობელ მტერმა საყვარელ სამშობლოს, საქართველოს განაშორა და მომწყვიტა მის დატკბობისგან. ჩემი ენის დაქვეითება ამ საშმუხარო მოვლენის მიუცილებელი შედეგია“.

როცა ი. გოგებაშვილს ავადმყოფობამ მოუხშირა, ყველა მისი მეგობარი ცდილობდა მასთან ახლოს ყოფილიყო. მაგრამ მათი მიღება ყოველთვის ვერ ხერხდებოდა... და ავულრატენი მნახველნი თავიანთ ბარათებში ჯანმრთელობას და დიდხანს სიცოცხლეს უსურვებდნენ მას:

„იაკობ! ეიყავით მოსე ჯანაშვილი და მე. ბიუმა კარები არ გიგვიღო, ალბათ შინ არ არის. ყოჩაღად იყავ და მალე ადექი, რომ შენ მაინც გაგვიღო ხოლმე კარები.

ვასილ ილიას ძე რეხნილაძე 7. 11 1 საათი (1910)“.

„იცოცხლეთ დიდხანს საქართველოს მოამაგე მასწავლებელო!

მ. ჯანაშვილი
6 მაისს“.

მაგრამ იაკობს დიდხანს აღარ უცოცხლია. იგი გარდაიცვალა 1912 წლის 1 ივნისს, 6 საათზე.

ზალვა ლლონელი
ქართველი ახალგაზრდობის
სულიერი მოძღვარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარდაცვალების წინ დაწერილ ანდერძში მან ძთელი თავისი ქონება დატოვა საქველმოქმედო დაწესებულებებს ქართული კულტურის სხვადასხვა დარგის გაძლიერებისა და განმტკიცებისთვის, ასე უთქვამს „ყველაფერი ხალხმა მომცა და ისევე ხალხსავე უნდა დაუბრუნდესო“.

იაკობ გოგებაშვილი გარდაიცვალა მშობლიური ქვეყნის წინაშე ვალმოხდილი. ქართველმა ხალხმა დიდი გულისტკივილით დაატირა თავისი ღირსეული მოამაგე. ათი დღის განმავლობაში მის პატივსაცემად უწყვეტ ნაკადებად მოედინებოდა ხალხი საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან. ი. გოგებაშვილის დაკრძალვა ეროვნული გლოვის დღედ გადაიქცა და ამ საერთო ხარს მწუხრის მელოდიად შეერთო მეტეხის ციხიდან გამოჭრილი ხმა რეციტაციონერი პატიმრებისა:

„იძინე ტკბილად, იძინე მშვიდად, იძინე დაქანცულო მებრძოლო, ბრძოლაში, მოწინავე რაზმში დამარცხებულო! გაცვდა გული შენს მკერდში, შენი ბასური ხმაც კი, რომლითაც ისე ვაჟკაცურად ებრძოდი მტერს, ისევე მთელი ... მკრეხელი; იმ ხმლით კვლავ შეებმიან მტრებს შენი მოწაფენი. შენ კი იძინე, იძინე, ლამაზო ადამიანო, დაისვენე, იძინე და დეე, ნუ შეაშფოთებს შენს მყუდრო და პატიოსან ძილს შავი ღრუბი შენი საყვარელი მამულის მომავლის, შესახებ. ის იცოცხლებს, იცოცხლებს და არ დაგიფიწყებს შენ, შენ, რომელსაც ისე ღრმად, ისე პატიოსნად და თავდადებით გიყვარდა შენი ტურფა, მაგრამ ჯერ კიდევ უბედური ქვეყანა“.

ი. გოგებაშვილმა სამარადისოდ დაიმკვიდრა თავისი ადგილი ხალხის გულში. მის ღროს მართლაც უბედურ ჩვენს ქვეყანას ახლა თავისუფალი ქართველის მარჯვენა მართავს და ახალი ყოფის მშენებელი ადამიანები ეროვნული სიამაყის გრძნობით იგონებენ ახალგაზრდობას დიდი სულიერი მოძღვრის დიდებულ ღვაწლს თავისი ხალხისა და სამშობლოს წინაშე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲙᲝᲥᲝᲚᲐ ᲔᲡᲙᲘᲖᲔᲑᲘ

ᲐᲨᲨ

„ᲛᲘᲜ ᲐᲠ ᲒᲘᲜᲔᲓᲐ!“

ნიუ-იორკის უნივერსიტეტის არსებულ სტუდენტთა ცენტრ „ლემ“-ში შეიკრიბა ათასზე მეტი მხატვარი და მუზეუმის თანამშრომელი. მათ გადაწყვიტეს პროტესტი განუცხადონ ამერიკის მთავრობას ინდოჩინეთში წარმოებული უსამართლო ომის წინააღმდეგ. თათბირზე მიიღეს რეზოლუცია, მოაწყონ ერთდღიანი გაფიცვები და პროტესტის ნიშნად დახურონ სამხატვრო სალონები.

თათბირზე სიტყვები წარმოთქვეს ცნობილმა მხატვრებმა და პოეტებმა.

ᲕᲘᲔᲢᲜᲐᲛᲘᲡ ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲣᲚᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐ

ᲗᲔᲐᲢᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲘᲣᲑᲚᲘᲡᲝ ᲤᲔᲡᲢᲘᲕᲐᲚᲘ

ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ქალაქებში ოთხი თვის განმავლობაში მიმდინარეობდა ვიეტნამის თეატრების საიუბილეო ფესტივალი, რომელიც მიეძღვნა სამ დიდ სადღესასწაულო თარიღს — ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავს, ვიეტნამის კომუნისტური პარტიის 40 წლისთავსა და ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის 25 წლისთავს.

ფესტივალზე წარმოდგენილი იყო 50 მეტი სპექტაკლი. სპექტაკლებს დიდი მოწონება ხვდათ წილად. ამერიკელ ავტორთა საავტიციო თავდასხმის შედეგად სპექტაკლის შეწყვეტის დროს ხალხი დაეინებით მოითხოვდა მის გაგრძელებას.

ᲘᲜᲓᲘᲝᲜᲔᲗᲘ

ᲗᲐᲒᲝᲠᲘ ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲣᲠ ᲔᲜᲐᲖᲔ

ბომბეის გამომცემლობა „ჯაიკო პაბლიშინგ ჰაუსმ“ ინგლისურ ენაზე ახლახან პირველად გამოსცა დიდი ინდოელი მწერლის რაბინდრანატ თაგორის ორი კრებული — მეცნიერული ტრაქტატი, „ჩვენი სამყარო“ და კრებული „თაგორის ანდრეძი“, რომელიც პოემებს, წერილებსა და სტატიებს შეიცავს.

გაზეთ „ლინის“ კრიტიკოსი წერდა: „ორივე ეს წიგნი ერთხელ კიდევ ადასტურებს უდიდესი მხატვრისა და ფილოსოფოსის უტყუარ თანამედროვე მუნებას. ორივე კრებული ნათელი, სრულფიფილი ილუსტრაციაა თაგორის — როგორც ადამიანისა და პოეტის, როგორც მოაზროვნისა და მეცნიერის“.

ᲘᲢᲐᲚᲘᲐ

ᲯᲣᲖᲔᲞᲔ ᲣᲜᲒᲐᲠᲔᲢᲘ

მილანში, 82 წლის ასაკში გარდაიცვალა თანამედროვე იტალიური პოეზიის ერთ-ერთი ცნობილი წარმომადგენელი ჯუზეპე უნგარეტი. უნგარეტი იყო არა მარტო პოეტი, არამედ მთარგმნელი, კრიტიკოსი, პროზაიკოსი. მისი შემოქმედება მჭიდროდაა დაკავშირებული საფრანგეთის ლიტერატურულ ცხოვრებასთან. ეს, ახალგაზრდობის წლები მას პარიზელიერთან და ბრეტონთან აკავშირებს.

პირველი მსოფლიო ომის წლები უნგარეტმა ფრონტზე გაატარა. ფაშიზმის პატნობის პერიოდში იტალებული გახდა ბრაზილიაში ემიგრ თავშესაფარი. 1916 წელს გამოვიდა მისი ლექსების პირველი კრებული. მას შემდეგ პოემა მრავალი კრებული გამოსცა. მეორე მსოფლიო ომის წლებში დაიბადა უნგარეტის მრავალი ანტისამარი ლექსი. სიცოცხლის ბოლო წლებში იგი დიდ ინტერესს იჩენდა მსოფლიო მოვლენებისადმი. ხულ ცოტა ხნის წინათ შეხვდა „შავი პოლკოვნიკების“ რეჟიმის წინააღმდეგ მებრძოლი ბერძენ ახალგაზრდებს და დაწერა ლექსი, „ხაბერძნეთი. 1970“.

უნგარეტის გარდაცვალებით იტალიის ლიტერატურამ დიდი დანაკლისი განიცადა.

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐ

ᲛᲔᲚᲘᲜᲐ ᲛᲔᲠᲙᲣᲠᲘ

იტალიური ჟურნალი „ნოი დონნე“ იტყობინება, რომ ფრანგმა რეჟისორმა ჟიულ დასენმა გადაწყვიტა გადაიღოს ფილმი, რომელიც ასახავს გერმანელი რევოლუციონერი ქალის, როზა ლუქსემბურგის ცხოვრებას. როზა ლუქსემბურგის როლის შესასრულებლად

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეფიხორმა მიიწვია ცნობილი ბერძენი მსახიობი მელინა მერკური, რომელიც აქტიურად იბრძვის „შავი პოლკოვნიკების“ რეჟიმის წინააღმდეგ.

პოლონეთი

თანამედროვე პოლონელი მწერლების ლექსიკონი

როგორც პრესა იტყობინება, მალე გამოვა „თანამედროვე პოლონელი მწერლების ლექსიკონი“. იგი მოამზადა ლესლავ ბარტელსკიმ. ლექსიკონში შესულია 1050 მეტი ბიოგრაფიული ცნობა. გარდა პოლონეთის მწერალთა კავშირის წევრებისა, ლექსიკონში შეტანილია ცნობები პოპულარულ გარდაცვლილ მწერლებზე, როგორიც არიან: ბაჩინსკი, ბრონევსკი, დომბროვსკაია, ნალკოვსკაია. ბიბლიოგრაფია მოიცავს სახალხო პოლონეთის 25 წლის მანძილზე. შეიცავს ცნობებს თანამედროვე პოლონელი მწერლების ნაწარმოებებზე.

საფრანგეთი

ფილმი ვიეტნამზე

პოპულარულმა ფრანგმა ოპერატორმა რაულ კუტარმა გადაწყვიტა გადაიღოს პირველი ფილმი „ხოა-ბინი“, რომელიც ვიეტნამელი ხალხის სიმამაცეს ეხება.

ფილმის შესახებ გაზეთი „ინტერნეშნელ ჰერალდ ტრიბუნი“ წერდა: „მოქმედება, რომელიც ფილმშია აღწერილი საიგონში ხდება. ავტორის მთელი სიმპათიები იმ მეომრის მხარეზეა, რომელიც იძულებულია ორი შვილი დატოვოს და საომრად წავიდეს.

გაზეთ „მონდის“ კორესპონდენტი აღნიშნავდა: „ფილმი გამსჭვალულია დიდი სიყვარულით იმ ხალხისადმი, რომელსაც უდანაშაულოდ დაატუეს თავს ომის საშინელება“.

ელზა ტრიოლეს ხსოვნას

74 წლის ასაკში გარდაცვალა ცნობილი ფრანგი მწერალი ქალი ელზა ტრიოლე. გაზეთი „ლუმანიტე“ იუწყებოდა: „წავიდა ჩვენგან დიდი მწერალი ქალი, რომლის შემოქმედებამ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა საფრანგეთის კულტურასა და თანამედროვე ხელოვნებაში. მის შემოქმედებაში შესანიშნავადაა ასახული ჩვენი ეპოქა, ჩვენი ხალხის წუხილი და იმედები. ტრიოლე აქტიურად მონაწილეობდა ყველა იმ ბრძოლაში, რომელსაც ფრანგი ხალხი აწარმოებდა. მისი სიმპათიები ყოველთვის მშრომელი ხალხის მხარეს იყო, იმ ხალხისა, რომელებიც თავდადებულად იბრძოდნენ უკეთესი მომავლისათვის, თავისუფლებისა და პროგრესისათვის“.

მწერლებმა პიერ გამარამ, როეე შატონიომ, ფრანსუა მორიაკმა, ანრი ტრუაიამ, მხატვარმა ჟან ეფელმა და ხელოვნების სხვა მუშაკებმა დიდი მწუხარება გამოთქვეს მწერლის გარდაცვალების გამო.

ჟურნალი გააფორმა დ. ერისთავმა

ტექნიკური ხელმძღვანელი ე. აბდუშელიშვილი.

რედაქციის მისამართი: თბილისი, პლეხანოვის პროსპ. № 91.

ტელეფონები რედაქტორის — 95-08-75. პ/მგ. მდივნის — 95-08-86. განყოფილებების: პოეზიის კრიტიკისა და ბიბლიოგრაფიის — 95-08-85. პროზის, კულტურისა და ხელოვნების — 95-08-85.

ვადაეცა ასაწყობად 11/VIII-70 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 24/IX-70 წ., ქაღალდის ფორმატი 70×108 1/16. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 10. პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 14. შეკვ. № 2276. უე 11634. ტირაჟი 19.200.

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

Типография изд-ства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина № 14.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძვირფასო მეგობარ!

გრძელდება ხელმოწერა ჟურნალ „ცისკარზე“ 1971 წლისათვის.

ხელის მოწერის ფასი:

1 წლით — 7 მან. 20 კაპ.

ნახევარი წლით — 3 მან. 60 კაპ.

ფასი 60 კაპ.

6 16/152

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ ЖУРНАЛ

«ЦИСКАРИ»

ИЗДАТЕЛЬСТВО
ЦК КП ГРУЗИИ

ИНДЕКС 76236